სოლომონ პავლიაშვილი

ეკონომიკური ეფექტიანობის თეორიები,
განვითარების მოდელები და

ციფრულად ეკონომიკაზე

გადასვლის აუცილებლობა
საქართველოში

სოლომონ პავლიაშვილი

ეკონომიკური ეფექტიანობის თეორიები, განვითარების მოდელები და ცირკულარულ ეკონომიკაზე გადასვლის აუცილებლობა საქართველოში

SOLOMON PAVLIASHVILI

The Efficiency of Economic Theories, Models of Development and the Need of Transformation to Circular Economy

ავტირი გაწეული მხარდაჭერისა და თანამშრომლობისთვის გულთბილ მადლობას უხდის დოქტორ **დარიუშ ედვარდ პრასეკს** – გაეროს ცირკულარული ეკონომიკის მრჩეველთა საბჭოს წევრი, საერთაშორისო ექსპერტი გარემოს დაცვის და სოციალური მმართველობის სფეროებში და ბატონ **ერიკ ილესს** – შვედეთის საერთაშორისო განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტოს ხელმძღვანელი, შვედეთის ელჩის მოადგილე საქართველოში

Author gives heartfelt thanks For rendered support and cooperation **Dr. Dariusz Edward PRASEK** - Member of the United Nations Advisory Board on Circular Economy, international expert in environmental and social governance areas and **Mr. Erik Illes** - Head of Swedish International Development Cooperation Agency, Deputy Head of Mission of Sweden in Georgia

წიგნი დაიბეჭდა საქართველოს სოფლის მეურნეობის
მეცნიერებათა აკადემიის სამეცნიერო საბჭოს რეკომენდაციით

რედაქტორი ზურაბ გარაყანიძე
ტექნიკური რედაქტორი გიზო კობახიძე
დამკაბადონებელი მაკა ცომაია

დაიბეჭდა შპს „სეზანში"
CEZANNE
PRINTING HOUSE

თბილისი
2020

ISBN 978-9941-8-2465-4

საჩჩევი

რედაქტორისგან. 5
From the editor 9
შესავალი 13

თავი I
ეკონომიკური განვითარების ახალი სტრატეგია და წინააღმდეგობები 23
1.1. ეკონომიკური განვითარების ფორმულა: თვითგანვითარების პრაქტიკული სტრატეგია 23
1.2. ჩრდილოვანი ეკონომიკა, როგორც ქვეყნის ეკონომიკური განვითარების შემაფერხებელი ფაქტორი – მისი არსი და გამომწვევი მიზეზები 48
1.3. პანდემიის გავლენა საქართველოს სატრანსპორტო-ენერგეტიკულ დერეფანზე 79

თავი II
ეკონომიკის ეფექტიანი განვითარების თანამედროვე თეორიები 93
2.1. ეკონომიკური ეფექტიანობის საკითხები კეინსურ მიმართულებაში 93
2.2 ეკონომიკური ეფექტიანობის საკითხები თანამედროვე ნეოკლასიკურ მიმართულებაში 128
2.3. ეკონომიკური ეფექტიანობის საკითხები ინსტიტუციურ-სოციოლოგიურ მიმართულებაში 180

თავი III

სტრატეგიული რეკომენდაციები ეკონომიკის ეფექტიანობის ზრდისთვის 202

3.1. ნიადაგის დეგრადაცია და მისი გამომწვევი მიზეზები, პრობლემები და მასთან ბრძოლა 202

3.2. ნარჩენების მართვის ინსტიტუციური მოდელი და მისი განვითარების თავისებურებანი 235

3.3. ცირკულარული ეკონომიკის დანერგვის დაჩქარების აუცილებლობა საქართველოში 300

გამოყენებული ლიტერატურა 319

რედაქტორისგან

პროფესორ სოლომონ პავლიაშვილის მონოგრაფიაში „ეკონომიკური ეფექტიანობის თეორიები, განვითარების მოდელები და ცირკულარულ ეკონომიკაზე გადასვლის აუცილებლობა საქართველოში“ განხილულია კატეგორია "ეფექტიანობის" ორაზროვანი ინტერპრეტაციის პრობლემა. ეკონომიკური ეფექტიანობა საკმაოდ რთული და მრავალმხრივი კატეგორიაა, რომელიც უკავშირდება ეკონომიკურ კანონებს და გამოიყენება საწარმოს საქმიანობის ყველა ასპექტით დახასიათებისათვის. ეს მაჩვენებელი არის სამრეწველო საწარმოებში მიმდინარე პროცესების ერთ-ერთი სავალდებულო მახასიათებელი.

ეკონომიკური ეფექტიანობა – წარმოების (ან მომსახურების) პროცესის სასარგებლო შედეგის (ეფექტის) შეფარდებაა გაწეულ ხარჯებთან (ან გამოყენებულ რესურსებთან). ეფექტიანობის საკითხს მრავალი მეცნიერული დისციპლინა შეისწავლის და მათ შორის ეკონომიკური ეფექტიანობა მრავალი ავტორის დაკვირვების საგანია, შესაბამისად, ის განსხვავებული არგუმენტაციებით გადმოიცემა. ეკონომიკური ეფექტიანობის გაანგარიშება სპეციფიკურ მიდგომებს საჭიროებს მრეწველობაში, სოფლის მეურნეობაში, მშენებლობაში, ვაჭრობაში, მომსახურების სხვა სფეროებში, შესაბამისად, გარკვეულ გაანგარიშებით სირთულეებთან გვაქვს საქმე ეფექტიანობის კრებსითი მაჩვენებლების განსაზღვრისას. ეფექტიანობის საკითხებზე, როგორც ზოგადთეორიულ, ისე დარგობრივ-მიკროეკონომიკურ, ფინანსურ და ეკონომიკურ-მათემატიკურ ასპექტებზე გამოქვეყნებულია ქართველი მეცნიერ-ეკონომისტების (ავთანდილ გუნია, ვლადიმერ პაპავა, ლეო ჩიქავა, ავთანდილ სილაგაძე, ნოდარ ხადური, რამაზ აბესაძე, ნოდარ ჭითანავა, მიხეილ ჯიბუტი, ელგუჯა მექვაბიშვილი, იაკობ მესხია, იური ანანიაშვილი, როლანდ სარ-

ჩიმელია, ნიკოლოზ ბაკაშვილი, სლავა ფეტელავა, ლოიდ ქარჩავა, გიორგი შიხაშვილი, დავით ჩლაიძე და სხვ) შრომები.

იტალიელი ეკონომისტის – ვილფრედო პარეტოს მიხედვით, იდეალიზებულ ვარიანტში ეფექტიანია წარმოების შესაძლებლობათა გრაფიკის მხოლოდ ზღვრული სარგებლიანობის სიტუაციები. ეკონომიკური ეფექტიანობის საკითხზე ევროკომისიის ექსპერტთა მეთოდოლოგიის სრულყოფის საფუძველზე, ქართველი ეკონომისტი – რევაზ ლორთქიფანიძე განმარტავს, რომ ეკონომიკაში ზღვრული ეფექტიანობის მისაღწევად, როცა ზღვრული ხარჯები მინიმალური ხდება, საჭიროა განვითარდეს ეკონომიკის ის სტრუქტურული ძვრები, რომლებიც ყველაზე რენტაბელური იმ დარგების ეკონომიკურ ზრდას გამოიწვევს, რომლებსაც ბაზარზე, ამავდროულად, შედარებით მეტი სეგმენტი უჭირავს. ამ მხრივ მცირემიწიანი საქართველოსთვის უმნიშვნელოვანესია ნიადაგის ეფექტიანი გამოყენება.

ამ მაჩვენებლის არსთან დაკავშირებით ქართველ და უცხოელ ეკონომისტებს შორის საყოველთაოდ აღიარებული და ერთიანი თვალსაზრისის არ არსებობა იწვევს მის არასრულყოფილად გამოყენებას სამრეწველო საწარმოების მართვაში. საბაზრო ეკონომიკაში ბიზნეს სუბიექტის სამეურნეო საქმიანობის შედეგების ეკონომიკური შეფასების ამოცანა აქტუალურ ელემენტად რჩება საწარმოს სამეურნეო საქმიანობის მრავალმხრივი ასპექტების შესწავლაში. ამ კუთხით დაფიქსირებული თეორიული ცოდნის წარმოდგენილი სახით სრულყოფა მოქმედებს როგორც ფუნდამენტური კატეგორიების ცნობიერების ამაღლების სტიმული. ამ მაჩვენებლებთან მიმართებაში ავტორის კონცეპტუალური აპარატის ფორმულირების სიცხადე, მისი კრიტერიუმული შემადგენლობა დიდ თეორიულ მნიშვნელობას ანიჭებს გლობალურ სივრცეს თანამედროვე ეკონომიკური განვითარების კონტექსტში. პროფესორ ს. პავლიაშვილს დიდი ყურადღება აქვს დათმობილი ეფექტიანობის მაჩვენებლების განსაზღვრაზე, ასევე საწარმოს ეკონომიკური მექანიზმის გასაუმჯობესებლად ისეთი ეკონომიკური პოლიტიკის შემუშავებაზე, რომელიც დამოკიდებულია სამრეწველო სექტორში საწარმოს ეკონომიკური ეფექტიანობის ყოვლისმომცველ შესწავლაზე. მონოგრაფიაში განხილულია ეკონომიკურ ლიტერატურაში ეფექტიანობის

განსაზღვრის ძირითადი მიდგომები და ასევე განსაზღვრულია კატეგორიის „ეფექტიანობის“ ურთიერთკავშირის ხარისხი სხვა ეკონომიკურ კატეგორიებთან.

ყოველივე ზემოაღნიშნული იმის თქმის საფუძველს გვაძლევს, რომ თანამედროვეობის ზოგიერთი მოვლენა – „კოვიდ19“-ის პანდემია, ციფრული ეკონომიკის ჩამოყალიბება, ინფორმაციული საზოგადოების ფორმირება, ჩრდილოვანი ეკონომიკის მასშტაბების ზრდა – ეკონომიკური ეფექტიანობის თეორიული საფუძვლების ახლებურად გააზრების საჭიროებას წარმოქმნის. ამიტომ მიგვაჩნია, რომ პროფესორ სოლომონ პავლიაშვილის წინამდებარე ნაშრომი „ეკონომიკური ეფექტიანობის თეორიები, განვითარების მოდელები და ცირკულარულ ეკონომიკაზე გადასვლის აუცილებლობა საქართველოში“ არის ამ მიმართულებით ჩატარებული სერიოზული კვლევა, რაც აუცილებლად გამოადგებათ ეკონომიკის თეორიული პრობლემების შესწავლით დაინტერესებულ მკითხველთა ფართო წრეს.

ავტორის ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ მნიშვნელოვანია გაუდაბნოების/მიწების დეგრადაციის წინააღმდეგ ბრძოლა. რომლის ასპექტებიც მოიცავენ როგორც უშუალოდ გაუდაბნოების/ მიწების დეგრადაციის და გვალვის უარყოფითი ზეგავლენის შედეგების შემცირების, ასევე მიწის რესურსების მდგრადი მართვის საკითხებს.

წიგნში განხილულია ნარჩენების მართვის სტრატეგია და არსებული სიტუაციის შეფასება, იდენტიფიცირებულია გამოწვევები, შესაბამისად განსაზღვრულია მიზნები და პრობლემების გადაჭრის გზები. თითოეული ამოცანისათვის განსაზღვრულია ვადა და შესაბამისი ინდიკატორები. ასევე წარმოდგენილია სტრატეგიის განხორციელებით მიღებული მოსალოდნელი დადებითი შედეგები.

ნაშრომში განხილულია ევროკავშირის პოლიტიკა ცირკულარული ეკონომიკის შესახებ, რომელიც ეკონომიკას მიმართავს ისეთი ეკონომიკური სისტემისკენ, რომელშიც: ბუნებრივი რესურსების ყველაზე ეფექტიანად მოხმარება, მასალებისა და პროდუქციის ღირებულება შენარჩუნებულია მათი წრებრუნვით მოხმარების გზით და ამავდროულად შემცირებულია ეკონომიკური საქმიანობის მავნე ზემოქმედება გარემოსა და ადამიანის ჯანმრთელობაზე. ცირკუ-

ლარული ეკონომიკა განიხილება შესაძლებლობად: ადამიანს მუდმივად ჰქონდეს წვდომა სასიცოცხლო რესურსებზე, შეინარჩუნოს გლობალური კონკურენტუნარიანობა და უზრუნველყოს მაღალი ხარისხის გარემო. ცირკულარული ეკონომიკის მიდგომების გამოყენებით შესაძლებელია: სამრეწველო ნარჩენების შეკვეცა, საშინაო ნივთიერებების წარმოებისა და მათი ზემოქმედების შემცირება, ასევე კლიმატური ცვლილებების შერბილებაში წვლილის შეტანა. მნიშვნელოვანია ისიც, რომ მსოფლიოს განვითარებული ქვეყნებიც ცირკულარულ ეკონომიკაზე გადასვლის ადრეულ ეტაპზე იმყოფებიან.

ავტორი ანალიზს უკეთებს ბოლო პერიოდის ეკონომიკურ მოვლენებს და მიმდინარე ეკონომიკური კრიზისის პირობებში განიხილავს ქვეყნის გამოსვლის ოპტიმალურ გზას ცირკულარულ ეკონომიკაზე ეტაპობრივი გადასვლის საშუალებით.

პროფესორი
ზურაბ გარაყანიძე

FROM THE EDITOR

In the monograph of Professor Solomon Pavliashvili "The Efficiency of Economic Theories, Models of Development and the Need of Transformation to Circular Economy" discusses the two understanding of the "efficiency" category and the issues regarding its interpretation. Economic efficiency is a very complex and multidimensional category, which is connected to economic laws and is used to characterize all types of enterprise activities. This index is the main distinctive in the ongoing processes of industrial units.

Economic efficiency-is determined by the comparison of the beneficial outcomes of production (or service) with the costs(or with consumed resources).The matter of efficiency is discussed and studied by multiple disciplines and scholars, therefore it is perceived and discussed with various arguments. The calculation of economic efficiency demands a special approach in industry, agriculture, construction, trade and other fields of service, accordingly we face certain types of difficulties, while calculating efficiency of aggregate indicators. About the effectiveness issues, both general theoretical and domain based-microeconomic, financial and economic-mathematical aspects there are provided the studies of Georgian economists (...Avtandil Gunia, Vladimer Papava, Leo Chiqavaa, Avtandil Silagadze, Nodar Khaduri, Ramaz Abesadze, Nodar Chitanava, Mikheil Jibuti, Elguja Meqvabishvili, Iakob Meskhia, Iuri Ananishvili, Roland Sarchimelia, Nikoloz Bakashvili, Slava Phetelava, Loid Karchava, Giorgi Shikhashvili, David Chlaidze and others)

According to an Italian economist-Vilpred Pareto, in idealized circumstances the production possibility frontier is effective only when marginal

benefits occur. Based on the improvement of the methodology of the European Commission's experts on the issue of economic efficiency, Georgian economist Revaz Lortkipanidze discusses that in order to achieve marginal efficiency in the economy, while marginal costs are significantly low, it is crucial to develop the structural shifts of the economy, since it will lead to economic growth of the most profitable sectors, which occupy relatively more market segments. In this regard, for Georgia as for the country with relatively small land it is crucial to use the soil effectively.

Since there is no universal approach and views regarding these issues between foreign and Georgian scholars, it is often used incompletely in the management of industrial units. In market economy the evaluation of agricultural activities done by the business entities is still a crucial element in the research of multidimensional aspects of enterprise's economic activities. Therefore, fulfilment of the presented form of theoretical knowledge stimulates to raise awareness of fundamental categories. the authors clear conceptualization of apparatus, its structural criterion gives the meaningful theoretical importance to the global space in the sense of modern economic development. Professor S. Pavliashvili paid big attention to the determination of efficiency indicators, as well as, development of economic policy that will help to improve the economic mechanism of enterprise, which depends on a comprehensive study of the economic efficiency of the enterprise in the industrial sector. The monograph discusses the main approaches of efficiency in the economic literature, as well as, defines the degree of intercommunication between efficiency and other economic categories.

All the above mentioned issues give us the possibility to realize that some modern events such as – Covid 19, the formation of digital economy, informative society, the growth of shadow economy, point out the need to rethink the theoretical foundation of economic efficiency. Consequently, we assume that professor Solomon Pavliashvili's work "The Efficiency of Economic Theories, Models of Development and the Need of Transformation to Circular Economy" is the significant research conducted in this regard. This research will be very useful for the wide circle of reader society interested in theoretical problems of economics. The author focuses on the issue of desertification/degradation of land and mentions the crucial importance of fighting against this problem. These aspects include not only the desertifi-

cation, land degradation and reducing the negative effects of drought, but also sustainable management of land resources.

The book discusses waste management strategy and assessment of current situations, therefore goals are defined, challenges are identified and ways to solve the issues are represented. For each task deadlines and relevant indicators are already defined. Furthermore, the expected positive results received from the implementation strategy is also pictured.

The research also discusses EU policy about circular economy, which leads the economy towards the system in which; natural resources are used effectively, the cost of materials and products are maintained through its cyclical consumption and harmful effects of economic activities on the environment and human health are significantly reduced. A circular economy is discussed as an opportunity: People must have constant access to vital resources, maintain global competitiveness and provide a high quality environment. With the help of circular economy approaches it is also possible to: Reduce industrial waste, lower the production of hazardous substances and their impacts, moreover, contribute to climate change mitigation. It is important to mention that developed countries are at the early stage of transition to circular economy.

The author analyses the recent economic events and in this current economic crises looks for a solution within a gradual transition to the circular economy.

Professor
Zurab Garakanidze

შესავალი

საქართველოს მთავრობის ეკონომიკური პოლიტიკა სამ უმთავრეს პრინციპს ემყარება. პირველი პრინციპი ეკონომიკის რეალური (წარმოების) სექტორის განვითარებაზე ორიენტირებული სწრაფი და ეფექტიანი ეკონომიკური ზრდის უზრუნველყოფაა, რაც განაპირობებს ქვეყანაში არსებული ეკონომიკური პრობლემის გადაჭრას, სამუშაო ადგილების შექმნასა და სიღარიბის დაძლევას. მეორე პრინციპია ინკლუზიური ეკონომიკური ზრდის ხელშემწყობი ეკონომიკური პოლიტიკის გატარება, რაც გულისხმობს მოსახლეობის საყოველთაო ჩართულობას ეკონომიკური განვითარების პროცესში (დიასპორის, მიგრანტების, ეთნიკური უმცირესობების და სხვა ჯგუფების ჩათვლით), ეკონომიკური ზრდის შედეგად საზოგადოების თითოეული წევრის კეთილდღეობას, მათ სოციალურ თანასწორობასა და მოსახლეობის ცხოვრების პირობების გაუმჯობესებას. მესამე ძირითად პრინციპს ეკონომიკური განვითარების პროცესში ბუნებრივი რესურსების რაციონალური გამოყენება, ეკოლოგიური უსაფრთხოებისა და მდგრადობის უზრუნველყოფა და ბუნებრივი კატაკლიზმების რისკების თავიდან აცილება წარმოადგენს.

განვითარებულ ქვეყნებში (მათ შორის ევროკავშირის ქვეყნებში), მცირე და საშუალო საწარმოებს მოქმედ საწარმოებში დიდი წილი უკავია, ქმნის სამეწარმეო სექტორის მთლიანი ბრუნვის 50%-ზე მეტს და ყოველი სამი სამუშაო ადგილიდან ორს კერძო სექტორში. ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (OECD) ქვეყნებში, კომპანიების 99%-ზე მეტს

მცირე და საშუალო საწარმოები წარმოადგენენ და, საშუალოდ ქმნიან მთლიანი შიდა პროდუქტის (მშპ) 2/3-ს. განვითარებადი და გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებში, მცირე და საშუალო საწარმოები საწარმოების მთლიანი რაოდენობის 90%-ზე მეტს წარმოადგენენ, თუმცა მათი წილი მშპ-ში ზოგადად საკმაოდ დაბალია – ხშირ შემთხვევაში 20%-ზე ნაკლები[1].

ბოლო წლების განმავლობაში, საქართველომ მნიშვნელოვანი რეფორმები განახორციელა, მათ შორის, ეკონომიკური რეფორმები, რომელთა მთავარი მიზანი იყო ბიზნესის კეთების და პირდაპირი უცხოური ინვესტიციებისთვის ხელსაყრელი გარემოს შექმნა, ეკონომიკის ლიბერალიზაციის, ადმინისტრაციული ბარიერებისა და საგადასახადო ტვირთის შემცირების, სახელმწიფო სერვისების გაუმჯობესების, კორუფციასთან ბრძოლისა და სხვა გზებით. ამ რეფორმების შედეგად, საქართველომ ეკონომიკური ზრდის მაღალ მაჩვენებლებს მიაღწია. ამასთან, მნიშვნელოვნად გაიზარდა ქვეყანაში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ნაკადები. საქართველოს ეკონომიკური პოლიტიკა დადებითად იქნა შეფასებული სხვადასხვა სარეიტინგო სააგენტოების და საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების მიერ და შესაბამისი შედეგები აისახა იმ ინდექსებსა და რეიტინგებში, რითაც ფასდება ქვეყნების ეკონომიკური თავისუფლება.

ზოგადი ბიზნესგარემოს გაუმჯობესების მიუხედავად, მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების თვალსაზრისით, საქართველოში იგივე გამოწვევები დგას, რაც მრავალ განვითარებად ქვეყანაში. საქართველოს მთავრობა ეკონომიკური განვითარების პროცესში განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს მცირე და საშუალო მეწარმეობას და მიზნად ისახავს სამეწარმეო გარემოს შემდგომ

1. ევროკომისია 2010: დიალოგი „მცირე და საშუალო მეწარმეობის პოლიტიკაზე" აღმოსავლეთ პარტნიორობის მრავალმხრივი ფორმატის ფარგლებში (Dialogue on «SME Policy» with regard to the multilateral framework of the Eastern Partnership) საქართველოს მთავრობის დადგენილება N400 2014 წლის 17 ივნისი ქ. თბილისი საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგიის „საქართველო 2020" დამტკიცებისა და მასთან დაკავშირებული ზოგიერთი ღონისძიების თაობაზე საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განეითარების სტრატეგია საქართველო 2020 ფარგლებში (Dialogue on «SME Policy» with regard to the multilateral framework of the Eastern Partnership) საქართველოს მთავრობის დადგენილება N400 2014 წლის 17 ივნისი ქ. თბილისი საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგიის „საქართველო 2020" დამტკიცებისა და მასთან დაკავშირებული ზოგიერთი ღონისძიების თაობაზე

სრულყოფას, რაც ხელს შეუწყობს მცირე და საშუალო საწარმოების ზრდას და განვითარებას.

ქვეყანა რადიკალური და სწრაფი ეკონომიკური რეფორმების აუცილებლობის წინაშე დადგა. თუმცა, საქართველოში გასული წლების ეკონომიკურმა რეფორმებმა სასურველი შედეგი ვერ მოიტანა. ამასთან, განხორციელებული რეფორმები ხშირ შემთხვევებში არათანმიმდევრული და სპონტანური იყო. დღემდე არსებულ სტრატეგიულ და საპროგრამო დოკუმენტებში გაცხადებული მიზნები, რომლებიც სიღარიბის და უმუშევრობის მნიშვნელოვან შემცირებას უკავშირდებოდა, კვლავ მიუღწეველი რჩება. მიუხედავად იმისა, რომ გასულ წლებში რამდენჯერმე ადგილი ჰქონდა ეკონომიკური ზრდის მაღალ ტემპებს, მისმა სიკეთემ მოსახლეობის დიდ ნაწილამდე ვერ მიაღწია. ჩვენი მთავარი მიზანია ეკონომიკური ზრდის მიერ მოტანილი სიკეთით ისარგებლოს საქართველოს მოსახლეობის მნიშვნელოვანმა ნაწილმა ინკლუზიური ანუ საყოველთაო ეკონომიკური ზრდის საფუძველზე. საქართველოს მთავრობის ეკონომიკურმა პოლიტიკამ უნდა უზრუნველყოს ინკლუზიური ეკონომიკური ზრდა, რათა ყოველმა მოქალაქემ ისარგებლოს მიღწეული შედეგებით და ამავე დროს, შესაძლებელი გახდეს მოსახლეობის საყოველთაო ჩართულობა ეკონომიკური განვითარების პროცესში[2].

როგორც ვიცით, ზოგადად ეკონომიკური ცხოვრების მეცნიერული კვლევა მერკანტილიზმს უკავშირდება, რომელიც ეკონომიკურ პოლიტიკასა და აზროვნებაში თითქმის ოთხი საუკუნის განმავლობაში, XVIII საუკუნის შუახანებამდე ბატონობდა. მერკანტილიზმის არსია: ეკონომიკურ პოლიტიკაში – ძვირფასი ლითონების დაგროვება ქვეყანასა და სახელმწიფო ხაზინაში; ეკონომიკურ თეორიაში – ეკონომიკური კანონოზომიერებების ძიება, მიმოქცევის სფეროში – ვაჭრობაში, ფულის მიმოქცევაში. მერკანტილიზმის უდიდესი წარმომადგენელი იყო ფრანგი ანტუან მონკრეტიენი, რომელმაც 1615 წელს ქ. რუანში გამოსცა „პოლიტიკური ეკონომიის ტრაქტატი“, რითაც დასაბამი მისცა სრულიად ახალი მეცნიერების დასახელებას. ქვეყნისა და სახელმწიფოს სიმდიდრის წყაროდ მონკრეტიენი

2. საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგია საქართველო 2020

მიიჩნევდა საგარეო ვაჭრობას, განსაკუთრებით მრეწველური და ხელოსნური პროდუქციის გატანას ოქროს დაგროვების მიზნით. მონკრეტიენის შემდეგ, კიდევ 150 წლის მანძილზე, პოლიტიკური ეკონომია განიხილებოდა როგორც მეცნიერება სახელმწიფო მეურნეობის შესახებ აბსოლუტური მონარქიის მმართველობის პირობებში.[3] მხოლოდ კლასიკური პოლიტიკური ეკონომიის ჩამოყალიბებით გადაიქცა იგი მეცნიერებად საერთოდ, მეურნეობის კანონების, კერძოდ, ეკონომიკური განვითარების, მეურნე სუბიექტებსა და საზოგადოების ცალკეულ სოციალურ ფენებს შორის ეკონომიკური ურთიერთობების კანონების შესახებ.

კლასიკური პოლიტიკური ეკონომიის პრინციპებიდან მთავარია სახელმწიფოს ეკონომიკასა და საგარეო ვაჭრობაში პირდაპირი ჩარევის შესუსტება, ლეს-ფერის ანუ თავისუფალი მეურნეობრიობის, კონკურენციის, ვაჭრობის პრინციპი. მეწარმეობის, მზარდი ბურჟუაზიის განვითარებისათვის ამ პრინციპების დანერგვას ყველა ქვეყანაში არსებითი მნიშვნელობა ენიჭებოდა.

ძალზე მნიშვნელოვანია თანამედროვე ეკონომიკაში სწორად შეირჩეს ქვეყნის ეკონომიკური მართვის მოდელი. სწორად განისაზღვროს ქვეყნის ეკონომიკური პოლიტიკა. რომელიც შეუძლებელია თანამედროვე ეკონომიკური თეორიების შესწავლისა და თავისებურებების გათვალისწინების გარეშე. ნებისმიერმა მეცნიერულმა კვლევამ გვერდი არ უნდა აუაროს საკითხის მეცნიერულად გადაწყვეტას. სწორედ ამ მეცნიერულ თეორიულად დასაბუთებული კვლევების შედეგად შესაძლოა გაკეთდეს შესაბამისი ანალიზი, განისაზღვროს პროგნოზები, ინდიკატორები და თუნდაც ქვეყნის ეკონომიკური სტრატეგია. სწორედ ამ მიზნით, ნაშრომში განხილულია თანამედროვე ეკონომიკური თეორიების ხასიათი, მათ შორის კეინსური, ნეოკეინსური, მონეტარიზმის, ინსტიტუციურ-სოციოლოგიური და სხვა კონცეფციების თავისებურებანი. მიგვაჩნია, თუ არ იქნება სწორედ შერჩეული თუ რომელი ეკონომიკური ან შერეული თეორია უნდა დაედოს საფუძვლად ამა თუ იმ ეკონომიკური მოდელის გამოყენებას ქვეყნის მართვაში, ძალზე გაჭირდება ქვეყნის მართვა. ნაშრომში ასევე განხილულია ის წინააღმდეგობე-

3. Всемирная история экономической мысли. М., 1987, т.1,

ბი, რომლებიც ტრადიციულად ხელს უშლის ყველა ქვეყნის განვითარებას, როგორიცაა ჩრდილოვანი ეკონომიკა.

ნაშრომში განხილულია ასევე პანდემიის გავლენა საქართველოს სატრანსპორტო-ენერგეტიკულ დერეფანზე. ცნობილია, რომ თავად ეკონომიკური გლობალიზაცია უმნიშვნელოვანეს გავლენას ახდენს ქვეყნების ეკონომიკური ურთიერთობების მთელ კომპლექსზე და მათ შორის სატრანსპორტო-ენერგეტიკული დერეფნების განვითარებაზე. თუმცა, ეს გავლენები განსხვავებულია რეგიონებისა და ქვეყნების გეოგრაფიულ-სივრცითი მდებარეობის მიხედვით. თუმცა, კორონავირუსის „კოვიდ19"-ის გავრცელების თითქმის ნახევარწლიანმა პროცესმა გვიჩვენა, რომ საქართველოში „ევროკავშირის სამხრეთის გაზის დერეფნის" პროექტების სრულფასოვან რეალიზაციას, პირდაპირი სამხედრო ან „რბილი" ჩარევის გვერდით, „კოვიდ19"-ის პანდემიაც შეუშლის ხელს.

რესურსების სიმწირე: მზარდი შიში სასიცოცხლო მნიშვნელობის ნედლეულისა და წყლის დეფიციტის თაობაზე. იგივე ეხება სახნავ-სათეს სავარგულებს, რადგანაც ბამბაზე, მარცვლეულზე და სხვა კულტურებზე მოთხოვნა იზრდება.

ტექნოლოგიური განვითარება: ახალი ტექნოლოგიები, ინტერნეტი, მოცულობითი მონაცემების დამუშავების ინსტრუმენტები საშუალებას იძლევა, რომ შემუშავებული და დანერგილი იქნას ახალი, ცირკულარული ეკონომიკის ბიზნეს მოდელები, რომლებიც ხშირად საზიაროდ გამოყენებას და იჯარას ეფუძნება, თუმცა ხელახალ გამოყენებასა და მოდერნიზაციასაც ითვალისწინებს. ამავდროულად, მწარმოებლურობის, მასალათმცოდნეობის და დამზადების ტექნოლოგიების განვითარებასთან ერთად ვითარდება დიზაინის შესაძლებლობებიც, მაგალითად: 3D ბეჭდვა და ხელოვნური ინტელექტი.

- სოციალურ-ეკონომიკური განვითარება: ამჟამად მსოფლიოს მოსახლეობის დაახლოებით ნახევარი ქალაქებში ბინადრობს, ხოლო 2030 წლისათვის ათი ადამიანიდან ექვსი ქალაქად იცხოვრებს.
- მზარდი ურბანიზაცია ცირკულარული მოდელების განვითარებას უწყობს ხელს.
- ურბანულ ტერიტორიებზე შესაძლებელია ნაწარმის, მასა-

ლებისა და სხვა რესურსების შეგროვებისა და დაბრუნების ხარჯთეფექტური სისტემების შექმნა, რაც ხელს შეუწყობს ნრიული ციკლის შეკვრას, ასევე აქტივებით საზიარო სარგებლობის სქემების და პროდუქტის ხელახალი გამოყენების სისტემების ჩამოყალიბებას.

ძალიან მნიშვნელოვანია გაუდაბნოების/მიწების დეგრადაციის წინააღმდეგ ბრძოლა. რომლის ასპექტებიც მოიცავენ როგორც უშუალოდ გაუდაბნოების/ მიწების დეგრადაციის და გვალვის უარყოფითი ზეგავლენის შედეგების შემცირების, ასევე მიწების რესურსების მდგრადი მართვის (მიწათსარგებლობის, მიწათმფლობელობის, წყლის რესურსების ინტეგრირებული მართვის, დაცული ტერიტორიების მართვის, სოფლის მეურნეობის, კლიმატის ცვლილების ადაპტაციის ხელშემწყობი პრაქტიკა და სხვა) საკითხებს.

საქართველოსათვის გაუდაბნოება/მიწის დეგრადაცია არა მარტო ეკოლოგიური, არამედ სოციალური და ეკონომიკური პრობლემაცაა. გადაჭარბებული ძოვება, ტყის ფართობების შემცირება, არამდგრადი სასოფლო-სამეურნეო პრაქტიკა და ტერიტორიების არარაციონალური ათვისება ურბანული განვითარების მიზნით მიწის დეგრადაციის გამომწვევი მთავარი ფაქტორებია.

გაუდაბნოების / მიწის დეგრადაციის პროცესი გამოწვეულია როგორც ბუნებრივი, ისე ანთროპოგენური ფაქტორების ზემოქმედების შედეგად. ბუნებრივი ფაქტორებიდან უმთავრესია: კლიმატური, ჰიდროგეოლოგიური, მორფოდინამიკური, ნიადაგური და სხვა. ბუნებრივ გარემოზე ანთროპოგენური ზემოქმედების მხრივ მნიშვნელოვანია სოფლის მეურნეობა, სამთომოპოვებითი სამუშაოები, ურბანიზაცია და სხვა.

როგორც ცნობილია, საქართველოში ნარჩენების მართვის საკანონმდებლო ბაზა ძირითადად შემუშავებულია (ამ მიმართულებით კვლავაც გრძელდება მუშაობა). 2015 წლის 15 იანვრიდან ძალაში შევიდა საქართველოს კანონი „ნარჩენების მართვის კოდექსი", რომელიც ეფუძნება საქართველო-ევროკავშირს შორის გაფორმებული ასოცირების შესახებ შეთანხმებით გათვალისწინებულ დირექტივებისა და რეგულაციების მოთხოვნებს, ასევე საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკას. კოდექსი ეფუძნება ნარჩენების მართვის იერარქიას (პრევენცია; ხელახალი გამოყენებისთვის მომზადება; რეციკ-

ლირება; სხვა სახის აღდგენა, მათ შორის ენერგიის აღდგენა და განთავსება) და ნარჩენების მართვის ძირითად პრინციპებს („დამბინძურებელი იხდის პრინციპი", „სიახლოვის პრინციპი", „უსაფრთხოების წინასწარი ზომების მიღების პრინციპი", „თვითუზრუნველყოფის პრინციპი").

კანონით განსაზღვრულია ნარჩენების მართვის სფეროში ჩართული სახელმწიფო ორგანოების კომპეტენციები და ზოგადი ვალდებულებები, რომლებიც 2015 წლამდე საქართველოში საკანონმდებლო დონეზე ზუსტად არ იყო განსაზღვრული. კოდექსი ითვალისწინებს ეტაპობრივად სახიფათო, არასახიფათო და ინერტული ნარჩენების შეგროვებისა და დამუშავების თანამედროვე სისტემების დანერგვას, მათ შორის უკონტროლო და არასანიტარული ნაგავსაყრელების ეტაპობრივ დახურვას, თანამედროვე რეგიონული სანიტარული ნაგავსაყრელების მოწყობას, ნარჩენების გადამუშავების (რეციკლირების და ენერგიის აღდგენის) თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვას, „მწარმოებლის გაფართოებული ვალდებულების" დანერგვას, სანებართვო და სარეგისტრაციო საქმიანობებს, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევებს და სხვ.

კოდექსიდან გამომდინარე მიღებულია 12 ტექნიკური რეგლამენტი რაც თქვენი კვლევის ანგარიშშიც არის მოყვანილი. ამ ეტაპზე შემუშავებულია 6 ტექნიკური რეგლამენტის პროექტი, რომლებიც მიზნად ისახავენ საქართველოში მწარმოებლის გაფართოებული ვალდებულების დანერგვას. აქედან 4 პროექტი მიღებულია საქართველოს მთავრობის მიერ, ხოლო 2 პროექტი უახლოეს პერიოდში განიხილება. შემუშავების პროცესშია „ბიოდეგრადირებადი ნარჩენების მართვის" სტრატეგია.

კოდექსიდან გამომდინარე, ნარჩენების მართვის თანამედროვე სისტემის შექმნისა და დანერგვის მიზნით, 2016 წლის 1 აპრილის საქართველოს მთავრობის №160 დადგენილებით დამტკიცებული იქნა ნარჩენების მართვის ეროვნული სტრატეგია (2016-2030) და ნარჩენების მართვის ეროვნული სამოქმედო გეგმა (2016-2020). სტრატეგია ეფუძნება საქართველო-ევროკავშირის ასოცირების შეთანხმების მოთხოვნებსა და ნარჩენების მართვასთან დაკავშირებულ საერთაშორისო პრინციპებს.

სტრატეგიაში განსაზღვრულია ქვეყნის სტრატეგიული ხედვა,

ძირითადი მიზნები და ამოცანები 2016-2030 წლებისთვის. ნარჩენების პრევენცია და რეციკლირება წარმოადგენს საქართველოს ხედვას გრძელვადიან პერსპექტივაში.

საქართველოში ნარჩენების მართვის სფეროში არსებული გამოწვევებისა და საერთაშორისო მოთხოვნების გათვალისწინებით, სტრატეგიაში გამოყოფილია ცხრა ძირითადი მიმართულება, რომელიც განსაკუთრებულ ყურადღებას საჭიროებს ნარჩენების მართვის სექტორის გამართულად ფუნქციონირებისთვის. მიმართულებების განსაზღვრა მოხდა ძირითად დაინტერესებულ მხარეებთან, ნარჩენების მართვის საკითხებში ჩართულ ორგანიზაციებთან, ექსპერტებთან აქტიური კონსულტაციების საფუძველზე. ეს მიმართულებებია:

- ევროკავშირის მოთხოვნებისა და საერთაშორისო კონვენციების შესაბამისი ნარჩენების მართვის კანონმდებლობის შემუშავება, განხორციელება და აღსრულება;
- ნარჩენების მართვის დაგეგმვის სისტემის ჩამოყალიბება და დანერგვა ეროვნულ და ადგილობრივ დონეებზე;
- ნარჩენების შეგროვებისა და ტრანსპორტირების ეფექტიანი სისტემის ჩამოყალიბება და დანერგვა;
- ნარჩენების ადამიანის ჯანმრთელობისა და გარემოსათვის უსაფრთხო განთავსების უზრუნველყოფა;
- ნარჩენების პრევენცია, ხელახალი გამოყენება, რეციკლირება ან/და აღდგენა;
- ნარჩენების მართვის სრული ხარჯების სრული ამოღება „დამბინძურებელი იხდის" პრინციპის შესაბამისად;
- მწარმოებლის გაფართოებული ვალდებულების ხელშეწყობა და დანერგვა;
- ნარჩენების შესახებ მონაცემებისა და ინფორმაციის მართვის სისტემის ჩამოყალიბება და დანერგვა;
- საჯარო სექტორის შესაძლებლობათა გაძლიერება ეროვნულ და ადგილობრივ დონეებზე; ასევე, კერძო კომპანიების შესაძლებლობათა გაძლიერების ხელშეწყობა და საზოგადოების ცნობიერების ამაღლება.

სტრატეგიაში მოცემულია ნარჩენების მართვის კუთხით არსებული სიტუაციის შეფასება, იდენტიფიცირებულია გამოწვევები,

შესაბამისად განსაზღვრულია მიზნები და პრობლემების გადაჭრის გზები. თითოეული ამოცანისათვის განსაზღვრულია ვადა და შესაბამისი ინდიკატორები. ასევე წარმოდგენილია სტრატეგიის განხორციელებით მიღებული მოსალოდნელი დადებითი შედეგები.

საქართველოს ნარჩენების მართვის პირველ 5 წლიან ეროვნულ სამოქმედო გეგმაში მოცემულია საქართველოს ნარჩენების მართვის ეროვნული სტრატეგიით განსაზღვრული მიზნებისა და ამოცანების შესრულებისათვის საჭირო ღონისძიებები, შესრულების ვადების, პასუხისმგებელი სახელმწიფო სტრუქტურების, სავარაუდო ხარჯებისა და პოტენციური დაფინანსების წყაროს მითითებით. ამ ეტაპისათვის მიმდინარეობს მუშაობა გეგმის განახლებაზე 2021-2026 წლებისათვის.

მთელი მსოფლიოს მთავარი პრობლემასა რესურსების დღევანდელი და მოსალოდნელი დეფიციტი. მუსირებს ისეთი მიდგომა, რომ რესურსი უსასრულოა.

- მსოფლიოში მოპოვებული ნედლეულის 20 პროცენტი ნარჩენებში ხვდება
- ევროკავშირში ლითონის ნედლეულის 90 პროცენტი იმპორტირებულია
- 27 სახეობის ნედლეული დეფიციტურად ითვლება
- ფასის ცვალებადობა
- მოსახლეობა ათ წელიწადში 500 – 750 მილიონით იზრდება
- 2015 – 2050 წლებში ნედლეულის მოხმარება გაორმაგდება

ცირკულარული ეკონომიკის შესახებ ევროკავშირის პოლიტიკას ევროკავშირის ეკონომიკა მიჰყავს ისეთი ეკონომიკური სისტემისკენ, რომელშიც: ბუნებრივი რესურსების ყველაზე ეფექტიანად მოხმარება, მასალებისა და პროდუქციის ღირებულება შენარჩუნებულია მათი წრებრუნვით მოხმარების გზით, ხოლო ეკონომიკური საქმიანობის მავნე ზემოქმედება გარემოსა და ადამიანის ჯანმრთელობაზე შემცირებულია. ევროკავშირი ცირკულარულ ეკონომიკას განიხილავს შესაძლებლობად: მუდმივად ჰქონდეს წვდომა სასიცოცხლო რესურსებზე, შეინარჩუნოს გლობალურ კონკურენტუნარიანობა და უზრუნველყოს მაღალი ხარისხის გარემო როგორც ევროპაში, ასევე მსოფლიოში. ცირკულარული ეკონომიკის მიდგომების გამოყენებით შესაძლებელია: სამრეწველო ნარჩენების შეკვე-

ცა, საშიში ნივთიერებების წარმოებისა და მათი ზემოქმედების შემცირება, ასევე კლიმატური ცვლილებების შერბილებაში წვლილის შეტანა. აღწევს რა ეკონომიკისა და გარემოს ნამდვილ სიმბიოზს, ცირკულარული ეკონომიკა არის გზა, რომელიც გაეროს მდგრადი განვითარების მიზნების გარკვეული ნაწილის მიღწევის საშუალებას იძლევა.

მსოფლიოს ყველაზე განვითარებული ქვეყნებიც კი ცირკულარულ ეკონომიკაზე გადასვლის ძალიან ადრეულ ეტაპზე იმყოფებიან. ეკონომიკური სუბიექტების საქმიანობაზე გავლენას ახდენს სისტემები, რომლებიც შემუშავებულია წარმოებისა და მოხმარების გაბატონებული, წრფივი სქემებისთვის. რეგულაციები, ბაზრები, საინვესტიციო ინსტრუმენტები და პრაქტიკა, მათ შორის ფინანსური რისკის შეფასება წრფივ მოდელებზეა მორგებული, ხოლო წრფივ ბიზნესმოდელებთან დაკავშირებული გარეშე ფაქტორები გათვალისწინებული არაა. გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებისათვის არსებითია განვითარების წინა ხაზზე დგომა და განვითარების მომდევნო საფეხურზე გადახტომა, რასაც მდგრადობის დღის წესრიგის მნიშვნელოვნად დაჩქარების შესაძლებლობა გააჩნია.

ნაშრომში განხილულია ცირკულარულ ეკონომიკაზე გადასვლის დაჩქარება და წრფივი ეკონომიკიდან ცირკუალარულ ეკონომიკაზე გადასვლა.

თავი I

ეკონომიკური განვითარების ახალი სტრატეგია და წინააღმდეგობები

1.1. ეკონომიკური განვითარების ფორმულა: თვითგანვითარების პრაქტიკული სტრატეგია

საქართველოს ისტორია ანუ დასაბამიდან დღემდე განვითარების დინამიკური სურათის შესწავლა გვიჩვენებს, რომ ყოველ ახალ ათასწლეულს იგი უფრო ძლიერი, ისტორიული გამოწვევებისადმი მზადყოფნის უფრო მაღალი დონით ხვდებოდა. მესამე ათასწლეულის დასაწყისში სხვა ვითარებაა. მსოფლიო განვითარების ხასიათიც პრინციპულად იცვლება. ახალი ათასწლეულისათვის დამახასიათებელი ხდება გლობალიზაცია. პროგრესის მთავარ ფაქტორად ინფორმაციის გადაცემა, ადამიანისა და ხელოვნური ინტელექტის თანაარსებობა, ინტელექტუალური ომები, გეოეკონომიკური და გეოინფორმაციული სტრატეგიები. კარდინალურად იცვლება საზღვრების არსი. ქვეყნების სტრუქტურა სხვადასხვა სირვცედ ყალიბდება. ძლიერდება სხვადასხვა ქვეყნის სივრცეების ურთიერთზედდება. ასეთ პირობებში წინ წამოიწია მდგრადი და უსაფრთხო განვითარების აუცილებლობამ. საქართველო აგვიანებს აღნიშნული ტენდენციების შესაბამისი სტრუქტურული გარდაქმნების განხორციელებას, აგებს ინტელექტუალურ კონკურენციაში, რაც მის სახელმწიფოებრივ, ეკონომიკურ და კულტურულ არსებობას დიდ საფრთხეს უქმნის.

აუცილებელია თვითგანვითარების პრაქტიკული სტრატეგიის შემუშავება და რეალიზაცია. ასეთი სტრატეგიის არსია ინტელექტუალური, ინსტიტუციური, სტრუქტურული და ეკონომიკური მო-

დერნიზაციის განხორციელება. ეს უკანასკნელი კი შესაძლებელია მხოლოდ ამჟამად არსებული კრიზისის სწრაფი დაძლევის, მდგრად განვითარებაზე გადასვლის, ნეოეკონომიკის ჩამოყალიბების, ევროპის კავშირში საქართველოს გაწევრიანების პროგრამების განხორციელებით. ახალმა სტრატეგიამ უნდა უზრუნველყოს საქართველოს განვითარება XXI საუკუნისა და მესამე ათასწლეულის გამოწვევების საპასუხოდ.

ახალი ათასწლეულისა და ოცდამეერთე საუკუნის დასაწყისში საქართველო და კაცობრიობა უდიდესი ისტორიული ტრანსფორმაციების მოწმეა. ასეთ ვითარებაში ფრიად საშურია განისაზღვროს საქართველოს განვითარების ერთიანი კონცეპტუალური ხედვა, მისი ადგილი თანამედროვე მსოფლიოში, ბუნებრივი, მატერიალური, სოციალურ-გენეტიკური პოტენციალი სადღეისო და სამომავლო პრობლემების გადაჭრისათვის.

ეს ურთულესი ამოცანაა. იგი მოითხოვს საქართველოს ისტორიული განვითარების უწყვეტ და სისტემატურ პროცესად დანახვას ცივილიზაციის პროგრესის ფონზე, ანუ მისი დინამიკური სურათის ძირითადი თავისებურებების წარმოჩენას დასაბამიდან დღემდე; საქართველოს ფასეულობის განსაზღვრას საკაცობრიო ფასეულობების თვალსაზრისით, როგორ შევაბიჯდთ ახალ ათასწლეულში და როგორი პერსპექტივებია მომავლისათვის; დისციპლინათშორის კვლევას, განვითარების ზოგადი თეორიის მიღწევების გამოყენებას მოკლევადიანი და გრძელვადიანი სოციალურ-ეკონომიკური სტრატეგიის პრაქტიკული საკითხების წამოწევისა და გადაჭრისათვის; გლობალიზაციის მოსალოდნელი შედეგების გათვალისწინებას, რამეთუ თითოეული ქვეყნის განვითარება დღეს, უწინარეს ყოვლისა, ერთიანი მსოფლიო სისტემის განვითარების ტენდენციებით განისაზღვრება.

აღნიშნულის რეალიზაცია, ცხადია, მრავალი სახელმწიფო, საზოგადოებრივი და სამეურნეო ორგანიზაციის ძალისხმევით არის შესაძლებელი. ჩვენი მიზანია, ჯერ ერთი, საქართველოს ერთიანი კონცეპტუალური ხედვისა და განვითარების პრობლემის აქტუალიზაცია, რომელიც დღემდე, სამწუხაროდ, არ არის ინტენსიური დისკუსიის საგანი, მიუხედავად მისი ფუძემდებლური მნიშვნელობისა და მეორე, მასთან დაკავშირებით ჩვენი ძირითადი კონცეპტუალუ-

რი და პრაქტიკული ხასიათის მიდგომების ჩამოყალიბება.

საქართველოს ისტორია მიზანშეწონილია განვიხილოთ განვითარების ინდუსტრიამდელი, ინდუსტრიული და პოსტინდუსტრიული სტადიების მეთოდოლოგიის ფარგლებში კაცობრიობის ისტორიის ფონზე. ინდუსტრიამდელი სტადია მოიცავს შემდეგ ეტაპებს: ნეოლითი (8-7 ათასი წ. ჩვ.წ-მდე), ენეოლითი (III წ. ჩვ.წ-მდე), ანტიკური (VIIIს. ჩვ.წ-მდე – Vს. ჩ.წ-ით) და შუა საუკუნეების (V-XIVს. ჩვ.წ-ით) ეპოქები; ინდუსტრიულის წინა (XIV-XVII ს. ჩვ.წ.-ით). ინდუსტრიული სტადია სამრეწველო რევოლუციის გავრცელებას უკავშირდება და მოიცავს პერიოდს XVIII საუკუნიდან XX საუკუნის 70-იან წლებამდე, რის შემდეგაც თანდათან ყალიბდება პოსტინდუსტრიული ცივილიზაცია.

ინდუსტრიამდელი პერიოდი დაახლოებით 150 საუკუნე გრძელდებოდა და ნელი განვითარებით ხასიათდებოდა. მაგრამ ამ დროს მაინც მოხდა სწორედ ის უმნიშვნელოვანესი ძვრები, რომლებმაც მომდევნო პერიოდში კაცობრიობის შედარებით დაჩქარებული პროგრესი განაპირობეს. ჩამოყალიბდა ადამიანის გენოტიპი თავისი მოტივაციებით, ინტერესებით, შესაძლებლობების რწმენით, საზოგადოებრივი სისტემა ყველა ელემენტით – ოჯახის აღწარმოებით, წარმოების ტექნოლოგიური და ეკონომიკური წესით, სოციალურ-პოლიტიკური ურთიერთობებით, საზოგადოებრივი ცნობიერებებით. გამოიკვეთა ცივილიზაციების, სახელმწიფოების, ხალხების სხვადასხვა სიჩქარეებით განვითარების ტენდენციები. განვითარდნენ მსოფლიო რელიგიები. ეკონომიკური თვალსაზრისით დიდი მნიშვნელობა ჰქონდა მძიმე სახნისის, მრგვალი უღლის გავრცელებას, რამაც მკვეთრად აამაღლა შრომის მწარმოებლურობა სოფლის მეურნეობაში და ქალაქების, ხელოსნობის, ხელოვნების, მეცნიერების განვითარებისათვის მატერიალური საფუძველი შექმნა. ინდუსტრიულისწინა პერიოდმა მოგვცა რენესანსი, დიდი გეოგრაფიული აღმოჩენები, ყველანაირი წანამძღვარი კაპიტალიზმის განვითარებისათვის, ნაციონალური სახელმწიფოები, კოლონიური იმპერიები, უდიდესი აღმოჩენები ასტრონომიაში, მექანიკაში, მათემატიკაში, ფილოსოფიაში, მედიცინაში. მკვეთრად ამაღლდა შრომის მწარმოებლურობა მანუფაქტურის საფუძველზე. ამაღლდა მოსახლეობის ცხოვრების დონე, წინა პლანზე წამოიწია თავისუფალმა შემოქ-

მედმა ადამიანმა, ხოლო ინტელექტუალურმა რევოლუციამ დაასრულა მეცნიერების ჩამოყალიბება, რაც უდიდესი მონაპოვარი იყო კაცობრიობის ისტორიაში.

ინდუსტრიული განვითარების შედეგებიდან მთავარია: პროგრესის დაჩქარება, წარმოების ავტომატიზაცია, რევოლუცია შრომის მწარმოებლურობაში, ცხოვრების მაღალი დონე, კომუნიკაციების, მეცნიერების, ტექნოლოგიების ფართოდ განვითარება. მაგრამ ასეთ განვითარებას თან სდევდა მაღალი სოციალური ფასი, კერძოდ, დამანგრეველი ომები, მილიტარიზაცია, განვითარებული და ჩამორჩენილი ქვეყნების გამოყოფა, სიღარიბის ზრდა, საზოგადოების დეჰუმანიზაცია, ეკოლოგიური კატასტროფის გაღრმავება, ოჯახის მნიშვნელობის დაცემა. ინდუსტრიული ტალღის ეპიცენტრებად მოგვევლინენ თავდაპირველად ჰოლანდია, ინგლისი, ბელგია, შემდეგ აშშ, გერმანია, საფრანგეთი, იაპონია.

პოსტინდუსტრიული სტადია პრინციპულად განსხვავდება ადრინდელი სტადიებისაგან. იწყება სრულიად ახალი სუპერციკლი კაცობრიობის ისტორიაში, რომლის ძირითადი თავისებურებანი გამოკვეთილია: არამექანიკური, ინფორმაციული, ბიოლოგიური და ნანოტექნოლოგიების გაბატონება; განახლებადი რესურსების უპირატეს გამოყენებაზე გადასვლა; ცოდნის, ინფორმაციის განვითარების მთავარ ფაქტორად გადაქცევა; წარმოებისა და მოხმარების მინიატიურიზაცია; ადამიანისა და ხელოვნური ინტელექტის თანაარსებობა; გლობალიზაცია რეგიონალიზაციის მეშვეობით; სამუშაო ადგილისა და საცხოვრებელი ადგილის, სამუშაო დროისა და თავისუფალი დროის შერწყმა; დემოკრატიის, თანასწორობის, სამართლიანობის გაბატონება ზესახელმწიფოებრივი მართვის პირობებში, რადგანაც სხვა შემთხვევაში ქაოსური, სეპარატიზებული, ტერორისტული მოვლენები გაძლიერდება. ამჟამად პოსტინდუსტრიული განვითარების ეპიცენტრებია აშშ, იაპონია, გერმანია, დიდი ბრიტანეთი, საფრანგეთი, იტალია, ევროპის მცირე განვითარებული ქვეყნები, მომავალში – ჩინეთი, ინდოეთი, ბრაზილია, თურქეთი, ირანი, რუსეთი, თუ ეს უკანასკნელი დაშლას გადაურჩება.

ამგვარად, მსოფლიოს დინამიკური ისტორიის შესწავლა გვიჩვენებს, რომ ცივილიზაციების ნაკადი ფართოვდება, ისინი სულ უფრო ამდიდრებენ ერთმანეთს და ურთიერთს განაპირობებენ. ამას-

თან ჩამოყალიბდა განვითარებული, საშუალოდ განვითარებული და ჩამორჩენილი ქვეყნების ჯგუფები. სხვაობა მდიდარ და ღარიბ ქვეყნებს შორის იზრდება. ქვეყნები, რომლებიც ვერ პასუხობენ პოსტინდუსტიული განვითარების მოთხოვნებს, ქრონიკულად ჩამორჩენილთა ჯგუფში ხვდება.

როგორია ამ ფონზე საქართველოს ისტორია და მისგან გამომდინარე დასკვნები? საქართველო ცივილიზაციის ერთ-ერთი უძველესი აკვანია. ამას დმანისის ადამიანი ადასტურებს, რომელიც აქ მილიონნახევარი წლის უკან ბინადრობდა. ნეოლითურ და ენეოლითურ ეპოქებში საქართველოში მსხვილი ეთნოკულტურული გაერთიანებანი აღმოცენდნენ. მტკვარ-არაქსის (IV-III ათასწლეული ს.წ.-მდე) და თრიალეთის კულტურა (III ათასწლეული. ჩ.წ.-იდნ), რომელმაც ჩრდილოეთ კავკასია, აღმოსავლეთ ანატოლია და ჩრდილო-აღმოსავლეთ ირანი მოიცვა, უტოლდებოდა იმდროინდელ ცივილიზაციებს განვითარების დონით. ამ კულტურის ტომებმა უდიდესი წვლილი შეიტანეს კავკასიის და წინა აზიის ცივილიზაციების განვითარებაში. ქართულ მეტალურგიას, ხორბლის წარმოებას, მევენახეობა-მეღვინეობის უდიდესი წვლილი მიუძღვის საერთოდ ცივილიზაციური განვითარებისათვის.

ჩ.წ.-მდე მეორე ათასწლეულის მეორე ნახევარში წარმოიშვნენ პირველი უბძლიერესი ქართული სახელმწიფოები – დიაოხი (ტაო) და კოლხა. პირველ ათასწლეულს ჩ.წ.-მდე ქართული ცივილიზაცია შეხვდა ძლიერი სახელმწიფოებით, მეურნეობით და კულტურით. ტერიტორიულად იგი მოიცავდა სივრცეს ალბანეთიდან ჯიქეთამდე, სამხრეთით – თითქმის ტრაპეზენტამდე, თუმცა მის დასავლეთ და სამხრეთ ტერიტორიაზე ქართველური ტომები – ჭანები, და ხალიბები ცხოვრობდნენ. ჩრდილოეთიდან ქიმერიელების შემოსევის (VIII ს. ჩ.წ-მდე) შემდეგ ქართული სახელმწიფოები დასუსტდნენ, მაგრამ ანტიკურ პერიოდში საქართველო მაინც განვითარებული ქვეყანა იყო. კოლხეთში იჭრებოდა საკუთარი მონეტა, მრავალმხრივი ურთიერთობები იყო ხეთურ-ხუსიტურ-ურარტულ-ელინურ-სპარსულ სამყაროსთან. მეოთხე საუკუნის ბოლოს ფარნავაზი ქმნის იბერიის ერთიან სახელმწიფოს აღმოსავლეთ საქართველოში, რომელიც მოიცავდა სამხრეთ საქართველოს, ჯავახეთს, სამცხეს, კლარჯეთს, ტაოს, არგვეთს, აჭარას. 1-3 ს. ჩ.წ.-ით იბერია ხდება

ერთ-ერთი უძლიერესი სახელმწიფო რეგიონში. ფარსმან მეორის (130-150 წ. ჩ.წ-ით) ცხენზე ამხედრებული მონუმენტი რომში იდგმება. მეოთხე საუკუნიდან ძლიერდება ლაზების სამეფო, ეგრისი, დედაქალაქით არხეოპოლისი, ანუ ნოქალაქევი, რომელიც ლეგენდარულმა ქუჯიმ დააარსა მესამე ს. დასაწყისში ჩ.წ-მდე.

მომდევნო საუკუნეებში იბერია და ეგრისი განუწყვეტლივ იბრძოდა ირანელ, არაბ და ბიზანტიელ დამპყრობლებთან. ამ პერიოდის ძირითადი შედეგია ერთიანი ქართული სახელმწიფოს ჩამოყალიბება ჯერ ვახტანგ გორგასლის მიერ V ს. მეორე ნახევარში, შემდეგ ბაგრატ III ბაგრატიონის მიერ 978 წ. ასეთი შედეგი გამოწვეული იყო ეროვნული ერთიანობისაკენ სწრაფვით, ქართველის ეროვნული და სოციალურ-პოლიტიკური გენოტიპის ჩამოყალიბებით, ყველა ქართველური ტომის – მეგრელების, ლაზების, აფხაზების, სვანების, ქართების, ჭანების ნებით ერთიან სამშობლოდ „საქართველოს“ აღიარებისათვის, რაბდგანაც ქართები რაოდენობით და დაკავებული ტერიტორიით გაცილებით ჭარბობდნენ სხვებს, ხოლო ქართული ენა აღიარებული იყო როგორც საყოველთაო ურთიერთობისა და ღვთის მსახურების ენა. თუმცა მეორე ათასწლეულს ერთიანი ქართული სახელმწიფო შეხვდა ჭანების, ლაზების ნაწილის, მოსინიკების, ხალიბების გარეშე. ისინი დასახლებული იყვნენ სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში, აღმოსავლეთ ანატოლიის ჩრდილოეთ ნაწილში.

ყველაზე უფრო მაღალ განვითარებულობას საქართველომ XI-XII სს., დავით აღმაშენებლისა და თამარ მეფეს დროს მიაღწია. მისი სახელმწიფოებრივ-პოლიტიკური სიძლიერე განპირობებული იყო ქვეყნის ჭეშმარიტი ლიდერების სწორი სტრატეგიით, ეკონომიკური და კულტურული უპირატესობებით სხვა სახელმწიფოებთან შედარებით. არ შეიძლება არ დავეთანხმოთ აკადემიკოს ნ. ჭითანავას უძლიერეს კონცეფციას დავით აღმაშენებლის სტრატეგიის თანამედროვე და მომავლის საქართველოს განვითარებისათვის გამოყენების შესახებ. მისი არსია საქართველოს პოლიტიკური და ეკონომიკური აღმავლობისათვის ძლიერი სახელმწიფო სტრუქტურების უზრუნველყოფა პრეზიდენტისა თუ ვიცე-პრეზიდენტის ინსტიტუტების ერთიანი ფუნქციონირებით. დავით აღმაშენებელმა გააერთიანა ჭყონდიდელისა და მწიგნობართუხუცესის თანამდებობები.

სახელმწიფოს პირველი ვაზირის სახით, რომელიც ერთდროულად სახელმწიფო ადმინისტრაციის და დასავლეთ საქართველოს მღვდელმთავარი იყო. ამ პერიოდში თანდათან ჩამოყალიბდა ქართული რენესანსი (შოთა რუსთაველი, იოანე პეტრიწი, ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლები, გელათის, ფაზისის, იყალთოს აკადემიები, ათონის, ჯვრის, პეტრიწონის მონასტრები), რომელიც წინ უსწრებდა დასავლეთ ევროპულ რენესანსს. ფუნქციონირებდა ძლიერი ეკონომიკა, საქართველოს ინტენსიური სავაჭრო ურთიერთობები ჰქონდა ბიზანტიასთან, ირანთან, ინდოეთთან, ჩინეთთან. მოქმედებდა დიდი აბრეშუმის გზა საქართველოს გავლით. მაღალ დონეზე იყო ფულადი მეურნეობა. მიმოქცევაში იყო ოქროს, ვერცხლისა და სპილენძის მონეტები. მეურნეობრივი წინსვლა ემყარებოდა მნიშვნელოვან ტექნიკურ პროგრესს. მძიმე გუთანს, რომელიც ევროპაში გაცილებით უფრო გვიან გავრცელდა, 8-12 ხარი ეწეოდა. მრავალრიცხოვანი არხები და წყალსადენები მაღალი ჰიდროტექნიკის გამოყენების საფუძველზე ფუნქციონირებდნენ. ქართული სახელმწიფო გადაჭიმული იყო ნიკოფსიიდან დარუბანდამდე, ოსეთიდან არაგაცამდე. თამარის მეფობისას შეიქმნა ტრაპეზენტის სახელმწიფო, რომლის მოსახლეობის უმრავლესობა ქართველური იყო. საქართველოს სიძლიერე იმითაც ჩანს, რომ 1210წ. ქართველთა ლაშქარმა აიღო ირანის უდიდესი ქალაქები – თავრიზი და სხვა. ამგვარად, მეორე ათასწლეულის დასაწყისში საქართველომ ფრიად მნიშვნელოვანი ისტორიული მისია შეასრულა: შექმნა ერთიანი ძლიერი ქართული სახელმწიფო, რომელმაც უდიდესი როლი შეასრულა თურქ-სელჯუკთა ექსპანსიის შეჩერებაში, ჯვაროსნული ომებისათვის ხელშეწყობაში, ქრისტიანული სამყაროს გაძლიერებაში რომისა და ბიზანტიის ფონზე. მაგრამ არანაკლებ მნიშვნელოვანია საქართველოს წვლილი კაცობრიობის სულიერ საგანძურში, რაც ბრწყინვალე ქართული რენესანსით აისახება.

მომდევნო პერიოდში, გიორგი ბრწყინვალის ორმოცდაათწლიანი მეფობის გამოკლებით, საქართველო თანდათან უკიდურესად სუსტდება აგრესიული და უკულტურო ქვეყნების შემოსევების შედეგად, იშლება ცალკეულ სამეფოებად და სამთავროებად, რომლებიც ჯერ მონღოლებს, შემდეგ ირანსა და თურქეთს ექვემდებარებიან. ევროპული რენესანსის, დიდი გეოგრაფიული აღმოჩენების, რე-

ფორმაციის, კაპიტალიზმის დაჩქარებული განვითარების პერიოდში საქართველო დამყრობელთა გამანადგურებელი შემოსევების შედეგად ეკონომიკურად და კულტურულად დაძაბუნდა.

XIX ს-დან საქართველო ჯერ რუსეთის იმპერიის, შემდეგ კი საბჭოთა კავშირის შემადგენლობაშია. მართალია, მას ამ დროს დაკარგული აქვს პოლიტიკური დამოუკიდებლობა, კარგავს დიდ ტერიტორიებს თურქეთის, სომხეთის, აზერბაიჯანის, რუსეთის სასარგებლოდ (ბელაქანის, ზაქათალას, ართვინის, არდაგანის, ლორეს, სოჭის, ბალთას ტერიტორიები, ოლქები), მაგრამ მაინც იგი ყალიბდება განვითარებულ ინდუსტრიულ-აგრარულ ქვეყნად საკმაოდ მაღალი საგანმანათლებლო, მეცნიერულ-ტექნოლოგიური და კულტურული პოტენციალით. მათემატიკის, მექანიკის, ფიზიოლოგიის, ფიზიკის, გეოლოგიის, ენათმეცნიერების ქართული სკოლების, ქართული მწერლობის, თეატრის, სიმღერის, ცეკვითი ხელოვნების, სპორტის წვლილი მსოფლიო საგანძურში ფრიად ფასეულია. საბჭოთა პერიოდშიც საქართველოს ჰყავდა მრავალი გამორჩეული მოღვაწე, რომლებმაც უდიდესი ზემოქმედება მოახდინეს ცივილიზაციის განვითარებაზე საერთოდ, ან ცალკეული სფეროს განვითარებაზე (ი. ჭავჭავაძე, ი. სტალინი, ლ. ბერია, ი. ჯავახიშვილი, ნ. მუსხელიშვილი, ნ. ვეკუა, ა. ჩიქობავა, ა. შანიძე, გ. ჩიტაია, თ. გამყრელიძე, დ. უზნაძე და ა.შ.). ამავე დროს საქართველოს მეურნეობა აქტიურად მონაწილეობდა შრომის საერთაშორისო დანაწილებაში, დაწყებული ქართული ღვინოებით, შამპანურით, კონიაკით, ჩაით, ციტრუსებით და დამთავრებული მარგანეცით, ფეროშენადნობებით, მეტალურგიული და ქიმიური ნაწარმით, ხელსაწყოებით, მცირე სიმძლავრის ძრავებით, ტუმბოებით, თვითმფრინავებით, ავტომობილებით, ჩარხებით, ელმავლებით. თუმცა ამასთან ერთად ცხოვრების დონითა და წარმოების ეფექტიანობით საქართველო განვითარებულ დასავლეთს დაახლოებით 6-10-ჯერ ჩამორჩებოდა.

განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობისაა XX-XXI საუკუნეების მიჯნაზე მიმდინარე ტრანსფორმაცია. ერთი მხრივ, საქართველომ უკვე მოიპოვა პოლიტიკური დამოუკიდებლობა, დაიწყო დემოკრატიული, სამოქალაქო საზოგადოების მშენებლობა, ძირითადად გადავიდა საბაზრო ურთიერთობებზე, მაგრამ, მეორე მხრივ, ამ პროგრესული გარდაქმნების ფასი აღმოჩნდა ძალიან მაღალი – სა-

ქართველომ განვითარების დონის მიხედვით გადაინაცვლა ჩამორჩენილი ქვეყნების ჯგუფში უდიდესი საგარეო და საშინაო ვალის და უმწვავესი ფინანსური კრიზისის პირობებში.

საქართველოს ისტორიის ანალიზი საშუალებას გვაძლევს დავასკვნათ შემდეგი: ადრე ათასწლეულების დასაწყისს საქართველო ყოველთვის აღმავლობით ხვდებოდა. აღმავლობის ტენდენცია ყველა სფეროში მინიმუმ ორი საუკუნე მაინც გრძელდებოდა. თავისი ისტორიის მანძილზე მას ხშირად ჰქონია ძნელბედობის ჟამი, როდესაც მისი ფიზიკური არსებობა საეჭვო იყო. მაგრამ მას ყოველთვის აღმოაჩნდებოდა ხოლმე სახელმწიფოებრივი, პოლიტიკური, ეკონომიკური, სულიერი უნარი იმისათვის, რომ ძალები მოეკრიბა და გაეძლო ისტორიული გამოწვევებისათვის. მესამე ათასწლეულს საქართველო ხვდება ტაქტიკურად და სტატეგიულად მოუმზადებელი, იმ გამოწვევებში გაუთვითცნობიერებული, რომლებიც დაკავშირებულია ქვეყნის მძიმე პოლიტიკურ და სოციალ-ეკონომიკურ ვითარებასთან, მეცნიერულ-ტექნოლოგიურ რევოლუციასთან, საყოველთაო გლობალიზაციის პროცესთან.

როგორია საქართველოს მზადყოფნა უპასუხოს ისტორიულ გამოწვევებს კონკრეტულად. უნდა განისაზღვროს, დამოუკიდებლობა, დემოკრატიისა და საბაზრო მეურნეობის ჩამოყალიბების დაწყება ამისათვის კარგ საფუძველს იძლევა. მაგრამ შესაძლებლობების რეალიზაცია შიდა და საერთაშორისო პირობებზეა დამოკიდებული. 90-იანი წლების ნგრევა, ხელისუფლების უუნაროობა დროულად გადაჭრას განვითარებისათვის უმნიშვნელოვანესი პრობლემები, შეიმუშაოს მისი ეფექტიანი სტრატეგია სწორედ ამაზე მიუთითებს. ჩამოყალიბდნენ რეალური მუქარები, რომლებიც საფრთხეს უქმნიან ქვეყნის მომავალს. მათგან განსაკუთრებით დამაფიქრებელია საქართველოს ქრონიკულად ჩამორჩენილ ქვეყნად დარჩენა, რომელიც სახელმწიფოებრივი ერთიანობის დაკარგვის ტოლფასია, რადგანაც დღეს ნებისმიერი სახელმწიფოს ძლიერებისათვის განმსაზღვრელია მსოფლიო შემოსავლებსა და მოგების განაწილებაში მონაწილეობის ხარისხი. კონკრეტული მუქარებია ადამიანის განვითარების პოტენციალის ჩამორჩენა, ინვესტიციური საქმიანობის, ექსპორტის, თავისუფლების ინდექსის ჩამორჩენა, ვალის ზრდა, სტრუქტურული და ინსტიტუციური ჩამორჩენა.

უკანასკნელი ათწლეულების გამოცდილება გვიჩვენებს, რომ ქვეყნის პროგრესისათვის გლობალიზაციისა და სწრაფი ცვლილებების პირობებში აუცილებელია გამოწვევებისა და მუქარების საპასუხოდ განვითარების კონკრეტული და გრძელვადიანი სტრატეგიის განხორციელება. გადარჩენის მექანიზმი ერთადერთია – მდგრად და უსაფრთხო განვითარებაზე გადასვლა, ანუ ქვეყნის თვითგანვითარების მაღალი დონის უზრუნველყოფა პოსტინდუსტრიული საზოგადოების შესაბამისი ინტელექტუალური, ინსტიტუციური, სტრუქტურული, ეკონომიკური და გეოსტრატეგიული ტრანსფორმაციის განხორციელებით.

ინტელექტუარული მოდერნიზაცია: მდგრად განვითარებაზე გადასვლის პროექტი. მნიშვნელოვანია ქვეყნის ინტელექტუალური მზადყოფნა, უსაფრთხოება განვითარების ნებისმიერ ეტაპზე. იგი უნდა უზრუნველყოს პირველ რიგში ხელისუფლებამ, მმართველმა ელიტამ, პოლიტიკურმა პარტიებმა, მეცნიერებმა, სპეციალისტებმა. მაგრამ ზოგიერთ შემთხვევაში ანალიზი გვიჩვენებს, რომ ქვეყნის ინტელექტუალური მზადყოფნის ხარისხი არც თუ ისე მაღალია. ხელისუფლების მიერ არჩეული და განხორციელებული სტრატეგია და ტაქტიკა გადამწყვეტ სფეროებში ზოგჯერ არ არის ისტორიული გამოწვევის ადეკვატური. ალბათ მხოლოდ ამით აიხსნება, რომ იგი ვეგეგმავთ უმნიშვნელოვანეს სტრატეგიულ მიზნებსა და ღონისძიებებს, ვიღებთ საპირისპირო შედეგს. ხელისუფლება მუდამ სამართლებრივი სახელმწიფოს მშენებლობისკენ ისწრაფვის, მაგრამ ზოგჯერ შედეგები ადექვატური არ არის. სინამდვილეში ქვეყანაში მაინც არის ჩრდილოვანი ეკონომიკის საგრძნობი დონე, რაც ხელს უშლის ეკონომიკისა და სახელმწიფოებრიობის განვითარებას.

ქვეყნის ეროვნული, ეკონომიკური, კულტურულ ინფორმაციული სივრცის საზღვარი გადის იქ, სადაც მისი დიასპორა, მოგების მომტანი საკუთრება, კულტურული ფენომენი და ინტელექტუალური საკუთრება ფუნქციონირებს, თუ ქვეყანა სივრცობრივ ექსპანსიას ახორციელებს, ანუ უფრო მეტ სივრცეს ეუფლება სხვა ქვეყანაში, ვიდრე თვითონ უთმობს მათ, მაშინ იგი უფრო მეტ სივრცეს იკავებს მსოფლიოში, ვიდრე მის სახელმწიფო საზღვრებში მოქცეული სივრცეა და, პირიქით. აშშ-ის და სხვა განვითარებული ქვეყნების სიძლიერე სწორედ ასეთ ექსპანსიას ემყარება, მაშინ როდესაც სუს-

ტი ქვეყნების სივრცე იკუმშება და სახელმწიფოებრივი საზღვარი ამ შემთხვევაში მხოლოდ ფიქციაა. საქართველო ჯერჯერობით ვერ ითვითცნობიერებს ამ ტექტონიკურ ძვრებს მსოფლიო სივრცეში და თუ ასე გაგრძელდა, ძალიან ცუდად დამთავრდება მისი მომავლისათვის. ხელისუფლება, მმართველი ელიტა მოვალეა წინასწარ განჭვრიტოს განვითარების ტენდენციები და დროულად მოამზადოს ქვეყანა ისტორიული გამოწვევების საპასუხოდ. 90-იანი წლების ნგრევა საქართველოში, უწინარეს ყოვლისა, მმართველი ელიტის უუნარობით იყო გამოწვეული, რომელიც ვერ ჩაწვდა იმას, რომ ქვეყნები ინტელექტუალური მოუმზადებლობის გამო სასტიკ მატერიალურ და სულიერ განადგურებას განიცდიან და რომ ვითარდება და იმარჯვებს მხოლოდ ინტელექტუალურად ძლიერი.

ზემოთ აღნიშნული საფუძველს გვაძლევს განვსაზღვროთ საქართველოს, როგორც სისტემის, არსი და შინაარსი. მისი არსია მოსახლეობისათვის თვითგანვითარების პირობების შექმნა სოციალურ-ეკონომიკური და ინფორმაციულ-ტექნოლოგიური პროგრესის გზით, საკუთარი წვლილის მუდმივი გადიდება საკაცობრიო ცივილიზაციაში ეროვნული თავისებურებებისა და ფასეულობების მუდმივი გამდიდრების საფუძველზე. შინაარსობრივად, სტრუქტურულად საქართველო არის წარსულის, აწმყოს და მომავლის სივრცეთა ერთობლიობა, ანუ დინამიურად განვითარებადი ეროვნული, პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური, ინფორმაციული, კულტურული, ზნეობრივი და ფიზიკური სივრცეების ერთობლიობა.

აქედან ჩანს, რომ პოლიტიკური დამოუკიდებლობის მოპოვება, სახელმწიფოებრივი საზღვრების დაფიქსირება არ არის მთავარი. სავსებით შესაძლებელია მოწინააღმდეგემ თოფის გავარდნის გარეშე დაიპყროს შენი საკუთარი სივრცე, თუ ამის საშუალება მიეცა ჩვენი ინტელექტუალური მოუმზადებლობის შედეგად. ხომ დაგვრია მოწინააღმდეგემ ქართველობა ერთმანეთს – 90-იან წლები და გავაჩანაგეთ ეკონომიკა სხვისი კარნახით, რადგანაც წინ პირადი და არა ეროვნული ინტერესები წამოვწიეთ. ახლა მაინც გავითვითცნობიეროთ, რომ მთავარია სივრცობრივი უსაფრთხოების შენარჩუნება და გაფართოება. რადგანაც მესამე ათასწლეულში განმსაზღვრელი სწორედ სივრცობრივი კონკურენცია იქნება. მასში გაიმარჯვებს ის, ვინც გაბატონდება ინფორმაციულ და ეკონომიკურ სივრცეში.

საქართველოს ინტელექტუალური უსაფრთხოების მთავარი ამოცანაა არ დამარცხდეს ამ კონკურენციაში და უზრუნველყოს ქვეყნის განვითარება. ამისათვის საჭიროა წამოვწიოთ საქართველოს, როგორც დროსა და სივრცეში ერთდროულად მოძრავი და განვითარებალი სისტემის, შემდეგი ძირითადი მახასიათებლები.

1. საქართველო=ფიზიკური სივრცე+პოლიტიკური სივრცე+ეროვნული სივრცე+ეკონომიკური სივრცე+სოციალური სივრცე+ინფორმაციული სივრცე+კულტურული სივრცე
2. საქართველი=დედა-საქართველო+მეორე საქართველო
   საზღვრების გახსნილობა იწვევს მეორე ეკონომიკის, მეორე ინფორმაციული სფეროს, მეორე კულტურული სფეროს, მეორე ეროვნული სფეროს ჩამოყალიბებას სხვა ქვეყნებში, მსოფლიო სივრცეში. ძლიერი ქვეყანა როგორც წესი არა მარტო ისტორიით, არამედ სხვა ქვეყნებში მისი სივრცეების სიძლიერით გამოირჩევა. ამიტომ ერთ-ერთი უმთავრესი ამოცანაა როგორც დედა-საქართველოს, ასევე მეორე საქართველოს გაძლიერება, რომელიც, მართალია, მის ოფიციალურ საზღვრებს მიღმაა, მაგრამ საქართველოა.
3. საქართველოს ეროვნული სიმდიდრე = ბუნებრივი სიმდიდრე + ადამიანური სიმდიდრე + ეკონომიკური სიმდიდრე + სოციალური სიმდიდრე + ინტელექტუალური სიმდიდრე + კულტურული სიმდიდრე.

   განვითარებისათვის წინა პლანზე გამოდის სიმდიდრის არამატერიალური ელემენტები – ცოდნა, ცხოვრების ხარისხი, ცხოვრების წესი, ცხოვრების სტილი. ამ უკანასკნელმა, მაგალითად, პოლიტიკურმა და ინტელექტუალურმა უპასუხისმგებლობამ შეიძლება მდიდარი ქვეყანა გააღარიბოს, ან, პირიქით. ამასთან, საქართველოს ეროვნული სიმდიდრე შეიძლება წარმოვიდგინოთ როგორც მისი გაფართოებული კვლავწარმოებისათვის გამოყენებული ფიზიკური და შემეცნებითი სიმდიდრე და ობიექტური ცოდნა, ანუ საყოველთაო ცოდნა, რომელიც გადადის საკაცობრიო ცოდნაში და ავტომატიზებული ინფორმაციული ქსელით ფიქსირდება როგორც საქართველოში შექმნილი საკაცობრიო ცოდნა, მისი ინტელექტუალური საკუთრება. საქართველოს სიმდიდრე, ცხადია, მოიცავს დედა-საქართველოს და მეორე საქართველოს ეროვნულ სიმდიდრეს.

4. საქართველოს პროგრესის ფორმულა=მდგრადი განვითარება=თვითგანვითარება=ფიზიკური და ინტელექტუალური პოტენციალის თანაფარდობის ოპტიმიზაცია=ბუნებრივი შერჩევის და ცოდნის ექსპონენციალური ზრდის თანაფარდობის ოპტიმიზაცია.

ზემოთ აღნიშნული საშუალებას გვაძლევს განვსაზღვროთ პოსტინდუსტრიული საქართველოს პროგრესის ფორმულა, ანუ ის, თუ რით გამოიხატება მისი პროგრესი. კერძოდ, მიზანშეწონილია გავითვალისწინოთ შემდეგი. ჯერ ერთი, პროგრესი აუცილებლად გულისხმობს განვითარების უფრო მაღალ საფეხურზე ასვლას და სოციალურ სამართლიანობას. არა რომელიმე სფეროს საზიანოდ წინსვლას რომელიმე სფეროში, მაგალითად, ეკონომიკაში გარემოსა და მოსახლეობის ხარჯზე. მეორე, აუცილებელია მდგრადი განვითარების შინაარსის ახლებურად გააზრება: მდგრადი ვერ იქნება ისეთი განვითარება, რომელიც ზიანს აყენებს სხვა ქვეყნის მომავალ თაობებს, ანუ, როდესაც ხორციელდება ისეთი სივრცობრივი ექსპანსია სხვა ქვეყანაში, რომ ეს უკანასკნელი კარგავს თავისთავადობას, იდენტურობას და ფაქტიურად სხვა ქვეყნად ყალიბდება. მესამე, გასათვალისწინებელია, რომ პოსტინდუსტრიულ საზოგადოებაში ადამიანის, ბუნების, საზოგადოების ერთიანობა გაღრმავდება, მათი განვითარება ერთმანეთისაგან განუყოფელია, თუმცა ადამიანი, ინტელექტი უდიდეს გეოლოგიურ და სამყაროს მაკონსტრუირებულ ძალად გადაიქცა, რაც დედამიწაზე მისი გაქრობის საფრთხესაც შეიცავს. ამიტომ განმსაზღვრელი ხდება სამივე ამ ელემენტის თვითგანვითარების პროცესი, ანუ ერთობლიობაში საქართველოს თვითგანვითარების პროცესი, თვითგანვითარება როგორც პროგრესის არსი. მეოთხე, ირკვევა, რომ შერჩევის კანონი უნივერსალურია: თუ არ გაკეთდა სწორი შერჩევა ცოდნის, ინფორმაციის, ტექნოლოგიების, მათი ექსპონენციალური ზრდის პირობებში და განვითარება არ წავიდა საჭირო მიმართულებით, მაშინ კაცობრიობა დაიღუპება. ამიტომ პროგრესის არსობრივი მაჩვენებელია არა მთლიანი შიდა პროდუქტი მოსახლეობის ერთ სულზე, ან თავისუფალი დროის სიდიდე, ან ენერგიის მოხმარების მინიმიზება, რომლებიც თავისთავად

ძალიან მნიშვნელოვანი მაჩვენებლებია, არამედ დინამიკური განვითარების სტრუქტურული დაბალანსებულობის ხარისხი – ბუნებრივი შერჩევის და ცოდნის თანაფარდობის ოპტიმიზაცია. საქართველოს პროგრესის ზემოთ მოტანილი ფორმულაც სწორედ ამას ასახავს. მაგრამ მიზანშეწონილია მისი დაკონკრეტება შემდეგი მაჩვენებლებით.

5. საქართველოს პროგრესის დონე = წმინდა კეთილდღეობა/მოსახლეობის რაოდენობა ან საქართველს პროგრესის დონე = წმინდა კეთილდღეობა/დანახარჯევი ინფორმაციულ სექტორში, სადაც წმინდა კეთილდღეობა = მთლიანი ეროვნული პროდუქტი+თავისუფალი დროის ღირებულება+დიასახლისების მომსახურება+საკუთარი თავისათვის მუშაობის ღირებულება-გარემოს დაბინძურების ღირებულება-ამორტიზაცია-სხვა დანაკარგები (ნარკობიზნესი, კორუფცია და ა.შ.)

ინფორმაციული ტექნოლოგიების მაღალი განვითარების ეტაპზე მიზანშეწონილი იქნება აგრეთვე გამოვიყენოთ ფორმულა:

საქართველოს პროგრესის დონე=საქართველოს წმინდა ცოდნის მოცულობა/მსოფლიოს წმინდა ცოდნის მოცულობა X 100, სადაც მსოფლიო წმინდა ცოდნა არის კაცობრიობის საყოველთაო შრომა, ანუ ობიექტური ცოდნა, რომელიც თაობიდან თაობას გადაეცემა და ფიქსირებულია კაცობრიობის ინფორმაციულ ქსელში, ხოლო საქართველოს წმინდა ცოდნა არის საქართველოს ობიექტური ცოდნა, რომელიც ფიქსირებულია კაცობრიობის ინფორმაციულ ქსელში. მაშასადამე, ეს მაჩვენებელი გამოხატავს საქართველოს წვლილს კაცობრიობის წმინდა ცოდნაში.

ამგვარად, საქართველოს პროგრესისათვის აუცილებელია შემუშავდეს მისი მდგრადი განვითარების გრძელვადიანი პროგრამა ახალი მოთხოვნების და გამოწვევების გათვალისწინებით. სხვა ქვეყნებიც ასე აცხადებენ. საქართველოს ხელისუფლება კი მიუტევებლად აგვიანებს. ამ პროგრამაში უნდა აისახოს შემდეგი ძირითადი პრიოტიტეტები: წინგამსწრები სტრატეგიის განხორციელება, პოსტინდუსტრიული საზოგადოების დამკვიდრება, ინფორმაციული სექტორის დაჩქარებული განვითარების პროგრამა, დედასაქართველოს და მეორე საქართველოს გაძლიერების კონკრეტული მიზნობ-

რივი ღონისძიებები, რომ არ დავუშვათ საქართველოს რეალური და ვირტუალური შეკუმშვა.

ინსტიტუციური, სტრუქტურული და ეკონომიკური ტრანსფორმაცია. ანტიკრიზისული მართვა, რეფორმის სტრატეგია და ნეოეკონომიკის ფორმირება საქართველოს და მსოფლიო გამოცდილება გვიჩვენებს, რომ ინსტიტუციური და სტრუქტურული რეფორმების დაგვიანება არა მარტო აფერხებს განვითარებას, არამედ ეკონომიკური და სოციალური კრიზისის გამომწვევია. სწორედ აქ არის საქართველოს უმძიმესი მდგომარეობის მთავარი მიზეზი, რომ დღემდე ვერ შევძელით ეკონომიკური ზრდისათვის საჭირო ინსტიტუციური და სტრუქტურული პირობების შექმნა, რეფორმის სისტემური განხორციელება.

მთავარი მოთხოვნა არის ის, რომ მიმდინარე გარდაქმნები ითვალისწინებდეს პოსტინდუსტრიული საზოგადოების მშენებლობას, წინგამსწრები და არა დამწევი სტრატეგიის განხორციელებას. აუცილებელია ინსტიტუციური რეფორმის დაჩქარება. კერძოდ, არსებითი მნიშვნელობა ენიჭება ეფექტიანი სახელმწიფოს ჩამოყალიბებას, სოციალური თანასწორობისა და სამართლიანობის დამკვიდრებას, განვითარების უზრუნველმყოფი საკანონმდებლო ბაზის შექმნას, კორუფციის აღმოფხვრას, საგადასახადო სისტემის სრულყოფას, პოლიტიკის გამოყოფას ეკონომიკისაგან. რეფორმის დაწყებიდან საკმაოდ დიდი დრო გავიდა. ამიტომ ეს პრობლემები დიდი ზომით უკვე გადაწყვეტილი უნდა იყოს. ესეც ნათელი სტრატეგიის უქონლობის შედეგია.

სტრუქტურული ტრანსფორმაციიდან უმნიშვნელოვანესია საზოგადოებისა და ხელისუფლების, დედა-საქართველოსა და მეორე საქართველოს, საქართველოს სივრცობრივ სფეროებს შორის თანაფარდობის ოპტიმიზაცია, განსაკუთრებით ინფორმაციულ-ტექნოლოგიური სფეროს ჩამორჩენის აღმოფხვრა, მაკროეკონომიკური და მიკროეკონომიკური დისპროპორციების დაძლევა.

რაც მთავარია, ინსტიტუციური და სტრუქტურული გარდაქმნები უნდა ითვალისწინებდეს პირველ რიგში საქართველოს მდგრად განვითარებაზე გადასვლის პროგრამის კონკრეტულ მოთხოვნებს. ამიტომ ინსტიტუციური და სტრუქტურული სრულყოფის პრიმატი თან უნდა სდევდეს ამ პროგრამის სხვა უმნიშვნელოვანეს ელე-

მენტს – ეკონომიკურ ტრანსფორმაციას საქართველოში. ამ პრობლემატიკიდან განსაკუთრებით ყურადსაღებია შემდეგი საკითხები: უპირველესი, გამომდინარე საქართველოს თანამედროვე მდგომარეობიდან, კრიმირებისა და ანტიკრიზისული მართვის საკითხებია. მათი შესწავლა შემდეგი ძირითადი დასკვნების გამოტანის საშუალებას იძლევა. საჭიროა კრიზისების ახლებურად გააზრება, რადგანაც მისი არხი, ფორმები, მექანიზმები არსებითად შეიცვალა. იგი აუცილებლად წარმოების დაცემით არ გამოიხატება.

ზემოთ აღნიშნული საქართველოში დღეს არსებული კრიზისული მდგომარეობის უფრო რეალურად შეფასების საშუალებას იძლევა. ვითარება მძიმეა იმიტომ, რომ სახეზეა სხვადასხვა კრიზისის ერთმანეთთან დამთხვევა და ვერ ვახორციელებთ ეფექტიან ანტიკრიზისულ მართვას. ზოგიერთის აზრით საქართველოში მხოლოდ ფინანსური კრიზისია და არა ეკონომიკური. ასეთი პოზიცია ემყარება ფინანსების შედარებით დამოუკიდებელ ფუნქციონირებას ეკონომიკის მიმართ. მაგრამ ასეთი პოზიცია უგულებელყოფს ცვლილებებს კრიზისის არსში და აიგივებს ეკონომიკურ კრიზისს ჭარბწარმოების კრიზისთან, ანუ მიიჩნევს, რომ კრიზისი არის მხოლოდ მაშინ, თუ მთლიანი შიდა პროდუქტი მცირდება. მეორე მხრივ, ფინანსურ კრიზისად ცხადდება ვითარება, როდესაც დიდია ბიუჯეტის დეფიციტი, არ ხდება გადასახადების ნორმალურად აკრეფა, გაუცემელია ხელფასები, პენსიები და ა.შ. ჯერ ერთი, მთავარია არა ზრდის ტემპი, არამედ ზრდის ხარისხი, ანუ გამოშვებული პროდუქციით მოთხოვნილებების დაკმაყოფილება, მათ შორის პროდუქციის შემცირებული პროდუქციით. მეორე, მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდის ტემპი წინა პერიოდთან შედარებით მკვეთრად დაეცა, თითქმის 3-ჯერ. მესამე, ფინანსები ეკონომიკის განუყოფელი ნაწილია, ამიტომ ფინანსური კრიზისი მინიმალურად ნაწილობრივ ეკონომიკურ კრიზისს მაინც ნიშნავს. მეოთხე, ხელფასების გაუცემლობა იმას ნიშნავს, რომ არ ხდება წარმოების წამყვანი ფაქტორის ანაზღაურება. თუ ეს ეკონომიკური კრიზისი არ არის, მაშინ გაუგებარია, რა არის ეკონომიკა. მეხუთე, თუ ხელფასებისა და პენსიების გაცემა გადასახადების აუკრეფაობის გამო ხდება, მაშინ ეს ინსტიტუციური, სახელმწიფო პოლიტიკის კრიზისია. მეექვსე, თუ მიზეზი გადასახადების აუკრეფაობაა, მაშინ დაბეგვრის კრიზისია და არა ფინანსუ-

რი, რადგანაც უკანასკნელის მთავარი ნიშანი ეროვნული ვალუტის დევალვაციაა.

90-იანი წლებიდან საქართველო განვითარების გარდამავალ ეტაპზეა, რომელიც სხვადასხვა ფორმის კრიზისული განვითარებით ხასიათდება. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ჩვენთანაც სახეზეა ცივილიზაციური კრიზისი, ინდუსტრიული სტადიის კრიზისი და პოსტინდუსტრიულ სტადიაზე თანდათან გადასვლის პროცესი. იგი, უწინარეს ყოვლისა, ტრადიციული სოციალური და ტექნოლოგიური სტრუქტურის ახლით შეცვლას მოასწავებს. როდესაც ასე არ ხდება, აშინ რომელიმე სფეროში მდგომარეობა შეიძლება დროებით გაუმჯობესდეს, მაგრამ პერიოდულად კრიზისები მაინც განმეორდება. 1989-1995წწ. საქართველოში აღინიშნებოდა სისტემური ტრანსფორმაციული კრიზისი სოციალისტური სისტემის კაპიტალისტურით შეცვლასთან დაკავშირებით. მოხდა საბაზრო ურთიერთობებზე ძირითადად გადასვლა, ძალიან დამახინჯებული ფორმით. მანამდე, სანამ არ განხორციელდება ზრდის მარეგულირებელი ინსტიტუციური და სტრუქტურული ცვლილებები, ყოველთვის იქნება იმის საფუძველი, რომ წარმოების დროებით გადიდებას მორიგი მწვავე კრიზისი მოჰყვეს. ამგვარად, ამჟამად საქართველოში სახეზეა ცივილიზაციური კრიზისი, დაკავშირებული ინდუსტრიული სტადიიდან პოსტინდუსტრიულ სტადიაზე გადასვლასთან, სისტემური ტრანსფორმაციული კრიზისი, დაკავშირებული სოციალისტურიდან კაპიტალისტურ სისტემაზე გადასვლასთან, ეკონომიკური კრიზისი, რომელსაც პერიოდულად თან ახლავს სხვადასხვა სახის კავშირი – სტრუქტული, რეგიონული, ფინანსური, ინვესტიციური, ინოვაციური, სავალუტო და ა.შ.

ასეთ ვითარებაში საჭიროა ანტიკრიზისული პროგრამის განხორციელება და მიმდინარე რეფორმის დაჩქარება. ამისათვის აუცილებელია ხელისუფლებისა და საზოგადოების პასუხისმგებლობის ამაღლება, პოლიტიკის ეკონომიკაზე უარყოფითი ზემოქმედების აღმოფხვრა. წარმატება და წარუმატებლობა, მსოფლიო გამოცდილების მიხედვით, ტრანსფორმაციის ყველა მეთოდს ახასიათებს: შოკურ თერაპიასაც, ევოლუციურ გადასვლასაც და მათ სინთეზსაც. მთავარია არჩეული მეთოდის მტკიცედ, განუხრელად განხორციელება. მაგრამ ხელისუფლება ვერცერთ მეთოდს ვერ

დაეუფლა, ვერ გამოიჩინა პოლიტიკური ნება რომელიმე მათგანის თანამიმდევრულად განხორციელებისათვის. მმართველი ელიტა ძირითადად ინტრიგანული აზროვნებით, თანამდებობებთან დაკავშირებული ბატალიებით არის გართული და არა იმაზე ზრუნვით, როგორ გაანალიზოს ქვეყნის მდგომარეობა მსოფლიო გამოცდილების გადმოსახედიდან და დააჩქაროს მისი განვითარება.

ეკონომიკური ზრდის უზრუნველსაყოფად ანტიკრიზისული პროგრამის, რეფორმის, განვითარების მექანიზმის, პრიორიტეტების, წყაროების, დაფინანსების, ინვესტიციების, ფასების, გადასახადების, საპროცენტო განაკვეთის, სავალუტო კურსის ერთმანეთთან თავსებადობის მიღწევაა საჭირო. დღემდე რეფორმის საფუძვლად აღიარებული იყო ინფლაციის დაუშვებლობის, ფინანსების უკმარისობის, მაღალი კურსის შენარჩუნების პრიორიტეტები. შესაბამისად წინ წამოწეული იყო ანტიინფლაციური, ფინანსური წონასწორობისა და საზღვრების გახსნილობის პოლიტიკა. ასეთი მოთხოვნები აუცილებელია, მაგრამ სრულიად არასაკმარისი. ჩვენი აზრით, ზრდის მთავარი შემაფერხებელი ფაქტორია, გარდა ინსტიტუციური და სტრუქტურული ფაქტორებისა, რაზედაც უკვე გვქონდა ლაპარაკი, არის მოთხოვნის, შემოსავლების, დანაზოგების, ინვესტიციების დაბალი დონე. შეიძლება უცხოური ინვესტიციების მოზიდვით ამ პრობლემის ერთგვარად შერბილება, მაგრამ ეს პრობლემას ვერ წყვეტს. ნებისმიერი ქვეყანა ძირითადად თავისი ძალისხმევით ვითარდება. ამიტომ წინ უნდა წამოვწიოთ ზრდის სოციალური ფაქტორი, ადამიანი. მოთხოვნა უნდა გაიზარდოს ყველა მიმართულებით – მოსახლეობის შემოსავლების გადიდებით, სახელმწიფო დაკვეთებისა და საზოგადოებრივი სამუშაოების გაფართოებით, კერძო სექტორის სტიმულირებით. სახელმწიფომ უნდა აღიაროს თავის ძირითად ამოცანად საარსებო მინიმუმის უზრუნველყოფა და მისი მიღწევა ეტაპობრივად 5 წელიწადში. ამის მიხედვით უნდა აიგოს ანტიკრიზისული პროგრამა და ბიუჯეტი. ზრდა უნდა დაჩქარდეს, სხვანაირად შემოსავლების ზრდა არ მოხერხდება.

გადასახადების შემცირება უნდა განხორციელდეს ორ ეტაპად, რომ არ მოხდეს ბიუჯეტის შემოსავლების შემცირება, რადგანაც მისი ეფექტი შეიძლება საუკეთესო შემთხვევაში 1-1,5 წლის შემდეგ დაეტყოს წარმოებას. ამასთან, მიზანშეწონილია ამ მიზნით საერთა-

შორისო საფინანსო ორგანიზაციებისაგან შელავათიანი კრედიტის მიღეკბა. ამ მიზანსვე უნდა მოემსახუროს აგრეთვე საქართველოს დასავლეთისადმი დავალიანების ჩამოწერა, თუ იგი რეალურად განხორციელდება.

რაც შეეხება კორუფციის საკითხს, იგი, რა თქმა უნდა, მკვეთრად უნდა შემცირდეს. მაგრამ მთავარი მაინც ზრდის სტიმულირებაა. იტალია, მაგალითად, ტრადიციულად კორუფციის მხრივ მსოფლიოში გამორჩეულია. ჩრდილოვანი ეკონომიკა აქ 35% -ის ფარგლებშია. მაგრამ ერთდროულად იგი მსოფლიოში ერთ-ერთი განვითარებული ქვეყანაა. ამიტომ მთავარია საწარმოებისა და მოსახლეობის შემოსავლების დონის ამაღლება, რაც კორუფციის აღმოფხვრის უმნიშვნელოვანეს ფაქტორად გვევლინება.

იგივე უნდა ითქვას ფულის მასის შესახებ. ფულის მასის (M2) ზრდის ტემპმა 10,7% შეადგინა, ინფლაციის ტემპმა – 10,2%, განვითარებულ ქვეყნებში კი ფულის მასა ინფლაციასთან შედარებით 2-5-ჯერ უფრო სწრაფად იზრდება. იგივე ფულადი მასის წილმა მთლიან შიდა პროდუქტში 5,2% შეადგინა, განვითარებულ ქვეყნებში კი იგი 50-90% -ის ფარგლებშია, ჩინეთშიც იგივე ფარგლებში მერყეობს, ხოლო რუსეთში დაახლოებით 20% -ია.

ეკონომიკური ზრდის გააქტიურებისათვის აუცილებელია ლარის თანდათანობითი დევალვირება. საქმე მარტო ის კი არ არის, რომ დევალვირება ხელს უწყობს ეკონომიკურ ზრდას, განსაკუთრებით ექსპორტის გაფართოებას. არანაკლებ დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, რომ კაპიტალი მიისწრაფის იმ ქვეყნებში, სადაც კურსი დაბალია. მაშასადამე, დაბალი კურსი ქვეყნის მიმზიდველობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფაქტორია, რაც გლობალიზაციის პირობებში კონკურენტუნარიანობის ამაღლების საწინდარია. მაგრამ დევალვირებისას შეუძლებელია კრედიტის გაიაფება, რომელიც ზრდისთვის ფრიად საჭიროა. მეორე მხრივ, იგი ართულებს საგარეო ვალების მომსახურებას, რომელიც დოლარებშია გადასახდელი. ე.ი. მაღალი კურსი ხელს უწყობს იმპორტის გადიდებას, კაპიტალის გადინებას ქვეყნიდან, საგარეო ვალების მომსახურებას, მყარი ვალუტის რეზერვების შემცირებას, ხოლო დევალვირების პროცესი – ეკონომიკურ ზრდას, ექსპორტის გაფართოებას, უცხოური კაპიტალის მოზიდვას, კონკურენტუნარიანობის ამაღლებას,

შემოსავლების ზრდას. დაბალი კურსის უპირატესობა მსოფლიო პრაქტიკით დადასტურებულია, თუმცა ჩვენ უცებ არ შეგვიძლია მისი განხორციელება, რადგანაც ისედაც არასაკმარისი ზრდის პირობებში ძალიან გართულდება საგარეო ვალის მომსახურება, რომელიც დიდ ტვირთად აწევს საქართველოს ბიუჯეტს. დევალვირების სიღრმე დინამიკაში მოითხოვს სპეციალური გაანგარიშებების შესრულებას. იგი ძირითადად მსოფლიო ფასებია და ჩვენთან არსებული ფასების სხვაობით, აგრეთვე ჩვენთან წარმოების ეფექტიანობასა და მსოფლიოში წარმოების ეფექტიანობას შორის სხვაობით განისაზღვრება. აუცილებელია სახელმწიფოს მარეგულირებელი ფუნქციის გააქტიურება.

ამიტომ სწორედ სახელმწიფოს ეკისრება მთავარი პასუხისმგებლობა ნეოეკონომიკის ფორმირებისათვის, ანუ პოსტინდუსტრიული საზოგადოების შესაბამის ეკონომიკაზე გადასვლისათვის საქართველოში. მისი მთავარი დამახასიათებელი ნიშნებია: საკუთრების ფორმების მრავალფეროვნება, ინტელექტუალური საკუთრების წინ წამოწევა, ინფორმაციის, ცოდნის, შემოქმედებითი უნარის, მენეჯმენტის გადაქცევა განვითარების და ეფექტიანობის მთავარ ფაქტორად, მატერიალური ნაცვლად ცოდნის დაგროვების, თვითგანვითარების მოტივების გაბატონება, ინფორმაციული, ბიოლოგიური, ნანოტექნოლოგიების და სოციალური ტექნოლოგიების დამკვიდრება, განახლებადი რესურსების უპირატეს გამოყენებაზე გადასვლა, კონკურენტუნარიანობა განათლების, ცოდნის, ტექნოლოგიების, მენეჯმენტის ხარისხის მიხედვით, მდგრადი და უსაფრთხო განვითავრების სტრატეგიის განხორციელება როგორც მოკლევადიან, ასევე გრძელვადიან პერიოდში. როგორც ჩანს, აუცილებლად დასაჩქარებელია მასშტაბური სტრუქტურული ტრანსფორმაცია. სტრუქტურული განახლება, სრულყოფა ადრე ნელი ტემპით ვითარდებოდა საზოგადოების, ეკონომიკის, ძირითადი კაპიტალის მოუქნელობის გამო. მაგრამ ამჟამად იგი უკვე ძალიან სწრაფად და მუდმივად განუწყვეტლივ მიმდინარეობს. ისიც გასათვალისწინებელია, რომ ნეოეკონომიკაში ძირითადი პარამეტრები გენეტიკურად, მემკვიდრეობით ძალიან სუსტად ყალიბდებიან. დინამიზმისა და მდგრადობის ელემენტები აქ უპირატესად სწრაფი ტექნოლოგიური და სოციალური გარდაქმნებისა და ადაპტაციის საფუძველზე წარმოიშვებიან.

მიახლოებითი და წინასწარი გათვლებით, საქართველოს მდგრადობის ძირითადი პირობები ასეთია: მთლიანი შიდა პროდუქტი მოსახლეობის ერთ სულზე არანაკლები განვითარებული ქვეყნების ჯგუფის მინიმალური დონისა (ამჟამად იგი დაახლოებით 12 ათასი დოლარია; სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტი არ უნდა აღემატებოდეს მშპ-ის 3-5%-ს; სახელმწიფო ვალი არ უნდა აღემატებოდეს მშპ-ის 60%-ს; ფულის მასის ზრდა უნდა შეესაბამებოდეს წარმოების ზრდას; საერთაშორისო რეზერვების მოცულობა საკმარისი უნდა იყოს, როგორც მინიმუმი, საქონლის იმპორტის დასაფარავად სამი თვის განმავლობაში; საგარეო ვალის მომსახურებაზე გაწეული ხარჯები არ უნდა აღემატებოდეს წლიური საექსპორტო შემოსავლების 20%-ს; ინვესტიციური საქმიანობის უზრუნველსაყოფად დაგროვების წილი მთლიან შიდა პროდუქტში არ უნდა იყოს 20% -ზე ნაკლები. ცხადია, განვითარების კვალობაზე მდგრადობის პარამეტრები იცვლება ახალ ვითარებასთან დაკავშირებით, მაგალითად, სტრუქტურული ძვრების გააქტიურებისას და ა.შ. ამგვარად, საქართველოს შემდგომი პროგრესისათვის აუცილებელია მდგრად განვითარებაზე გადასვლა ნეოეკონომიკის ჩამოყალიბების გზით. საქართველოს მდგრადი და უსაფრთხო განვითარების პროგრამაში უნდა აისახოს შემდეგი ეტაპები: პირველი – კრიზისის დაძლევა, ეკონომიკური განვითარების წანამძღვრების შექმნა; მეორე – ნეოეკონომიკის საფუძვლების მომზადება; მესამე – ნეოეკონომიკის ჩამოყალიბების განვითარებული ქვეყნების ჯგუფში გადასვლა. აქედან გამომდინარე, დაუშვებელია მდგრადი განვითარების პროგრამის განხორციელების, განვითარების ინოვაციურ ეტაპზე გადასვლის უგულებელყოფა და დაგვიანება.

საქართველოს გეოპოლიტიკური და გეოეკონომიკური დილემა. ევროპის კავშირში გაერთიანების პროგრამა. საქართველოს განვითარების ერთ-ერთ ყველაზე უფრო ფუძემდებლური პრობლემაა მისი გეოსტრატეგიული ჩამორჩენილობის დაძლევა. ასეთი ჩამორჩენა ვლინდება შემდეგით.

პირველი. სამწუხაროდ, საქართველო დღემდე უპირატესად გეოსტრატეგიული სივრცის ობიექტია და არა სუბიექტი, ობიექტია სხვა სახელმწიფოთა გეოსტრატეგიული ექსპანსიისათვის. ამას ადასტურებს, უწინარეს ყოვლისა, საქართველოს სივრცობრივი

სტრუქტურის შეკუმშვის ტენდენცია. კერძოდ, იკუმშება ტერიტორიული სივრცე. წინა საუკუნეებს რომ თავი დავანებოთ, ამჟამად არსებობს აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის დაკარგვის რეალური საფრთხე. იკუმშება ეკონომიკური სივრცე, რადგანაც იზრდება ჩვენი ეროვნული სიმდიდრის საზღვარგარეთელი მესაკუთრეების საკუთრებაში გადასვლა, ანუ საქართველოში სხვა სახელმწიფოების მეორე ეკონომიკის ფუნქციონირების მასშტაბები, მაშინ როდესაც ჩვენ მეორე ეკონომიკა თითქმის არა გვაქვს. იგივე შეიძლება ითქვას ეროვნული, ინტელექტუალური, კულტურული სივრცეების შესახებ.

მეორე. საქართველოს ადგილი გეოსტრატეგიულ სივრცეში დღემდე განისაზღვრება მხოლოდ მისი გეოპოლიტიკური უპირატესობებით, რაც ძირითადად მისი ბუნებრივი უპირატესობით -ევროპისა და აზიის გასაყარზე მდებარეობით არის გამოწვეული. საქართველო ყალიბდება როგორც ევროპა-აზიის დამაკავშირებელი ხიდი საკომუნიკაციო-სატრანსპორტო კორიდორის ფუნქციით, რაც ძალიან მნიშვნელოვანი ფუნქციაა. მაგრამ მაინც ღირსეულ ადგილს მსოფლიო ცივილიზაციაში საშუამავლო ფუნქციით და ბუნებრივი უპირატესობებით საქართველო ვერ დაიკავებს. ამ ფუნქციით იგი ვერასოდეს ვერ გახდება გეოსტრატეგიული სივრცის სუბიექტი, რადგანაც დღეს გადამწყვეტია გეოეკონომიკური და გეოინტელექტუალური უპირატესობა და არა ბუნებრივი უპირატესობა.

მესამე. საქართველო თავისი შედარებით ჩამორჩენილობის გამო ძალიან სუსტ მონაწილეობას იღებს მსოფლიო მოგების განაწილებაში. პირიქით, იგი აქტიურად მონაწილეობს მის შექმნაში უპირატესად თავისი საკომუნიკაციო-სატრანსპორტო ფუნქციით და საგადამხდელო ბალანსის მნიშვნელოვანი უარყოფითი სალდოთი.

ასეთი ვითარება ობიექტური და სუბიექტური მიზეზებით არის გამოწვეული. ობიექტურიდან აღსანიშნავია მისი განვითარების დონის საერთო ჩამორჩენილობა დასავლეთთან შედარებით, რომელიც გეოსტრატეგიის აქტიური სუბიექტია. განსაკუთრებით ხაზგასასმელია მისი ეკონომიკური ჩამორჩენილობა, მეორე ეკონომიკის არარსებობა. სუბიექტური მიზეზებიდან უნდა დავასახელოთ გეოსტრატეგიული აზროვნებისა და პოლიტიკის ჩამორჩენილობა. სამწუხაროდ, საქართველოს გეოსტრატეგიულ სუბიექტად გადაქცევა არ

არის სახელმწიფოებრივი და პროგრამული მართვის რანგში აყვანილი და იგი ფაქტიურად უგულებელყოფილია.

მაშასადამე, საქართველოსათვის ერთ-ერთი მთავარი პრობლემაა მისი გეოპოლიტიკური და გეოეკონომიკური დილემის გადაწყვეტა. ამ დილემის არსი არის ის, რომ, ერთი მხრივ, მისი გეოპოლიტიკური მნიშვნელობა, კავკასიისა და ცენტრალური აზიის სხვა სახელმწიფოებთან ერთად, XXI საუკუნეში ძალიან მაღლდება, რის გამოც იგი აშშ-ის, ევროკავშირის, რუსეთის, თურქეთის, ირანის, ჩინეთის სტრატეგიული ინტერესების ცენტრალურ ზონაშია დაფიქსირებული და საქართველოს არ შეუძლია აშკარად მიემხროს რომელიმე მათგანს, ხოლო, მეორე მხრივ, ჩვენი ქვეყნის ეროვნული ინტერესები მოითხოვს მისი გეოსტრატეგიის აქტიურ სუბიექტად გადაქცევას, ანუ აქტიურ მონაწილეობას მსოფლიო მოგების, შემოსავლების განაწილებაში.

როგორ შეიძლება ამ დილემის გადაწყვეტა? ამისათვის აუცილებელია: ჯერ ერთი, საქართველოს განვითარების დაჩქარება, მისი ძლიერ სახელმწიფოდ ჩამოყალიბება, რაც რეალურ საფუძველს შექმნის მისი შეკუმშვის შეწყვეტისათვის და, მეორე, საქართველოს გაფართოებისათვის, მათ შორის ეროვნული სივრცის გაფართოებისათვის, მრავალმილიონიანი საზღვარგარეთელი ქართველების საქართველოში ინდენტიფიკაციისათვის; მეორე, ქვეყნის ტექნოლოგიური უპირატესობების უზრუნველყოფა, მსოფლიო თანამეგობრობაში მისი მეცნიერულ-ტექნოლოგიური და არა საშუამავლო ფუნქციით დამკვიდრება; მესამე, საქართველოს ნეიტრალიტეტის საერთაშორისო აღიარება; მეოთხე, საქართველოს ევროპის კავშირში გაერთიანება, რაც მოხსნის მრავალ პრობლემას. ამგვარად უმნიშვნელოვანესია საქართველოს ინტეგრაცია ევროპის ეკონომიკურ კავშირში.

სამთავრობო პროგრამა საქართველო 2020" განსაზღვრავს ქვეყნის სოციალური და ეკონომიკური განვითარების პრიორიტეტებს და მათი განხორციელების გზებს 2014-2020 წლებისთვის. საქართველო ისწრაფვის გახდეს თავისუფლების, კეთილდღეობის და სოციალური სამართლიანობის ქვეყანა, სადაც საზოგადოების ყველა წევრი სარგებლობს ეკონომიკური ზრდით მოტანილი სიკეთით და მაქსიმალურად არის გამოყენებული თითოეული მოქალაქის პოტენ-

ციალი ქვეყნის განვითარების პროცესში. მთავრობის ეკონომიკური პოლიტიკა, კეთილდღეობის ზრდას ითვალისწინებს დასაქმების შესაძლებლობების შექმნის ხელშეწყობით და არა მხოლოდ სოციალური დახმარებებით. ამავდროულად, ხელისუფლება უღარიბესი ფენებისათვის მიზნობრივი სოციალური დახმარებების გაწევის პასუხისმგებლობას იღებს. ინკლუზიური ეკონომიკური განვითარების მისაღწევად, დიდი მნიშვნელობა ენიჭება რეგიონულ განვითარებას. თანმიმდევრული დეცენტრალიზაცია და სუბ-ნაციონალური ერთეულების წამყვანი როლი ადგილობრივი ეკონომიკური პროცესების სტიმულირებაში ცალსახად განიხილება, როგორც უმნიშვნელოვანესი ფაქტორი საერთო ეროვნული წარმატების მისაღწევად. შესაბამისად, სტრატეგიით განსაზღვრული პოლიტიკის განხორციელებისას, აუცილებელია, კონკრეტული ღონისძიებები ითვალისწინებდეს თვითმმართველობების ჩართულობას და მათ საჭიროებებს, ცალკეული რეგიონის განვითარების პრიორიტეტების შესაბამისად. მთავრობა პრიორიტეტულად მიიჩნევს იმ პრობლემების გადაჭრას, რომლებიც პირველ რიგში აფერხებენ დასახული კეთილდღეობის მიღწევას. ანალიზის საფუძველზე, ეკონომიკის განვითარების ხელშემშლელ კრიტიკულ პრობლემათა შორის გამოიკვეთა კერძო სექტორის დაბალი კონკურენტუნარიანობა, არასაკმარისად განვითარებული ადამიანური რესურსები და ფინანსურ რესურსებზე შეზღუდული ხელმისაწვდომობა. ამ ვითარებაში იკვეთება ხელისუფლების ახალი როლი, წაახალისოს კერძო სექტორი, ხელი შეუწყოს ინვესტიციების მოზიდვას და შექმნას სამართლიანი და დაცული ბიზნეს გარემო. მისი ამოცანაა, აგრეთვე, ხელი შეუწყოს ბიზნესის განვითარებას ინოვაციების და სამეწარმეო უნარების ხელშეწყობით, რომელიც ქვეყნის ეკონომიკური ზრდის მთავარი მამოძრავებელია. სტრატეგიაში დეტალურადაა აღწერილი ის პრიორიტეტები და პრობლემები, რომელთა გადაჭრა საჭიროა გრძელვადიანი, მდგრადი და ინკლუზიური ეკონომიკური ზრდის მისაღწევად. აღნიშნული პრობლემების დასაძლევად და ინკლუზიური ეკონომიკური ზრდის მისაღწევად სამთავრობო სტრატეგია განსაზღვრავს რიგ პრიორიტეტულ მიმართულებებს, მათ შორის: საინვესტიციო და ბიზნეს გარემოს გაუმჯობესება; ინოვაციისა და ტექნოლოგიების განვითარების ხელშეწყობა; ექსპორტის ზრდის ხელშეწყობა;

ინფრასტრუქტურის განვითარება და სატრანზიტო პოტენციალის მაქსიმალური გამოყენება; შრომის ბაზრის მოთხოვნებზე ორიენტირებული სამუშაო ძალის განვითარება; სოციალური უზრუნველყოფის სისტემის სრულყოფა; ხელმისაწვდომი და ხარისხიანი ჯანდაცვის უზრუნველყოფა; საინვესტიციო რესურსების მობილიზება და ფინანსური შუამავლობის განვითარება. 2020 წლისათვის მიზნად ისახავს შემდეგი საპროგნოზო მაჩვენებლების მიღწევას.

ცხრილი №1. საპროგნოზო მაჩვენებლები

ინდიკატორი	მიმდინარე მაჩვენებელი	საპროგნოზო მაჩვენებელი
მშპ ერთ სულ მოსახლეზე	5,811.7	13,000
ჯინის კოეფიციენტი	0.41	0.35
ინფლაციის (%)	-0.9	4.0
უმუშევრობა (%)	15.0	<12
გადასახადები (წილი მშპ-ში %)	24	25
ექსპორტი (წილი მშპ-ში %)	35	50
მიმდინარე ანგარიში (წილი მშპ-ში %)	6.7	6
სახელმწიფო ვალის მიმართება მშპ-სთან (%)	34.0	40

აუცილებელი წინაპირობები ინკლუზიური ეკონომიკური ზრდისთვის „საქართველო 2020"-ის წარმატებით განსახორციელებლად აუცილებელია რამდენიმე წინაპირობის შესრულება, კერძოდ, მაკროეკონომიკური სტაბილურობის მიღწევა და ეფექტიანი საჯარო მმართველობის უზრუნველყოფა.

- მაკროეკონომიკური სტაბილურობა – სტაბილური მაკროეკონომიკური გარემოს მიღწევა სტრატეგიის წარმატებით განხორციელების ერთ-ერთი მთავარი წინაპირობაა. შესაბამისად, ფისკალური დისციპლინა, უმუშევრობის დაბალი დონე და ფასების სტაბილურობა, მონეტარული პოლიტიკის დამოუკიდებლობა, მიმდინარე ანგარიშის დეფიციტის თან-

დათანობითი შემცირება ზომიერ სიდიდემდე და ფინანსური სექტორის სტაბილურობის შენარჩუნება ქვეყნის გრძელვადიანი ეკონომიკური ზრდის მნიშვნელოვან ფაქტორებს წარმოადგენენ;

- ეფექტიანი საჯარო მმართველობა – სტრატეგიის წარმატებით განხორციელება ასევე საჭიროებს სახელმწიფო ორგანოების შესაძლებლობების ადექვატურად გაძლიერებას, რათა მოხდეს სტრატეგიით დასახული მიზნების განხორციელება.

1.2. ჩრდილოვანი ეკონომიკა, როგორც ქვეყნის ეკონომიკური განვითარების შემაფერხებელი ფაქტორი – მისი არსი და გამომწვევი მიზეზები

ჩრდილოვანი ეკონომიკა თანამედროვე საზოგადოების თანმდევი მოვლენაა. იგი დამახასიათებელია როგორც განვითარებული, ასევე განვითარებადი ქვეყნებისათვის. მაგრამ განვითარებად ქვეყნებში მისი დონე განსაკუთრებით მაღალია, რაც იმაზე მიუთითებს, რომ მათი განუვითარებლობის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი ჩრდილოვანი ეკონომიკის შედარებით ფართო მასშტაბებით გამოიხატება.

ბოლო ათწლეულებში ჩრდილოვანი ეკონომიკის გაფართოების ტენდენცია გამოიკვეთა. ჩრდილოვანი ეკონომიკის ზრდის შედარებით მაღალი ტემპი აღინიშნებოდა განვითარებადი ქვეყნების ჯგუფშიც. მაგრამ ყველაზე უფრო მაღალი ტემპით იგი მაინც პოსტსაბჭოთა ქვეყნებში ხასიათდებოდა, სადაც იგი ამ პერიოდში დაახლოებით 12% -ით გაიზარდა, ანუ 4-ჯერ უფრო მეტად, ვიდრე განვითარებული ქვეყნების ჯგუფში.

საქართველოსათვის ჩრდილოვანი ეკონომიკის პრობლემა განსაკუთრებით აქტუალურია. ამას შემდეგი ძირითადი მიზეზები განაპირობებენ. ჩრდილოვანი ეკონომიკის წილი საქართველოს მთლიან შიგა პროდუქტში დაახლოებით 65% -ია, ანუ მან უკვე გადააჭარბა იმ ზღვარს, რომლის მიღმაც ჩრდილოვანი ეკონომიკა დამოუკიდებელ სექტორად ყალიბდება, ხოლო მისი ინსტიტუტები ოფიცია-


ლური ეკონომიკური ინსტიტუტების ჩანაცვლებას იწყებს. ასეთი მასშტაბური ჩრდილოვანი ეკონომიკა კონკრეტულ ნეგატიურ მოვლენებს იწვევს, რომელთაგან აღსანიშნავია: მოსახლეობის რეალური შემოსავლებისა და ცხოვრების დონის შემცირება, აღწარმოებითი პოტენციალის შეკუმშვა, დაგროვების საკუთარი წყაროების მინიმიზება, ინვესტიციური აქტიურობის დაცემა, ფინანსური და ფულადი სისტემების დეზორგანიზაცია, კრიზისი სოციალურ-ეკონომიკური მართვის სფეროში, ეკონომიკური განვითარების ძლიერი შეფერხება. როგორც ჩანს, რომ ჩრდილოვანი ეკონომიკის მკვეთრი შემცირება საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგიის უმნიშვნელოვანესი პრობლემაა. მისი გადაწყვეტა ჩრდილოვანი ეკონომიკის მასშტაბების მაქსიმალურად ადეკვატურად შეფასებასა და ამის საფუძველზე შესაბამისი ეფექტიანი ღონისძიებების განხორციელებას მოითხოვს.

ჩრდილოვანი ეკონომიკის გაზომვის მეთოდიკის შემუშავებისადმი ერთიანი მეთოდური მიდგომის უზრუნველსაყოფად წარმოდგენილია წინამდებარე მეთოდური რეკომენდაციები, რომლებიც შემდეგ საკითხებს ეძღვნება: მეთოდიკის ძირითადი პრინციპები და ამოცანები; ჩრდილოვანი ეკონომიკის არსი, სტრუქტურა და ტენდენციები; ჩრდილოვანი ეკონომიკის გაზომვის მეთოდები; მეთოდიკის ინფორმაციული უზრუნველყოფა.

წინამდებარე მეთოდური რეკომენდაციები საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარებისათვის შეგნებულად დამალული რესურსების მაქსიმალურად მობილიზების, ჩრდილოვანი ეკონომიკის შემცირებისა და პრევენციის უმნიშვნელოვანესი ინსტრუმენტია. მის საფუძველზე შეიძლება შემუშავდეს ჩრდილოვანი ეკონომიკის მასშტაბების მკვეთრი შემცირების გრძელვადიანი სტრატეგია, ეფექტიანი პრიორიტეტული პოლიტიკა ჩრდილოვანი ეკონომიკის მასშტაბების მკვეთრი შემცირების მიზნით.

ჩრდილოვანი ეკონომიკა დღესდღეობით განიხილება 2 მოდელით შესაბამისად A და B მოდელი:

ჩრდილოვანი ეკონომიკის შეფასება



ჩრდილოვანი ეკონომიკის ახლებური შეფასებები. შეფასებები ნაკლებად ცვალებადია, რაც აისახება ეკონომიკის ინსტიტუციურ ფაქტორებსა და ეკონომიკურ სტრუქტურაში (მაგალითად, ღია ვაჭრობა და სოფლის მეურნეობის წილი), რომლებიც დროთა განმავლობაში ნელი ტემპით იცვლებიან. 2013 წელს, აღნიშნული მაჩვენებლები 20.7 %-ს შეადგენდა, ხოლო 2016 წელს 20.5 %-ს.

განვითარებადი ეკონომიკების შემთხვევაში მცირედი განსხვავებებია. 2013 წლის მონაცემებით – საშუალო მაჩვენებელი – 34.1 %; 2016 წელს კი 33.2.

პოსტ-სოციალისტური ქვეყნების შეფასებები უფრო მგრძნობიარეა შეფასების სპეციფიკაციების მიმართ. განსაკუთრებით განსხვავდება ადრეული 2000-იანების დასაწყისი. თუმცა, უკანასკნელი დინამიკები შედარებით ერთგვაროვანია. წინასწარი შეფასებების

ცვალებადობაზე შესაძლებელია გავლენა იქონიოს შეზღუდულმა მონაცემებმა, აგრეთვე, მონაცემთა შეგროვების მეთოდოლოგიისა და მონაცემთა დამუშავების ტექნიკის ცვლილებამ 1990-იანი წლების ბოლოდან 2000-იანი წლების დასაწყისამდე.

ცხრილი №2. ჩრდილოვანი ეკონომიკა კონტინენტების მიხედვით[4]:

	2017	2018	2019	2020	2021
მსოფლიო	3.3	3	2.4	5.2	4.2
ქვეყნები განვითარებული ეკონომიკით	2.5	2.1	1.6	7	3.9
ქვეყნები სადაც მიმდინარეობს ეკონომიკური ფორმირება	4.5	4.3	3.5	2.5	4.6
აღმოსავლეთ აზია და წყნარი ოკიანის ქვეყნები	6.5	6.3	5.9	0.5	6.6
ევროპა და ცენტრალური აზია	4.1	3.3	2.2	4.7	3.6
ლათინური ამერიკა და კარიბის ზღვის აუზი	1.9	1.7	0.8	7.2	2.8
ახლო აღმოსავლეთი და ჩრდილოეთ აფრიკა	1.1	0.9	-0.2	4.2	2.3
სამხრეთ აზია	6.5	6.5	4.7	2.7	2.8
აფრიკა საჰარის უდაბნოს სამხრეთით	2.6	2.6	2.2	2.8	3.1

1. მეთოდიკის ძირითადი მიზანი, ამოცანები და პრინციპები.

1.1. მეთოდიკის ძირითადი მიზანი ქვეყნის მასშტაბით და ცალკეულ დარგებში მთლიანი შიგა პროდუქტის მაქსიმალურად ზუსტი გაანგარიშებისათვის ხელშეწყობა და ამის საფუძველზე მეურნე სუბიექტების ეფექტიანი სოციალურ-ეკონომიკური პოლიტიკის შემუშავებისათვის ადეკვატური სტატისტიკური წანამძღვრების უზრუნველყოფა. მისი ფუნქცია სტატისტიკოსებისათვის, ეკონომიკის მართვის ორგანოებისათვის,

4. https://www.vsemirnyjbank.org/ru/publication/global-economic-prospects

საწარმოებისათვის ჩრდილოვანი ეკონომიკის შეფასების ერთიანი შეთანხმებული მეთოდოლოგიური და მეთოდური მიდგომების ჩამოყალიბებით გამოიხატება.

1.2. მეთოდიკის ძირითადი ამოცანებია:

– ჩრდილოვანი ეკონომიკის უარყოფითი შედეგების შემცირებისათვის ხელშეწყობა, ზნეობრივი, თანასწორუფლებიანი, სამართლიანი, კონკურენტული ურთიერთობების გაფართოების, სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარების, მოსახლეობის ცხოვრების დონისა და ხარისხის ამაღლების უზრუნველსაყოფად;

– ჩრდილოვანი ეკონომიკის მკვეთრი შემცირების პრიორიტეტული პოლიტიკის ძირითადი მიმართულებების განსაზღვრა, საქართველოს ეკონომიკის მდგრადი და უსაფრთხო განვითარების, ევროპის კავშირში ინტეგრაციის პირობების სარეალიზაციოდ;

– ჩრდილოვანი ეკონომიკის ინსტიტუციონალიზაციის აღმოფხვრის პირობების გამოვლენა ჩრდილოვანი შემოსავლების, ჩრდილოვანი დაბეგვრის, ბიზნესის ჩრდილოვანი დაცვის, კორუფციის, ჩრდილოვანი ინვესტიციების მასშტაბების შეფასების საფუძველზე და ამით ეფექტიანი სახელმწიფოს გაძლიერების კონკრეტული ღონისძიებების დასაბუთება;

– ჩრდილოვანი ეკონომიკის სტრუქტურული ელემენტების განსაზღვრა.

– ჩრდილოვანი ეკონომიკის მასშტაბების შეფასების მეთოდების შერჩევა და შეფასება;

– ჩრდილოვანი წარმოების, არაკანონიერი წარმოების, არაფორმალურ სექტორში წარმოების, შინამეურნეობებში საკუთარი მოხმარებისათვის პროდუქციის წარმოების, ჩრდილოვანი მაკროეკონომიკური წარმოების, დარგებში ფარული წარმოების გაზომვის მეთოდების განსაზღვრა;

– ჩრდილოვანი ეკონომიკის დაძლევისა და შემცირების პრიორიტეტული მიმართულებების შერჩევა და ამ მიზნით ძალისხმევის კონცენტრაციისათვის ინსტიტუციური და სხვა ღონისძიებების დასახვისათვის ხელშეწყობა;

– მეთოდიკის ინფორმაციული უზრუნველყოფის პირობების შემუშავება.

1.3. ამასთან, გათვალისწინებული უნდა იქნეს შემდეგი ძირითადი პრინციპები:

ფუძემდებლური მნიშვნელობა ენიჭება, უწინარეს ყოვლისა, ჩრდილოვანი ეკონომიკის გაზომვისა და მართვისადმი კომპლექსური, სისტემური მიდგომის უზრუნველყოფას, მისი ყველა სტრუქტურული ელემენტის, შინაგანი და გარეგანი ფაქტორების ურთიერთმოქმედების გათვალისწინებას. მხოლოდ ამ შემთხვევაში შეიძლება ჩრდილოვანი ეკონომიკის მაქსიმალურად ზუსტად გაანგარიშება, მისი შემცირების ღონისძიებების ეფექტიანად და უმოკლეს დროში რეალიზაცია აწმყოში და მომავალში ნეგატიური ტენდენციებისა და მუქარების საპასუხოდ.

ამისათვის ჩრდილოვანი ეკონომიკის საერთო კანონზომიერებებისა და ეროვნული თავისებურებების გათვალისწინება, მისი გაანგარიშებისა და შემცირების ღონისძიებების საერთაშორისო და სამამულო გამოცდილების შესწავლა-განზოგადოებაა საჭირო.

1.4. მეთოდოლოგიურად და პრაქტიკული თვალსაზრისითაც განმსაზღვრელი მნიშვნელობა აქვს აგრეთვე ჩრდილოვანი ეკონომიკის გამომწვევი მიზეზების დადგენას. მათგან მთავარია შემოსავლების მოცულობა. შემოსავლების სიმცირე აიძულებს სახელმწიფო მოხელეებს გააფართოონ კორუფციული ურთიერთობები მეწარმეებთან. მეორე მხრივ, მოსახლეობის შრომის ანაზღაურების, შემოსავლების დაბალი დონე აიძულებს მოქალაქეთა დიდ ნაწილს ჩაებას ჩრდილოვან საქმიანობაში; 2. დაბეგვრის სიმძიმე მეწარმისათვის. მაღალი გადასახადები აიძულებს მეწარმეებს გადაინაცვლონ ჩრდილში, არაოფიციალურ ბიზნესში; 3. კონკურენციის უქონლობა, რაც არაეფექტიანი, სუსტი სახელმწიფოს შედეგია, ხელს უწყობს მეწარმეთა ჩრდილოვან ეკონომიკაში გადასვლას, არაკანონიერი სპეკულაციური შემოსავლებით დაინტერესებას, კონტრაბანდის, ფალსიფიცირებული პროდუქციის წარმოების გაფართოებას; 4. სამუშაო დროის ხანგრძლივობა. მისი სიმცირე საშუალებას აძლევს მუშაკებს, დარჩენილ დროში არალეგალური საქმიანობით დაკავდნენ; 5. უმუშევრობის მას-

შტაბები. უმუშევრობა აიძულებს ადამიანებს არაფორმალურ და არალეგალურ საქმიანობას მიჰყონ ხელი; ნ. სახელმწიფო სექტორის როლი. მისი შედარებით დიდი წილი, როგორც წესი, მოქალაქეებს კორუფციისა და არალეგალური საქმიანობისაკენ უბიძგებს. საერთაშორისო გამოცდილება გვიჩვენებს, რომ ქვეყნებში, რომლებიც ძლიერი, ეფექტიანი სახელმწიფოთი, ინსტიტუციური მოწყობით, თავისუფლების, დემოკრატიის, გამჭვირვალობის, სუბსიდიარობის მაღალი ხარისხით ხასიათდებიან, ჩრდილოვანი ეკონომიკის მასშტაბებიც გაცილებით უფრო მოკრძალებულია.


1.5. ჩრდილოვანი ეკონომიკის სიდიდე იანგარიშება მთლიანი შიგა პროდუქტის მიმართ. ამიტომ გასათვალისწინებელია თვითონ ამ მაჩვენებლის თავისებურებანი, მისი გაანგარიშების სიზუსტის ხარისხი. ასეთი გაანგარიშების სირთულე დაკავშირებულია არა მარტო ტრადიციული საქონლისა და მომსახურების მოცულობის გაანგარიშებასთან, არამედ აგრეთვე თვითწარმოების, შინამეურნეობების პროდუქციის შეფასებასთან, იმ ზარალის განსაზღვრასთან, რასაც ეკოლოგიური გარემოსა და ადამიანის ჯანმრთელობის გაუარესება იწვევს. მთლიანი შიგა პროდუქტის გაანგარიშების კორექტირება, ბუნებრივია, ჩრდილოვანი ეკონომიკის მასშტაბის გაზომვაზეც ზემოქმედებს.

1.6. საქართველოს საერთაშორისო ეკონომიკაში ინტეგრაციის გაღრმავების კვალობაზე ჩრდილოვანი ეკონომიკის გაანგარიშებისა და შემცირების ღონისძიებების სფეროებში საერთაშორისო სტანდარტებთან საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო სამსახურისა და ეკონომიკის მართვის სტრუქტურების ადაპტაციის მოთხოვნილებაც ობიექტურად გაიზრდება. ამიტომ წინამდებარე მეთოდური რეკომენდაციები შესაბამის საერთაშორისო სტანდარტებს ემყარება. მათ შორის უნდა გამოიყოს, პირველ რიგში, ხუთი საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ (ევროპული თანამეგობრობის კომისიის და სხვა) შემუშავებული „ეროვნულ ანგარიშთა სისტემა“ (ეას), ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის მიერ შემუშავებული „დაუკვირვებადი ეკო-

ნომიკის გაზომვა. სახელმძღვანელო. მეთოდურ რეკომენდაციებში გამოყენებულია საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის მიერ შემუშავებული მეთოდური ხასიათის დოკუმენტები ეროვნულ ანგარიშთა სისტემის გაანგარიშებისა და დაუკვირვებადი ეკონომიკის გაზომვის პრობლემების შესახებ, აგრეთვე ცალკეული დარგებისათვის შემუშავებული მეთოდიკები ჩრდილოვანი ეკონომიკის მასშტაბების გაზომვის შესახებ.

1.7. ეროვნულ სტატისტიკურ სისტემას უნდა ჰქონდეს ჩრდილოვანი ეკონომიკის გაანგარიშების პროგრამა ნათელი მიზნებით და როლებისა და პასუხისმგებლობის მკაფიო განაწილებით სტატისტიკოსებს შორის, რომლებიც ეროვნული ანგარიშებითა და გამოკვლევებით არიან დაკავებული. ამ პროგრამის ხარისხი ჩრდილოვანი ეკონომიკის ყოველმხრივი მოცვის დონით განისაზღვრება. უნდა განხორციელდეს ჩრდილოვანი ეკონომიკისა და პოტენციური გადაწყვეტილებების სისტემატური ანალიზი. ეს უკანასკნელი ჩრდილოვანი საქმიანობისა და მისი გაზომვის მეთოდების დაჯგუფების საშუალებას იძლევა. მათი კლასიფიკაცია მიზანშეწონილია ჩრდილოვანი საქმიანობის მიზეზების კლასიფიკაციის საფუძველზე განხორციელდება შემდეგი თანამიმდევრობით: რეგისტრაციის უქონლობა, ანგარიშების არწარმოდგენა, მისი დამახინჯება შემოსავლების დამალვისა და გადასახადების შემცირების მიზნით. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია პროგრამისათვის საჭირო მონაცემების შეგროვება და მათზე გამჭოლი კონტროლი. ჩრდილოვანი ეკონომიკის გაანგარიშება ისეთნაირად უნდა იქნეს ოპტიმიზებული, რომ საწარმოო საქმიანობის სახეებს მაქსიმალურად მოიცავდეს.

ცხრილი №3: ჩრდილოვანი ეკონომიკის მაჩვენებლები მშპ-ს თანმიმართებაში 15 ქვეყნის მიხედვით



1.8. ჩრდილოვანი ეკონომიკის გაანგარიშების სტრატეგია მოიცავს შემდეგ ეტაპებს:

– რაციონალური კონცეპტუალური და ანალიტიკური საფუძვლების განსაზღვრა, რომელიც ჩრდილოვანი ეკონომიკის შეფასების საშუალებას იძლევა;

ცხრილი №3 ჩრდილოვანი ეკონომიკის მაჩვენებელი
2000-2016

– ძირითადი მონაცემებისა და მეთოდების შეფასება;
– ჩრდილოვანი საქმიანობის მასშტაბების განსაზღვრა კონკრეტული გაანგარიშებების საფუძველზე;
– ღონისძიებების პრიორიტეტების განსაზღვრა ჩრდილოვანი ეკონომიკის შესამცირებლად მიმდინარე, საშუალოვადიან და გრძელვადიან პერიოდში.

1.9. ჩრდილოვანი ეკონომიკის დინამიკის მთავარი ინდიკატორებია: მეურნეობის ინსტიტუციური მოწყობის ხარისხი; სახელმწიფოს ხასიათი, როგორი სახელმწიფოა ქვეყანაში, ეფექტიანი, თუ არაეფექტიანი, კორუფციის, საგადასახადო წნეხის, კონკურენციის, შემოსავლების მაღალი დონეა, თუ დაბალი. ამ ინდიკატორების დადებითი დინამიკის უზრუნველყოფა ჩრდილოვანი ეკონომიკის შემცირების კომპლექსური სტრატეგიის შინაარსს განსაზღვრავს.

2. ჩრდილოვანი ეკონომიკის არსი, სტრუქტურა და ტენდენციები

ცხრილი №4. ჩრდილოვანი ეკონომიკის მაჩვენებლები რუსეთის მეზობელი ქვეყნების მიხედვით

ქვეყნები	2009	2010	2011	2012	2013	2014	2015	2016
ალბანეთი	29.0	28.3	27.8	27.8	27.5	27.1	27.5	28.3
ავსტრია	10.4	9.8	9.2	9.3	9.4	9.6	9.7	9.6
ბელგია	24.2	22.7	22.8	21.6	21.8	22.0	22.3	22.1
ბოსნია-ჰერ-ცოგოვინა	36.5	35.8	35.4	36.0	35.7	36.3	35.3	34.4
ბულგარეთი	39.3	39.7	39.0	38.5	38.1	38.0	38.2	37.8
ხორვატია	36.4	36.6	36.7	36.5	36.7	36.3	36.4	35.0
კვიპროსი	31.7	31.3	31.3	32.1	32.1	31.9	31.8	30.4
ჩეხეთი	21.0	21.0	19.1	18.4	18.0	18.0	18.5	19.4
დანია	20.1	19.2	18.7	17.8	18.4	17.6	19.1	18.4
ესტონეთი	37.2	35.4	33.2	33.1	33.4	32.7	32.9	34.6
ფინეთი	21.7	20.8	20.2	20.2	19.3	20.0	20.8	20.0
საფრანგეთი	16.9	15.6	14.9	14.7	14.9	14.5	14.7	15.0
გერმანია	17.3	17.3	16.3	16.2	15.3	16.1	16.9	16.7
საბერძნეთი	32.2	31.8	31.3	30.6	30.4	29.8	30.4	30.2
უნგრეთი	27.7	27.8	26.8	25.9	26.0	25.3	26.1	26.9
ისლანდია	16.6	16.1	15.7	15.6	15.9	16.1	16.3	16.2
ირლანდია	17.1	16.4	16.1	16.2	16.0	15.4	15.8	15.8
იტალია	29.6	28.8	27.9	27.1	26.9	27.6	27.9	27.3
კოსოვო	37.1	37.4	38.0	38.8	39.1	39.2	39.8	38.8
ლატვია	31.5	29.2	29.6	29.3	29.7	29.8	30.4	29.5
ლიეტუა	37.9	36.9	35.7	34.6	35.0	35.6	35.7	35.3
ლუქსემბურგი	10.0	10.0	10.0	9.6	9.7	9.6	10.1	9.7
მაკედონია	37.4	37.5	38.2	39.2	36.9	36.3	37.2	37.5
მონტენეგრო	38.6	40.2	39.1	40.1	38.7	37.9	37.5	38.2

ჰოლანდია	14.2	13.3	11.9	13.9	11.5	13.2	13.2	13.3
ნორვეგია	21.5	20.2	20.7	21.7	21.5	21.1	20.4	20.4
პოლონეთი	29.0	28.1	26.6	27.5	26.7	27.6	29.1	27.8
პორტუგალია	26.6	25.7	25.4	25.7	24.6	24.3	24.5	24.5
რუმინეთი	37.9	36.6	34.5	35.2	34.9	34.7	34.4	34.8
სერბეთი	35.9	35.5	35.0	35.7	35.0	34.7	35.2	34.5
სლოვენი	20.7	21.3	20.1	19.9	19.0	18.2	19.3	19.5
ესპანეთი	29.8	29.6	28.1	28.4	29.1	27.9	28.1	28.0
შვედეთი	22.5	21.5	21.3	21.1	20.5	20.6	20.7	20.3
შვეიცარია	10.1	10.4	10.1	10.4	10.2	10.2	10.5	10.2
თურქეთი	30.4	29.4	28.3	28.9	29.0	29.3	29.0	29.6
დიდი ბრიტანეთი	13.9	12.6	12.6	12.9	12.6	12.9	12.9	12.9

2.1. ეროვნულ და საერთაშორისო პრაქტიკაში აღურიცხავი ეკონომიკის კვლევისა და ანალიზის პროცესში წარმოიშვა სხვადასხვა ტერმინი – იატაკქვეშა, ფარული, ჩრდილოვანი, მეორე, პარალელური, არაფორმალური, არაკანონიერი, კრიმინალური და სხვა, რომელთა შინაარსი ეას-93 მეთოდოლოგიური პრინციპების საფუძველზე ბოლო წლებში დაზუსტდა. მათი დაზუსტებისა და განზოგადოების პროცესში ჩამოყალიბდა „დაუკვირებადი ეკონომიკის" ცნება. მისი გაზომვის კონცეფცია ჩამოყალიბდა ერთიან სახელმძღვანელო დოკუმენტში „Manual of The Non Observed Economy" (NOE). იგი თავისი შინაარსით ეროვნული სტატისტიკური სისტემებით მოუცველი წარმოებით საქმიანობათა სახეებს მოიცავს.

ასეთი მიდგომის მიზანია სხვადასხვა ტიპის აღურიცხავი ეკონომიკის შეფასებები გაერთიანდეს ერთიან მეთოდურ ჩარჩოში ეროვნულ ანგარიშებში მათი ინტეგრირების უზრუნველსაყოფად. ამით სხვა მნიშვნელოვანი საკითხიც წყდება – მთლიანი შიდა პროდუქტის მონაცემები ხდება შესადარი დროსა და სივრცეში, ანუ დროის სხვადასხვა პერიოდებსა და ცალკეულ ქვეყნებს შორის.

2.2. ეკონომიკური საქმიანობის აღურიცხაობის მიზეზები შეიძლება იყოს:

– მეურნე სუბიექტის მიერ წინასწარ განზრახვით რეგისტრაციაზე თავის არიდება;

– გამოკვლევით მოცული ერთეულების მიერ დამახინჯებული და შემცირებული ცნობების წარმოდგენა;

– ქვეყნის სტატისტიკური სამსახურის უუნარობა შეიმუშაოს მეურნე სუბიექტების ამომწურავი სტატისტიკური რეგისტრი და მოახდინოს მისი მუდმივი განახლება.

2.3. დაუკვირვებადი ეკონომიკის ცნება შეიძლება გაგებულ იქნას ორგვარად – რეგულარული სტატისტიკური დაკვირვების თვალსაზრისით და ეროვნული ანგარიშების შედგენის თვალსაზრისით.

პირველ შემთხვევაში დაუკვირვებადი ეკონომიკა ნიშნავს არსებული სტატისტიკური ინფორმაციის სტანდარტული წყაროს მონაცემებით სხვადასხვა მიზეზით მოუცველ ეკონომიკურ საქმიანობას, მოხმარებას ან სხვა ეკონომიკურ ოპერაციებს.

მეორე შემთხვევაში დაუკვირვებადი ეკონომიკა ნიშნავს ეკონომიკის იმ ნაწილს, როელიც არ არის ჩართული ეროვნულ ანგარიშებში, ანუ ეკონომიკის იმ ნაწილს, რომლის რეალური მოცულობის შეფასებისათვის არაპირდაპირი მეთოდების დახმარებითაც კი ვერ ხერხდება არსებული რეგულარული სტატისტიკური დაკვირვების ინფორმაციის შევსება ამისათვის საჭირო სარწმუნო მონაცემების არარსებობის გამო.

2.4. დაუკვირვებადი ეკონომიკა განისაზღვრება როგორც ეროვნულ ანგარიშთა სისტემის (ეას-93) ეკონომიკური წარმოების საზღვრებში განხორციელებული ფარული, არაფორმალური, არაკანონიერი, აგრეთვე, ნებისმიერი სხვა ისეთი საწარმოო საქმიანობა, რომელიც არ არის მონაცემთა შეგროვების რეგულარული სტატისტიკური გამოკვლევებით მოცული.

2.5. ფარული (ჩრდილოვანი) ეკონომიკური საქმიანობა განისაზღვრება, როგორც ეკონომიკური მნიშვნელობით მწარმოებლური საქმიანობა, როემლიც ამავე დროს შეიძლება იყოს სავსებით და მთლიანად კანონიერი, მაგრამ წინასწარ გან-

ზრახვით სახელმწიფო ორგანოებისაგან დამალული. დამალვის მიზეზი შეიძლება იყოს:

– საშემოსავლო გადასახადის, დამატებულ ღირებულებაზე გადასახადის ან სხვა სახის გადასახადის გადახდისაგან თავის არიდება;

– სოცუზრუნველყოფის შენატანებისაგან თავის არიდება;

– დაკანონებული სტანდარტების, მინიმალური შრომის ანაზღაურების, სამუშაო დროის მაქსიმალური ხანგრძლივობის, უსაფრთხოებისა და სანიტარული ნორმების დარღვევათა დაფარვა;

– განსაზღვრული ადმინისტრაციული პროცედურებისაგან, მათ შორის სტატისტიკური კითხვარების და სხვა ანგარიშგების ფორმების შევსებაზე თავის არიდება.

2.6. არაფორმალური სექტორი არის შინამეურნეობების არაკორპორირებული საწარმოების ან საწარმოო ერთეულების ჯგუფი, რომელთა ძირითადი დანიშნულებაა მათში შემავალი პირების უზრუნველყოფა დასაქმებით და ფულადი ან ნატურალური შემოსავლებით. ეს სექტორი მოიცავს:

– საკუთარი გამოყენებისათვის პროდუქციის მწარმოებელ არაორგანიზებული ეკონომიკის საწარმოებს. მასში შედის თვითდასაქმებულთა კუთვნილი, მათ მიერ ერთპიროვნულად, ან ამავე, ან კიდევ სხვა შინამეურნეობების წევრებთან ერთობლივად მართვადი საწარმოები. ასეთ საწარმოებს შეუძლიათ დროებით სამუშაოებზე დაასაქმონ ოჯახის წევრები, ან სხვა პირები, მაგრამ მათ არ გააჩნიათ მუდმივად მომუშავე პერსონალი;

– საწარმოებს არაფორმალური დასაქმებით. იგი მოიცავს სამუშაოს მიმცემთა კუთვნილ, მათ მიერ დამოუკიდებლად, ან ამავე და შესაძლოა სხვა შინამეურნეობების წევრებთან ერთობლივად მართვად შინამეურნეობების საწარმოებს. ასეთ საწარმოებს ჩვეულებრივ ჰყავთ ერთი ან რამდენიმე მუდმივად მომუშავე დაქირავებული მუშაკი.

ამ სექტორში დამქირავებელსა და დაქირავებულს შორის არ ფორმდება რაიმე იურიდიული ხელშეკრულება. მისი საწარმოების მფლობელები დაფინანსების წყაროებს გამონახავენ

საკუთარი რისკის ფასად და მთლიანად პირადად აგებენ პასუხს საწარმოო საქმიანობის პროცესში წარმოქმნილ ვალებსა და ვალდებულებებზე. ასეთი ერთეულების მიერ წარმოებასთან დაკავშირებული ხარჯები შეუძლებელია გამოიყოს მათი საოჯახო ხარჯებისაგან. კაპიტალური საქონელი, მათ შორის შენობები, სატრანსპორტო საშუალებები შეიძლება გამოიყენებოდეს როგორც საწარმოო მიზნით, ისე თვით საოჯახო საჭიროებისათვის.

არაფორმალურ, არაორგანიზებულ სექტორში საქმიანობისას არ იქმნება გადასახადების, სოცუზრუნველყოფის შესატანების გადახდაზე შეგნებულად თავის არიდების, ან შრომითი და სხვა საკანონმდებლო და ადმინისტრაციული განკარგულებების დარღვევის აუცილებლობა. ამით ეს სექტორი განსხვავდება ფარულ ეკონომიკაში მიმდინარე ოპერაციებისაგან.

2.7. არაკანონიერი საქმიანობა, როგორც საწარმოო საქმიანობა, რომელიც ქვეყნის კანონმდებლობით აკრძალულია, ან ნებადართულია, მაგრამ ასეთი საქმიანობა ხორციელდება შესაბამისი უფლებამოსილების არმქონე პირების მიერ. არაკანონიერ საწარმოო საქმიანობას მიეკუთვნება: კონტრაბანდა, ნარკოტიკების წარმოება და გავრცელება, პროსტიტუცია, აკრძალული აზარტული თამაშები, აბორტები, მევახშეობა, სასაქონლო ნიშნების, მარკების გაყალბება, ყალბი ფულის ბეჭდვა, სასურსათო პროდუქციის ფალსიფიცირება და მისი ხარისხით სხვა მაქინაციები, მოპარული ნივთებით ვაჭრობა. კანონიერი საწარმოო საქმიანობა, განხორციელებული არაუფლებამოსილი პირების მიერ, მოიცავს: საქონლის არაკანონიერ წარმოებას, პროფესიულ საქმიანობას ლიცენზიის გარეშე, არაკანონიერ იმპორტსა და ექსპორტს.

არაკანონიერი საქმიანობის არასაწარმოო სახეები, ანუ გადანაწილებითი ოპერაციები მოიცავს: კორუფციას, მოსყიდვას, მოქრთამვას, ქურდობას, ძარცვას, ხალხის გატაცებას გამოსასყიდის გადახდის მიზნით, მძევლების აყვანას, თაღლითობას. ეას-93-ის მიხედვით არაკანონიერი საწარმოო საქმიანობის სახეები წარმოების საზღვრებში, მთლიანი შიგა პროდუქ-

ტის შეფასებაში შედის, ხოლო მისი არასაწარმოო სახეების შეყვანა რეკომენდებული არ არის, რადგანაც ამ შემთხვევაში არაკანონიერი და ზნეობრივად გაუმართლებელი საქმიანობის სტიმულირება დამკვიდრდებოდა.

2.8. ვიწრო გაგებით ჩრდილოვანი ეკონომიკა ფარულ ეკონომიკას გულისხმობს. დაუკვირვებადი ეკონომიკა საერთაშორისო სტანდარტებით სამ სტრუქტურულ ელემენტს – ფარულ, არაოფიციალურ და არაკანონიერ ეკონომიკას მოიცავს. მაგრამ გასათვალისწინებელია შემდეგი გარემოებანი. სტატისტიკურად ამ ელემენტების ერთმანეთისაგან ზუსტად გამოყოფა და ადეკვატურად გაანგარიშება ვერ ხერხდება. ფარულ ეკონომიკაში საქმიანობა კანონიერია, მაგრამ შემოსავლები შეგნებულად იმალება, რის გამოც ისიც კრიმინალურია. არაფორმალურ სექტორში საქმიანობა ძირითადად კანონიერია, მაგრამ შემოსავლები არაშეგნებულად იმალება, რის გამოც მისი აღრიცხვა შეუძლებელია. არაკანონიერ სექტორში საქმიანობა საერთოდ კრიმინალურია და შემოსავლებით იმალება.

მეორე მხრივ, ყველა ამ სექტორს, მიუხედავად ერთმანეთისაგან განსხვავებისა, აერთიანებს არსებითი ნიშანი – შემოსავლების დამალვა, აღურიცხაობა, ჩრდილში მოქცევა. აქედან გამომდინარე, დაუკვირვებადი ეკონომიკა, როგორც სტატისტიკური ფენომენი, აღურიცხავი, ჩრდილოვანი ეკონომიკა. მაგრამ აღურიცხავი არის იმიტომ, რომ თავისი არხით სამივე ელემენტი ფარულია, ჩრდილში მოქცეულია, მეორე, პარალელური, არაოფიციალური, ჩრდილოვანი ეკონომიკაა.

2.9. ეკონომიკის გლობალიზაციისა და მომავლისათვის კონკურენციის გაძლიერების პირობებში ჩრდილოვანი ეკონომიკის მასშტაბების შემცირება ქვეყნის ერთ-ერთ ყველაზე უფრო უმნიშვნელოვანეს პრიორიტეტად ყალიბდება. ამ პრობლემის წარმატებით გადაწყვეტა ჩრდილოვანი ეკონომიკის სფეროში მოქმედი ტენდენციების დაუფლებასა და გათვალისწინებას მოითხოვს. მათ შორის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია შემდეგი ძირითადი ტენდენციები:

– ეკონომიკის ვირტუალიზაციის, სახელმწიფოებრივი და ზესახელმწიფოებრივი მართვის როლის გაძლიერების კვალო-

ბაზე ჩრდილოვანი ეკონომიკის ზრდა, რაც ამ პროცესების რაციონალიზაციისა და ოპტიმიზაციის ამოცანის მკვეთრად აქტუალიზებას იწვევს;

– სიღარიბის დაძლევის, სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დონის ამაღლების პარალელურად ჩრდილოვანი ეკონომიკის შემცირებისათვის ეკონომიკის ინსტიტუციური მოწყობის, წესრიგის, ბიზნესისათვის ხელშემწყობი ინსტიტუციური გარემოს, შემოსავლების დაფარვის შესაძლებლობების, სამართლებრივი ხვრელების აღმოფხვრის გადამწყვეტი მნიშვნელობის ამაღლება;

– საერთაშორისო სტანდარტების მნიშვნელობის გაძლიერება ჩრდილოვანი ეკონომიკის გაზომვისა და მისი შემცირების ღონისძიებების სრულყოფასა და განხორციელებაში;

– ჩრდილოვანი ეკონომიკის შემცირების კომპლექსური სტრატეგიის განხორციელების ტენდენცია პრიორიტეტების გამოყოფის საფუძველზე, ფარული ეკონომიკის შემცირებისათვის უპირატესად ინსტიტუციური წესრიგის უზრუნველყოფის, არაფორმალური ეკონომიკის შემთხვევაში უპირატესად თვითწარმოების, ერთი პირის საწარმოს მასშტაბების სტატისტიკის სრულყოფის, არაკანონიერი საქმიანობის შემთხვევაში უპირატესად სამართლებრივი წესრიგის აქტუალიზების სახით.

3. ჩრდილოვანი ეკონომიკის შეფასების მეთოდების თავისებურებანი

3.1. ჩრდილოვანი ეკონომიკის შეფასებისათვის განსხვავებული მეთოდები გამოიყენება.

3.2. მათ შორის გავრცელებულია სპეციფიკური ინდიკატორების მეთოდი, დეტერმინანტების შეფასების მეთოდი, სტრუქტურული მეთოდი და კომბინირებული მეთოდი. სპეციფიკური ინდიკატორების მეთოდი დაკავშირებულია რომელიმე ერთი მაჩვენებლის გამოყენებასთან, რომელიც ჩრდილოვანი საქმიანობის დონეს გამოხატავს და პირდაპირი ან ირიბი მეთოდებით იანგარიშება. დეტერმინანტების შეფასების ანუ რბილი

მოდელირების მეთოდი ჩრდილოვანი ეკონომიკის განმსაზღვრელი ფაქტორების ერთობლიობის გამოყენებას გულისხმობს და მისი შეფარდებითი მოცულობების გაანგარიშებას ემსახურება. სტრუქტურული მეთოდი წარმოების სხვადასხვა დარგში ჩრდილოვანი ეკონომიკის გაზომვას ემყარება. კომბინირებული მეთოდი სხვადასხვა მეთოდის შედარებით გამოყენებას გულისხმობს.

ცხრილი №5: ჩრდილოვანი ეკონომიკური საქმიანობის ტიპების ტაქსონომია[5] (ცხრილის სტრუქტურა აღებული გიპპერტ ანდ ჭალკერ– დან (1997, გვ. 5))

საქმიანობის ტიპი	მონეტარული ოპერაციები		არამატერიალური ოპერაციები	
უკანონო საქმიანობა	ვაჭრობა მოპარული საქონლის; ნარკოტიკების და წარმოება; პროსტიტუცია; სათამაშო კონტრაბანდა და თაღლითობა		ბარტერი: ნარკოტიკები, მოპარული საქონელი, კონტრაბანდა და ა.შ. წამლების წარმოება ან დამმზადება საკუთარი მოხმარებისთვის. ქურდობა	
	გადასახადის გადაუხდელობა	თავიდან აცილება	გადასახადის გადაუხდელობა	თავიდან აცილება
ლეგალური საქმიანობა	დაუსაბუთებელი შემოსავალი თვითდასაქმება; ხელფასები, ხელფასები და აქტივები იურიდიულ სამსახურებთან დაკავშირებული დაუდგენელი სამუშაოებიდან	თანამშრომლების ფასდაკლება, შეღავათებით	სანაცვლოდ იურიდიული მომსახურება და საქონელი	თვითდასაქმება და მეზობმყეი დახმარება

3.3. შეფასების პირდაპირი მეთოდები გამოიყენება ეკონომიკურ ოპერაციებში უშუალოდ მიმწოდებლების (მწარმოებელი, გამყიდველი) ან მყიდველების (მომხმარებლების) ჩრდილოვან ეკონომიკაში შესასწავლად, საწარმოების, შინამეურნეობების ან ცალკეულ პირთა სტატისტიკური გამოკვლევის ან

5. https://www.researchgate.net/publication/227160638_Shadow_Economy

ადმინისტრაციული ორგანოებიდან მიღებული ინფორმაციით, რომელიც ემყარება:

– ტერიტორიული შერჩევების ბაზაზე ორგანიზებულ გამოკვლევებს;

– სამუშაო ძალის ან სამუშაო დროის გამოყენების გამოკვლევებს;

– საგადასახადო სამსახურის და სხვა ადმინისტრაციულ წყაროებს.

პირდაპირი მეთოდები მოიცავს მოსახლეობის და ექსპერტების გამოკითხვის მასალების დამუშავებას, მოსახლეობის გარკვეული ჯგუფების შერჩევით გამოკითხვებს, ცალკეული საწარმოების საბუღალტრო მონაცემების, საწარმოებისა და მოსახლეობის საგადასახადო დეკლარაციების ანალიზს და ა.შ. ყველამ ამ შემთხვევაში მუშავდება მეთოდიკა მიღებულ შედეგების მთელ ეკონომიკაზე ან მის სექტორებზე გავრცელების შესახებ.

3.4. შეფასების არაპირდაპირი მეთოდები უპირატესად ოფიციალური სტატისტიკის, საგადასახადო და ფინანსური ორგანოების კრებსითი ეკონომიკური მონაცემების გამოყენებას ემყარება. მათ შორის განსაკუთრებით გავრცელებულია: საერთაშორისო გამოცდილებით ჩანს, რომ ჩრდილოვანი ეკონომიკის შეფასების პირდაპირი მეთოდები ერთგვარად ამცირებს მის ფაქტობრივ სიდიდეს, რადგანაც ისინი უშუალოდ მიმწოდებლებისა და მყიდველების ამოსავალ ინფორმაციას ეყრდნობა, რომლებიც, ბუნებრივია, დაინტერესებული არიან შემოსავლების დაფარვით. მეორე მხრივ, შეფასების ირიბი მეთოდების გამოყენება ხშირად ჩრდილოვანი ეკონომიკის ფაქტორივთან შედარებით გადიდებულ სიდიდეს აფიქსირებს, რაც შემოსავლების ხელოვნური ზრდის პროცესების ინტენსიფიკაციით აიხსნება. ამ მეთოდების გამოყენების სწორედ ასეთი შედეგები იწვევს უკანასკნელ პერიოდში რბილი მოდელირების, სტრუქტურული და კომბინირებული მეთოდების გამოყენების გაფართოების ტენდენციას, თუმცა ინფორმაციული უზრუნველყოფის უკმარისობის გამო ეს ძლიერი სტატისტიკური სამსახურების არსებობის პირობებშიც კი ფრიად რთულ ამოცანას წარმოადგენს. გასათვალისწინებელია საერთაშო-

რისო შესადარისობის მოთხოვნებიც, პირდაპირი შეფასების მეთოდებისა და ირიბი შეფასების მეთოდებიდან საბალანსო, დასაქმების და მონეტარული მეთოდების გავრცელება.

აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნები ხედავენ, რომ მათი ჩრდილოვანი ეკონომიკა უფრო მკაფიოდ ამოძრავებს ინსტიტუციონალურ ფაქტორებს. პატარა, უფრო ერთგვაროვან კომპლექტი ქვეყნებში ვიყენებთ შემთხვევითი ეფექტი მოდელი. საორიენტაციო დაზუსტება:

3.6. საკმაოდ გავრცელებულია სრული და ნაწილობრივი ანალიზის მეთოდების გამოყენება. პირველ შემთხვევაში განისაზღვრება ჩრდილოვანი ეკონომიკის მთლიანი მოცულობა სხვადასხვა პარამეტრის ანალიზის საფუძველზე. მეორე შემთხვევაში ჩრდილოვანი ეკონომიკის მოცულობა განისაზღვრება მისი ცალკეული ფორმების, ეკონომიკური საქმიანობის სხვადასხვა სახეების მიხედვით.

სრული ანალიზის მეთოდებს შორის გამოიყენება სავალუტო და ეკონომეტრიკული მეთოდები. სავალუტო მეთოდის გამოყენება ეფუძნება იმ დაშვებას, რომ ჩრდილოვანი ეკონომიკური გარიგებები ძირითადად ნაღდი ანგარიშსწორებით ხორციელდება. იგი წარმატებით გამოიყენება განვითარებულ ქვეყნებში, სადაც თითქმის ყველა ლეგალური ეკონომიკური გარიგება უნაღდო ანგარიშსწორებით ხორციელდება. მაგრამ იმ ქვეყნებში, სადაც ოპერაციების დიდი ნაწილი ნაღდი ანგარიშსწორებით ხორციელდება, სავალუტო მეთოდის გამოყენება თითქმის უშედეგოა.

ეკონომეტრიკული მეთოდი ჩრდილოვანი ეკონომიკის ფაქტორული ცვლადების საფუძველზე ეკონომეტრიკული მოდელების აგებას გულისხმობს. თუმცა ეს მეთოდი საჭიროებს ინფორმაციის ფართო და საიმედო ბაზას, რაც პრაქტიკულად ძნელი განსახორციელებელია.

3.7. ნაწილობრივი ანალიზის მეთოდი ჩრდილოვანი საქმიანობის ცალკეული სახეების და ქვესახეების პირდაპირი ან არაპირდაპირი შეფასების მეთოდების გამოყენებით გამოიხატება. ამ მიზნით იყენებენ: პირდაპირი შეფასებების მეთოდს; შრომის ბაზრის შეფასების მეთოდს; მომხმარებელთა ანკეტური გამოკითხვის მეთოდს.

პირდაპირი შეფასებების მეთოდით ხორციელდება კეთილსინდისიერად მომუშავე მსხვილი საწარმოების უმნიშვნელოვანესი მახასიათებლების ექსტრაპოლაცია მცირე და საშუალო სიდიდის კერძო საწარმოებზე. ხდება ეკონომიკური საქმიანობის შესაბამის სფეროებში დაგირავებით შრომის პროდუქტიულობისა და საქმიანობის მომგებიანობის ზღვრული დონეების შეფასება, შემდეგ კი ამ შეფასებების გამოყენებით ხორციელდება შესაბამის სექტორებში პროდუქციის წარმოების, ხარჯების, ხელფასების, მოგების რეალური მოცულობების გაანგარიშება, საბოლოოდ კი, ჩრდილოვანი ეკონომიკის საერთო მოცულობის დადგენა.

შრომის ბაზრის შეფასების მეთოდი სტატისტიკური ანგარიშებით მიღებული დასაქმების მაჩვენებლებისა და არარეგისტრირებული დასაქმების ურთიერთშედარებასა და დაზუსტებას გულისხმობს. ამის საფუძველზე კი, ჩრდილოვანი ეკონომიკის მოცულობის განსაზღვრა ხორციელდება. მომხმარებელთა ანკეტური გამოკითხვის მეთოდის არსი ისეთი საქონლისა და მომსახურების შესყიდვების მოცულობის განსაზღვრაში გამოიხატება, რომლებიც ჩრდილოვანი ეკონომიკის სფეროს განეკუთვნება.

3.8. ჩრდილოვანი ეკონომიკის გაზომვის მეთოდების წარმატებული რეალიზაცია ქვეყნის სტატისტიკური სამსახურების, სტატისტიკური ინფორმაციის, მონაცემთა ბაზის მუდმივ სრულყოფასა და საერთაშორისო სტანდარტებთან თავსებადობის უზრუნველყოფას მოითხოვს უახლესი ტელეკომუნიკაციური და ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენებით.

3.9. ჩრდილოვანი ეკონომიკის გაზომვის სხვადასხვა მეთოდის შედარებითი ანალიზი მათი პრიორიტეტული გამოყენების შემდეგ თავისებურებებს გვიჩვენებს: ფარული ეკონომიკის გაზომვისათვის გამოიყენება მისი შეფასების როგორც პირდაპირი და ირიბი, ისე რბილი მოდელირებისა და სტრუქტურული მეთოდი, რაც კომბინირებული მეთოდის გამოყენების კარგ შესაძლებლობას ქმნის; არაფორმალური ეკონომიკის გაზომვისათვის უპირატესად საექსპერტო მეთოდი გამოიყენება; არაკანონიერი ეკონომიკის გაზომვისათვის უპირატესად პირდაპირი მეთოდები გამოიყენება.

3.10. უკანასკნელ პერიოდში ფინანსური გლობალიზაციის გაღრმავებასთან, კაპიტალის საერთაშორისო მოძრაობის ინტენსიფიკაციასთან, რისკების გაძლიერებასთან, სპეკულაციური შემოსავლების ზრდასთან და ჩრდილოვანი ეკონომიკის გაანგარიშების საერთაშორისო შესადარისობის უზრუნველყოფასთან დაკავშირებით განსაკუთრებულ ყურადღებასა და გავრცელებას მონეტარული და სტრუქტურული მეთოდები პოულობს.

4. ჩრდილოვანი ეკონომიკის გაანგარიშების მეთოდები

4.1. მონეტარული მეთოდები

4.1.1. ოპერაციების მეთოდი

4.1.1.1. ოპერაციების მეთოდი, შემუშავებული ფეიგის მიერ (Feige 1979), ემყარება შემდეგ მსჯელობას.

ამოსავალი პუნქტია ი. ფიშერის ტოლობა: MV=Pt

ამ ტოლობის მიხედვით ფულის მარაგი (M), გამრავლებული მიმოქცევის სიჩქარეზე (V), ტოლია ოპერაციების საერთო რაოდენობისა, რომლის ანაზღაურება ხდება ამ ფულით (t), გამრავლებული ოპერაციების ფასზე (P). იგულისხმება, რომ ფულის ნაკადებსა და დამატებული ღირებულების საერთო მოცულობას შორის თანაფარდობა მუდმივი სიდიდეა (k), ანუ Pt= კ*საერთო,

სადაც, დამატებული ღირებულების საერთო მოცულობა (Yსაერთო) არის ოფიციალური დამატებული ღირებულების (Yოფიციალი) და ჩრდილოვანი დამატებული ღირებულების (Yჩრდ) ჯამი. მაშასადამე,

MV=k (Yოფიციალური+ Yჩრდ),

ანუ MtVt=k (Yოფიციალურიტ+ Yჩრდტ) განსაზღვრულ წლებში, ტ=0,1...თ.

ფულის მარაგი (ნაღდი ფული პლუს დეპოზიტები მოთხოვნამდე) ადვილად იანგარიშება, ფულის მიმოქცევის სიჩქარე შეიძლება შეფასდეს, ხოლო დამატებული ღირებულების ოფიციალური შეფასება ცნობილია. ამგვარად, თუ ჩრდილოვანი ეკონომიკის თანაფარდობა ოფიციალური ეკონომიკის

მიმართ ცნობილია, მაშინ მისი ჩრდილოვანი ნაწილის გაანგარიშება მომდევნო წლებისათვის შესაძლებელია.

ამ მეთოდის გამოყენებისას პრობლემას წარმოადგენს ის, რომ გაანგარიშებაში შეიძლება მოხვდეს ისეთი ფულადი ოპერაციები, რომლებსაც არაფერი აქვთ საერთო შემოსავლის წარმოშობასთან, ან ფული, რომელიც მიმოქცევაში კი არ არის, არამედ სიმდიდრის სახით ინახება.

4.1.1.2. ჩრდილოვანი ეკონომიკა შეიძლება შეფასდეს გარიგებების საერთო ფულადი მოცულობის საფუძველზე. ამ შემთხვევაში:

E=VC

სადაც, C არის ჩრდილოვანი ეკონომიკის სიდიდე

V – ფულის მიმოქცევის სიჩქარე

E – მომხმარებელთა დანახარჯები

თუ მომხმარებელთა დანახარჯები მთლიანი შიგა პროდუქტის (Y) 80% შეადგენს, მაშინ ჩრდილოვანი შემოსავლები შემდეგნაირად იანგარიშება:

Yჩრდილოვანი=E80/100= E/0,8

ამ მეთოდით გაანგარიშებისას საჭიროა შემდეგი მოთხოვნების გათვალისწინება:

1. საგადასახადო განაკვეთის განსაზღვრა

2. ჩრდილოვან ეკონომიკაში გამოყენებული ფული უდრის სხვაობას გადასახადების ჩათვლით ფულის მოთხოვნასა და გადასახადების გარეშე ფულის მოთხოვნას შორის

3. ფულის მიმოქცევის სიჩქარე ერთნაირია როგორც ჩრდილოვანი, ისე ოფიციალური ეკონომიკის პირობებში

ამ მეთოდის გამოყენებისას თავს იჩენს შემდეგი პრობლემები:

– ეს მეთოდი არ მოიცავს იმ არაოფიციალურ გარიგებებს, როდესაც გაცვლაში არ მონაწილეობს ფული;

– საგადასახადო განაკვეთი მიჩნეულია ჩრდილოვანი ეკონომიკის მთავარ გამომწვევ მიზეზად, სხვა მიზეზების არსებობისას ამ მეთოდის შედეგიანობა კლებულობს;

– ნაღდ ფულზე მოთხოვნის ცვლილებამ შეიძლება პირდაპირ არ გამოიწვიოს ჩრდილოვანი ეკონომიკის მოცულობის

ცვლილება, არამედ ეს უკანასკნელი შეიძლება დეპოზიტზე მოთხოვნის ცვლილებამ გამოიწვიოს;

– ფულის მიმოქცევის სიჩქარე ოფიციალურ და ჩრდილოვან ეკონომიკაში შეიძლება სხვადასხვანაირი იყოს.

4.1.2. ნაღდი ფული/დეპოზიტური თანაფარდობის მეთოდი

ეს მეთოდი ემყარება ინფორმაციას ნაღდ და უნაღდო, ანუ ნაღდ დეპოზიტურ თანაფარდობას. გუტმანის (Gutmann, 1977) მიხედვით ამ თანაფარდობაზე ზემოქმედებს მხოლოდ ცვლილებები და ბეგარისა და სხვა სამთავრობო წესებში, რომლებიც ცვლიან ადამიანების მიერ გადახდების ფორმას, ხოლო გადახდების ქცევის ცვლილების მთავარი მიზეზია ადამიანების მისწრაფება დამალოს განსაზღვრული საქმიანობა გადასახადების გადახდისა და სხვა შემზღუდავი ღონისძიებებისაგან. გუტმანი ამ ფარულ საქმიანობას ჩრდილოვან ეკონომიკად მიიჩნევს და ნაღდ/დეპოზიტურ თანაფარდობას მისი მოცულობის განსაზღვრისათვის იყენებს.

ასეთი მიდგომით:

მშპჩრდ = მშპოფიც/DD(1+C/DD0) [M1-DD(1+C/DD0]

სადაც, მშპჩრდ – ჩრდილოვანი ეკონომიკის მთლიანი შიგა პროდუქცია,

მშპოფიც – ოფიციალური ეკონომიკის ნომინალური მთლიანი შიგა პროდუქცია

C – მიმოქცევაში მყოფი ფულის მასაა

DD – მოთხოვნამდე დეპოზიტების მოცულობაა

C/DD – მიმოქცევაში მყოფი ფულის მასის წილი მოთხონამდე დეპოზიტებში

M1 – ვიწრო ფული (ნაღდი ფული მიმოქცევაში+მოთხოვნამდე დეპოზიტები)

ამ მეთოდს ახასიათებს ზოგიერთი დაშვება, რომელიც რეალობას არ შეესაბამება. კერძოდ, მიჩნეულია, რომ ფულის ერთეული ისეთივე პროდუქტიულია ჩრდილოვან ეკონომიკაში, როგორც ოფიციალურ ეკონომიკაში; „ჭარბი" ფული გამოიყენება მხოლოდ ჩრდილოვან ეკონომიკაში; ნაღდი/დეპოზიტური თანაფარდობის ცვლილება დაკავშირებულია მხოლოდ ჩრდილოვან ეკონომიკასთან. ამ დაშვებების გამო

სპეციალისტების დიდი ნაწილი უპირატესობას ოპერაციების მეთოდს ანიჭებს.

4.1.3. ნაღდ ფულზე მოთხოვნის მეთოდი

ტანციმ (Tanzi, 1980,1982) დაასაბუთა ორი ძირითადი დებულება: ფარული საქმიანობა მაღალი გადასახადების უშუალო შედეგია და არალეგალური გარიგებები ძირითადად ნაღდი ფულის მეშვეობით ხორციელდება.

მოთხოვნა ნაღდ ფულზე ამ მოდელში განისაზღვრება გამომდინარე ტოლობიდან:

$\ln c/m_2=a_0+a_1.\ln T+a_2.\ln WS/NI+a_3/\ln R+a_4.\ln 4+E$

სადაც C არის ნაღდი ფული;

M2 – ფულის მოცულობა მიმოქცევაში (ნაღდი პლუს ანაბრების ყველა სახე)

Y – რეალური შემოსავალი მოსახლეობის ერთ სულზე;

T – საშემოსავლო გადასახადის სიდიდე;

R – საპროცენტო განაკვეთი ანაბრებზე;

WS/NI – ხელფასის და სხვა გასაცემლების წილი დამატებულ ღირებულებაში, ეროვნულ შემოსავალში;

E – შეცდომა

ამგვარად, მოთხოვნა ნაღდ ფულზე განიხილება როგორც დაბეგვრის დონის, ანაბრებზე საბანკო საპროცენტო განაკვეთის, ხელფასის და სხვა გასაცემლების, მოსახლეობის ერთ სულ შემოსავლების ფუნქცია.

ფულის საერთო მასიდან ფარულ ოპერაციებში გამოყენებული ფულის მასის მიმოქცევის სიჩქარეზე გამრავლებით ჩრდილოვანი ეკონომიკის მოცულობა მიიღება.

თუ ჩავთვლით, რომ გადასახადები არ არსებობს, ანუ თ=0, მაშინ შეიძლება ჩრდილოვან ეკონომიკაზე გადასახადების ზემოქმედება გაიზომოს.

ამ მეთოდის გამოყენების პრობლემა დაკავშირებულია იმასთან, რომ ჩრდილოვანი გარიგებები მხოლოდ ნაღდი ფულის მეშვეობით არ ხორციელდება. მიუხედავად აღნიშნული ნაკლოვანებებისა, მონეტარული მეთოდების გამოყენება ფინანსური გლობალიზაციის და ექსპანსიის პირობებში პერსპექტიულად უნდა მივიჩნიოთ, ამიტომ

მათი სრულყოფა თანამედროვე სტატისტიკის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ამოცანაა.

4.2. საბალანსო მეთოდები. ეს მეთოდი ურთიერთდაკავშირებული მაჩვენებლების შედარებას ემყარება, რომლებიც სხვადასხვა თვალსაზრისით ახასიათებს საკვლევ მოვლენას (შემოსავლები და გასავლები, რესურსები და მათი გამოყენება და ა.შ.). შესაბამისი მაჩვენებლების რაოდენობრივი მახასიათებლების შეუთავსებლობა იმ ჰიპოთეზების წამოყენების საშუალებას იძლევა, რომლებიც განსხვავებისა და საჭირო შესწორების სიდიდის შესახებ მიზეზებს განსაზღვრავს. საბალანსო მეთოდის გამოყენების ხარისხსი მით უფრო მაღალია, რაც უფრო მეტი ურთიერთდაკავშირებული პარამეტრები შეუდარდება ერთმანეთს. საბალანსო მეთოდი წარმატებით რეალიხდება მაკროეკონომიკური გაანგარიშებებისას, ეროვნული ანგარიშების, დარგთაშორისი ბალანსის, მოსახლეობის ფულადი შემოსავლებისა და გასავლების აგებისას და ა.შ. საბალანსო მეთოდის დახმარებით შეიძლება ფარული წარმოების, შემოსავლების, ხელფასის, კაპიტალის და ა.შ. გაანგარიშება.

მთლიანი შიგა პროდუქტი, გაანგარიშებული როგორც ერთობლივი შემოსავალი საწარმოო საქმიანობისაგან, უნდა შევუდაროთ მთლიან შიგა პროდუქტს, რომელიც საერთო გასავლების ჯამის სახით იანგარიშება. ჩრდილოვანი ეკონომიკის უქონლობის შემთხვევაში სხვადასხვა მეთოდით გაანგარიშებული მთლიანი შიგა პროდუქტი ერთმანეთის ტოლი უნდა იყოს. დანახარჯების მიხედვით გაანგარიშებული მთლიანი შიგა პროდუქტი შედარებით უფრო სწორია, რადგანაც გამოკითხულები არ არიან დაინტერესებული თავისი ხარჯების დამალვით. მთლიანი შემოსავლების საფუძველზე გაანგარიშებული მთლიანი შიგა პროდუქტი კი, როგორც წესი, ხელოვნურად შემცირებულია, რადგანაც სუბიექტები ამცირებენ თავის შემოსავლებს გადასახადებისაგან თავის არიდების მიზნით. პირველი მაჩვენებლის მეტობა მეორის მიმართ ჩრდილოვანი ეკონომიკის მოცულობას გამოხატავს.

საბალანსო მეთოდს მიეკუთვნება სასაქონლო ნაკადების მეთოდი. ამ მეთოდის გამოყენება მაღალი სტატისტიკური კულტურის მაჩვენებელია. იგი მრავალ ქვეყანაში წარმატებით გა-

მოიყენება. ამ მეთოდის არსი იმით გამოიყატება, რომ სასაქონლო ნაკადი, ღირებულების მოძრაობა წარმოებიდან გამოყენებამდე, ყალიბლება არა მაკრომაჩვენებლებისათვის, არამედ უმნიშვნელოვანესი პროდუქტებისა და სასაქონლო ჯგუფებისათვის. იგი ინფორმაციული ბაზის სრულყოფის ინსტრუმენტიცაა. მაგალითად, თუ რომელიმე საქონლის ჯამური რესურსების (წარმოებისა და იმპორტის) მოცულობა მათი ჯამური გამოყენების (საბოლოო და შუალედური მოხმარება+დაგროვება+ექსპორტი) მოცულობაზე მცირეა, უნდა შეფასდეს ინფორმაციის რომელი ნაწილი – წარმოების ან იმპორტის – არის უფრო საიმედო, რომ მის საფუძველზე მოხდეს მეორე ნაწილის გაანგარიშების დაზუსტება. სასაქონლო ნაკადების ფართოდ გამოყენება იმას ადასტურებს, რომ საბალანსო მეთოდი დარგობრივი სტატისტიკის დონეზე გამოიყენება.

4.3. დასაქმების მეთოდი. ამ მეთოდებს შორის აღსანიშნავია „იტალიური მეთოდი", რომელიც ერთ-ერთი ყველაზე უფრო ავტორიტეტულია ჩრდილოვანი ეკონომიკის პარამეტრების გაანგარიშებებისას. ამ მეთოდის შემუშავება გამოწვეულია იმით, რომ ზუსტი მონაცემების მოპოვება წარმოების შესახებ, განსაკუთრებით მცირე ბიზნესისა და მომსახურების სფეროს შემთხვევაში, ფრიად გართულებულია. ამის მიზეზია წარმოების მაჩვენებლების შეგნებული შემცირება გადასახადების გადახდებისაგან თავის არიდების მიზნით. მცირე საწარმოების მონაცემების მოპოვება საერთოდ გაძნელებულია, ან ისინი საერთოდ არ აისახებიან სტატისტიკურ რეგისტრში.

აქცენტი კეთდება სამუშაო ძალის დანახარჯების შესწავლაზე, შესრულებული სამუშაო დროის მიხედვით. პირველადი მონაცემების მოპოვება ხდება არა კითხვარების საშუალებით, რომლებიც საწარმოებს უბრუნდება, არამედ საშინაო მეურნეობების სპეციალურად ორგანიზებული გამოკვლევების მონაცემებისაგან. საშინაო მეურნეობები შემთხვევით შეირჩევა. გამოიკითხებიან უშუალოდ საშინაო მეურნეობების წევრები ამა თუ იმ დარგში მათ მიერ დახარჯული საათების რაოდენობის შესახებ. აღირიცხება სამუშაო დროის ნებისმიერი დანახარჯები – მსხვილ და მცირე საწარმოებში და ინდივიდუა-

ლურად. რადგანაც ადამიანებს არ ეკითხებიან შემოსავლების შესახებ, მათთვის აზრი არა აქვს დაამახინჯონ დახარჯული სამუშაო დროის მონაცემები. მიღებული ინფორმაცია შემდეგ დამუშავდება და ვრცელდება გენერალურ ერთობლიობაზე. დასაქმების მეთოდის მიდგომა ჩრდილოვანი ეკონომიკისადმი გამოიხატება იმით, რომ მონაცემები სამუშაო ადგილების შესახებ, მიღებული სტატისტიკოსების მიერ (აღწერები და გამოკვლევები) უდარდება იურიდიული და საგადასახადო ორგანოების, აგრეთვე სოციალური უზრუნველყოფის ორგანოების მონაცემებს, ეკონომიკური საქმიანობისა და ტერიტორიული კლასიფიკაციის მიხედვით. შემდეგ ხდება ყველა დასაქმებულის დათვლა, რომლებიც სრული სამუშაო კვირით, ნაწილობრივი ან დამატებითი სამუშაოთი არიან დასაქმებულნი სრული დასაქმების (სრული სამუშაო დღის) ეკვივალენტად. შრომისა და ერთ მუშაკზე გამომუშავების მიღებული ერთეულები გამოიყენება პროდუქციის გამოშვებისა და დამატებული ღირებულების გაანგარიშებისათვის საქმიანობის სახეების მიხედვით, რაც მეწარმეების მიერ აღურიცხავი პროდუქციის მოცულობის კორექტირების საშუალებას იძლევა.

დარგებში გაანგარიშებისას გამოიყენება დინამიკური რიგები შემდეგი მაჩვენებლებით: შექმნილი ეროვნული შემოსავალი (N1), დასაქმებულთა საერთო რაოდენობა (E), დასაქმებულთა რაოდენობის შეფასება სხვა სამუშაო კვირაში გადაანგარიშებით (FTE), დაქირავებულთა შრომის ანაზღაურება (C). მაშინ ეროვნული შემოსავალი:

NI=E x FTE/E x C/FTE x N1/C

ამის საფუძველზე ზუსტდება ეროვნული შემოსავლისა და ეროვნული პროდუქტის სიდიდეები, პირადი შემოსავლები, მათი ნამატის სიდიდე ოფიციალურ მონაცემებთან შედარებით. ეს უკანასკნელნი გვიჩვენებენ ფარული წარმოებისა და შემოსავლების სიდიდეს ქვეყანაში და ცალკეული დარგების მიხედვით.

4.4. გლობალური ინდიკატორებისა და ტექნოლოგიური კოეფიციენტების მეთოდი

4.4.1. ეს მეთოდი ფართოდაა გავრცელებული. იგი გულისხმობს წარმოების დინამიკის განსაზღვრას, ელექტროენერგიის წარ-

მოებასა და მოხმარებაზე სატრანსპორტო გადაზიდვებზე და სხვა ირიბ მაჩვენებლებზე დაკვირვებას, მიღებული მონაცემების ოფიციალურ მონაცემებთან შედარების მიზნით. მაგალითად, განისაზღვრება გარკვეული პერიოდისათვის 1 კვტ/სთ ელექტროენერგიის მოხმარებით მიღებული მშპ და ხდება მისი შედარება ოფიციალურ მაჩვენებელთან. სხვაობა წარმოდგენას გვაძლევს ჩრდილოვანი წარმოების სიდიდეზე.

4.4.2. გლობალური ინდიკატორებისა და ტექნოლოგიური კოეფიციენტების მეთოდის საუკეთესო მაგალითია ელექტროენერგიის მოხმარების მეთოდი, შემუშავებული კაუფმანისა და კელიბერდის მიერ (Kaufmann and Kaliberda 1966). ეს მეთოდი იყენებს ელექტროენერგიის გამოყენებას ეკონომიკური საქმიანობის ერთადერთი ფიზიკური ინდიკატორის სახით. იგი ელექტროენერგიის მოხმარებასა და მთლიან გამოშვებას შორის თანაფარდობის ზუსტ განსაზღვრას გულისხმობს.

გავრცელებულია ამ სახის შემდეგი მეთოდები: ენერგიის მოხმარების დაკავშირება ეკონომიკური აქტიურობის დონესთან და საოჯახო მეურნეობის საქმიანობასთან.

4.4.3. სრული ეკონომი აქტიურობის დონე (TA) იანგარიშება შემდეგი ფორმულით:

$$TA_n = E_n \times TA_{საბაზო}/E_{საბაზო}$$

სადაც n აღნიშნავს წელიწადს, რომელსაც ვიკვლევთ, $TA_{საბაზო}$ – საბაზო წელს ეკონომიკური აქტიურობის მაჩვენებელია, $E_{საბაზო}$ – მოხმარებული ენერგიის (ელექტროენერგიის) მაჩვენებელია. მათი გამოყენების საფუძველზე ხორციელდება ჩრდილოვანი ეკონომიკის (SE) გაანგარიშება.

$$SE=TA-Y/Y=TA/Y-1$$

სადაც, Y არის ქვეყნის მთლიანი შიგა პროდუქტი.

თუ საბაზო პერიოდის ჩრდილოვან ეკონომიკას აღვნიშნავთ X-ით, მაშინ:

$$SE_{საბაზო}=X$$

$$TA_{საბაზო}= Y_{საბაზო}(1+X)$$

$$TA_n= E_n x TA_{საბაზო}/E_{საბაზო}=E_{nსაბაზო} \times Y_{საბაზო} (1+x)/E_{საბაზო}=(1+x)Y_{საბაზო}Y_{საბაზო}-xE_n/E_{საბაზო}$$

ე.ი. ნ წელიწადის ჩრდილოვანი ეკონომიკა იქნება

$SE_n=TAn/Y_n-1$

$SE_n=(1+x) \times (Y_{საბაზო}/E_{საბაზო}/Y_n/E_n)-1$


აქედან გამომდინარე, ჩრდილოვანი ეკონომიკა განისაზღვრება ჩრდილოვანი ეკონომიკის დონით საბაზო პერიოდში და მთლიან შიგა პროდუქტსა და მოხმარებულ ენერგიას შორის არსებული თანაფარდობით საბაზისო და მოცემულ წელიწადში. ანუ თუ ვიცით ჩრდილოვანი ეკონომიკის დონე და მოხმარებული ელექტროენერგიის ზუსტი მონაცემები, შეიძლება განვსაზღვროთ ჩრდილოვანი ეკონომიკის მაჩვენებლები მომდევნო წლებისათვის.

თუ გვაინტერესებს, როგორ მოქმედებს საბაზისო წლის ჩრდილოვანი ეკონომიკის მაჩვენებლის ცვლილება მიმდინარე წლის ჩრდილოვანი ეკონომიკის მაჩვენებელზე, გამოიყენება ფორმულა:

$USE_n=ex((Y_{საბაზო}/E_{საბაზო}/Y_n/E_n)$

თუ ყველა სხვა მაჩვენებელი უცვლელია, რომელიმე წლის ჩრდილოვანი ეკონომიკის მაჩვენებლის ცვლილება შეესაბამება საბაზისო პერიოდის ჩრდილოვანი ეკონომიკის ცვლილებას. პროპორციულობის კოეფიციენტის არ გამოდის – იგი დამოკიდებულია მათგან შიგა პროდუქტსა და ენერგიის მოხმარებას შორის არსებულ პროპორციაზე, როგორც მიმდინარე, ისე საბაზისო პერიოდში.

ცხრილი №6. ჩრდილოვანი ეკონომიკა ევროპის ქვეყნების მიხედვით მშპ-ს %



განსხვავებების მეთოდი ანუ საბალანსო მეთოდი; დასაქმების მეთოდი; მონეტარული მეთოდები.

ჩრდილოვანი ეკონომიკის წილი მნიშვნელოვანია ევროპის ბევრ ქვეყანაში მშპ-ს. 10%-დან 40%-მდე შუალედშია. განვითარებადი ქვეყნებში ჩრდილოვანი ეკონომიკის წილი მაღალია საშუალოდ მშპ-ს. 30-35 პროცენტი ჩრდილოვანი ეკონომიკის ზომა დსთ-ს ქვეყნების უმრავლესობაში მშპ-ს 40 პროცენტზე მეტია.

მიუხედავად იმისა, რომ ევროპაში ჩრდილოვანი ეკონომიკის საშუალო ნიშნული ბევრ ქვეყანაში დაბალი დარჩა 2000-იანი წლების შუა პერიოდის განმავლობაში, დინამიკა ქვეყნებში მაინც განსხვავებულია. ბევრ ქვეყანაში ჩრდილოვანი ეკონომიკა გაიზარდა 2000-იანი წლების შემდეგ (მაგალითად, ხორვატიაში, კვიპროსში, საბერძნეთში, სერბეთში), ზოგიერთ ქვეყანაში კი შემცირდა (ჩეხეთი, მაკედონია). უმეტეს შემთხვევაში ჩრდილოვანი ეკონომიკა გაიზარდა 2008–2010 წლების კრიზისის პერიოდში.

დსთ-ს ჯგუფში ჩრდილოვანი ეკონომიკის სიფიდე როგორც ჩანს, უფრო მგრძნობიარეა განსაკუთრებით კი 2000-იანი წლების დასაწყისში გამოხატული განსხვავებებით; თუმცა, ბოლო დინამიკა საკმაოდ მსგავსია აღმოსავლეთ ევროპული ქვეყნების მაჩვენებლების. განსხვავებმა დსთ-ს ეკონომიკის შეფასებებში შეიძლება გავლენა იქონიოს ზოგიერთ მონაცემთა შეზღუდვით, ასევე მონაცემთა შეგროვების მეთოდოლოგიისა და მონაცემთა დამუშავების ტექნიკის ცვლილებებით 1990–იანი წლებიდან-2000-იანი წლებიდან. მიუხედავად იმისა, რომ MIMIC-ის შეფასების აბსოლუტური ღირებულებები შეიძლება იყოს მგრძნობიარე შეფასებებში გამოყენებული ნიმუშისა და ცვლადების მიმართ, შედარებითი რეიტინგი უფრო ძლიერია.

ცხრილი №7 ჩრდილოვანი ეკონომიკის დინამიკა რუსეთისა და მისი მეზობელი ქვეყნების მიხედვით მშპ-ს %

	2018	2017	2016	2015
რუსეთი	44.7% (42.4%,46.9%)	45.8% (43.4%,48.1%)	-	-
უკრაინა	38.2% (35.3%, 41.2%)	38.5% (35.5%,41.5%)	-	-
ყირგიზეთი	44.5% (40.9%,48.1%)	46.1% (42.4%,49.6%)	-	
ლატვია	24.2% (21.5%,26.8%)	22.0% (19.6%,24.5%)	20.7% (18.0%,22.6%)	21.3% (19.0%,23.7%)
ლიეტუა	18.7% (17.0%,20.4%)	18.2% (16.1%,20.4%)	16.5% (14.8%,18.3%)	15.0% (13.8%,16.3%)
ესტონეთი	16.7% (14.5%,18.8%)	18.2% (16.1%,20.3%)	15.4% (13.1%,17.8%)	14.9% (12.4%,17.4%)
მოლდოვა	27.5% (24.0%,31.0%)	29.4% (25.7%,33.1%)	29.7% (26.9%,32.5%)	29.8% (27.0%,32.6%)
კოსოვო	39.5% (6/ა,6/ა)			-
რუმინეთი	-	-	33.3% (30.4%,36.3%)	35.6% (32.2%,39.0%)
პოლონეთი			25.0% (22.5%,27.4%)	24.5% (22.0%,26.9%)

დასკვნა. რეფორმების ყოვლისმომცველი პაკეტი საჭიროა ჩრდილოვან ეკონომიკასთან წარმატებით საბრძოლველად, ყურადღებაა მისაქცევი ყოველ კონკრეტულ შემთხვევაზე. ღონისძიებები მეყეობდეს შემდეგ ჩამონათვალში მარეგულირებელი და ინსტიტუციური რეფორმები, საგადასახადო პოლიტიკისა და ადმინისტრაციის. პოლიტიკური არჩევანი, რომელიც ყველაზე მნიშვნელოვანია განვითარებადი ეკონომიკისთვის მოიცავს: მარეგულირებელი კანონებისა და ადმინისტრაციული ტვირთის შემცირებას, გამჭვირვალობას, ხელშეწყობას და მთავრობის ეფექტურობის გაუმჯობესებას, ასევე საგადასახადო შეზღუდვების შემცირებას, საგადასახადო და ადმინისტრაციული პროცედურების ავტომატიზირებას, ელექტრონული გადახდების ხელშეწყობას. გარდა ამისა, კარგად

შემუშავებული პოლიტიკური კომპლექტი უნდა მიიმართოს არა-ფორმალური მუშების გადასვლაზე ფორმალურ სექტორში, განსაკუთრებით იმ ქვეყნებში, სადაც დიდია ფულადი გზავნილები და სადაც ჩრდილოვანი ეკონომიკა უზრუნველყოფს სოციალური უსაფრთხოების ბადეს.

1.3. პანდემიის გავლენა საქართველოს სატრანსპორტო-ენერგეტიკულ დერეფანზე

2008 წლის აგვისტოს ომით რუსეთმა დასავლეთს ღიად აგრძნობინა, რომ საქართველოს ევროატლანტიკურ სტრუქტურებში მისწრაფების მიუხედავად, მისი ინფრასტრუქტურა, როგორც „ევროკავშირის სამხრეთის გაზის დერეფნის“ შემადგენელი, სრულიად მოწყვლადია. მაშინ საერთაშორისო თანამეგობრობის ძალისხმევით ჩვენს ტერიტორიაზე გამავალი ევროკავშირის კრიტიკული ენერგო-ინფრასტრუქტურა გადარჩა. საბოლოო ჯამში, თუ 2008 წელს პირდაპირი სამხედრო აგრესიით რუსეთმა ვერ შეძლო "დერეფნის" რომელიმე პროექტის ჩაშლა, 2013 წელს მან ვირტუალური „სამხრეთის ნაკადის“ (მოგვიანებით უკვე რეალური „თურქული ნაკადის“ და „ჩრდილოეთის ნაკადი 2“-ის) ინიცირებით მოახერხა ჯერ გლობალური, პანევროპული "ნაბუქოს", მოგვიანებით კი მისგან დარჩენილი ნაწილის – „ნაბუქო უესტის“, ხოლო 2014 წელს, საქართველოზე გამავალი "ევროკავშირის სამხრეთის გაზის დერეფნის" კიდევ ერთი პროექტის – „თეთრი ნაკადის“ ჩაშლა.

ზემოაღნიშნული ნეგატიური პროცესების საპასუხოდ საქართველოს მთავრობამ შეიმუშავა ომის შედეგად წარმოქმნილი ეკონომიკური საფრთხეების ნეიტრალიზაციის "სივრცითი მოწყობის" პროგრამა, რომლის ერთ-ერთი მიმართულება საქართველოში ლოჯისტიკურ-სატრანსპორტო „ჰაბების“ ჩამოყალიბება იყო. პროგრამა 2016 წლის ზაფხულში მთავრობის სხდომაზე დამტკიცდა, თუმცა მასში დასმული ამოცანები რეგიონალური „ჰაბების“, აგრეთვე გაზსაცავების, ნავთობის ტრანსპორტირებისა და შენახვის ახალი ინფრასტრუქტურის შექმნის შესახებ, არ გადაწყვეტილა. შესაბამი-

სად, ეკონომიკური მეცნიერების დღის წესრიგში დადგა „სივრცითი მოწყობის“ თეორიულ-მეთოდოლოგიური საფუძვლის – გეოეკონომიკის შესწავლის ამოცანა. წინამდებარე სტატია გეოეკონომიკის სწორედ აღნიშნული მიმართულებით განხილვის ინიცირებას ისახავს მიზნად.

სატრანსპორტო-ენერგეტიკული დერეფნების გეოეკონომიკური ანალიზის მნიშვნელობა. დასავლეთის ზოგიერთი ქვეყნის ეკონომიკური უსაფრთხოების თეორიაში გეოეკონომიკის პრობლემის შესწავლის დაწყება მე-20 საუკუნის 90-იან წლებს უკავშირდება. კონკრეტულად, სივრცით მოწყობას შეისწავლის ახალი დისციპლინა – "გეოეკონომიკა".

გეოკონომიკა მოცემული ქვეყნის სტრატეგიული ანალიზისა და კონკურენტუნარიანობის ინსტრუმენტებს იკვლევს. ის სწავლობს სახელმწიფოთაშორის ეკონომიკურ კავშირებს, რეგიონულ ეკონომიკურ ინტეგრაციას, ეკონომიკის გლობალიზაცია-ლოკალიზაციის პროცესს და ეკონომიკურ კოოპერაციას. თანამედროვე მსოფლიოში სახელმწიფოები საერთო ეკონომიკური გამოწვევების, რისკებისა და საფრთხეების დასაძლევად ერთიანდებიან, მიმდინარეობს ტრანსნაციონალური კორპორაციებისა და საინფორმაციო კომუნიკაციების არნახული განვითარება, ქვეყნების ეკონომიკების და საფინანსო სექტორების გლობალიზაცია. ცალკეული ქვეყნების მაკროეკონომიკური პოლიტიკა უკვე აღარ არის მიმართული მხოლოდ შიდა ეკონომიკური ზრდისა და სოციალური საკითხების გადაწყვეტისაკენ დ იგი ეკონომიკური დიპლომატიის ბერკეტადაა გადაქცეული. ჩვენ ევროკავშირის „სამხრეთის გაზის დერეფნის“ გეოეკონომიკას შევეხეთ რამდენიმე სტატიაში და 2014 წელს გამოცემულ მონოგრაფიაში[6].

ჩვენს პუბლიკაციებში ხაზგასმულია, რომ გეოეკონომიკის, როგორც მეცნიერების, ფუძემდებლად ამერიკელი ედვარდ ლუტვაკი გვევლინება [Edward N. Luttwak]. მან ეს დისციპლინა დაახასიათა, როგორც სახელმწიფოს მიერ მაკროეკონომიკური ბერკეტებით საგარეო-პოლიტიკური მიზნების მიღწევის საშუალება.

---

6. ს. პავლიაშვილი, ზ. გარაყანიძე. „საქართველოს სატრანსპორტო დერეფანი: პრობლემები, პერსპექტივები“ 2014

თანამედროვე გეოეკონომიკის აქტუალობა მდგომარეობს საქონლის, მომსახურებისა და სამუშაოების ბაზრების არა მარტო თავისი ტერიტორიულ-ადმინიტრაციულ საზღვრებში გავრცელებაში, არამედ მათ ექსპანსიაში, ასევე რეგიონალურ და გლობალურ მასშტაბებში ამ ბაზრების განვითარებაში. ამა თუ იმ ქვეყნის გეოეკონომიკური საქმიანობის სტრატეგიული მიზანია მაკომპლექტებლების, ნედლეულისა და მასალების მიწოდების წყაროების დივერსიფიკაცია და კონკურენტული გლობალური/რეგიონალური უპირატესობის მოპოვება.

გეოეკონომისტები იკვლევენ ე.წ. სივრცით სამეურნეო პროცესებს და სივრცის გავლენას წარმოების ფაქტორებისა და საქონლის/მომსახურების ნაკადებზე. თუ ეკონომიკური გეოგრაფია იკვლევს საწარმოო ძალების განლაგებას, გეოეკონომიკაში სივრცის ფაქტორი გულისხმობს გეოგრაფიული მდებარეობის გავლენას სხვადასხვა რესურსების გადანაწილებაზე, რეგიონალური და გლობალური საწარმოო კვანძებისა და „ჰაბების" მოწყობაზე. ის შეისწავლის ასევე მილსადენების, საავტომობილო და სარკინიგზო გზებისა და ტელეკომუნიკაციების დივერსიფიცირებული განვითარების პერსპექტივებს, მათი სტრუქტურისა და საექსპლუატაციო ხარჯების ოპტიმიზაციას.

გეოეკონომიკა განისაზღვრება როგორც გეოგრაფიის, ეკონომიკის, ისტორიისა და პოლიტიკის სინთეზი. გეოეკონომიკა ისეთ ეკონომიკურ პოლიტიკას შეიმუშავებს, რომელიც ქვეყანას ეკონომიკურ განვითარებასა და მსოფლიო ეკონომიკაში ღირსეული ადგილის დაკავებაში, გლობალურ ან რეგიონალურ გეოგრაფიულ სივრცეში წარმატებული პოზიციონირების საშუალებას აძლევს.

საქართველოში გეოეკონომიკური პრობლემების კვლევის "პიონერები" არიან პროფესორები ლადო პაპავა და მიხეილ თოქმაზიშვილი [Papava V., Tokmazishvili M. 2010] ასევე აღსანიშნავია, პროფესორ თეიმურაზ გოჩიტაშვილის ნაშრომები [თ. გოჩიტაშვილი. 2004] სადაც, მიუხედავად იმისა, რომ გეოეკონომიკა არაა ნახსენები, ფართოდაა განხილული საქართველოს გეოპოლიტიკური მდებარეობის მნიშვნელობა ქვეყნის ენერგეტიკული ინფრასტრუქტურის განვითარებისათვის და გაზის მოპოვებისა და მიწოდების ახალი ტექნოლოგიები. ავტორი დეტალურად განიხილავს, როგორც მაგისტრალური

გაზსადენების დაპროექტების, მშენებლობისა და ფუნქციონირების ტექნოლოგიურ, ეკონომიკურ, სამართლებრივ და გეოპოლიტიკურ საკითხებს [თ. გოჩიტაშვილი, 2004] ასევე საქართველოს ტერიტორიის გავლით კასპიის რეგიონიდან საერთაშორისო ბაზრებზე ენერგეტიკული რესურსების მიწოდების პრობლემებს. განსაკუთრებით საყურადღებოა ზემოღნიშნული ავტორების მიერ საქართველოს ევროპის ერთიან ენერგეტიკულ სივრცეში ინტეგრაციისათვის საჭირო კონკრეტული წინადადებების შემუშავება, რაც საქართველოს "ევროპის ენერგეტიკულ გაერთიანებაში" გაწევრიანებისთვის ფასდაუდებელი მნიშვნელობის იყო.

აქედან გამომდინარე, ლოგიკურია ითქვას, რომ ეკონომიკური გლობალიზაცია სახელმწიფოთა გლობალური კონვერგენციული გეოეკონომიკური სტრატეგიების ფორმირების შედეგია. თავად ეკონომიკური გლობალიზაცია უმნიშვნელოვანეს გავლენას ახდენს ქვეყნების ეკონომიკური ურთიერთობების მთელ კომპლექსზე და მათ შორის სატრანსპორტო-ენერგეტიკული დერეფნების განვითარებაზე. თუმცა, ეს გავლენები განსხვავებულია რეგიონებისა და ქვეყნების გეოგრაფიულ-სივრცითი მდებარეობის მიხედვით. აღნიშნულიდან გამომდინარე, ზემოაღნიშნულ მონოგრაფიაში [ს. პავლიაშვილი, ზ. გარაყანიძე. 2014, გვ. 21 განხილულია სატრანსპორტო დერეფნის განვითარების სპეციფიური პრობლემები და პერსპექტივები საქართველოში, როგორც სამხრეთ კავკასიის გეოეკონომიკური სივრცის შემადგენელ ნაწილში.

თუმცა, კორონავირუსის „კოვიდ19"-ის გავრცელების თითქმის ნახევარწლიანმა პროცესმა გვიჩვენა, რომ საქართველოში „ევროკავშირის სამხრეთის გაზის დერეფნის" პროექტების სრულფასოვან რეალიზაციას, პირდაპირი სამხედრო ან „რბილი" ჩარევის გვერდით, „კოვიდ19"-ის პანდემიაც შეუშლის ხელს.

„სამხრეთის გაზის დერეფანი" გაზის გლობალური ბაზრის გეოეკონომიკაში. დღემდე, მსოფლიო ეკონომიკის გლობალიზაციის პირობებში, გაზის ინდუსტრიისთვის დამახასიათებელი იყო ბაზრების თანდათანობითი დემონოპოლიზაცია, რის შედეგადაც ენერგობაზრის სტრუქტურაში და გაზით საერთაშორისო ვაჭრობაში ხდებოდა რაოდენობრივი და თვისებრივი ცვლილებები. გაზის რეალიზაციის დროს სულ უფრო ფართოდ გამოიყენებოდა ფინანსური ინსტრუ-

მენტები, რაც თავის მხრივ ფასების ლიბერალიზაციას იწვევდა. მსგავსი ტენდენციები გლობალურად ნავთობის საერთაშორისო ბაზარმა გაიარა გასული საუკუნის 80 – 90-იან წლებში.

ახალ კორონავირუს „კოვიდ19"-ის პანდემიამდე გაზის გლობალური ბაზრის განვითარებაში გამოიყოფოდა ფაქტორთა ორი ჯგუფი: ტექნოლოგიური და საბაზრო. პირველ ჯგუფს მიეკუთვნება სატრანსპორტო ტექნოლოგიების ინტენსიური განვითარება ე.წ. გათხევადებული ბუნებრივი გაზის (LNG) ფორმით, რამაც შეცვალა მსოფლიოში გაზის სასაქონლო ნაკადების მიმართულება და ხასიათი. მეორე ჯგუფი მოიცავს ბუნებრივ გაზზე მზარდ მოთხოვნას, ამ ენერგორესურსის როგორც საფასო, ისე ეკოლოგიურ კონკურენტუნარიანობას. ასევე, გაზით საბირჟო ვაჭრობის განვითარებას, რაც ამ საწვავზე ფასების რყევის რისკების მართვის საშუალებას იძლევა.

ბოლო პერიოდში გლობალური გაზის ინდუსტრიაში მიმდინარე ტენდენციები ხასიათდება მნიშვნელოვანი თვისებრივი და რაოდენობრივი ტრანსფორმაციით, განსაკუთრებით „ცისფერი საწვავის" რეგიონალური ბაზრების სტრუქტურაში. მსოფლიო გაზით ვაჭრობის წილის ზრდა ქვეყნების ენერგეტიკულ ბალანსში, აგრეთვე ინსტიტუციური ტრანსფორმაცია ადგილობრივ ბაზრებზე, რომლებიც ხასიათდება მწარმოებლების და მომხმარებლების რაოდენობის ზრდით და ფასწარმოქმნის ლიბერალიზაციით, ხელს უწყობს გაზის ინდუსტრიის ღრმა ინტერნაციონალიზაციას. გაზის მოპოვების ხარჯების შემცირებას და ხელმისაწვდომობის გეოგრაფიას მნიშვნელოვნად აფართოებს თანამედროვე ტექნოლოგიური მიღწევები, ასევე გაზის კომპანიების აქციების საფონდო ბირჟებზე მასიურად გატანა, თხევადი გაზის მცირე ე.წ. „სპოტ" პარტიებით საბირჟო ვაჭრობა. ყოველივე ზემოაღნიშნული იძლევა საშუალებას, რომ ამ საუკუნის დასაწყისიდან 2020 წლამდე პერიოდი გამოცხადდეს გაზის ინდუსტრიის გლობალიზაციის დასაწყისად. ეს პროცესი, ისევე როგორც ნავთობის გლობალური ბაზრის შექმნის პროცესი, უნდა დასრულებულიყო იზოლირებული რეგიონალური გაზის ბაზრების, ე. წ. „ჰაბების", კონვერგენციით გლობალურ მოთხოვნა-მიწოდებაზე დამყარებულ და უნივერსალურ-კონკურენტულ პრინციპებით მოქმედ მსოფლიო ბაზრად. გლობალიზაციის აღნიშნულ ტენდენ-

ციას ადასტურებს ბოლო პერიოდის მსოფლიო სტატისტიკაც.

კერძოდ, 2000-დან 2015 წლამდე პერიოდში მსოფლიო გაზის მოხმარება გაიზარდა თითქმის 45%-ით – 2405-დან 3469 მლრდ. კუბ.მ-მდე [BP სტატისტიცალ რევიეწ, 2002-2016]. მსოფლიოს სათბობ-ენერგეტიკულ ბალანსში გაზის ხვედრითი წილი ბოლო წლებში ასევე გაიზარდა 22-23%-მდე [IEA 2016]. ნავთობის ანალოგიური სტატისტიკიდან ირკვევა, რომ იმავე პერიოდში მისი მოხმარება გაიზარდა მხოლოდ 10-11%-ით, რაც ბუნებრივი გაზის ნავთობისადმი სერიოზულ კონკურენტუნარიანობაზე მიუთითებს და მისი, აგრეთვე სხვა ენერგორესურსების, სერიოზული ალტერნატივა ხდება [BP სტატისტიცალ რევიეწ: 2002-2016].

პანდემიამდე გაზის ბაზრის ტრილიონიანი ბრუნვები საშუალებას იძლეოდა გვესაუბრა ბოლო ხუთ წელში გაზის ბაზრის „გლობალურის" სტატუსთან მიახლოებაზე, როგორც ე.წ. მაკრორეგიონებს შორის გადაჭიმული გაზსადენების, ისე საზღვაო გადაზიდვების მარშრუტების თვალსაზრისით. დღემდე ასეთი მაკრორეგიონი ჩამოყალიბდა რვა: აქედან სამი – ჩრდ. ამერიკის, ევროპის და აზიის, უკვე ფორმირებულია, ხოლო დარჩენილი ხუთი – დსთ-ს, ლათ. ამერიკის, ახლო და შუა აღმოსავლეთის, ოკეანეთის და აფრიკის, – ფორმირების პროცესშია (იხ. ამ მაკრორეგიონების მონაცემები):

ცხრილი №8 გაზის სავაჭრო ბრუნვა ე.წ. მაკრორეგიონების მიხედვით[7]

წლები/რეგიონები	2001	2005	2010	2015
ჩრდ. ამერიკა	120,6	126,3	125,2	124,8
სამხ. ამერიკა	11,3	31,2	36,5	40,5
ევროპა	117,3	164,4	195	219,4
რფ და დსთ	131,1	160,9	251,5	272
ახ.აღმოსავლეთი	31,2	49,2	128,2	154,4
აფრიკა	66,3	90,2	112,9	84,8
აღმ. აზია	-	-	3,8	0,3
აზია-წყნ.ოკეანე	76,6	99,5	122,1	146,4

7. BP statistical review of world energy: June 2016.

გაზის მსოფლიო ბაზარზე ბოლო ხუთ წელში რეალიზებული გაზის უდიდესი ნაწილი – 67% (704 მლრდ.კუბ.მ) მომხმარებლებს გაზსადენების საშუალებით მიეწოდება.10 ამ მილების ტექნოლოგიური, ეკონომიკური და საკანონმდებლო შეზღუდვები (მაგ.: ევროკავშირის კანონმდებლობის მოთხოვნა – „მესამე მხარის დაშვების", ტრანსევროპულ ქსელში – TEN აუცილებელი ჩართვის, ან ე.წ. საერთო ინტერესების პროექტების – PCI შესახებ) წარმოადგენენ მაგისტრალური გაზსადენების გაზის მნიშვნელოვან შეზღუდვებს იმისათვის, რომ გასცდნენ რეგიონალურ, ამ შემთხვევაში ევროკავშირის, საზღვრებს. ამ თვალსაზრისით, ბოლო დრომდე გაზის ბაზრის გლობალიზაციის უმთავთავრესი ტენდენცია იყო თხევადი გაზის (LNG) ტექნოლოგიების საყოველთაო განვითარებით, ყველა მაკრორეგიონალური ბაზრის დაახლოება. მეტიც, თხევადი გაზის საზღვაო მარშრუტებმა ისეთი ქვეყნებისა და რეგიონების გაერთიანების შესაძლებლობა წარმოაჩინეს, რომლებიც ტრანსკონტინენტალურ გაზსადენებში არასდროს არ ყოფილან ჩართული (იხ. ცხრილი 1). ბოლო ხუთ წელში თხევადი გაზი გლობალურ გაზის ბაზარზე 33%-იანი წილითაა წაროდგენილი და ყოველწლიურად საშუალოდ 8-10%-ით იზრდებოდა. შედეგად, 2000-იანი წლების დასაწყისიდან 2019 წლამდე ეს წილი 1,5 -ჯერ გაიზარდა.

საქართველო მონაწილეობს კასპიისპირეთიდან მხოლოდ გაზსადენების (ანუ მილებით გადატუმბული) აირის და არა თხევადი გაზის (LNG) ტრანზიტში. ამ დროს, ევროპა დაინტერესებულია აზერბაიჯანიდან მისაღები გაზის მოცულობის გაორმაგებაში 20 მლრდ კუბ. მ-მდე, რომელიც „ტრანსადრიატიკური გაზსადენით" (TAP) ბაქოდან იტალიამდე გადაჭიმული „სამხრეთის გაზის დერეფნის" (SGC) ჯაჭვის ბოლო რგოლს წარმოადგენს. ევროკავშირის SGC-ის პირველი ორი სექცია – საქართველოზე გამავალი „სამხრეთკავკასიური გაზსადენის გაფართოება" (SCPx) და „ტრანს-ანატოლიური გაზსადენი" (TANAP) – 2018 წლის შუა რიცხვებიდან მწყობრშია, რომლებიც კასპიის ზღვის „შაჰ დენიზის" საბადოდან თურქეთისაკენ, BP-ის ოპერირებით მოქმედი კონსორციუმის საშუალებით მოპოვებულ გაზს ატარებს. „ტრანსადრიატიკური გაზსადენი" (TAP) საბერძნეთის, ალბანეთის და ადრიატიკის ზღვის გადაკვეთით გადის იტალიაში, ქალაქ ბარისთან. ეს მილსადენი თურქეთის დასავლეთ

საზღვარზე TANAP-ზეა მიბმული, რომელიც თავის მხრივ თურქეთის აღმოსავლეთში, ერზერუმთან SCPx-თანაა დაკავშირებული. ამ სამივე გაზსადენის გამაერთიანებელია პანევროპული SGC პროგრამა, რომელიც თავის მხრივ ემყარება „შაჰ დენიზის" მეორე ეტაპის და თურქმენეთიდან მისაღებ გაზს. 2018 წელს, გაფართოების შემდეგ „შაჰ დენიზი 2"-მა დამატებით ყოველწლიურად 16 მლრდ. კუბ.მ გაზი შემატა ევროკავშირისა და თურქეთის გაზმომარაგებას. აქედან თურქეთი იღებს წლიურად 6 მლრდ.კუბ.მ ამ გაზს, ხოლო ევროპა – დანარჩენ 10 მლრდ. კუბ.მ-ს. თურქმენეთიდან ჯერ ვერ მოხერხდა კასპიის ფსკერზე „ტრანსკასპიური გაზსადენის" (TCP) გატარება, რაც ასევე SGC-ის უკვე მოქმედი სამი გაზსადენის ერთ-ერთი შემავსებელი უნდა გახდეს.

თუ აზერბაიჯანული გაზის დამატებითი საბადოები – აბშერონი, ბაბეკი, უმიდი ჩადგებიან მწყობრში, SGC-ს ევროპულმა გაზსადენების ჯამურმა სიმძლავრემ მალე შესაძლოა წელიწადში 20 მლრდ. კუბ.მ-ს მიაღწიოს,. მიუხედავად იმისა, რომ SGC დერეფნის გაზსადენების მაქსიმალური წლიური წარმადობა 30-31 მლრდ კუბ.მ-ითაა შეფასებული, ზემოაღნიშნული დამატებითი საბადოებისა და თურქმენეთის „ტრანსკასპიური გაზსადენით" (TCP) მომავალში „სამხრეთის გაზის დერეფანში" (SGC) მისაღები გაზის ჩვენს ტერიტორიაზე ტრანზიტის შემთხვევაში, ჩვენს შავიზღვისპირა პორტებში აუცილებელი გახდება გაზის გათხევადების ტერმინალების მშენებლობა. ამ ტერმინალებიდან საზღვაო ტანკერებით გათხევადებული სახით (LNG) მსოფლიოს ბაზრებზე გადაიზიდება კასპიის აირის ის ნაწილი, რომელიც ევროკავშირის SGC „დერეფნის" გაზსადენებში ფიზიკურად აღარ ჩაეტევა. ეს „მისია" უნდა შეესრულებინა 2010 წელს ევროკავშირის მხარდაჭერილ გაზსადენის პროექტს AGRI-ს (აზერბაიჯან-საქართველო-რუმინეთი-უნგრეთი-ინტერკონექტორი). ამ პროექტით ერთობლივი საწარმო SC AGRI LNG ჯროჯექტჩომპანყ შეგ-იც დაფუძნდა, თუმცა, ყირიმის ანექსიამ მისი რეალიზაცია გაურკვეველი ვადით გადადო. დღის წესრიგში დადგა კასპიის ჭარბი გაზის ტანკერებით, შავი ზღვის ტერმინალებიდან მსოფლიო ბაზრებზე „სპოტ" პარტიებად გაგზავნა. ახალი კორონავირუსის „კოვიდ 19"-ის პანდემია საქართველოს და ევროკავშირის სწორედ ზემოაღნიშნულ მიზნებს შეიძლება დაუპირისპირდეს.

გაზსადენების მშენებლობის მომხრეთა უმთავრესი ანტიეპიდემიოლოგიური არგუმენტი ძალიან მარტივია – გაზის გრძელვადიან სამეურნეო ხელშეკრულებებზე დამყარებულ მილსადენებით ვაჭრობის LNG გაზის „სპოტურ“ (წვრილპარტიებად) ვაჭრობასთან შედარებითი უპირატესობა ისაა, რომ მიმწოდებელი და მომხმარებელი ათეული წლების მანძილზე არ ხვდებიან ერთმანეთს, ანუ ბაზარზე სოციალური კონტაქტი გამორიცხულია, მაშინ როდესაც „სპოტური“ ვაჭრობა ხშირ კონტაქტებს მოითხოვს საზღვაო ტრანსპორტით გაზის „მიწოდების ჯაჭვის“ პერიოდული ცვლილებებით.

„კოვიდ19“ პანდემიის გეოეკონომიკური გამოწვევები. ბუნებრივი გაზის გლობალიზებული ან რეგიონალური „მიწოდების ჯაჭვის“ საკითხი არ არის ერთადერთი პრობლემა, რომელსაც „კოვიდ19“ პანდემია გამოავლენს. ამ საუკუნის დასაწყისიდან დღემდე თითქმის გლობალიზებული გაზის ბაზრის, პანდემიის ზეგავლენით კვლავ რეგიონალიზაციისა და ლოკალიზაციისთვის აუცილებელია „მიწოდების ჯაჭვის“ გასწვრივ პროდუქციის (ჩვენს შემთხვევაში – ბუნებრივი გაზის მარაგების) მიტანა და მისი გათხევადებული, წვრილპარტიებად გასაყიდი ნაკადების შეკრება. ამისათვის კი აუცილებელია ლოჯისტიკური „ჰაბების“, ნავთობ და გაზსაცავების კარგად განვითარებული ინფრასტრუქტურის შექმნა. ეფექტიანობის ზრდისათვის მრავალეროვნული კომპანიები ცდილობენ LNG გაზის „მიწოდების ჯაჭვის“ ლოგისტიკური პროცესის ოპტიმიზაციას, შენახვის ხარჯების შემცირების მიზნით. ამასთან, მზარდი გაურკვევლობის და რისკების პირობებში, ტრანსპორტირების და წარმოების ეფექტიანობაზე მზარდი აქცენტის გაკეთება, ენერგოკომპანიებს დაუცველებს ტოვებს შოკებისგან. მიმდინარე რეცესიის პირობებში მოწინავე ენერგოკომპანიები სულ უფრო მეტ ყურადღებას უთმობენ მარაგების დასაწყობებას სტრატეგიულ ლოკაციებში, საიდანაც მზა საქონელი და რესურსები ადვილად მისაწოდებელი იქნება მყიდველებისათვის. ამგვარი მიდგომა მართალია ძირითადად მზა პროდუქციაზე ვრცელდება, მაგრამ ასევე გამოიყენება მათ შესაქმნელად საჭირო ისეთ სტრატეგიულად მნიშვნელოვანი კომპონენტებისთვისაც, როგორებიცაა ენერგორესურსები. სწორედ მზა საქონლის და მისი კომპონენტების სტრატეგიული მარაგების

შენარჩუნება დაეხმარა ზოგიერთ კომპანიას გაუმკლავდეს კორონავირუსის გავლენას.

ახალმა კორონავირუსმა „კოვიდ19"-მა, „მიწოდების ჯაჭვის" ზემოაღნიშნული „დამოკლების" ტენდენციით, ფუნდამენტურად შეცვალა საგარეო ვაჭრობა. ე.წ. „წარმოება ზუსტად დროში" (ჟუსტ-ინტიმე მანუფაცტურინგ) იაპონური მენეჯმენტის მეთოდი, რომელიც გლობალურ „მიწოდების ჯაჭვს" იყენებდა, ახლა გზას უთმობს „მიწოდების რეგიონალური ჯაჭვების", ენერგორესურსების მარაგების სტრატეგიულად გამოყენებას და რისკების ანალიზს. ამასთან, პანდემიის სწრაფად დასრულების შემთხვევაშიც კი თანამედროვე, გლობალიზებულ მსოფლიოში, ტრანსნაციონალური ენერგოკომპანიები სულ უფრო ხშირად დაექვემდებარებიან მოთხოვნისა და მიწოდების ერთდროულ შემცირებას. კერძოდ, გლობალური ეკონომიკური რეცესია შეამცირებს ენერგორესურსების მოხმარებას და მათ ღირებულებას. გარკვეული პერიოდის შემდეგ მიწოდებაც ახალი მოთხოვნის მიხედვით ადაპტირდება და ფასები დასტაბილურდება. ამ პროცესიდან კი, რა თქმა, მომხმარებელი დარჩება მოგებული. თუმცა, გრძელვადიან პერსპექტივაში, აღნიშნული პროცესი საერთო ეკონომიკურ რეცესიას იწვევს. ამავე დროს, მოსალოდნელია ენერგო-ბაზრებზე ინტერესთა კონფლიქტის გამწვავება, – პირველ რიგში დაიძაბება ურთიერთობა ტრადიციული და განახლებადი ენერგორესურსების მიმწოდებელთა შორის. ფინანსური პრობლემების გამო, სავარაუდოდ, შეიზღუდება კაპიტალდაბანდებები „ალტერნატიულ" ენერგეტიკაშიც.

ამასთან აღსანიშნავია, რომ გაზის ინდუსტრია კორონავირუსიდან უფრო ნაკლებად დაზარალდა, ვიდრე ნავთობის. ამის მიზეზი ისაა, რომ გაზის მოთხოვნა მშპ-ს მიხედვით უფრო ნაკლებად ელასტურია, ვიდრე ნავთობის. ეს განსხვავება ამ კრიზისის ფონზე განსაკუთრებით თვალშისაცემია, როდესაც კარანტინის გამო დაზარალდა სატრანსპორტო დარგი, რომელშიც გაზის ხვედრითი წილი ნაკლებია, ხოლო შინამეურნეობებში გაზის წილი პირიქით, გაიზარდა მოსახლეობის თვითიზოლაციის გამო. ამასთან, გაზის მოხმარება ქვეყნების მიხედვით მნიშვნელოვან სხვაობებს იძლევა – ჩინეთში მაგალითად, მოხმარებული გაზის 40%-ზე მეტი მრეწველობაზე, 20% – ელექტროგენერაციაზე, ხოლო – 36%-მდე კომუნალურ-სა-

ყოფაცხოვტრებო და ტრანსპორტის სფეროებზე მოდის. ევროპაში ელექტროგენერაციაზე მეოთხედამდე გაზი მოიხმარება, ხოლო უდიდესი ნაწილი – თბო– და ელექტრო-გენერაციაზე. ჩინური სტატისტიკის თანახმად, 2020 წლის ორ თვეში სამრეწველო წარმოების მოცულობა შემცირდა 14%-ით, მათ შორის ქიმიური მრეწველობისა – 21%-ით [COVID19 mostly behind China chemical industry]11. სწორედ ამ დარგის მთავარი ნედლეულია ბუნებრივი გაზი. ამიტომ ევროპასთან შედარებით პანდემიამ, გაზის ინდუსტრია, უფრო მეტად ჩინეთში დააზარალა. საინტერესოა, რომ ფორს-მაჟორის საბაბით თხევადი გაზის „სპოტ" კონტრაქტების დიდი ნაწილის შესრულება შეაჩერეს ჩინურმა, კორეულმა და ინდურმა ენერგოკომპანიებმა [Shuttered buyers send force-majeure notices to energy cos].12 საქმე ისაა, რომ თხევადი გაზის „სპოტ" კონტრაქტების შეჩერება ან მიწოდების გადავადება ბევრად ადვილია, ვიდრე მილსადენებით ათწლეულებზე გაწერილი მიწოდების ჩაშლა, რომელიც დისკრიმინაციული „აიღე ან გადაიხადეს" პრინციპითაა გაფორმებული.

პანდემიით გამონვეულმა რეგიონალიზაციამ გვერდი არ აუარა საქართველოზე გამავალ ევროკავშირის „სამხრეთის გაზის დერეფნის" და სხვა სატრანსპორტო პროექტებსაც. კერძოდ, აზერბაიჯანმა და თურქეთმა გამოხატეს ერთობლივი ინტერესი ნახჭევანისკენ, სომხეთის ტერიტორიით გამოყოფილი აზერბაიჯანული ავტონომიისკენ, რკინიგზისა და გაზსადენის აშენებისთვის. 2020 წლის 25 თებერვალს ბაქოში მოლაპარაკებები გამართეს აზერბაიჯანის პრეზიდენტმა ილჰამ ალიევმა და მისმა თურქმა კოლეგამ რეჯეპ ტაიპ ერდოღანმა. განხილვის მთავარი თემა იყო – შეუძლია თუ არა დაეხმაროს თურქეთს აზერბაიჯანის ავტონომიის ენერგეტიკული უსაფრთხოების გაუმჯობესებაში. ცნობილია, რომ აზერბაიჯანი და სომხეთი ამჟამად გაყინულ კონფლიქტში იმყოფებიან მთიან ყარაბაღის სადავო ტერიტორიის გამო და არ აქვთ დიპლომატიური და ეკონომიკური კავშირები. ამიტომ ნახჭევანი იძულებულია გაზი მიიღოს მეზობელი ირანიდან 2004 წელს გაფორმებული ირან-აზერბაიჯანის ე.წ. SWAP კონტრაქტით, რაც ნიშნავს, რომ აზერბაიჯანი ნახჭევანში მილებული ირანული გაზის სანაცვლოდ იმავე რაოდენობის გაზს აწვდის ჩრდილოეთ ირანის პროვინციებს. ამ 25 წლიანი ხელშეკრულების თანახმად, აზერბაიჯანი ირანს გაზს აწ-

ვდის საზღვრისპირა ქ. ასტარას გავლით, ხოლო ირანი ნახჭევანს ქ. ჯულფაში უგზავნის ამ გაზის 85%-ის ეკვივალენტს, დანარჩენს კი ტრანზიტის საფასურად იტოვებს. 2019 წელს ირანში აზერბაიჯანული გაზის გადაზიდვებმა წლიურად 395 მლნ. კუბ. მ. შეადგინა. ნახჭევანი დიდწილად არის დამოკიდებული ირანიდან ასევე მრავალი სხვა საქონლის იმპორტ-ექსპორტზეც, რაც ამ ქვეყანასთან ნახჭევანის ავტონომიის 179 კილომეტრიან საზღვრის მთელ სიგრძეზე ხორციელდება.

წლების განმავლობაში აზერბაიჯანის ხელისუფლება შეშფოთებული იყო ნახჭევანის ირანზე ურთიერთდამოკიდებულების გამო. 2010 წელს აზერბაიჯანსა და ირანს შორის ურთიერთობები დაიძაბა მრავალ პოლიტიკურ თუ ეკონომიკურ საკითხთან დაკავშირებით, მათ შორის იყო ბაქოს მხარდაჭერა თეირანის წინააღმდეგ დაწესებული აშშ-ს სანქციებისადმი და თეირანის მიერ აზერბაიჯანული ოპოზიციური პარტიის დაფინანსება. ამ დაძაბულობის კულმინაცია იყო ირანის მუქარა, რომ შეწყვეტდა ყველანაირ ეკონომიკურ კავშირებს ნახჭევანთან. თავის მხრივ, აზერბაიჯანიც ასევე არაერთხელ შეეცადა გაზის SWAP გარიგების პირობების გადახედვას. დიპლომატიური ურთიერთობა შედარებით გაუმჯობესდა 2013 წელს, ჰასან რუჰანის ირანის პრეზიდენტად დანიშვნის შემდეგ. მაგრამ 2018 წლიდან აშშ-ს ხელახლა დაწესებული ანტი-ირანული სანქციების გამო, ირან-აზერბაიჯანის ეკონომიკური ურთიერთობა კვლავ დაიძაბა.

ამან აზერბაიჯანის მხრივ ნახჭევანსა და თურქეთს შორის ინფრასტრუქტურული კავშირების გაფართოების მოთხოვნა გამოიწვია. ნახჭევანს თურქეთთან 8 კილომეტრიანი საზღვარი აქვს. მოლაპარაკებების შემდეგ გამართულ პრესკონფერენციაზე აზერბაიჯანისა და თურქეთის სახელმწიფოს მეთაურებმა განაცხადეს მემორანდუმის გაფორმების შესახებ ნახჭევანსა და თურქეთის სასაზღვრო ქალაქ ყარსს შორის სარკინიგზო მაგისტრალის მშენებლობაზე. პროექტი წარმოადგენს ბაქოდან საქართველოს გავლით ყარსში მიმავალი სარკინიგზო მაგისტრალის გაგრძელებას. "ამას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს. სომხეთის აგრესიული პოლიტიკის გამო ნახჭევანი ცხოვრობს ბლოკადაში მოქცეული, ანუ ალყაშია მრავალი წლის განმავლობაში, "– განაცხადა აზერბაიჯანის

პრეზიდენტმა ილჰამ ალიევმა. "ნახჭევანისთვის დიდი პრობლემაა მისი პროდუქციის უცხოურ ბაზრებზე გატანა. ყარს-იგდირ-ნახჭევანის რკინიგზის მშენებლობა აღმოფხვრის ამ პრობლემას და ამით გააუმჯობესებს ნახჭევანის ავტონომიური რესპუბლიკის კეთილდღეობას" – თქვა მან. თავის მხრივ, რ.ტ. ერდოღანმა აღნიშნა, რომ დღის წესრიგშია ასევე, ჯერ კიდევ ამ საუკუნის დასაწყისში ინიცირებული, 160 კილომეტრიანი ტრანსსასაზღვრო გაზსადენის აგება. "ნახჭევანს მეტი ექნება ბუნებრივი აირი. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ის კიდევ უფრო გაძლიერდება, როგორც ირანის, ასევე თურქეთის მხარდაჭერით,"– განაცხადა პრეს-კონფერენციაზე თურქეთის სახელმწიფოს მეთაურმა [Azerbaijan Turkey return to plan for gas pipeline to Azeri exclave].13 გაზსადენის პროექტი პირველად შეაჩერეს 2010 წელს, როდესაც აზერბაიჯანსა და ირანს შორის ურთიერთობები გაუარესდა. ამ წელს აზერბაიჯანის ნავთობის ეროვნულმა კომპანიამ „სოკარმა" ხელი მოაწერა მემორანდუმს გაზსადენის პროექტის შესახებ თურქეთის სახელმწიფო გაზის კომპანია „ბოტაშთან" (Botas). არცერთმა მხარემ არ გამოაქვეყნა ამ გაზსადენის მშენებლობის გრაფიკი და არც განაცხადეს, მიღწეულია თუ არა საკრედიტო ხელშეკრულებები მის დასაფინანსებლად.

როგორც ზემოაღნიშნული ინფორმაციიდან ირკვევა, აზერბაიჯანი და თურქეთი სატრანსპორტო-საკომუნიკაციო სფეროებში აგრძელებენ გ. ალიევის მიერ ინიცირებულ „ერთი ხალხი, ორი ქვეყანა" პოლიტიკას, რაც გლობალური პანევროპული პროექტებიდან, ლოკალურ-რეგიონალურ ტრანსსასაზღვრო პროექტებისკენ შემობრუნებას მოასწავებს.

დასკვნა. ამრიგად, ახალი კორონავირუსის „კოვიდ19"-ის პანდემიამ გარკვეული ცვლილებები შეიტანა გეოეკონომიკური პრობლემების კვლევაში. კერძოდ, გეოეკონომიკური გლობალიზაციის ნაცვლად სულ უფრო აქტუალური ხდება მისი საპირისპირო პროცესის – პანდემიით გამოწვეული რეგიონალიზაციის, ეკონომიკური პროცესების ლოკალიზაციის შესწავლა. საქართველოზე გამავალი ევროკავშირის ენერგო-სატრანსპორტო ინფრასტრუქტურა არა თხევადი გაზის (LNG) ტერმინალებსა და ტანკერებს ემყარება, არამედ პირდაპირი, გრძელვადიანი სამეურნეო კონტრაქტების, ანუ გაზსადენებით ვაჭრობის სისტემას იყენებს. ამ სისტემის მხარდამჭერებს

პანდემიის პირობებში აქვთ ძლიერი არგუმენტი, რაც ასევე საკმაოდ მარტივია – გაზის მილებით მიმწოდებლები და მომხმარებლები ათწლეულების განმავლობაში არ ხვდებიან ერთმანეთს, ანუ არ აქვთ ე.წ. სოციალური კონტაქტები. მაშინ როდესაც, LNG გაზის "სპოტ" ვაჭრობის შედარებითი უპირატესობაა, რომ ის საბირჟო ფასწარმოქმნის მექანიზმებს ეყრდნობა და საზღვაო ტანკერებით ხორციელდება. თუმცა, პანდემიის პირობებში ასეთი ვაჭრობის ნეგატიური მხარეა გაზის "მიწოდების ჯაჭვში" პერიოდულ ცვლილებების შეტანა, რაც ხშირ სოციალურ კონტაქტებს მოითხოვს. ეს კი პანდემიის გავრცელების საფრთხეს ზრდის. ამაზე მეტყველებს აზერბაიჯანული გაზის საქართველოსა და თურქეთის გავლით ნახჭევანის ავტონომიურ რესპუბლიკაში, ანუ რეგიონული მასშტაბით მიწოდების შესახებ ურთიერთგაგების მემორანდუმი, რომელიც გაფორმდა 2020 წლის 25 თებერვალს აზერბაიჯანისა და თურქეთის უმაღლესი დონის შეხვედრის დროს. ეს მაშინ, როდესაც პანევროპული „სამხრეთის გაზის დერეფნის" ბოლო რგოლის – „ტრანსადრიატიკული გაზსადენის" (TAP) მწყობრში ჩადგობა 2020 წლის ბოლომდე გადაიდო.

თავი II.
ეკონომიკის ეფექტიანი განვითარების თანამედროვე თეორიები

2.1. ეკონომიკური ეფექტიანობის საკითხები კეინსურ მიმართულებაში

„ყველაფერი ზემოაღნიშნული იმის თქმის საფუძველს გვაძლევს, რომ თანამედროვეობის ზოგიერთი მოვლენა – „კოვიდ19"-ის პანდემია, ციფრული ეკონომიკის ჩამოყალიბება, ინფორმაციული საზოგადოების ფორმირება, ჩრდილოვანი ეკონომიკის მასშტაბების ზრდა – ეკონომიკური ეფექტიანობის თეორიული საფუძვლების ახლებურად გააზრების საჭიროებას წარმოქმნის.

დინამიკური მაკროეკონომიკური წონასწორობის თეორიის ფუძემდებელი ჯ. მ. კეინსი, რომლის „ზოგადი თეორიის" გამოქვეყნებამ წინა პლანზე წამოსწია მაკროეკონომიკური კვლევა, კერძოდ კი დინამიკური წონასწორობისა და მდგრადობის პრობლემა. კვლევის ეს მიმართულება ცნობილია ეკონომიკური ზრდის თეორიის სახელით, რომელიც თავდაპირველად წარმოიშვა როგორც კეინსური თეორია 30-50-იან წლებში, მაგრამ შემდეგ ამ თეორიის განვითარებაში ფაქტობრივად ყველა მიმართულება მონაწილეობს.[8] არც იმის დავიწყება შეიძლება, რომ ეკონომიკის დინამიკური განვითარების ცალკეული საკითხები მეტ-ნაკლებად იხილებოდა ეკონომიკის დინამიზაციის ე.წ. ორთოდოქსულ თეორიაში ფიზიოკრატების,

8. В. Е. Шляпентох. Эконометрика и проблемы экономического роста. М., 1966. И. Осадчая. Современное кейнсианство. М., 1971.

კლასიკოსების, მარქსის, შუმპეტერის მიერ. განსაკუთრებით აღსანიშნავია ი. შუმპეტერის ეკონომიკური განვითარების თეორია, რომელმაც უდიდესი ზემოქმედება მოახდინა ეკონომიკური დინამიკის თანამედროვე თეორიების ფორმირებაზე. მაგრამ მანამდე, აუცილებელია განვიხილოთ თვითონ ეკონომიკის დინამიზაციის კატეგორიის არსი და შინაარსი.

როგორც უკვე აღინიშნა, მარჟინალიზმის კლასიკური თეორიის ცენტრალური საკითხებია ფასების განსაზღვრისა და მოთხოვნა-მიწოდების პრობლემა, რომელიც წყდება სტატიკური, ე.ი. ეკონომიკური მაჩვენებლების უცვლელობის პირობებში, დროში მათი ცვლილებების გარეშე. ცნობილია, რომ ჯ. ბ. კლარკს სტატიკური ანალიზის მონაცემებში შეჰქონდა მოსახლეობა, კაპიტალი, ტექნოლოგია, წარმოების ორგანიზაცია და ა.შ.[9] ამ თვალსაზრისით, სტატიკასა და დინამიკას თანამედროვე ეკონომისტები განასხავვებენ შემდეგი ორი მიდგომის საფუძველზე: პირველი კონცეფციის მიხედვით სტატიკა არის თეორია, რომელიც იძლევა ეკონომიკური მოვლენების ახსნას, ხოლო ყველა სხვა გარემოება განიხილება როგორც მოცემული და უცვლელი; დინამიკა, პირიქით, არაფერს არ მიიჩნევს მოცემულად და ხსნის ყველაფერს, რის ახსნასაც სტატიკა უარყოფს. სტატიკა მეცნიერული აბსტრაქციის უმაღლესი გამოხატულებაა, მაშინ, როდესაც დინამიკა ცდილობს მაქსიმალურად მიუახლოვდეს სინამდვილეს, რეალური მეურნეობის პირობებს. მეორე კონცეფცია ეფუძნება ამ კატეგორიების მიმართებას წონასწორობასთან; სტატიკა ადგენს კერძო ან საყოველთაო წონასწორობის ფორმალურ თავისებურებებს და პირობებს, მაშინ, როდესაც ეკონომიკური დინამიკა მოწოდებულია გაარკვოს როგორ მიიღწევა წონასწორული მდგომარეობა, რომელი პროცესები და ძალები განაპირობებენ მის მიღწევას და შენარჩუნებას. მაშასადამე, ამ კონცეფციის მიხედვით, სტატიკა არის დინამიკის მხოლოდ კერძო, განსაკუთრებული შემთხვევა, ხოლო წონასწორობა შეიძლება ახასიათებდეს როგორც სტატიკას, ისე დინამიკას, იგი შეიძლება იყოს სტაბილური, არასტაბილური და ნეიტრალური. წონასწორობა სტაბილურია, თუ გაწონასწორებული მდგომარეო-

9. Дж. Б. Кларк. Распределение богатства. М.-Л, 1934, стр. 40_ 41.

ბიდან მცირე გადახრისას წარმოიშობიან ძალები, რომლებიც ცდილობენ კვლავ დააბრუნონ სისტემა წონასწორულ მდოგმარეობაში. წონასწორობა არასტაბილურია, თუ ასეთი გადახრა, პირიქით, წარმოშობს ძალებს, რომლებიც ცდილობენ კიდევ უფრო მეტად დააშოროს სისტემა თავდაპირველ წონასწორულ მდგომარეობას. რაც შეეხება ნეიტრალურ წონასწორობას, ამ დროს არც პირველი, არც მეორე სახეობის ძალები არ არსებობენ და სისტემა მუდმივად წონასწორულ მდგომარეობაშია. მაშასადამე, აღიარებულია, რომ ეკონომიკური დინამიკის ცენტრალური პრობლემა არის სტაბილური და არასტაბილური წონასწორობის პრობლემა, იმ პროცესების კვლევა და რეალიზაცია, რომელიც მათ განაპირობებენ, ანუ სხვანაირად რომ ვთქვათ, იმის გარკვევა, როგორ განისაზღვრება დღევანდელი ეკონომიკური მდგომარეობა წარსული ეკონომიკური მდგომარეობით და როგორ განსაზღვრავს დღევანდელი ეკონომიკური მდგომარეობა ეკონომიკურ განვითარებას მომავალში. ცხადია, ეს ურთულესი პრობლემა მეთოდურად დღემდე არ არის დამაკმაყოფილებლად გადაჭრილი.

ამ ამოცანის მეთოდური გადაწყვეტის ძიებაში დიდ წვლილი მიუძღვის ი. შუმპეტერის ეკონომიკური განვითარების თეორიას, რომელიც მან ჯერ კიდევ 1921 წელს, ნეოკლასიკური მიმართულების ბატონობის პერიოდში გამოაქვეყნა, ხოლო შემდგომ განავითარა უკვე 40-იან წლებში.[10] მისი აზრით, დინამიკურმა თეორიამ უნდა უჩვენოს, თუ როგორ წარმოშობს თვითნ ეკონომიკური სისტემა შინაგან ძალებს მისი მუდმივი ცვლილებისათვის. იგი განასხვავებს ეკონომიკურ ზრდას და ეკონომიკურ განვითარებას. პირველი, მისი აზრით, ხასიათდება წარმოების ფაქტორების უცვლელი, ტრადიციული კომბინაციით, მეორე – მათი ახალი კომბინაციით, ძველი წონასწორობის დარღვევით მეწარმის ინოვაციური საქმიანობის შედეგად. ინოვაციებში იგი გულისხმობდა ახალი ნაკეთობის დანერგვას, ან არსებულის გაუმჯობესებას, ახალი საწარმოო მეთოდის დანერგვას; ახალი ბაზრის გახსნას; წარმოების ფაქტორების ახალი წყაროს გამოყენებას; მრეწველობის ორგანიზაციის შეცვლას, გამომდინარე, მაგალითად, მონოპოლიზაციი-

10. И. Шумпетер. Теория экономического развития. М., 1982.

დან. შუმპეტერს მიაჩნდა, რომ წარმოების ფაქტორების ახალი კომბინაცია ინოვაციების საფუძველზე უფრო მომგებიანია, რადგანაც ის იწვევს დანახარჯების შემცირებას, ეკონომიას. სწორედ ეს სხვაობა განაპირობებს, მისი აზრით, მეწარმის მოგებას. ინოვაციების განხორციელებისათვის მეწარმეს სჭირდება კრედიტები. მაშასადამე, შუმპეტერის ეკონომიკური განვითარების თეორიის ცენტრალური საკითხია ინოვაცია, როგორც წარმოების ეფექტიანობის ამაღლების ფაქტორი, რომელიც განაპირობებს გამოყენებული რესურსების ეკონომიასა და მეწარმეობით მოგებას. მოგება, კრედიტი და პროცენტი ეკონომიკური დინამიკისათვის დამახასიათებელი გარდამავალი მოვლენებია, ისინი ქრებიან, თუ ინოვაციები დაინერგება მასობრივად და განაპირობებს საშუალო საწარმოო დანახარჯებსა და ფასებს და მათ შესაბამის წონასწორობის ახალ დონეს. კაპიტალიზმის წყარო და მამოძრავებელი ძალა, შუმპეტერის აზრით, მისი შინაგანი ძალები და პროცესებია, რაც თვით სისტემის ფუნქციონირებით არის გამოწვეული. სისტემის მამოძრავებელი ძალაა ნოვატორი, მეწარმე, რომლებიც მიისწრაფვის უფრო მაღალი მოგებისაკენ, ვიდრე შეუძლია უზრუნველყოს წარმოების ტრადიციულმა წესმა.

გამოიყოფა ეკონომიკური ზრდის სამი ძირითადი თანამედროვე თეორია: ნეოკეინსური, ნეოკლასიკური და ინსტიტუციურ-სოციოლოგიური, ნეოკეინსური თეორია ეყრდნობა იმ დებულებას, რომ წარმოებისა და შემოსავლების თანაბარზომიერი და მუდმივი ზრდის მთავარი პირობა არის ეფექტიანი მოთხოვნის დინამიკა. ნეოკლასიკური თეორია იხილავს დაბალანსებული ზრდის პირობებს რაციონალური საწარმოო სისტემის ჩარჩოებში, რომელიც არ ცნობს წინააღმდეგობას წარმოებასა და მოხმარებას შორის და მიიჩნევს, რომ საბაზრო სისტემას თვითონ შეუძლია უზრუნველყოს ავტომატურად მიწოდებისა და მოთხოვნის ურთიერთგაწონასწორება. რაც შეეხება ინსტიტუციურ-სოციოლოგიური მიმართულების ეკონომიკური ზრდის თეორიას, იგი შედარებით უფრო სუსტად არის შემუშავებული და ეყრდნობა განვითარების სტადიების გამოყოფას მწარმოებლური ძალების განვითარების კვალობაზე. ყველა ეს თეორია ხასიათდება იმით, რომ წინა პლანზე გამოაქვთ ორი პრობლემა: გრძელვადიან პერიოდში ეროვნული შემოსავლის

შესაძლო პოტენციური ზრდის განმსაზღვრელი პრობლემა; ეკონომიკის სტაბილური მდგომარეობის უზრუნველმყოფელი პირობების პრობლემა, ანუ დინამიკური წონასწორობის პირობების პრობლემა, როგორ ეგუება და აღწევს ეკონომიკა სტაბილურ წონასწორობას. მაშასადამე, მთავარია ეკონომიკის არასტაბილური მდგომარეობიდან დინამიკურ სტაბილურობაში გადაყვანის პრობლემა.

ჯ. მ. კეინსის კვლევის მთავარი ამოცანა იყო იმის შესწავლა, თუ როგორ ფუნქციონირებს კაპიტალისტური მეურნეობა.[11] მთავარი შედეგი, რაც გამომდინარეობს მისი „ზოგადი თეორიიდან", გამოიხატება იმით, რომ საბაზრო მექანიზმი ვეღარ მოქმედებს ავტომატურად, ხელფასი და ფასები არ ხასიათდება ისეთი მოქნილობით, როგორც ამას ნეოკლასიკოსები ასაბუთებენ. ასევე, არ არის ცალსახა ურთიერთდამოკიდებულება ინვესტიციებს, დანაზოგებსა და პროცენტს შორის, რის გამოც მისი წონასწორობით მდგომარეობაში დასაბრუნებლად, ღრმა კრიზისის, დეპრესიის, უმუშევრობის თავიდან ასაცილებლად, აუცილებელია სახელმწიფოს მარეგულირებელი ჩარევა ეკონომიკის ფუნქციონირებაში. კეინსის თეორიის საფუძველია, „ფულადი ეკონომიკის" კონცეფცია, მანამდე გაბატონებული მარჟინალიზმის თეორიის საპირისპიროდ, რომელიც გამომდინარე სეის კანონიდან, ყურადღებას არ აქცევდა რეალიზაციასა და ფულის როლს. კეინსის მიხედვით, ფული არა მარტო საანგარიშო ერთეულია, არამედ სიმდიდრის დაგროვების საშუალებაცაა, რის გამოც ის ძალზე დიდ როლს ასრულებს ეკონომიკაში. ტრადიციული თეორიის გაყოფა ოთხ ნაწილად – ფულის რაოდენობრივ თეორიად, რომლის მიზანია ფასის აბსოლუტური დონის განსაზღვრა და წარმოების ფაქტორების ღირებულებისა და განაწილების თეორიად, კეინსი მიიჩნევდა სინამდვილისაგან ეკონომიკური თეორიის დაშორების და კაპიტალისტური მეურნეობის ფუნქციონირების მექანიზმის გახსნის უუნარობის მთავარ მიზეზად. ამიტომ თავის თეორიაში იგი შეეცადა მათ სინთეზს და წინა პლანზე წამოსწია ბაზრისა და რეალიზაციის პრობლემა. კეინსი მიიჩნევდა, რომ კაპიტალიზმი პირველი მსოფლიო ომის შემდეგ ხასიათდებოდა მოგების დაბალი ნორმით, რასაც ხსნიდა კაპიტალის დიდი დაგროვებით და მომგე-

11. ჯ. კეინსი, დასაქმების, პროცენტისა და ფულის ზოგადი თეორია, ქუთაისი, 1995.

ბიანი კაპიტალდაბანდებების უკმარისობით. განსაკუთრებით შემცირდა მოხმარებისადმი მიდრეკილება, ხოლო პროცენტი მინიმალურ დონესაც კი ვერ აღწევდა კაპიტალის ეფექტიანობის უზრუნველსაყოფად. „მდიდარი საზოგადოების“ ასეთი თავისებურებების პირობებში, აღნიშნავდა კეინსი, წარმოიშვა ქრონიკული მასობრივი უმუშევრობისა და არსებული წარმოების საშუალებების არასრული გამოყენების ტენდენცია, რაც კრიზისის უშუალო მიზეზებია. ასეთი მდგომარეობის ძირითადი მიზეზია, კეინსის აზრით, არასაკმარისი ეფექტიანი მოთხოვნა, რადგანაც დანაზოგები ჭარბობენ ინვესტიციებს, არ გადაიქცნენ რეალურ დაგროვებად და დარჩნენ ფულადი ფორმით. მაშასადამე, ჭარბი კაპიტალის და არასაკმარისი მოთხოვნის მდგომარეობა, რაც ნეოკლასიკოსებთან გამორიცხულია სეის კანონის მოქმედების გამო, რომელიც საერთოდ არ უშვებს რეალიზაციის პრობლემას და გულისხმობს საწარმოო რესურსების სრულ გამოყენებას.

ამრიგად, კეინსმა ფაქტობრივად დაასაბუთა, რომ განვითარებული კაპიტალიზმის პირობებში ყველა მნიშვნელოვანი პრობლემის გადაწყვეტა უნდა ვეძებოთ არა რესურსების მიწოდების სფეროში – მათი იშვიათობის, ფასეულობის, ყველაზე უფრო ეფექტიანი შეთანწყობისას პროდუქციის მაქსიმუმის მისაღებად, წარმოების ფაქტორების ასანაზღაურებლად და ა.შ. როგორც ამას მიიჩნევდნენ ნეოკლასიკური მიმდინარეობის წარმომადგენლები, არამედ მოთხოვნის სფეროში. სწორედ ეფექტიანი მოთხოვნა, მისი კომპონენტები – მოხმარება და დაგროვება, აგრეთვე ამ უკანსკნელთა მოძრაობის განმაპირობებელი ფაქტორები წარმოადგენენ, კეინსის აზრით, ეკონომიკური ზრდისა და წონასწორობის მთავარ წყაროს. ამ ახალი მიდგომის თავისებურება განსაკუთრებით გამოკვეთილად გამოჩნდა დანაზოგების მაგალითზე. ადრინდელი თეორია ამტკიცებდა, რომ ეკონომიკის ზრდის საფუძველია ეკონომიურობა, მოხმარებისაგან თავის შეკავება. კეინსმა უარყო ასეთი მიდგომა, მიუთითა, რომ როგორც კი ეკონომიურობა წინ უსწრებს გერგილიანობას, ნოვატორობას, იგი აბრკოლებს მეურნეობრიობის გამოცოცხლებას და ამცირებს მოგებას. თუ ადრე თეორიის ცენტრში იყო ფირმა, მისი დანახარჯების მინიმიზაციისა და მოგების მაქსიმიზაციის პრობლემა, კეინსმა კვლევის ცენტრში დააყენა აგრეგირებული მაკროე-

კონომიკური მაჩვენებლები – ეროვნული შემოსავალი, დასაქმება, ერთობლივი მოთხოვნა, ერთობლივი მიწოდება, ინვესტიციები, დანაზოგები და ა.შ. ცალკეული ფირმების მოგების მაქსიმიზაცია არ არის ეკონომიკის აყვავების იდენტური, მათი ინტერესები შეიძლება არ ემთხვეოდეს ერთმანეთს, რის გადაწყვეტაც უნდა მოიძებნოს არა ცალკეული ფირმების მოგების მაქსიმიზაციის გზით, როგორც ამას მარჟინალისტები ფიქრობენ, არამედ საერთო ეკონომიკური წონასწორობის, დაბალანსების პირობების უზრუნველყოფით, აღწარმოების პირობების საერთო გაუმჯობესებით.

ამასთან, თავისი ანალიზის ამოსავალ პუნქტად კეინსმა აქცია დასაქმების პრობლემა, რომელსაც ნეოკლასიკოსები საერთოდ არ იხილავდნენ, დასაქმების დონე, კეინსის მიხედვით, განისაზღვრება ეფექტიანი მოთხოვნით, რომელიც ყალიბდება მოსალოდნელი გასავლებით მოხმარებაზე და სავარაუდო კაპიტალური დაბანდებებით. სწორედ ეფექტიანი მოთხოვნა და არა რესურსების მიწოდება და მათზე ფასების ცვლილება, განსაზღვრავს დასაქმების დონეს და ეროვნულ შემოსავალს. ეფექტიანი მოთხოვნისა და ეროვნული შემოსავლის ზრდის კანონზომიერებების განსაზღვრის მცდელობა წარმოადგენს კეინსელობის ცენტრალურ იდეას და სიახლეს პოლიტიკურ ეკონომიაში. ეფექტიანი მოთხოვნა კეინსელებთან არის მოთხოვნისა და მიწოდების ისეთი თანაფარდობა, რომელიც უზრუნველყოფს მაქსიმალური მოგების მიღებას.[12] „...ეფექტიანი მოთხოვნა – აღნიშნავს კეინსი, – წარმოადგენს ერთობლივი მოთხოვნის ფუნქციის ისეთ მნიშვნელობას, რომელიც ფაქტობრივად რეალიზებადი აღმოჩნდება. შემდგომში მიწოდების პირობებთან უშუალოდ დაკავშირებული ეს მნიშვნელობა შეესაბამება დასაქმების დონეს, რომლის დროსაც მეწარმეს შეუძლია მოსალოდნელი მოგების სიდიდის მაქსიმიზება".[13] მაშასადამე, კეინსთან ეფექტიანი მოთხოვნა გაიგივებულია მთლიან შემოსავალთან, რომელიც მოიცავს მოგებას, ხელფასს, პროცენტს, რენტას და, ამავე დროს, ფაქტობრივ და არა პოტენციური მსყიდველობით უნარიან მოთხოვნასაც, რომელიც მაქსიმალური მოგების უზრუნველყოფის უმნიშვნელოვანესი

12. იქვე. გვ.62.

13. იქვე. გვ.62.

საშუალებაა. ეფექტიანი მოთხოვნის მიჩნევა მოგების მაქსიმიზირების უმნიშვნელოვანეს პირობად წითელ ზოლად გასდევს კეინსისა და კეინსიანელების თეორიას და მოგების მაქსიმიზაციასთან სწორედ ასეთი დამოკიდებულება აქცევს ეფექტიან მოთხოვნას წონასწორობისა და ეკონომიკური ეფექტიანობის კატეგორიდ. კეინსმა დაასაბუთა, რომ მაკროეკონომიკური წონასწორობის მიღწევის მთავარი ფაქტორია ეფექტიანი მოთხოვნა. თუ იგი საკმარისი არ არის წონასწორობის მისაღწევად, სრული დასაქმების მისაღწევად, მაშინ სახელმწიფო უნდა ჩაერიოს ეკონომიკაში ეფექტიანი მოთხოვნის უზრუნველსაყოფად. ამიტომ არის, რომ მან წინა პლანზე წამოსწია ეროვნული შემოსავლის მოცულობის პრობლემა, მისი განაწილების პრობლემის ნაცვლად, როგორც ეს კლასიკურ პოლიტიკურ ეკონომიაში იყო. ეფექტიანი მოთხოვნა როგორც წონასწორობის მთავარი პირობა, კეინსის მიხედვით, ყალიბდება ორი კომპონენტით – მოხმარებითა და ინვესტიციებით. მხოლოდ მაშინ, როდესაც ეს ორი კომპონენტი არის განსაზღვრულ თანაფარდობასა და დონეზე, შეიძლება მიღწეულ იქნეს სრული დასაქმება. განიხილა რა მოხმარებაზე მოქმედი მრავალი ობიექტური და სუბიექტური ფაქტორი, კეინსი მივიდა იმ დასკვნამდე, რომ ყველა ისინი, რეალური შემოსავლის ცვლილების გარდა, არ ახდენენ რაიმე სერიოზულ ზემოქმედებას მოხმარების მოცულობაზე. ამასთან, მან დააფიქსირა საზოგადოების ძირითადი ფსიქოლოგიური კანონი, რომლის მიხედვითაც ადამიანი თავისი შემოსავლების ზრდის კვალობაზე სულ უფრო ნაკლებს მოიხმარს, ხოლო დანაზოგებს, პირიქით, ზრდის. ეს იმას ნიშნავს, რომ შემოსავლების ზრდასთან ერთად მოხმარების ნამატის ზრდა თანდათან მცირდება. ეს კი განაპირობებს ეროვნულ შემოსავალში მოხმარების საშუალო დონის შემცირებას ციკლის აღმავლობის ფაზასა და საერთოდ გრძელვადიან პერიოდში. მაშასადამე, ეროვნული შემოსავლის მუდმივი ზრდის უზრუნველსაყოფად საჭიროა ინვესტიციების გადიდება მზარდი დანაზოგების მოცულობის ათვისების მიზნით. ამასთან, რაც უფრო მდიდარია საზოგადოება, ეს პრობლემა უფრო მწვავდება, რადგანაც მან მით უფრო მეტი მოცულობის ეროვნული შემოსავალი უნდა გაიღოს ინვესტიციებისათვის.

ეროვნული შემოსავლისა და დასაქმების დონის განსაზღვრი-

სათვის მთავარ მნიშვნელობას კეინსი ანიჭებდა ინვესტიციებს. იგი წერდა; „...მაჩვენებლის მოცემული სიდიდისას, რომელსაც ჩვენ ვუწოდებთ საზოგადოების მოხმარებისაკენ მიდრეკილებას, დასაქმების წონასწორობითი დონე, ე.ი. ის დონე, რომლის დროსაც მეწარმეებს საერთოდ არა აქვთ მისწრაფება გააფართოონ ან შეამცირონ დასაქმება, დამოკიდებული იქნება მიდინარე ინვესტიციების სიდიდეზე.“[14] აქედან ჩანს, რომ კეინსური თეორიისათვის მთავარია ურთიერთკავშირი ინვესტიციებს, მოხმარებასა და ეროვნულ შემოსავალს შორის. ამ კავშირს კეინსი ამყარებს მულტიპლიკატორის კონცეფციის მეშვეობით, რომელიც გულისხმობს მყარ თანაფარდობას ინვესტიციების ნამატსა და ეროვნული შემოსავლის ნამატს შორის: ინვესტიციებისათვის გამოყოფილი თითოეული გასავალი, დანახარჯი გადაიქცევა პირველად შემოსავლებად, ამ უკანასკნელის ნაწილი, ხარჯვის პროცესის შედეგად, გადაიქცევა მეორეულ, მესამეულ შემოსავლებად და ა.შ. ერთდროულად იზრდება დასაქმებაც და წარმოებაც. მულტიპლიკაციური პროცესის ხანგრძლივობა, მულტიპლიკატორის სიდიდე განისაზღვრება იმით, თუ რა თანაფარდობით იყოფა შემოსავალი მოხმარების ნაწილად და დანაზოგების ნაწილად. შემოსავლის რაც უფრო დიდი ნაწილი მოიხმარება, მით უფრო მეტ შემოსავლებს წარმოშობს თავდაპირველად ინვესტირებული ფულის თანხა და მით უფრო ხანგრძლივი იქნება მულტიპლიკაციური პროცესი. რაც შეეხება ინვესტიციების სიდიდეს, იგი განისაზღვრება ორი ძირითადი ფაქტორით – ინვესტიციების ზღვრული ეფექტიანობით, ანუ მოცემული ინვესტიციების მოსალოდნელი მომგებიანობითა და პროცენტის ნორმით. ამ უკანასკნელის არსებული განაკვეთი განსაზღვრავს მეწარმისათვის მისი მომავალი ინვესტიციების უდაბლეს ზღვარს. რაც უფრო დაბალია პროცენტის ნორმა, მით უფრო ძლიერია ინვესტირებისაკენ მიდრეკილება და, პირიქით, თუ ფულის მიწოდება არ ზემოქმედებს პროცენტის განაკვეთზე, კეინსის აზრით, მაშინ ფულად-საკრედიტო პოლიტიკა უშედეგოა, ვერ გამოიყვანს ეკონომიკას სიძნელეებიდან, კრიზისიდან, თვლიდა რა მოხმარებას შედარებით მუდმივ სიდიდედ, კეინსი ძირითად ყურადღებას უთმობდა ინვესტიციებით

14. იქვე. გვ.62.

ეკონომიკის უზრუნველყოფას სახელმწიფოს დახმარებით. ინვესტიციების დინამიკას, რომელსაც დასაქმების გადიდება მოსდევს ხშირად, კეინსი უშუალოდ უკავშირებდა მოგების გადიდების შესაძლებლობას მომავალში.

კეინსი განსაკუთრებით დიდ ყურადღებას უთმობდა ეფექტიანი მოთხოვნის უზრუნველყოფას, კერძოდ, ფულად-საკრედიტო და საბიუჯეტო პოლიტიკის საკითხებს. ინვესტიციების რეგულირებისათვის იგი ასაბუთებდა სახელმწიფოს მიერ პროცენტის რეგულირების აუცილებლობას, მაგრამ კრიზისების პრქტიკა უჩვენებდა, რომ არ არსებობს უშუალო და მჭიდრო კავშირი პროცენტის ნორმასა და ინვესტიციებს შორის. იგი მივიდა დასკვნამდე, რომ ფულად-საკრედიტო პოლიტიკა აბსოლუტურად არაეფექტიანი საშუალებაა კრიზისიდან გამოსვლისათვის. მისი დასკვნით, მთავარი კრიზისის დაძლევისათვის არის რწმენის დაბრუნება მეწარმეებისათვის ინვესტიციების განსახორციელებლად, რაც შეიძლება მიღწეულ იქნეს არა ფულად-საკრედიტო პოლიტიკით, არამედ სახელმწიფოს საბიუჯეტო პოლიტიკით, სახელმწიფო ინვესტიციების გადიდებით, რადგანაც სწორედ სახელმწიფოს შეუძლია განსაღვროს საჭირო რესურსების საერთო რაოდენობა და ამ რესურსების მფლობელთა ანაზღაურების განაკვეთები.

რაც შეეხება ფასებსა და ინფლაციას, კეინსი იმის გამო, რომ იხილავდა მოკლევადიან პერიოდს, ფასებს მუდმივ სიდიდედ მიიჩნევდა, მიუთითებდა, რომ ეკონომიკა რეაგირებს ფულზე მოთხოვნის ცვლილებაზე წარმოებისა და დასაქმების ზრდით ან შემცირებით და არა ფასების ზრდით ან შემცირებით. თუმცა, ამავე დროს, კეინსი თვლიდა, რომ გრძელვადიან ასპექტში აღინიშნება ფასების ზრდის ტენდენცია, რაც, მისი აზრით, გამოწვეულია ხელფასის ერთეულის უფრო სწრაფი ზრდით წარმოების ეფექტიანობის ზრდასთან შედარებით. მან საფუძველი ჩაუყარა დანახარჯების ინფლაციის თეორიას, რაც დაკავშირებულია ხელფასის ზრდასთან მანამდე, სანამ მიღწეულ იქნება სრული დასაქმება.

ამგვარად, კეინსმა ფაქტობრივად აღიარა, რომ არ არსებობს სრულყოფილი კონკურენციის პირობები და მისთვის დამახასიათებელი წონანორობის პირობები, კაპიტალიზმისათვის დამახასიათებელია ციკლური განვითარება კრიზისებითა და აღმავლობის ფა-

ზით, არასრული დასაქმება, დაასაბუთა, რომ სახელმწიფოს ჩარევა ეკონომიკაში, მთავრობის ფუნქციების გაფართოება ერთადერთი საშუალებაა არსებული ეკონომიკური ფორმების სრული რღვევის თავიდან ასაცილებლად და საბაზრო ეკონომიკის წარმატებითი ფუნქციონირების პირობების შესანარჩუნებლად. დასაქმების რეალურ მოცულობას განსაზღვრავს ერთობლივი ეფექტიანი მოთხოვნა, მეწარმეთა მოლოდინი საზოგადოების ერთობლივ დანახარჯებზე, პირადი მოთხოვნილებების დაკმაყოფილებასა და ინვესტიციებზე. მისი დასაქმების ზოგადი თეორიის არსი გამოიხატება შემდეგი დებულებით: დასაქმების დონე განისაზღვრება შრომის მიწოდებით, მოხმარებისადმი მიდრეკილებით და ინვესტიციების დონით. კეინსი გამოყოფდა დასაქმების სამ სახეს: სრულ, არასრულ და არანებაყოფლობით დასაქმებას. მარშალის ნეოკლასიკური მოდელი განიხილავდა წონასწორობის მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევას სრული დასაქმების პირობებში, მაშინ, როდესაც კეინსური წონასწორობა წონასწორობის მაკროეკონომიკური მოდელია არასრული დასაქმების პირობებში. აქედან ისიც გამომდინარეობს, რომ კეინსის მიხედვით სრული დასაქმების პირობებში მოქმედებას იწყებს ნეოკლასიკური მოდელი. კეინსის დინამიკური წონასწორობის მთავარი პირობაა ინვესტიციებისა და დანაზოგების ტოლობა. მაგრამ მნიშვნელოვანია წონასწორობის სხვა პირობებიც: დანაზოგები არის შემოსავლების ფუნქცია; მოთხოვნა ფულზე განისაზღვრება არა მარტო ვაჭრობის მოთხოვნით, არამედ აგრეთვე სპეკულაციური მოთხოვნით, რომელიც არის ლიკვიდურობისაკენ მიდრეკილების ფუნქცია და დამოკიდებულია პროცენტის ნორმაზე; შრომის მიწოდება არის ხელფასის ფუნქცია, ხელფასი კი, ხასიათდება შემცირების ტენდენციით. ამასთან, ინვესტიცია არის კაპიტალის ეფექტიანობისა და პროცენტის ნორმის ფუნქცია; დასაქმება დამოკიდებულია მოთხოვნასა და ინვესტიციებზე; კაპიტალის ზღვრული ეფექტიანობა დაკავშირებულია მოლოდინსა და კაპიტალის ღირებულებასთან; პროცენტის ნორმა განისაღვრება ლიკვდიურობის მჯობინებით და ფულადი მასით. ლიკვიდურობის მჯობინებისას პროცენტის ნორმა მცირდება, რაც ასტიმულირებს მეწარმეებს ინვესტირებისათვის, ხოლო შემოსავალი იზრდება მულტიპლიკატორის მოქმედების შედეგად. ეს უკასნკნელი კი განისაზღვრება მოხმარებით. ეფექტიანი უკმარისობისას აუცი-

ლებელი ხდება სახელმწიფოს მარეგულირებელი საქმიანობა. ასეთია მოკლედ კეინსის თეორიის ძირითადი თავისებურებანი.

კეინსისა და მისი მიმდევრების ეკონომიკური წონასწორობის მოდელის ლოგიკა შემდეგნაირია. ჯერ განიხილება შემოსავლებისა და პროდუქტების წრებრუნვა ჩაკეტილ მეურნეობაში სახელმწიფო სექტორის გარეშე. აქ ოჯახური მეურნეობები გადააქცევენ შემოსავლების ნაწილს დანაზოგებად. შემდეგ ეს დანაზოგები მოძრაობენ ფირმებისა და საქმიანი საწარმოებისაკენ, რომლებიც შემდეგ ახორციელებენ ამ სახსრების ინვესტირებას ან ძირითად კაპიტალში, ან სასაქონლო-მატერიალურ მარაგებში. ამასთან, განასხვავებენ გეგმიან და დაუგეგმავ ინვესტიციებს სასაქონლო-მატერიალურ მარაგებში. ამ უკანსკნელის დაგეგმილი ან დაუგეგმავი ცვლილება ვრცელდება არა მარტო ცალკეულ პროდუქტსა და ფირმაზე, არამედ ეკონომიკურ სისტემაზე მთლიანად. თუ ფირმებისა და საოჯახო მეურნეობების ჯამურ გეგმიან დანახარჯებში – მოხამრება + ინვესტიციები + დაგეგმილი ცვლილებები მარაგებში მცირეა ეროვნულ პროდუქტთან შედარებით, მაშინ დაუგეგმავი ინვესტიციების მოცულობა მარაგებში გაიზრდება, გაუყიდავი საქონელი დაგროვდება საწყობებში და, პირიქით. თუ ყველა გამყიდველის გეგმები ერთმანეთს ემთხვევა, გეგმიანი დანახარჯები მოხმარებაზე და ინვესტიციები საქონლის რეალური წარმოების ტოლია, მაშინ სასაქონლო-მატერიალური მარაგები არ არსებობენ და ეკონომიკა წონასწორობაშია. თუ გეგმიანი დანახარჯები მეტია წარმოებულ პროდუქტზე, მაშინ აღინიშნება მარაგების დაუგეგმავი შემცირება. თუ გეგმიანი დანახარჯები მცირეა წარმოებულ ერთობლივ პროდუქტზე, მაშინ მარაგები დაუგეგმავად იზრდება. ღია ეკონომიკისას მასში ინტეგრირდება სახელმწიფო სექტორიც. მაშინ გეგმიანი საერთო დანახარჯები მოიცავენ მოხმარებას პლუს გეგმიანი ინვესტიციები, პლუს სახელმწიფო შესყიდვები, პლუს წმინდა ექსპორტი. ეკონომიკის წონასწორობისათვის ამ ფაქტორების, ე.ი. საერთო გეგმიანი დანახარჯების ჯამი ტოლი უნდა იყოს ეროვნული პროდუქტის, ამასთან, მარაგების არაგეგმიანი დაგროვებაც არ იქნება. კეინსი განიხილავდა ურთიერთდამოკიდებულებას გეგმიან დანახარჯებსა და ეროვნულ პროდუქტს შორის, როგორც მაკროეკონომიკური ანალიზის ცენტრალურ პრობლემას. მან მოდელში და-

მატებით შეიტანა ფაქტობრივი შემოსავლის წმინდა გადასახადების, ავტონომიური წმინდა გადასახადების და ზღვრული საგადასახადო განაკვეთის კატეგორიები. ფაქტობრივი შემოსავალი არის ეროვნული შემოსავალი შემცირებული წმინდა გადასახადების მოცულობით. ამასთან, გადასახადებსა და ტრანსფერტულ გადახდებში გამოიყოფა ორი სახე – ავტონომიური, რაც არ არის დამოკიდებული შემოსავლის სიდიდეზე და ავტონომიური, რაც დამოკიდებულია შემოსავლის სიდიდეზე. ავტონომიური გადასახადების მაგალითია საკუთრებაზე გადასახადი, ტრანსფერტული გადასახადები – პენსიები და დახმარებები სახელმწიფო მომსახურებაზე და სხვა. ავტონომიური წმინდა გადასახადები არის სხვაობა იმ გადასახადებსა და ტრანსფერტულ გადახდებს შორის, რომლებიც არ არიან დამოკიდებულნი შემოსავლის სიდიდეზე. ზღვრული საგადასახადო განაკვეთი, ეს არის ეროვნული შემოსავლის თითოეული დამატებითი თანხის ის ნაწილი, რომელიც ამოიღება წმინდა გადასახადების სახით. კეინსმა დაასაბუთა, რომ ეკონომიკა წონასწორობაშია მხოლოდ მაშინ, როდესაც საერთო გეგმიანი დანახარჯები ეროვნული პროდუქტის ტოლია. სახელმწიფო სექტორი ინტეგრირდება ეკონომიკაში სახელმწიფო შესყიდვების, საოჯახი მეურნეობებისადმი ტრანსფერტული გადასახდელების, სამთავრობო ხაზინაში საგადასახადო შემოსავლების თავმოყრის გზით. სამთავრობო გასავლებისა და დანახარჯების გადასახადებიდან შემოსავლების მიმართ მეტობის შემთხვევაში მთავრობას შეუძლია ამ სახეობის კომპენსირება სესხის აღებით საფინანსო ბაზრებზე. ანალიტიკური ფორმით გეგმიანი დანახარჯების ფუნქცია ასეთი სახისაა: E_p=A+b(1-t).Y, სადაც E_p გეგმიანი დანახარჯებია, b – მოხმარებისადმი ზღვრული მიდრეკილება, t – ზღვრული საგადასახადო განაკვეთი, ხოლო ¤ – ეროვნული შემოსავალი. A არის საერთო ავტონომიური გასავლები, ანუ ავტონომიური მოხმარების, გეგმიანი ინვესტიციებისა და სახელმწიფო დანახარჯების ჯამს გამოკლებული მოხმარებისადმი ზღვრული მიდრეკილების ნამრავლი ავტონომიურ წმინდა გადასახადებზე. ეკონომიკური სისტემის წონასწორობის დონე შეესაბამება გეგმიანი დანახარჯების ფუნქციის გრაფიკისა და ერონვული პროდუქტის ფუნქციის გრაფიკის გადაკვეთის წერტილს. ეროვნული შემოსავლის ნებისმიერი სხვა დონისას ამ ორ გრაფიკს შორის

სხვაობა ვერტიკალზე სახავს სასაქონლო-მატერიალური მარაგების არაგეგმიანი ცვლილებების სიდიდეს. ავტონომიური დანახარჯების ნებისმიერი კომპონენტის ერთი დოლარით ცვლილება იწვევს ეროვნული შემოსავლის წონასწორობის დონეში უფრო მეტ ცვლილებას, ვიდრე ეს დოლარი. ეროვნული შემოსავლის დონის ცვლილებების აბსოლუტური სიდიდის შეფარდება ავტონომიური დანახარჯების ცვლილების დონესთან წარმოადგენს დანახარჯების მულტიპლიკატორს: M_e=1:[1-b(1-t), რომელიც იწვევს აღნიშნულ მულტიპლიკაციურ ეფექტს. როგორც ჩანს, დარღვეული წონასწორობის აღდგენა, კეინსის მიხედვით, შეიძლება გეგმიანი დანახარჯების კომპონენტების რეგულირებით – პირადი მოხმარების, ინვესტიციების, სახელმწიფო დაკვეთების, საგადასახადო განაკვეთების რეგულირებით.

ნეოკეინსიანური კონცეფციის თავისებურებანი. კეინსური მოდელის საფუძველზე განვითარდა ნეოკეინსური დინამიკური წონასწორობის და ეკონომიკური ზრდის თეორიები. ამ მხრივ მნიშვნელოვანია რ. ხარროდის, ე. დომარის, ნ. კალდორის, ე. ხანსენის ნეოკეინსური მოდელები. ყველა ეს მოდელი ემყარება კეინსის მაკროეკონომიკური წონასწორობის ძირითად პირობას – ინვესტიციებისა და დანაზოგების ტოლობის შესახებ. ხარროდი იყენებს ახალ დინამიკურ მაჩვენებლებსა და კატეგორიებს.[15] კერძოდ, იგი იხილავს ზრდის სამ ნორმას – გარანტირებულს (G_w), ბუნებრივსა (Gn) და ფაქტობრივს (G). ზრდის გარანტირებული ნორმა განისაზღვრება ფაქტობრივი დანაზოგებით და კაპიტალური კოეფიციენტით, რომელსაც მეწარმეები ნორმალურად მიიჩნევენ და ამიტომ მზად არიან შეინარჩუნონ. კაპიტალური კოეფიციენტი გამოხატავს ინვესტიციების შეფარდებას მისგან გამოწვეული პროდუქტის ნამატთან. თუ ეკონომიკა ვითარდება ამ ტემპით, მაშინ ინვესტიციები შეიწოვენ დანაზოგებს მთლიანად, ხოლო მეწარმეები დაკმაყოფილებულნი არიან, რადგანაც წარმოებული პროდუქტი სრულად რეალიზდება და მოაქვს შესაბამისი მოგება. ამიტომ ისინი დაინტერესებული იქნებიან მომავალშიც იმავე ოდენობით გაადიდონ წარმოება და მისი შესაბამისი ინვეს-

15. Р. Ф.Харрод. К теории экономической динамики. М., 1959.

ტიციები. გარანტირებული ზრდის ტემპი, ხარროდის მიხედვით, $G_w = S^1:Cr$, ანუ დანაზოგებისაკენ მიდრეკილება (დანაზოგები გაყოფილი შემოსავალზე) გაყოფილი კაპიტალურ კოეფიციენტზე პროცენტის უცვლელი განაკვეთისას. ზრდის ბუნებრივი ნორმა განისაზღვრება დასაქმებულთა რიცხოვნობით და ტექნიკური პროგრესით. იგი წარმოადგენს მაქსიმალურად შესაძლებელი ზრდის დონეს, რომლის დროსაც სრულად გამოიყენება ყველა საწარმოო რესურსი. ხარროდის მიხედვით დანაზოგებისადმი არანაწონასწორული მიდრეკილებებისას ზრდის ბუნებრივი ნორმა Gn=S:Cr, ანუ საერთო დანაზოგები გაყოფილი კაპიტალურ კოეფიციენტზე ნეიტრალური მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესისას, ხოლო დანაზოგებისადმი მიდრეკილების წონასწორული დონისას Gn=Sr:C, ანუ დანაზოგებისადმი მიდრეკილების წონასწორული დონე გაყოფილი კაპიტალურ კოეფიციენტზე ნეიტრალური მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესისას. ფაქტობრივი ზრდის ნორმა (G) შეიძლება გადაიხაროს როგორც გარანტირებული, ისე ბუნებრივი ზრდისაგან, მაგრამ მას არ შეუძლია გადააჭარბოს ზრდის ბუნებრივ ნორმას. იდეალური დინამიკური ეკონომიკა იქნებოდა ყველა ამ სამი სახის ზრდის ნორმის ტოლობის შემთხვევაში. ხარროდმა ნათელყო რატომ არ შეიძლება ასეთი იდეალური მდგომარეობის მიღწევა თავისუფალი მეწარმოების პირობებში. თუ ზრდის ფაქტობრივი ნორმა ჭარბობს გარანტირებულ ნორმას, მაშინ ინვესტიციები ჭარბობენ დაგროვებას და წარმოიშობა ინფლაციის ტენდენცია, აგრეთვე, ფართო მოხმარების საქონლის ნაკლებწარმოება. სამომხმარებლო მოთხოვნის ნაწილი უნდა დაკმაყოფილდეს არსებული მარაგებიდან, რაც იწვევს სასურველი კაპიტალური კოეფეციენტის შემცირებას, რადგანაც თანაფარდობა „კაპიტალი – წარმოება", მარაგებში კაპიტალურ დაბანდებებსაც მოიცავს. ეს აიძულებს მეწარმეებს შემდგომშიც გაზარდონ ინვესტიციები, რის გამოც თავდაპირველი უწონასწორობა კიდევ უფრო გაუარესდება.

იმ შემთხვევაში, როდესაც წარმოების და შემოსავლების ზრდის ფაქტობრივი ნორმა მცირეა გარანტირებულ ნორმასთან შედარებით, დანაზოგების მოცულობა უფრო დიდი იქნება, ვიდრე ინვესტიციების მოცულობა. კეინსის მიხედვით, მაშინ წარმოიშობა უმუშევრობა, გამოუყენებელი საწარმოო სიმძლავრეები და ჭარბწარ-

მოება. კაპიტალური კოეფიციენტი იქნება უფრო მაღალი, ვიდრე სურთ მეწარმეებს, ამიტომ ისინი შემდგომშიც შეამცირებენ ინვესტიციებს. კვლავ დაიწყება დაზოგვის პროცესი, რომელიც ამჯერად ეკონომიკის ღრმა დეპრესიას გამოიწვევს.

ხარროდი იხილავს ზრდის გარანტირებული და ბუნებრივი ნორმების ურთიერთდამოკიდებულების საკითხსაც: ბუნებრივი ნორმა გადაულახავი ზღვარია, რაც განპირობებულია მოსახლეობის და ტექნიკური პროგრესის ბუნებრივი ზრდით. თუ გარანტირებული ნორმა იქნება ბუნებრივ ნორმაზე მაღალი, მაშინ ეკონომიკა ვერ მიაღწევს წონასწორულ მდგომარეობას. დაგროვების ნაწილი არ შეიძლება გადაიქცეს ინვესტიციებად სამუშაო ძალისა და ტექნიკური პროგრესის უქონლობის გამო. თუ ეკონომიკა მიაღწევს სრული დასაქმების ზღვრულ წერტილს, შემდგომში იგი საქონლის ჭარბწარმოების გამო დეპრესიის მიმართულებით იმოძრავებს, და პირიქით, თუ ზრდის ბუნებრივი ნორმა მაღალია გარანტირებულზე, მაშინ, მიუხედავად სამუშაო ძალის არსებობისა და ტექნიკური პროგრესისა, ეს უკანასკნელნი ვერ იქნებიან გამოყენებულნი დაგროვების არარსებობის გამო. ინვესტიციების დაგროვების მიმართ მუდმივი სიჭარბის შედეგად წარმოიშობა ინფლაცია, რომელიც სულ უფრო გამწვავდება.[16]

ხარროდის ძირითადი დასკვნები გამოიხატა შემდეგით: თავისუფალი წარმოების სისტემას შეუძლია ფუნქციონირება სიძნელეების გარეშე მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მიღწეულ იქნება შემოსავლების მუდმივი დაჩქარებული ზრდა. მაშინ უზრუნველყოფილ იქნება საწარმოო ინვესტიციები მზარდი სამომხმარებლო მოთხოვნის შესაბამისად. მაგრამ ინვესტიციური გადაწყვეტილებები გაურკვეველი, შეუცნობადი ხასიათისაა და ხშირად არ შეესაბამება დაგროვებისა და ბუნებრივი ზრდის მოთხოვნებს. იმ შემთხვევაშიც კი, თუ მიღწეულ იქნება ეკონომიკური ზრდის აუცილებელი ტემპი, რამდენიმე ხნის შემდეგ იგი მაინც აუცილებლად მიაღწევს სრული დასაქმების ბარიერს, რის შემდეგაც იწყება დეპრესიული ტენდენციების განვითარება. გარანტირებული ზრდის ნორმისაგან თვით მცირე გადახრაც კი, რაც გამოწ-

16. იქვე. გვ.118-135

ვეულია დანაზოგების ხვედრითი წილით ეროვნულ შემოსავალში, აღრმავებს უწონასწორობას, რაც საბოლოოდ, განაპირობებს დეპრესიასა და ინფლაციას. აქედან გამომდინარე, ეკონომიკის მუდმივი წონასწორობითი განვითარებისათვის აუცილებელია სახელმწიფოს ჩარევა შესაბამისი ფინანსური პოლიტიკით, იმისათვის, რომ შემცირდეს სხვაობა გარანტირებული და ბუნებრივი ზრდის ნორმებს შორის. ეკონომიკის ოპტიმალური ზრდა არის ზრდის ბუნებრივი ნორმა, რომლის მიღწევის მთავარი ფაქტორია ერთობლივი დანაზოგების რეგულირება. ინვესტიციების შესახებ გადაწყვეტილებების მიღებაში ხარროდი დიდ როლს აკისრებდა აქსელერატორის – დამაჩქარებლის პრინციპს: მოთხოვნის ან შემოსავლის ზრდა ზემოქმედებს როგორც აქსელერატორი, უწინარეს ყოვლისა, ძირითადი კაპიტალის სფეროში. ამიტომ მოთხოვნა ინვესტიციებზე მეტია, ვიდრე სამომხმარებლო მოთხოვნის ზრდა, რომელმაც იგი გამოიწვია. ე.ი. აქსელერატორი უჩვენებს დამოკიდებულებას შემოსავლების ზრდასა და ინვესტიციების ზრდას შორის. ასეთი უკუკავშირი შემოსავლებსა და ინვესტიციებს შორის კეინსთან არ გვხვდება. იგი იხილავდა მხოლოდ მულტიპლიკაციურ ურთიერთობას კაპიტალდაბანდებებსა და შემოსავლებს შორის. აქსელერაციის პრინციპი გამოხატავს გარკვეულ კავშირს მოხმარების საგნებსა და წარმოების საშუალებებს შორის. მოთხოვნა და შემოსავლები რომ არ იზრდებოდეს, მაშინ საჭირო იქნებოდა მხოლოდ ინვესტიციები განახლებისათვის და არა – წმინდა კაპიტალური დაბანდებები წარმოების გაფართოებისათვის. მაგრამ თუ სამომხმარებლო მოთხოვნა იზრდება, მაშინ წმინდა კაპიტალური დაბანდებები უნდა იზრდებოდეს უფრო სწრაფად, ვიდრე მოთხოვნა, რადგანაც ისინი გამოდიან გრძელვადიანი ინვესტიციური ფასეულობების როლში, რომლებმაც მომავალი მოთხოვნა უნდა უზრუნველყოს. შესაბამისად, თუ სამომხმარებლო მოთხოვნა მცირდება, ინვესტიციური მოთხოვნის დაცემა გაცილებით უფრო ძლიერი იქნება.

აქსელერატორთან დაკავშირებით ხარროდი გამოყოფს ავტონომიურ და ინდუქტიურ, ანუ სტიმულირებად ინვესტიციებს. პირველი დაკავშირებულია სიახლეების, ინოვაციების დანერგვასთან და არ არის დამოკიდებული მიმდინარე გაყიდვებზე, გამოშვებაზე, არ

საჭიროებს სტიმულირებას შემოსავლების გადიდების სახით. მათი განხორციელებისათვის აუცილებელია მხოლოდ მეწარმეობითი ნიჭი და მოგების წყაროების ძიება. ისინი შეიძლება გამოწვეული იყოს მოსახლეობის ზრდითაც. მეორე სახის ინვესტიციები უშუალოდ უკავშირდება პროდუქციის გამოშვებას და დამოკიდებულია აქსელერაციაზე. სინამდვილეში ზოგიერთი საწარმო ფართოვდება, სხვები – ქრება. ტექნიკური პროგრესიც და მოსახლეობის ზრდაც უთანაბროა, ნახტომისებურია. ყველაფერი ეს აფერხებს უწყვეტი განვითარების ტენდენციას და საბოლოო ანგარიშით, განაპირობებს ციკლურ განვითარებას.

ხარროდის მოდელმა დიდი ზემოქმედება მოახდინა ეკონომიკური ზრდის შემდგომი თეორიების განვითარებაზე, რადგანაც მან წინა პლანზე წამოსწია წონასწორობის არასტაბილურობის პრობლემა.

ე. დომარმა თავის მოდელში ყურადღება გაამახვილა ეკონომიკურ ზრდაში საწარმოო სიმძლავრეების მნიშვნელობაზე. მისთვის ინვესტიციები არის არა მარტო შემოსავლების წარმოშობის ფაქტორი, როგორც ამას მიიჩნევდა კეინსი, არამედ აგრეთვე სიმძლავრეების შექმნის წყარო. ინვესტიციური პროცესის ამ ორადი ბუნებით განისაზღვრება ეროვნული შემოსავლის წონასწორობითი ზრდის დომარისეული მოდელის არსი. დომარის მიხედვით ეკონომიკა წონასწორობაშია მაშინ, როდესაც ეროვნული შემოსავალი, როგორც ერთობლივი მოთხოვნა, ტოლია საწარმოო სიმძლავრეების, რომელიც, თავის მხრივ, წარმოადგენს ერთობლივ მიწოდებას. საწარმოო სიმძლავრე, დომარის მიხედვით, გამოიხატება წმინდა ერთობლივი პროდუქტით, რომელიც იწარმოება სრული დასაქმებისა და სხვა რესურსების სრული გამოყენების დროს. ასეთი იდეალური მდგომარეობისას არ არსებობს არც ჭარბი კაპიტალი გამოუყენებელი საწარმოო სიმძლავრეების სახით, არც ჭარბი სამუშაო ძალა. ასეთი წონასწორობის შენარჩუნებისათვის მოთხოვნის ნამატი მიწოდების ნამატის ტოლი უნდა იყოს. ასეთი დინამიკური წონასწორობა შეიძლება შენარჩუნებულ იქნეს კაპიტალისტური დაბანდებების მხოლოდ განსაზღვრული ტემპით ზრდის პირობებში, რადგანაც მხოლოდ ისინი ქმნიან როგორც ახალ სიმძლავრეს, ისე ახალ შემოსავლებს.

მაშასადამე, დინამიკური წონასწორობის მთავარი პრობლემაა კაპიტალდაბანდებების ისეთი მოცულობისა და ტემპის განსაზღვრა, რომლის დროსაც შემოსავლის მატება საწარმოო სიმძლავრეების მატების ტოლია. ამისათვის დომარმა გადაწყვიტა სამი განტოლება: მიწოდების, მოთხოვნის, მიწოდებისა და მოთხოვნის ტოლობის განტოლება. მიწოდების განტოლება გვიჩვენებს წარმოების, ანუ საწარმოო სიმძლავრეების როგორ ნამატს უზრუნველყოფენ კაპიტალდაბანდებები: წარმოების ნამატი ტოლია საერთო კაპიტალური დაბანდებები X კაპიტალური დაბანდებების მწარმოებლურობაზე, ეფექტიანობაზე. ეს უკანსკნელი წარმოადგგენს ინვესტიციების შეფარდებას წარმოების მოცულობასთან, ე.ი. გამოხატავს კაპიტალდაბანდებების ერთეულის მიერ შექმნილი ახალი პროდუქტის სიდიდეს და ერთროულად ზრდის სხვა ფაქტორის – ტექნიკური პროგრესის, დასაქმების, ბუნებრივი რესურსების და ა.შ. სფეროებში ცვლილებების ზემოქმედებას. მოთხოვნა გამოიხატება მულტიპლიკატორის განტოლებით: შემოსავლების ნამატი ტოლია ინვესტიციების ნამატი X მულტიპლკატორზე, ანუ დანაზოგებისადმი მიდრეკილების შებრუნებულ სიდიდეზე. მოთხოვნის განტოლება გამოხატავს შემოსავლის ნამატს, რომელიც გამოწვეულია დამატებითი კაპიტალური დაბანდებები მულტიპლიკაციური ზემოქმედებით. მესამე განტოლება გამოხატავს დინამიკური წონასწორობის მთავარ პირობას – შემოსავლების ნამატსა და წარმოების ნამატს შორის ტოლობას: ინვესტიციების ნამატი X მულტიპლიკატორზე ტოლია საერთო ინვესტიციების ნამრავლისა კაპიტალური დაბანდებების ეფექტიანობაზე. აქედან, კაპიტალური დაბანდებების ძირეული ზრდის ნორმა: ინვესტიციების ნამატი გაყოფილი საერთო ინვესტიციების მოცულობაზე ტოლია დანაზოგებისადმი მიდრკილების ანუ ეროვნულ შემოსავალში დაგროვების ხვედრითი წილის ნამრავლისა კაპტიალური დაბანდებების ეფექტიანობაზე. თუ კაპიტალური დაბანდებები მუდმივად იზრდება ამ ტემპით, მაშინ ეროვნული შემოსავალიც იმავე ტემპით გაიზრდება და სრული დასაქმებისას საწარმოო სიმძლავრეების სრულ გამოყენებას უზრუნველყოფს. თუ, მაგალითად, დანაზოგებისადმი მიდრეკილება შეადგენს 12%-ს, ხოლო კაპიტლის მწარმოებლურობა 30%-ს, მა-

შინ კაპიტალური დაბანდებისა და ეროვნული შემოსავლის დაბალანსებული ზრდის ნორმა 3,6% იქნება.

ხარროდისა და დომარის მოდელები შემდგომში განავითარეს მათმა მიმდევრებმა და საბოლოოდ ჩამოყალიბდა ხარროდ-დომარის მოდელი, რომელიც ხასიათდება შემდეგი ძირითადი წანამძღვრებით: ეკონომიკა ამ მოდელში განხილულია ერთი დარგის სახით, სადაც იწარმოება ერთგვაროვანი და უსასრულოდ გაყოფადი პროდუქტი; საქონლის წარმოებისათვის აუცილებელია რესურსების ორი სახე – შრომა და კაპიტალი. შრომა არის წარმოების არააღწარმოებადი ფაქტორი, მოსახლეობის ზრდის ტემპები განისაზღვრება არაეკონომიკური ფაქტორებით: შრომისა და კაპიტალის რაოდენობა, რომელიც აუცილებელია პროდუქციის ერთეულის წარმოებისათვის, უცვლელია და განისაზღვრება მაკროტექნოლოგიური პარამეტრებით; ეროვნული შემოსავლის ნაწილი, რომელიც განკუთვნილია დანაზოგებისათვის ახალი სიმძლავრეების ნამატის დაფინანსების მიზნით, უცვლელია; წარმოების მასშტაბების გადიდებით გამოწვეული დანახარჯების ეკონომიას ადგილი არა აქვს.

ქვემოთ მოტანილია ეკონომიკური ზრდის სხვადასხვა ტემპის ძირითადი მახასიათებლები. მოდელში Y აღნიშნავს ეროვნულ შემოსავალს, K – წმინდა კაპიტალურ დაბანდებებს, F – კაპიტალს, P – მოსახლეობის რაოდენობას; S – დანაზოგებს (S=K); / – ეროვნული შემოსავლის დანაზოგების ნორმა (s=s/y=k/y), b – შემოსავლის ხვედრითი ფონდტევადობა (b=F/Y), Tp – მოსახლეობის ზრდის ტემპი, T y – შემოსავლის ზრდის ტემპი TF – კაპიტალის ზრდის ტემპი, Гn – პროცენტის ბუნებრივი ნორმა, ანუ განვითარების ბუნებრივი ტემპი, რომელიც უზრუნველყოფს ოპტიმალურ კეთილდღეობას რესურსებისა და სიახლეების სრული გამოყენების პირობებში, ΔYn -შემოსავლების ბუნებრივი მატება მოსახლეობის ერთ სულზე, L – მრუდის ელასტიკურობა, რომელიც გამოხატავს შემოსავლის სარგებლიანობის შემცირებას – მოხმარების ზრდის და ამ მოხმარების სარგებლიანობის კორელაციური ზრდის თანაფარდობას.

ცხრილი №9. ეკონომიკური ზრდის ტემპების თავისებურებანი ხარროდ-დომარის მოდელში

გარანტირებული ზრდა	ბუნებრივი ზრდა	
	დამოკიდებული შემოსავლების აბსოლუტური სიდიდე	დამოკიდებული შემოსავლების ნამატი პროცენტზე
1. $G_{\cup} \cdot Cr = S^1$	1. Gn · Cr = S	Gn Cr = Sr – როდესაც
2. ინვესტიციები ნეიტრალურია	2. ინვესტიციები არ არის ნეიტრალური	
3. პროცენტის განაკვეთი მუდმივი სიდიდეა	3. პროცენტის განაკვეთი იცვლება, მაგრამ შეზღუდული სახით	
4. Gω და S – მოცემულია	4. G და S იცვლება	
5. ზრდა ენდოგენურია	5. ზრდა ეგზოგენურია – განისაზღვრება მოსახლეობის ზრდით, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესითა და პროცენტის განაკვეთით.	
6. ეკონომიკის წონასწორული მუდმივი და რეგულარული ზრდა	6. ეკონომიკის ზრდის სხვადასხვა მდგომარეობა: ა) წონასწორული, როდესაც S=Sr ბ) არაწონასწორული, როდესაც S>Sr და S<Sr	

მოდელის მთავარი ამოცანაა შემოსავლის სტაბილური ზრდის ტემპის განსაზღვრა. ამისათვის განიხილება ზრდის ტემპის სამი ძირითადი სახეობა – ბუნებრივი, გარანტირებული და ფაქტობრივი ზრდა. ბუნებრვი ზრდა განისაზღვრება მოსახლეობის ზრდის ტემპით და გამოხატავს შემოსავლის ბუნებრვი ზედა ზღვარს: თყ = თპ. გარანტირებული ზრდა არის ისეთი ზრდა, რომელიც შეზღუდულია წარმოების აღწარმოებადი ფაქტორის – კაპიტალის მოცულობით.

T_F =; = =; T_F = = T_y

მაშასადამე, ამ შემთხვევაში ძირითადი პირობა არის შემოსავლის ზრდისა და კაპიტალის ზრდის ტემპის ტოლობა. ფაქტობრივი ზრდის ტემპი იცვლება კაპიტალისა და შრომის მოცულობის ცვლილების კვალობაზე:

T_p =; T_p >; T_p >;

ამგვარად, ეკონომიკური სისტემის მუდმივი წონასწორული ზრდის არსებობის პირობაა მოსახლეობისა და კაპიტალის ზრდის ტემპის ტოლობა:

T_p =; da T_p = T_F = T^o_y

სადაც T^{p}_{y} არის შემოსალვის წონასწორული სტაბილური ზრდა. რეალურ სინამდვილეში, როდესაც მოსახლეობის ზრდის ტემპი T_{g} ნაკლებია, ე.ი. ეროვნული შემოსავლის დანაზოგების ნორმის შეფარდებისას შემოსავლის ხვედრით ფონდტევადობასთან, წარმოებაში მიიღწევა სრული დასაქმება, მაგრამ წარმოიშობა საწარმოო სიმძლარეების სიჭარბე. ეს იმას ნიშნავს, რომ ძირითადი კაპიტალი არ არის სრულად გამოყენებული, რაც ამცირებს ფონდუკუგებას და საბოლოოდ, წარმოების ეფექტიანობას. ამ შემთხვევაში შემოსავლის ტემპი შრომითი რესურსების ზრდის ტემპის ტოლია. მეორე შემთხვევაში, როდესაც $T_{y} >$ ეკონომიკაში იზრდება უმუშევრობა. ამ შემთხვევაში შემოსავლის ზრდის ტემპი განისაზღვრება კაპიტალის ზრდის ტემპით. საბოლოოდ, ცხადია, რომ დაბალანსებული ზრდის ტემპი არის მოსახლეობის რიცხოვნობისა და კაპიტალის ზრდის ტემპის ფუნქცია.

ამრიგად, კეინსის მიმდევრების მიერ ჩამოყალიბებული ეკონომიკური ზრდის კეინსური თეორიები ხასიათდებოდა შემდეგი ძირითადი თავისებურებებით; პირველი, ამ თეორიებში წინა პლანზე წამოწიეს და დეტალურად დასაბუთდნენ აღწარმოების რეალური ფაქტორები – ეფექტიანი მოთხოვნა, მოხმარების ფუნქცია, ინვესტიციების ფუნქცია, მულტიპლიკაციისა და აქსელერაციის მექანიზმები, მათი ერთდროულად მოქმედების მექანიზმი და ა.შ. მაგრამ, ამავე დროს, ამ თოერიებში არაარსებით, უმნიშვნელო ფაქტორებად იქნა მიჩნული ფულადი სფეროს ფაქტორები – ფულის მასის დინამიკა, პროცენტის ნორმა, ფასები. წარმოიშვა კეინსური თეორიის უფულო ვერსია, თუმცა როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, კეინსი ყურადღებას ამახვილებდა ფულის ეკონომიკაზე ზემოქმედების დიდ მნიშვნელობაზე. მეორე, ეკონომიკური ზრდის კეინსური თეორია ეროვნული შემოსავლის დონის განსაზღვრის თეორიას ფაქტობრივად განიხილავდა, როგორც ეკონომიური წონასწროობის თეორიას, არასრული დასაქმების პირობებში. მაშასადამე, უკანასკნელი წარმოადგენს მხოლოდ კერძო შემთხვევას საერთო ეკონომიური წონასწორობის ნეოკლასიკურ კონცეფციაში.

ნეოკლასიკური სინთეზის თავისებურებანი. კეინსის თეორიის განხილული ინტერპრეტაცია ეკუთვნის ჯ. ხიკსს 1939 წ. გმოქვეყნებულ სტატიაში „კეინსი და კლასიკოსები: შემოთავაზებული ინ-

ტერპრეტაცია", სადაც მან დასვა ნეოკლასიკური სინთეზის, ანუ კეინსური და ნეოკლასიკური თეორიების ერთიან თეორიად გაერთიანების პრობლემა. ხიკსმა კეინსური მოდელი შეაფასა, როგორც ეკონომიკის განსაკუთრებული მდგომარეობა, როდესაც იგი „ლიკვიდურობის ხაფანგში" იმყოფება, ანუ როდესაც ფულის მიწოდების ზრდა აღარ ზემოქმედებს პროცენტის ნორმასა და, მაშასადამე, ინვესტიციებზე და როდესაც ირღვევა ეკონომიკური წონასწორობის აღდგენის ავტომატიზმი ფულად-ფასობრივი მექანიზმით, როგორც ამას ასაბუთებდნენ ნეოკლასიკოსები.[17] კეინსური რეკომენდაციების, კერძოდ, საბიუჯეტო რეგულირების საფუძველზე ეკონომიკის „ლიკვიდურობის ხაფანგიდან" გამოყვანის შემდეგ კვლავ მიიღება ეკონომიკური მექანიზმი, რომლებიც, ხიკსის მიხედვით, იმოქმედებს ნეოკლასიკური პრინციპების საფუძველზე. ხიკსმა ცალ-ცალკე განიხილა წონასწორობის გრაფიკები სასაქონლო და ფულად ბაზრებზე, შემდეგ გააერთიანა ისინი ერთ გრაფიკში, რითაც მიიღო ე.წ. „ხიკსის ჯვარი", რომელიც ნეოკლასკური სინთეზის არსს ასახავს.[18] თუ კეინსი აქცენტს აკეთებდა საბაზრო ეკონომიკის არანონასწორობით ხასიათზე, არასტაბილურობაზე, ნეოკეინსიანელებთან ეს პრობლემა შედარებით უკანა პლანზე გადადის და მათთვის მთავარი ხდება ეკონომიკის წონასწორობის აღდგენის, სტაბილური ზრდის პრობლემა, რაც მნიშვნელოვანი მეთოდოლოგიური ნაბიჯი იყო ნეოკლასიკურ თეორიასთან კომპრომისისათვის.

ნეოკლასიკური სინთეზი გახდა ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირების კეინსური პოლიტიკის საფუძველი, რომელმაც მოიცვა როგორც ფისკალური, ისე ფულად-საკრედიტო პოლიტიკა. რეგულირების ინსტრუმენტებად აღიარეს საბიუჯეტო პოლიტიკა, კერძოდ, სახელმწიფოს გასავლებისა და შემოსავლების, საგადასახადო განაკვეთების გამოყენება მოთხოვნის შესამცირებლად ან გასადიდებლად და ფულად-საკრედიტო პოლიტიკის ღონისძიებები, პროცენტის განაკვეთის ცვლილება შესაბამის ოპერაციებით ღია ბაზარზე.

---

17. Э. Долан, К. К. Эмпбелл, Р. Кэмпбелл. Деньги, банковское дело и денежно-кредитная политика, стр. 332-339.

18. Дж. Хикс. Стоимость и капитал.

ხიკსთან ერთად ნეოკლასიკური სინთეზის რეალიზაციაში დიდი წვლილი მიუძღვის პ. სამუელსონს, დ. პატინკინს, ლ. კლეინს, ფ. მოდილიანის, ჯ. ტობინს. თავის სახელმძღვანელოში „ეკონომიკა“, პ. სამუელსონი აღნიშნავს, რომ ნეოკლასიკური სინთეზი, საკრედიტო-ფულადი და ფისკალური პოლიტიკის გაერთიანება იძლევა ეკონომიკის მკვეთრი დაცემის თავიდან აცილების საშუალებას, ხოლო შემოსავლის დონის განსაზღვრის თანამედროვე ანალიზის ათვისება ამკვიდრებს ფასწარმოქმნის ძირითად კლასიკურ პრინციპებს და საბოლოოდ სპობს დიდ განსხვავებას მიკროეკონომიკასა და მაკროეკონომიკას შორის.[19]

მნიშვნელოვანი იყო, კერძოდ, დ. პატინკინის მიერ ხიკსის მოდელის სრულყოფა პიგუს სიმდიდრის ეფექტის, ანუ რეალური საკასო ნარჩენების ეფექტის მექანიზმის შემოღებით. ეს უკანასკნელი იძლევა ფულის ნეოკლასკური თეორიის წინააღმდეგობების, კერძოდ, „კლასიკური დიხოტომიის“ პარადოქსის გადაწყვეტის საშუალებას. იგულისმხება საქონლის ღირებულების თეორიის (სადაც გაცვლითი ურთიერთობები რეგულირდება მოთხოვნისა და მიწოდების კანონებით) მოწყვეტა ფულის თეორიისაგან (სადაც ფასების დონე დამოკიდებულია ფულის რაოდენობაზე). ფასების დონე ასეთ სისტემაში გაურკვეველია, რადგანაც არ არსებობს ფასების საქონელთა გაცვლით პროპორციებთან დამაკავშირებელი ეკონომიკური მექანიზმი. პატინკინი შეეცადა დაესაბუთებინა, რომ ფულის მარაგები უშუალოდ ზემოქმედებენ იმით, რომ როგორც დაგროვილი აქტივების ჯამის ელემენტი, მონაწილეობენ ინდივიდუალური სამომხმარებლო მოთხოვნის ფუნქციაში. ფულის მარაგების გადიდება ან შემცირება რეალური გადახდების ჯამის მიმართ ადიდებს ან ამცირებს მოთხოვნას საქონელზე, რასაც არ ითვალისწინებდა ნეოკლასიკური თეორია. პატინკინის მიხედვით, სწორად ფორმულირებული ფულის რაოდენობრივი თეორია უნდა მოიცავდეს სამ დებულებას: ფულის რაოდენობის გადიდება არღვევს ოპტიმალურ თანაფარდობას ინდივიდის ფულის საკასო ნარჩენების დონესა და გასავლებს შორის; ეს დარღვევა იწვევს გასავლების დაგეგმილი მოცულობის გადიდებას, რითაც აისახება რეალური საკასო ნარჩენების ეფექტი; გა-

19. П. Самуэльсон. Экономика, стр.396.

საქმეების გადიდება თავის მხრივ იწვევს ფასებზე დაწოლას, მათს ამაღლებას მანამდე, სანამ ისინი არ გაიზრდებიან იმავე პროპორციით, როგორც ფულის რაოდენობა.[20]

ნეოკლასიკური სინთეზის სხვა მნიშვნელოვანი თავისებურება იყო ის, რომ სრული დასაქმების იდეის ნაცვლად წინა პლანზე წამოიწია დასაქმებასა და ინფლაციას შორის ალტერნატივის, ანუ არჩევანის პრობლემამ. აქცენტების ასეთი გადაადგილება გამოიწვია „ფილიპსის მრუდის" კონცეფციამ, რომელიც გამოხატავდა ფუნქციონალურ დამოკიდებულებას დასაქმებასა და ინფლაციას შორის: რაც უფრო მაღალია უმუშევრობა, მით უფრო ნაკლებია ხელფასის მატება და ფასების ზრდა; და პირიქით, რაც უფრო ნაკლებია უმუშევრობა და მაღალია დასაქმება, მით უფრო დიდია ხელფასის მატება და ფასების ზრდის ტემპი. მაშასადამე, ინფლაციის დონე განისაზღვრება დასაქმების დონით, და პირიქით. ემპირიული გამოკვლევების საფუძველზე ჩატარებულმა ნამუშევრებმა 50-იანი წლების დასასრულსა და 60-იან წლებში დაადასტურეს ამ დებულების არსებობა. ეკონოისტები იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ ინფლაციასა და უმუშევრობას შორის არსებობს სტაბილური და წინასწარგანჭვრეტადი უკუკავშირი. ასეთი კავშირის გათვალისწინებით ამ პერიოდში დგებოდა ეროვნული ეკონომიკური პროგნოზები მრავალ განვითარებულ ქვეყანაში.

ფილიპსის მრუდის ლოგიკური დასაბუთება ემყარება შრომის ბაზრის დაუბალანსებლობას და ბაზარზე მონოპოლიურ ბატონობას. პირველი გამოიხატება იმით, რომ მზარდ ეკონომიკაში უმუშევრობის საერთო დონის, ვთქვათ, 6-7%-ის პირობებში, შრომის ზოგიერთ სახეობაზე მოთხოვნა ცალკეულ რეგიონში არ იქნება დაკმაყოფილებული, რაც ბუნებრივია, აქ გამოიწვევს ხელფასის გადიდებას, ეს უკანასკნელი კი – დანახარჯების ზრდას და საბოლოოდ, ფასების გადიდებას, მაშინაც კი, როდესაც ეკონომიკა მთლიანად ჯერ კიდევ სრული დასაქმების პირობებში არ ფუნქციონირებს. მეორე მიზეზი დაკავშირებულია პროფკავშირებისა და მსხვილი ბიზნესის საბაზრო ძალაუფლებასთან ხელფასებისა და ფასების განსაზღვრის სფეროში, რისი შედეგიც ხშირად არის ფასების მზარდი დონე დამატებითი ერთობლივი მოთხოვნის არარსებობის პირობებში.

---

20. В. М. Усоскин. Теории денег. М., 1976, стр.202-209.

მაგრამ ამ პრობლემის გამოკვლევებმა და რეალურმა სინამდვილემ გამოააშკარავეს დასაქმებასა და ინფლაციას შორის რთული წინააღმდეგობრივი დამოკიდებულება, რაც ეკონომიკურ ლიტერატურაში მასტაბილიზებელი პოლიტიკის დილემის სახელწოდებით არის ცნობილი. გაირკვა, რომ ტრადიციული ფულადი და ფისკალური პოლიტიკა შემოიფარგლებოდა მხოლოდ ერთობლივი მოთხოვნის გადანაწილებით. ეს ღონისძიება არავითარ ზეგავლენას არ ახდენდა შრომის ბაზრის დისპროპორციებსა და ბაზარზე ბატონობის სისტემაზე, რომლებიც ინფლაციას იწვევდნენ სრული დასაქმების მდგომარეობის მიღწევამდე. კერძოდ, ფულადი და ფისკალური ღონისძიებების მეშვეობით ერთობლივი მოთხოვნით მანიპულირების შედეგი იყო ეკონომიკის უბრალო გადაადგილება ფილიპსის მოცემული მრუდის გასწვრივ. ეს კი იმას ნიშნავს, რომ მასტიმულირებელი ფისკალური პოლიტიკა და იაფი ფულის პოლიტიკა, რომელთაც ერთობლივად აქტიურად უნდა შეუწყონ ხელი ერთობლივ მოთხოვნას და მიაღწიონ უმუშევრობის დონის შემცირებას, იმავდროულად ინფლაციის უფრო მაღალი დონის გენერირებას გამოიწვევს, და პირიქით, შეზღუდული ფისკალური და ძვირი ფულის პოლიტიკა შეიძლება გამოყენებულ იქნეს ინფლაციის დონის შესამცირებლად, მაგრამ მხოლოდ უმუშევრობის დონის გადიდებისა და წარმოების დაკარგული მოცულობის ფასად. ამასთან, 70-80-იანი წლების ეკონომიკურმა განვითარებამ დაადასტურა, რომ ინფლაციის დონესა და უმუშევრობის დონეს შორის მყარი ალტერნატიული კავშირი არ არსებობს. ამ წლებში ეკონომიკაში ინფლაციისა და უმუშევრობის ერთდროული გადიდება შეინიშნებოდა, რაც სტაფლაციის ახალი კატეგორიით იქნა დახასიათებული. ინფლაციის ყოველ ახალ დონეს ამ პერიოდში თან ახლდა მზარდი უმუშევრობა. კეინსური მიმართულების მკვლევრები სტაგფლაციას მიწოდების შოკებით ანუ საფასო შოკების სერიებით ხსნიან. ამ შოკებიდან აღსანიშნავია; ნავთობის შოკები 1974 და 1979 წლებში, როდესაც ნავთობზე ფასი გაიზარდა შესაბამისად 4,0-ჯერ და 5,5-ჯერ, სოფლისმეურნეობრივი დეფიციტი 1972-1973 წლებში, რამაც განაპირობა მაღალი დანახარჯები მრეწველობის იმ დარგებში, რომლებიც სურსათსა და ნატურალურ ბოჭკოს ამზადებდნენ; დოლარის გაუფასურება 1971-1973 წლებში; 1971-1974 წლებში აშშ-ში არსებული ხელფასსა და ფასებზე კონ-

ტროლის გაუქმება. კეინსური მიმართულება საერთოდ მიიჩნევს, რომ ჯერ კიდევ არსებობს ინფლაციის და უმუშევრობის ზრდის ალტერნატიულობა. მაგრამ ერთობლივი მიწოდების ცვლილებებმა შეიძლება შეცვალოს ინფლაციისა და უმუშევრობის ცვლილებების ფარგლები განვითარების განსაკუთრებული ფაქტორების მოქმედების ზოგიერთი პერიოდის მანძილზე.

კეინსიანური ციკლის თეორიის თვისებურებანი. ეკონომიკის დინამიკური განვითარების თეორიის უმნიშვნელოვანესი შემადგენელი ნაწილია მისი ციკლური განვითარების თეორია. ცნობილია, რომ ჯ. კეინსის ზოგად თეორიაში ციკლის პრობლემა საერთოდ არ განიხილება. მაგრამ მან ჩამოაყალიბა სერიოზული დებულებები კრიზისის მიზეზებთან დაკავშირებით. ასეთ მიზეზად იგი მიიჩნევდა კაპიტალის ზღვრული ეფექტიანობის შემცირებას, ანუ მოგების მოსალოდნელი ნორმის დაცემას კაპიტალზე პროცენტის ნორმასთან შედარებით. მოგების ნორმის შემცირებას იგი უკავშირებდა აგრეთვე გაურკვეველ სიტუაციას ფასიანი ქაღალდების ბაზარზე, მომავლისადმი რწმენის დაკარგვას სხვადასხვა სუბიექტური და ობიექტური მიზეზით. მაშასადამე, კეინსი ხაზს უსვამდა ფულადი ფაქტორების, ფინანსური სფეროს არასტაბილურობის როლს, გაურკვევლობის პრინციპს კრიზისების და საერთოდ მერყევი და ციკლური განვითარების წარმოშობაში. მაგრამ კეინსის მიმდევრებმა არ გააგრძლეს ციკლის ამ ფაქტორეის შემდგომი კვლევა. მათი კვლევა წარიმართა, უწინარეს ყოვლისა, ციკლის როგორც ეკონომიკის ზრდის უთანაბრო, რყევითი პროცესის შესწავლის მიმართულებით ერთობლივი მოთხოვნის, ერთობლივი შემოსავლების, გასავლების, დანახარჯების დაგროვების, მოხმარების მაკროეკონომიკური კომპონენტების ბაზაზე უცვლელი ფასებით.

კეინსური ციკლის თეორიის განვითარება დაკავშირებულია ორთოდოქსული კეინსელობის ფუძემდებლების – რ. ხარროდის, პ. სამუელსონის, ჯ. ხიკსის, ე. ხანსენის სახელებთან. ყველაზე უფრო სრულყოფილად იგი გადმოცემულია ე. ხანსენის ნაშრომებში.[21] ამ თეორიის ბაზაზე 60-70-იან წლებში ფართოდ განვითარდა ციკლური პროცესების მოდელირების, მათ შორის პროგნოზირების მიმარ-

21. Э. Хансен. Экономические циклы и национальный доход. М., 1959.

თულება.[22] ე. ხანსენის თეორიაში წარმოების მამოძრავებელი ძალაა ტექნიკური პროგრესი, რომელიც სრულყოფს წარმოების მეთოდებს, წარმოშობს ახლ დარგებს, მოითხოვს ახალ ავტონომიურ ინვესტიციებს. ეს უკანასკნელნი განაპირობებენ მულტიპლიკაციურ-აქსელერაციულ პროცესებს: ინვესტიციები წარმოშობს შემოსავლებს, ეს უკანასკნელი კი იწვევს მეორეულ ინვესტიციებს და ა.შ. შედეგად იზრდება ეროვნული შემოსავალი. მანამდე, სანამ თავის თავს არ ამოწურავს მულტიპლიკატორ-აქსელერატორის მექანიზმი. ვითარდება კუმულიატიური, თვითგანვითარებადი აღმავლობა, რომლის თავდაპირველი სტიმული იყო ავტონომიური ინვესტიციები. ტექნიკური პროგრესი იწვევს არა მარტო ავტონომიურ ინვესტიციებს, არამედ განსაზღვრავს აქსელერატორის სიდიდესაც, ანუ კაპიტალის ნამატის სიდიდეს პროდუქციის ერთეულზე მოცემული ტექნოლოგიური პირობების შესაბამისად. ამიტომ ეკონომიკური ზრდის ინტენსიურობა და ხანგრძლივობა განისაზღვრება ტექნიკური პროგრესის ხასიათით. ზრდის შეწყვეტა და წარმოების დაქვეითების მიზეზები, ხენსენის აზრით, ორგვარი ხასიათისაა. პირველი ჯგუფის მიზეზები განსაზღვრავენ ავტონომიური ინვესტიციების თანდათან გაქრობას მანამდე, სანამ ტექნიკური პროგრესის ახალი ტალღა არ შექმნის მომგებიანი ინვესტირების ახალ შესაძლებლობებს. ასეთ მიზეზებს განეკუთვნებიან: ინვესტიციების ზღვრული ეფექტიანობის შემცირება მათი ზრდის კვალობაზე, ფასების წარმოების საშუალებებზე და პროცენტის ამაღლება. ეს სამი მიზეზი ერთად იწვევს ავტონომიური ინვესტიციების შენელებას. მეორე ჯგუფის მიზეზები დაკავშირებულია მულტიპლიკატორისა და აქსელერატორის მოქმედებით გამოწვეული კუმულიატური პროცესების შესუსტებით. ციკლების გამოჩენილი მკვლევრის გ. ხაბერლერის აზრით, აქსელერაცია ერთ დარგში შეიძლება ნეიტრალიზებულ იქნეს სხვა დარგში მოთხოვნის დაცემით. ამიტომ აქსელერაციული ეფექტის ხანგრძლივად შენარჩუნებისათვის აუცილებელია მოთხოვნის უწყვეტი ზრდა. მეწარმეები არ განახორციელებენ საწარმოო სიმძლავრეების გადიდებას, თუ აქსელერაციას დროებით მოვ-

22. Современные буржуазные теории экономического роста и цикла. М., 1979.

ლენად ჩათვლიან.[23] კეინსელების დიდი დამსახურებაა ის, რომ მათ დაასაბუთეს ციკლური განვითარების იმანენტურობა თანამედროვე დინამიკური ეკონომიკისათვის: ეკონომიკა დინამიკურად ვითარდება მანამდე, სანამ ამის შესაძლებლობას იძლევა ინვესტიციები და მომხმარებელთა მოლოდინი. მოხმარება, ტექნიკურ პროგრესთან ერთად, განსაზღვრავს ინვესტიციებს. მაგრამ კეინსის ძირითადი ფსიქოლოგიური კანონის მიხედვით მოხმარებისადმი მიდრეკილება შემოსავლების ზრდის კვალობაზე მცირდება. ინვესტიციები კავშირშია არა მარტო დანაზოგებიან, არამედ პირად მოხმარებასთანაც. სტიმულირებადი ინვესტიციები არის წარმოების ცვლილების ფუნქცია დროში, ავტონომიური ინვესტიციები მოსახლეობის ზრდის ტემპების, რესურსების გამოყენების და ტექნიკური პროგრესის ფუნქცია, სახელმწიფო ინვესტიციები შედეგი მოცემული ეკონომიკური პოლიტიკის. ხანსენის მიხედვით მულტიპლიკატორი გამოხატავს კავშირს დანაზოგებსა და წარმოების მოცულობას შორის, მაშინ, როდესაც გადასახადები გვეხმარება აღმოვაჩინოთ ეს კავშირი. მაშასადამე, წარმოების მოცულობასა და ეროვნულ შემოსავლებზე ზემოქმედებს დაზოგვისადმი ზღვრული მიდრეკილება და საგადასახადო სისტემა. ეკონომიკის ზრდა ფერხდება, როდეაც ერთ-ერთი ამ ელემენტთაგანი, ან ორივე ერთად მაღალ დონეზეა. სტიმულირებადი ინვესტიციები დამოკიდებულია ეროვნულ შემოსავალზე, ხოლო თუ ეს უკანასკნელი შედარებით სტაბილურია, მაშინ ნაკლებად სავარაუდოა ამ სახის ინვესტიციების ზრდა. ამიტომ ხანსენის აზრით, არსებითი მნიშვნელობა ენიჭება ავტონომიურ ინვესტიციებს, რომელთა შემცირება განაპირობებს ხანგრძლივი სტაგნაციის საშიშროებას. ჩაშენებულ ინსტიტუციურ მექანიზმებს, ხანსენის აზრით, შეუძლიათ, რყევების ამპლიტუდის შემცირება, მაგრამ მხოლოდ შეზღუდული მასშტაბით. ამიტომ დინამიკური განვითარების უზრუნველსაყოფად, ეკონომიკური წონასწორობის ახალ უფრო მაღალ დონეზე ასვლისათვის აუცლებელია ინტიციკლური სახელმწიფოებრივი პროგრამის განხორციელება: სახელმწიფოს ინვესტიციების ზრდა მას მიაჩნდა სიცოცხლისუნარიანი ეკონომიკის არსებობის აუცილებელ პირობად.

23. А. Пезенти. Очерки политической экономии капитализма, т.2, стр. 759-792.

ასეთ დასკვნამდე ხანსენი მივიდა აშშ-ის ეკონომიკის რეალური განვითარების შესწავლით 20-30-იანი წლებიდან 40-50-იანი წლების ჩათვლით. დიდი დეპრესიის ძირითად მიზეზებად იგი მიიჩნევდა, ჯერ ერთი, კაპიტალის დანახარჯების უფრო მეტად შემცირებას შრომით დანახარჯებთან შედარებით კაპიტალდამზოგი ფაქტორების მოქმედების შედეგად, მეორე, დანაზოგების ინსტიტუციონალიზაციას, ანუ კორპორაციების თვითდაფინანსების დონის ამაღლებას. უფრო მეტიც, მისი აზრით, სადაზღვევო და საპენსიო ფონდების ზრდასთან დაკავშირებით დანაზოგების მოცულობა იმდენად გაიზარდა, რომ ეკონომიკური ზრდის შენარჩუნებისათვის საჭირო ხდება სულ უფრო მეტად მზარდი ინვესტიციების განხორციელება. ინვესტიციების ზრდა იწვევს მოხმარების გადიდებას, რადგანაც ოჯახების შემოსავლების გადიდება იწვევს მათი გასავლების გადიდებასაც. შედეგად დანაზოგების არაინსტიტუციონური ნაწილი, რომელიც არ არის განპირობებული რაიმე ხელშეკრულებით, მუდმივად მცირდება, რაც საბოლოოდ იწვევს ავტონომიური ინვესტიციების შემცირებას და სტაგნაციისაკენ მისწრაფების ტენდენციას.

ყურადღება მიიქცია იმანაც, თუ როგორ დაუკავშირა ხანსენმა ინვესტიციები მოსახლეობის ზრდას და, აქედან გამომდინარე, მოხმარებისა და მოთხოვნის ტენდენციებს. მან უჩვენა, რომ ნებისმიერი დინამიკური ანალიზისას არ შეიძლება მოსახლეობის ზრდის ფაქტორის უგულებელყოფა. ახალი კაპიტალის დიდი ნაწილი ტრადიციულად მოდის საბინაო მშენებლობაზე, ტრანსპორტზე, სხვა კომუნიკაციებსა და ინფრასტრუქტურაზე. ამასთან, მნიშვნელოვნად იზრდება სამომხმარებლო მოთხოვნაც. მაშინ, როდესაც რიკარდო და მალთუსი გამოთქვამდნენ შიშს მოსახლეობის მზარდი ზრდის გამო არსებული რესურსების მიმართ, ხანსენი ასაბუთებდა, რომ განვითარებული ეკონომიკის შესაქმენალდ აუცილებელია მოსახლეობის სწრაფი ზრდა, რაც ერთობლივი მოთხოვნის გადიდების სტაბილური ფაქტორია.

მნიშვნელოვანი წვლილი ციკლის თეორიის განვითარებაში შეიტანა რ. ფრისმა. როგორც ცნობილია, მულტიპლიკაციურ-აქსელერაციული მექანიზმით გამოწვეული ციკლური რყევები შეიძლება სამი სახის იყოს; კლებადი, ფეთქებადი და თანაბარზომიერი. რყევები კლებადია მაშინ, როდესაც მათი ამპლიტუდა თანდათან მცირ-

დება სრულ გაქრობამდე და შემოსავალი სტაბილიზდება მიღწეულ დონეზე. პირიქით, როდესაც რყევების ამპლიტუდა მუდმივად იზრდება, მაშინ სახეზეა ფეთქებადი რყევები. თუ ამპლიტუდა მუდმივია, მაშინ ასეთ რყევებს თანაბარზომიერი ეწოდება. რყევების ფორმა განისაზღვრება მოხმარებისადმი ზღვრული მიდრეკილებითა და აქსელერატორის სიდიდით. მაგრამ სინამდვილე გვიჩვენებს, რომ ფაქტობრივად, ეკონომიკაში არც რყევის ამპლიტუდის სრულ გაქრობას აქვს ადგილი, არც მის მუდმივ ზრდას, ხოლო მესამე შემთხვევას მაშინ ექნება ადგილი, თუ აქსელერატორი ერთის ტოლი იქნება, ასეთი სიტუაცია კი ხანგრძლივად არ გრძელდება აღნიშნული წინააღმდეგობების დაძლევა სცადა რ. ფრიშმა. მისი თეორიის მიხედვით ეკონომიკური ციკლის ანალიზისას უნდა განვასხვავოთ გავრცელებისა და იმპულსის პრობლემა. პირველი ვლინდება სისტემის სტრუქტურული თავისებურებების ახსნით, რომელიც მოძრაობაში მოდის და იწვევს რხევებს. იმპულსის პრობლემა კი ეხება ფაქტორებს, რომლებიც უბიძგებენ სისტემას, როგორც წონასწორობის მდგომარეობაში, ისე მოძრაობისას. მეურნეობის ეკონომიკური კანონები, ფიშერის აზრით, აისახება მულტიპლიკაციურ-აქსელერაციულ მექანიზმში და იწვევენ შემოსავლის რყევების თანდათან გაქრობის ტენდენციას. მაგრამ ამ რყევებს არ შეუძლიათ შემოსავლის წონასწორულ მდგომარეობაში გადაყვანა, რადგანაც ეკონომიკური სისტემა მუდმივად იღებს იმპულსებს გარედან. თუ წონასწორობა ირღვევა გარეგანი იმპულსით (გამოგონებები, სახელმწიფო ჩარევა, ომი და ა.შ.), მაშინ ამოქმედდება მულტიპლიკაციურ-აქსელერატორული მექანიზმი. თუ ამ მექანიზმის მოქმედებაში აღარ იქნება გარედან ჩარევა, მაშინ რყევის ამპლიტუდა თანდათან შემცირდება და საბოლოოდ გაქრება. მაგრამ სინამდვილეში ისეთნაირად ხდება, რომ ახალი გარეგანი იმპულსები ხელმეორედ აძლიერებენ კლებად რყევებს და აფერხებენ წონასწორობის მიღწევას. ამგავარდ, თუ გარეგანი იმპულსები ხორციელდება განსაზღვრული სიხშირით, მაშინ მულტიპლიკაციურ-აქსელერაციულმა მექანიზმმა შეიძლება გამოიწვიოს შემოსავლის საკმაოდ თანაბარზომიერი, არა მუდმივად კლებადი რხევები.[24]

---

24. Дж. Хикс. Стоимость и капитал, стр.432-442.

ფრიშის ციკლის თეორიამ შემდგომი განვითარება პოვა ხიკსის ციკლის თეორიაში. ფრიშისაგან განსხვავებით ხიკსმა დაუშვა როგორც უშუალო „აფეთქების“, ასევე, ფეთქებადი ხასიათის რყევები. მისი კონცეფციის არსი შემდეგია: შემოსავლის მოძრაობა რომელიმე მიმართულებით შეუძლებელია დაუსრულებლად გაგრძელდეს, რადგანაც ადრე თუ გვიან ის მიაღწევს ზღვარს, რომლის გადალახვაც შემოსავალს არ შეუძლია. მეორე მხრივ, შემოსავალს არ შეუძლია დარჩეს ზღვრულ დონეზე და შორდება ბარიერს, რაც იწვევს მოძრაობას საწინააღმდეგო მიმართულებით. მაგრამ შემოსავლის შემცირებაც არ შეიძლება უსასრულოდ გაგრძელდეს, რადგანაც ის მიადგება ქვედა ბარიერს, რომლის შემდეგაც კვლავ იწყება შემოსავლის ზრდა და ა.შ. ამ პროცესის ზრდა ზღვრად მიჩნეულია სრული დასაქმების მიღწევა, რომლის შემდეგაც რეალური შემოსავლის ზრდა წყდება მიუხედავად იმისა, რომ მოთხოვნა აგრძელებს ზრდას იმის გამო, რომ რეალური შემოსავალი ვერ იზრდება, წარმოებული ინვესტიციები მცირდება ნულამდე, რადგანაც მათი დონე განისაზღვრება შემოსავლის ნამატით და არა მისი დონით. შედეგად საერთო მოთხოვნა და შემოსავალი მცირდება, რაც იწვევს დაქვეითების ერთიან პროცესს. ამ შემთხვევაში უარყოფითი წმინდა კაპიტალური დაბანდებების დაცემას აქვს თავისი ზღვარი – არ შეუძლია გადააჭარბოს „გაცვეთილი“ კაპიტალის სიდიდეს. უარყოფითი წმინდა კაპიტალური დაბანდებების შემცირება იწვევს შემოსავლების ზრდას, ეს კი, თავის მხრივ, დადებითი წარმოებული კაპიტალური დაბანდებების ზრდას და საბოლოოდ ერთობლივი მოთხოვნისა და შემოსავლის თანდათან გადიდებას და ა.შ. საბოლოო ანგარიშით ირკვევა, რომ ციკლურ ტალღას არასოდეს არ შეუძლია უწყვეტად განახოციელოს თავისი ფეთქებადი ხასიათი, რადგანაც ის აწყდება თუნდაც ერთ ზღვრულ ბარიერს, საიდანაც ყველაფერი თავიდან იწყება.[25]

ამრიგად, კეინსელებმა უდავოდ დიდი წვლილი შეიტანეს ეკონომიკური ციკლის თეორიაში. ეს წვლილი დღეს საყოველთაოდ აღიარებულია და ძირითადად გამოიხატება შემდეგით: 1. კეინსელებმა საკუთრივ კრიზისის პრობლემის ნაცვლად წინა პლანზე წა-

25. В. Ф. Максимова, А. Л Шишов. Макроэкономика. М., 1992, стр. 155-169.

მოსწიეს ციკლის პრობლემა საერთოდ, რაც დაკავშირებული იყო იმის აღიარებასთან, რომ არა მარტო კრიზისი, არამედ საერთოდ ციკლური განვითარება არის დამახასიათებელი კაპიტალისტური მეურნეობისათვის; 2. კეინსელებმა ციკლის კონცეფცია დაუკავშირეს ხანგრძლივ გადახრებს – ტრენდებს მეურნეობის წონასწორული მდგომარეობიდან, რომლებიც განაპირობებენ ციკლის ცალკეული ფაზების ხანგრძლივობას და სიღრმეს სხვადასხვა პირობებში; 3. კეინსელებისათვის დამახასიათებელი იყო არასტაბილურობისა და ციკლური რყევების მიზეზების ძიება საკუთრივ ეკონომიკური სისტემის აღწარმოებითი კავშირების დაბალანსებასა და არა გარეგან ფაქტორებში ან ფასების ცვლილებაში. უმთავრესი პრობლემაა ეფექტიანი მოთხოვნის ცვლილება, რომელიც განსაზღვრავს ფაქტორივ წარმოებას და ამ მოთხოვნის გადახრები პოტენციურად შესაძლებელი დონიდან; 4. ციკლის კეინსური თეორია გახდა საფუძველი სახელმწიფოს ანტიციკლური პოლიტიკისა 50-60-იან წლებში ეფექტიანი მოთხოვნის მართვის საფუძველზე, რომელმაც 70-80-იანი წლების ინფლაციური განვითარების დონეზე გამოააშკარავა თავისი ნაკლოვანებები. კეინსელების სხვა თეორიული სიახლეებიდან აღსანიშნავია შემდეგი: კეინსელებმა დაასაბუთეს ციკლის ფასების – გამოცოცხლების, აღმავლობის, დაქვეითებისა და დეპრესიის თავისებურებანი, მულტიპლიკატორისა და შემოსავლის რყევის ურთიერთკავშირი, ინვესტიციებისა და აქსელერაციის პრინციპის ურთიერთმოქმედება, ინვესტიციების დაყოფა ავტონომიურ და წარმოებულ ინვესტიციებად, მულტიპლიკაციურ-აქსელერატორული მექანიზმის ციკლის განვითარებაზე, ციკლური რყევების ზღვრული ბარიერების განსაზღვრა.

როგორც უკვე აღინიშნა, 70-80-იან წლებში ინფლაციური განვითარების ფონზე გამოაშკარავდა ციკლის კეინსური თეორიის ნაკლოვანებები. მათ შორის აღსანიშნავია შემდეგი: 1. კეინსელები ყურადღებას ამახვილებენ კავშირზე პირადი მოხმარების ზრდასა და წარმოებულ ინვესტიციებს შორის, მაგრამ სინამდვილეში ეს კავშირი არ ხორციელდება პირდაპირ და უშუალოდ, მათ შორის არის, მაგალითად, ხელფასის, რეალური შემოსავლების, ფულად-საკრედიტო სისტემის და სხვა პრობლემები. გარდა ამისა, წარმოებული ინვესტიციების შემცირების პროცესი არ არის თანაბარზომიერი,

არამედ ხორციელდება ხშირად უეცრად, ძალისმიერად, როგორც კაპიტალის ჭარბი დაგროვების, საერთოდ ჭარბწარმოების კრიზისის შედეგი. 2. მარტივად არის აგრეთვე წარმოდგენილი ავტონომიური ინვესტიციების შემცირების მიზეზები, რომლებიც განსაზღვრავენ აღმავლობის ფაზის ინტენსივობას და ხანგრძლივობას. ინვესტიციები თითქოს მცირდება თანაბარზომიერად მოსალოდნელი ნორმის შემცირების კვალობაზე, მაგრამ სინამდვილეში ხშირად მისი შემცირება წარმოებასა და მოხმარებას შორის წინააღმდეგობის, მოსახლეობის გადახდისუნარიანი მოთხოვნის შემცირებით მოხმარების ნელი ზრდის შედეგია. 3. არარეალური აღმოჩნდა აგრეთვე ფასებისა და ხელფასის სტაბილურობის, არამოქნილობის კეინსური კონცეფციაც. როგორც წესი, კეინსურ მოდელებში ეკონომიკური ურთიერთმოქმედებანი, მაგალითად, ინვესტიციების ზემოქმედება ეროვნულ შემოსავალზე და პირიქით, ეროვნული შემოსავლის ზემოქმედება ინვესტიციების ზრდაზე, განიხილებოდა უცვლელი ფასების პირობებში, ე. ი. იგულისხმებოდა, რომ მათი შედეგია რეალური ეროვნული შემოსავლის დონის ცვლილება. მოკლევადიან პერიოდში ფასების ცვლილება ითვლებოდა უმნიშვნელოდ და ამიტომ მას ყურადღება არ ექცეოდა. მაგრამ ოფიციალური პროცესების განვითარებამ 70-80-იან წლებში ასეთი მიდგომის მართებულობა სრულიად გააქარწყლა. 4. არსებითი ხასიათის ნაკლია ისიც, რომ ციკლის კეინსური თეორია უმნიშვნელო როლს ანიჭებს ფულად ფაქტორებს: მართალია, კეინსი და კეინსელები განიხილავენ კავშირს ფულის მასასა და ეროვნულ შემოსავალს შორის სქემით; ფულის მიწოდება ზემოქმედებს პროცენტის განაკვეთზე, პროცენტის განაკვეთი – ინვესტიციებზე, ინვესტიციები მულტიპლიკაციური მექანიზმით – ეროვნული შემოსავლის მოცულობაზე, მაგრამ პირველ ორ რგოლს ისინი არ ანიჭებდნენ დიდ მნიშვნელობას, რის გამოც ფულადი ზემოქმედების ორივე რგოლი, ფაქტობრივად, მათ გამოკვლევებში უგულებელყოფილი იყო და ძირითადი ყურადღება აქცენტირებული იყო ინვესტიციებისა და ეროვნული შემოსავლის ურთიერთმოქმედებაზე. ახალმა პოზიციამ გამოიწვია ის, რომ კეინსელებმა თეორიული ანალიზის პროცესში უგულებელყვეს ფულის მიმოქცევის სფეროში მიმდინარე ცვლილებები, დანახარჯები და ფასების დინამიკა, ხელფასის, პროცენტისა და მოგების ცვლი-

ლებების ურთიერთზემოქმედება, აგრეთვე ტექნიკური პროგრესის ზემოქმედება ეკონომიკურ განვითარებაზე. აქედან გამომდინარე, ცხადია, მათ ვერ შექმნეს სამეურნეო ციკლის რეალისტური თეორია, ხოლო მოთხოვნის მართვის კეინსური ანტიციკლური პოლიტიკის არაეფექტიანობამ 70-იან წლებში აშკარა გახადა მათი ძირეული გადახედვისა და განახლების აუცილებლობა.

ციკლის თანამედროვე თეორიაში გათვალისწინებულია კეინსური თეორიის ნაკლოვანი მხარეები, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ იგი სრულყოფას არ ექვემდებარება. ციკლის მთავარ თვისებად ითვლება ეროვნული პროდუქტის, ან შემოსავლის რყევა. გამოიყოფა შემოსავლის ცვლილების სამი ვარიანტი: მუდმივი ზრდა, არათანაბარზომიერი ზრდა და რყევები. ზრდაში იგულისხმება მაკროეკონომიკური მაჩვენებლების მუდმივი ან უთანაბრო ზრდა დადებითი დინამიკით. რყევებში იგულისხმება ზრდის დაქვეითებით პერიოდული შეცვლა ეკონომიკური განვითარების პროცესში. მაშასადამე, რამდენი სახის ეკონომიკური რყევაც არის, იმდენი სახის ციკლი არსებობს. არსებობენ ტემპების, კაპიტალდაბანდებების, ინოვაციური, სამრეწველო და ა.შ. ციკლები. დროის მიხედვი გამოიყოფა; საუკუნოვანი, გრძელვადიანი დაახლოებით 50 წლიანი, ნორმალური ანუ დიდი – 8-10 წლიანი, მცირე – 2-3 წლიანი, სეზონური – ნახევარწლიანი, მოკლევადიანი დარგობრივი კონიუნქტურული რხევები მარაგების, პროცენტის, გაყიდვების, საბინაო მშენებლობის – რამდენიმე დღიდან და თვიდან ნახევარ წლამდე – ციკლები. ციკლის მიზეზებად ეკონომიკურ ლიტერატურაში დასახელებულია სხვადასხვა მიზეზი. მაგრამ განსაკუთრებით გამოიყოფა სამი მიდგომა: 1. ციკლური განვითარება გამოწვეულია გარეგანი ფაქტორებით, 2. შინაგანი ფაქტორებით, 3. ორივე ამ ჯგუფის ფაქტორთა სინთეზის შედეგია. აღიარებულია მესამე მიდგომის უპირატესობა, რომელიც უფრო სრულად ხსნის ციკლის არსს და მისი მიმდინარეობის მექანიზმს. აღიარებულია მულტიპლიკაციურ-აქსელერატორული მექანიზმის მოქმედების პრინციპები: შემოსავლის ცვლილება იწვევს ინვესტიციების შემცირებას, რაც განაპირობებს ეკონომიკური განვითარების სამ ვარიანტს – მუდმივი ზრდა, უთანაბრო ზრდა და რყევები, კრიზისის ჩათვლით. ეს უკანასკნელი იწყება კაპიტალური დაბანდებების უარყოფით სიდიდედ გადაქცევის შემთხვევაში.

პრაქტიკა ადასტურებს, რომ სახელმწიფოს ეკონომიკური პოლიტიკა არსებითად ზემოქმედებს საქმიანი ციკლის მსვლელობაზე. იგი ცვლის ეკონომიკური დინამიკის ხასიათს, მათ შორის ამპლიტუდას, ხანგრძლივობას და ზრდის პერიოდების თანაფარდობას, სიხშირეს. დროის სხვადასხვა პერიოდში ციკლური ტალღა ასახავს, როგორც წესი, ბაზრების კერძო მაკროეკონომიკურ წონასწორობას და მხოლოდ ცალკეულ მომენტებში – სრულ მოკლევადიან მაკროეკონომიკურ წონასწორობას. ეს ეკონომიკური განვითარების ნორმალური მდგომარეობაა, რადგანაც შეუძლებელია ეკონომიკისა და ციკლის ყველა ელემენტის თანაბარი განვითარება ხანგრძლივ პერიოდში.

2.2. ეკონომიკური ეფექტიანობის საკითხები თანამედროვე ნეოკლასიკურ მიმართულებაში

საწარმოო ფუნქციის თეორიის თავისებურებანი. ნეოკლასიკურმა მიმდინარეობამ კეინსური ზრდის თეორიებს დაუპირისპირა საწარმოო ფუნქციის მოდელი. როგორც ზემოთ აღინიშნა, ნეოკეინსური ზრდის თეორიებში დინამიკური წონასწორობა შეთავსებადია უმუშევრობასა და საწარმოო სიმძლავრეების გამოუყენებლობასთან. წონასწორობიდან მცირე გადახრაც კი განაპირობებს სისტემის მოძრაობას ინფლაციისა და დეპრესიისაკენ. ისინი იხილავენ დაგროვების ნორმის, ზრდის ტემპისა და კაპიტალური კოეფიციენტის ურთიერთკავშირის, დარღვეული დინამიკური წონასწორობის აღდგენის შესაძლებლობებს სახელმწიფოს ეკონომიკაში ჩარევის გზით. ეკონომიკური ზრდის ტემპს ამ თეორიებში განსაზღვრავს მხოლოდ დაგროვება, ინვესტიციების მოცულობა. როგორც ჩანს, ამ თეორიების ძირითადი ნაკლია ის, რომ ძალზე მარტივად იხილავენ ზრდის ფაქტორებს, ფაქტობრივად, მათ შექმნეს ეკონომიკური ზრდის უფულო ვერსია, რაც აშკარად ეწინააღმდეგებოდა რეალურ სინამდვილეს, უგულებელყვეს მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესისა და წარმოების ეფექტიანობის განმსაზღვრელი ზემოქმედება ეკონომიკურ ზრდაზე.

ნეოკლასიკური მიმდინარეობის წარმომადგენლებმა მნიშვნელოვნად გაზარდეს ზრდის ფაქტორების რიცხოვნობა, რითაც გა-

ფართოვდა მათი შესაძლებლობები სრულიად ახალი პრობლემების ანალიზისა და გადაწყვეტისათვის. კეინსელები ზრდის ძირითად პრობლემად მიიჩნევენ ერთობლივი მოთხოვნის დინამიკას, აღიარებენ ბაზრის პრობლემის არსებობას, ნეოკლასიკოსები კი ზრდის პრობლემას იხილავენ მხოლოდ საწარმოო ფაქტორების პოტენციალის გამოყენების თვალსაზრისით, ხოლო საზოგადოებრივი პროდუქტის რეალიზაციის პრობლემას, ფაქტობრივად, უგულებელყოფენ. ნეოკლასიკოსებთან საწარმოო ფაქტორები არა მარტო ცვლადი სიდიდეებია, არამედ ურთიერთჩანაცვლებადიც. წარმოების ფაქტორების სხვადასხვა კომბინაციით შეიძლება სხვადასხვა ეკონომიკური შედეგის მიღწევა. ნეოკლასიკური ზრდის თეორიებში საბაზრო მექანიზმები ავტომატურად უზრუნველყოფენ საწარმოო ფაქტორების სრულ გამოყენებას მიწოდებისა და ფასების რეგულირების გზით და ამით შლიან სხვაობას ზრდის გარანტირებულ და ბუნებრივ ნორმებს შორის, როგორც ეს კეინსურ მოდელებში იყო. საწარმოო ფუნქცია კი აქ ასრულებს ძირითადი ანალიტიკური ინსტრუმენტის როლს.

კერძოდ, საწარმოო ფუნქცია გამოხატავს მათემატიკურ ფორმით დამოკიდებულებას, ერთი მხრივ, წარმოების მცულობასა და რაოდენობას, ხოლო, მეორე მხრივ, წარმოების ფაქტორების სხვადასხვა კომბინაციას შორის. სხვანაირად, ეს არის ფუნქციონალური დამოკიდებულების ურთიერთობები საწარმოო დანახარჯებსა და მათ შედეგებს შორის. აქედან გამომდინარე, საწარმოო ფუნქცია არის არა მხოლოდ წარმოების მოდელი, ან ეკონომიკური ზრდის თეორია, როგორც ეს ფართოდ არის აღიარებული ეკონომიკურ თეორიაში, არამედ ერთდროულად წარმოების ეკონომიკური ეფექტიანობის თეორიაც, რადგანაც უშუალოდ ასახავს დამოკიდებულებას საწარმოო დანახარჯებსა და მათ შედეგებს შორის. საწარმოო ფუნქციით აისახება ის დამოკიდებულებანი წარმოების შედეგსა და წარმოების ფაქტორების დანახარეჯებს შორის, რაც განისაზღვრება არსებული მდგომარეობით და წარმოების ტექნიკურ-ეკონომიკური პირობებით. აგრეგატული საწარმოო ფუნქციის ამოცანაა განსაზღვროს ზღვრული მწარმოებლურობის საფუძველზე ცალკეული საწარმოო ფაქტორის წვლილი მთლიანი პროდუქტის წარმოებაში. მაშასადამე, იგი ამ ფაქტორების გამოყენების ეფექტიანობის დონეს გამოხატავს.

საწარმოო ფუნქციის წმინდა მათემატიკური შემუშავება დაკავშირებულია მარჟინალიზმის აღმოცენებასა და ზღვრული მწარმოებლურობის თეორიის განვითარებასთან გასული საუკუნის დასასრულს. იგი თავდაპირველად გამოიყენებოდა მიკროეკონომიკაში ფირმის თეორიის ფარგლებში, ხოლო შემდეგ – მაკროეკონომიკურ სფეროშიც. მიკროეკონომიკური ანალიზის სფეროში საწარმოო ფუნქცია მნიშვნელოვან როლს ასრულებს ფირმის თეორიაში, რომელიც ხსნის წარმოების წონასწორობის აბსტრაქტულ პირობებს სრულყოფილი კონკურენციისას. ფირმის საწარმოო ფუნქცია რომ მისი წარმოების ეფექტიანობის მოდელია, ჩანს შემდეგით; 1. მისი ამოცანაა უჩვენოს წარმოებისა და მოგების მაქსიმიზებისა და წარმოების დანახარჯების მინიმალური დონის მიღწევის პირობები საწარმოო ფაქტორების მოცემული ფასებისას; 2. საწარმო აღწევს წონასწორულ მდგომარეობას, მოგების მაქსიმუმს მაშინ, როდესაც საწარმოო ფაქტორების ზღვრული პროდუქტები მათი ფასების პროპორციულია. მაკროეკონომიკის სფეროში საწარმოო ფუნქციის თეორიას ავითარებენ ჯ. კლარკი, ფ. უიკსტიდი, კ. ვიქსელი. ყველაზე უფრო მარტივ და გავრცელებულ მაკროეკონომიკურ ფუნქციად მიჩნეულია ამერიკელი ეკონომისტის პ. დუგლასისა და მათემატიკოსის ჰ. კობის ფუნქცია.[26] კობი-დუგლასის საწარმოო ფუნქციის განვითარებაში დიდი როლი შეასრულეს ი. ტინბერგენის, რ. სოლოუს, ჯ. კენდრიკის, ე. დენისონის, ე. მენსფილდის,. ბრაუნის, პ. კოენის, ბ. ხიკმენის ფაქტორული ანალიზის მოდელებმა.[27]

კობი დუგლასის ფუნქციის ამოსავალ წანამძღვრებად მიჩნეულ იქნა შემდეგი პირობები: პროდუქცია არის მხოლოდ ორი ფაქტორის – შრომისა და კაპიტალის ფუნქია, რომლებიც შეუფერხებლად ენაცვლებიან ერთმანეთს; შრომისა და კაპიტალის თითოეული ერთეულის უკუგება მუდმივია, შრომისა და კაპიტალის გამოყენების ინტენსივობის ხარისხი მუდმივია; დამოკიდებულებას წრფივი ხასიათი აქვს. თუ თანაფარდობა შრომასა და კაპიტალს შორის არ

26. Прогнозирование капиталистической экономики. Проблемы методологии. М., 1970, гл.1 и 5; Буржуазные экономические теории и экономическая политика империалистических стран. М., 1971, стр. 160-175.

27. Э. Менсфилд. Экономика научно-технического прогресса. М., 1970; М. Браун. Теория и измерение технического прогресса. М., 1971.

იცვლება, თუ კაპიტალშეიარაღება მუდმივია, მაშინ პროდუქცია იზრდება იმ ზომით, რა ზომითაც იზრდება ორივე საწარმოო ფაქტორი. ეს პირობა იმას ნიშნავს, რომ საწარმოო ფაქტორების უკუგება, ეფექტიანობა არ არის დამოკიდებული წარმოების მასშტაბზე.

ამ პირობების შესაბამისად არჩეულ იქნა ფუნქცია: $Y = AK^{\alpha}L^{\beta}$, სადაც Y არის წარმოების მოცულობა (ეროვნული შემოსავალი); K – ძირითადი კაპიტალის სიდიდე; L – შრომის დანახარჯები; დასაქმების ან დახარჯული ადამიან-საათების მაჩვენებელი; A – პროპორციულობის კოეფიციენტი; α – ელასტიკურობის კოეფიციენტი შრომის დანახარჯების მიხედვით; β – ელასტიკურობის კოეფიციენტი კაპიტალის დანახარჯების მიხედვით. ასეთი თავდაპირველი სტატიკური ფორმით ამ ფუნქციის გამოყენება შეიძლებოდა ისეთი პერიოდისათვის, როდესაც ტექნიკური პროგრესი უპირატესად კაპიტალტევად ხასიათს ატარებდა და კაპიტალშეიარაღების ზრდას თან არ ახლდა კაპიტალის იმ ზომით ეკონომია, რომელიც საკმარისი იქნებოდა კაპიტალტევადობის ზრდის ტენდენციის კომპენსირებისათვის. მაგრამ 20-იანი წლებიდან განვითარებულ ქვეყნებში გაბატონდა კაპიტალტევადობის შემცირების ტენდენცია, როდესაც კაპიტალშეიარაღების ზრდას თან ახლდა შრომის მწარმოებლურობის ისეთი ზრდა, ან წარმოების საშუალებების ისეთი ეკონომია, რომლებიც განაპირობებდნენ კაპიტალტევადობის შემცირებას. ამ გარემოებამ გამოიწვია კობი-დუგლასის ფუნქციის სრულყოფის აუცილებლობა, რაც ორი მიმართულებით წარიმართა. ერთი მიმართულება დაკავშირებული იყო ელასტიკურობის კოეფიციენტის ჯამის ერთიანი ტოლობის პირობის მოხსნასთან, ანუ წარმოების მასშტაბების გადიდებით გამოწვეული ეფექტიანობის პირობის გაუქმებასთან. როდესაც $\alpha + \beta = 1$, საქმე გვაქვს საწარმოო ფუნქციის თავდაპირველ ტიპთან წარმოების ფაქტორების უცვლელი ეფექტიანობით. თუ $\alpha + \beta < 1$, მაშინ საქმე გვაქვს წარმოების ფაქტორების კლებად ეფექტიანობასთან.

მეორე მიმართულება დაკავშირებულია ეროვნულ შემოსავალზე ტექნიკური პროგრესის ზემოქმედების დამოუკიდებელ მესამე ფაქტორად გამოყენებასთან. ამისათვის კობი-დუგლასის ფუნქციაში შეიტანეს დროის ფაქტორი, რომელიც გამოხატავს სტატიკური საწარმოო ფუნქციის ახალ დონეზე გადაადგილებას მეცნიერულ-

ტექნიკური პროგრესის ზემოქმედებით. პირველად ასეთი ფუნქცია შეიმუშავა ცნობილმა ჰოლანდიელმა ეკონომისტმა ი. ტინბერგენმა 1942 წელს კობი-დუგლასის ფუნქციაში დროის ფაქტორის l^{rt}-ს შეტანით. ფუნქციამ მიიღო შემდგი სახე: $Y = AK^{\alpha}L^{\beta}e^{rt}$, სადაც r ნეიტრალური ტექნიკური პროგრესის ტემპია, e^{rt} – კაპიტალუკუგების მაჩვენებელი. თუ ტოლობის ორივე მხარეს გავყოფთ L-ზე, მივიღებთ შრომის მწარმოებლურობის ფორმულას:

$$^{\alpha}e^{rt},$$

სადაც Y/L შრომის მწარმოებულურობაა, K/L – ფონდშეირაღება. თუ დავუშვებთ, რომ $\alpha + \beta = 1$, მაშინ მივიღებთ ფრიად მოსახერხებელ ფორმულებს:

$$Y = \alpha K + (1-\alpha)l + r \quad Y_e = K_t + r$$

სადაც Y პროდუქციის ან შემოსავლების ზრდის საშუალო წლიური ტემპია, K – ძირითადი ფონდების, ძირითადი კაპიტალის ზრდის ტემპი, l – შრომის დანახარჯის ზრდის ტემპი, Y_e – შრომის მწარმოებლურობის ზრდის საშუალოწლიური ტემპი, K_t – ფონდშეირაღების ზრდის ტემპი, r – ნეიტრალური არამატერიალიზებული მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის ზრდის ტემპი. ასეთი საწარმოო ფუნქციის მთავარ ღირსებად მიჩნეულია ამ უკანასკნელი მაჩვენებლის შეფასების შესაძლებლობა. ტექნიკური პროგრესი აქ იზომება პროდუქციის ზრდის ტემპისა და მისი ეკონომიკური ეფექტის სახით და არა მის მატერიალიზაციასთან დაკავშირებული შრომითი რესურსების ან კაპიტალის დანახარჯებით. საერთოდ, საწარმოო ფუნქციით შეიძლება ტექნოლოგიის შემდეგი აბსტრაქტული მახასიათებლის მიღება: ტექნოლოგიის ეფექტიანობა, ნარმოების მასშტაბით მიღებული, ეკონომიკა, ტექნილოგიის კაპიტალტევადობა და ცოცხალი შრომის განსაკუთრებული შრომით შეცვლის შესაძლებლობა, ანუ ჩანაცვლების ელასტიკურობა.

მთავარი სირთულე არის საწარმოო ფუნქციის პარამეტრების α და β განსაზღვრა. ამ სფეროში კვლევები კვლავ გრძელდება. ასეთი განსაზღვრა ეყრდნობა ზღვრული სარგებლიანობის თეორიას, რომლის მიხედვითაც საწარმოო ფაქტორების ოპტიმალური თანაფარდობისას მათი ზღვრული პროდუქტები მათი ფასების, ანუ ხელფასისა და კაპიტალზე მოგების ტოლია. ასეთ შემთხვევაში ძიებული

პარამეტრები შეიძლება გაიზომოს როგორც ეროვნული შემოსავლის განაწილების მაჩვენებლები.

მოტანილი ლოგიკის საფუძველზე, პროდუქციის მთლიან ნამატში გამოიყოფა ის ნაწილი, რომელიც განპირობებულია დანახარჯების წმინდა რაოდენობრივი ზრდით და ის ნაწილი, რომელიც განპირობებულია ერთობლივი ეკონომიკური ეფექტიანობის გადიდებით. ამ მეთოდის სიმარტივემ განაპირობეს ის, რომ იგი ფართოდ გავრცელდა დასავლეთის ქვეყნებში. კობი-დუგლასის დინამიკური ფინქციის ბაზაზე პირველი გათვლები შეასრულა ი. ტინბერგენმა 1870-1914 წლებისათვის, როდესაც ეკონომიკაში გაბატონებული იყო ექსტენსიური განვითარება. სხვა გათვლებმა 50-იანი წლების მონაცემების საფუძველზე აჩვენეს, რომ არამატერიალიზებული ნეიტრალური მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის წილმა აშშ-ის წმინდა პროდუქტის ზრდის ტემპებში შეადგინა 60-70%, ხოლო შრომის მწარმოებლურობის ზრდის ტემპებში – 80-90%. ე.ი. ამ პერიოდში აშშ-ში უკვე გაბატონებული იყო განვითარების ინტენსიური ტიპი. ყველაზე განვითარებული ფორმა ამ მეთოდმა შეიძინა ამერიკელი ეკონომისტის ე.დენისონის გამოკვლევებში. მან შექმნა ეკონომიკური ზრდის ფაქტორების დეტალური დეზაგრეგირების სისტემა აშშ-ის და სხვა ნამყვანი ქვეყნების ზრდის ფაქტორების შეფასებისა და გრძელვადიანი პროგნოზებისათვის. მისი შეფასებით 1929-1957 წლების პერიოდისათვის აშშ-ის ეროვნული შემოსავლის ზრდის 27%-ს უზრუნველყოფდა დასაქმებულთა რიცხოვნობის ზრდა, 15%-ს ძირითადი ფონდების ზრდა, 23%-ს განათლების დონის ზრდა, 20%-ს – ცოდნის პროგრესი, 11,6%-ს – ეფექტი წარმოების მასშტაბების ზრდისაგან. ექსტენსიური ფაქტორების წილმა საერთოდ შეადგინა 45%, ინტენსიური ფაქტორების – 55%.[28] სხვა ნაშრომში, ე. დენისონმა უფრო დეტალურად განიხილა აშშ-ის ეკონომიკის განვითარება 1929-1979 წლებში. გამოირკვა, რომ მთელი ამ პერიოდის მანძილზე ფაქტორული დანახარჯების, ე.ი. შრომისა და კაპიტალის დანახარჯების წილზე მოდიოდა ეროვნული შემოსავლის 48%, ხოლო ფაქტორების ერთობლივი მწარმოებლურობის, ანუ ტექნიკუ-

28. Э. Денисон. Исследование различий в темпах экономического роста. М., 1971.

რი პროგრესის – 52%, მათ შორის განათლებაზე – 12%, ცოდნის პროგრესზე – 23%. 1948-1973 წლებში შრომის მწარმოებლურობის ზრდის წლიური ტემპი იზრდებოდა 2,43%-ით, 1973-1976 წლებში კი მცირდებოდა 0,54%-ით. პირველ პერიოდში, დენისონის გათვლებით, შრომის მწარმოებლურობის ზრდა განპირობებული იყო, უწინარეს ყოვლისა, პროგრესით ცოდნის სფეროში – 1,41 პუნქტით, განათლების დონის ზრდით – 0,52 პუნქტით, მზარდი კაპიტალშეიარაღებით – 0,35 პუნქტით, პროგრესით რესურსების განაწილებაში – 0,37 პუნქტით, ეკონომიით წარმოების მასშტაბების გადიდებისაგან – 0,41 პუნქტით. 1973-1976 წლებში მდგომარეობა გაუარესდა სწორედ ამ მაჩვენებლების გაუარესების შედეგად.[29]

მსგავსი გამოთვლები დღესაც ფართოდ არის გამოყენებული მრავალ ქვეყანაში.

ეკონომიკური ზრდის ფაქტორების განსაზღვრისათვის საწარმოო ფუნქციის გამოყენებამ დაადასტურა, რომ ტექნიკური პროგრესი ფართო გაგებით, რომელიც მოიცავს ტექნიკისა და ტექნოლოგიების სრულყოფას, კვალიფიკაციის ზრდას, განათლების დონის ამაღლებას, წარმოების ორგანიზაციის გაუმჯობესებას, გადაიქცა ეკონომიკური განვითარებისა და წარმოების ეფექტიანობის ამაღლების მთავარ ფაქტორად. ამიტომ წინა პლანზე წამოიწიეს მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარების, ხასიათისა და ტიპების, კაპიტალის გაზომვისა და გამოყენების, მომსახურების სფეროს განვითარების საკითხებმა, რომლებიც ჯერაც არ არის დამაკმაყოფილებლად გადაწყვეტილი. ორფაქტორიანი (შრომა და კაპიტალი) საწარმოო ფუნქციის თვალსაზრისით ერთი საბოლოო პროდუქტის წარმოებისას გამოიყოფა ორი ტიპის ტექნიკური პროგრესი: ნეიტრალური და არანეიტრალური. ნეიტრალური ტექნიკური პროგრესი თანაბრად ამაღლებს ორივე საწარმოო ფაქტორის ეფექტიანობას. ის არ იწვევს არც შრომისა და არც კაპიტალის ეკონომიას იმ აზრით, რომ შეიცვალოს პროპორციები მათ მთლიან დანახარჯებს შორის. მისი მოქმედება გამოიხატება იმით, რომ წარმოების მოცულობა იზრდება უცვლელი საწარმოო დანახარჯებისას, ან ერთი და იმავე წარმოების მოცულობა მიიღწევა უფრო ნაკლები საწარმოო დანა-

29. И. М. Осадчая. Консерватизм против реформизма. М., 1984, стр. 84-88.

ხარჯებით, შრომისა და კაპიტალის დანახარჯების ერთი და იმავე თანაფარდობისას. რაც შეეხება არანეიტრალურ ტექნიკურ პროგრესს, იგი იწვევს ან შრომის ეკონომიას კაპიტალის დანახარჯების ან კაპიტალის ეკონომიას შრომის დანახარჯების საფუძველზე.

ამასთან, ეკონომიკურ ლიტერატურაში გავრცელებულია ძირითადად ნეიტრალური ტექნიკური პროგრესის მოდიფიკაციის ორი განმარტება – ხიკსისა და ხაროდის. ხიკსის მიხედვით ტექნიკური პროგრესი ნეიტრალურია მაშინ, როდესაც შრომასა და კაპიტალს შორის მოცემული თანაფარდობისას არ იცვლება თანაფარდობა მათ ზღვრულ პროდუქტებს შორის. მაშასადამე, ტექნიკური პროგრესი იძლევა კაპიტალის ეკონომიას იმ შემთხვევაში, როდესაც შრომის ზღვრული პუნქტი იზრდება კაპიტალის პროდუქტზე უფრო სწრაფად და, პირიქით. თუ ორივე საწარმოო ფაქტორის პროდუქტიულობა იზრდება თანაბარზომიერად და ურთიერთჩანაცვლების ხარისხი არ იცვლება, მაშინ საქმე გვაქვს ნეიტრალურ ტექნიკურ პროგრესთან.[30]

ხარროდი განსაზღვრავს ტექნიკური პროგრესის ხასიათს კაპიტალურ კოეფიციენტში მისგან გამოწვეული ცვლილებების მიხედვით. მთავარი მისთვის არის კაპიტალის პროდუქტიოულობა, გამოხატული კაპიტალისა და წარმოების თანაფარდობით; ტექნიკური პროგრესი ნეიტრალურია, თუ პროცენტის მუდმივი ნორმის პირობებში კაპიტალური კოეფიციენტი არ იცვლება. ეს კი იმას გულისხმობს, რომ თანაფარდობა კაპიტალსა და შრომას შორის გაიზარდა, რის შედეგადაც კაპიტალის რაოდენობამ შრომის ერთეულზე და მასთან ერთად შრომის მწარმოებლურობამ იმ დონეს მიაღწია, რომლის დროსაც კაპიტალის ეფექტიანობა არ იცვლება. თუ პროცენტის მუდმივი ნორმისას კაპიტალური კოეფიციენტი მაღლდება, მაშინ საქმე გვაქვს შრომადამზოგ ტექნიკურ პროგრესთან, ხოლო კაპიტალური კოეფიციენტის შემცირებისას – კაპიტალდამზოგ ტექნიკურ პროგრესთან. მაშასადამე, ტექნიკური პროგრესი მუდმივად დაკავშირებულია ინვესტიციებთან, ზრდის თანაფარდობას კაპიტალსა და შრომას შორის პირველის სასარგებლოდ და იწვევს შრომის მწარმოებლურობის ამაღლებას. ხარროდი ფაქტობრივად,

30. Дж. Хикс. Стоимость и капитал.

უარყოფს ნეიტრალური ტექნიკური პროგრესის იმ გაგებას, რომელიც არ უკავშირებს მას კაპიტალის დაგროვებას.[31]

სადღეისოდ, თანამედროვე ნეოკლასიკოსები გამოყოფენ ობიექტივირებულ და არაობიექტივირებულ ტექნიკურ პროგრესს. პირველი გულისხმობს საწარმოო მოწყობილობის სრულყოფას და დაკავშირებულია ახალ საწარმოო კაპიტალურ დაბანდებასთან. მეორე გულისხმობს წარმოების ორგანიზაციის გაუმჯობესებას, მისი უფრო ეფექტიანი მეთოდების გამოყენებას, სამუშაო ძალის კვალიფიკაციის ამაღლებას და სხვა. ასევე უპირატესად ორგანიზაციული ხასიათის, პროგრესულ ცვლილებებს, რაც არ მოითხოვს კაპიტალურ დაბანდებებს. ამასთან, აქცენტი კეთდება წმინდა კაპიტალური დაბანდებიდან მთლიან კაპიტალურ დაბანდებაზე, რომლებიც მოიცავენ მოძველებული და ჩამოწერილი მოწყობილობის აღდგენასაც, ანუ მორალურად და ფიზიკურად გაცვეთილი ძირითადი კაპიტალის განახლებაზე, რაც ეკონომიკური ზრდისა და ეფექტიანობის მნიშვნელოვან ფაქტორად არის მიჩნეული. მნიშვნელოვანი წინაგადადგმული ნაბიჯი იყო იმის დასაბუთება, რომ არაობიექტივირებული ტექნიკური პროგრესიც დიდ კაპიტალურ დაბანდებებს მოითხოვს, განსაკუთრებით საერთო სახელმწიფოებრივი ამოცანების გადაწყვეტისას, კერძოდ, განათლების, აღზრდის, მეცნიერების, კლვევითი სამუშაოების, ჯანმრთელობის სფეროებში. დადასტურდა როგორც მატერიალური, ისე არამატერიალური, ადამიანური კაპიტალის უდიდესი მნიშვნელობა ეკონომიკური ზრდისა და ეფქტიანობის უზრუნველსაყოფად.

აღნიშნულიდან ცხადია, რომ საწარმო ფუნქციის გამოყენების ფართოდ გავრცელება განპირობებულია მისი მნიშვნელოვანი დადებითი მხარეებით. მათგან განსაკუთრებით აღსანიშნავია შემდეგი: 1. საწარმოო ფუნქციის თეორია ერთდროულად არის როგორც წარმოების თეორია, ისე განაწილებისა და ეკონომიკური ეფექტიანობის თეორია; 2. მისი გამოყენება, სიმარტივის გამო, შეიძლება მეურნეობრიობის ყველა დონეზე, როგორც მაკროეკონომიკურ, ისე მიკროეკონომიკურ დონეზე; 3. იგი განსაზღვრავს წარმოების შედეგს, წარმოებული პროდუქციის მთლიან მოცულობას, ეროვნუ-

31. Р. Харрод. К теории экономической динамики. М., 1959.

ლი შემოსვლის სახით; 4. იგი განსაზღვრავს წარმოების ერთობლივ დანახარჯებს, მისი ცალკეული ფაქტორის მიხედვით, მათ შორის ცალ-ცალკე შრომისა და კაპიტალის დანახარჯებს, ცვლილებებს ადამიან-საათის მოცულობაში; 5. იგი განსაზღვრავს წარმოების საერთო ეკონომიკურ ეფექტიანობას ანუ მწარმოებლურობას, მთლიან დანახარჯებს, როგორც ცოცხალი შრომის, ისე განივთებული შრომის დანახარჯებს პროდუქციის ერთეულზე, ცალკეული ფაქტორების წვლილს ეფექტიანობის ამაღლებაში, კერძოდ, ცოდნაში პროგრესის, განათლების, რესურსების განაწილებაში პროგრესის, წამოების მასშტაბით გამოწვეული ეკონომიის, კაპიტალშეიარაღების, საერთოდ მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის წვლილს; 6. იგი გამოხატავს ყველა დანახარჯის ეკონომიას, რომელიც შეიძლება მიღწეულ იქნეს სამი ხერხით: ცოცხალი შრომის ეკონომიით; განივთებული წარსული შრომის ეკონომიით; შრომის საშუალებებში განივთებული წარსული შრომით; ან ამ სამი ხერხის კომბინაციით; 7. იგი საშუალებას გვაძლევს გამოვყოთ ცალკე ობიექტივირებული, მატერიალიზებული მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესისა და არაობიექტივირებული, არამატერიალიზებული მეცნიერულ-ტექნიკური წვლილი ეკონომიკურ ზრდასა და ეფექტიანობის ამაღლებაში; 8. მისი მეშვეობით შეიძლება ვიმსჯელოთ ექსტენსიური და ინტენსიური ფაქტორების როლზე ეკონომიკურ ზრდასა და ეფექტიანობის ამაღლებაში.

ამასთან, არ შეიძლება არ აღინიშნოს საწარმოო ფუნქციის თეორიის ნაკლიც. ამ ასპექტით მთავარია ის, რომ აქ შრომა და კაპიტალი ჰომოგენურია, ერთგვაროვანია, რომლებიც აწარმოებენ ასევე ერთგვაროვან პროდუქციას, რომლის გამოყენება შეიძლება ნებისმიერი მიზნით, როგორც საწარმოო, ასევე, პირადი მოხმარების დანიშნულებით. იგულისხმება კაპიტალისა და შრომის შეუფერხებელი გამოყენება, ტრანსფორმაცია ნებისმიერი ფორმით, შეუზღუდავი ურთიერთჩანაცვლება. როგორც წესი, განიხილება სრულყოფილი კონკურნეციისა და მისგან გადახრის პირობები, როდესაც საბაზრო მექანიზმები ავტომატურად უზრუნველყოფენ საწარმოო ფაქტორების სრულ გამოყენებას მიწოდებისა და ფასების რეგულირებით და გამორიცხავენ სხვაობას გარანტირებული და ბუნებრივი ზრდის ტემპებს შორის. ცხადია, ყველა ეს დაშვება შორსაა სინამდვილი-

საგან, მაგრამ ზემოთ მოტანილი დადებითი მახასიათებლის გამო საწარმოო ფუნქცია აღიარებულია, როგორც ზრდისა და ეფექტიანობის განსაზღვრის უმნიშვნელოვანესი მეთოდი, ინსტრუმენტი.

ეკონომიკური თეორიების თავისებურებანი. ეკონომიკური ეფექტიანობის მონეტარული კონცეფციის თავისებურებების გახსნისათვის არსებითი მნიშვნელობა ენიჭება ისეთი საკითხების განხილვას, როგორიც არის; თვისუფალი ბაზარი, თავისუფალი კონკურენცია, როგორც ეკონომიკური ეფექტიანობის აუცილებელი წანამძღვარი; ფულის მასის დინამიკის როლი ეკონომიკური ეფექტიანობისათვის; ინფლაციის არსი და მისი დაძლევის კონკრეტული მექანიზმი და სხვ.

მონეტარიზმი, როგორც ნეოკლასიკური მიმდინარეობა, ბოლომდე ერთგულია ა. სმიტის ფილოსოფიისა და წინა პლანზე ეკონომიკური განვითარების აუცილებელ პირობად ეკონომიკური თავისუფლების პრობლემას, თავისუფალი ურთიერთობების, ბაზრის არსებობას აყენებს. მ. ფრიდმენი კატეგორიულად უარყოფს სახელმწიფოს ეკონომიკაში ჩარევას. მისი აზრით, ძირითად საფრთხეს თავისუფლებას უქმნის იძულების ძალა, რომელიც გამოწვეული იქნება მონარქისაგან, დიქტატორისაგან, ოლიგარქიისაგან, თუ დროებითი უმრავლესობისაგან. ბაზრის გადამწყვეტი მნიშვნელობა იმით გამოიხატება, რომ მისი მეშვეობით ხორციელდება ეკონომიკური საქმიანობის ორგანიზაციის ჩამოშორება პოლიტიკური ხელისუფლების კონტროლისაგან და ამით იძულებითი ხელისუფლების წყაროს ლიკვიდაცია, რაც ეკონომიკური სუბიექტების თავისუფალი მეურნეობრიობის პირობას წარმოშობს. სწორედ ბაზარი უქმნის ეკონომიკურ სიძლიერეს პოლიტიკური ხელისუფლების შეზღუდვისა და არაგანმტკიცების შესაძლებლობას.[32] მაშასადამე, ეკონომიკური თავისუფლებისათვის აუცილებელია პოლიტიკური ხელისუფლების მაქსიმალური შეზღუდვა. სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს მხოლოდ „თამაშის წესები", თავისუფალი ბაზრის არსებობა, ერთი სუბიექტის მიერ სხვა სუბიექტზე ძალდატანებისას, მონოპოლისტური ურთიერთობების დაუშვებლობა. მეორე მხრივ, ფრიდმენის მიხედვით, თავისუფალი ბაზრის მთავარი როლი იმით გამოიხატება, რომ საბაზრო გარიგების ორივე მონაწილე – მყიდველი და გამყიდველი

32. Фридман и Хайек о свободе. Нью-Йорк, 1985, стр. 19.

მოგებული რჩება, სხვა შემთხვევაში გარიგება საერთოდ არ შედგება. სწორედ ამის შედეგია ის, რომ საბაზრო ფასები აწესრიგებს მილიონობით ადამიანის მოქმედებას ისეთნაირად, რომ თითოეული მათგანი ეძებს საკუთარ სარგებელს და თითოეული მათგანი გარიგებით მოგებული რჩება. მონეტარისტები ეყრდნობიან რაციონალური, ეკონომიკური ადამიანის კონცეფციას, რომელიც წინასწარ ყველაფერს ანგარიშობს, მიისწრაფვის მაქსიმალური მოგებისაკენ, სარგებლიანობისაკენ და ამის საფუძველზე იღებს გადაწყვეტილებებს. საბოლოო ანგარიშით, სტიქიურად და დაუგეგმავად ბაზრის საფუძველზე ყალიბდება მოწესრიგებული ეკონომიკური სტრუქტურა. სრულყოფილი კონკურენციის პირობებში ბაზარი გვევლინება თავისუფალი ფასწარმოქმნის საშუალებად. ამასთან, თავისუფალი ფასები ასრულებენ შემდეგ ძირითად ფუნქციებს:

1. ისინი გადასცემენ ინფორმაციას; 2. წარმოების ფაქტორებზე ფასების თანაფარდობის მიხედვით ასტიმულირებენ წარმოების ყველაზე უფრო ეკონომიური მეთოდების გამოყენებას, რაც განაპირობებს არსებული რესურსების ეფექტიან გამოყენებას; 3. განსაზღვრავენ წარმოებული პროდუქტის ვინ რამდენ წილს იღებს, ანუ შემოსავლების განაწილებას.[33] ფასების ყველა ეს ფუნქცია ერთმანეთთან მჭიდროდ არის ურთიერთდაკავშირებული.

ამგვარად, ეკონომიკური ეფექტიანობის მონეტარული კონცეფციის მეთოდოლოგიური საფუძველია თავისუფალი საბაზრო მეურნეობის, თავისუფალი კონკურენციისა და თავისუფალი ფასწარმოქმნის კონცეფციები. სწორედ თავისუფალი კონკურენცია და თავისუფალი ფასწარმოქმნა განაპირობებს მეურნეობის თვითრეგულირებადობას, იმანენტურ სტაბილურობას ხანგრძლივ პერიოდში. სახელმწიფოს ჩარევა ეკონომიკაში არათუ ზედმეტია, არამედ ზიანის მომტანიც, რადგანაც იწვევს სტაბილურობის დარღვევას, თავისუფალი ფასწარმოქმნის სისტემის ხელოვნურ მოშლას, ეს უკანასკნელი კი – რესურსების არაეფექტიან გამოყენებას. მონეტარული თეორიით ეკონომიკური ეფექტიანობის არსი იმით გამოიხატება, რომ თავისუფალი ფასწარმოქმნა, როგორც თავისუფალი საბაზრო მეურნეობის იმანენტური თვისება, განაპირობებს როგორც

33. იქვე. გვ. 34-50

რესურსების ყველაზე უფრო ეფექტიან გამოყენებას, ისე მეურნე სუბიექტების მოთხოვნილებების ყველაზე უფრო უკეთ დაკმაყოფილებას რადგანაც თავისუფალი ყიდვა-გაყიდვის პროცესი იმანენტურად გულისხმობს ამას.

აღნიშნულიდან კარგად ჩნს პრინციპული სხვაობა კეინსსა და მონეტარიზმს შორის. პირველი მიიჩნევს, რომ საბაზრო მექანიზმი ვერ უზრუნველყოფს ეკონომიკის სტაბილურ განვითარებას, რესურსების ეფექტიან გამოყენებას ხანგრძლივ პერიოდში, ამიტომ აუცილებელია სახელმწიფოს მაკონტროლებელი ჩარევა ეკონომიკაში, უწინარეს ყოვლისა, ეფექტიანი მოთხოვნის უზრუნველსაყოფად. მონეტარიზმს კი, პირიქით, მიაჩნია, რომ საბაზრო მეურნეობა შინაგანად სტაბილურია, უზრუნველყოფს რესურსების ეფექტიან გამოყენებას და თუ ეს ასე არ არის, ამის მიზეზია, პირველ რიგში, სახელმწიფოს ჩარევა ეკონომიკაში, კერძოდ, მისი ფულად-საკრედიტო პოლიტიკა. მონეტარიზმი არა მარტო მკაცრად აკრიტიკებს კეინსიანიზმს უფულო მეურნეობის განხილვისათვის, ფულის ეკონომიკაზე ზემოქმედების უგულებელყოფისათვის, არამედ ასაბუთებს, რომ ფულის რაოდენობა მიმოქცევაში გადამწყვეტ ზემოქმედებას ახდენს ეკონომიკურ ზრდაზე, სახელმწიფო ბიუჯეტზე და ზრდის რეალურ ფაქტორებს, მათ შორის ინვესტირებას, აქვთ მეორეხარისხოვანი მნიშვნელობა, თუ ისინი გამაგრებულნი არ არიან ფულის მასის დინამიკით. მონეტარისტების შეხედულებით, ფული არის როგორც ეკონომიკური ანალიზისა და პროგნოზირების საფუძველი, ისე ეკონომიკური განვითარების, ეკონომიკური ეფექტიანობის მთავარი ფაქტორი და სახელმწიფოს ეკონომიკური პოლიტიკის მთავარი ინსტრუმენტი. ასეთი მიდგომა თავისი არსითა და დასკვნებით პრინციპულად განსხავავდება კეინსური მოდელებისაგან, სადაც უპირველესი მნიშვნელობა ენიჭება ისეთ ეკონომიკურ ფაქტორებს, როგორიც არის ინვესტიციები, სამომხმარებლო გასავლები, დანაზოგები, ხოლო პოლიტიკის ასპექტით – სახელმწიფოს მასტიმულირებელი ფისკალური პოლიტიკა. კეინსური ზრდის მოდელის ცენტრშია სამომხმარებლო ფუნქცია, რომელიც აკავშირებს სამომხმარებლო გასავლების დინამიკას მიმდინარე შემოსავლების დინამიკასთან. ამასთან, ინვესტიციები ასრულებენ მნიშვნელოვან როლს ზრდის დინამიკაში. ფული ასეთ მოდელში შედის

პროცენტის ნორმის მეშვეობით, რომელიც ინვესტიციური გასავლების ერთ-ერთი ფაქტორია. კეინსის მოდელში მიზეზ-შედეგობრივი კავშირების ლოგიკური სქემა შემდეგნაირია: საკასო ნარჩენებზე მოთხოვნისა და მისი მიწოდების ურთიერთქმედება განსაზღვრავს საბაზრო პროცენტის განაკვეთებს; ეს უკანასკნელნი ზემოქმედებენ ინვესტიციების მოცულობაზე, კერძოდ, რაც ნაკლებია პროცენტი, მით ნაკლებია, სხვა თანაბარ პირობებში, გასავლები კაპიტალურ დანაკარგებზე; ცვლილებები ინვესტიციებში გადახდისუნარიან მოთხოვნაზე ზემოქმედებით განსაზღვრავენ დასაქმების, წარმოებისა და ეროვნული შემოსავლის დონეს. მაგრამ 40-50-იან წლებში გავრცელდა შეხედულებები, რომ ინვესტიციებსა და ფულის მასას შორის, ინვესტიციურ გასავლებსა და საპროცენტო განაკვეთებს შორის არის მხოლოდ სუსტი კავშირი და შესაბამისად, ფულად-საკრედიტო პოლიტიკა სრულიად უშედეგოა. კეინსის კონცეფცია ფულადი მეურნეობის მნიშვნელობის შესახებ დავიწყებას მიეცა. ეკონომიკური სტაბილიზაციის პროგრამებში გადამწყვეტ მნიშვნელობას კეინსელები ინვესტიციების საბიუჯეტო სიმულირებას ანიჭებდნენ, რამაც თანდათან დააგროვა ინფლაციური პოტენციალი, რომელიც შემდეგ რეალურად გამოვლინდა 70-80-იანი წლების დიდი ინფლაციით.

მონეტარიზმის სტრატეგია ხასიათდება საბაზრო მექანიზმის რეაბილიტაციით, სააბზრო მეურნეობრიობის ეფექტიანობის რწმენის აღდგენით, ეკონომიკური განვითარების აღიარებით სახელმწიფოს საბიუჯეტო სტიმულირების გარეშე. მონეტარიზმის საერთო დამახასიათებელი თავისებურება არის ფულის განსაკუთრებით დიდი ზემოქმედება რეალური შემოსავლის, დასაქმებისა და ფასების საერთო დონის დინამიკაზე. მაგრამ, რადგანაც ყველა ეს მაჩვენებელი უშუალოდ განსაზღვრავს წარმოების ეფექტიანობის დინამიკას, აქედან ლოგიკურად გამომდინარეობს დასკვნა, რომ მონეტარიზმის უმნიშვნელოვანესი თავისებურებაა ფულის აღიარება წარმოების ეფექტიანობის უმნიშვნელოვანეს ფაქტორად. ამასთან, წინა პლანზე მონეტარულ თეორიაში გამოტანილია ორი საკითხი; რა არის ნომინალური შემოსავლის ცვლილებების ძირითადი მიზეზი და როგორ შეიძლება ეს ცვლილებები წარმოვიდგინოთ როგორც ფასების და წარმოების მოცულობის შედეგი. ნომინალური შემოსავლის

მონეტარული კონცეფცია ცდილობს ახსნას, როგორ ზემოქმედებს ფული წარმოების შედეგზე, რომელიც ეფექტიანობის ერთ-ერთი განმსაზღვრელი ელემენტია. ეს კონცეფცია მოიცავს მონეტარული დოქტრინის ყველა უმნიშვნელოვანეს ელემენტს: ფულზე მოთხოვნის ნეოკლასიკურ ფუნქციას, სადაც ყალიბდება პირდაპირი დამოკიდებულება საკასო ნარჩენებზე მოთხოვნილებასა და ფულადი შემოსავლის სიდიდეს შორის; ფულის ეგზოგენურ მიწოდებას; პროცენტის დინამიკის მექანიზმის სპეციფიკურ მონეტარულ ვარიანტს ფასების დინამიკასთან კავშირით.

მონეტარიზმის მთავარი, ამოსავალი დებულება არის ის, რომ ფულზე მოთხოვნის ფუნქცია სტაბილური, მდგრადია, რაც ვლინდება ფულის მასისა და შემოსავლების ჯამს შორის თანაფარდობის უმნიშვნელო ცვლილებებით, სტაბილურობით, ანუ სხვანაირად, ფულის მასის და შემოსავლების მასის ზრდის ტემპი, საერთოდ ცვლილების ტემპი ერთნაირია. ეს დებულება არსებითად ეწინააღმდეგება კეინსის მოხმარებისადმი მიდრეკილების შემცირების ფსიქოლოგიურ კანონს შემოსავლების ზრდის კვალობაზე და მის მიერ დასაბუთებული ინვესტიციების მულტიპლიკატორის კონცეფციას. ამ მიზნით მ. ფრიდმენი იყენებს არა მიმდინარე შემოსავლის ჩვეულებრივ მაჩვენებელს, არამედ მუდმივ შემოსავალს, რომელიც იანგარიშება როგორც ხანგრძლივ პერიოდში შემოსავლის წარსული მნიშვნელობის გასაშუალობული მაჩვენებელი. შედეგად ყველაზე უფრო ცვალებადი ფაქტორები, მათ შორის პროცენტის ნორმა, კარგავს თავის მნიშვნელობას, ხოლო მოთხოვნა რეალურ საკასო ნარჩენებზე, ანუ მეურნე სუბიექტების მოთხოვნილებები გადახდის საშუალებებზე, იქცევა მხოლოდ ერთი ცვლადის – მოსახლეობის ერთ სულზე რეალური მუდმივი შემოსავლის ფუნქციად. მაგრამ, რადგანაც სამეურნეო სუბიექტების ფულზე მოთხოვნა სტაბილურია, აღწარმოების მექანიზმი დისპროპორციების მიზეზად გვევლინება, მონეტარისტების აზრით, უწინარეს ყოვლისა, მკვეთრი ცვლილებები ფულის მასის მოცულობაში, რომლის ემიტენტია საბანკო სისტემა. ეკონომიკა ამ გარეშე შოკებზე მწვავედ რეაგირებს, კერძოდ, ფულის მსყიდველობითუნარიანობის ცვლილებების მექანიზმის ამოქმედებით. საბოლოოდ ეს პროცესები აისახება ნომინალურ შემოსავალსა და სხვა ძირითად ეკონომიკურ მაჩვენებლებში. მთავ-

რობა ბიუჯეტის დეფიციტს დააფინანსებს ფულის მნიშვნელოვანი ემისიით, რაც იწვევს საკასო ნარჩენებსა და მეურნე სუბიექტების შემოსავლებს შორის ადრე არსებული თანაფარდობის მკვეთრ დარღვევას. ეს აიძულებს ფულის მფლობელებს განთავისუფლდნენ ჭარბი საკასო ნარჩენებისაგან, ანუ გაზარდონ გასავლები. მთელი ეკონომიკის მასშტაბით ეს იწვევს ერთობლივი მოთხოვნის გადიდებას სასაქონლო ბაზრებზე და ფასების ზრდას. შედეგად მყარდება ახალი წონასწორობა, როდესაც გაზრდილ საკასო ნარჩენებს შეესაბამება ფასების ახალი დონე. მაშასადამე, ფულზე მოთხოვნის სტაბილური ფუნქციის არსებობა ეკონომიკაში იწვევს ფასების ადაპტაციის მექანიზმის ავტომატურ ამოქმედებას, რომელიც სპობს დისპროპორციებს და ეკონომიკა გადადის წონასწორობის ახალ მდგომარეობაში. ეკონომიკის რეგულირება ხდება ავტომატურად, ფასების ცვლილების მეშვეობით, რაც განაპირობებს ახალ წონასწორობას, მოგებისა და ეფექტიანობის მაქსიმიზაციის ახალ დონეს. ფასი, მონეტარისტების მიხედვით, მეყრნეობის მთელი მაკორექტირებელი სისტემის და, აქედან გამომდინარე, წარმოების ეფექტიანობის დონის ცვლილების ძირითადი განმსაზღვრელი ელემენტია. ფულის გადამწყვეტი როლი ეკონომიკაში ვლინდება სწორედ ფულის მასის ფასზე ზემოქმედებით.

მონეტარული კონცეფციით, საბაზრო მეურნეობისათვის დამახასიათებელია მოგების, წარმოების ეფექტიანობის სტაბილური ზრდა. მისგან ცალკეული გადახრა კი გამოწვეულია ისეთი შემთხვევითი და არაკანონზომიერი მოვლენით, როგორიც არის წარმოების დაცემა, უმუშევრობა, ინფლაცია და სხვა დისპროპორციები.

ფულის მასის, ფასებისა და ნომინალური შემოსავლის ურთიერთდამოკიდებულების შესწავლის საფუძველზე მ. ფრიდმენი და მონეტარიზმი საერთოდ, აკეთებს შემდეგ დასკვნებს: 1. არსებობს მჭიდრო ურთიერთკავშირი ფულის მასის ციკლურ რყევებსა და რეალურ შემოსავლებსა და საქმიან აქტიურობას შორის; 2. სამეურნეო აქტიურობის მკვეთრი, მასშტაბური დარღვევების მთავარი მიზეზია ფულის მასის არასტაბილურობა; 3. გრძელვადიან პერიოდში ფულის მასის, ფასებისა და ფულადი შემოსავლის ურთიერთდამოკიდებულებაში, მკვეთრი ციკლური დარღვევების დროს წამყვან როლს ასრულებს ფულის მასის ცვლილება; 4. მოკლევადიან პე-

რიოდში, სუსტი ციკლური რყევებისას ფულის მასის ცვლილების როლი ფასებისა და ფულადი შემოსავლების ცვლილების როლის ტოლია; 5. მნიშვნელოვანი ძვრები ფულის მასის ზრდის ტემპებში არის ფულადი შემოსავლების ზრდის ტემპებში შესაბამისი ცვლილებების აუცილებელი და საკმარისი პირობა. აღნიშნულიდან გამომდინარე, მონეტარიზმის საბოლოო დასკვნა ის არის, რომ საქმიან აქტიურობაზე, საქმიანი ციკლის მიმდინარეობაზე მთავარ ზემოქმედებას ახდენს ფულის მასის მოძრაობა, მისი ცვლილება.

ამგვარად, მონეტარიზმი ფულად ფაქტორებს, კერძოდ, ფულის მასას ანიჭებს გადამწყვეტ როლს საერთოდ ეკონომიკურ განვითარებაში, მათ შორის, ფასებისა და შემოსავლების დინამიკის, მეურნეობის ციკლური ზრდის პროცესების დარეგულირებაში. მაგრამ, რადგანაც შემოსავლები სხვა არაფერია, თუ არა წარმოების შედეგი ნომინალური ან რეალური შემოსავლის სახით, ხოლო ფასი ზემოქმედებს არა მარტო შემოსავლების მოცულობაზე, არამედ, აგრეთვე, წარმოების რესურსების გამოყენების ხასიათსა და ეფექტიანობაზე, რაც აისახება პროდუქციის თვითღირებულებაში, მსჯელობიდან გამომდინარეობს მნიშვნელოვანი დასკვნები წარმოების ეფექტიანობის ასპექტით: 1. არსებობს მჭიდრო ურთიერთკავშირი ფულის მასასა, საქმიან აქტიურობასა და წარმოების ეფექტიანობას შორის; 2. გრძელვადიან პერიოდსა და მკვეთრი ციკლური დარღვევების დროს საქმიან აქტიურობასა და წარმოების ეფექტიანობაზე გადამწყვეტ ზემოქმედებას ახდენს ფულის მასის მოძრაობა; 3. მოკლევადიან პერიოდსა და სუსტი ციკლური რყევებისას საქმიან აქტურობასა და წარმოების ეფექტიანობაზე ფულის ზემოქმედება ფასებისა და ფულადი შემოსავლების ზემოქმედების ტოლია. საბოლოო ანგარიშით, მონეტარული კონცეფციის მიხედვით, საქმიანი აქტიურობისა და წარმოების ეფექტიანობის დინამიკაზე ძირითადად ზემოქმედებს ფულის მასის დინამიკა.

მონეტარიზმის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი დებულება არის ის, რომ მოკლევადიან პერიოდში მასის ცვლილება ზემოქმედებს როგორც ფასის დონეზე, ასევე წარმოების მოცულობაზე. ამ ზემოქმედების ხასიათი განისაზღვრება ფულზე მოთხოვნის თავისებურებებით და ეკონომიკაში არსებული რესურსების გამოყენების ხარისხით. ამ პრობლემაზე მონეტარიზმის პოზიცია აისა-

ხა ფილიპსის მრუდის მილტონისეული კონცეფციით. როგორც ცნობილია, ფილიპსის მრუდით გამოიხატება უკუპროპორციული დამოკიდებულება უმუშევრობასა და ხელფასის სიდიდეს შორის. ნომინალური ხელფასის და ფასების ცვლილება განისაზღვრება, უწინარეს ყოვლისა, უმუშევრობის სიდიდით. მრავალი ეკონომისტი ფილიპსის მრუდს უკავშირებდა ანტიმონეტარულ ინფლაციურ თეორიას, მაგრამ ფრიდმენმა წამოაყენა ამ დამოკიდებულების ისეთი ვარიანტი, რომელიც შესაძლებელი გახდა ფულზე მოთხოვნის ფუნქციის სტაბილურობის კონცეფციის ჩამოყალიბება. ამ მიზნით ფულზე მოთხოვნის ფუნქციაში მან შეიტანა ფასების ზრდის მოლოდინი, რითაც ფრიდმენის მოდელში ფასების ნამდვილი ნამატი არის არა მარტო იმ ცვლადის ფუნქცია, რომელიც გამოხატავს ფაქტობრივი ერთობლივი გამოშვების გადახრის სრული დასაქმებისას მისი მნიშვნელობისაგან, როგორც ეს აისახება ფილიპსის მრუდით, არამედ, აგრეთვე, ფასების მოსალოდნელი ცვლილებების და სხვა შემთხვევითი, ეგზოგენური ფაქტორების ფუნქცია. ამ შემთხვევაში განსხვავება მონეტარისტებსა და კეინსიანელებს შორის დაიყვანება შესაბამისი ცვლადების კოეფიციენტების მნიშვნელობამდე. კერძოდ, მონეტარისტების აზრით, კოეფიციენტი ცვლადთან, რომელიც გამოხატავს სრული დასაქმების შესაბამისი შემოსავლის დონისაგან გადახრას; დადებითია. ეს იმას ნიშნავს, რომ სხვა თანაბარ პირობებში, ინფლაციის ტემპი მით ნაკლებია, რაც მეტია ეკონომიკაში გამოუყენებელი რესურსები. მაშასადამე, ინფლაციის შემცირებას ხელს უწყობს წარმოების რესურსების არასრული გამოყენება, დაუტვირთაობა, ეფექტიანობის შემცირება. გრძელვადიან პერიოდში ეკონომიკა სრულად ეგუება ინფალციას, ანუ ფასების მოლოდინი რეალიზდება და ისინი უსასრულობისაკენ მიისწრაფვიან. გრძელვადიან პერიოდში ინფლაციასა და პროდუქციის გამოშვებას შორის არ არსებობს რაიმე ეკონომიკურად გამართლებული დამოკიდებულება. ამ შეხედულებას იზიარებენ თანამედროვე კეინსელებიც, ამიტომ მათ შეხედულებათა შორის განსხვავება ეხება მხოლოდ მოკლევადიან პერიოდში ინფლაციის ტემპსა დ წარმოების მოცულობის ტემპს შორის დამოკიდებულებას, ანუ, რესურსების გამოყენების დონეთა შორის ურთიერთმოქმედების მექანიზმს.

მონეტარისტების დასკვნით, მოკლევადიან პერიოდში მხოლოდ იშვიათ შემთხვევაში აღინიშნება მკვეთრად გამოხატული კავშირი ფულის მასის ცვლილებასა და ფასების მოძრაობას შორის. ამას ისინი ხსნიან დაყოვნებით ინფლაციური პროცესების განვითარებაში. მაგალითად, ნომინალური შემოსავლის გადიდება, მათი გათვლებით, დაახლოებით 6-9 თვით ჩამორჩება ფულის მასის გადიდებას, ხოლო ფასების საერთო დონის ცვლილება კი ხდება 6-9 თვის შემდეგ. მაშასადამე, ფულის მასის ცვლილება იწვევს ფასების ცვლილებას 1-1,5 წლის შემდეგ. ფულის მასის გადიდების ეკონომიკაზე ზემოქმედების მექანიზმს მოკლევადიან პერიოდში მონეტარისტები ხსნიან შემდეგნაირად: ფულის ჭარბი მიწოდება იწვევს გასავლების გადიდებას, რაც უშუალოდ განაპირობებს ფასებისა და ფულადი შემოსავლების გადიდებას. კეინსელების აზრით კი, ფულის მასის ცვლილება იწვევს, უწინარეს ყოვლისა, თანაფარდობის ცვლილებას ლიკვიდური საშუალებების მოთხოვნასა და მიწოდებაში და, ამის საფუძველზე, საპროცენტო განაკვეთის ცვლილებას. ეს უკანასკნელი ზემოქმედებს ინვესტიციების მოცულობაზე, ხოლო ინვესტიციების ცვლილება განაპირობებს მულტიპლიკატორის მექანიზმის ამოქმედებას და პირადი შემოსავლების ზრდას ან შემცირებას.

საერთოდ, მონეტარისტები მიიჩნევენ, რომ ინფლაცია ყოველთვის ფულადი მოვლენაა და მასთან ბრძოლა შეიძლება მხოლოდ ფულის მიმოქცევის სფეროში ღონისძიებების მეშვეობით. ფრიდმენის აზრით, არასაკმარისი მოთხოვნა არ არის უმუშევრობის უპირველესი მიზეზი. უფრო მეტიც, ინფლაცია არ არის ფასების ზრდის შედეგი. ფასების ზრდა წარმოების იარაღებზე, ნედლეულზე, მასალებზე, ენერგიაზე, ხელფასის გადიდება არ იწვევს ყველა საქონლის ერთობლივი ფასის მომატებას და არ არის ინფლაცია მანამდე, სანამ მომხმარებლები არ მიიღებენ უფრო მეტი რაოდენობის ფულს, ე.ი. არ გადიდდება ფულის მასა მიმოქცევაში. ეკონომიკური მიზეზობრიობის თვალსაზრისით ისეთი მოვლენა, როგორიც არის დანახარჯების ინფლაცია, საერთოდ არ არსებობს, რადგანაც წარმოების ფაქტორებზე ფასების გადიდების შედეგი იქნება არარეალიზებული პროდუქციის გადიდება. ის, რასაც უწოდებენ ინფლაციას ფასების გადიდების შედეგად, მონეტარისტების აზრით, არის მიმოქცევაში ფულის რაოდენობის გადიდების შედეგი, რაც ხორ-

ციელდება უმუშევრობის შემცირების მიზნით. მიმოქცევაში ფულის მასა რომ არ გაიზარდოს, მაშინ წარმოების ფაქტორებზე ფასების გადიდება გამოიწვევდა არა ფასების საერთო დონის ამაღლებას, არამედ გაყიდვების შემცირებას და უმუშევრობის გადიდებას. ამასთან, როგორც წესი, მეურნე სუბიექტები ხასიათდებიან სტაბილური მოთხოვნით ფულზე. თუ ფულის რაოდენობა მიმოქცევაში მეტია მოთხოვნაზე, ისინი ცდილობენ განთავისუფლდნენ ზედმეტი ფულისაგან, რაც იწვევს ინფლაციას. ამიტომ, აუცილებელი ანტიინფლაციური ღონისძიებაა ფულის რაოდენობის შემცირება მიმოქცევაში. ამ შემთხვევაში შესაძლებელია: კერძო სექტორის მოთხოვნის შემცირება საქონელსა და მომსახურებაზე; ფასიანი ქაღალდების რაოდენობის შემცირება, რაც გამოიწვევს პროცენტის ამაღლებას. შედეგად შემცირდება წარმოება, ხოლო გარკვეული დროის შემდეგ – ფასები; გაიზრდება გაცვლითი კურსი, რაც შეამცირებს ფასებს იმპორტულ საქონელზე და ასევე შემცირდება საექსპორტო საქონლის წარმოება. რადგანაც ინფლაცია გამოწვეულია მხოლოდ მოთხოვნაში ცვლილებებით და არა აქვს ხარჯვითი ხასიათი, მონეტარიზმი საერთოდ უარყოფს შემოსავლების პოლიტიკას.

სრული დასაქმების პოლიტიკა, რომელიც მიმართულია არსებული სამუშაო ადგილების შენარჩუნებისა და ახალი სამუშაო ადგილების შექმნისაკენ, მონეტარისტების აზრით, იწვევს ინფლაციას და ნაკლებად მოქნილი სტრუქტურების დაკონსერვებას, წარმოებისა და შრომის დანაწილების ჩამოყალიბებული სტრუქტურების სტაგნაციას, მაქსიმალური რაოდენობის შრომის გამოყენებას. ასეთი პოლიტიკა, მათი აზრით, ანტიეკონომიკური და ანტისოციალურია, რადგანაც ამით ირღვევა თავისუფალი ფასწარმოქმნის პრინციპი, ფასები ვერ ასრულებენ უმთავრესი ინფორმაციისა და წარმოების სტიმულირების, წარმოების ფაქტორების ეფექტიანი გამოყენების ფუნქციებს, ხოლო არსებული სტრუქტურის კონსერვაცია და მაქსიმალური რაოდენობის შრომის გამოყენებას. ასეთი პოლიტიკა, მათი აზრით, ანტიეკონომიკური და ანტისოციალურია, რადგანაც ამით ირღვევა თავისუფალი ფასწარმოქმნის პრინციპი, ფასები ვერ ასრულებენ უმთავრესი ინფორმაციისა და წარმოების სტიმულირების, წარმოების ფაქტორების ეფექტიანი გამოყენების ფუნქციებს, ხოლო არსებული სტრუქტურის კონსერვაცია და მაქსიმალური

რაოდენობის შრომის გამოყენებისაკენ მისწრაფება ეწინააღმდეგება ბუნებრივ პროცესს – ეფექტიანობის ამაღლებას, წარმოების დანახარჯების შემცირებას პროდუქციის ერთეულზე.

საერთოდ სრული დასაქმების იდეას მონეტარიზმი მიუღებლად მიიჩნევს. საქმე ის არის, რომ დასაქმების შესაძლებლობების გარკვეული შემცირება ნებისმიერი ეკონომიკისათვის აუცილებელი თავისებურებაა. მთავრობის ძალისხმევა არამომგებიანი დასაქმების შენარჩუნებისათვის მოცემული ხელფასის პირობებში მხოლოდ დროში თუ გადასწევს სტრუქტურული ადპტაცის აუცილებლობას. ადრე თუ გვიან ასეთი პოლიტიკა უმუშევრობას გამოიწვევს და რაც უფრო გვიან განხორციელდება იგი, მით უფრო მასშტაბური იქნება. ფულის მასის გადიდებით გამოწვეული ხელოვნური მოთხოვნა ქმნის ახალ სამუშაო ადგილებს, რომლებსაც არსებობა მხოლოდ დაჩქარებული ინფლაციის პირობებში შეეძლებათ. რაც უფრო ხანგრძლივია ინფლაცია, მით მეტი სამუშაო ადგილია მასზე დამოკიდებული და მით უფრო მეტი უმუშევრობა წარმოიშობა მისი შენელების ან შეწყვეტის შემდეგ. სრული დასაქმების ინფლაციური პოლიტიკა მოკლევადიან პერიოდში იწვევს უმუშევრობის შემცირებას, მაგრამ გრძელვადიან პერიოდში მისი შედეგი მასშტაბური ინფლაციაა, რის გამოც უმუშევრობის შემცირება ინფლაციური პოლიტიკით მომავალში უმუშევრობის ზრდის გარდუვალი მიზეზია.

აღნიშნულიდან გამომდინარე, მონეტარისტები მოითხოვენ სრული დასაქმების მიზნის უარყოფას საერთოდ და ეკონომიკური პოლიტიკის მთავარ მიზნად ფასების გრძელვადიან სტაბილურობას განსაზღვრავენ. კეინსური სრული დასაქმების კონცეფციის საპიროსპიროდ, მ. ფრიდმენმა წამოაყენა უმუშევრობის ბუნებრივი დონის კონცეფცია. იგი სამუშაო ძალის ბაზარზე საერთო პირობებით განისაზღვრება და არ არის დამოკიდებული საბიუჯეტო და ფულად-საკრედიტო პოლიტიკის ღონისძიებებზე. ამასთან, იგი არა ფულადი ფაქტორებით, არამედ რეალური ფაქტორებით განისაზღვრება და აგრეგატული ფულადი შემოსავლის ფასების მოსალოდნელ ცვლილებას შეესაბამება. თუ ხელისუფლება შეეცდება მოთხოვნის გადიდების პოლიტიკით შეამციროს უმუშევრობა და ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში შეინარჩუნოს იგი ბუნებრივ დონეზე უფრო დაბლა, ამისათვის საჭირო იქნება სულ უფრო

მზარდი ფულის ემისია, რაც საბოლოოდ დამანგრეველ ინფლაციას გამოიწვევს. მძლავრი საბაზრო ძალები ყოველთვის მოქმედებენ უმუშევრობის ბუნებრივი დონის უზრუნველსაყოფად. თუ მთავრობა ბუნებრივ დონეზე დაბლა შეამცირებს უმუშევრობას და ამისათვის ჩვეული ღონისძიებებით გაზრდის მოთხოვნას საქონელზე, ფულის მასის ზრდა გამოიწვევს არსებული თანაფარდობის დარღვევას მეურნე სუბიექტების საკასო ნარჩენებსა და მათ შემოსავლებს შორის. მსყიდველობითუნარიანი მოთხოვნილების საერთო გადიდება განაპირობებს კონიუნქტურის გამოცოცხლებას და დამატებით მოთხოვნას სამუშაო ძალაზე. შესაბამისად, უმუშევრობის დონე შემცირდება ბუნებრივზე დაბლა. მაგრამ ეს ეფექტი, მონეტარისტების მიხედვით მხოლოდ მოკლევადიანია. საქონელზე მოთხოვნის გადიდება მალე გამოიწვევს მათი ფასების გადიდებას და რეალური ხელფასი შემცირდება. პროფკავშირების მოთხოვნების საფუძველზე ხელფასის მომატება განაპირობებს დასაქმების სტიმულების შემცირებას. მოთხოვნა სამუშაო ძალაზე შემცირდება და უმუშევრობა კვლავ გაიზრდება თავის ბუნებრივ დონემდე.

70-80-იანი წლების მონეტარულმა გამოკვლევებმა აჩვენეს, რომ უმუშევრობის ბუნებრივი დონე იცვლება და ხასიათდება ზრდის ტენდენციებით: 50-იან წლებში იგი იყო 4%, 60-იან წლებში – 5%, 70-იანი წლების შუახანებისათვის – 5,5%. მაგრამ კიდევ უფრო ნიშანდობლივია ის, რომ, ფრიდმენის აზრით, უმუშევრობა არ წარმოადგენს რესურსების არაეფექტიანი გამოყენების ფორმას, ხოლო მაღალი დონის დინამიკური, პროგრესული მეურნეობა, რომელიც იძლევა სამუშაოზე მოწყობის შესაძლებლობის დიდ არჩევანს და ასტიმულირებს ეკონომიკის მოქნილობას, შეიძლება ხასიათდებოდეს უმუშევრობის შედარებით მაღალი ბუნებრივი ნორმით.

ამასთან დაკავშირებით, აუცილებელია აღინიშნოს, რომ თუმცა მონეატარისტები უარყოფენ დანახარჯების ინფლაციას, ინფლაციის ძირითად მიზეზად მიიჩნევენ ფულის მასის გადიდებას, ხოლო ფასების ზრდაში მთავარ დამნაშავედ თვლიან პროფკავშირებს. 1975 წლის შემდეგ, როდესაც გამოიკვეთა სტაგფლაცია და კეინსური მეთოდებით ინფლაციის დაძლევის უსუსურობა, ინფლაციური პროცესების განვითარებაში დომინირებული გახდა მოლოდინის განმსაზღვრელი მნიშვნელობა. მომავალში ფასების ზრდის მოლოდინი გახდა, მონე-

ტარისტული აზრით, ფასებისა და ხელფასების სპირალის განვითარების მთავარი მამოძრავებელი ძალა. პროფკავშირები ხელშეკრულებების გაფორმებისას შრომის მწარმოებლურობის ზრდის ტემპის გათვალისწინების გარეშე მოითხოვენ ხელფასის ისეთი დონის დაწესებას, რომელიც ყველაზე უფრო პროგრესულ დარგებშია. 70-იანი წლებიდან მრავალ ქვეყანაში მართლაც აღინიშნებოდა ხელფასის ზრდის უფრო მაღალი ტემპი შრომის მწარმეობლურობის ზრდის ტემპთან შედარებით. მთავრობები შრომითი ხელშეკრულებების სამმხრივ მოლაპარაკებებში პროფკავშირების მხარეზე აღმოჩნდნენ და ზიანი მიაყენეს კონკურენტუნარიონობას. 1947-1965 წლებში აშშ-ის კერძო სექტორში საშუალო საათობრივი გამომუშავება წელინადში 5,1%-ით გაიზარდა, ხოლო შრომის მწარმოებლურობა კი – 3,2%-ით; 1965-1976 წლებში შესაბამისი მაჩვენებლები იყო – 7,6% და 1,9 %; 1976-1979 წლებში – 8,6% და 0,5%. 1980 წ. შრომის მწარმოებლურობის ზრდა უარყოფითი იყო. შედეგად იზრდებოდა სამუშაო ძალის ღირებულება პროდუქციის ერთეულში: 1947-1965 წლებში ინფლაციის წლიურმა ტემპმა შეადგინა 2,3%; 1965-1976 წლებში – 5,5%; 1976-1979 წლებში – 7,4%; ევროპის „საერთო ბაზრის" ქვეყნებში რეალური ხელფასი 1960-1973 წლებში გაიზარდა 4,6%-ით, ხოლო შრომის მწარმოებლურობა – 4,7%-ით, მაგრამ 1975-1979 წლებში ეს მაჩვენებლები შესაბამისად გაიზარდა 3,5%-ით და 3,1%-ით; 1979-1981 წლებში – 2,7%-ით. ხელფასის საათობრივი განაკვეთები 1970-1981 წლებში გადამამუშავებელ მრეწველობაში გაიზარდა აშშ-ში 4,3 დოლარიდან 1970 წ. 11,1 დოლარამდე; 1981 წ. გფრ-ში შესაბამისად – 2,6-დან 11,1 დოლამრამდე; ინგლისში – 1,6-დან 7,1 დოლარამდე; იაპონიაში – 1,1-დან 7,2 დოლარამდე. ამასთან, მოგების ნორმა მუდმივად კაპიტალზე შეადგენდა იაპონიაში 1960-1973 წლებში – 35,6%-ს; 1974-1979 წლებში – 2,1%-ს; აშშ-ში შესაბამისად – 29,1 და 20,6%-ს; გფრ-ში – 21,9%-ს, ინგლისში – 12, 7 და 5,0%-ს; „საერთო ბაზრის" ქვეყნებში – 18,7 და 13,4%-ს. შემოსავლების ინდექსაციის პრაქტიკამ განაპირობა ინფლაციური ეკონიმკური ზრდა აშშ-სა და ევროპის ქვეყნებში. ერთადერთი ქვეყანა, სადაც აღინიშნებოდა ხელფასის არაინფლაციური ზრდა 17-ჯერ 1970-1981 წლებში იყო იაპონია, სადაც ხორციელდებოდა ხელფასის მოქნილი არაინფლაციური სისტემა შრომის მწარმოებლურობის ზრდის შესაბამისად. 60-70-იანი წლე-

ბის შემოსავლების პოლიტიკამ სხვადასხვა ქვეყანაში აჩვენა, რომ იგ ინვევს ფასების და ხელფასის მოქნილობის შესუსტებას, წარმოების ეფექტიანობის შემცირებას, ადმინისტრაციულად ფასებისა და ხელფასის გაყინვას, რაც საბოლოო ანაგრიშით, განაპირობებს ფარული ინფლაციის გაძლეირებას, სასაქონლო დეფიციტისა და ჩრდილოვანი ეკონომიკის გაძლიერებას.[34]

70-80-იან წლებში ფართოდ გავრცელდა აგრეთვე სერეული ინფლაციის თეორია. ამ თეორიის მიხედვით ინფლაციის აფქტორები მრავალფეროვანია და იგი, როგორც ეკონომიკურ, ისე არაეკონომიკურ ხასიათს ატარებს, ამიტომ ძალზე რთულია ზუსტად განვსაზღვროთ, რა შემთხვევაში გაიზარდა ფასები წარმოების დანახარჯების ან ჭარბი მოთხოვნის გადიდების შედეგად და რა შემთხვევაში – მსოფიო ბაზრის განვითარებაზე ზემოქმედი პოლიტიკური ფაქტორების გავლენით. აღნიშნუი თეორიით, 1974 წლამდე განმსაზღვრელი იყო ის ფაქტორები, რომლებიც ზემოქმედებდნენ ერთობლივი ეფექტიანი მოთხოვნის დინამიკაზე, მომდევნო პერიოდში კი – ფასებისა და ხელფასის სპირალის განსაზღვრელი ფაქტორები. შერეული ინფლაციის თეორია განსაკუთრებულ ყურადღბას უთმობს სანედლეულო და ენერგეტიკული კრიზისით განპირობებულ პოლიტიკური გადაწყვეტილებების ზემოქმედებას ინფლაციურ პროცესებზე. ბოლო პერიოდში აქტუალურ გახდა იმპორტული ინფლაციის კონცეფცია, კერძოდ, ვალუტის თავისუფალი კურსებისა და მსოფლიო ლიკვიდურობის ცვლილებების ზეგავლენის საკითხი ინფლაციაზე. კეინსელები ასაბუთებენ თავისუფალი კურსის უპირატესობას, რადგანაც ეს აძნელებს ინფლაციის ერთი ქვეყნიდან მეორეში შელწევას და საშუალებას იძელვა გატარდეს ავტონომიური ფულადი პოლიტიკა. მონეტარისტები ასაბუთებენ მტკიცე კურსის უპირატესობას, რადგანაც ამ შემთხვევაში სავალუტო რეზერვების მოძრაობა მომგებიანია, როგორც საგადამხდელო ბალანსის დეფიციტის მქონე ქვეყნისათვის, ისე დადებითი საგადამხდელო ბალანსის ქვეყნისათვის.

ინფლაციის თავიდან აცილების და საერთოდ ეკონომიკის ეფექ-

34. См. Л. И. Пияшева, Б. С. Пинскер. Экономический неокон-серватизм. теория и международная практика. М., 1988, стр. 65-93.

ტიანი ფუნქციონირებისათვის მონეტარიზმს საჭიროდ მიაჩნია ფულის მიწოდების გადიდება ფიქსირებული, წინასწარ განსაზღვრული პროცენტით, რომელიც შეესაბამება მთლიანი ეროვნული პროდუქტის ზრდის გრძელვადიან ტემპს, ე.ი. მონეტარისტები მოითხოვენ ფულის მასის თანაბარზომიერ ზრდას წინასწარ განსაზღვრული ტემპით ეროვნული პროდუქტის ზრდის ტემპთან შესაბამისობით, ანუ ფულის მასის მკაცრად შეზღუდვას. ფრიადმენი თვლის, რომ ამ გზით ფულის მიწოდება შესაბამისობაში მოვა მოთხოვნასთან და, ამავე დროს, თვითონ ფუის მასის ზრდის სტაბილურობა უზრუნველყოფს ეკონომიკის ზრდის რეჟიმში ყოფნას. თუ აღმოჩნდება, რომ ეკონომიკა დაქვეითების გზაზეა, მაშინ მასის გადიდება გამოიწვევს ბანკის რეზერვების გადიდებას, ასტიმულირებს ბანკებს გასცენ სესხები და ამ გზით გამოიყვანს ეკონომიკას დაქვეითებიდან. თუ მოხდება ინფლაციის უეცარი გაძლეირება, იმავე მასის ზრდის უცვლელი გაძლიერება, იმავე ფულის მასის ზრდის უცვლელი ტემპი, ავტომატურად შეაფერხებს კლიენტების ინფლაციური მოთხოვნის დაფინანსების შესაძლებლობებს და თვითონ ინფლაციას.[35]

ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ მონეტარიზმა უდიდესი წვლილი შეიტანა ეკონომიკური ეფექტიანობის თეორიაში, კერძოდ: 1. ეკონომიკური ეფექტიანობის თეორია მონეტარიზმმა გაამდიდრა პრინციპულად ახალი მეთოდოლოგიური და მეთოდური მიდგომებით, რითაც მან გაცილებით უფრო მეტი კომპლექსური და სისტემური ხასიათი მიიღო. განსაკუთრებით აღსანიშნავია ის, რომ მონეტარიზმმა ნაცვლად ადრე გაბატონებული ვიწრო რაოდენობრივი, რეალური, ინვესტიციური ფაქტორებისა, წინ წამოსწია ფუადი მეურნეობის, ფასებისა და დროის ფაქტორების როლი ეკონომიკური ეფექტიანობის ამაღლებაში. მან დაასაბუთა, რომ ეკონომიკური განვითარებისათვის მთავარია ფულის მასის სტაბილური ზრდა მთლიანი ეროვნული პროდუქტის ზრდის ტემპის შესაბამისად. თუ ეს პირობა არ არის დაცული, იწყება ინფლაცია, რომლის მაღალი ტემპი საერთოდ ანგრევს ეკონომიკას და უკიდურესად ამცირებს ეფექტიანობას. აქედან კი გამომდინარეობს დასკვნა, რომ ეკო-

35. Р. Хейлбронер, Л. Туроу Экономика для всех. М., 1994, стр. 163-164.

ნომიკური ეფექტიანობის მთავარი განმსაზღვრელი ფაქტორი და აუცილებელი წანამძღვარი არის ფულის მიმოქცევის, მისი მსყიდველობითუნარიანობის სტაბილურობა. არავითარი რაცონაურობა, ეფექტიანობა ეკონომიკაში არ მიიღწევა სტააბილური ფულის, ვალუტის გარეშე. ფულის როლის წინ წამოწევა მონატარიზმის მიერ, თავის მხრივ, განაპირობებდა ეკონომიკაში ეფექტიანობის, რესურსების ეფექტიანი გამოყენების პრობლემის წინ წამოწევას. 70-იანი წლებიდან, როდესაც აშკარა გახდა ეფექტიანობის სემცირების ტენდენცია, სტაგფლაცია და მისი დაძლევის აუცილებლობა, მონეტარიზმმა ამ მოთხოვნას შესაბამისად უპასუხა და ეკონომიკური სტაბილურობის, ეფექტიანობის სრულიად ახალი კონცეფცია დაასაბუთა. მონეტარისტული თეორია თავისი არსით წინა პლანზე ისეთ მიზნებს აყენებს, როგორიც არის ეკონომიკური განვითარება, ეფექიანობა, რაცონაიზაცია, მათი მისადაგება სტრუქტურული გარდაქმინსა და მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის ახალი რეალიებისადმი.

2. მონეტარიზმმა ჩამოაყალიბა ეკონომიკური ეფექტიანობის მექანიზმი. ამ მექანიზმში მთავარია ფასების დინამიკა. ეკონომიკური ეფექტიანობის მონეტარული კონცეფცია ხასიათდება იმით, რომ მან ეფექტიანობა უშუალოდ დააკავშირა ფასების, ინფლაციისა და ციკლის დინამიკასთან, ჩამოაყალიბა ფასების, ინფლაციისა და ციკლის წმინდა მონეტარული თეორია. ფულის მასა უშუალო ზემოქმედებას არ ახდენს რეალურ წარმოებაზე, დასაქმებაზე, ეფექტიანობაზე, არამედ ზემოქმედებს მათზე ფასების მეშვეობით, განსაკუთრებით ფასების სეფარდებითი სიდიდით, რომეიც განისაზღვრება არ ამხოლოდ საერთო მოთხოვნის დონით, არამედ ამ უკასნკნელის სტრუქტურით. ფულის მასის ზრდა იწვევს მხოლოდ ფასების ზრდას, რაც უშუალოდ ზემოქმედებს წარმეობის შედეგზე,ა სევე მის დანახარჯებზე და საბოლოოდ, წარმოების ეფექტიანობაზე. ფასების მარეგულირებელი როლი საბაზრო ეკონომიკაში განისაზღვრება მისი ძირითადი ფუნქციებით; საბაზრო ინფორმაციის წყარო, წარმოების ფაქტორების ეფექტიანი გამოყენების სტიმულირება ეკონომიკური მეთოდებით, შემოსავლების განაწილება. ინფლაციის შედეგად ფასები სულ უფრო ნაკლებად ასრულებენ თავის ფუნქციებს, ხოლო ჰიპერინფლაცია საერთოდ ეკონომიკურ კოლაპსს იწვევს. მონე-

ტარიზმმა სრულიად ახლებულრად განსაზღვრა ინფლაციის წარმოშობის მიზეზები, განავითარა მოთხოვნის ინფლაციის თეორია, საერტოდ უარყო დანახარების ინფლაციის თეორია, შემოიტანა ანალიზის ისეთი უმნიშვნელოვანესი ინსტრუმენტი, როგორიც არის ბუნებრივი უმუშევრობა და დაასაბუთა სრული დასაქმების თეორიული და პრაქტიკული მიუღებლობა. მონეტარიზმმა განსაზღვრა ანტიინფლაციური პოლიტიკის მექანიზმი, რომელიც მრავლ ქვეყანაში წარმატებით დაგვირგვინდა. ამ პოლიტიკის მთავარი ელემენტებია: ფულის მასის ზრდის სტაბილურობის შენარჩუნება საზოგადოებრივი პროდუქტის რეალური ზრდის შესაბამისად, მკაცრი ფულად-საკრედიტო პოლიტიკა, ბიუჯეტის დეფიციტის არდაშვება. მართალია, ფულსა და ფასებს მონეტარიზმი გადამწყვეტ მნიშვნელობას ანიჭებს ემურნეობისათვის, მაგრამ იგი არ უგულებელყოფს რეალურ ფაქტორებსაც, კერძოდ, ინვესტიციების როლს, თუმცა ეს როლი დაქვემდებარებულია. მთავარია ფულად და ფისკალურ პოლიტკიას შორის უშუალო კავშირის გაწყვეტა, მთავრობის ფინანსური მოთხოვნილებების დაკმაყოფილების არდაშვება დაუსაქონლებელი ფულის ემისიით, მაგრამ, ამასთან ერთდ, კრიზისიდან გამოსვისა და ზრისათვის აუცილებელია ინვესტიციების გაფართოება ნებაყოფლობითი დანაზოგების საფუძველზე. სამომხმარებლო საქონელზე მოთხოვნის შემცირება იწვევს წარმოების ფაქტორების გამოთავისუფლებას სამომხმარებლო საქონილს წარმოებიდან და მათი გამოყენების შსაძლებლობას პროგრესულ დარგებსა და წარმოებებში. იძულებითი დანაზოგები კი, მართალია, ხელოვნურად ზრდის მოთხოვნას, მაგრამ ამ შემთხვევაში ირღვევა რეგულირების ბუნებრივი მექანიზმი და მკვეთრად უარესდება მობილურობა. ციკლეული ინვესტორისათვის სულერთია, მიიღებს ის კრედიტს ნებაყოფლობითი თუ იძულებითი დანაზოგებიდან, დანაზოგებით უზრუნველყოფილ კრედიტს, თუ ინფლაციურ საბანკო კრედიტს. მაგრამ ეკონომიკისათვის საერთოდ ეს მეტად სერიოზული საკითხია. იძულებითი დანაზოგების სექმნა იწვევს ეკონომიკის დესტაბილიზაციას, რომელიც საბოლოო ანგარიშით, აუცილებელად კრიზისით მთვრდება. კრიზისის გადავადებაც ხელოვნური ინვესტიციური ბუმით შედეგოა. ეკონომიკა იწყებს ხელოვნურ გაფართეობას, რაც სულ ახალ-ახალ ინვესტიციებს მოითხოვს მანამდე, სანამ ბანკები

არ შეწყვეტენ მაღაი ინფლაციისა და ფულადი სისტემის კოლაფსის შიშით დაკრედიტებას. ხელოვნური დანაზოგები, რომლებიც ასტიმულირებენ ინვესტიციურ აღამვლობას, არ შეიძლება უსაზღვროდ გაფართოვდეს და გარკვეულ მომენტში შეუძლებელი ხდება მისი გაგრძელება. შეუძლებელია, კერძოდ, ძირითადი კაპიტალის მუდმივად ზრდა იძულებითი დანაზოგებითა და ხელოვნური საკრედიტო ექსპანსიით. ის, რაც შეიქმნა ამ გზით აღმავლობის პერიოდში, აუცილებლად დაინგრევა კრიზისის დროს. კრიზისის თავიდან აცილებისათვის, მონეტარისტების მიხედვით, აუცილებელია ნებაყოფლობითი დანაზოგების უზრუნველყოფა, იძულებითი დანაზოგები კი დამანგრეველია. ფულის მასის ფიქსირებული გადიდება, ფასების სტაბილურობა, ნებაყოფლობით დანაზოგებზე დამყარებული რეალური ინვესტიციური ზრდა – ასეთია ეკონომიკური ეფექტიანობის მექანიზმის მონეტარული კონცეფციის არსი.

3. სტაგფლაციიდან გამოსვლის, ეკონომიკის სტრუქტურული კრიზისის დაძლევის, ეფექტიანობის ამაღლების ამოცანების გადასაწრელად მოენტარიზმმა დაასაბუთა ანტიინფაციური კურსის, ეკონომიკური კავშირების საერთო ლიბერალიზაციის, განვითარებისა და ზრდის საბაზრო სტიმულების გაძლიერბის აუცილებლობა. ამ მიზნით მან ჩამოაყაიბა ეკონომიკური პოლიტიკის სემდეგი პრიორიტეტული მიმართულებები: მომგებიანი ინვესტირების პირობების შექმნა; ინვესტირების ანტი და ფსევდოსტიმულების ლიკვიდაცია; კეინსური ინფლაციური პოლიტიკის პრინციპულად უარყოფა; სოციალური უთანასწოროის შემცირება ეკონომიკური განვითარებით და ზრდით, ახლად შექმნილი სიმდიდრის გადანაწილებით და არა უკვე სექმნილი სიმდიდრის გადანაწილებით. ამგვარად, თუ ეკონომიკური მეცნიერების ადრინდელი მიმართულებები ყურადღეას ამახვილებედნენ უპირატესად ეფექტიანობის ამაღლების რეალური ფაქტორების გამოყეენბს თავისებურებებზე, მონეტარიზმმა წინ წამოსწია ამ რეაური ფაქტორების გამოყენების მომგებიანობისათვის პირობების შექმნა და პასუხი გასცა დილემას – ეკონომიკის ფუნქციონირების როგორი პირობები უნდა იქნეს უზრუნველოფილი წარმოების მაღაი ეფექტიანობის მისაღწევად. თუ ასეთი საერთო პირობები არ იქნება უზრუნველყოფილი, მაშინ ყოველგვარი მცდელობა საკუთრივ წარმოების ფაქტორების გამოყეენბის ეფექტიანო-

ბის ასამაღლებლად ვერ რეალიზდება.

ამრიგად, დიდია მონეტარიზმის წვლილი ეკონომიკური ეფექტიანობის კომპლექსური თეორიის ჩამოყოაიბებაში, თუმცა ის უნაკლო როდია. ასე მაგალითად, მეთოდლოლოგიურ ასპექტით, მონეტარიზმი კეინსიანიზმის მსგავსად, ინდივიდუალური მეწარმის, ეკონომიკური ადამიანის, თავისუფალი ეკონკურნეციის კონცეფციებს ეყრდნობა, რაც უკვე ნაკლებად შესაბამება სინამდვილეს, განვითარების დღევანდელ და სამომავლო მოთხოვნებს. დღეს წინა პლანზე წამოწეული არა ინდივიდუალური მეწარმე, არამედ ფირმა, რომის მიზნები, ფუნქციონირების მასშტაბები, ხასიათი, ზემოქმედება წარმების ეფქტიანობაზე ახალი მნიშვნელოვანი თვისებურებებით გამოირჩევა. დღევანდელი ადამიანიც მარტო ეკონომიკური რაციონალურობის პრინციპით არ მომქედებს, პირიქით, ხშირად მას მნიშვნლობით ჭარბობ ს შრომის დაკმაყოფილება,ს აზოგადოებრივი პრესტიჟი, ცხოვრებისა და ადამიანის განვითარების ხარისხი საერთოდ. ეკონომიკურ მეცნიერებაში ისიც დიდი ხანია დასაბუთებულია, რომ თავისუფალი კონკურენცია თანამედროვე პირობებში მეურნეობრიობის მხოლოდ მცირე სფეროებში გვხვდება და გაბატონებული მნიშვნობისაა მონოპოლისტური კონკურნეციისა და ოლიგოპოლიის საბაზრო სტრუქტურბი. მაგრამ ფრიდმენისა და საერთოდ მონეტარისტების დაშვება, რომ თანამედროვე ეკონომიკა კონკურნეტულია, რაც თავისთავად განაპირობებს რესურსების ეფექტიან გამოყენებას, სინამდვილეს არ შეესაბამება. მეთოდოლოგიურად, მონეტარიზმისათვის ამოსავალია იდეალური თეორიული მოდელი: ჯერ ბაზრებისა და ფირმების ფუნქციონირების იდეალური პირობების, ხოლო შემდეგ მათი რეალიზაციის ხარისხის განსაზღვრა. მონეტარიზმი ჯერ თეორიულად ასაბუთებს, რომ ეკონომიკაში გაბატონებულია თავისუფალი კონკურნეცია, რის საფუძვეზეც მოქემდებს მოთხოვნა-მიწოდების ავტომატური მექანიზმი, თავისუფალი ფასწარმოქმნა, რაც თავისთვად განაპირობებს რესურსების ყველაზე უფრო ეფექტიან გამოყეენბას, ეი.ი. იგი წინასწარ, აპრიორად აცხადებს, რომ საბაზრო ეკონომიკა ეფექტიანია, მისი შეფასების კრიტერიუმები, ფასეულობათა სისტემა საკუთრივ თეორიაშიად ა არსებულ რეალობას ამ კრიტერიუმებით აფასებს, ხოლო გადახრებს ხსნის თვისუფალი კონკურნეციის დარღვევიტ და

სახელმწიფოს ავალდებულებს, რომ უზრუნველყოს თავისუფალი კონკურენციის, ანუ მაქსიმალური ეფექტიანობის პირობები. ცხადია, აქ სახეზეა რეალური ობიექტური განვითარების პირობების ჯეროვანი სეუფასებლობა და იდელური თეორიული პირობების წინ წამოწევა, რომელთა რეალიზაცია ობიექტური განვითარების გამო ხშირად შეუძლებელია.

მონეტარიზმს აქვს პრეტენზია, რომ მან შექმნა ეკონომიკური განვითრების სრულიად ახალი, ანტიინფლაციური მოდელი. ამ უკანასკნელის რეალიზაციისათვის იგი გვთავაზობს შემდეგ ღონისძიებებს: ფულის მიწოდების გადიდება წინასწარ ფიქსირებული განსაზღვრული პროცენტით, რომეიც შეესაბამება მთლიანი პროდუქტის ზრდის გრძელვადიან ტემს; მკაცრი ფულად-საკრედიტო და საფინანსო პოლიტიკა, ბიუჯეტის დეფიციტის არდასვების ჩათვლით. მაგრამ ამ ღონისძიებების მიზანშეწონილობა საეჭვოა. ჯერ ერთი, ვინ განსაზღვრავს, როგორი უნდა იყოს აღნიშნული ფიქსირებული პროცენტი და ზრდის ტემპი. თუ სახელმწიფო განსაზღვრავს ამ უმნიშვნელეოვანეს მაჩვენებლებს, მაშინ სახელმწიფოს განვითარების განმსაზღვრელი ფაქტორის როლს ვანიჭებთ, რაც ეწინააღმდეგება მონეტარიზმის იდეოლოგიას. ასევე გასარკვევია რა ინფორმაციის საფუზველზე უნდა განისაზღვროს ეს მაჩვნებლები – მისი წარსულსი განვითარების ექსტრაპოლიაციის საშუალებებით დადგენა თითქმის მიუღებელია, ხოლო მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის საფუძველზე განსაზღვრა მნიშვნელეოვანწილად სუბიექტურ ფაქტორთან არის დაკავშირებული, რაც კვლავ წინაამმდეგობაშია მონეტარიზმის მოტხონვასთან – ფულის მასის ბუნებრივი დინამიზმის უზრუნველყოფის ასპექტით. რაც შეეხება მკაცრი ეკონომიკური პოლიტიკის განხორციელბას, აქაც ბევრი რამ საეჭვოა. თვითონ ამ პოლიტიკით გამოწვეული რეალური სოციალური დანაკარგები იმდენად მასშტაბურია და მრავალი სპეციალისტის შეფასებით იმდენად ჭარბობს მის დადებით შედეგს, რომ მ ისი საბოლოო ეფექტიანობა საეჭვოა. ყველგან, სადაც ასეთი პოლიტიკა ხორციელდება. სახეზეა წარმოებისა და დასაქმების მნიშვნელოვანი შემცირება, ინვესტიციური საქმიანობის შზლუდვის შდეგად პროგრესული სტრუქტურული გარდაქმნების შეფერხება, საბოლოო ანგარიშით კი, ქვეყანაში ცხოვრების დონის ამაღლების შემცირება

და კონკურნეტუნარიოანობის გაუარესება. ინფლაციის შენელება ასეთი პოლიტიკით მიიღწევა უმუშევრობის, საწარმოო სიმძლავრეების დაუტვირთაობის, წარმოების მნიშვნელოვანი დაცემის, ანუ ეკონომიკური ეეფექტიანობის მნიშვნელოვანი შემცირების ხარჯზე, რაც თავისი არსით ანტიეკონომიკური, ანტისოციალური და ანტირაციონალური, ანუ პარადოქსუი შედეგია, რადგანაც მოენტარიზმს სწორედ ასეთი ღონისძიებები მიაჩნია სოციალ-ეკონომიკური განვითარებისა და ეფექტიანობის ამაღლების წანამძღვრად. ამიტომ, მრავალი და სერიოზული წვლილის მიუხედავად ეკონომიკური ეფექტიანობის თეორიასა და საერთოდ ეკონომიკური განვითარების თეორიაში, მონეტარული მოდეილ ვერ ჩაითლვება განვითარებისა და ეფექტიანობის სანიმუშო მოდელად.

თვით ინფლაციის არსისა და მიზეზების მონეტარული კონცეფციაც არ არის სრულყოფილი. დანახარჯების ინფლაციის უარყოფა იმ მოტივით, რომ საბოლოოდ თუ ფულის მასა არ მოიმატებს, ინფლაცია არ იქნება, არ არის საკმარისი. ასევე, რეალურად არსებობს სტრუქტურული ინფლაცია და იმპორტირებული ინფლაცია. საერთოდ უფრო ხშირად არსებობს შერეული ინფლაცია და მისი დაძლევისათვის ღონისძიებათა მთელი სისტემაა გასატარებელი როგორც ფულადი, ისე რეალური ეკონომიკის პირობებში. ინფლაციის მხოლოდ მონეტარულმა ახსნამ განაპირობაი ს, რომ მონეტარისტები აქცენტს აკეთებენ არა რეალურ წარმოებაზე, არამედ გადაჭარბებულ უპირატესობას ანიჭებენ ფულად მეურნეობას, ფულად-საკრედიტო სფეროს, რაც, ცხადია, აქვეითებს ზრუნვას კონკურნეტუნარიონობასა და ეფექტიანობაზე. მეორე მხრივ, არ არსებობს უშუალო კავშირი ფასებს, შემოსავლებს, წარმოების მოცულობას, დასაქმბას, ეფექტიანობას შორის. ფასების ცვლილება მაშინვე არ იწვევს წარმოებისა და დასაქმების ცვილებებს. მათი ურთიერთობისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს რეალურ ფაქტორებს, ინვესტიციებს, მასალატევადობას, ფონდტევადობას, შრომატევადობის დინამიკას, პროდუქციის ხარისხს, მენეჯმენტს, მარკეტინგს და ა.შ. არც ის არი ს მართებული, რომ ხელფასის ზრდა ინფლაციის საბოლოო მიზეზად მივიჩნიოთ. თეორიულად დასაბუთებულია, რომ ფასების ნებისმიერი ზრდა იწვევს ხელფასის დაჩქარებულ გადიდებას შრომის მწარმოებლურობასთან შედარებით.

უფრო მეტიც, ინფლაციის ინტენსიური განვითარებისას, ხელფასის წინმსწრები ზრდის მიუხედავად შრომის მწარმოებლურობის მიმართ, მისი ხვედრითი წილი ეროვნულ შემოსავალში შეიძლება შემცირდეს. ეს მოსალოდნელია მაშინ, თუ მოგება, ე.ი. წარმოების ეფექტიანობა მნიშვნელოვნად უფრო სწრაფად გაიზრდება, ვიდრე ფასები და შრომის მწარმოებლურობა.[36]

ასევე რეალობას მოკლებულია მონეტარული ფირმის თეორია და, აქედან გამომდინარე, წარმოების ეფექტიანობის მიკროეკონომიკური ანალიზი. მონეტარიზმის მიხედვით დღეს ისეთი პირობებია, თითქოს ფირმები მაქსიმალურად ზრდიან მოგებას, ხორციელდება მესაკუთრეთა კონტროლი, რაციონალური კორპორაციული ორგანიზაციები, რომლებიც ფუნქციონირებენ თავისუფალი კონკურენციის პირობებში. სინამდვილეში ასეთი პირობები არ არსებობს. ფირმები დღეს კი არ ემორჩილებიან კონკურენციას, არამედ თვითონ არიან კონკურენტული გარემოს შემოქმედნი რეკლამის, მარკეტინგის, სამომხმარებლო მოთხოვნის შექმნით. თანამედროვე მენეჯმენტი და მარკეტინგი სულ სხვა კუთხიტ წარმოგვიდგენს მიკროეკონომიკური ურთიერთობებს, რომლებიც არ ემყარება მხოლოდ საბაზრო მექანიზმს.

3. ეკონომიკურ ეფექტიანობის საკითხები ინსტიტიციურ-სოციოლოგიურ მიმართულებაში

ინსტიტუციურ-სოციოლოგიურმა მიმართულებამ დიდი წვლილი შეიტანა ეკონომიკური ეფექტიანობის თეორიის განვითარებაში, ეს ეხება მის ყველა საკითხს, ეფექტიანობის არსს, ფორმებს, მაჩვენებლებს, ფაქტორებს, მექანიზმს. უფრო კონკრეტულად ეს წვლილი, ჩვენი აზრით, გამოიხატება ეკონომიკური ეფექიანობის კვლევის უმნიშვნელოვანესი მეთოდოგიური საკკითხების ახლებურად ჩამოაყალიებებით, მისი მაკროეკონომიკურ, იკროეკონომიკური და საერთაშორისო თეორიების განვიტარებით.

ეფექტიანობის ინსტიტუციურ-სოციოლოგიური თეორიის განვითარება დაკავშირებულია ისეთი გამოცენილი ეკონომისტების სახელებთან, როგორიც არიან; ტ. ვებლენი, ჯ. კომონსი, უ. მიტჩელი, ჯ. მ. კლარკი, ჰ. მინზი, ჰ. კოლმი, უ. როსტოუ, ჯ. გელბერეითი, დ.

36. Критика современной буржуазной политэкономии. М., 1977, стр. 175-176.

ბელი, უ. ტოფლერი, ჟ. ეიული, ფ. პერრუ, ჟ. ლეკაიონი, პ. მასსე, რ. ხეილბრონენი, რ. კოუზი, დ. ნორტი, ჯ. ბიუკენენნი და სხვები. ამ მიმართულებით მეთოდოლოგიურად დამახასიათებელია, უწინარეს ყოვისა, შემდეგი ამოსავალი დებულებები. ეკონომიკა საზოგადოებრივი განვითარების მხოლოდ ერთ-ერთი ქვესისტემაა, რომელიც ურთიერთმოქმედებს სხვა ქვესისტემებთან. ამიტომ ეკონიმიკური განვითარების შსწავლისას არ არის საკმარისი მხოლოდ ეკონომიკური ფაქტორების განხილვა, არამედ, აუცილებელია აგრეთვე, ეკონომიკური და არაეკონომიკური ფაქტორების ურთიერმოემდებების, ეკონომიკური მექანიზმის სტრუქტურულ-ორგანიზაციული და ფუნქციონალური ასპექტების შესწავლა. მათი კვლევის ცენტრშია სხვადსხვა ინსტიტუტების ურთიერთქმედება, ხოლო თვით ინსტიტუტში იგულისხმება ქცევის ფორმალური და არაფორმალური ნორმები და წესები, რომლებიც საშუალებას აძლევენ ინდივიდებს კოორდინაცია გაუწიონ თავიანთ საქმიანობას, ანუ ადამიანების მიერ შემუშავებული შეზღუდვები, რომლებიც აწესრიგებენ მათ ურთიერთქმოქმედებას, კერძოდ, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, ინსტიტუციონალისტების აზრით, კოლექტივიზმის, სოციალიზაციის გაღრმავების ობიექტური ტენდენციის გათვალისწინება. ასეთი ფართო მიდგომის საფუძველზე ისინი თავიდანვე და დღესაც წინ აყენებენ ისეტ უმნიშვნელოვანეს პრობლემებს, როგორიც არის შრომისა და კაპიტალის, ასევე, უმსხვილესი კორპორაციებისა და მცირე სა საშუალო ბიზნესის ურთიერქმოქმედება, კერძო და საზოგადოებრივ ინტერესთა ერთიანობა და მათ შორის წინააღმდეგობა. აქედან გამომდინარე, მათი მიზანია საზოგადოებრივი განვითარების ისეთი თეორიის შემუშავებ, რომელიც სახელმწიფოს პოლიტიკის თეორიულ საფუძვლად იქცევა.

ინსტიტუციონალიზმი უარყოფს ლიბერალურ, ნეოკლასიკურ დოგმებს ეკონომიკური ინტერესების ჰარმონიის, ნორმალური მდგომარეობიდან გადახრის აუცილებელი დაძლევის, „ბუნებრივი წესრიგის“, „უხიავი ხელის“, მეურნეობის სპონტანურ განვითარებაში სახელმწიფოს ჩაურევლობის შესახებ. დაწყებული ველბლენიდან, ინსტიტუციონალიზმი ასაბუთებს, რომ მთავარია რეალური ეკონომიკის შსწავლა, ამიტომ იგი უარყოფს მარჟინალიზმს – ზღვრული სარგებლიანობის წმინდა თეორიას, ანუ წონასწორობის

თეორიას იმ მოტივით, რომ მოთხოვნა-მიწოდების ტოლობა, წონასწორობის ფასები, წოანსწორობის მდგომაროება მხოლოდ ცალკეული შემთხვევაააა, სინამდვილე კი უფრო მეტად არაწონასწორობითი მდგომარეობაა.[37] ინსტიტუციონალიზმი უარყოფს ნეოკლასიკური თეორიის ამოსავალ დებულეას, თითქოს წარმოების ორგანიზაციისათვის დამახასიათებელია მცირე საწარმოები, თავისუფალი კონკურენცია, მათშორის, რის საფუძველზეც შემდეგ ავითარებდნენ კონკრეტული ეკონომიკის კონცეფციას საბაზრო წონასწორობის იდეით. ფაქტობრივად კი, ეკონომიკის საფუზველს გასული საუკუნის ბოლოდან, მცირე ბიზნესის ფართოდ განვითარების მიუხედავად, წარმოადგენს მსხვიი ფირმები, რომლებსაც აქვთ საშუალება განახორციელონ გამიზნული საბაზრო სტრატეგია: მართონ წარმოების მოცულობა ფასების დონის რეგულირების მიზნით, ჩამოაყალიბონ მოთხოვნა რეკლამისა და საერთოდ მარკეტინგის მეშვეობით,ზ ემოქმედება მოახდინონ ეკონომიკური რესუსრსების განწილებასა და გამოყეენბაზე. ამასთან, ინსტიტუციონაიზმი ასაბუთებს, რომ ბაზარი არ არის ყოვლისმომცველი, ზოგიერთი პრობლემის მოგვარება ბაზარს არ შეუძლია, ან არ არის სასურველი მათი მოგვარება საბაზრო მექანიმის მეშვეობით. ამიტომ აუცილებელია სახელმწიფოს ეკონომიკაში ჩარევა. უფრო მეტიც, სინამდვილეში სახეზეა არა მარტო საბაზრო ურთიერთობები, არამედ აგრეთვე ძალაუფლებითი ურთიერთობებიც, რომელთა უგულებბელყფა დაუშვებელია. ასეთია მოკლედ ის ძირითადი მეთოდოლოგიური მიდგომები, რომლებსაც ემყარება ინსიტუციურ-სოციოლოგიური მიმარტულება, კერძოდ, მისი კონცეფციები ეკონომიკური ეფექტიანობის შესახებ.

განსაკუთრებულია ინსტიტუციონალიზმის წვლილი ეკონომიკური ეფექტიანობის მაკრიოეკონომიკური საფუძვლების შსწავლაში. ზემოთ უკვე აღინიშნა ამ ასპექტით კეინსიზმისა და მონეტარიზმის დამსახურება, მაგრამ ორივე ეს მიმარტულება მაინც არ ტოვებდა საბაზრო ურტიერთობის ფარგლებს, ან უბრუნდებოდა მას. ინსტიტუციოურ-სოციოოგიური მიმართულება კი აშკარად ასაბუთებს, რომ არასაბაზრო ურთიერთობები – ძალაუფლებითი,

37. Э. Жаис. История экономической мысли XX в. М., ИП, 1959.

კულტურული, ზნეობრივი და ა.შ. ხშირად არანაკლებ ზემოქმედებენ ეკონომიკურ განვითარებაზე, ვიდრე ყიდვა-გაყიდვის ურთიერთობები. სახელმწიფოს ეკონომიკაში ცარევის აუცილებლობას იგი შემდეგი ძირითადი მიზეზებით ხსნის; ცვლილებებით ბაზრის სტრუქტურაში, კერძოდ, არასტრულყოფილი კონკურენციის გაბატონება იწვევს ჩავარდნებს ბაზრის ფუნქციონირებაში (კრიზისები, ინფლაცია, დისპროპორციები და ა.შ.), ამიტომ სახელმწიფო უნდა ცაერიოს მეურნეობრიობაში მათი გამოსწორების მიზნით; ცვლილებები ეკონომიკური განვითარების ფაქტორებში, წინა პლანზე განათლების, ცოდნის, მეცნიერების, ინფორმაციის, ტექნოლოგიის წამონევა, რაც ისეტ დიდ დანახარჯებთან არის დაკავშირებული, რომელთა უზრუნველყოფა მხოლოდ კერძო ფირმებსა და სექტორს არ შეუძლია,ამიტომ საჭირაო სახელმწიფოებრივი დაფინანსების, გადაწყვეტილების მექანიზმის არსებობა; სახელმწიფო სექტორის როლის მნიშვნელობის ამაღება მთლიანი ნაციონალური პროდუქტის წარმოებასა და განაწილებაში; კეთილდღეობის სახელმწიფოს განვითარება საგადასახადო პოლიტიკისა და ტრანსფერტების საფუძველზე და ა.შ.

ჯ. გელბრეითი გამოყოფს სამ ეტაპს კერზო მეწარმეობის და სახელმწიფოს ურთიერთქმოედების განვითარებაში. პირველ ეტაპზე – XIX საუკუნის დასასფულსა და XX საუკუნის პირველი სამი ათწლეულისათვის დამახასიათებელი იყო: ინდუსტრიული განვითარების ადრეული სტადია, ფირმის შედარებით მცირე ზომა, ბაზრის გადამწყვეტი როლი, მხოლოდ კაპიტალ-ფუნქციის კაპიტალ-მესაკუთრისაგან გამოყოფის დასაწყისი, სახელმწიფოს უმნიშვნელო ჩარევა ეკონომიკაში. ამ პერიოდის ბაზრებზე ბატონობდა კონკურნეცია მომგებიანი ფასების დაწესებაზე და მისწრაფება მოგების მაქსიმიზაციისაკენ. ბიზნესისა და სახელმწიფოს ურთიერთობაც საბაზრო საფუძველზე ხორციელდებოდა.[38] მაშასადამე, ამ სტადიაზე ბატონობდა ფულადი მოტივი ცალკეული ინდივიდის, ფირმის საქმიანობაში და ამ უკანასკნელისა და სახემწიფოს ურთიერთმოქმედებაში. ამ მოტივს შინაგანად ახასიათებს არამდგრადობა, ბიზნესის ან სახელმწიფოს ერტმანეთზე გაბატონების მუდმივი შიში.

38. Дж. Гелбрейт. Новое индустриальное общество. М., 1969. стр. 352-370.

მაგრამ პირველ ეტაპზე მაინც მნიშვნელოვან ზალას მეწარმეობითი ფირმა წარმოადგენდა, რომელიც ფლობდა საკმარის ფინანსურ რესურსებს სახელმწიფოზე ზემოქმედებისათვის მისთვის სასურველიმიმართულებით. მეორე ეტაპისათვის (30-იანი წლები) დამახასიათებელი იყო კერძო ბიზნესის, განვითარებულიკორპორაციის დამოკიდებულების გაძლიერება სახელმწიფოზე, რაც გამოწვეული იყო ფირმების ადაპტაციით მეცნიერების, ტექნიკის, მსხვილი კაპიტალური დაბანდებების დანერგვასთან სამრეწველო დაგეგმვისა და ტექნოსტრუქტურების რევოლუციის ფორმით. ამ ამოცანების განხორციელებისათვის აუცილებელი იყო სახელმწიფს მიერ ერთობლივი მოტხოვნის რეგულირება. ერთადერთი მიზნის – მოგების მაქსიმიზაციის გარდა, კორპორაციას გაუჩნდა მიზნები სისტემა, კერძოდ, საზოგადოებრივი მოტხოვნილებების დაკმაყოფილება ფირმის სოციალური პასუხისმგებლობის ამაღლების საფუძველზე, ამ ეტაპისათვის დამახასიათებელია, ერთი მხრივ, სახელმწიფოს როლის გაძლიერება, მეორე მხრივ, ფირმის სოციალური პასუხისმგებლობის ამაღლება. მესამე ეტაპისთვის (ომისშემდგომი პერიოდ) დამახასიათებელია სახელმწიფოსა და ინდუსტრიული სისტემის შერწყმის გაღრმვება, მატ შორის საზღვრების თანდათან მოშლა. მსხვილი ფირმის ტექნოსტრუქტურა იქცევა სახელმწიფო აპარატის შტოდ, რომელიც სახელმწიფოს ექვემდებარება, ანუ მიიღწევა ფირმებისა და სახელმწიფოს ბიუროკრატიული სიმბიოზმი.[39] გელბრეითი ასაბუთებს სახელმწიფოს მექანიზმის სრულყოფის აუცილებლობას და განიხილავს მას როგორც ტექნოსტრუქტურის აღმასრულებელ კომიტეტს. სახელმწიფოს ეკონომიკური პოლიტიკა, გელბრეითის აზრით, უნდა ემსახურებოდეს მსხვილი ფირმების (გეგმიანი სისტემის) საქმიანობის წარმართვას საზოგადოებრივი ინტერესებისათვის. ამისათვის აუცილებელია; რესურსების ნაკადის შეზღუდვა იმ დარგებში, რომლებიც ხასიათდებიან გაუმართლებელი, ზედმეტი განვიტარებით; პრიორიტეტების შეცვლა სახელმწიფო სახსრების ხარჯვაში, წარმოებისა და მოხმარების იმ სახეობიების რეგულირება ან აკრძალვა, რომლებიც ხასიათდებიან უარყოფითი გარეგანი ეფექტით საზოგადოებისათვის 9გარემოს

39. Дж Гелбрейт. Экономические теории и цели общества. С. 188,280, 394.

დაზიანება და ა.შ.O. სახელმწიფომ უნდა გააძლიეროს სტაბილური ანტიციკლური პოლიტიკა და გააფართოოს ღონისძიებები კოორდინაციისა და პროპორციულობის უზრუნველყოფისათვის „გეგმიან სისტემაში“, ინვესტიციურ პროცესზე მიზნობრივი ზემოქმედებისა და შემოსავლების განაწილების მიზნით.

ინსტიტუციურ-სოციოლოგიური მიმართულება გამოდის ინდიკატური დაგეგმვის მოტხოვნით.ა სეთი დაგეგმვის მიზანია კერძოდ გადანყვეტილებების მიღების და სახელმწიფოს ფისკალურიდ ა ფულადი პოლიტიკის სემუსვებისათვის ინფორმაციული საფუძვლისა და საერთო ორიენტირების განსაზღვრა, მისთვის კეინსური სახელმწიფოებრივი რეგულირების თეორია არ არის საკმარისი. ინდიკატური აუცილებლობა, ინსტიტუციონაისტების აზრით, გამოწვეულია კერძო სექტორის ფარგლებში ინვესტიციებისა და მოხმარების დაბალანსების ავტომატურად მიღწევისა და კერძო და საზოგადოებრივი სექტორების დაბალანსებული განვითარების შეუძლებლობით. აუცილებელია ეკონომიკური ზრდის საზოგადოებრიივ განვითარების გრძელვადიანი ინტერესებისადმი დაქვემდებარება, ხოლო თვით განვითარების დონის კრიტერიუმებით შეფასება. თანამედროვე ინდუსტრიუი ცივილიზაციის მიზეზს რ. ხეილბრონერი ხედავს წონასწორობის მკვეტრ დარრვევაში ბუნების ძალებისადმი ბატონობის მირწეულ დონესა და სოციალური კონტროლის არსებულ მექანიზმს შორის. ამ შეუსაბამობის დაძევის გზაა კერძო კაპიტალიზმის ტრანსფორმაცია გეგმიან სახელმწიფოებრივ კაპიტალიზმში. კაპიტალიზმის უძლურება უზრუნველყოს ადამიანები საზოგადოებრივი დოვლათით, მის მორალური სიბრმავე და სოციალურ გულგრილობა წარმოშობს დაგეგმვის მოთხოვნილებას, ისევე როგორც განვითარებული მბრძანებლური სისტემების სიმკაცრე წარმოშობს მოთხოვნილებას საბაზრო მექანიზმებზე.[40]

ეფექტიანობის მარკოეკონომიკური თეორიის უმნიშვნელოვანესი ელემენტია საზოგადოებრივი არჩევანის თეორია, რომელიც უკანასკნელი 30 წლის მანძილზე ჩამოაყიბდა, უწიანრეს ყოვლისა, ნობელის პრემიების ლაურეატების კ. ერროუსა და ჯ. ბიუკენენის გამოკვლევების საფუძველზე. ამ თეორიის საგანია დემოკრატიული სახელმწი-

40. Р. Хейлбронер, Л. Туроу. Экономика для всех. Новосибирск, 1994,O 298-302.

ფოს როლი ეკონიმიკაში. სახელმწიფო უდიდეს ზეგავლენას ახდენს თანამედროვე ეკონომიკის განვითარებაზე, თუნდაც სახელმწიფო ფინანსების მეშვეობით. ამგრამ მისი მოცულობა და სტრუქტურა, შემოასვლები და გასავლები განისაზღვრება არა რაციონალურ არჩევანით,ა რა საბაზრო მექანიზმით, არამედ სხვადასხვა საზოგადოებრივი ჯგუფის ინტერესების ურთიერთქმოემედებით, რომლებიც ხმის მიცემით ვლინდება. მაშასადამე, ეკონომიკის ფუნქიონირებისა გა განვითარების ერტ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფაქტორია ეკონომიკური და პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღების კონსტიტუციური და ხელშეკრულებითი მექანიზმები, რომლებსაც სხვა მიმდინარეობები ფაქტობრივად უგულებელყოფენ. საზოგადოებრივი არჩევანის თეორია აანალიზებს პოლიტიკურ ფაქტორებს, რომლებიც განსაზღვრავენ სახელწმფის ეკონომიკაში ჩარევის დონეს,ასეთი ჩარევის შეზღუდვის საშუალებებს, მათ შორის, კონსტიტუციით გათვალისწინებულ წესებსა და ფინანსური წონასწორობის პრინციპებს.

სახელმწიფოს ჩარევა ეკონომიკაში არ არის განპირობებული მხოლოდ ბაზრის ცავარდნების, არაეფექტიანობის გამოსწორბის აუცილებლობით. ის შეიძება სხვა, მაგალითად, ეთიკური მიზეზითაც იყოს გამოწვეული. მაგრამ, ამასტან ერთად, არ არსებობს საზოგადოების მიერ გადაწყვეტილებების მიღების სრულყოფილი მექანიზმი. პრობლემა ისაა, თუ რომელისისტემა არის უფრო უკეთესი და არა სრულყოფილი ადამიანების მჯობინებათა თვალსაზრისით. ასეტ უკეთეს სისტემად ითვლება დემოკრატია, როგორც სახელმწიფოებირვი მართვის ფორმა. რეალობაა არა მხოლოდ საბაზრო არჩევანი, არამედ სოციალური არჩევაიც, რომელსაც უგულებელყოფს ენოკლასიკური თეორია, რომელიც, საბოლოო ანგარისით, მოცემულ საზოგადოებაში პოლიტიკურ ძალთა თანაფარდობითა და ძლაუფლებით ურთიერთობებით განისაზღვრება. მაშასადამე, საზოგადოებრივ-პოლიტიკურ განვითარების დონე უშუალო ზეგავლენას ახდენს ქვეყანაში წარმოების მაკროეკონომიკურ ეფექტიანობაზე. ზემოთ აღნიშნული იმასაც ადასტრუებს, რომ არარეალურია წარმოების ეფექტიანობის მაქსიმიზაციის ამოცანა საერთოდ, ასეთი ამოცანა შეიძლება დასივას მხოლოდ ცალკეულ შემთხვევასა და მოცემული პირობებისათვის განსაზღვრულ პერიოდში.

აღნიშნულიდან ჩანს, თუ როგორი დიდი მნიშვნელობა ენიჭება

სახელმწიფოს ფუნქციების მართებულად განსაზღვრას რესურსების ეფექტიანი გამოყენებისათვის. ეს პრობლემა უშუალოდ უკავშირდება ბაზრის ჩავარდნებსა და ფიასკოს. ეს ის შემთხვევებია, როდესაც ბაზრს არ სეუძლია რესურსების ეფექტიანი გამოეყენება. ჩვეულებრივ, გამოიყოფა ასეთი სიტუაციების ოთხი ტიპი: მონოპოლია, არაასულყოფილი ანუ ასიმეტრიული ინფორმაცია, გარეგანი ეფექტები,ს აზოგადოებრივი დოვლათი. ყველა ამ შემთხვევაში ბაზრის დასახმარებლად გამოდის სახელმწიფო 0 იგი ცდილობს გადაწყვიტოს ეს პრობლემები ანტიმონოპოლიურირ პოლიტიკის, სოციალური დაზღვევის განხორციელებით, უარყოფითი გარეგანი ეფექტების მქონე პროდუქციის სზღუდვით, დადებითი გარეგანი ეფექტების მქონე პროდუქციის წარმოებისა და მოხმარების სტიმულირებით, საზოგადოებრივი დოვლათის წარმოებით. წმინდა საზოგადოებრივი დოვათი ისეტი დოვლათია, რომელიც კოლექტიურად მოიხმარება ყველა მოქალაქის მიერ მიუხედავად იმისა, ხიდიან თუ არა ადამიანები ამისათვის. ისინი ხასიათდებიან არაარჩევითობითა და არაგანსაკუთრებულობით მოხმარებაში. მაგალითად, ეროვნული თავდაცვა. არაარჩევითობა მოხმარებაში გულისხმობს, რომ ასეთი დოვლათის მოხმარება ერთი ადამიანის მიერ არ მცირებს მის მოხმარებას სხვების მიერ. ისინი არაკონკრეტულნი არიან, რადგანაც ზღვრული დანახარჯები დამატებით მოხმარებაზე ნულის ტოლია. არაგანსაკუთრებულობა მოხმარებაში გულისხმობს, რომ არც ერთი ადამიანი არ შეიძლება არ იქნეს დაშვებული დოვლათის მოხმარებაზე იმ შემთხვევაშიც კი, თუ იგი უარს ამბობს მოხმარების აფასურის ანაზღაურებაზე. წმინდა საზოგადოებრივ დოლვათს აქვს თავისებური დადებითი გარეგანი ეფექტი: როგორც კი ვინმე იწყებს მის მოხმარებას, იგი ყველასთვის მისაწვდომი ხდება.

უკანასკნელმა დისკუსიებმა ეკონომიკური ეექტიანობის საკითხებზე საზოგადოებრივი არჩევანის თეორიისა და კეთილდღეობის სახელმწიფოს თეორიის მიღწევების გათვალისწინებით გამოკვეტა მეტად მნიშვნლეოვანი დაკსვნებბი: არ დასტურდება ნეოკლასიკური თეორიის დებულება იმის შესახებ, რომ თითქოს სახემწიფოს შეუძია წარმატებით გადაწყვიტოს რესურსების განაწილების ის პრობლემები, რომელსაც ვერ წყვეტს ბაზარი; სინამდვილეში მრავალი მდგომარეობა არსებობს, რომლის პირობებშიც საბაზრო მექანიზ-

მი უბრალდო ვერ მოქემდებს, არ ფუნქციონირებს; ბაზრის ისეთი ჩავარდნებიცაა, რომელთა გამოსწორებაც სახელმწიფოს მიერ დაკავშირებულია უფრო მეტ დანახარჯებთან, ვიდრე თვითონ მისგან გამოწვეული დანაკარგები, ე.ი. სახელმწიფოს ასეთი ქმედება უაზრობაა, მიუღებელია ეფექტიანობის თვალსაზრისით, რადგანაც იგი მეტ დანახარჯებს მოითხოვს.[41]

ძალზე მნიშვნელოვანია ისნტიტუციურ-სოციოლოგიური მიმართულების მიერ ეკონომიკური ეფექტიანობის თეორიის მიკროეკონომიკური საფუძვლების შემუშავება. ამ მხრივ განსაკუთრებით აღსანიშნავია ფირმის სრულიად ახალი ინსტიტუციური თეორიის ჩმოყალიბება და ისეტი უმნიშვნელოვანესი კერძო საკითხების ახლებური გააზრება, როგორიც არის მოგების, ფასწარმოქმნის, ინოვაციებისა და ტრანსაქციული დანახარჯების თეორია და ა.შ.

ნეოკლასიკური თეორია ფირმას განიხილავდა მხოლოდ ბაზრის ასპექტით, როგორც ყიდვა-გაყიდვის ორგანიზაციას,ს რომელიც მუდმივად მიისწრაფვის მოგების მაქსიმიზაციისაკენ, რისთვისაც აუცილებელია თავისუფალი კონკურნეციის, თავისუფალი ფასწარმოქმნის პირობები. მაშასადამე, ამ შემთხვევაში ამოსავალია არა მეურნეობრიობის რეალური პირობები, მდგომარეობა, არამედ იდეალური, წმიდა თეორიის დაფიქსირება თავისუფალი კონკურნეციის, საბაზრო წოანსწორობის სახით და შემდეგ იმის განსაზღვრა თუ რა დამოკიდებულებაა ამ დროს მოტხოვნა-მიწოდებას შორის, როგორია ფასწარმოქმნისა და მოგების მიღბის მექანიზიმ და ა.შ. ინსტიტუციური მიმართულება კი, პირიქით, დაწყვეტული ვებლენიდან, კომონსიდან, გობსონიდან და დამთვრებული დღემდე გელბრეითით, ხეილბრონერით, ბიუკენენით, კოუზითა და სხვებით, აგებენ თეორიულ კვლევას რეალური ვითარების ანალიზზე და ამის საფუძველზე ცდილობენ განსაზღვრონ ეკონომიკური განვითარების კანონზმომიერებები. ამიტომ მათთვის ფირმა არის არა მხოლოდ ბაზრის სუბიექტი, არამედ სოციალური ინსტიტუტი, რომელსაც საზოგადოებაში ყიდვა-გაყიდვის ფუნქციის გარდა, სხვა სოციალური დანიშნულება და პასუხისმგებლობაც ეკისრება. ფირმის ინსტიტუციური თეორიის განვითარება ემყარე-

41. А. Маколи. Границы приватизации в планируемой экономи_ ке.-МЭиМО, 1992,6, с. 67.

ბა, როგორც ზემოთ განხილული საზოგადობრივი არჩევანის (ჯ. ბიუკენენი), ასევე, საკუთრების უფლების (რ. კოუზი), აგენტების (ჟ. სტიგლიცი) და ტრანსაქციული დანახარჯების თეორიებს (ო. უილიამსონი).

ინსტიტუციურ-სოციოლოგიური მიმართულების მიხედვით საბაზრო ეკონომიკის საფუძველია სხვადასხვა სამარტლებრივი, ეკონომიკური, პოლიტიკური, ზნეობრივი და სხვა ინსტიტუტების არსებობა და ფუნქციონირება. განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს ადამიანთა ნებელობით ურთიერთობებს, რომლებიც სამართლის სტრუქტურაში აისახება და ადამიანთა ქცევას განსაზღვრავს. საბაზრო მეურნეობრის სამართლებრივი წანამძღვრები უშუალოდ ზემოქმედებენ ეკონომიკური ეფექტიანობის დინამიკაზე. ეს პირველ რიგში ეხება საკუთრების უფლებას, რომელშიც იგულისხმება სანქიონირებული ქცევის ნორმები. საკუთრების უფლება არის სანქციონირებული ქცევითი ურიტღობების, ძალაუფლების ერთობლიობა, რომელიც ყალიბდება ადამიანებს შორის მათ მიერ ეკონომიკური დოვლათის გამოყეენბასთან დაკავშირებით. იგი მოიცავს ნივთის ან სხვა ეკონომიკური ფოვლათის ფლობის, გამოყენების, განკარგვის ფლებას. მაშასადამე, საკუთრების უფლება წარმოადგენს კერძო უფლებათა ერთობლიობას, რომელიც შეიძლება გაფართოვდეს ახალი უფლების დამატებით ან შესუსტდეს ზოგიერთი უფლების ჩმოცილებისა და გაუქმების სემთხვევაში. ეს პროცესი დაკავსირებულია ტრანსაქციულ დანახარჯებთან, რომელიც პირველად შეისწავლა 30-იან წლებში ნობელის პრემიის ლაურეატმა რ. კოუზმა და ფართოდ გავრცელდა, როგორც ეკონომიკური ეფექტიანობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი კატეგორია. ტრანსაქციაში იგულისხმება სუბიექტების ურთიერთმოქმედება ეკონომიკური დოვლათის გაცვლასთან დაკავშირებით. გამოიყოფა ტრანსაქციული დანახარჯების ხუთი ძირითადი ფორმა; ინფორმაციის ძიების, მოლაპარაკებების წარმოებისა და კონრაქტების დადების, გაზომვის, საკუთრების უფლების სპეციფიკაციისა (გაფართოების) და დაცვის, ასევე ოპორტუნისტული ქცევის დანახარჯები. ინფორმაციის ძიების დანახარჯები ბაზარზე უკავსირდება მის ასიმეტრიულ განაწილებას, დანახარჯები პოტენციური მყიდველებისა და გამყიდველების ძეიბაზე, დამატე-

ბითი ხარჯები წონასწორულ ფასზე მაღალი ფასით ყიდვასთან ან წონასწორულ ფასთან შედარებით დაბალი ფასით გაყიდვასთან დაკავშირებით, აგრეთვე, დანაკარგები, რომლებიც გამოწვეულია სუბსტიტების ყიდვით და ა.შ. დანახარჯები, რომლებიც დაკავშირებულია მოლაპარაკებებთან, კონტრაქტების გაფორმებასთან ხშირად მნიშვნელოვნად აძვირებენ საქონლის ფასს. გაზომვის დანახარჯები დაკავშირებულია გასაზომი ტექნიკის შეძენასთან, შეცდომებთან ამ პროცესში. განსაკუთრებით დიდია დანახარჯები საკუთრების უფლების სპეციფიკაციასა და დაცვასთან, კერძოდ, მის აღდგენასთან დაკავშირებით დაკარგვის სმთხვევაში, ამ გასავლებს განეკუთვნება სასამართლო, სახელმწიფო ორგანიზაციებისა და კერზო სტრუქტურების ხარჯები, რომლებიც ამ საქმეს ემსახურებია. ოპორტუნისტული ქცევის ხარჯები განპირობებულია კონტრაქტების პირობის დარღვევით მოგების მიღების მიზნით პარტნიორების ხარჯზე. მაშასადამე, ტრანსაქციული დანახარჯები წარმოიშობა გაცვლის პროცესამდე, გაცვლისას და გაცვლის სმდეგაც. მათი მოცულობა დამოკიდებულია აგრეთვე იმაზე, თუ საკუთრების რომელი ფორმაა გაბატონებული; კერძო, საერთო (კომუნალური), თუ სახელმწიფოებრივი. აქედან ყველაზე უფრო მდგრადია კერძო საკუთრება, რადგანაც სრულ უფლებას საკუთრებაზე ფლობს მესაკუთრე და მისი მართვის კონტროლიც მის განკარგულებაშია. სახელმწიფო საკუთრებისას ძალზე გართულებულია კონტროლი საკუთრებაზე და მისი ოპერატიული მართვა. საერთო საკუთრება არამდგრადია და დროთა განმავლობაში გადაიქცევა კერძო, ან სახელმწიფო საკუთრებად. თანამედროვე ნეოინსტიტუციური თეორია ფირმაში გულისხმობს წარმოების ფაქტორების მფლობელთა კოალიციას, რომლებიც ერთმანეთთან დაკავშირებულნი არიან კონტრაქტების ქსელით, რის შდეგადაც მიიღწევა ტრანსაქციული დანახარჯების მინიმიზაცია. ეეს იმას ნიშნავს, რომ ინსტიტუციური თვალსაზრისით ფირმა განიხილება, როგორც საკუთრების მფლობელთა და კონტრაქტების სისტემა. კონტრაქტების სისტემა იდება რესურსების მფლობელთა შორის.[42]

რესურსების საერთო მოცულობა იყოფა სამ ჯგუფად; საერთო,

42. Р. Коуз. Фирма, рынок и право. М., 1993.

სპეციფიკური და ინტერსპეციფიკური.[43] საერთოა ისეთი რესურსები, რომელთა ფასეულობა არ არის დამოკიდებული მოცემულ ფირმაში არსებობაზე. ამ ფირმაშიც და სხვაგანაც, მის გარეთ ისინი ერტნაირად სეფასდებიან. სპეციფიკურია რესურსები, რომელთა ფასეულობა ფირმის შიგნით უფრო მაღალია, ვიდრე მის გარეთ. ინტერსპეციფიკურია ურთიერთშემავსებელი (გარკვეულწილად, უნიკალური)რესურსები, რომელთა მაქსიმალური ფასეულობა მიიღწევა მხოლოდ მოცემულ ფირმაში და მისი მეშვეობით.

თუ ფირმა იშლება, მაშინ ნებისმიერი ინტერსპეციფიკური რესურსისათვის შეუძლებელია ადეკვატური სემცველობის მოძებნა ბაზარზე ან სხვა ფირმის ფარგლებში. ამიტომ ფირმა არ არის მხოლოდ კონტრაქტების ქსელით დაკავშირებული რესურსების მფლობელთა კოალიცია. ის არის გაერთიანება, რომლის საფუძველია ურტიერთობითი კონტრაქტი ინტერსპეციფიკურ რესუსრებთან დაკავშირებით. მ რესურსების არსებობა იძლევა სინერგეტიკულ ეფექტს, რომელიც ჭარბობს კოალიციის თითოეული მონაწილის წვლილის ჯამს. ფირმების მიერ გამოყენებული რესურსებისა და ტრანსაქციული დნახარჯების მრავალფეროვნება განაპირობებს თანამედროვე ფირმების მრავალფეროვნებას.[44]

ფირმის თეორიის თვალსაზრისით ეკონომიკური თეორიები იყოფა ორ დიდ ჯგუფად: ტექნოლოგიური, ანუ არაკონტრაქტულ პარადიგმაზე აღმოცენებული თეორიები და ინსტიტუციური თეორიები, ანუ კონტრაქტულ პარადიგმაზე აღმოცებებული თეორიები. პირველ ჯგუფს განეკუთვნებიან თეორიები, ორმლებიც ფირმას განიხილავენ წარმოების თეორიის თვალსაზრისით, ანუ საწარმოო ფუნქციების, X – ეფექტიანობისა და სხვა საწარმოო კავშირურთიერთობების თვალსაზრისით. ასეთია, ძირითადად, ფირმის ნეოკლასიკური, კეინსური და მარქსისტული თეორიები. მეორე ჯგუფის თეორიები ფირმას განიხილავენ როგორც კონტრაქტების ქსელს, ორგანიზაციას, ინსტიტუტს. ასეთია ფირმის ინსტიტუციურ-სოციოლოგიური, სტრუქტურუული, მენეჯმენტური თეორიები, ინ-

43. О. Уильямсон. Вертикальная интеграция производства: соображения по поводу неудач рынка.-В кн. Теория фирмы. Под ред. В. М. Гальперина. Санкт-Петербург, 1995, с.33-53.

44. Вопросы экономики. 1994, |4, с. 130-132.

სტიტუციური თეორიის მეთოდოლოგიური მიდგომა არის ის, რომ იგი განიხილავს ფირმას (ორგანიზაციას), საქმიანობას როგორც გარედან-ინსტიტუციური გარემოს, ასევე, შინაგანი ვითარების თვალსაზრისით კონტრაქტების სისტემის მეშვეობით. პირველ შემთხვევაში საზგაოდოებრივი არჩევანის თეორიაზე დაყრდნობით განისაზღვრება ინსტიტუციური გარემო მაკროეკონომიკურ და საზოგადოებრივ დონეზე, უწინარეს ყოვლისა, სახელმწფოს მიერ მეურნეობისა და ეფექტიანობის მაკროეკონომიკური პირობების შექმნის თვალსაზრისით, ხოლო საკუთრების უფლების თეორიაზე დაყრდნობით განისაზღვრება ინსტიტუციური გარემო მიკროეკონომიკურ დონეზე, უპირატესად, კერძო სექტორისათვის, ანუ, საკუთრებითი ურთიერთობები და მისი გავლენა მეურნეობრიობასა და ეფექტიანობაზე. მეორე შემთხვევაში, აგენტების თეორიაზე დაყრდნობით, შეისწავლება კონტრაქტების დადების წიანსწარი წანამძღვრები, მამოძრავებელი მოტივები, რატომ და რა პირობებით არის მომგებიანი კონტრაქტების დადება, ხოლო ტრანსაქციცული დანახარჯების თეორიაზე დაყრდნობით, ანალიზდება უკვე რეალიზებული კონტრაქტების შედეგები, რამდენად შესაბამება მიღებული შედეგები ფირმის ინტერსებს.

როგორც ჩანს, ინსტიტუციონალიზმის ფირმის თეორია ეფექტიანი საქმიანობის უზრუნველსაყოფად დიდ ყურადღებას უთმობს გარემო პირობების გაუმჯობესებას. მათ შორის აღსანიშნავია გარეგანი ეფექტებისა და სოციალური დანახარჯების კვლევის წინ წამოწევა, რასაც ტრანსაქციულ დანახარჯებთან ერთად ნეოკლასიკური თეორია არ აქცევდა სათანადო ყურადღებას. გარეგანი ეფექტები, ანუ ექსტერნალიებია საბაზრო გარიგებებთან დაკავშირებული დანახარჯები ან სარგებლიანობა, მომგებიანობა, რაც არ აისსახა ფასებში. ისინი გარეგან ეფექტებად იწოდებიან იმიტომ, რომ მოიცავენ არა მარტო მოცემულ გარიგებაში მონაწილე აგენტებს, არამედ მესამე პირებსაც. ისინი როგორც წარმეობის, ასევე, მოხმარების სფეროებშია დადებითი და ურყოფითი გრეგანი ფეფექტების სახით. პირველი დაკავშირებულია მომგებიანობასთან, სარგებლიანობასთან, მეორე, დანახარჯებთან, ანუ გვიჩვენებენ სახვაობას სოციალურ დანახარჯებსა და კერძო დანახარჯებს შორის. უარყოფითი გარეგანი ეფექტი წარმოიშობა იმ შემთხვევასი, თუ

ერთი ეკონომიკური აგენტის საქმიანობა განაპირობებს სხვების დანახარჯებს. ამ შმთხვევაში ადგილი აქვს ეფექტიანობის შმცირებას, რაც დაკავშირებულიაი მასთან, რომ ზღვრული კერძო დანახარჯები ზღვრულ სოციალურ დანახარჯებზე უფრო მცირეა, ანუ ნაკლებია ფასი, რაც ეფექტიანობის შემცირებას იწვევს. მაშასადამე, უარყოფითი გარეგანი ეფექტისას ეკონომიკური დოვლათის ყიდვა-გაყიდვა ეფექტიანთან შედარებით, უფრო დიდი მოცულობით ხორციელდება, ე.ი. ადგილი აქვს უარყოფით გარეგანი ეფექტის მქონე საქონლისა და მომსახურების ჭარბწარმოებას. დადებითი გარეგანი ეფექტი წარმოიშობა მაშინ, როდესაც ერთი ეკონომიკური აგენტის საქმიანობას მოაქვს სარგებლიანობა სხვებისათვის. ამის კარგი მაგალითია საგანმანათლებლო ბიზნესი. ამ დროს ეკონომიკური დოვლათის ყიდვა-გაყიდვა ეფექტიან მოცულობასტან შედარებით უფრო მცირე მოცულობით ხორციელდება, ეი.ი. ადგილი აქვს დადებითი გარეგანი ეფექტის მქონე საქონლისა და მომსახურების ნაკლებწარმოებას.

იმისათვის, რომ შევამციროთ უარყოფითი გარეგანი ეფექტის მქონე საქონლისა და მომსახურების წარმოება და გავადიდოთ დადებითი გარეგანი ეფექტის მქონე საქონლისა და მოსმახურების წარმოება, საჭიროა გარეგანი ეფექტების ტრანსფორმირება, რაც შეიძლება მიღწეულ იქნეს ზღვრული კერძო დანახარჯების (და შესაბამისად სარგებლიანობის) მიახლოებით ზღვრულ სოციალურ დანახარჯებთან სარგებლიანობასთან). ამ პრობლემის გადასაწყვეტად ა. პიგუმ დაასაბუთა მაკორექტირებელი გადასახადისა და სუბსიდიების მიზანშეწონილობა. მაკორექტირებელი გადასახადი არის გადასახადი უარყოფითი გარეგანი ეფექტის მქონე საქონლისა და მომსახურების წარმოებაზე, რომელიც ამაღლებს ზღვრულ კერძო დანახარჯებს ზღვრულ საზოგადოებრივ დანახარჯებამდე, ე.ი. ეს გადასახადი ტოლი უნდა იყოს ზღვრული გარეგანი დანახარჯების. მაკორექტირებელია სუბსიდია ეკონომიკური დოვლათის მწარმოებლებისა ან მომხმარებლებისადმი, რომლებიც ხასიათდებიან გარეგანი ეფექტებით, ზღვრულ კერძო სარგებლიანობის ზღვრულ საზოგადოებრივ სარგებლიანობამდე ამაღლების მიზნით. იგი შეიძლება იყოს ზღვრული გარეგანი სარგებლიანობის ტოლი, მაგრამ პრაქტიკამ გვიჩვენა, რომ მაკორექტირებელი გადასახადები

და სუბსიდიები ვერ წყვეტენ გარეგან ეფექტებთან დაკავშირებულ პრობლემებს. რეალურად ძალზე ძნელია ზღვრული დანახარჯებისა და სარგებლიანობის განსაზღვრა, ზარალის დადგენაც მხოლოდ მიახლოებით თუ არის შესაძლებელი, ხოლო მაკორექტირებელი გადასახადები ხშირად მიზანს არ აღწევენ, მათ გადახდას სუბიექტები არ უშინდებიან, ან პირიქით, ლობირებით აღწევენ მათ შემცირებას. ამიტომ, საჭირო გახდა პრობლემის სრულიად ახლებური გადაწყვეტა ინსტიტუციურ საფუძვლეზე, რაც განახორციელა კიდეც რ. კოუზმა თავისი ცნობილი თეორემის საფუძველზე. მისი აზრით, ამ შემთხვევაში მთავარია უფრო დიდი ზიანის თავიდან აცილება, იმის განსაზღვრა თუ რა ფასეულობა აქვს შეძენილი პროდუქტს და რა ფასეულობაზე ვთქვით უარი ამისათვის, ე.ი. იგი გარეგან ეფექტებს ალტერნატიული დანახარჯებითა და სამართლებრივი თვალსაზრისით განიხილავს. კოუზის თეორემის მიხედვით, თუ გარიგების ყველა მონაწილის საკუთრების უფლებები განსაზღვრულია, ხოლო ტრანსაქციული დანახარჯები ნულის ტოლია, საბოლოო შედეგი, რომელიც წარმოების ფასეულობის მაქსიმიზაციას განაპირობებს, საკუთრების უფლების განაწილებაში დამოკიდებული არ არის, თუ უგულებელვყოფთ შემოსავლის ეფექტს. აქ მთავარია ზარალის ანაზღაურების მექანიზმის ამოქმედება, რისთვისაც არ არის საჭირო სახელმწიფოს ჩარევა, ეს შეიძლება მოგვარდეს ეკონომიკურ აგენტებს შორის გარიგების საფუძველზე, საკუთრებითი უფლებები კი უცვლელი რჩება.[45] კოუზის თეორემა ნიშნავს, რომ სრულყოფილი კონკურენციისას კერძო და სოციალური დანახარჯები ტოლია. ამასთან, იგი ძალას კარგავს, თუ გარიგებაში მრავალი მონაწილეა, რადგანაც მკვეთრად იზრდება ტრანსაქციული დანახარჯები.

უდიდესი მნიშვნელობისაა ფირმის ინსტიტუციური თეორიის უკვე ტრადიციულად ქცეული კონცეფციები მსხვილი ფირმების, კორპორაციების,ს აკუთრებისა და მართვის დეზინტეგრაციის, საკუთრებში მონაწილეობის, ქცევის მოტიაციის შსახებ. ყველა ეს კონცეფცია განხილულია ტექნოლოგიური დეტერმინიზმის საფუძველზე. ტექნოლოგია განიხილება, როგორც სამეცნიერო და სხვა ცოდნის სისტემური გამოყენება ორგანიზაციული ფორმით პრაქ-

45. Р. Коуз. Фирма, рынок и право, с.92-94.

ტიკული ამოცანების გადასაწყვეტად. ამასთან, იგი წარმოდგენილია რაღაც იმპერატივის, დეტერმინანტის, ობიექტური ფაქტორის სახით, რომელსაც იძულებითი ხასიათი და მოძრაობის საკუთარი ლოგიკა გააჩნია და კორპორატიული დაგეგმვის მეშვეობით განსაზღვრულ ზემოქმედებას ახდენს ეკონომიკის ფუნქციონირებასა და განვითარებაზე. ტექნოსტრუქტურა, კორპორაციების მენეჯერები, იურისტები, ინჟინრები, ეკონომისტები, ფინანსისტები, გასაღებისა და მომარაგების ორგანიზატორები მსხვილი კორპორაციების გამომხატველად გამოდიან. ტექნოსტრუქტურის ძალაუფლება ვლინდება კორპორაციულ დაგეგმვაში, რომელიც უზრუნველყოფს, ინსტიტუციონალისტების აზრით, მსხვილი ფირმებისა და საზოგადოების ეკონომიკური ინტერესების ერთიანობას. გეგმიანი სისტემა, ჯ. გელბრეითის მიხედვით, მოიცავს აშშ-ის 2-3 ათას მსხვილ კორპორაციას, რომლებიც ფლობენ ისეთ ეკონომიკურ ძალას, რომელიც ფაქტობრივად აკონტროლებს მთელი ქვეყნის ეკონომიკურ გარემოს. იგი შედგება სამი ძირითადი ელემენტებისაგან; კორპორაციების მართვის სისტემის, ანუ ტექნოსტრუქტურის, ერთობლივი მოთხოვნის მართვის სისტემისა და მომხმარებლის მართვის სისტემისაგან. ტექნოსტრუქტურა, მესაკუთრისაგან განსხვავებით, ფლობს რეალურ ძალაუფლებას კორპორაციებში, რეალურად განსაზღვრავს წარმოებას. ამასთან, იგი არის სოციალური ჯგუფი, რომლის გაბატონებული მდგომარეობა ეკონომიკაში განისაზღვრება მისი მონაწილეობით სტრატეგიული გადაწყვეტილებების მიღებაში. ეს ჯგუფი აკონტროლებს საკუთრებას, თუმცა მთლიანად არ ფლობს მას. ტექნოსტრუქტურის საქმიანობა მიმართულია წარმოების რეგულირების ადმინისტრაციული მექანიზმის გაფართოებისაკენ. კომპანიების შეერთება, გაუნაწილებელი მოგება, დასაქმების პოლიტიკა, გრძელვადიანი ფირმათაშორისი კონტრაქტები – ყველაფერი ეს გამოიყენება საბაზრო მიწოდების განუსაზღვრელობის შესამცირებლად და საბაზრო ფასების პრობლემის სიმწვავის შესარბილებლად. მოგების მაქსიმიზაცია, ან ავტონომიური მენეჯმენტის შენარჩუნებისათვის აუცილებელი მოგების მასის მიღება, არის ფირმის მხოლოდ ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მიზანი სხვა მიზნებთან ერთად – ეკონომიკური ძალის გადიდება, ზრდის უზრუნველყოფა და ა.შ. ინსტიტუციონალიზმი ასაბუთებს, რომ მენეჯერე-

ბის გადაწყვეტილებები ფაქტობრივად ცვლიან ბაზრის გადაწყვეტილებებს. აქ იგულისხმება, უწინარეს ყოვლისა, ის, რომ მსხვილი ფირმები თვითონ აწესებენ ფასებს ადმინისტრაციულად, რადგანაც ბაზრების დიდი უმრავლესობა არასრულყოფილი და არაკონკურენტულია; ტექნოსტრუქტურა ფლობს როგორც შიდაფირმულ, ასევე გარკვეულ ჯგუფურ ძალაუფლებას ქვეყნის შიგნით; საკუთრივ კორპორაციაც, როგორც ფირმა, ხასიათდება ინსტიტუციური ძალაუფლებით. ერთობლივი მოთხოვნის მართვის საკითხში ინსტიტუციონალისტები ეთანხმებიან კეინსიანელებს, რადგანაც სახელმწიფომ უნდა უზრუნველყს ეკონომიკის სტაბილური ზრდა მოხმარების ფუნქციის ყოველმხრივი სტიმულირებით.

დიდი მნიშვნელობა აქვს მომხმარებლის მართვის ინსტიტუციურ კონცეფციას. აკონტროლებენ რა ფასწარმოქმნას დიდი ზომით სასაქონლო ბაზრებზე, კორპორაციები ისწრაფვიან შეასუსტონ გასაღების სისტემის ყველაზე უფრო არასტაბილური და არაპროგნოზირებული ელემენტის – მომხმარებლის ქცევა. ეს ხორციელდება ძირითადად არაფასობრივი კონკურენციით: რეკლამით, გასაღების ტექნიკის განვითარებით და ა.შ. ამით მიიღწევა მოთხოვნის გადიდება შესაბამის პროდუქციაზე. არანაკლები მნიშვნელობისაა, აგრეთვე, სამომხმარებლო კრედიტის გაფართოება, ისევე როგორც მასობრივი მოხმარების დაფინანსებამ უზრუნველყო გეგმიანი სისტემის სტაბილურობისათვის აუცილებელი მოთხოვნა. გელბრეითის აზრით, წარმოების დაგეგმვა მსხვილ კორპორაციებში,სახელმწიფოს მაკროეკონომიკური მართვა და გასაღების სტიმულიება მომხმარებელზე კონტროლის გზით ქმნის კონკრეტული ბაზრის ჩანაცვლების შესაძლებლობას თანამედროვე ეკონომიკაში.[46]

ინსტიტუციური თეორია უარყოფს ნეოკლასიკოსების ამოსავალ მეთოდოლოგიურ პრინციპებს ეკონომიკური ადამიანის, რაციონალური ინდივიდის, რაციონალური ფირმისა და წონასწორობის შესახებ. გელბრეითი ხაზს უსვამს გადაწყვეტილებათა მიღების ჯგუფურ ხასიათს. ტექნოსტრუქტურა ინდვიდთა ის ჯგუფია, რომელიც აღჭურვილია ძალაუფლებით და ამის საფუძველზე იღებს გადაწ-

46. Д. Сиссел. Концепция планирующей системы Гелбрита как заменитель теории рынка.- РЖ. Общественные науки за рубежом. М., 1985, 3, с. 56-58.

ყვეტილებებს. პირობები, რითაც ფირმები აღწევენ მოგების მაქსიმიზაციას – თავისუფალი კონკურენცია, მესაკუთრეთა კონტროლი, რაციონალური კორპორაციები – თანამედროვე ეკონომიკაში არ არსებობენ, ან თუ არსებობენ, მხოლოდ გამონაკლისის სახით. მსხვილი კორპორაციები არ ემორჩილებიან კონკურენტული საბაზრო მექანიზმის დისციპლინას, ისინი თვითონ აყალიბებენ სამომხმარებლო მოთხოვნას. სწორედ ძალაუფლებითი ურთიერთობები, და არა საბაზრო ურთიერთობები, განსაზღვრავენ კორპორაციების არსსა და მათ ურთიერთქმედებას სხვა კორპორაციებთან.[47]

არ შეიძლება არ აღინიშნოს ფ. პერრუსა და საერთოდ ფრანგული სოციოლოგიური და სტრუქტურული სკოლის წარმომადგენლების დიდი წვლილი წონასწორობის ზოგადი თეორიისა და ეკონომიკური ძალაუფლების თეორიის განვითარებაში. ეკონომიკური სტრუქტურები, პერრუს აზრით, არის, უწინარეს ყოვლისა, ურთიერთობის ძალისმიერი ქსელი არათანასწორ ეკონომიკურ აგენტებს შორის, რომლებიც აგებენ თავიანთ სამეურნეო კავშირებს არა ბაზრის აბსტრაქტული კანონების, არა მოთხოვნასა და მოწოდებას შორის სტიქიურად ჩამოყალიბებული თანაფარდობების მიხედვით, არამედ თვითონ აქტიურად აყალიბებენ ეკონომიკურ სივრცეს, საქონელთა რაოდენობასა და ფასებს მათზე. სტრუქტურები – პროდუქტია კოლექტიური საქმიანობის, ბრძოლის, კონკურენციის, მეტოქეობის, კონფლიქტების, თანამშრომლობის, ძალაუფლების განხორციელების. სინამდვილეში საქონლის და მომსახურების საბაზრო ნაკადებს ემატება ზემოქმედების, ზეგავლენის არასაბაზრო ნაკადები, რომლებიც ქმნიან ძალაუფლებით, ძალისმიერ ურთიერთობებს, ანუ ურთიერთობებს ძალის მიხედვით. ბაზრის კონკრეტული ფირმები არ შეიძლება განისაზღვრონ სოციალურ ჯგუფებს შორის ძალთა თანაფარდობის მხედველობაში მიღების გარეშე. თუ წონასწორობის მოდელში შევიტანთ დროის ფაქტორს, აღნიშნავს პერრუ, მაშინ მისი ყველა პარამეტრი ყალიბდება ეკონომიკურ აგენტებს შორის ძალთა თანაფარდობის ზეგავლენით. ეს შეეხება როგორც წარმოებას, განაწილებას, ასევე, მიზნის მაქსიმიზაციას, ე.ი. მოგების,

47. Дж. Гэлбрейт. Гэлбрейт и теория корпорации. _ РЖ. Ощест_ венные науки за рубежом. М., 1985,3, 50-52.

სარგებლიანობის მიღებას. ერთი ეკონომიკური აგენტის ძალა მეორის მიმართ ვლინდება ზეგავლენის, ლიდერობის, ნაწილობრივი ან სრული დაქვემდებარების სახით.[48] ძალაუფლება კი, როგორც თანამედროვე სოციოლოგიიდან არის ცნობილი, წარმოიშობა და მოქმედებს ორგანიზებული მთლიანობის, სისტემის ფარგლებში. მაგრამ ეს ფაქტი, შეუთავსებადია ვალრასი-პარეტოს წონასწორობის თეორიისათვის, რომელიც უარყოფს ძალისმიერ ურთიერთობებს.

ამრიგად, ინსტიტუციურ-სოციოლოგიური მიმართულების კვლევის ცენტრშია ძალაუფლებითი ურთიერთობები ეკონომიკურ აგენტებს – სახელმწიფოს, ფირმებს, ორგანიზაციებს, ინდივიდებს შორის, რომლებიც განსაზღვრავენ მათ თავისებურებებს, განვითარებას, მათ შორის ეკონომიკური ეფექტიანობის დინამიკას. მაგრამ, ამასთან ერთად, ყურადღებას იპყრობს შემდეგი მნიშვნელოვანი გარემოებაც. ორთოდოქსული მიმართულებები, როგორც უკვე აღინიშნა, ავითარებდნენ ეკონომიკური ეფექტიანობის სტატიკურ თეორიას. იგი შეისწავლის სხვაობას რომელიმე დოვლათის ფაქტიური ყიდვა-გაყიდვის მოცულობასა და იმ მოცულობას შორის, რომელიც თეორიულად განისაზღვრება საერთო საბაზრო წონასწორობის ფასებით. მაშასადამე, ისინი განსაზღვრავენ რესურსების გამოყენების ეფექტიანობას მხოლოდ საწარმოო პროცესის მიხედვით. რესურსების გამოყენების სხვა ასპექტები – შრომის, კაპიტალის, დროის, საკრედიტო რესურსების, ინფორმაციის გამოყენების ხარისხი რჩებოდა სტატიკური ეფექტიანობის მიღმა; არ განიხილებოდა, რადგანაც ორთოდოქსული მიმდინარეობების მიხედვით, ისინი ინჟინრების, საწარმოო მენეჯერების, ანუ ტექნიკური ეფექტიანობის პრობლემებია და არა ეკონომისტების, ეკონომიკური ეფექტიანობის პრობლემები. მაგრამ ფირმა არ გამოიყენებს ოპტიმალური ეფექტიანობით შრომას, კაპიტალს, ინფორმაციას. ამ ეფექტიანობას, რომელიც უცნობია სტატიკური ეფექტიანობის საფუძველზე წარმოებული გაზომვებისათვის X – ეფექტიანობას. ის გამოხატავს რესურსების გამოუყენებლობას, დანაკარგებს, ე.ი. არაეფექტიანობას, რომელიც გამოწვეულია თვით ფირმის მიერ. ასეთ შემთხვევას მიეკუთვნება მონოპოლიის მიერ ტექნოლოგიური სიახლეების და-

48. Критика современной буржуазной политэкономии. М., 1977, с. 362-374.

ნერგვის შეფერხება, რადგანაც მონოპოლიური ძალაუფლება მაინც უზრუნველყოფს მისთვის მაღალ მოგებას. სხვა შემთხვევაა რისკზე წასვლის სურვილის უქონლობა, სამუშაოზე არაკომპეტენტური მუშაკების მიღება, სიმძლავრეთა დაუტვირთაობა, მოცდენები და ა.შ. ინსტიტუციური მიმართულება დიდ ყურადღებას უთმობს თეორიას, განსაკუთრებით გამოირჩევა ფუნქციონალური მოგების კონცეფცია, ინსტიტუციური მოგებისა და მოგების ალტერნატიული თეორია.

ინსტიტუციონალისტების მიხედვით შემოსავლების ფორმირება წარმოების სფეროში განსაზღვრული სოციალური ფუნქციების – შემოქმედების, მართვის შედეგია, ხოლო მოგების მითვისება – განაწილების პროცესზე ინსტიტუტების ზემოქმედების შედეგი. ფუნქციონალური მოგების თეორიის ფუძემდებელია ი. შუმპეტერი, რომელიც მიიჩნევს, რომ მოგება არის მეწარმის ანაზღაურება მისი ინოვაციური ფუნქციისათვის, ე.ი. ტექნიკური პროგრესის მიღწევების დანერგვისა, ახალი რესურსების აღმოცენებისა და გამოყენებისათვის. მოგება წარმოიშობა მხოლოდ დინამიკური ეკონომიკისას, ტექნიკური პროგრესის საფუძველზე.[49] მეწარმის მიერ საწარმოო ფაქტორების ახალი კომბინაციის დანერგვით მცირდება წარმოების დანახარჯები და წარმოიშობა მოგება როგორც სხვაობა შემოსავლებსა და დანახარჯებს შორის. მაშასადამე, იგი დროებითი მოვლენაა და მიიღწევა შრომის მწარმოებლურობის ამაღლების და ტექნიკური პროგრესის დროს. რადგანაც მსხვილ ფირმებს მეტი შესაძლებლობა აქვთ დანერგონ ტენიქკური სიახლეები, ისინი გვევლინებიან ეკონომიკური განვითარების დინამიზაციის ფაქტორად, ხოლო მათ შორის კონკურენცია ტექნოლოგიების სფეროში ლიდერობისათვის ეფექტიანი კონკურენციის უმნიშვნელოვანესი ფორმაა.[50]

ფ. პერრუც, შუმპეტერის მსგავსად, განსაზღვრავს მოგებას როგორც ინოვაციური საქმიანობის და ეკონომიკური ძალაუფლების ფუნქციებისათვის ანაზღაურებას. ის გამოყოფს შემოქმედებითი მომსახურებისა და ეკონომიკური ძალაუფლების ფუნქციას. მოგების ინსტიტუციური თეორია მოგების წყაროდ არაეკონომიკური, ინსტიტუციურ ფაქტორებს, პირველ რიგში, ძალისმიერ მეთოდებზე დამყარებულ

49. И. Шумпетер. Теория экономического развития. М., 1982.

50. И. Шумпетер. Капитализм, социализм и демократия М., 1995.

ურთიერთობებს მიიჩნევს. ეკონომიკური შემოქმედებისათვის საჭიროა არა მხოლოდ გამომგონებლობა, არამედ ნოვაციებზე ზეგავლენის მოხდენა, ეს კი ნიშნავს რაღაც ძალაუფლების განხორციელებას. პერრუ ხაზს უსვამს მეწარმის ძალაუფლების რაციონალურ, შემოქმედებით ხასიათს. მისი აზრით, მოგება არის შემოსავალი იმ ფუნქციისაგან (იგულისხმება მეწარმის ფუნქცია, რომელსაც ობიექტურად წინა პლანზე აყენებს თანამედროვე განვითარება და რომლის იგნორირება პოლიტიკურ ეკონომიას არ შეუძლია. მოგება ნაწილდება აქციონერებზე დივიდენდების სახით, ტექნოსტრუქტურაზე ბონუსებისა და პრემიების სახით, მუშაკებზე, რომლებიც მონაწილეობენ მოგების განაწილებაში, სახელმწიფოზე დაგეგმვის სისტემის მეშვეობით.[51]

ეფექტიანი მეურნეობრიობის მასტიმულირებელ მოტივად ჯ. გელბრეითი მიიჩნევს ძალაუფლების გადაადგილებას წარმოების ერთი ფაქტორიდან მეორეზე. ძალაუფლება ეკონომიკაში, მისი აზრით, თავდაპირველად ემყარებოდა მიწის ფლობას, შემდეგ იგი გადავიდა კაპიტალის ფლობაზე, თანამედროვე პირობებში კი ძალაუფლებას განაპირობებს ცოდნისა და გამოცდილების ფლობა, რომელსაც გამოხატავს ტექნოსტრუქტურა. ამ პროცესის პარალელურად იცვლებოდნენ მოტივებიც, რომლებიც განაგებდნენ ადამიანის საქმიანობას. სადღეისოდ განვითარებას განაპირობებს, უწინარეს ყოვლისა, ტექნოლოგია და ორგანიზაცია.[52] მას შემდეგ, რაც კაპიტალმა დაკარგა განმსაზღვრელი ძალაუფლება და იგი გადავიდა მართვის ფაქტორზე, ტექნოსტრუქტურასთან, იკარგება მისწრაფება მაქსიმალური მოგებისაკენ. ტექნოსტრუქტურის, კორპორაციისა და საზოგადოების მთავარი მიზანი ხდება ეკონომიკური ზრდის გადიდება და მაქსიმიზაცია.[53] ეს არ არის აბსოლუტური მიზანი, ზრდა შეიძლება მცირე ტემპებითაც განხორციელდეს, მაგრამ იგი უნდა ემსახურებოდეს საზოგადოებრივ კეთილდღეობას, ცხოვრების დონის ამაღლებას.[54]

ამგვარად, ინსტიტუციურ-სოციოლოგიურმა მიმართულებამ ეკო-

---

51. О. И. Литвиненко. Теории прибыли. М., 1979, с. 126-14

52. Дж. Гэлбрейт. Экономические теории и цели общества, с.67

53. იქვე. გვ. 136

54. Дж. Гэлбрейт. Новое индустриальное общество, с,67.

ნომიკური ეფექტიანობის მრავალი საკითხი სრულიად ახლებურად წარმოაჩინა. მან უარყო ორთოდოქსული თეორიები (ეკონომიკური ადამიანის, სრულყოფილი კონკურენციის და ა.შ. შესახებ), საერთო ეკონომიკური წონასწორობის თეორიების გაფეტიშება, აბსოლუტიზაცია, დაასაბუთა მათი თეორიულად და პრაქტიკულად მიუღებლობა ვიწრო, კერძო ხასიათის გამო და კვლევის ცენტრში ეკონომიკური ეფექტიანობის სისტემური და დინამიკური თეორიის შექმნის პრობლემა დააყენა. ასეთი მეთოდოლოგიური მიდგომის საფუძველზე იგი განიხილავს ეკონომიკური ეფექტიანობის არა მარტო ეკონომიკურ, არამედ პოლიტიკურ, სამართლებრივ, ინსტიტუციურ, სოციალურ, ეკოლოგიურ, ტექნოლოგიურ, ეთიკურ და სხვა ფაქტორებს, მაკროეკონომიკურ და მიკროეკონომიკურ პირობებს. მისი ყურადღების ცენტრშია საზოგადოებრივი არჩევანის, საკუთრების უფლების, აგენტების, ტრანსაქციული დანახარჯების, წარმოების ეფექტიანობის, ასევე ეკონომიკური ეფექტიანობის დინამიკური და ინსტიტუციური მოგების თეორია, X – ეფექტიანობის, ფუნქციონალური მოგებისა და მოგების შემცვლელი მოტივაციების თეორია.[55]

2.3. ეკონომიკური ეფექტიანობის საკითხები ინსტიტიციურ-სოციოლოგიურ მიმართულებაში

ინსტიტუციურ-სოციოლოგიურმა მიმართულებამ დიდი წვლილი შეიტანა ეკონომიკური ეფექტიანობის თეორიის განვითარებაში, ეს ეხება მის ყველა საკითხს, ეფექტიანობის არსს, ფორმებს, მაჩვენებლებს, ფაქტორებს, მექანიზმს. უფრო კონკრეტულად ეს წვლილი, ჩვენი აზრით, გამოიხატება ეკონომიკური ეფექიანობის კვლევის უმნიშვნელოვანესი მეთოდოგიური საკითხების ახლებურად ჩამოაყალიებებით, მისი მაკროეკონომიკურ, იკროეკონომიკური და საერთაშორისო თეორიების განვიტარებით.

ეფექტიანობის ინსტიტუციურ-სოციოლოგიური თეორიის განვითარება დაკავშირებულია ისეთი გამოცენილი ეკონომისტების

55. Дж. Гелбрейт. Новое индустриальное общее) но. с.209, 364.

სახელებთან, როგორიც არიან; ტ. ვებლენი, ჯ. კომონსი, უ. მიტჩელი, ჯ. მ. კლარკი, ჰ. მინზი, ჰ. კოლმი, უ. როსტოუ, ჯ. გელბერეითი, დ. ბელი, უ. ტოფლერი, ჟ. ეიული, ფ. პერრუ, ჟ. ლეკაიონი, პ. მასსე, რ. ხეილბრონენი, რ. კოუზი, დ. ნორტი, ჯ. ბიუკენენი და სხვები. ამ მიმართულებით მეთოდოლოგიურად დამახასიათებელია, უწინარეს ყოვისა, შემდეგი ამოსავალი დებულებები. ეკონომიკა საზოგადოებრივი განვითარების მხოლოდ ერთ-ერთი ქვესისტემაა, რომელიც ურთიერთმოქმედებს სხვა ქვესისტემებთან. ამიტომ ეკონიმიკური განვითარების შსწავლისას არ არის საკმარისი მხოლოდ ეკონომიკური ფაქტორების განხილვა, არამედ, აუცილებელია აგრეთვე, ეკონომიკური და არაეკონომიკური ფაქტორების ურთიერმოემდების, ეკონომიკური მექანიზმის სტრუქტურულ-ორგანიზაციული და ფუნქციონალური ასპექტების შესწავლა. მათი კვლევის ცენტრშია სხვადსხვა ინსტიტუტების ურთიერთქმედება, ხოლო თვით ინსტიტუტში იგულისხმება ქცევის ფორმალური და არაფორმალური ნორმები და წესები, რომლებიც საშუალებას აძლევენ ინდივიდებს კოორდინაცია გაუწიონ თავიანთ საქმიანობას, ანუ ადამიანების მიერ შემუშავებული შეზღუდვები, რომლებიც აწესრიგებენ მათ ურთიერთქმოქმედებას, კერძოდ, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, ინსტიტუციონალისტების აზრით, კოლექტივიზმის, სოციალიზაციის გაღრმავების ობიექტური ტენდენციის გათვალისწინება. ასეთი ფართო მიდგომის საფუძველზე ისინი თავიდანვე და დღესაც წინ აყენებენ ისეტ უმნიშვნელოვანეს პრობლემებს, როგორიც არის შრომისა და კაპიტალის, ასევე, უმსხვილესი კორპორაციებისა და მცირე სა საშუალო ბიზნესის ურთიერქმოქმედება, კერძო და საზოგადოებრივ ინტერესთა ერთიანობა და მათ შორის წინააღმდეგობა. აქედან გამომდინარე, მათი მიზანია საზოგადოებრივი განვითარების ისეთი თეორიის შემუშავებ, რომელიც სახელმწიფოს პოლიტიკის თეორიულ საფუძვლად იქცევა.

ინსტიტუციონალიზმი უარყოფს ლიბერალურ, ნეოკლასიკურ დოგმებს ეკონომიკური ინტერესების ჰარმონიის, ნორმალური მდგომარეობიდან გადახრის აუცილებელი დაძლევის, „ბუნებრივი წესრიგის", „უხიავი ხელის", მეურნეობის სპონტანურ განვითარებაში სახელმწიფოს ჩაურევლობის შესახებ. დაწყებული ველბლე-

ნიდან, ინსტიტუციონალიზმი ასაბუთებს, რომ მთავარია რეალური ეკონომიკის შსწავლა, ამიტომ იგი უარყოფს მარჟინალიზმს – ზღვრული სარგებლიანობის წმინდა თეორიას, ანუ წონასწორობის თეორიას იმ მოტივით, რომ მოთხოვნა-მიწოდების ტოლობა, წონასწორობის ფასები, წოანსწორობის მდგომაროება მხოლოდ ცალკეული შემთხვევააა, სინამდვილე კი უფრო მეტად არაწონასწორობითი მდგომარეობაა.[56] ინსტიტუციონალიზმი უარყოფს ნეოკლასიკური თეორიის ამოსავალ დებულეას, თითქოს წარმოების ორგანიზაციისათვის დამახასიათებელია მცირე საწარმოები, თავისუფალი კონკურენცია, მათშორის, რის საფუძველზეც შემდეგ ავითარებდნენ კონკრეტული ეკონომიკის კონცეფციას საბაზრო წონასწორობის იდეით. ფაქტობრივად კი, ეკონომიკის საფუზველს გასული საუკუნის ბოლოდან, მცირე ბიზნესის ფართოდ განვითარების მიუხედავად, წარმოადგენს მსხვიი ფირმები, რომლებსაც აქვთ საშუალება განახორციელონ გამიზნული საბაზრო სტრატეგია: მართონ წარმოების მოცულობა ფასების დონის რეგულირების მიზნით, ჩამოაყალიბონ მოთხოვნა რეკლამისა და საერთოდ მარკეტინგის მეშვეობით,ზ ემოქმედება მოახდინონ ეკონომიკური რესუსრსების განწილებასა და გამოყენებაზე. ამასთან, ინსტიტუციონაიზმი ასაბუთებს, რომ ბაზარი არ არის ყოვლისმომცველი, ზოგიერთი პრობლემის მოგვარება ბაზარს არ შეუძლია, ან არ არის სასურველი მათი მოგვარება საბაზრო მექანიმის მეშვეობით. ამიტომ აუცილებელია სახელმწიფოს ეკონომიკაში ჩარევა. უფრო მეტიც, სინამდვილეში სახეზეა არა მარტო საბაზრო ურთიერთობები, არამედ აგრეთვე ძალაუფლებითი ურთიერთობებიც, რომელთა უგულებებელყფა დაუშვებელია. ასეთია მოკლედ ის ძირითადი მეთოდოლოგიური მიდგომები, რომლებსაც ემყარება ინსიტუციურ-სოციოლოგიური მიმარტულება, კერძოდ, მისი კონცეფციები ეკონომიკური ეფექტიანობის შესახებ.

განსაკუთრებულია ინსტიტუციონალიზმის წვლილი ეკონომიკური ეფექტიანობის მაკრიოეკონომიკური საფუძვლების შსწავლაში. ზემოთ უკვე აღინიშნა ამ ასპექტით კეინსიზმისა და მონეტარიზმის დამსახურება, მაგრამ ორივე ეს მიმარტულება მაინც არ

56. Э. Жаис. История экономической мысли XX в. М., ИП, 1959.

ტოვებდა საბაზრო ურტიერთობის ფარგლებს, ან უბრუნდებოდა მას. ინსტიტუციურ-სოციოლოგიური მიმართულება კი აშკარად ასაბუთებს, რომ არასაბაზრო ურთიერთობები – ძალაუფლებითი, კულტურული, ზნეობრივი და ა.შ. ხშირად არანაკლებ ზემოქმედებენ ეკონომიკურ განვითარებაზე, ვიდრე ყიდვა-გაყიდვის ურთიერთობები. სახელმწიფოს ეკონომიკაში ცარევის აუცილებლობას იგი შემდეგი ძირითადი მიზეზებით ხსნის; ცვლილებებით ბაზრის სტრუქტურაში, კერძოდ, არასტრულყოფილი კონკურენციის გაბატონება იწვევს ჩავარდნებს ბაზრის ფუნქციონირებაში (კრიზისები, ინფლაცია, დისპროპორციები და ა.შ.), ამიტომ სახელმწიფო უნდა ცაერიოს მეურნეობრიობაში მათი გამოსწორების მიზნით; ცვლილებები ეკონომიკური განვითარების ფაქტორებში, წინა პლანზე განათელბის, ცოდნის, მეცნიერების, ინფორმაციის, ტექნოლოგიის წამოწევა, რაც ისეტ დიდ დანახარჯებთან არის დაკავშირებული, რომელთა უზრუნველყოფა მხოლოდ კერძო ფირმებსა და სექტორს არ შეუძლია,ამიტომ საჭირაო სახელმწიფოებრივი დაფინანსების, გადაწყვეტილების მექანიზმის არსებობა; სახელმწიფო სექტორის როლის მნიშვნელობის ამაღება მთლიანი ნაციონალური პროდუქტის წარმოებასა და განაწილებაში; კეთილდღეობის სახელმწიფოს განვითარება საგადასახადო პოლიტიკისა და ტრანსფერტების საფუძველზე და ა.შ.

ჯ. გელბრეითი გამოყოფს სამ ეტაპს კერზო მეწარმეობის და სახელმწიფოს ურთიერთქმოედების განვითარებაში. პირველ ეტაპზე – XIX საუკუნის დასასფულსა და XX საუკუნის პირველი სამი ათწლეულისათვის დამახასიათებელი იყო: ინდუსტრიული განვითარების ადრეული სტადია, ფირმის შედარებით მცირე ზომა, ბაზრის გადამწყვეტი როლი, მხოლოდ კაპიტალ-ფუნქციის კაპიტალ-მესაკუთრისაგან გამოყოფის დასაწყისი, სახელმწიფოს უმნიშვნელო ჩარევა ეკონომიკაში. ამ პერიოდის ბაზრებზე ბატონობდა კონკურენცია მომგებიანი ფასების დაწესებაზე და მისწრაფება მოგების მაქსიმიზაციისაკენ. ბიზნესისა და სახელმწიფოს ურთიერთობაც საბაზრო საფუძველზე ხორციელდებოდა.[57] მაშასადამე, ამ სტადიაზე ბატონობდა ფულადი მოტივი ცალკეული ინდივიდის, ფირმის საქმია-

57. Дж. Гелбрейт. Новое индустриальное общество. М., 1969. стр. 352-370.

ნობაში და ამ უკანასკნელისა და სახემწიფოს ურთიერთმოქმედებაში. ამ მოტივს შინაგანად ახასიათებს არამდგრადობა, ბიზნესის ან სახელმწიფოს ერტმანეთზე გაბატონების მუდმივი შიში. მაგრამ პირველ ეტაპზე მაინც მნიშვნელოვან ზალას მეწარმეობითი ფირმა წარმოადგენდა, რომელიც ფლობდა საკმარის ფინანსურ რესურსებს სახელმწიფოზე ზემოქმედებისათვის მისთვის სასურველიმიმართულებით. მეორე ეტაპისათვის (30-იანი წლები) დამახასიათებელი იყო კერძო ბიზნესის, განვითარებულიკორპორაციის დამოკიდებულების გაძლიერება სახელმწიფოზე, რაც გამოწვეული იყო ფირმების ადაპტაციით მეცნიერების, ტექნიკის, მსხვილი კაპიტალური დაბანდებების დანერგვასთან სამრეწველო დაგეგმვისა და ტექნოსტრუქტურების რევოლუციის ფორმით. ამ ამოცანების განხორციელებისათვის აუცილებელი იყო სახელმწიფს მიერ ერთობლივი მოტხოვნის რეგულირება. ერთადერთი მიზნის – მოგების მაქსიმიზაციის გარდა, კორპორაციას გაუჩნდა მიზნები სისტემა, კერძოდ, საზოგადოებრივი მოტხოვნილებების დაკმაყოფიელბა ფირმის სოციალური პასუხისმგებლობის ამაღლების საფუძველზე, ამ ეტაპისათვის დამახასიათებელია, ერთი მხრივ, სახელმწიფოს როლის გაძლიერება, მეორე მხრივ, ფირმის სოციალური პასუხისმგებლობის ამაღელბა. მესამე ეტაპისთვის (ომისშემდგომი პერიოდ) დამახასიათებელია სახელმწიფოსა და ინდუსტრიული სისტემის შერწყმის გაღრმვება, მატ შორის საზღვრების თანდათან მოშლა. მსხვილი ფირმის ტექნოსტრუქტურა იქცევა სახელმწიფო აპარატის შტოდ, რომელიც სახელმწიფოს ექვემდებარება, ანუ მიიღწევა ფირმებისა და სახელმწიფოს ბიუროკრატიული სიმბიოზმი.[58] გელბრეითი ასაბუთებს სახელმწიფოს მექანიზმის სრულყოფის აუცილებლობას და განიხილავს მას როგორც ტექნოსტრუქტურის აღმასრულებელ კომიტეტს. სახელმწიფოს ეკონომიკური პოლიტიკა, გელბრეითის აზრით, უნდა ემსახურებოდეს მსხვილი ფირმების (გეგმიანი სისტემის) საქმიანობის წარმართვას საზოგადოებრივი ინტერესებისათვის. ამისათვის აუცილებელია; რესურსების ნაკადის შეზღუდვა იმ დარგებში, რომლებიც ხასიათდებიან გაუმართლებელი, ზედმეტი განვიტარებით; პრიორიტეტების შეცვლა სახელმწიფო სახსრების ხარჯვაში, წარმოებისა და მოხმა-

58. Дж. Гелбрейт. Экономические теории и цели общества. С. 188,280, 394.

რების იმ სახეობიების რეგულირება ან აკრძალვა, რომლებიც ხასიათდებიან უარყოფითი გარეგანი ეფექტით საზოგადოებისათვის 9გარემოს დაზიანება და ა.შ.0. სახელმწიფომ უნდა გააძლიეროს სტაბილური ანტიციკლური პოლიტიკა და გააფართოოს ღონისძიებები კოორდინაციისა და პროპორციულობის უზრუნველყოფისათვის „გეგმიან სისტემაში", ინვესტიციურ პროცესზე მიზნობრივი ზემოქმედებისა და შემოსავლების განაწილების მიზნით.

ინსტიტუციურ-სოციოლოგიური მიმარტულება გამოდის ინდიკატური დაგეგმვის მოტხოვნით.ა სეთი დაგეგმვის მიზანია კერძოდ გადაწყვეტილებების მიღების და სახელმწიფოს ფისკალურიდ ა ფულადი პოლიტიკის სემუსვებისათვის ინფორმაციული საფუძვლისა და საერთო ორიენტირების განსაზღვრა, მისთვის კეინსური სახელმწიფოებრივი რეგულირების თეორია არ არის საკმარისი. ინდიკატური აუცილებლობა, ინსტიტუციონაისტების აზრით, გამოწვეულია კერძო სექტორის ფარგლებში ინვესტიციებისა და მოხმარების დაბალანსების ავტომატურად მიღწევისა და კერძო და საზოგადოებრივი სექტორების დაბალანსებული განვითარების შეუძლებლობით. აუცილებელია ეკონომიკური ზრდის საზოგადოებრიივ განვითარების გრძელვადიანი ინტერესებისადმი დაქვემდებარება, ხოლო თვით განვითარების დონის კრიტერიუმებით შეფასება. თანამედროვე ინდუსტრიუი ცივილიზაციის მიზეზს რ. ხეილბრონერი ხედავს წონასწორობის მკვეტრ დარრვევაში ბუნების ძალებისადმი ბატონობის მირწეულ დონესა და სოციალური კონტროლის არსებულ მექანიზმს შორის. ამ შეუსაბამობის დაძევის გზაა კერძო კაპიტალიზმის ტრანსფორმაცია გეგმიან სახელმწიფოებრივ კაპიტალიზმში. კაპიტალიზმის უძლურება უზრუნველყოს ადამიანები საზოგადოებრივი დოვლათით, მის მორალური სიბრმავე და სოციალურ გულგრილობა წარმოშობს დაგეგმვის მოთხოვნილებას, ისევე როგორც განვითარებული მბრძანებლური სისტემების სიმკაცრე წარმოშობს მოთხოვნილებას საბაზრო მექანიზმებზე.[59]

ეფექტიანობის მარკოეკონომიკური თეორიის უმნიშვნელოვანესი ელემენტია საზოგადოებრივი არჩევანის თეორია, რომელიც უკანასკნელი 30 წლის მანძილზე ჩამოაყიბდა, უწიანრეს ყოვლისა,

59. Р. Хейлбронер, Л. Туроу. Экономика для всех. Новосибирск, 1994,0.298-302.

ნობელის პრემიების ლაურეატების კ. ერროუსა და ჯ. ბიუკენენის გამოკვლევების საფუძველზე. ამ თეორიის საგანია დემოკრატიული სახელმწიფოს როლი ეკონომიკაში. სახელმწიფო უდიდეს ზეგავლენას ახდენს თანამედროვე ეკონომიკის განვითარებაზე, თუნდაც სახელმწიფო ფინანსების მეშვეობით. ამგრამ მისი მოცულობა და სტრუქტურა, შემოსავლები და გასავლები განისაზღვრება არა რაციონალურ არჩევანით,ა რა საბაზრო მექანიზმით, არამედ სხვადასხვა საზოგადოებრივი ჯგუფის ინტერესების ურთიერთქმოემედებით, რომლებიც ხმის მიცემით ვლინდება. მაშასადამე, ეკონომიკის ფუნქიონირებისა გა განვითარების ერტ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფაქტორია ეკონომიკური და პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღების კონსტიტუციური და ხელშეკრულებითი მექანიზმები, რომლებსაც სხვა მიმდინარეობები ფაქტობრივად უგულებელყოფენ. საზოგადოებრივი არჩევანის თეორია აანალიზებს პოლიტიკურ ფაქტორებს, რომლებიც განსაზღვრავენ სახელწმფის ეკონომიკაში ჩარევის დონეს,ასეთი ჩარევის შეზღუდვის საშუალებებს, მათ შორის, კონსტიტუციით გათვალისწინებულ წესებსა და ფინანსური წონასწორობის პრინციპებს.

სახელმწიფოს ჩარევა ეკონომიკაში არ არის განპირობებული მხოლოდ ბაზრის ცავარდნების, არაეფექტიანობის გამოსწორბის აუცილებლობით. ის შეიძება სხვა, მაგალითად, ეთიკური მიზეზითაც იყოს გამოწვეული. მაგრამ, ამასტან ერთად, არ არსებობს საზოგადოების მიერ გადაწყვეტილებების მიღების სრულყოფილი მექანიზმი. პრობლემა ისაა, თუ რომელისისტემა არის უფრო უკეთესი და არა სრულყოფილი ადამიანების მჯობინებათა თვალსაზრისით. ასეტ უკეთეს სისტემად ითვლება დემოკრატია, როგორც სახელმწიფოებირვი მართვის ფორმა. რეალობაა არა მხოლოდ საბაზრო არჩევანი, არამედ სოციალური არჩევაიც, რომელსაც უგულებელყოფს ენოკლასიკური თეორია, რომელიც, საბოლოო ანგარისით, მოცემულ საზოგადოებაში პოლიტიკურ ძალთა თანაფარდობითა და ძლაუფლებით ურთიერთობებით განისაზღვრება. მაშასადამე, საზოგადოებრივ-პოლიტიკურ განვითარების დონე უშუალო ზეგავლენას ახდენს ქვეყანაში წარმოების მაკროეკონომიკურ ეფექტიანობაზე. ზემოთ აღნიშნული იმასაც ადასტრუებს, რომ არარეალურია წარმოების ეფექტიანობის მაქსიმიზაციის ამოცანა საერთოდ,

ასეთი ამოცანა შეიძლება დასივას მხოლოდ ცალკეულ შემთხვევასა და მოცემული პირობებისათვის განსაზღვრულ პერიოდში.

აღნიშნულიდან ჩანს, თუ როგორი დიდი მნიშვნელობა ენიჭება სახელმწიფოს ფუნქციების მართებულად განსაზღვრას რესურსების ეფექტიანი გამოყენებისათვის. ეს პრობლემა უშუალოდ უკავშირდება ბაზრის ჩავარდნებსა და ფიასკოს. ეს ის შემთხვევებია, როდესაც ბაზრს არ სეუძლია რესურსების ეფექტიანი გამოეყენება. ჩვეულებრივ, გამოიყოფა ასეთი სიტუაციების ოთხი ტიპი: მონოპოლია, არაასულყოფილი ანუ ასიმეტრიული ინფორმაცია, გარეგანი ეფექტები,ს აზოგადოებრივი დოვლათი. ყველა ამ შემთხვევაში ბაზრის დასახმარებლად გამოდის სახელმწიფო 0 იგი ცდილობს გადაწყვიტოს ეს პრობლემები ანტიმონოპოლიურ პოლიტიკის, სოციალური დაზღვევის განხორციელებით, უარყოფითი გარეგანი ეფექტების მქონე პროდუქციის სზღუდვით, დადებითი გარეგანი ეფექტების მქონე პროდუქციის წარმოებისა და მოხმარების სტიმულირებით, საზოგადოებრივი დოვლათის წარმოებით. წმინდა საზოგადოებრივი დოვათი ისეტი დოვლათია, რომელიც კოლექტიურად მოიხმარება ყველა მოქალაქის მიერ მიუხედავად იმისა, ხიდიან თუ არა ადამიანები ამისათვის. ისინი ხასიათდებიან არაარჩევითობითა და არაგანსაკუთრებულობით მოხმარებაში. მაგალითად, ეროვნული თავდაცვა. არაარჩევითობა მოხმარებაში გულისხმობს, რომ ასეთი დოვლათის მოხმარება ერთი ადამიანის მიერ არ მცირებს მის მოხმარებას სხვების მიერ. ისინი არაკონკრეტულნი არიან, რადგანაც ზღვრული დანახარჯები დამატებით მოხმარებაზე ნულის ტოლია. არაგანსაკუთრებულობა მოხმარებაში გულისხმობს, რომ არც ერთი ადამიანი არ შეიძლება არ იქნეს დაშვებული დოვლათის მოხმარებაზე იმ შემთხვევაშიც კი, თუ იგი უარს ამბობს მოხმარების აფასურის ანაზღაურებაზე. წმინდა საზოგადოებრივ დოლვათს აქვს თავისებური დადებითი გარეგანი ეფექტი: როგორც კი ვინმე იწყებს მის მოხმარებას, იგი ყველასთვის მისაწვდომი ხდება.

უკანასკნელმა დისკუსიებმა ეკონომიკური ეექტიანობის საკითხებზე საზოგადოებრივი არჩევანის თეორიისა და კეთილდღეობის სახელმწიფოს თეორიის მიღწევების გათვალისწინებით გამოკვეტა მეტად მნიშვნლეოვანი დაკსვნებბი: არ დასტურდება ნეოკლასიკური თეორიის დებულება იმის შესახებ, რომ თითქოს სახემწიფოს შეუ-

ძია წარმატებით გადაწყვიტოს რესურსების განაწილების ის პრობლემები, რომელსაც ვერ წყვეტს ბაზარი; სინამდვილეში მრავალი მდგომარეობა არსებობს, რომლის პირობებშიც საბაზრო მექანიზმი უბრალდო ვერ მოქემდებს, არ ფუნქციონირებს; ბაზრის ისეთი ჩავარდნებიცაა, რომელთა გამოსწორებაც სახელმწიფოს მიერ დაკავშირებულია უფრო მეტ დანახარჯებთან, ვიდრე თვითონ მისგან გამოწვეული დანაკარგები, ე.ი. სახელმწიფოს ასეთი ქმედება უაზრობაა, მიუღებელია ეფექტიანობის თვალსაზრისით, რადგანაც იგი მეტ დანახარჯებს მოითხოვს.[60]

ძალზე მნიშვნელოვანია ისნტიტუციურ-სოციოლოგიური მიმართულების მიერ ეკონომიკური ეფექტიანობის თეორიის მიკროეკონომიკური საფუძვლების შემუშავება. ამ მხრივ განსაკუთრებით აღსანიშნავია ფირმის სრულიად ახალი ინსტიტუციური თეორიის ჩმოყალიბება და ისეტი უმნიშვნელოვანესი კერძო საკითხების ახლებური გააზრება, როგორიც არის მოგების, ფასწარმოქმნის, ინოვაციებისა და ტრანსაქციული დანახარჯების თეორია და ა.შ.

ნეოკლასიკური თეორია ფირმას განიხილავდა მხოლოდ ბაზრის ასპექტით, როგორც ყიდვა-გაყიდვის ორგანიზაციას,ს რომელიც მუდმივად მიისწრაფვის მოგების მაქსიმიზაციისაკენ, რისთვისაც აუცილებელია თავისუფალი კონკურნეციის, თავისუფალი ფასწარმოქმნის პირობები. მაშასადამე, ამ შემთხვევაში ამოსავალია არა მეურნეობრიობის რეალური პირობები, მდგომარეობა, არამედ იდეალური, წმიდა თეორიის დაფიქსირება თავისუფალი კონკურნეციის, საბაზრო წოანსწორობის სახით და შემდეგ იმის განსაზღვრა თუ რა დამოკიდებულებაა ამ დროს მოტხოვნა-მიწოდებას შორის, როგორია ფასწარმოქმნისა და მოგების მიღბის მექანიზიმ და ა.შ. ინსტიტუციური მიმართულება კი, პირიქით, დაწყვეტული ვებლენიდან, კომონსიდან, გობსონიდან და დამთვრებული დღემდე გელბრეითით, ხეილბრონერით, ბიუკენენით, კოუზითა და სხვებით, აგებენ თეორიულ კვლევას რეალური ვითარების ანალიზზე და ამის საფუძველზე ცდილობენ განსაზღვრონ ეკონომიკური განვითარების კანონზმომიერებები. ამიტომ მათთვის ფირმა არის არა მხოლოდ ბაზრის სუბიექტი, არამედ სოციალური ინსტიტუტი, რო-

60. А. Маколи. Границы приватизации в планируемой экономи_ ке.-МЭиМО, 1992,6, с. 67.

მელსაც საზოგადოებაში ყიდვა-გაყიდვის ფუნქციის გარდა, სხვა სოციალური დანიშნულება და პასუხისმგებლობაც ეკისრება. ფირმის ინსტიტუციური თეორიის განვითარება ემყარება, როგორც ზემოთ განხილული საზოგადობრივი არჩევანის (ჯ. ბიუკენენი), ასევე, საკუთრების უფლების (რ. კოუზი), აგენტების (ჟ. სტიგლიცი) და ტრანსაქციული დანახარჯების თეორიებს (ო. უილიამსონი).

ინსტიტუციურ-სოციოლოგიური მიმართულების მიხედვით საბაზრო ეკონომიკის საფუძველია სხვადასხვა სამართლებრივი, ეკონომიკური, პოლიტიკური, ზნეობრივი და სხვა ინსტიტუტების არსებობა და ფუნქციონირება. განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს ადამიანთა ნებელობით ურთიერთობებს, რომლებიც სამართლის სტრუქტურაში აისახება და ადამიანთა ქცევას განსაზღვრავს. საბაზრო მეურნეობრის სამართლებრივი წანამძღვრები უშუალოდ ზემოქმედებენ ეკონომიკური ეფექტიანობის დინამიკაზე. ეს პირველ რიგში ეხება საკუთრების უფლებას, რომელშიც იგულისხმება სანქიონირებული ქცევის ნორმები. საკუთრების უფლება არის სანქციონირებული ქცევითი ურიტლობების, ძალაუფლების ერთობლიობა, რომელიც ყალიბდება ადამიანებს შორის მათ მიერ ეკონომიკური დოვლათის გამოყენებასთან დაკავშირებით. იგი მოიცავს ნივთის ან სხვა ეკონომიკური ფოვლათის ფლობის, გამოყენების, განკარგვის ფლებას. მაშასადამე, საკუთრების უფლება წარმოადგენს კერძო უფლებათა ერთობლიობას, რომელიც შეიძლება გაფართოვდეს ახალი უფლების დამატებით ან შესუსტდეს ზოგიერთი უფლების ჩმოცილებისა და გაუქმების სემთხვევაში. ეს პროცესი დაკავსირებულია ტრანსაქციულ დანახარჯებთან, რომელიც პირველად შეისწავლა 30-იან წლებში ნობელის პრემიის ლაურეატმა რ. კოუზმა და ფართოდ გავრცელდა, როგორც ეკონომიკური ეფექტიანობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი კატეგორია. ტრანსაქციაში იგულისხმება სუბიექტების ურთიერთმოქმედება ეკონომიკური დოვლათის გაცვლასთან დაკავშირებით. გამოიყოფა ტრანსაქციული დანახარჯების ხუთი ძირითადი ფორმა; ინფორმაციის ძიების, მოლაპარაკებების წარმოებისა და კონრაქტების დადების, გაზომვის, საკუთრების უფლების სპეციფიკაციისა (გაფართოების) და დაცვის, ასევე ოპორტუნისტული ქცევის დანახარჯები. ინფორმაციის ძიების დანახარჯები ბაზარზე

უკავსირდება მის ასიმეტრიულ განაწილებას, დანახარჯები პოტენციური მყიდველებისა და გამყიდველების ძიებაზე, დამატებითი ხარჯები წონასწორულ ფასზე მაღალი ფასით ყიდვასთან ან წონასწორულ ფასთან შედარებით დაბალი ფასით გაყიდვასთან დაკავშირებით, აგრეთვე, დანაკარგები, რომლებიც გამოწვეულია სუბსტიტების ყიდვით და ა.შ. დანახარჯები, რომლებიც დაკავშირებულია მოლაპარაკებებთან, კონტრაქტების გაფორმებასთან ხშირად მნიშვნელოვნად აძვირებენ საქონლის ფასს. გაზომვის დანახარჯები დაკავშირებულია გასაზომი ტექნიკის შეძენასთან, შეცდომებთან ამ პროცესში. განსაკუთრებით დიდია დანახარჯები საკუთრების უფლების სპეციფიკაციასა და დაცვასთან, კერძოდ, მის აღდგენასთან დაკავშირებით დაკარგვის სმთხვევაში, ამ გასავლებს განეკუთვნება სასამართლო, სახელმწიფო ორგანიზაციებისა და კერზო სტრუქტურების ხარჯები, რომლებიც ამ საქმეს ემსახურებია. ოპორტუნისტული ქცევის ხარჯები განპირობებულია კონტრაქტების პირობის დარღვევით მოგების მიღების მიზნით პარტნიორების ხარჯზე. მაშასადამე, ტრანსაქციული დანახარჯები წარმოიშობა გაცვლის პროცესამდე, გაცვლისას და გაცვლის სმდეგაც. მათი მოცულობა დამოკიდებულია აგრეთვე იმაზე, თუ საკუთრების რომელი ფორმაა გაბატონებული; კერძო, საერთო (კომუნალური), თუ სახელმწიფოებრივი. აქედან ყველაზე უფრო მდგრადია კერძო საკუთრება, რადგანაც სრულ უფლებას საკუთრებაზე ფლობს მესაკუთრე და მისი მართვის კონტროლიც მის განკარგულებაშია. სახელმწიფო საკუთრებისას ძალზე გართულებულია კონტროლი საკუთრებაზე და მისი ოპერატიული მართვა. საერთო საკუთრება არამდგრადია და დროთა განმავლობაში გადაიქცევა კერძო, ან სახელმწიფო საკუთრებად. თანამედროვე ნეოინსტიტუციური თეორია ფირმაში გულისხმობს წარმოების ფაქტორების მფლობელთა კოალიციას, რომლებიც ერთმანეთთან დაკავშირებულნი არიან კონტრაქტების ქსელით, რის შდეგადაც მიიღწევა ტრანსაქციული დანახარჯების მინიმიზაცია. ეეს იმას ნიშნავს, რომ ინსტიტუციური თვალსაზრისით ფირმა განიხილება, როგორც საკუთრების მფლობელთა და კონტრაქტების სისტემა.

კონტრაქტების სისტემა იდება რესურსების მფლობელთა შორის.[61]

რესურსების საერთო მოცულობა იყოფა სამ ჯგუფად; საერთო, სპეციფიკური და ინტერსპეციფიკური.[62] საერთოა ისეთი რესურსები, რომელთა ფასეულობა არ არის დამოკიდებული მოცემულ ფირმაში არსებობაზე. ამ ფირმაშიც და სხვაგანაც, მის გარეთ ისინი ერტნაირად სეფასდებიან. სპეციფიკურია რესურსები, რომელთა ფასეულობა ფირმის შიგნით უფრო მაღალია, ვიდრე მის გარეთ. ინტერსპეციფიკურია ურთიერთშემავსებეი (გარკვეულწილად, უნიკალური)რესურსები, რომელთა მაქსიმალური ფასეულობა მიიღწევა მხოლოდ მოცემულ ფირმაში და მისი მეშვეობით.

თუ ფირმა იშლება, მაშინ ნებისმიერი ინტერსპეციფიკური რესურსისათვის შეუძლებელია ადეკვატური სემცველობის მოძებნა ბაზარზე ან სხვა ფირმის ფარგლებში. ამიტომ ფირმა არ არის მხოლოდ კონტრაქტების ქსელით დაკავშირებული რესურსების მფლობელთა კოალიცია. ის არის გაერთიანება, რომლის საფუძველია ურთიერთობითი კონტრაქტი ინტერსპეციფიკურ რესუსრებთან დაკავშირებით. მ რესურსების არსებობა იძლევა სინერგეტიკულ ეფექტს, რომელიც ჭარბობს კოალიციის თითოეული მონაწილის წვლილის ჯამს. ფირმების მიერ გამოყენებული რესურსებისა და ტრანსაქციული დნახარჯების მრავალფეროვნება განაპირობებს თანამედროვე ფირმების მრავალფეროვნებას.[63]

ფირმის თეორიის თვალსაზრისით ეკონომიკური თეორიები იყოფა ორ დიდ ჯგუფად: ტექნოლოგიური, ანუ არაკონტრაქტულ პარადიგმაზე აღმოცენებული თეორიები და ინსტიტუციური თეორიები, ანუ კონტრაქტულ პარადიგმაზე აღმოცებებული თეორიები. პირველ ჯგუფს განეკუთვნებიან თეორიები, ორმლებიც ფირმას განიხილავენ წარმოების თეორიის თვალსაზრისით, ანუ საწარმოო ფუნქციების, X – ეფექტიანობისა და სხვა საწარმოო კავშირურთიერთობების თვალსაზრისით. ასეთია, ძირითადად, ფირმის ნეოკლასიკური, კეინსური და მარქსისტული თეორიები. მეორე ჯგუფის

61. Р. Коуз. Фирма, рынок и право. М., 1993.

62. О. Уильямсон. Вертикальная интеграция производства: соображения по поводу неудач рынка.-В кн. Теория фирмы. Под ред. В. М. Гальперина. Санкт-Петербург, 1995, с.33-53.

63. Вопросы экономики. 1994, |4, с. 130-132.

თეორიები ფირმას განიხილავენ როგორც კონტრაქტების ქსელს, ორგანიზაციას, ინსტიტუტს. ასეთია ფირმის ინსტიტუციურ-სოციოლოგიური, სტრუქტურული, მენეჯმენტური თეორიები, ინსტიტუციური თეორიის მეთოდოლოგიური მიდგომა არის ის, რომ იგი განიხილავს ფირმას (ორგანიზაციას), საქმიანობას როგორც გარედან-ინსტიტუციური გარემოს, ასევე, შინაგანი ვითარების თვალსაზრისით კონტრაქტების სისტემის მეშვეობით. პირველ შემთხვევაში საზგაოდებრივი არჩევანის თეორიაზე დაყრდნობით განისაზღვრება ინსტიტუციური გარემო მაკროეკონომიკურ და საზოგადოებრივ დონეზე, უწინარეს ყოვლისა, სახელმწფოს მიერ მეურნეობისა და ეფექტიანობის მაკროეკონომიკური პირობების შექმნის თვალსაზრისით, ხოლო საკუთრების უფლების თეორიაზე დაყრდნობით განისაზღვრება ინსტიტუციური გარემო მიკროეკონომიკურ დონეზე, უპირატესად, კერძო სექტორისათვის, ანუ, საკუთრებითი ურთიერთობები და მისი გავლენა მეურნეობრიობასა და ეფექტიანობაზე. მეორე შემთხვევაში, აგენტების თეორიაზე დაყრდნობით, შეისწავლება კონტრაქტების დადების წიანსწარი წანამძღვრები, მამოძრავებელი მოტივები, რატომ და რა პირობებით არის მომგებიანი კონტრაქტების დადება, ხოლო ტრანსაქციცული დანახარჯების თეორიაზე დაყრდნობით, ანალიზდება უკვე რეალიზებული კონტრაქტების შედეგები, რამდენად შესაბამება მიღებული შედეგები ფირმის ინტერსებს.

როგორც ჩანს, ინსტიტუციონალიზმის ფირმის თეორია ეფექტიანი საქმიანობის უზრუნველსაყოფად დიდ ყურადღებას უთმობს გარემო პირობების გაუმჯობესებას. მათ შორის აღსანიშნავია გარეგანი ეფექტებისა და სოციალური დანახარჯების კვლევის წინ წამოწევა, რასაც ტრანსაქციულ დანახარჯებთან ერთად ნეოკლასიკური თეორია არ აქცევდა სათანადო ყურადღებას. გარეგანი ეფექტები, ანუ ექსტერნალიებია საბაზრო გარიგებებთან დაკავშირებული დანახარჯები ან სარგებლიანობა, მომგებიანობა, რაც არ აისსახა ფასებში. ისინი გარეგან ეფექტებად იწოდებიან იმიტომ, რომ მოიცავენ არა მარტო მოცემულ გარიგებაში მონაწილე აგენტებს, არამედ მესამე პირებსაც. ისინი როგორც წარმეობის, ასევე, მოხმარების სფეროებშია დადებითი და ურყოფითი გრეგანი ფეფექტების სახით. პირველი დაკავშირებულია მომგებიანობასთან, სარ-

გებლიანობასთან, მეორე, დანახარჯებთან, ანუ გვიჩვენებენ სახვაობას სოციალურ დანახარჯებსა და კერძო დანახარჯებს შორის. უარყოფითი გარეგანი ეფექტი წარმოიშობა იმ შემთხვევასი, თუ ერთი ეკონომიკური აგენტის საქმიანობა განაპირობებს სხვების დანახარჯებს. ამ შმთხვევაში ადგილი აქვს ეფექტიანობის შმცირებას, რაც დაკავშირებულიაი მასთან, რომ ზღვრული კერძო დანახარჯები ზღვრულ სოციალურ დანახარჯებზე უფრო მცირეა, ანუ ნაკლებია ფასი, რაც ეფექტიანობის შემცირებას იწვევს. მაშასადამე, უარყოფითი გარეგანი ეფექტისას ეკონომიკური დოვლათის ყიდვა-გაყიდვა ეფექტიანთან შედარებით, უფრო დიდი მოცულობით ხორციელდება, ე.ი. ადგილი აქვს უარყოფით გარეგანი ეფექტის მქონე საქონლისა და მომსახურების ჭარბწარმოებას. დადებითი გარეგანი ეფექტი წარმოიშობა მაშინ, როდესაც ერთი ეკონომიკური აგენტის საქმიანობას მოაქვს სარგებლიანობა სხვებისათვის. ამის კარგი მაგალითია საგანმანათლებლო ბიზნესი. ამ დროს ეკონომიკური დოვლათის ყიდვა-გაყიდვა ეფექტიან მოცულობასტან შედარებით უფრო მცირე მოცულობით ხორციელდება, ეი.ი. ადგილი აქვს დადებითი გარეგანი ეფექტის მქონე საქონლისა და მომსახურების ნაკლებწარმოებას.

იმისათვის, რომ შევამციროთ უარყოფითი გარეგანი ეფექტის მქონე საქონლისა და მომსახურების წარმოება და გავადიდოთ დადებითი გარეგანი ეფექტის მქონე საქონლისა და მოსმახურების წარმოება, საჭიროა გარეგანი ეფექტების ტრანსფორმირება, რაც შეიძლება მიღწეულ იქნეს ზღვრული კერძო დანახარჯების (და შესაბამისად სარგებლიანობის) მიახლოებით ზღვრულ სოციალურ დანახარჯებთან სარგებლიანობასთან). ამ პრობლემის გადასაწყვეტად ა. პიგუმ დაასაბუთა მაკორექტირებელი გადასახადისა და სუბსიდიების მიზანშეწონილობა. მაკორექტირებელი გადასახადი არის გადასახადი უარყოფითი გარეგანი ეფექტის მქონე საქონლისა და მომსახურების წარმოებაზე, რომელიც ამაღლებს ზღვრულ კერძო დანახარჯებს ზღვრულ საზოგადოებრივ დანახარჯებამდე, ე.ი. ეს გადასახადი ტოლი უნდა იყოს ზღვრული გარეგანი დანახარჯების. მაკორექტირებელია სუბსიდია ეკონომიკური დოვლათის მწარმოებლებისა ან მომხმარებლებისადმი, რომლებიც ხასიათდებიან გარეგანი ეფექტებით, ზღვრულ კერძო სარგებლიანობის

ზღვრულ საზოგადოებრივ სარგებლიანობამდე ამაღლების მიზნით. იგი შეიძლება იყოს ზღვრული გარეგანი სარგებლიანობის ტოლი, მაგრამ პრაქტიკამ გვიჩვენა, რომ მაკორექტირებელი გადასახადები და სუბსიდიები ვერ წყვეტენ გარეგან ეფექტებთან დაკავშირებულ პრობლემებს. რეალურად ძალზე ძნელია ზღვრული დანახარჯებისა და სარგებლიანობის განსაზღვრა, ზარალის დადგენაც მხოლოდ მიახლოებით თუ არის შესაძლებელი, ხოლო მაკორექტირებელი გადასახადები ხშირად მიზანს არ აღწევენ, მათ გადახდას სუბიექტები არ უშინდებიან, ან პირიქით, ლობირებით აღწევენ მათ შემცირებას. ამიტომ, საჭირო გახდა პრობლემის სრულიად ახლებური გადაწყვეტა ინსტიტუციურ საფუძვლეზე, რაც განახორციელა კიდეც რ. კოუზმა თავისი ცნობილი თეორემის საფუძველზე. მისი აზრით, ამ შემთხვევაში მთავარია უფრო დიდი ზიანის თავიდან აცილება, იმის განსაზღვრა თუ რა ფასეულობა აქვს შეძენილი პროდუქტს და რა ფასეულობაზე ვთქვით უარი ამისათვის, ე.ი. იგი გარეგან ეფექტებს ალტერნატიული დანახარჯებითა და სამართლებრივი თვალსაზრისით განიხილავს. კოუზის თეორემის მიხედვით, თუ გარიგების ყველა მონაწილის საკუთრების უფლებები განსაზღვრულია, ხოლო ტრანსაქციული დანახარჯები ნულის ტოლია, საბოლოო შედეგი, რომელიც წარმოების ფასეულობის მაქსიმიზაციას განაპირობებს, საკუთრების უფლების განაწილებაში დამოკიდებული არ არის, თუ უგულებელვყოფთ შემოსავლის ეფექტს. აქ მთავარია ზარალის ანაზღაურების მექანიზმის ამოქმედება, რისთვისაც არ არის საჭირო სახელმწიფოს ჩარევა, ეს შეიძლება მოგვარდეს ეკონომიკურ აგენტებს შორის გარიგების საფუძველზე, საკუთრებითი უფლებები კი უცვლელი რჩება.[64] კოუზის თეორემა ნიშნავს, რომ სრულყოფილი კონკურენციისას კერძო და სოციალური დანახარჯები ტოლია. ამასთან, იგი ძალას კარგავს, თუ გარიგებაში მრავალი მონაწილეა, რადგანაც მკვეთრად იზრდება ტრანსაქციული დანახარჯები.

უდიდესი მნიშვნელობისაა ფირმის ინსტიტუციური თეორიის უკვე ტრადიციულად ქცეული კონცეფციები მსხვილი ფირმების, კორპორაციების,ს აკუთრებისა და მართვის დეზინტეგრაციის, საკუთრებში მონაწილეობის, ქცევის მოტიაციის შსახებ. ყველა ეს

64. Р. Коуз. Фирма, рынок и право, с.92-94.

კონცეფცია განხილულია ტექნოლოგიური დეტერმინიზმის საფუძველზე. ტექნოლოგია განიხილება, როგორც სამეცნიერო და სხვა ცოდნის სისტემური გამოყენება ორგანიზაციული ფორმით პრაქტიკული ამოცანების გადასაწყვეტად. ამასთან, იგი წარმოდგენილია რაღაც იმპერატივის, დეტერმინანტის, ობიექტური ფაქტორის სახით, რომელსაც იძულებითი ხასიათი და მოძრაობის საკუთარი ლოგიკა გააჩნია და კორპორატიული დაგეგმვის მეშვეობით განსაზღვრულ ზემოქმედებას ახდენს ეკონომიკის ფუნქციონირებასა და განვითარებაზე. ტექნოსტრუქტურა, კორპორაციების მენეჯერები, იურისტები, ინჟინრები, ეკონომისტები, ფინანსისტები, გასაღებისა და მომარაგების ორგანიზატორები მსხვილი კორპორაციების გამომხატველად გამოდიან. ტექნოსტრუქტურის ძალაუფლება ვლინდება კორპორაციულ დაგეგმვაში, რომელიც უზრუნველყოფს, ინსტიტუციონალისტების აზრით, მსხვილი ფირმებისა და საზოგადოების ეკონომიკური ინტერესების ერთიანობას. გეგმიანი სისტემა, ჯ. გელბრეითის მიხედვით, მოიცავს აშშ-ის 2-3 ათას მსხვილ კორპორაციას, რომლებიც ფლობენ ისეთ ეკონომიკურ ძალას, რომელიც ფაქტობრივად აკონტროლებს მთელი ქვეყნის ეკონომიკურ გარემოს. იგი შედგება სამი ძირითადი ელემენტებისაგან; კორპორაციების მართვის სისტემის, ანუ ტექნოსტრუქტურის, ერთობლივი მოთხოვნის მართვის სისტემისა და მომხმარებლის მართვის სისტემისაგან. ტექნოსტრუქტურა, მესაკუთრისაგან განსხვავებით, ფლობს რეალურ ძალაუფლებას კორპორაციებში, რეალურად განსაზღვრავს წარმოებას. ამასთან, იგი არის სოციალური ჯგუფი, რომლის გაბატონებული მდგომარეობა ეკონომიკაში განისაზღვრება მისი მონაწილეობით სტრატეგიული გადაწყვეტილებების მიღებაში. ეს ჯგუფი აკონტროლებს საკუთრებას, თუმცა მთლიანად არ ფლობს მას. ტექნოსტრუქტურის საქმიანობა მიმართულია წარმოების რეგულირების ადმინისტრაციული მექანიზმის გაფართოებისაკენ. კომპანიების შეერთება, გაუნაწილებელი მოგება, დასაქმების პოლიტიკა, გრძელვადიანი ფირმათაშორისი კონტრაქტები – ყველაფერი ეს გამოიყენება საბაზრო მიწოდების განუსაზღვრელობის შესამცირებლად და საბაზრო ფასების პრობლემის სიმწვავის შესარბილებლად. მოგების მაქსიმიზაცია, ან ავტონომიური მენეჯმენტის შენარჩუნებისათვის აუცილებელი მოგების მასის მიღება, არის

ფირმის მხოლოდ ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მიზანი სხვა მიზნებთან ერთად – ეკონომიკური ძალის გადიდება, ზრდის უზრუნველყოფა და ა.შ. ინსტიტუციონალიზმი ასაბუთებს, რომ მენეჯერების გადაწყვეტილებები ფაქტობრივად ცვლიან ბაზრის გადაწყვეტილებებს. აქ იგულისხმება, უწინარეს ყოვლისა, ის, რომ მსხვილი ფირმები თვითონ აწესებენ ფასებს ადმინისტრაციულად, რადგანაც ბაზრების დიდი უმრავლესობა არასრულყოფილი და არაკონკურენტულია; ტექნოსტრუქტურა ფლობს როგორც შიდაფირმულ, ასევე გარკვეულ ჯგუფურ ძალაუფლებას ქვეყნის შიგნით; საკუთრივ კორპორაციაც, როგორც ფირმა, ხასიათდება ინსტიტუციური ძალაუფლებით.

ერთობლივი მოთხოვნის მართვის საკითხში ინსტიტუციონალისტები ეთანხმებიან კეინსიანელებს, რადგანაც სახელმწიფომ უნდა უზრუნველყს ეკონომიკის სტაბილური ზრდა მოხმარების ფუნქციის ყოველმხრივი სტიმულირებით.

დიდი მნიშვნელობა აქვს მომხმარებლის მართვის ინსტიტუციურ კონცეფციას. აკონტროლებენ რა ფასწარმოქმნას დიდი ზომით სასაქონლო ბაზრებზე, კორპორაციები ისწრაფვიან შეასუსტონ გასაღების სისტემის ყველაზე უფრო არასტაბილური და არაპროგნოზირებული ელემენტის – მომხმარებლის ქცევა. ეს ხორციელდება ძირითადად არაფასობრივი კონკურენციით: რეკლამით, გასაღების ტექნიკის განვითარებით და ა.შ. ამით მიიღწევა მოთხოვნის გადიდება შესაბამის პროდუქციაზე. არანაკლები მნიშვნელობისაა, აგრეთვე, სამომხმარებლო კრედიტის გაფართოება, ისევე როგორც მასობრივი მოხმარების დაფინანსებამ უზრუნველყო გეგმიანი სისტემის სტაბილურობისათვის აუცილებელი მოთხოვნა. გელბრეითის აზრით, წარმოების დაგეგმვა მსხვილ კორპორაციებში,სახელმწიფოს მაკროეკონომიკური მართვა და გასაღების სტიმულიება მომხმარებელზე კონტროლის გზით ქმნის კონკრეტული ბაზრის ჩანაცვლების შესაძლებლობას თანამედროვე ეკონომიკაში.[65]

ინსტიტუციური თეორია უარყოფს ნეოკლასიკოსების ამოსავალ მეთოდოლოგიურ პრინციპებს ეკონომიკური ადამიანის, რაციონა-

65. Д. Сиссел. Концепция планирующей системы Гелбрита как заменитель теории рынка.- РЖ. Общественные науки за рубежом. М., 1985, 3, с. 56-58.

ლური ინდივიდის, რაციონალური ფირმისა და წონასწორობის შესახებ. გელბრეითი ხაზს უსვამს გადაწყვეტილებათა მიღების ჯგუფურ ხასიათს. ტექნოსტრუქტურა ინდვიდთა ის ჯგუფია, რომელიც აღჭურვილია ძალაუფლებით და ამის საფუძველზე იღებს გადაწყვეტილებებს. პირობები, რითაც ფირმები აღწევენ მოგების მაქსიმიზაციას – თავისუფალი კონკურენცია, მესაკუთრეთა კონტროლი, რაციონალური კორპორაციები – თანამედროვე ეკონომიკაში არ არსებობენ, ან თუ არსებობენ, მხოლოდ გამონაკლისის სახით. მსხვილი კორპორაციები არ ემორჩილებიან კონკურენტული საბაზრო მექანიზმის დისციპლინას, ისინი თვითონ აყალიბებენ სამომხმარებლო მოთხოვნას. სწორედ ძალაუფლებითი ურთიერთობები, და არა საბაზრო ურთიერთობები, განსაზღვრავენ კორპორაციების არსსა და მათ ურთიერთქმედებას სხვა კორპორაციებთან.[66]

არ შეიძლება არ აღინიშნოს ფ. პერრუსა და საერთოდ ფრანგული სოციოლოგიური და სტრუქტურული სკოლის წარმომადგენლების დიდი წვლილი წონასწორობის ზოგადი თეორიისა და ეკონომიკური ძალაუფლების თეორიის განვითარებაში. ეკონომიკური სტრუქტურები, პერრუს აზრით, არის, უწინარეს ყოვლისა, ურთიერთობის ძალისმიერი ქსელი არათანასწორ ეკონომიკურ აგენტებს შორის, რომლებიც აგებენ თავიანთ სამეურნეო კავშირებს არა ბაზრის აბსტრაქტული კანონების, არა მოთხოვნასა და მოწოდებას შორის სტიქიურად ჩამოყალიბებული თანაფარდობების მიხედვით, არამედ თვითონ აქტიურად აყალიბებენ ეკონომიკურ სივრცეს, საქონელთა რაოდენობასა და ფასებს მათზე. სტრუქტურები – პროდუქტია კოლექტიური საქმიანობის, ბრძოლის, კონკურენციის, მეტოქეობის, კონფლიქტების, თანამშრომლობის, ძალაუფლების განხორციელების. სინამდვილეში საქონლის და მომსახურების საბაზრო ნაკადებს ემატება ზემოქმედების, ზეგავლენის არასაბაზრო ნაკადები, რომლებიც ქმნიან ძალაუფლებით, ძალისმიერ ურთიერთობებს, ანუ ურთიერთობებს ძალის მიხედვით. ბაზრის კონკრეტული ფირმები არ შეიძლება განისაზღვრონ სოციალურ ჯგუფებს შორის ძალთა თანაფარდობის მხედველობაში მიღების გარეშე. თუ წონასწორო-

66. Дж. Гэлбрейт. Гэлбрейт и теория корпорации. _ РЖ. Ощест_ венные науки за рубежом. М., 1985,3, 50-52.

ბის მოდელში შევიტანთ დროის ფაქტორს, აღნიშნავს პერრუ, მაშინ მისი ყველა პარამეტრი ყალიბდება ეკონომიკურ აგენტებს შორის ძალთა თანაფარდობის ზეგავლენით. ეს შეეხება როგორც წარმოებას, განაწილებას, ასევე, მიზნის მაქსიმიზაციას, ე.ი. მოგების, სარგებლიანობის მიღებას. ერთი ეკონომიკური აგენტის ძალა მეორის მიმართ ვლინდება ზეგავლენის, ლიდერობის, ნაწილობრივი ან სრული დაქვემდებარების სახით.[67] ძალაუფლება კი, როგორც თანამედროვე სოციოლოგიიდან არის ცნობილი, წარმოიშობა და მოქმედებს ორგანიზებული მთლიანობის, სისტემის ფარგლებში. მაგრამ ეს ფაქტი, შეუთავსებადია ვალრასი-პარეტოს წონასწორობის თეორიისათვის, რომელიც უარყოფს ძალისმიერ ურთიერთობებს.

ამრიგად, ინსტიტუციურ-სოციოლოგიური მიმართულების კვლევის ცენტრშია ძალაუფლებითი ურთიერთობები ეკონომიკურ აგენტებს – სახელმწიფოს, ფირმებს, ორგანიზაციებს, ინდივიდებს შორის, რომლებიც განსაზღვრავენ მათ თავისებურებებს, განვითარებას, მათ შორის ეკონომიკური ეფექტიანობის დინამიკას. მაგრამ, ამასთან ერთად, ყურადღებას იპყრობს შემდეგი მნიშვნელოვანი გარემოებაც. ორთოდოქსული მიმართულებები, როგორც უკვე აღინიშნა, ავითარებდნენ ეკონომიკური ეფექტიანობის სტატიკურ თეორიას. იგი შეისწავლის სხვაობას რომელიმე დროთა ფაქტიური ყიდვა-გაყიდვის მოცულობასა და იმ მოცულობას შორის, რომელიც თეორიულად განისაზღვრება საერთო საბაზრო წონასწორობის ფასებით. მაშასადამე, ისინი განსაზღვრავენ რესურსების გამოყენების ეფექტიანობას მხოლოდ საწარმოო პროცესის მიხედვით. რესურსების გამოყენების სხვა ასპექტები – შრომის, კაპიტალის, დროის, საკრედიტო რესურსების, ინფორმაციის გამოყენების ხარისხი რჩებოდა სტატიკური ეფექტიანობის მიღმა; არ განიხილებოდა, რადგანაც ორთოდოქსული მიმდინარეობების მიხედვით, ისინი ინჟინრების, საწარმოო მენეჯერების, ანუ ტექნიკური ეფექტიანობის პრობლემებია და არა ეკონომისტების, ეკონომიკური ეფექტიანობის პრობლემები. მაგრამ ფირმა არ გამოიყენებს ოპტიმალური ეფექტიანობით შრომას, კაპიტალს, ინფორმაციას. ამ ეფექტიანობას, რომელიც უცნობია სტატიკური ეფექტიანობის საფუძველზე

67. Критика современной буржуазной политэкономии. М., 1977, с. 362-374.

წარმოებული გაზომვებისათვის X – ეფექტიანობას. ის გამოხატავს რესურსების გამოუყენებლობას, დანაკარგებს, ე.ი. არაეფექტიანობას, რომელიც გამოწვეულია თვით ფირმის მიერ. ასეთ შემთხვევას მიეკუთვნება მონოპოლიის მიერ ტექნოლოგიური სიახლეების დანერგვის შეფერხება, რადგანაც მონოპოლიური ძალაუფლება მაინც უზრუნველყოფს მისთვის მაღალ მოგებას. სხვა შემთხვევაა რისკზე წასვლის სურვილის უქონლობა, სამუშაოზე არაკომპეტენტური მუშაკების მიღება, სიმძლავრეთა დაუტვირთაობა, მოცდენები და ა.შ.

ინსტიტუციური მიმართულება დიდ ყურადღებას უთმობს თეორიას, განსაკუთრებით გამოირჩევა ფუნქიონალური მოგების კონცეფცია, ინსტიტუციური მოგებისა და მოგების ალტერნატიული თეორია.

ინსტიტუციონალისტების მიხედვით შემოსავლების ფორმირება წარმოების სფეროში განსაზღვრული სოციალური ფუნქციების – შემოქმედების, მართვის შედეგია, ხოლო მოგების მითვისება – განაწილების პროცესზე ინსტიტუტების ზემოქმედების შედეგი. ფუნქციონალური მოგების თეორიის ფუძემდებელია ი. შუმპეტერი, რომელიც მიიჩნევს, რომ მოგება არის მეწარმის ანაზღაურება მისი ინოვაციური ფუნქციისათვის, ე.ი. ტექნიკური პროგრესის მიღწევების დანერგვისა, ახალი რესურსების აღმოცენებისა და გამოყენებისათვის. მოგება წარმოიშობა მხოლოდ დინამიკური ეკონომიკისას, ტექნიკური პროგრესის საფუძველზე.[68] მეწარმის მიერ საწარმოო ფაქტორების ახალი კომბინაციის დანერგვით მცირდება წარმოების დანახარჯები და წარმოიშობა მოგება როგორც სხვაობა შემოსავლებსა და დანახარჯებს შორის. მაშასადამე, იგი დროებითი მოვლენაა და მიიღწევა შრომის მწარმოებლურობის ამაღლების და ტექნიკური პროგრესის დროს. რადგანაც მსხვილ ფირმებს მეტი შესაძლებლობა აქვთ დანერგონ ტენიქკური სიახლეები, ისინი გვევლინებიან ეკონომიკური განვითარების დინამიზაციის ფაქტორად, ხოლო მათ შორის კონკურენცია ტექნოლოგიების სფეროში ლიდერობისათვის ეფექტიანი კონკურენციის უმნიშვნელოვანესი ფორმაა.[69]

ფ. პერრუც, შუმპეტერის მსგავსად, განსაზღვრავს მოგებას რო-

68. И Шумпетер. Теория экономического развития. М., 1982.

69. И. Шумпетер. Капитализм, социализм и демократия М., 1995.

გორც ინოვაციური საქმიანობის და ეკონომიკური ძალაუფლების ფუნქციებისათვის ანაზღაურებას. ის გამოყოფს შემოქმედებითი მომსახურებისა და ეკონომიკური ძალაუფლების ფუნქციას. მოგების ინსტიტუციური თეორია მოგების წყაროდ არაეკონომიკური, ინსტიტუციურ ფაქტორებს, პირველ რიგში, ძალისმიერ მეთოდებზე დამყარებულ ურთიერთობებს მიიჩნევს. ეკონომიკური შემოქმედებისათვის საჭიროა არა მხოლოდ გამომგონებლობა, არამედ ნოვაციებზე ზეგავლენის მოხდენა, ეს კი ნიშნავს რაღაც ძალაუფლების განხორციელებას. პერრუ ხაზს უსვამს მეწარმის ძალაუფლების რაციონალურ, შემოქმედებით ხასიათს. მისი აზრით, მოგება არის შემოსავალი იმ ფუნქციისაგან (იგულისხმება მეწარმის ფუნქცია, რომელსაც ობიექტურად წინა პლანზე აყენებს თანამედროვე განვითარება და რომლის იგნორირება პოლიტიკურ ეკონომიას არ შეუძლია. მოგება ნაწილდება აქციონერებზე დივიდენდების სახით, ტექნოსტრუქტურაზე ბონუსებისა და პრემიების სახით, მუშაკებზე, რომლებიც მონაწილეობენ მოგების განაწილებაში, სახელმწიფოზე დაგეგმვის სისტემის მეშვეობით.[70]

ეფექტიანი მეურნეობრიობის მასტიმულირებელ მოტივად ჯ. გელბრეითი მიიჩნევს ძალაუფლების გადაადგილებას წარმოების ერთი ფაქტორიდან მეორეზე. ძალაუფლება ეკონომიკაში, მისი აზრით, თავდაპირველად ემყარებოდა მიწის ფლობას, შემდეგ იგი გადავიდა კაპიტალის ფლობაზე, თანამედროვე პირობებში კი ძალაუფლებას განაპირობებს ცოდნისა და გამოცდილების ფლობა, რომელსაც გამოხატავს ტექნოსტრუქტურა. ამ პროცესის პარალელურად იცვლებოდნენ მოტივებიც, რომლებიც განაგებდნენ ადამიანის საქმიანობას. სადღეისოდ განვითარებას განაპირობებს, უწინარეს ყოვლისა, ტექნოლოგია და ორგანიზაცია.[71] მას შემდეგ, რაც კაპიტალმა დაკარგა განმსაზღვრელი ძალაუფლება და იგი გადავიდა მართვის ფაქტორზე, ტექნოსტრუქტურასთან, იკარგება მისწრაფება მაქსიმალური მოგებისაკენ. ტექნოსტრუქტურის, კორპორაციისა და საზოგადოების მთავარი მიზანი ხდება ეკონომიკური

70. О. И. Литвиненко. Теории прибыли. М., 1979, с. 126-14

71. Дж. Гэлбрейт. Экономические теории и цели общества, с.67

ზრდის გადიდება და მაქსიმიზაცია.[72] ეს არ არის აბსოლუტური მიზანი, ზრდა შეიძლება მცირე ტემპებითაც განხორციელდეს, მაგრამ იგი უნდა ემსახურებოდეს საზოგადოებრივ კეთილდღეობას, ცხოვრების დონის ამაღლებას.[73]

ამგვარად, ინსტიტუციურ-სოციოლოგიურმა მიმართულებამ ეკონომიკური ეფექტიანობის მრავალი საკითხი სრულიად ახლებულრად წარმოაჩინა. მან უარყო ორთოდოქსული თეორიები (ეკონომიკური ადამიანის, სრულყოფილი კონკურენციის და ა.შ. შესახებ), საერთო ეკონომიკური წონასწორობის თეორიების გაფეტიშება, აბსოლუტიზაცია, დაასაბუთა მათი თეორიულად და პრაქტიკულად მიუღებლობა ვიწრო, კერძო ხასიათის გამო და კვლევის ცენტრში ეკონომიკური ეფექტიანობის სისტემური და დინამიკური თეორიის შექმნის პრობლემა დააყენა. ასეთი მეთოდოლოგიური მიდგომის საფუძველზე იგი განიხილავს ეკონომიკური ეფექტიანობის არა მარტო ეკონომიკურ, არამედ პოლიტიკურ, სამართლებრივ, ინსტიტუციურ, სოციალურ, ეკოლოგიურ, ტექნოლოგიურ, ეთიკურ და სხვა ფაქტორებს, მაკროეკონომიკურ და მიკროეკონომიკურ პირობებს. მისი ყურადღების ცენტრშია საზოგადოებრივი არჩევანის, საკუთრების უფლების, აგენტების, ტრანსაქციული დანახარჯების, წარმოების ეფექტიანობის, ასევე ეკონომიკური ეფექტიანობის დინამიკური და ინსტიტუციური მოგების თეორია, X – ეფექტიანობის, ფუნქციონალური მოგებისა და მოგების შემცველი მოტივაციების თეორია.[74]

72. იქვე. გვ. 136

73. Дж. Гэлбрейт. Новое индустриальное общество, с,67.

74. Дж. Гелбрейт. Новое индустриальное общее) но. с 209, 364.

თავი III
სტრატეგიული რეკომენდაციები ეკონომიკის ეფექტიანობის ზრდისთვის

3.1. ნიადაგის დეგრადაციადა მისი გამომწვევი მიზეზები, პრობლემები და მასთან ბრძოლა

ეკონომიკური ეფექტიანობა – წარმოების (ან მომსახურების) პროცესის სასარგებლო შედეგის (ეფექტის) შეფარდებაა გაწეულ ხარჯებთან (ან გამოყენებულ რესურსებთან). ეფექტიანობის საკითხს მრავალი მეცნიერული დისციპლინა შეისწავლის და მათ შორის ეკონომიკური ეფექტიანობა მრავალი ავტორის დაკვირვების საგანია, შესაბამისად, ის განსხვავებული არგუმენტაციებით გადმოიცემა. ეკონომიკური ეფექტიანობის გაანგარიშება სპეციფიკურ მიდგომებს საჭიროებს მრეწველობაში, სოფლის მეურნეობაში, მშენებლობაში, ვაჭრობაში, მომსახურების სხვა სფეროებში, შესაბამისად, გარკვეულ გაანგარიშებით სირთულეებთან გვაქვს საქმე ეფექტიანობის კრებსითი მაჩვენებლების განსაზღვრისას. ეფექტიანობის საკითხებზე, როგორც ზოგადთეორიულ, ისე დარგობრივ-მიკროეკონომიკურ, ფინანსურ და ეკონომიკურ-მათემატიკურ ასპექტებზე გამოქვეყნებულია ქართველი მეცნიერ-ეკონომისტების (ავთანდილ გუნია, ვლადიმერ პაპავა, ლეო ჩიქავა, ავთანდილ სილაგაძე, ნოდარ ხადური, რამაზ აბესაძე, ნოდარ ჭითანავა, მიხეილ ჯიბუტი, ელგუჯა მექვაბიშვილი, იაკობ მესხია, იური ანანიაშვილი, როლანდ სარჩიმელია, ნიკოლოზ ბაკაშვილი, სლავა ფეტელავა, ლოიდ ქარჩავა, გიორგი შიხაშვილი, დავით ჩლაიძე და სხვ) შრომები.


იტალიელი ეკონომისტის – ვილფრედო პარეტოს მიხედვით, იდეალიზებულ ვარიანტში ეფექტიანია წარმოების შესაძლებლობათა გრაფიკის მხოლოდ ზღვრული სარგებლიანობის სიტუაციები. ეკონომიკური ეფექტიანობის საკითხზე ევროკომისიის ექსპერტთა მეთოდოლოგიის სრულყოფის საფუძველზე, ქართველი ეკონომისტი – რევაზ ლორთქიფანიძე განმარტავს, რომ ეკონომიკაში ზღვრული ეფექტიანობის მისაღწევად, როცა ზღვრული ხარჯები მინიმალური ხდება, საჭიროა განვითარდეს ეკონომიკის ის სტრუქტურული ძვრები, რომლებიც ყველაზე რენტაბელური იმ დარგების ეკონომიკურ ზრდას გამოიწვევს, რომლებსაც ბაზარზე, ამავდროულად, შედარებით მეტი სეგმენტი უჭირავს. ამ მხრივ მცირემიწიანი საქართველოსთვის უმნიშვნელოვანესია ნიადაგის ეფექტიანი გამოყენება.

ნიადაგი ლითოსფეროს ზედა ფხვიერი ფენაა, რომელიც ხასიათდება ნაყოფიერებით. ნიადაგი მცენარეებს უზრუნველყოფს წყლით, სითბოთი და საკვები ნივთიერებებით, რაც სასოფლო-სამეურნეო კულტურათა მოსავლიანობას განაპირობებს.

ნიადაგის დეგრადაციის გამომწვევი მთავარი ბუნებრივი და ანთროპოგენური ფაქტორებია:

- გადაჭარბებული ძოვება
- ტყის ფართობების შემცირება
- არამდგრადი სასოფლო-სამეურნეო პრაქტიკა
- ტერიტორიების არარაციონალური ათვისება ურბანული განვითარების მიზნით
- ქარისმიერი და წყლისმიერი ეროზია,
- დაბინძურება
- მეორეული დაჭაობება
- დამლაშება
- სასარგებლო წიაღისეულის ღია კარიერული წესით მოპოვება
- არასწორი და არამდგრადი სასოფლო-სამეურნეო საქმიანობები
- საძოვრების არამდგრადი მართვა და სხვა
- გვალვა, ქარი, წყალდიდობა, ღვარცოფი

ნიადაგის დეგრადაციის გამომწვევი მიზეზები



ამჟამად საქართველოში სასოფლო-სამეურნეო მიწების 35%-ზე მეტი დეგრადირებულია. ნიადაგის ნაყოფიერება უმეტესად პირდაპირ კავშირშია მასში ჰუმუსის პროცენტულ შემცველობასთან (1-2%-დან 12-15%-მდე, ნიადაგის ზედა ფენებში), რომელიც შეიცავს როგორც ორგანულ, ისე მინერალურ ნივთიერებებს მცენარისთვის ხელსაყრელ, შესათვისებელ ფორმებში. ორგანული ნივთიერებებით გაჯერებული ჰუმუსის ფენა აუმჯობესებს როგორც ნიადაგის სტრუქტურასა და ეროზიისადმი გამძლეობას, ასევე უზრუნველყოფს მცენარეებისთვის ხანგრძლივი დროის მანძილზე საჭირო წყლის (ტენი), საკვები ელემენტებისა (აზოტი, ფოსფორი, კალიუმი) და მიკროელემენტების შენახვა-მიწოდებას. ნიადაგი პირდაპირი თუ არაპირდაპირი გზით უზრუნველყოფს ადამიანის თითქმის ყველა საჭიროებას საკვებზე, ტანსაცმელზე, თავშესაფარსა თუ სიცოცხლისათვის აუცილებელ სხვა მოთხოვნილებაზე.

ნიადაგი მრავალი განახლებადი რესურსის წყაროა. მისი როლი განსაკუთრებით მაშინ იზრდება, როდესაც ჩნდება არაგანახლებადი რესურსების განახლებადით ჩანაცვლების საჭიროება. განვითარების როგორ მაღალ დონესაც არ უნდა მიაღწიოს ადამიანმა, ჩვენი დამოკიდებულება ნიადაგის რესურსებზე არა თუ შემცირდება, არამედ გაიზრდება კიდეც. ნიადაგის ხარისხი უარესდება. ამის გამომწვევი მთავარი მიზეზებია: ეროზია, დაბინძურება, მეორეული დაჭაობება, დამლაშება, სასარგებლო წიაღისეულისა და

საშენი მასალების ღია წესით მოპოვება, არასწორი და არამდგრადი სამეურნეო საქმიანობები, საძოვრების არამდგრადი მართვა და სხვ. ნიადაგის დაცვა და მისი ნაყოფიერების შენარჩუნება უმნიშვნელოვანესი საკითხია, რადგან ნიადაგის მდგრადი გამოყენება სოფლის მეურნეობისა და ეკონომიკის განვითარების მთავარი რეზერვი და მდგრად გარემოში ცხოვრების წინაპირობაა.

არსებობს ნიადაგის დეგრადაციის სამი სახე: ფიზიკური, ბიოლოგიური და ქიმიური. ფიზიკური დეგრადაციის დროს ნიადაგის ნაყოფიერი ფენა ფიზიკურად განადგურებულია (სასარგებლო წიაღისეულის ღია კარიერული წესით მოპოვება, გზის მშენებლობა და სხვა.) ქიმიური დეგრადაციის შემთხვევაში უარესდება ნიადაგის ქიმიური შედგენილობა და ნიადაგის ნაყოფიერ ფენაში არსებული ქიმიური ელემენტები Na, Ca, P, K და სხვა მცირდება. ბიოლოგიური დეგრადაციის შემთხვევაში ირღვევა სხვადასხვა ტიპის ნიადაგის მეზოფაუნისა და მიკროორგანიზმების ოპტიმალური რაოდენობა, რომლებიც მონაწილეობენ მცენარეთა ზრდა-განვითარების პროცესში და შესაბამისა უარესდება სანიტარულ-ეპიდემიოლოგიური მდგომარეობა.

ნიადაგის დეგრადაცია უარყოფითი პროცესია, რომლის შედეგად ნიადაგი კარგავს ადრე დაგროვებულ ორგანულ ნივთიერებებს – ჰუმუსს, რაც იწვევს ნიადაგის ნაყოფიერების კლებას 55-65%-ით და შესაბამისად, მისი ეკონომიკური ღირებულების შემცირებას. იგი გამოწვეულია, როგორც ბუნებრივი ფაქტორებით, ასევე ანთროპოგენული ზემოქმედების შედეგად. მისი ხელშემწყობი ბუნებრივი ფაქტორებია: რელიეფი; კლიმატი; მცენარეული საფარის არარსებობა; წყლისმიერი და ქარისმიერი ეროზია; ნიადაგის შემადგენლობა და სხვა.

ნიადაგის დეგრადაციის გამომწვევი ანთროპოგენური ფაქტორებია: ნიადაგის არამდგრადი (ხშირი, არასწორი) დამუშავება; გადაჭარბებული ძოვება; საძოვრებისა და სასოფლოსამეურნეო სავარგულების გადაწვა; დასახლებების ქაოტური მშენებლობა; პესტიციდებისა და სასუქების ინტენსიური გამოყენება; სასარგებლო წიაღისეულის მოპოვება, ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელება და სხვა. ნიადაგის დეგრადაციასთან ბრძოლის ღონისძიებები.

1. **თესლბრუნვა, რომელიც ხელს უწყობს:მოსავლიანობის ზრდას;** ნიადაგის ნაყოფიერების შენარჩუნებასა და ზრდას; მავნებელ-დაავადებებისა და სარეველების რეგულირებას; მეცხოველეობისათვის საკვები ბაზის შექმნას.
2. **სიდერაცია– ნიადაგის ნაყოფიერების გაზრდის მიზნით** სპეციალურად დათესილი (უმეტესად პარკოსანი) კულტურების (სიდერატები) მწვანე მასის ნიადაგში ჩახვნის სამეურნეო ღონისძიება.

   სიდერაცია ხელს უწყობს ნიადაგის საკვები ელემენტებით გამდიდრებას; სტრუქტურის გაუმჯობესებას; სარეველა მცენარეების შემცირებას; მცენარეთა ყინვაგამძლეობის უნარის გაზრდას და სხვა.
3. **კომპოსტირება-ბიოქიმიური პროცესი,** რომლის საშუალებითაც მყარი ორგანული ნარჩენები ჰუმუსის მსგავს პროდუქტად გარდაიქმნებიან. კომპოსტირების შედეგად მიღებულ მასას, ნიადაგის განაყოფიერების მიზნით იყენებენ.

   კომპოსტირებისათვის საჭირო ორგანული მასალებია:ძროხისა და ფრინველის ნაკელი, ბუმბული, საკვების ორგანული ნარჩენები, ხეხილისა და ვაზის ანასხლავი, ნაცარი, ჩალა, ქაღალდი, ყურძნის ჭაჭა და სხვა.
4. **მულჩი-ორგანული ან არაორგანული მასალა,** რომლითაც იფარება ნიადაგის ზედაპირი, რაც გავლენას ახდენს ნიადაგში მიმდინარე ფიზიკურ, ბიოლოგიურ და ქიმიურ პროცესებზე.

   მულჩი აუმჯობესებს ნიადაგის აგროფიზიკურ თვისებებს და ასევე იცავს ეროზიისაგან. მულჩი ნიადაგს იცავს ქერქის წარმოქმნის, დიდი რაოდენობით ტენის აორთქლებისა და ზედაპირული ჩამონადენისგან გამოწვეული ეროზიული პროცესებისგან. დღეისათვის მულჩირება ფართოდაა გავრცელებული როგორც ერთწლიან, ისე მრავალწლიან კულტურებში, რადგან იგი 9%–მდე ზრდის ნიადაგის ტენიანობას და ამავე დროს 1,5–7,50–ით ამცირებს მის ტემპერატურას.

   მულჩირებისთვის გამოიყენება:

   დაქუცმაცებული ტორფი, გადამწვარი ორგანული მასალა (გადამწვარი ნაკელი, მომწიფებული კომპოსტი და სხვა.), მარცვლეული კულტურების ნამჯა, ჩამოცვენილი ფოთოლი, ნა-

ხერხი, ბალახი, პოლიეთილენი, მუყაო, ქაღალდი და სხვა ორგანული და არაორგანული მასალები.

5. **აგროტექნიკური ღონისძიებები**

ერთწლიანი სასოფლო-სამეურნეო კულტურები, ბიოლოგიური თავისებურებებიდან გამომდინარე, ვეგეტაციის საწყის პერიოდში ვერ იცავენ ნიადაგს თავსხმა წვიმებისა და ზედაპირული ჩამონადენის ეროზიული ზემოქმედებისგან. სწორედ აღნიშნულ პერიოდშია საჭირო ისეთი ნიადაგდაცვითი ღონისძიებების გატარება, როგორიცაა ნიადაგის ღრმა გაფხვიერება, ფართობის ზედაპირის დაღარვა და წყვეტილი კვლების მოწყობა. დაქანებულ ფერდობებზე, მაგალითად, სიმინდის ნათესებისათვის, წყვეტილი კვლების მოწყობის ნაცვლად საკმარისია სიმინდის ძირზე ნიადაგის შემოყრა, რაც ჩაღრმავებულ ადგილებში წყლის შეკავებას იწვევს, აძლიერებს ნიადაგის ფილტრაციის უნარს და მასში წყლის ჩაჟონვას.

6. **წყალამრიდი არხები**

ნიადაგის ეროზიისაგან დაცვის ერთ-ერთ საუკეთესო საშუალებად ითვლება ფერდობებზე ჩამონადენი წვიმის და თოვლის წყლების მოწესრიგება წყალამრიდი არხების გაყვანით. ამ მიზნით სავარგულების ზედა და ფერდობების სხვადასხვა ნაწილში, საჭიროებისამებრ, უნდა მოეწყოს წყალამრიდი არხები, რომელთა ბოლოებიც შეერთებული იქნება წყალგამყვან არხებთან. ისინი, თავის მხრივ, უერთდებიან ახლომდებარე მდინარეებს, ღელეებს, ხევებს და სხვა. წყალამრიდი და წყალგამყვანი არხები დაქანებებზე მოპირკეთებული უნდა იყოს სტანდარტული ფილებით ან ქვებით.

7. **საირიგაციო ღონისძიებები**

იმისათვის, რომ მორწყვამ არ გამოიწვიოს ირიგაციული ეროზია, უნდა შეირჩეს მორწყვის ისეთი წესები, ტექნიკა და რეჟიმი, რომლის დროსაც გამოირიცხება ზედაპირული ჩამონადენის ფორმირება. ირიგაციული ეროზია ინტენსიურად მიმდინარეობს კვლებში მიშვებით მორწყვისას. ამასთანავე, არ შეიძლება ერთსა და იმავე ფერდობზე ისეთი კულტურების მოყვანა, რომლებიც განსხვავდებიან მორწყვის ვადებითა და ნორმებით. ყველა სარწყავ და ურწყავ ფართობზე, ეროზიის ინტენსივობის

შესამცირებლად, ხვნა-თესვა უნდა მოხდეს დაქანების გარდიგარდმო. ირიგაციული ეროზიის ინტენსივობის შესამცირებლად მნიშვნელოვანი საშუალებებია: დაწვიმებით მორწყვა, წვეთოვანი და ე.წ. ნიადაგქვეშა რწყვა. ასეთი მორწყვის წესები პრაქტიკულად გამორიცხავენ ირიგაციული ეროზიის განვითარებას.

8. ქარსაცავი ზოლები

ნიადაგდაცვით ღონისძიებებში ერთ-ერთი საუკეთესო ქმედება ქარსაფარი ზოლების გაშენებაა. დღესდღეობით გავრცელებულია სამ-ოთხმწკრივიანი იარუსული ქარსაფარი ზოლები. ჰაერის მასების პირველი დარტყმა უნდა მიიღოს მაღალმა და მასიურმა ხეების ზოლმა, რომელსაც მორიგეობით მოსდევს სხვადასხვა სიმაღლის ხე-ბუჩქნარი. ქარსაფარი ზოლების გაშენების ასეთი სისტემა 65-70%-ით ანელებს ქარის სიჩქარეს.

9. პესტიციდების და სასუქების მდგრადი მართვა

თანამედროვე სოფლის მეურნეობა სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსაყვანად ინდუსტრიულ ტექნოლოგიებს იყენებს, რომელიც, თავის მხრივ, პესტიციდებისა და სასუქების ინტენსიურ მოხმარებას ითვალისწინებს. პესტიციდების და მცენარეთა დაცვის სხვა ქიმიური საშუალებებისა და არაორგანული/მინერალური და ორგანული სასუქების არასწორმა გამოყენებამ მნიშვნელოვნად დააბინძურა გარემო, რამაც, საბოლოო ჯამში, ნიადაგისა და ატმოსფეროს, მცენარეული და ცხოველური პროდუქტების, სასმელი და სარწყავი წყლების დაბინძურება და დეგრადაცია გამოიწვია, რაც ხშირად ადამიანისა და ცხოველების არა მარტო მოწამვლის და მძიმე დაავადებების, არამედ სიკვდილის გამომწვევი მიზეზიც გამხდარა. აღნიშნული პრობლემის გადასაჭრელად საჭიროა, მკაცრად რეგულირდებოდეს ამ ნივთიერებების დოზირების, ტრანსპორტირების, შენახვარეალიზაციის, ნარჩენების გაუვნებელყოფისა და უსაფრთხოების დაცვის საკითხები. ასევე მნიშვნელოვანია სიფრთხილით შეირჩეს გამოსაყენებელი ქიმიური საშუალებები.

10. მინდვრების გადაწვის მავნე პრაქტიკა და მისი აღმოფხვრა

დღეისათვის ხანძარი საძოვრებისთვის ისევე, როგორც ქარსაცავი ზოლებისა და დაცული ტერიტორიებისთვის, მუდმივ

საფრთხეს წარმოადგენს და აზიანებს მას. ხანძრის მიზეზი ხშირად ხდება მინდვრების გადაწვის მავნე პრაქტიკა, რომელსაც კერძო პირები საკუთარ ტერიტორიაზე ახორციელებენ. ხანძრის დროს, გარდა იმისა, რომ ნადგურდება მინისზედა მცენარეულობა, აუნაზღაურებელი ზიანი ადგება ნიადაგის ჰუმუსს, მასში არსებულ მიკროფლორასა და მიკროფაუნას. მინდვრების გადაწვის ერთ-ერთი მიზეზია ხარჯებისა და შრომის დაზოგვა. ამის თავიდან ასაცილებლად ყანის აღებისას კომბაინის ხედერი მაქსიმალურად დაბლა უნდა დაიწიოს, რომ რაც შეიძლება მეტი მცენარეული მასა მოხვდეს მასში და დანაკარგი მინიმალურამდე შემცირდეს. ასევე, შესაძლებელია, ყანის აღებიდან მალევე ტერიტორიის ხელახალი მოხვნა. სასურველია, აღნიშნული პროცედურა აგვისტოში ან სექტემბრის პირველ ნახევარში ჩატარდეს, რათა ხელი შეუშალოს სარეველა ბალახების მომძლავრებას. აღნიშნულ პრაქტიკას ხშირად იყენებენ უცხოეთში.

11. საძოვრების მდგრადი მართვა

საძოვრების ინტენსიური გამოყენება მინის დეგრადაციის ერთ-ერთი გამომწვევი მიზეზია. ძოვებისაგან გამოწვეული ნეგატიური შედეგების შესამცირებლად, აუცილებელია საძოვრების მდგრადი მართვა. ფინანსური და ეკოლოგიური თვალსაზრისით უფრო მომგებიანია საძოვრების გაუმჯობესება ზედაპირული ღონისძიებებით. ძოვების სეზონის დასრულების შემდეგ, აუცილებელია მექანიზებული წესით ბალახის სისტემატური წათიბვა 5-6 სმ სიმაღლეზე. ეს ღონისძიება ეფექტიანია სარეველებისა და დაბალი კვებითი ღირებულების მცენარეების ნაყოფმსხმოიარობისა და გავრცელების საწინააღმდეგოდ. ამასთანავე, ხელს უწყობს ახალი ფესვებისა და ფოთლების წარმოქმნას, ბალახნარის ძოვადობის გაზრდასა და ხარისხის გაუმჯობესებას. საძოვრების განოყიერებისათვის უმჯობესია ორგანული სასუქების გამოყენება, მაგალითად: ნაკელი, ტორფი და კომპოსტი. სასუქების შეტანა შესაძლებელია მექანიზირებული წესით. ასევე, უმჯობესია ნაკელგამფანტავი სასოფლოსამეურნეო მანქანების გამოყენება, რომლებიც უზრუნველყოფენ ნაკელის თანაბარ განაწილებას ზედაპირზე. 19 მინდვრების გადაწვის მავნე პრაქტიკა და მისი

აღმოფხვრა იმისათვის რომ გამოირიცხოს ბალახნარის ხანგრძილივი და განუწყვეტელი ძოვება, შესაძლებელია რეგულირებული ძოვების სისტემის გამოყენება. ეს გულისხმობს ძოვების დროისა და ფართობების შეზღუდვას ნაკვეთების მონაცვლეობის პერიოდში. მნიშვნელოვანია საძოვართბრუნვის პრაქტიკის განხორციელება, რაც გულისხმობს ძოვების ვადებისა და გამოყენების ჯერადობის დადგენას, გაძოვებისა და გათიბვის, გაძოვებისა და დასვენების, თესლის მომწიფებისშემდეგ გამოყენების და ძოვების სეზონის შენაცვლებას წლების მიხედვით.საძოვრის გამოყენების ვადების შენაცვლება წლების მიხედვით ხორციელდება ნაკვეთების გაძოვების დაწყების მონაცვლეობით. ძლიერ გადაქექილ და დეგრადირებულ საძოვარზე ერთი ან რამდენიმე წლით იზღუდება ძოვება და მხოლოდ მისი აღდგენის შემდეგ იწყება მისი ეტაპობრივი დატვირთვა.

12. ნიადაგის გაუდაბნოებასთან ბრძოლა

გაუდაბნოების/მიწების დეგრადაციის წინააღმდეგ ბრძოლის ასპექტები მოიცავენ, როგორც უშუალოდ გაუდაბნოების/ მიწების დეგრადაციის და გვალვის უარყოფითი ზეგავლენის შედეგების შემცირების, ასევე მიწების რესურსების მდგრადი მართვის (მიწათსარგებლობის, მიწათმფლობელობის, წყლის რესურსების ინტეგრირებული მართვის, დაცული ტერიტორიების მართვის, სოფლის მეურნეობის, კლიმატის ცვლილების ადაპტაციის ხელშემწყობი პრაქტიკა და სხვა) საკითხებს. საქართველოსათვის გაუდაბნოება/მიწის დეგრადაცია არა მარტო ეკოლოგიური, არამედ სოციალური და ეკონომიკური პრობლემაცაა. გადაჭარბებული ძოვება, ტყის ფართობების შემცირება, არამდგრადი სასოფლო-სამეურნეო პრაქტიკა და ტერიტორიების არარაციონალური ათვისება ურბანული განვითარების მიზნით მიწის დეგრადაციის გამომწვევი მთავარი ფაქტორებია.

გაუდაბნოების / მიწის დეგრადაციის პროცესი გამოწვეულია როგორც ბუნებრივი, ისე ანთროპოგენური ფაქტორების ზემოქმედების შედეგად. ბუნებრივი ფაქტორებიდან უმთავრესია: კლიმატუ-

რი, ჰიდროგეოლოგიური, მორფოდინამიკური, ნიადაგური და სხვა. ბუნებრივ გარემოზე ანთროპოგენური ზემოქმედების მხრივ მნიშვნელოვანია სოფლის მეურნეობა, სამთომოპოვებითი სამუშაოები, ურბანიზაცია და სხვა.

ანთროპოგენური ზემოქმედების შედეგად იზრდება არიდული და სემიარიდული ტერიტორიები, სადაც ვითარდება ქარისმიერი და დახრამვითი ეროზიული პროცესები, რასაც თან სდევს ტერიტორიის უმეტეს ნაწილში ბედლენდების წარმოქმნა. ვაკის და მთის ტყეების გაჩეხვის გამო მნიშვნელოვნად გაიზარდა კლიმატის არიდულობა, გააქტიურდა ნიადაგ-მცენარეული საფარის დეგრადაცია და ლანდშაფტის გაუდაბნოება.

ნიადაგის ნაყოფიერების შემცირებას იწვევს დამლაშებისა და გაბიცობების პროცესები. ნიადაგში მიმდინარე დამლაშების პროცესები შესაძლოა დაკავშირებული იქნას მარილშემცველი ქანების გამოფიტვის პროცესებთან, მინერალიზებული გრუნტის წყალთან, ეოლური პროცესებთან ან რიგ სხვა ფაქტორებთან. ასევე აღსანიშნავია არიდულ სამიწათმოქმედო ზონაში რწყვის ნორმების და წესების დაუცველობაც, რომლის შედეგად ფორმირდება მეორადი დამლაშებული ნიადაგები. ნიადაგის ნაყოფიერება მცირდება ნიადაგის ძლიერი მჟავიანობითაც, რასაც იწვევს ფიზიოლოგიურად მჟავე მარილების შემცველი სასუქების ინტენსიური და არარაციონალური გამოყენება, მჟავე ნალექები და სხვა.

გაუდაბნოებასთან ბრძოლის მოქმედებათა პირველი ეროვნული პროგრამა გამოყოფდა შემდეგ ძირითად მიმართულებებს:

- გაუდაბნოების წინააღმდეგ ბრძოლის ეკონომიკური მექანიზმები;
- ბიოლოგიური მრავალფეროვნების შენარჩუნება გაუდაბნოების პროცესების ფონზე;
- მოსახლეობის გარემოსდაცვითი ცნობიერების ამაღლება;
- გაუდაბნოების მონიტორინგი;
- გაუდაბნოება და სოფლის მეურნეობა;
- საერთაშორისო და რეგიონული თანამშრომლობა.

ამ დოკუმენტის შესაბამისად, საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს დაეკისრა მოქმედებათა

გეგმის განხორციელების კოორდინაციის ვალდებულება, ხოლო მის განხორცილებაში სამთავრობო უწყებების გარდა, გათვალისწინებული იყო არასამთავრობო და სამეცნიერო ორგანიზაციებისა და კერძო სექტორის აქტიური მონაწილეობა. აღნიშნული ორგანიზაციები აქტიურად მონაწილეობდნენ ეროვნული გეგმის შემუშავების პროცესშიც.

სტრატეგიული მიზნები:

- დაზარალებული მოსახლეობის საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესება;
- დაზარალებული ეკოსისტემების გაუმჯობესება;
- გლობალური სარგებლის მიღება გაუდაბნოებასთან ბრძოლის გაეროს კონვენციის ეფექტური განხორციელების გზით;
- რესურსების მობილიზება ეროვნული და საერთაშორისო პარტნიორობის გზით, რაც ხელს შეუწყობს კონვენციის განხორცილებას.

აღნიშნული პრობლემების გამომწვევი მიზეზებია:

- ქვეყნის გარემოსდაცვით სტრატეგიულ დოკუმენტებში მიწის დეგრადაციისა და გაუდაბნოების საკითხების ნაკლებ პრიორიტეტულობა და ამ მხრივ მკაფიო ხედვის არარსებობა;
- გადაწყვეტილების მიმღები პირების არასაკმარისი ინფორმირებულობა მიწის დეგრადაციის, გაუდაბნოების საკითხების და ნიადაგის ნაყოფიერი ფენის შენარჩუნების მნიშვნელობაზე;
- საზოგადოების ფართო მასებისათვის მიწის დეგრადაციის, გაუდაბნოების საკითხებზე ინფორმაციის ხელმიუწვდომლობა;
- მიწის დეგრადაციის, გაუდაბნოების საკითხებზე ფორმალური და არაფორმალური განათლების დაბალი ხარისხის სისტემის არსებობა;
- ნაკლები დაინტერესება არასამთავრობო ორგანიზაციებისა და მასმედიის მხრიდან მიწის დეგრადაციის, გაუდაბნოების საკითხებზე მუშაობისა და მათი გაშუქების მხრივ;
- გაუდაბნოებასთან ბრძოლის კონვენციის ფარგლებში კომუნიკაციის სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის არარსებობა;
- ადგილობრივ დონეზე მიწის დეგრადაციის თავიდან აცილებისა და მიწის რესურსების მდგრადი მართვის მიმართულებით მომუშავე სათემო ორგანიზაციების სიმწირე.

საქართველოს ბიომრავალფეროვნების დაცვის სტრატეგია და მოქმედებათა გეგმა (2014-2020 წწ.)[75]

2014-2020 წლების პერიოდისთვის შემუშავებული საქართველოს ბიომრავალფეროვნების დაცვის სტრატეგია და მოქმედებათა გეგმა დამტკიცდა საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 მაისის №343 დადგენილებით. ამ დოკუმენტით განისაზღვრა ქვეყნის ბიომრავალფეროვნების დაცვისა და გონივრული გამოყენების სტრატეგია და კონკრეტული ქმედებები 5-წლიანი პერიოდისათვის.

სტრატეგია და მოქმედებათა გეგმა მოიცავს საქართველოს ბიომრავალფეროვნების მიმოხილვას, ქვეყნისბიომრავალფეროვნების დაცვისა და შენარჩუნების სამომავლო ხედვასა და ეროვნულ მიზნებს, რასაც მოსდევს სიტუაციის ანალიზი შემდეგი თემატური მიმართულებების მიხედვით:

- სახეობები და ჰაბიტატები;
- დაცული ტერიტორიები;
- ტყის ეკოსისტემები;
- აგრარული ბიომრავალფეროვნება და ბუნებრივი სათიბ-საძოვრები;
- შიდა წყლის ეკოსისტემები;
- შავი ზღვა;
- მმართველობა და გამჭოლი საკითხები;
- საზოგადოების ცნობიერება, განათლება და კომუნიკაცია.

სტრატეგია და მოქმედებათა გეგმა ძირითადად აგრარული ბიომრავალფეროვნებისა და ბუნებრივი სათიბ-საძოვრების ნაწილში მოიცავს ნიადაგების დეგრადაციასთან/ეროზიასთან დაკავშირებულ საკითხებს. კერძოდ, სტრატეგიისა და მოქმედებათა გეგმის მიხედვით სასოფლო-სამეურნეო ეკოსისტემების დეგრადაციის თვალსაზრისით სერიოზულ პრობლემას წარმოადგენს ნიადაგების დეგრადაცია/ეროზია. სოფლის მეურნეობის არსებული პოლიტიკა მცირედ უზრუნველყოფს სასოფლო მეურნეობებში სანიმუშო სა-

75. https://matsne.gov.ge/index.php?option=com_ldmssearch&view=docView&id=2663271&lang=ge.
გაუდაბნოებასთან ბრძოლის მოქმედებათა მეორე ეროვნული პროგრამის დამტკიცების შესახებ დოკუმენტის ნომერი 742. დოკუმენტის მიმღები საქართველოს მთავრობა მიღების თარიღი 29/12/2014

სოფლო სამეურნეო პრაქტიკის (მაგ.: აგროქომიკატების მდგრადი გამოყენება, ირიგაციის, მიწის დამუშავებისა და მორწყვის თანამედროვე ტექნოლოგიები) გამოყენებას, აგროეკოლოგიური მეთოდების (ლანდშაფტების დაგეგმარება, ქარსაცავი ზონების გაშენება, კულტურათა მონაცვლეობა, ნიადაგის ფილტრაცია და სხვ.) გამოყენებისა და ბიომეურნეობის განვითარებას. არ არსებობს ძლიერ ეროზირებული, მძიმე ლითონებითა და რადიონუკლიდებით დაბინძურებული ნიადაგების აღდგენის ან უარყოფითი შედეგების შემცირების ადექვატური პროგრამები. ბუნებრივი ჰაბიტატების შემცირება და მოდიფიკაცია (ბუფერული ზონების შემცირება, მონოკულტურული წარმოება), ინსექტიციდების არასწორი მოხმარება და მავნე ზეგავლენის მქონე აგროქიმიკატების გამოყენება იწვევს სასარგებლო მწერების პოპულაციების შემცირებას.

გარდა ამისა, ხაზგასმულია, რომ საქართველოს სემიარიდული ეკოსისტემები, რომელთა დიდი ნაწილი საქონლის ზამთრის საძოვრად გამოიყენება, საფრთხის ქვეშაა ჭარბი და უსისტემო ძოვების გამო. ნიადაგის ეროზიისა და საძოვრების დეგრადაციის პროცესი, რომელიც საბჭოთა პერიოდიდან იღებს სათავეს, ბევრ ადგილას კრიტიკულ ზღვრამდეა მისული და სასწრაფო ღონისძიებების გატარებას მოითხოვს შეუქცევადი პროცესების თავიდან ასაცილებლად; ინფრასტრუქტურული პროექტები (გზების, მილსადენების, შენობა-ნაგებობებისა და წყალსაცავების მშენებლობა), წიაღისეულის მოპოვება (მაგალითად, ჭიათურის მანგანუმის მოპოვება) ღია კარიერული წესით და მიწის ნაყოფიერი ფენის მოხსნა, იწვევს გარკვეულ ფართობებზე ტყის საფარის კარგვასა და დეგრადაციას. დღეისათვის აღნიშნული მიზეზებით ტყის საფარის შემცირება შედარებით მცირე ფართობებზე ხდება, მაგრამ მომავალში, ქვეყნის ეკონომიკური ზრდის ფონზე, სათანადო კონტროლის არარსებობის პირობებში, შესაძლებელია ამ პრობლემის გამწვავება; არ არსებობს სრულყოფილი ინფორმაცია სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ზაფხულისა და ზამთრის საძოვრების შესახებ (ფართობი და ნაკვეთების რაოდენობა მუნიციპალიტეტების მიხედვით) და არ არის შესწავლილი მათი მდგომარეობა (გამოყენება, დატვირთვა, მცენარეული საფარი, ნაყოფიერების მაჩვენებელი და ა.შ).

- ადვოკატირება, ცნობიერების ამაღლება და განათლება;
- პოლიტიკა და კანონმდებლობა;
- ტექნოლოგია და ცოდნა;
- შესაძლებლობების გაძლიერება;
- დაფინასება და ტექნოლოგიის გაცვლა.

ზემოთ ჩამოთვლილი მიზნების მიხედვით და სტრატეგიით განსაზღვრული მისაღწევი შედეგების გათვალისწინებით შემუშავდა საქართველოს გაუდაბნოებას თანბრძოლის მეორე ეროვნული პროგრამის სტრუქტურა, რაც შეთავაზებული იყო სამუშაო შეხვედრაზე. დაინტერესებული მხარეების მიერ გამოთქმული შენიშვნები და მოსაზრებები გათვალისწინებული იყო მოქმედებათა ეროვნული პროგრამის საბოლოო ვარიანტში.

აღსანიშნავია, რომ მოქმედებათა ეროვნული პროგრამის შემუშავების პროცესში გათვალისწინებული იყო კონვენციის ერთ-ერთი ვალდებულება ქალების, მამაკაცებისა და ახალგაზრდების თანაბარი ჩართულობა.

„მიწის დეგრადაციისა და სიღარიბის შემცირების მიზნით სასოფლო ტერიტორიებზე ლანდშაფტისა და მიწის რესურსების მდგრადი მართვის დანერგვა“ დამატებითი რესურსების (მათ შორის ფინანსური) მოზიდვა

- **გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი**
- **USAID – ACDI/VOCA ფერმერი ფერმერისთვის**
- **WRI _ GFW**
- **IFAD _ AMMAR**
- **UNCCD სამდივნო**
- **საჯარო რეესტრი – WB პროექტი**
- **ქონების მართვის ეროვნული სააგენტო**
- **NACRES**
- **Alvani 2000 (GEF)**
- **ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო – სივრცული დაგეგმარების პროექტი (BMZ/GIZ) მოქმედი კანონმდებლობა**

მინის რესურსების მდგრადი მართვის (მათ შორის გაუდაბნოებასთან/მინის დეგრადაციასთან ბრძოლისა და გვალვის უარყოფითი ზეგავლენის შედეგების შემცირების) **სფეროში საქართველოს კანონმდებლობა** შედგება საქართველოს კონსტიტუციის, საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებისა და შეთანხმებების, საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებისაგან.

აღნიშნულ სფეროში საქართველოში მოქმედ პოლიტიკისა და კანონმდებლობის განმსაზღვრელ ქვაკუთხედს წარმოადგენს საქართველოს კონსტიტუცია, რომლის მიხედვითაც: ყველას აქვს უფლება ცხოვრობდეს ჯანმრთელობისათვის უვნებელ გარემოში, სარგებლობდეს ბუნებრივი და კულტურული გარემოთი. ყველა ვალდებულია გაუფრთხილდეს ბუნებრივ და კულტურულ გარემოს; სახელმწიფო ახლანდელი და მომავალი თაობების ინტერესების გათვალისწინებით უზრუნველყოფს გარემოს დაცვას და ბუნებრივი რესურსებით რაციონალურ სარგებლობას, ქვეყნის მდგრად განვითარებას საზოგადოების ეკონომიკური და ეკოლოგიური ინტერესების შესაბამისად ადამიანის ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო გარემოს უზრუნველსაყოფად; ყველას აქვს უფლება, დროულად მიიღოს სრული და ობიექტური ინფორმაცია გარემოს მდგომარეობის შესახებ.

მნიშვნელოვანი საერთაშორისო ხელშეკრულებები და შეთანხმებები. საქართველოს კანონმდებლობის მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენს საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებები და შეთანხმებები. **მინის რესურსების მდგრადი მართვის, გაუდაბნოებასთან/მინის დეგრადაციასთან ბრძოლისა და** გვალვის (მათ შორის კლიმატიც ცვლილების შედეგად გამოწვეული გვალვის) უარყოფითი ზეგავლენის შედეგების შემცირების **სფეროში საქართველო წარმოადგენს შემდეგი მნიშვნელოვანი მრავალმხრივი** საერთაშორისო ხელშეკრულებების მხარეს:

- გაეროს კონვენცია გაუდაბნოებასთან ბრძოლის შესახებ
- კონვენცია ბიოლოგიური მრავალფეროვნების შესახებ
- გაეროს კლიმატის ცვლილების ჩარჩო კონვენცია

ცხრილი №10. „მინის დეგრადაციისა და სილარიბის შემცირების მიზნით სასოფლო ტერიტორიებზე ლანდშაფტისა და მინის რესურსების მდგრადი მართვის დანერგვა“

თესლბრუნვის თანამიმდევრობის	თესლბრუნვის განხორციელების წლები								
სქემები (კულტურათა თანამიმდევრობის ჩვენებით)	I წელი	II წელი	III წელი	IV წელი	V წელი	VI წელი	VII წელი	VIII წელი	IX წელი
სქემა N1 (ურნყავი და სარწყავი ნაკვეთებითვის)	ბარდა	ხორბალი	ხორბალი	ნინიბურა	ხორბალი	ხორბალი	ბარდა	ხორბალი	ხორბალი
სქემა N2 (სარწყავი ნაკვეთებისთვის	ხორბალი და ბარდა (ბარდა, რომგორც შუალედური კულტურა)	ხორბალი	ხორბალი	ნინიბურა	ხორბალი	ხორბალი	ხორბალი და ბარდა (ბარდა, რომგორც შუალედური კულტურა)	ხორბალი	ხორბალი
სქემა N3 (ურნყავი და სარწყავი ნაკვეთებისთვის)	ნინიბურა	ხორბალი	ხორბალი	ბარდა	ხორბალი	ხორბალი	ბარდა	ხორბალი	ხორბალი

გაეროს კონვენცია გაუდაბნოებასთან ბრძოლის შესახებ (UNCCD). გაუდაბნოებასთან ბრძოლის საკითხს ყურადღება მიექცა ჯერ კიდევ გაეროს კონფერენციაზე გარემოს დაცვისა და განვითარების შესახებ (რიო დე ჟანეირო, 1992 წ.). კონფერენციამ მხარი დაუჭირა ამ პრობლემის გადაჭრისათვის ახალ ერთობლივ მიდგომას, რომ უზრუნველყოფილი ყოფილიყო მდგრადი განვითარება საზოგადოებრივ დონეზე. შედეგად შემუშავებული და 1994 წლის 17 ივნისს პარიზში მიღებული იქნა და ძალაში შევიდა გაეროს კონვენცია გაუდაბნოებასთან ბრძოლის შესახებ, რომელსაც საქართველო 1999 წელს მიუერთდა.

კონვენციის მიხედვით „გაუდაბნოება“ ნიშნავს მიწის დეგრადაციას არიდულ, ნახევრად არიდულ და მშრალ სუბნოტიო რაიონებში, გამოწვეულს სხვადასხვა ფაქტორებით, მათ შორის კლიმატური ცვლილებებით და ადამიანის საქმიანობით, ხოლო „გაუდაბნოებასთან ბრძოლა“ მოიცავს მოქმედებებს, რომლებიც არიან მიწის რესურსების კომპლექსური განვითარების ნაწილი არიდულ, ნახევრად არიდულ და მშრალ სუბ-ნოტიო რაიონებში მდგრადი განვითარებისათვის, რაც, თავის მხრივ გულისხმობს:

- მიწის დეგრადაციის თავიდან აცილებას და/ან შემცირებას;
- ნაწილობრივ დეგრადირებული მიწის რეაბილიტაციას;
- გაუდაბნოებული მიწების მელიორაციას.

კონვენციის მიზანია იმ ქვეყნებში, რომლებიც განიცდიან სერიოზულ გვალვას და/ან გაუდაბნოებას, გაუდაბნოებასთან ბრძოლა და გვალვის შედეგების შემცირება განხორციელდეს ეფექტური ზომების გამოყენებით და ინტეგრირებული მიდგომის ჩარჩოებში, რომელიც შეესაბამება მდგრადი განვითარების პრინციპებს. ამ მიზნის მისაღწევად აუცილებელია მონაწილე მხარეებმა შეიმუშაონ გრძელვადიანი ინტეგრირებული სტრატეგია, ერთდროულად მიმართული მიწის პროდუქტიულობის გაზრდისაკენ და მიწისა და წყლის რესურსების დაცვისა და მდგრადი მენეჯმენტისკენ. კონვენციის მონაწილე მხარეთა ერთ-ერთ ძირითად ვალდებულებას წარმოადგენს გაუდაბნოებასთან ბრძოლის მოქმედებათა ეროვნული პროგრამების შემუშავება. ეროვნული პროგრამების მიზანია განსაზღვრონ გაუდაბნოების გამომწვევი ფაქტორები და გაუდაბნოებასთან ბრძოლისა და გვალვის შედეგების შემცირებისთვის აუცილებელი პრაქტიკული ღონისძიებები.

გაუდაბნოება მნიშვნელოვან სოციალურ, ეკონომიკურ და ეკოლოგიურ პრობლემას წარმოადგენს საქართველოსთვის, როგორც მცირემიწიანი აგრარული ქვეყნისათვის. თუმცა, საქართველოს პირობებში გაუდაბნოება შეზღუდულია გეოგრაფიული არეალით. მიწის დეგრადაციის ისეთი ფორმები კი, როგორიცაა გაუტყეურება, ქარისმიერი და წყლისმიერი ეროზია, მეწყერები, გადაჭარბებული ძოვება, ნიადაგის საკვები ელემენტების გაღარიბება, ნიადაგის დაბინძურება და ა.შ. საქართველოს მთელ ტერიტორიაზე ვრცელდება, თავისი თანამდევი სოციალურ-ეკონომიკური შედეგებით. ამიტომ,

გაუდაბნოება უნდა განხილული იქნეს კომპლექსურად – მიწის დეგრადაციის და მიწის მდგრადი მართვის პრობლემის კონტექსტში, როგორც მისი შემადგენელი ნაწილი.

საქართველოს გაუდაბნოებასთან ბრძოლის მოქმედებათა პირველი ეროვნული პროგრამა შემუშავდა გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს უშუალო კოორდინაციით და დამტკიცდა 2003 წელს. გეგმის შედგენაში მონაწილეობა მიიღო ყველა დაინტერესებულმა უწყებამ და აკადემიურმა ინსტიტუტმა, აგრეთვე ადგილობრივი მმართველობის ორგანოებმა. გაუდაბნოების წინააღმდეგ ბრძოლის ეროვნული პროგრამა ითვალისწინებდა შეზღუდულ დაფინანსებას. ფაქტობრივად, მასში გათვალისწინებული იყო მხოლოდ მცირემასშტაბიანი საპილოტო პროექტები, სამეცნიერო კვლევების, ცალკეული პროგრამების/გეგმების შედგენის და წინასაპროექტო სამუშაოების ჩატარების ღონისძიებები. პროგრამაში ნაკლებად იყო გათვალისწინებული საინვესტიციო და ინსტიტუციური ხასიათის ღონისძიებები (საკანონმდებლო და ორგანიზაციული ცვლილებები), რომლებიც მიმართული იქნებოდა გაუდაბნოების/მიწის დეგრადაციის პრობლემის შემცირების ან გადაჭრისაკენ.

გაეროს კონვენცია ბიომრავალფეროვნების შესახებ (UNCBD). საქართველო, ბიომრავალფეროვნების შესახებ კონვენციის მონაწილე მხარე 1994 წელს გახდა. კონვენციასთან მიერთებით ქვეყანამ აღიარა, რომ ბიომრავალფეროვნების შენარჩუნება გლობალურ საზრუნავსა და განვითარების პროცესის განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს. კონვენცია ამკვიდრებს ახალ მიდგომებს ბიომრავალფეროვნების დაცვისა და შენარჩუნების სფეროში. კონვენციის ძირითადი მიზნებია:

- ბიოლოგიური მრავალფეროვნების დაცვა და შენარჩუნება (კონსერვაცია);
- ბიოლოგიური მრავალფეროვნების კომპონენტების მდგრადი გამოყენება;
- გენეტიკური რესურსების გამოყენებით მიღებული სარგებლის სამართლიანი და თანაბარი გადანაწილება.

კონვენცია ძირითადად ზოგადი ხასიათის ნორმებსა და პრინციპებს შეიცავს და ის, მონაწილე მხარეებისთვის, არ აწესებს კონკრეტულ მავალდებულებელ ნორმებს საკუთრივ ბიომრავალფეროვნე-

ბის, ან მის რომელიმე კომპონენტთან მიმართებაში. შესაბამისად, კონვენცია არ ზღუდავს მონაწილე მხარეთა იურისდიქციას მათ ტერიტორიაზე არსებული ბიომრავალფეროვნების განკარგვისა და გამოყენების სფეროში. ამასთან, მხარეებს ეკისრებათ პასუხისმგებლობა ბიომრავალფეროვნების დაცვასა და ბიოლოგიური რესურსების მდგრად გამოყენებაზე. კონვენციის მონაწილე მხარემ უნდა უზრუნველყოს ბიოლოგიური რესურსების გამოყენების რეგულირება, დაუდგინოს რა, მკაფიო წესები მოსარგებლე კერძო და იურიდიულ პირებს. კონვენცია მიუთითებს, რომ ეკოსისტემები, სახეობები და გენეტიკური რესურსები გამოყენებულ უნდა იქნენ ადამიანების საკეთილდღეოდ, მაგრამ ისეთი სახითა და ტემპებით, რომლებიც ხანგრძლივვადიან პერსპექტივაში არ გამოიწვევს ბიომრავალფეროვნების შემცირებას და შეუქცევად კლებას.

კონვენციის მიხედვით ბიოლოგიური მრავალფეროვნება მოიცავს დედამიწაზე სიცოცხლის მთელ მრავალსახეობას და ყველა არსებულ ბუნებრივ სისტემას. ეს ცნება მოიცავს მცენარეების, ცხოველებისა და მიკროორგანიზმების სახეობებს, აგრეთვე გენეტიკურ განსხვავებებს სახეობის ფარგლებში. ბიომრავალფეროვნების მნიშვნელოვან ასპექტს წარმოადგენს უდაბნოს, ტყეების, ჭაობების, მთების, ტბებისა და აგროეკოსისტემების მრავალფეროვნება. კონვენცია ბიომრავალფეროვნების შესახებ ეხება ბიომრავალფეროვნების ყველა კომპონენტს – მრავალფეროვნებას სახეობის ფარგლებში, სახეობათა შორის და ეკოსისტემების დონეზე. კონვენციით განსაზღვრულია ბიომრავალფეროვნების კონსერვაციისა და მდგრადი გამოყენების პრობლემები, დასახულია გლობალური მიზნები და მათი მიღწევის გზები. განსაზღვრულია მხარეთა საერთო ვალდებულებები, ტექნიკური და ფინანსური თანამშრომლობის ჩარჩოები.

კონვენციის შესაბამისად ბიომრავალფეროვნების კონსერვაციისა და ბიოლოგიური რესურსების მდგრადი გამოყენების უზრუნველსაყოფად მონაწილე მხარეებმა უნდა შეიმუშაონ მიწის რესურსების მდგრადი მართვის სტრატეგია და შესაბამისი სამოქმედო გეგმა, გახადონ ის გარემოს დაცვისა და განვითარების სფეროში უფრო მასშტაბური გეგმების ნაწილი, განსაკუთრებით სატყეო მეურნეობის, სოფლის მეურნეობის, ენერგეტიკის, ტრანსპორტის, მეთევზეობისა და ურბანული დაგეგმარების სფეროებში.

განსაკუთრებით საყურადღებოა კონვენციის მიმართება აგრობიომრავალფეროვნების საკითხთან. კონვენციის მიხედვით აგრობიომრავალფეროვნება ზოგად ტერმინს (ცნებას) წარმოადგენს და იგი მოიცავს ბიომრავალფეროვნების ყველა იმ კომპონენტს, რომლებიც სასურსათო პროდუქციასა და სოფლის მეურნეობასთან არიან დაკავშირებული და აგრეთვე, იმ კომპონენტებს, რომლებიც აგროეკოსისტემების შემადგენელ ნაწილებს განეკუთვნებიან – კერძოდ, ცხოველთა, მცენარეთა და მიკროორგანიოზმების მრავალფეროვნებას და მათ სახეცვლილებებს გენეტიკურ, სახეობათა და ეკოსისტემურ დონეებზე – რაც, თავის მხრივ, აუცილებელია აგროეკოსისტემების უმნიშვნელოვანესი ფუნქციების, სტრუქტურისა და პროცესების შენარჩუნებისთვის.

კონვენციის შესაბამისად აგრობიომრავალფეროვნების ძირითად ელემენტებს წარმოადგენენ:

- სურსათისა და სოფლის მეურნეობის წარმოებისთვის აუცილებელი ცხოველური, მცენარეული, მიკრობული და ა.შ. წარმოშობის გენეტიკური რესურსები;
- ეკოლოგიური ფუნქციების მატარებელი აგრობიომრავალფეროვნების კომპონენტები;
- აბიოტური ფაქტორები;
- სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული ასპექტები.

2000 წელს კონვენციის მხარეთა მე-5 შეხვედრაზე მიღებული იქნა მრავალწლიან პერიოდზე გათვლილი სპეციალური (თემატური) სამუშაო პროგრამა აგრობიომრავალფეროვნების სფეროში, რომელიც სხვა საკითხებთან ერთად ითვალისწინებდა ეროვნულ დონეზე შემდეგი ქმედებების განხორციელებას:

- აგრობიომრავალფეროვნების ისეთი კომპონენტების შეფასებას, როგორიცაა მცენარეთა გენეტიკური რესურსები, ცხოველთა გენეტიკური რესურსები, დამტვერავები, მავნებელთა მენეჯმენტი და საკვები ელემენტების წრებრუნვა.
- სასოფლო-სამეურნეო პრაქტიკისა და ბიომრავალფეროვნების იმ კომპენენტების კონსერვაციისა და მდგრად გამოყენებას შორის ურთიერთდამოკიდებულების შეფასებას, რომლებიც მითითებულია კონვენციის I დანართში (მაგალითად, ეკოსისტემები და გავრცელების არეალები, სახეობები და

თანასაზოგადოებები, გენომები და გენები, რომელთაც აქვთ სამეცნიერო და ეკონომიკური მნიშვნელობა).

- ფერმერთა და ადგილობრივი თემების ცოდნის, ინოვაციებისა და პრაქტიკის (წეს-ჩვეულებების) შეფასებას, რომლებიც ხელს უწყობენ აგრობიომრავალფეროვნებისა და აგროსისტემური მომსახურებების შენარჩუნებას საკვების წარმოებისა და სასურსათო უსაფრთხოებისათვის.
- აგრობიომრავალფეროვნების ზოგადი დეგრადაციის, სტატუს ქვოს ან აღდგენის მონიტორინგის წარმოებას 1993 წლიდან – მას შემდეგ რაც კონვენცია შევიდა ძალაში.
- მართვის პრაქტიკის, ტექნოლოგიებისა და პოლიტიკის დანერგვას, რომლებიც ხელს უწყობენ დადებით და ამცირებენ უარყოფით ზეგავლენას აგრობიომრავალფეროვნე-ბაზე, აუმჯობესებენ პროდუქტიულობას და მდგრადი არსებობის შესაძლებლობას.
- ფერმერთა, და ადგილობრივი მოსახლეობის, მათი ორგანიზაციებისა და სხვა დაინტერესებული ჯგუფების შესაძლებლობების გაუმჯობესებას, აგრობიო-მრავალფეროვნების მდგრადი მართვისთვის და აგრობიომრავალფეროვნების ინ-სიტუ კონსერვაციის, მდგრადი გამოყენებისა და მართვის სტრატეგიებისა და მეთოდოლოგიების შემუშავებისათვის.
- საოპერაციო მექანიზმების დანერგვას დაინტერესებულ მხარეთა ფართო წრის მონაწილეობისათვის, რათა განვითარდეს რეალური თანამშრომლობა, რომელიც წვლილს შეიტანს აგრობიომრავალფეროვნების სამუშაო პროგრამის განხორციელებაში.
- პოლიტიკური გარემოს გაუმჯობესებას, მათ შორის სარგებლის განაწილებისა და წახალისების ღონისძიებების დანერგვას, რაც ხელს შეუწყობდა აგრობიო-მრავალფეროვნების ლოკალურ დონეზე მართვას.
- აგრობიომრავალფეროვნების დაცვის სტრატეგიებისა და გეგმების ასახვას / ინტეგრირებას სექტორულ და ინტერსექტორულ გეგმებსა და პროგრამებში.
- ინსტიტუციური ჩარჩოს, პოლიტიკისა (კანონმდებლობის) და გეგმარებითი მექანიზმების დანერგვას აგრობიომრავალფეროვნების ჩართვისათვის სასოფლო-სამეურნეო სტრატეგიებ-

ში და სამოქმედო გეგმებში და მათ ინტეგრირებას ბიომრავალფეროვნების უფრო ფართო სტრატეგიებსა და სამოქმედო გეგმებში.

- ქვეყანაში წარმოშობის ცენტრების არსებობის შემთხვევაში, ქვეყნის მიერ იმგვარი ქმედებების ხელშეწყობას, რომლებიც მიმართული იქნებოდა საკვებისა და სოფლის მეურნეობისათვის გენეტიკური რესურსების მრავალფეროვნების ონ-ფარმ, ინ-სიტუ და ეხ-სიტუ კონსერვაციის, აგრეთვე მათი ველური წინაპრების დაცვისა და მდგრადი გამოყენების უზრუნველსაყოფად.
- იმგვარი ქმედებების განხორციელებას, რომლებიც მიმართული იქნებოდა დამტვერავების კონსერვაციისა და მდგრადი გამოყენების საერთაშორისო ინიციატივის მოქმედებათა გეგმის დასანერგად.

ზემოაღნიშნული ქმედებებიდან დღეისთვის შესრულებულია ძირითადად აგრობიომრავალფეროვნების კომპონენტების შეფასებასთან და გენეტიკური მასალის შეგროვებასთან დაკავშირებული ქმედებები. მაგალითად, ადგილობრივი შესაძლებლობების გაძლირება სურსათისა და სოფლის მეურნეობისათვის მნიშვნელოვან მცენარეთა გენეტიკური რესურსების მართვისა და კონსერევაციისათვის GEF/UNDP-ის პროექტის „საქართველოს აგრობიომრავალფეროვნების აღდგენა, კონსერვაცია და მდგრადი გამოყენება“ ფარგლებში არასამთავრობო ორგანიზაცია „ელკანას“ მიერ ორგანიზებული იქნა კონსულტაციები და სემინარები ადგილობრივი ფერმერებისათვის. ამავე ორგანიზაციის სასწავლო ცენტრში რეგულარულად ტარდებოდა ბიოაგროწარმოების კურსი, რომელიც მოიცავდა აგრობიომრავალფეროვნების კონსერვაციისა და მდგრადი გამოყენების საკითხებს; ამავე პროექტის („საქართველოს აგრობიომრავალფეროვნების აღდგენა, კონსერვაცია და მდგრადი გამოყენება“) ერთ-ერთი მიზანი იყო ადვოკატირებისა და საჯაროობის გზით დახმარებოდა აგრობიომრავალფეროვნების მდგრადი მართვისათვის ხელშემწყობი გარემოს ჩამოყალიბებაში.

გაეროს კლიმატის ცვლილების ჩარჩო კონვენცია (UNFCCC). კონვენციის მიზანია კონვენციის შესაბამის დებულებათა შესრულებით მიაღწიოს ატმოსფეროში სათბურის გაზების კონცენტრაციების სტაბილიზაციას იმ დონეზე, რომელიც არ დაუშვებს კლიმა-

ტის სისტემაზე საშიშ ანთროპოგენულ ზემოქმედებას. ასეთი დონე მიღწეული უნდა იქნეს ეკოსისტემების კლიმატის ცვლილებასთან ბუნებრივი ადაპტაციისათვის საკმარის ვადებში, რომლებიც იძლევიან იმის საშუალებას არ დავაყენოთ საფრთხის წინაშე სურსათის წარმოება და უზრუნველყოფილ იქნეს შემდგომი ეკონომიკური განვითარება მდგრად საფუძველზე.

კონვენციის მიხედვით „კლიმატის ცვლილება" ნიშნავს კლიმატის ცვლილებას, რომელიც პირდაპირ ან არაპირდაპირ განპირობებულია ატმოსფეროს გლობალური ცვლილების გამომწვევი ანთროპოგენული საქმიანობით, და რომელიც აძლიერებს დროის შედარებადი პერიოდების განმავლობაში დაკვირვებულ კლიმატის ბუნებრივ რყევებს. ამავე კონვენციის მიხედვით „კლიმატის ცვლილების არახელსაყრელი შედეგი" ნიშნავს ფიზიკურ გარემოში ან ბიოტაში კლიმატის ცვლილებით გამოწვეულ ცვლილებებს, რომლებიც მნიშვნელოვან ნეგატიურ გავლენას ახდენენ ბუნებრივი და რეგულირებადი ეკოსისტემების შემადგენლობაზე, აღდგენით თვისებებზე ან პროდუქტიულობაზე ან სოციალურ-ეკონომიკური სისტემების ფუნქციონირებაზე, ანდა ადამიანის ჯანმრთელობასა და კეთილდღეობაზე.

კონვენციის მონაწილე მხარეებმა უნდა გაატარონ გამაფრთხილებელი ღონისძიებები კლიმატის ცვლილების მიზეზების პროგნოზირების, თავიდან აცილების ან მინიმუმადე დაყვანისა და მისი უარყოფითი შედეგების შერბილების მიზნით. იქ, სადაც მოსალოდნელია სერიოზული ან შეუქცევადი ზიანის საშიშროება, არასაკმარისი მეცნიერული სიცხადე არ უნდა იქნეს გამოყენებული ასეთ ღონისძიებათა გადავადების მიზეზად, იმის გათვალისწინებით, რომ კლიმატის ცვლილების წინააღმდეგ მიმართული პოლიტიკა და ღონისძიებანი უნდა იყოს ეკონომიკურად ეფექტური. ამ მიზნით ასეთი პოლიტიკა და ღონისძიებები უნდა ითვალისწინებდნენ სხვადასხვა სოციალურ-ეკონომიკურ პირობებს, იყვნენ ყოვლისმომცველნი, მოიცავდნენ სათბურის გაზების ყველა შესაბამის წყაროს, მშთანთქმელსა და დამაგროვებელს და ადაპტაციის ღონისძიებებს და მოიცავდნენ ყველა ეკონომიკურ სექტორს. კლიმატის ცვლილებაზე რეაგირების ძალისხმევა დაინტერესებული მხარეების მიერ შეიძლება განხორციელდეს ერთობლივად.

ანთროპოგენული ცვლილებებისაგან კლიმატური სისტემის დაცვის პოლიტიკა და ღონისძიებები უნდა შეესაბამებოდეს თითოეული მხარის კონკრეტულ პირობებს და ინტეგრირებული უნდა იყოს განვითარების ეროვნულ პროგრამასთან, ვინაიდან ეკონომიკურ განვითარებას აქვს საკვანძო მნიშვნელობა კლიმატის ცვლილებაზე რეაგირების ღონისძიებათა გატარებაში.

მხარეებმა უნდა ითანამშრომლონ ხელსაყრელი და ღია საერთაშორისო ეკონომიკური სისტემის დამყარების ხელშეწყობის მიზნით, რომელიც მდგრად ეკონომიკურ ზრდასა და განვითარებასთან მიიყვანდა ყველა მხარეს, განსაკუთრებით იმ მხარეებს, რომლებიც წარმოადგენენ განვითარებად ქვეყნებს, ამგვარად მისცემდა რა მათ საშუალებას უკეთ მოეხდინათ რეაგირება კლიმატის ცვლილების პრობლემებზე. კლიმატის ცვლილებასთან ბრძოლის ღონისძიებანი ცალმხრივ ღონისძიებათა ჩათვლით, არ უნდა ემსახურებოდეს თვითნებურ ან უსაფუძვლო დისკრიმინაციას, ანდა საერთაშორისო ვაჭრობის ფარულ შეზღუდვას.

ზემოაღნიშნული ვალდებულებების შესრულების უზრუნველყოფის ამსახველ დოკუმენტს წარმოადგენს კონვენციის სამდივნოსთვის გარკვეული პერიოდულობით წარდგენილი ეროვნული შეტყობინებები.

კონვენციის ეგიდით შემუშავებული იქნა მთელი რიგი მექანიზმები, რომლებიც მიმართულია კონვენციით გათვალისწინებულ ვალდებულებათა შესრულების უზრუნველყოფაზე. ამ მექანიზმებიდან განსაკუთრებით აღსანიშნავია უკანასკნელ პერიოდში ჩამოყალიბებული ე.წ. კანკუნის ადაპტაციის მექანიზმი, ასევე, კლიმატის მწვანე ფონდის შექმნასთან, კლიმატის ცვლილებით გამოწვეული დანაკარგებისა და ზიანის სამუშაო პროგრამასთან, მიწათსარგებლობასა და მიწის მიზნობრივი დანიშნულების შეცვლასთან დაკავშირებული და სხვა გადაწყვეტილებები.

მნიშვნელოვანი შიდასახელმწიფოებრივი ნორმატიული აქტები

დღეისათვის მოქმედი საქართველოს საკანონმდებლო ნორმატიული აქტებიდან უნდა აღინიშნოს:

საქართველოს კანონი „ნიადაგის დაცვის შესახებ" (1994)

საქართველოს კანონი „ნიადაგების კონსერვაციისა და ნაყოფიერების აღდგენა-გაუმჯობესების შესახებ" (2003)

საქართველოს კანონი „გარემოს დაცვის შესახებ“ (1996)

საქართველოს კანონი „დაცული ტერიტორიების სისტემის შესახებ“ (1996)

საქართველოს კანონი „ცხოველთა სამყაროს შესახებ“ (1996)

საქართველოს კანონი „წყლის შესახებ“ (1999)

საქართველოს კანონი „ატმოსფერული ჰაერის დაცვის შესახებ“ (1999)

საქართველოს კანონი „გარემოს დაცვის შესახებ“

ზემოთ მოყვანილი ჩამონათვალიდან განსაკუთრებული ადგილი უჭირავს საქართველოს კანონს „გარემოს დაცვის შესახებ“, რომელსაც, ხშირად, ე.წ. „ჩარჩო“ კანონად მოიხსენიებენ. სწორედ ამ კანონით შემოღებულ ძირითად ნორმებსა და პრინციპებს ეფუძნება გარემოს დაცვის სფეროს მიკუთვნებული სხვადასხვა დარგობრივი კანონები.

კანონის ძირითადი მიზნებია: ა) განისაზღვროს გარემოს დაცვის სფეროში სამართლებრივ ურთიერთობათა პრინციპები და ნორმები; ბ) დაიცვას გარემოს დაცვის სფეროში საქართველოს კონსტიტუციით დადგენილი ადამიანის ძირითადი უფლებები – ცხოვრობდეს ჯანმრთე-ლობისათვის უვნებელ გარემოში და სარგებლობდეს ბუნებრივი და კულტურული გარემოთი; გ) უზრუნველყოს სახელმწიფოს მიერ გარემოს დაცვა და რაციონალური ბუნებათსარგებლობა, ადამიანის ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო გარემო საზოგადოების ეკოლოგიური და ეკონომიკური ინტერესების შესაბამისად და ახლანდელი და მომავალი თაობების ინტერესების გათვალისწინებით; დ) ხელი შეუწყოს ბიოლოგიური მრავალფეროვნების, ქვეყნისთვის დამახასიათებელი ფლორისა და ფაუნის იშვიათი, ენდემური, გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი სახეობების შენარჩუნებას, ზღვის გარემოს დაცვას და ეკოლოგიური წონასწორობის უზრუნველყოფას; ე) შეინარჩუნოს და დაიცვას თვითმყოფადი ლანდშაფტები და ეკოსისტემები; ვ) სამართლებრივად უზრუნველყოს გარემოს დაცვის სფეროში საერთო გლობალური და რეგიონული პრობლემების გადაჭრა; და ზ) უზრუნველყოს ქვეყნის მდგრადი განვითარების პირობები.

კანონში მოყვანილი მთელი რიგი სამართლებრივი ნორმები

შემუშავებულ იქნა ევროკავშირის საბჭოს მიერ მიღებული საკანონმდებლო აქტებისა და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის 1992 წლის რიო-დე-ჟანეიროს გარემოს დაცვისა და განვითარების კონფერენციის მიერ მიღებული „გარემოს დაცვისა და განვითარების რიოს დეკლარაციის“, „21-ე საუკუნის გლობალური მდგრადი განვითარების პროგრამის – დღის წესრიგ 21-ისა“ და „ტყეების დაცვის, მდგრადი განვითარებისა და მართვის პრინციპების შესახებ განცხადების“ დასკვნითი დოკუმენტების საფუძველზე. გარდა ამისა, კანონში ინტეგრირებულია საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებათა და შეთანხმებათა ძირითადი მოთხოვნები გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსებით რაციონალური სარგებლობის სფეროში, რომელთა შორისაც აღსანიშნავია: კონვენცია „კლიმატის ცვლილების შესახებ“; კონვენცია „ბიოლოგიური მრავალფეროვნების შესახებ“ და კონვენცია „შავი ზღვის დაჭუჭყიანებისაგან დაცვის შესახებ“.

კანონით განისაზღვრა გარემოს დაცვის ძირითადი პრინციპები (ე.წ. „ნორმა-პრინციპები“) და დადგინდა, რომ საქმიანობის დაგეგმვისა და განხორციელების დროს სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოები, ფიზიკური და იურიდიული (საკუთრების და ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის განურჩევლად) პირები ვალდებული არიან იხელმძღვანელონ გარემოს დაცვის ძირითადი პრინციპებით.

კანონით შემოღებული იქნა საზოგადოების ინფორმირების მნიშვნელოვანი მექანიზმი – გარემოს მდგომარეობის შესახებ ეროვნული მოხსენების (ყოველწლიურად, მოგვიანებით მიღებული ნორმის მიხედვით კი ყოველ 3 წელიწადში ერთხელ) შემუშავება და დამტკიცება.

კანონმა განსაზღვრა გარემოს დაცვის დაგეგმვის მექანიზმი (სისტემა), რომელიც მოიცავს გრძელვადიან სტრატეგიულ გეგმას (მდგრადი განვითარების ეროვნულ სტრატეგიას), ხუთწლიან გეგმას (გარემოს დაცვის მოქმედებათა ეროვნული პროგრამას) და სამეურნეო საქმიანობის თითოეული ობიექტისათვის ნებაყოფლობით საფუძველზე შედგენილ გარემოს დაცვის სამენეჯმენტო გეგმას. კანონით ასევე, დადგენილ იქნა, რომ გარემოს დაცვის მოქმედებათა პროგრამები შედგენილ უნდა იქნას ასევე, რეგიონულ, ადგილობრივ და უწყებრივ დონეებზე.

კანონის XII და XIII თავები მთლიანად დათმობილი აქვს ბიომრავალფეროვნების დაცვისა და შენარჩუნების საკითხებს. კანონით განისაზღვრა, რომ ბუნებრივი ეკოსისტემები, ლანდშაფტები და ტერიტორიები დაცული უნდა იყოს დაბინძურების, დარღვევის, დაზიანების, დეგრადაციის, გამოფიტვისა და დაშლისაგან.

კანონი განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს გარემოს დაცვის გლობალური და რეგიონული მართვის საკითხებს. კერძოდ, კანონის მიხედვით დადგინდა, რომ სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებმა და ფიზიკურმა და იურიდიულმა პირებმა, თავიანთი კომპეტენციისა და საქართველოს მიერ ნაკისრ საერთაშორისო ვალდებულებათა ფარგლებში, უნდა განახორციელონ დამატებითი ღონისძიებები საქართველოს მთელ ტერიტორიაზე გარემოს დაცვის გლობალური და რეგიონული პრობლემების გადასაჭრელად.

კანონის 51-ე და 52-ე მუხლები არეგულირებენ გლობალური ცვლილებებისაგან კლიმატის დაცვისა და ოზონის შრის დაცვის საკითხებს. გარდა ამისა, აღსანიშნავია, რომ კანონმა მოახდინა მისი მიღების მომენტში მოქმედი ევროპული კანონმდებლობით გათვალისწინებული ნორმების ინტეგრირება ქართულ კანონმდებლობაში.

საქართველოს კანონები „ნიადაგის დაცვის შესახებ" და „ნიადაგების კონსერვაციისა და ნაყოფიერების აღდგენა-გაუმჯობესების შესახებ". აღნიშნული საკანონმდებლო აქტები არეგულირებენ ნიადაგის დაცვასთან და ნიადაგების კონსერვაციისა და ნაყოფიერების აღდგენა-გაუმჯობესებასთან დაკავშირებულ სამართლებრივ საკითხებს.

კერძოდ, „ნიადაგის დაცვის შესახებ" საქართველოს კანონის მიზნებია:

ა) უზრუნველყოს ნიადაგის საფარის მთლიანობა, ნაყოფიერების ზრდა და შენარჩუნება;

ბ) განსაზღვროს მიწათმოსარგებლეთა, მიწათმესაკუთრეთა და სახელმწიფოს მოვალეობა და პასუხისმგებლობა ნიადაგის დაცვისა და ეკოლოგიურად სუფთა პროდუქციის წარმოების პირობების შესაქმნელად;

გ) აღკვეთოს ნიადაგის ნაყოფიერების ზრდის საშუალებათა გამოყენებისას უარყოფითი შედეგები, რომლებიც საფრთხეს

შეუქმნის თვით ნიადაგს, ადამიანის ჯანმრთელობას, ფლორასა და ფაუნას.

დ) უზრუნველყოს სუბალპური და ალპური მდელოების დაცვის გზით მაღალმთიანი რეგიონების ენდემური მცენარეულობისა და ნიადაგის ნაყოფიერი ფენის შენარჩუნება;

ე) მელიორირებული მიწებიდან მაღალი და მყარი მოსავლის მიღების მიზნით ხელი შეუწყოს მელიორაციის სფეროში საქმიანობის კოორდინაციას.

აღსანიშნავია, რომ კანონი არ აწესებს არცერთი ზემოაღნიშნული მიზნის მიღწევისთვის აუცილებელ ნორმას. აქედან გამომდინარე, აღსრულების თვალსაზრისით კანონი ფაქტობრივად უმოქმედო საკანონმდებლო აქტს წარმოადგენს. სამართლებრივი თვალსაზრისით კანონი შეიცავს ამკრძალავ ნორმებს, რომელთა გამოყენებაც შესაძლებელია ნიადაგების გამოყენებისა და დაცვასთან დაკავშირებული კანონაღსრულების სფეროში. კანონის მე-4 მუხლის (მუხლი 4. ნიადაგის დაცვის მიზნით დაწესებული აკრძალვები) შესაბამისად ნიადაგის დაცვის მიზნით იკრძალება:

- ნაყოფიერი ნიადაგის არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულებით გამოყენება;
- არასასოფლო-სამეურნეო ხასიათის ნებისმიერი საქმიანობა ნიადაგის ნაყოფიერი ფენის მოუხსნელად, მის დაუკონსერვებლად და დანიშნულებისამებრ გამოუყენებ-ლად;
- ტერიტორიის ღია კარიერული წესით დამუშავება, რომელიც არ ითვალისწინებს დარ-ღვეული ნიადაგის რეკულტივაციას;
- ნიადაგის ნაყოფიერი ფენის მოხსნა ანგარებით ან პირადი სარგებლობის მიზნით;
- ფერდობების დატერასება ნიადაგის შერჩევისა და სათანადო დაპროექტების გარეშე;
- საძოვრების გამწირება უწესრიგო ძოვებით;
- ტყით სარგებლობის დროს ნიადაგის საფარის დაზიანება;
- მინდორსაცავი ტყის ზოლების გაკაფვა-გადაკეთება, ნიადაგდამცავ ნაგებობათა დაზიანება;
- ყოველგვარი ქმედება, რომელიც გააუარესებს ნიადაგის თვისებებს;
- სასუქების, ქიმიური მელიორინტების და სხვა საშუალებების

გამოყენება, რომლებიც არ არის გამოცდილი საქართველოს პირობებში, არა აქვს გავლილი შესაბამისი ნიადაგურ-ეკოლოგიური ექსპერტიზა და არ არის შემოწმებული, რეგისტრირებული და ნებადართული შესაბამისი სახელმწიფო უწყების მიერ;

- ნიადაგების ყოველგვარი გაჭუჭყიანება და დანაგვიანება.
- მაღალმთიან საძოვრებზე დადგენილ ნორმაზე გადაჭარბებული რაოდენობით ნა-ხირისა და ფარის ძოვება, რაც იწვევს ეროზიულ პროცესებს;
- მაღალმთიან რეგიონებში დეკასა და გადაშენების პირას მისული სხვა სუბალპური და ალპური მცენარეულობის საწვავად და სხვა მიზნით მოსახმარებლად მოპოვება.

ხაზი უნდა გაესვას იმ გარემოებას, რომ გარდა ზემოთ აღნიშნული მე-4 მუხლისა კანონი აშკარად დეკლარაციულ ხასიათს ატარებს.

ნიადაგების კონსერვაციისა და ნაყოფიერების აღდგენა-გაუმჯობესების შესახებ" საქართველოს კანონი არეგულირებს:

- ნიადაგების კონსერვაციასა და ნაყოფიერების აღდგენა-გაუმჯობესებას, ეროზიის, ღვარცოფის, მეწყრის, ზვავის, წყალდიდობის, ნიადაგის დაბინძურების, განმეორე-ბითი დაჭაობებისა და დამლაშების, წიაღისეულის, აგრომადნეულისა და საშენი მასალების ღია წესით მოპოვების, აგრეთვე ანთროპოგენური ზეგავლენის შედეგად ნიადაგების დანაკარგების აღკვეთას;
- მლაშობი, ბიცობი, დაჭაობებული, ეროზირებული, მჟავე, ძლიერდაქვიანებული და სხვა დაბალნაყოფიერი ნიადაგების ნაყოფიერების აღდგენა-გაუმჯობესებას და რაციონალურ გამოყენებას;
- ნიადაგში მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები დონეების, პესტიციდებისა და აგროქიმიკატების გამოყენების ნორმების დადგენას;
- ურთიერთობებს, რომლებიც წარმოიშობა ნიადაგების კონსერვაციის, ნაყოფიერების ამაღლებისა და ექსპლუატაციის, აგრეთვე აგროქიმიკატების გამოყენების ღონისძიებათა განხორციელებისას.

კანონის მიზნებია:

- უზრუნველყოს ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე ნიადაგების კონსერვაცია და ნაყოფიე-რების აღდგენა-გაუმჯობესება;
- განსაზღვროს ნიადაგების კონსერვაციისა და ნაყოფიერების აღდგენა-გაუმჯობესების სამართლებრივ ურთიერთობათა პრინციპები, ხელი შეუწყოს ამ სფეროში სახელმწიფო ორგანოების, ფიზიკური და იურიდიული პირების საქმიანობების კოორდინაციას;
- უზრუნველყოს ნიადაგების კონსერვაციისა და ნაყოფიერების აღდგენა-გაუმჯობე-სებისათვის ისეთი ღონისძიებების განხორციელება, რომლებიც საფრთხეს არ შეუქმნის თვით ნიადაგს, ბიომრავალფეროვნებას, ადამიანის ჯანმრთელობასა და გარემოს;
- დაადგინოს ნიადაგების კონსერვაციისა და ნაყოფიერების აღდგენა-გაუმჯობესების ღონისძიებათა ნორმები, შეზღუდვები და აკრძალვები.

კანონის მოქმედება ვრცელდება შემდეგ ღონისძიებებზე:

- ნიადაგების ქიმიურ მელიორაციაზე;
- წყალდიდობის, ღვარცოფული, მეწყრული და ზვავური მოვლენების, აგრეთვე ნიადაგების ეროზიის საწინააღმდეგო ღონისძიებებზე;
- ნიადაგების გამოკვლევებსა და ნაყოფიერების მონიტორინგზე;
- ნიადაგების ნაყოფიერებისა და ბიომრავალფეროვნების კონსერვაციაზე;
- ნიადაგების პოტენციური შესაძლებლობების კომპლექსურ გამოყენებაზე.

მეტად მნიშვნელოვანია კანონით (მუხლები 7 და 8) ნიადაგების კონსერვაციისა და ნაყოფიერების აღდგენა-გაუმჯობესების უზრუნველსაყოფად დადგენილი შეზღუდვები და აკრძალვები.

კანონი (მუხლი მე-12) განსაზღვრავს ნიადაგების კონსერვაციისა და ნაყოფიერების აღდგენა-გაუმჯობესების სფეროში სახელმწიფო ზედამხედველობის მქონე უფლებამოსილ ორგანოს – საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს, რომელსაც კანონმდებლობით დადგენილი წესით უფლება აქვს:

- შეამოწმოს ნიადაგების ნაყოფიერების მდგომარეობა, ნაყოფიერების ამაღლების საშუალებათა შემოტანის წესების დაცვა, მათი გამოყენების რეგლამენტები და აგროწესები, ასევე ნიადაგებზე აგროტექნიკური, აგროქიმიური, აგროსატყეო, ირიგაციული, ფიტოსანიტარიული, სანიტარიულ-ჰიგიენური ღონისძიებების განხორციელების ვითარება და საქართველოს ნორმატიული აქტების სხვა მოთხოვნათა დაცვა;
- შეამოწმოს ნიადაგების კონსერვაციისა და ნაყოფიერების ამაღლების ღონისძიებათა გატარების მდგომარეობა და ეფექტიანობა;
- შეამოწმოს ნიადაგების რადიონუკლიდებით, მძიმე მეტალებითა და ტოქსიკური ელემენტებით, ენტომოლოგიური, ჰელმინთოლოგიური, ბაქტერიული და ვირუსული დაბინძურება და მისი საწინააღმდეგო ღონისძიებების გატარების ეფექტიანობა;
- მიწათმოქმედებისაგან მოითხოვოს აგროქიმიური, აგროსატყეო, მელიორაციული, მცენარეთა დაცვის და სხვა ღონისძიებების შეზღუდვა ან შეწყვეტა, თუ ისინი ზიანს აყენებენ გარემოს ან სხვის გამგებლობაში არსებულ მიწებს.

კანონით განსაზღვრული კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების უმეტესობა (აგროქიმიკატების შემოტანის, შენახვის, რეალიზაციისა და რაციონალური გამოყენების ნორმები და წესები; ნიადაგის ნაყოფიერების დონის განსაზღვრის დებულება; ნიადაგის ეროზიისაგან დაცვის კომპლექსურ ღონისძიებათა რეკომენდაციები; ნიადაგის კონსერვაციისა და ნაყოფიერების მონიტორინგის დებულება; ნიადაგის ნაყოფიერი ფენის მოხსნის, შენახვის, გამოყენებისა და რეკულტივაციის წესები; წარმოების ტოქსიკური ნარჩენებითა და რადიოაქტიური ნივთიერებებით დაბინძურების შედეგად დეგრადირებული სასოფლო-სამეურნეო სავარგულებისა და სხვა დანიშნულების მიწების კონსერვაციის წესები; ნიადაგების დაცვისა და ნაყოფიერების ამაღლების სახელმწიფო პროგრამა) დღეისათვის მიღებულია.

მიუხედავად მთელი რიგი ხარვეზებისა „ნიადაგების კონსერვაციისა და ნაყოფიერების აღდგენა-გაუმჯობესების შესახებ“

საქართველოს კანონი წარმოადგენს დღეისათვის მოქმედ ერთადერთ საკანონმდებლო აქტს, რომელიც უშუალოდ არეგულირებს გაუდაბნოებასთან და მიწების დეგრადაციასთან დაკავშირებული საკითხების სპექტრს.

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ინიციატივით მომზადებულია საქართველოს კანონის პროექტი „ნიადაგის დაცვის" შესახებ. კანონის პროექტი აერთიანებს „ნიადაგის დაცვის შესახებ" და „ნიადაგების კონსერვაციისა და ნაყოფიერების აღდგენა-გაუმჯობესების შესახებ" საქართველოს კანონებს. გასწორდა კანონებში არსებული ტერმინები. აღნიშნული კანონის პროექტის მიღებით სახელმწიფო დაწესებულებებსა და მიწის ნაკვეთის მესაკუთრეს/მფლობელს შორის მკაფიოდ გაიმიჯნება ნიადაგის დაცვის სფეროში უფლება-მოვალეობები. ნიადაგური საფარის დაცვის მიზნით, კანონის პროექტი ითვალისწინებს მონიტორინგის სისტემის შექმნას, როგორც ნიადაგის ხარისხობრივი მაჩვენებლებზე, ასევე ნიადაგის დაბინძურებაზე. სამეწარმეო ან და სხვა საქმიანობის განხორციელებისას გამკაცრდება ნიადაგის ნაყოფიერი ფენების მართვის მექანიზმები და რეგულირდება ნიადაგის ექსპორტთან დაკავშირებული საკითხები;

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ინიციატივით პარლამენტის აგრარულ კომიტეტთან ერთად მომზადებულია საქართველოს კანონის პროექტი "ქარსაფარი (მინდორდაცვითი) ზოლების შესახებ", რომელიც დაარეგულირებს საქართველოს ტერიტორიაზე სასოფლო–სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთებზე ქარსაფარი ზოლების ინვენტარიზაციასთან, სტატუსის მინიჭებასთან, რეგისტრაციასთან, აღდგენა-გაშენებასთან, მართვასთან და სარგებლობასთან დაკავშირებულ სამართლებრივ ურთიერთობებს, მიუხედავად მათი საკუთრების ფორმისა.

პოლიტიკის განმსაზღვრელი დოკუმენტები გაუდაბნოებასთან ბრძოლის მოქმედებათა პირველი ეროვნული პროგრამა (2003)

გაუდაბნოებასთან ბრძოლის შესახებ გაეროს კონვენციით საქართველოს მიერ ნაკისრ ვალდებულებათა შესრულების მიზნით 2003 წელს დამტკიცებული იქნა გაუდაბნოებასთან ბრძოლის მოქმედებათა ეროვნული პროგრამა.

პროგრამა გამოყოფს საქართველოს არიდულ და სემიარიდულ რეგიონებს, როგორც გაუდაბნოებისადმი ყველაზე მგრძნობიარე ტერიტორიებს (საქართველოს სამხრეთ-აღმოსავლეთი ნაწილი – დედოფლისწყაროს, სიღნაღის, საგარეჯოს, შიდა ქართლის რაიონები). ამიტომაც, ეროვნულ პროგრამაში ძირითადი ყურადღება სწორედ მათ ეთმობათ. თუმცა აღინიშნება, რომ შესასწავლია გაუდაბნოების პროცესების მოქმედება ახალციხის, ანუ მესხეთის ქვაბულზე და, აგრეთვე აუცილებელია ყველა გაუდაბნოებისადმი მგრძნობიარე ტერიტორიის გამოვლენა და შესწავლა.

პროგრამას თან ერთვის გაუდაბნოების წინააღმდეგ ბრძოლის მოქმედებათა ეროვნული პროგრამის გეგმა, რომელიც მთელ რიგ საპროექტო ღონისძიებებს მოიცავს, რომელთაგან დიდი ნაწილი ესადაგება სოფლის მეურნეობისა და ბიომრავალფეროვნების კლიმატის ცვლილების მიმართ საადაპტაციო ღონისძიებათა გატარების ტრადიციულ მეთოდებს (მაგ., გვალვის განვითარების ადრეული გაფრთხილების სისტემის შექმნა, საქართველოს ტრადიციული სოფლის მეურნეობის აღდგენის, დაცვისა და მდგრადი გამოყენების პროგრამის მომზადება, სოფლის მეურნეობის ტრადიციული ცოდნისა და გამოცდილების, კვლევისა და მასთან დაკავშირებული პროგრამებისათვის ხელშეწყობა, სახნავ-სათესი მიწების მართვის პრინციპებისა და გეგმის შემუშავება და სხვ.).

გაუდაბნოებასთან ბრძოლის მოქმედებათა მეორე ეროვნული პროგრამა. 2008 წელს გაუდაბნოებასთან ბრძოლის კონვენციის მხარეთა კონფერენციამ შეიმუშავა კონვენციის განხორციელების სტრატეგია 2008-2018 წლებისთვის. სწორედ ეს სტრატეგია გახდა ძირითადი პრინციპი, რის მიხედვითაც კონვენციის მხარეებმა უნდა შეიმუშავონ მოქმედებათა ეროვნული პროგრამები. ამ მიზნით დაევალათ საფინანსო ინსტიტუტებს, როგორიცაა გლობალური გარემოსდაცვითი ფონდი, გლობალური მექანიზმი, გაეროს გარემოსდაცვითი პროგრამა ხელი შეუწყონ და დაეხმარონ ქვეყნებს მოქმედებათა ეროვნული პროგრამის შემუშავებაში.

საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს ინიციატივით 2014 წელს გლობალურმა გარე-

მოსდაცვითმა ფონდმა დააფინანსა პროექტი **„გაუდაბნოებასთან ბრძოლის მოქმედებათა ეროვნული პროგრამის კონვენციის სტრატეგიასთან და ეროვნული მოხსენების კონვენციის მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანა“.** ეს პროექტი განხორციელდა კავკასიის რეგიონული გარემოსდაცვითი ცენტრის მიერ გაეროს გარემოსდაცვითი პროგრამის ხელშეწყობით.

მოქმედებათა მეორე ეროვნული პროგრამის შემუშავებისთვის შერჩეულ იქნა სამი რეგიონი (კახეთი, შიდა და ქვემო ქართლი).

პროგრამის საოპერაციო მიზნები ჩამოყალიბდა კონვენციის 10 წლიანი სტრატეგიის საოპერაციო მიზნების შესაბამისად და ასევე საქართველოს გარემოს დაცვის მოქმედებათა მეორე ეროვნული პროგრამის და საქართველოს ბიომრავალფეროვნების სტრატეგიის და მოქმედებათა გეგმის სტრუქტურის გათვალისწინებით.

პროგრამა მოიცავს 2015-2022 წლებში განსახორციელებელ გაუდაბნოებასთან ბრძოლის ღონისძიებებს.

3.2. ნარჩენების მართვის ინსტიტუციური მოდელი და მისი განვითარების თავისებურებანი

„ნარჩენების მართვის კოდექსის“ (2014) მიზანს წარმოადგენს ეროვნულ დონეზე ნარჩენების მართვის თანამედროვე სისტემის ჩამოყალიბება. საქართველოს მთავრობამ ნარჩენების მართვის სფეროში შესაბამისი სამართლებრივი მოთხოვნების შესასრულებლად, დაამტკიცა „ნარჩენების მართვის ეროვნული სტრატეგია“ (2016-2030) და „ნარჩენების მართვის ეროვნული სამოქმედო გეგმა“ (2016-2020) (საქართველოს მთავრობის დადგენილება N160 01.04.2016). ეროვნულ დონეზე მწარმოებლის გაფართოებული ვალდებულების (მგვ) სისტემის დანერგვა „ნარჩენების მართვის კოდექსის“ მოთხოვნაა, რომლის თანახმადაც აღნიშნული მექანიზმი ქვეყანაში 2019 დეკემბრისთვის უნდა ამოქმედდეს. მწარმოებლის გაფართოებული ვალდებულების დანერგვის უზრუნველსაყოფად, ნარჩენების მართვის ეროვნულ სტრატეგიასა და სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნები და

კონკრეტული ქმედებები შემდეგი სახის ნარჩენების მართვისათვის ცხრილი №11:

	2020	2025	2030
ბატარეები	20%	50%	80%
ზეთები	50%	75%	90%
შესაფუთი მასალები	40%	75%	90%
ელექტრონული მოწყობილებები	20%	50%	80%
საბურავები	50%	70%	90%
აკუმულატორები	60%	80%	90%
ხმარებიდან ამოღებული სატრანსპორტო საშუალებები	20%	50%	80%

საერთაშორისო დონეზე საქართველო არის „სახიფათო ნარჩენების ტრანსსასაზღვრო გადაზიდვებსა და მათ განთავსებაზე კონტროლის შესახებ" ბაზელის კონვენციის მხარე. აქედან გამომდინარე, საქართველოს ეროვნულმა პოლიტიკურმა ჩარჩომ უნდა შექმნას ისეთი პირობები, რომლებიც უზრუნველყოფენ სახიფათო და სხვა სახის ნარჩენების გარემოსდაცვითი თვალსაზრისით უსაფრთხო მართვას. მწარმოებლის გაფართოებული ვალდებულება არის ბაზელის კონვენციის მხარეთა კონფერენციების დოკუმენტებით რეკომენდებული ერთ-ერთი მექანიზმი, რომელსაც შეუძლია აღნიშნული პროცესის ხელშეწყობა ხმარებიდან ამოღებული პროდუქციის შეგროვებასა და/ან დამუშავებაში მწარმოებლების ჩართვისა და წახალისების საშუალებით. მწარმოებლის გაფართოებული ვალდებულების ეფექტიანობა აგრეთვე აღიარებულია ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (OECD) მიერ.

ბაზელის კონვენციისა და ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (OECD) დოკუმენტების რეკომენდაციების, ევროკავშირში მოქმედი რეგულაციებისა და სხვა ქვეყნების გამოცდილების გათვალისწინებით, საქართველოს აქვს ამბიცია, დანერგოს მწარმოებლის გაფართოებული ვალდებულება, როგორც შერჩეული სახეობის ნარჩენების მართვის ეფექტიანი საშუალება.

სახელმძღვანელოს მიზანია, განმარტოს მწარმოებლის გაფართოებული ვალდებულების (EPR) პრინციპები, სხვადასხვა ქვეყანაში მისი განხორციელების მიდგომები და ფორმები, უპირატესობები და გამოწვევები, დაინტერესებული მხარეებისა და სახელმწიფოს როლები და დაფინანსების მოდელები. ყველა ქვეყანაში ნარჩენების ყველა სახეობაზე ერთი და იგივე მოდელის მორგება შეუძლებელია, ამიტომ კონკრეტული ქვეყნისთვის შესაბამისი მოდელის შესარჩევად აუცილებელია ქვეყანაში გავრცელებული მიდგომებისა და არსებული მდგომარეობის, ასევე ისტორიული და კულტურული წინაპირობების გათვალისწინება.

სახელმძღვანელოში წარმოდგენილია საერთაშორისო პრაქტიკა. მასში არ არის აღწერილი საქართველოში არსებული მდგომარეობა. მიუხედავად ამისა, მისი საშუალებით შესაძლებელია მწარმოებლის გაფართოებული ვალდებულების (EPR) მექანიზმის უკეთ გაგება და საქართველოში მწარმოებლის გაფართოებული ვალდებულების (EPR) სისტემის პრაქტიკაში განხორციელების სათანადო სქემის შერჩევა.

წინამდებარე სახელმძღვანელო არის პირველი დოკუმენტი, რომელიც ყველა დაინტერესებულ მხარეს აწვდის ზოგადი ხასიათის ინფორმაციას მწარმოებლის გაფართოებული ვალდებულების (EPR) შესახებ. მის საფუძველზე შესაძლებელია უფრო დეტალური სახელმძღვანელოებისა და საინფორმაციო დოკუმენტების მომზადება, რომლებიც მორგებული იქნება კონკრეტული დაინტერესებული მხარეების ინტერესებს და დაეხმარება მათ მოემზადონ ახალი ვალდებულებების შესასრულებლად.

ტერმინთა განმარტება. საკოორდინაციო-საინფორმაციო ცენტრი – დამოუკიდებელი სააგენტო, რომელსაც მწარმოებლის გაფართოებული ვალდებულების (EPR) სისტემაში შეუძლია საინფორმაციო და საკოორდინაციო როლის საკუთარ თავზე აღება. დეპონირება-ანაზღაურების სისტემა –სისტემა, რომელშიც გარკვეულ პროდუქციას ან ტარას აქვს მწარმოებლის მიერ განსაზღვრული სპეციალური წინასწარი გადასახადი (ფასნამატი ან დეპოზიტი). აღნიშნული გადასახადი უბრუნდება მომხმარებელს მას შემდეგ, რაც ის აბრუნებს ტარას ან პროდუქციას რეციკლირებისა ან სათანადო განთავსების მიზნით. განთავსება – ნარჩენის განთავსება მიწაზე ან მიწაში, მიწაზე ინსინერაცია, სამუდამოდ შენახვა ან „ნარჩენების

მართვის კოდექსით" განსაზღვრული სხვა ქმედება. დისტრიბუტორი/საცალო მოვაჭრე – მიწოდების ჯაჭვის მონაწილე ნებისმიერი ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომელიც ახორციელებს პროდუქციის ბაზარზე განთავსებას.

გარემოსდაცვითი ზღვრული მნიშვნელობები და მიზნები – ნარჩენი პროდუქციის სეპარირებული შეგროვების, დამუშავების, აღდგენის და/ან რეციკლირების რაოდენობრივი და ხარისხობრივი მაჩვენებლები, რომლებიც განსაზღვრულია კანონმდებლობით. მწარმოებლის გაფართოებული ვალდებულება (EPR) – გარემოსდაცვითი პოლიტიკური მიდგომა, რომლის თანახმადაც მწარმოებლის პასუხისმგებლობა პროდუქციაზე მისი მოხმარების შემდგომ ეტაპზეც ვრცელდება. პრაქტიკაში, მწარმოებლის გაფართოებული ვალდებულება (EPR) მწარმოებლებს ავალდებულებს ხმარებიდან ამოღებული პროდუქციის შეგროვებას და მათ დახარისხებას საბოლოო განთავსებისთვის, საუკეთესო შემთხვევაში, რეციკლირებისათვის.

მწარმოებლის გაფართოებული ვალდებულების (EPR) შესაბამისობის სქემა – ერთი ან ერთზე მეტი მწარმოებლისგან შემდგარი სისტემა მწარმოებლის გაფართოებული ვალდებულების (EPR) პრინციპის განსახორციელებლად. ეს შეიძლება იყოს როგორც ინდივიდუალური სისტემა (ან შესაბამისობის ინდივიდუალური სქემა), როდესაც მწარმოებელი ქმნის საკუთარ სისტემას (იხ. მწარმოებლის საკუთარი ვალდებულება (IPR)), ან კოლექტიური სისტემა (შესაბამისობის კოლექტიური სქემა), როდესაც რამდენიმე მწარმოებელი თანამშრომლობს და საკუთარ ვალდებულებას გადასცემს კონკრეტულ ორგანიზაციას (მწარმოებლის ვალდებულების ორგანიზაცია (PRO)).

მწარმოებლის გაფართოებული ვალდებულების ცენტრი (EPR ცენტრი) – ცენტრალური ხელისუფლების ორგანოს დაქვემდებარებული ორგანიზაცია, რომელიც პასუხისმგებელიანარჩენების მართვასა და ქვეყანაში მწარმოებლის გაფართოებული ვალდებულების (EPR) სისტემის სამართლებრივი მიზნების მიღწევაზე. ცენტრი ორგანიზებას უწევს ხმარებიდან ამოღებული პროდუქციის შეგროვებასა და რეციკლირებას. მწარმოებლის გაფართოებული ვალდებულების ცენტრი (EPR ცენტრი), ნარჩენების მართვის დასაფინანსებლად, რეციკლირების გადასახადს მწარმოებლებისგან აგროვებს. სახიფათო ნარჩენები – ნარჩენები, რომლებსაც აქვს

„ნარჩენების მართვის კოდექსით“ გათვალისწინებული ერთი ან მეტი მახასიათებელი (მაგ., ფეთქებადი, აალებადი, მჟანგავი, გამაღიზიანებელი, მავნე, ტოქსიკური, და სხვ.). მწარმოებლის საკუთარი ვალდებულება (IPR) – მწარმოებლებს ეკისრებათ მათ მიერ წარმოებული პროდუქციიდან წარმოქმნილი ნარჩენების შეგროვებისა და განთავსების ინდივიდუალური ვალდებულება. უპატრონო პროდუქცია/ისტორიული ნარჩენები – მწარმოებლის გაფართოებული ვალდებულების (EPR) კანონმდებლობის ამოქმედებამდე ბაზარზე განთავსებული პროდუქცია.

მწარმოებელი – ნებისმიერი ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომელიც აწარმოებს, ამუშავებს, ყიდის ან ქვეყანაში შემოაქვს პროდუქცია, რომელიც ხმარებიდან ამოღების შემდეგ გადაიქცევა სპეციფიურ ნარჩენად და ხვდება მწარმოებლის გაფართოებული ვალდებულების (EPR) სისტემაში. მწარმოებლის ვალდებულების ორგანიზაცია (PRO) – კოლექტიური ორგანიზაცია, რომელიც, ჩვეულებრივ, ფინანსდება მწარმოებლების მიერ ან კანონმდებლობის საფუძველზე და პასუხისმგებელია მწარმოებლის ვალდებულებების შესრულებაზე ნარჩენების შეგროვებასა და განთავსებასთან დაკავშირებით. პროდუქცია – პროდუქტების განსაზღვრული ჯგუფი, რომელსაც მოიცავს მწარმოებლის გაფართოებული ვალდებულების (EPR) სისტემა (მწარმოებლის გაფართოებული ვალდებულების (EPR) პროდუქცია).

ბაზარზე განთავსება – საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე (გარდა თავისუფალი ინდუსტრიული ზონებისა) პროდუქციის ბაზარზე პირველადი მიწოდება ადგილობრივი წარმოების, იმპორტის, ლიზინგის ან სხვა გზით, კომერციული ან არაკომერციული მიზნებისათვის, უსასყიდლოდ ან საფასურის სანაცვლოდ. პროდუქციის ყოველი მომდევნო მიწოდება არ ითვლება ბაზარზე განთავსებად.

აღდგენა – საქმიანობა, რომლის ძირითადი შედეგია ნარჩენების სასარგებლო მიზნებისთვის გამოყენება იმ მასალების ჩანაცვლებით, რომლებიც სხვა პირობებში რაიმე ფუნქციის შესასრულებლად იქნებოდა გამოყენებული. აღდგენა მოიცავს რეციკლირებას. რეციკლირება – აღდგენითი ღონისძიება, რომლის საშუალებითაც ნარჩენი ისეთ პროდუქტად, მასალად ან ნივთიერებად გარდაიქმნება, რომელიც განკუთვნილია თავდაპირველი დანიშნულებით ან სხვა მიზნით გამოყენებისთვის. რეციკლირება არ მოიცავს ენერგიის აღდგენას.

რეციკლირების გადასახადი – მწარმოებლის მიერ გადახდილი საფასური მწარმოებლის ვალდებულების ორგანიზაციის (PRO) მიერ მის პროდუქციაზე პასუხისმგებლობის ასაღებად. ასევე შესაძლებელია შემდეგი ტერმინების გამოყენება: ხმარებიდან ამოღებული ელექტრო და ელექტრონული მოწყობილობების შესაბამისობის გადასახადი ან რეციკლირების საფასურის ავანსი. ხშირ შემთხვევაში, აღნიშნული გადასახადი ემატება მომხმარებლის მიერ პროდუქციაზე გადასახდელ ფასს. ხელახალი გამოყენება – ნარჩენად გადაქცევამდე პროდუქციის ან/და მისი კომპონენტის თავდაპირველი დანიშნულებით ხელახლა გამოყენება.

დაინტერესებული მხარეები – პროდუქციის ფასეულობათა ჯაჭვში ჩართული ყველა პირი, რომელსაც აქვს საკუთარი ინტერესი მის წარმოებასა და ხმარებიდან ამოღებული პროდუქციის მართვაში: მწარმოებლები, საცალო მოვაჭრეები, მომხმარებლები-მოქალაქეები, ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოები, ნარჩენების მართვაში ჩართული სახელმწიფო და კერძო ორგანიზაციები. ნარჩენი – ნებისმიერი ნივთიერება ან ნივთი, რომელსაც მფლობელი იშორებს, განზრახული აქვს მოიშოროს ან ვალდებულია მოიშოროს. ნარჩენების მართვაში ჩართული ობიექტი – ნებისმიერი კომპანია, რომელიც მონაწილეობს ნარჩენების მართვაში (ნარჩენების შეგროვებაში, ტრანსპორტირებაში, რეციკლირებაში ან სხვა სახის აღდგენასა და განთავსებაში).

ნარჩენების მართვა – ნარჩენების შეგროვება, დროებითი შენახვა, წინასწარი დამუშავება, ტრანსპორტირება, აღდგენა და განთავსება, ამ საქმიანობების, ღონისძიებებისა და ოპერაციების ზედამხედველობა და ნარჩენების განთავსების ობიექტების შემდგომი მოვლა. ნარჩენების დამუშავება – „ნარჩენების მართვის კოდექსის" I და II დანართებით გათვალისწინებული აღდგენის და განთავსების ოპერაციები, აგრეთვე ნარჩენების წინასწარი დამუშავება აღდგენამდე ან განთავსებამდე.

მწარმოებლის გაფართოებული ვალდებულების (EPR) მიზნები და ამოცანები. მოხმარების გაზრდილი დონე ბუნებრივი რესურსების ამოწურვასა და ნარჩენების რაოდენობის ზრდას იწვევს. მასალებისთვის, განსაკუთრებით კი ლითონებისთვის, ახალი წყაროების გამონახვის საჭიროება, განაპირობებს ისეთი ახალი საშუალე-

ბების შემუშავებისა და დანერგვის აუცილებლობას, რომლებიც ხელს შეუწყობენ ნარჩენებიდან მასალების რეციკლირებას1. მწარმოებლის გაფართოებული ვალდებულება (EPR) არის საშუალება, რომელიც ნარჩენების მართვას პროდუქციის დიზაინსა და წარმოებასთან აკავშირებს და მიზნად ისახავს პროდუქციის ხმარებიდან ამოღების შემდეგ მასალის დანაკარგების მინიმუმამდე შემცირებას. მწარმოებლის გაფართოებული ვალდებულება (EPR) მწარმოებლებს ეფექტიანად აკისრებს ნარჩენების მართვის ღონისძიებების განხორციელების ვალდებულებას და ამავე დროს, სტიმულს აძლევს მათ, განახორციელონ ცვლილებები. ამ მეთოდს რამდენიმე უპირატესობა აქვს. პირველ რიგში, პირთა ერთი ჯგუფისთვის (მწარმოებლებისთვის) მკაფიო ვალდებულების დაკისრება აგვარიდებს ისეთ სიტუაციას, როდესაც საერთო ვალდებულება არავის ვალდებულება ხდება. მეორე, გარემოზე ზემოქმედებების უდიდესი ნაწილი უკვე განსაზღვრულია პროდუქციის დიზაინით. აქედან გამომდინარე, მწარმოებლის გაფართოებულ ვალდებულებას (EPR) შეუძლია წაახალისოს მწარმოებლები, პროდუქციის შექმნის პროცესში გამოიყენონ ისეთი მიდგომები, როგორიცაა დიზაინი გარემოსდაცვითი მოთხოვნების გათვალისწინებით 1 ევროკომისიის შეტყობინება ევროპის პარლამენტს, საბჭოს, ევროპის ეკონომიკურ და სოციალურ კომიტეტს და რეგიონების კომიტეტს. ციკლის შეკვრა – ცირკულარული ეკონომიკის ევროკავშირის სამოქმედო გეგმა. COM(2015)614ფინალ, 2015 წლის 2 დეკემბერი. (DfE), დიზაინი დემონტაჟის მოთხოვნების გათვალისწინებით (DfD) და დიზაინი რეციკლირების მოთხოვნების გათვალისწინებით (DfR). მესამე, მწარმოებლებისათვის ვალდებულებების დაკისრება ხელს უწყობს მათ ფიზიკურ ჩართულობას ხმარებიდან ამოღებული პროდუქციის მართვის პროცესში ან პროდუქციის მიწოდების ციკლის ქვედა საფეხურებზე მდგომ პირებთან დიალოგის დაწყებაში, რითიც ინფორმაციის გაცვლა-გამოცვლა მოქმედ პირებს შორის უფრო ინტენსიური ხდება და დადებითად აისახება ნარჩენების მართვის მთლიან სისტემაზე. აქედან გამომდინარე, მწარმოებლის როლი უმნიშვნელოვანესია, რადგან მწარმოებელი გავლენას ახდენს:

- პროდუქციის დიზაინზე მიდგომა შეიძლება იყოს ნებაყოფლობითი, როდესაც მწარმოებელი თავად არის დაინტერესებული შექ-

მნას ისეთი პროდუქცია, რომლის დამუშავება და განთავსება ხმარებიდან ამოღების შემდეგ მაქსიმალურად იაფი იქნება. მეორე მიდგომა სავალდებულო ხასიათს ატარებს, რომლის დროსაც ხელისუფლება (სამართლებრივი გზით) გავლენას ახდენს პროდუქციის დიზაინზე ან პროდუქციაში გარკვეული მასალების შემცველობაზე.

- პროდუქციაში სახიფათო მასალების შემცველობაზე ამ შემთხვევაში პროდუქციასთან დაკავშირებული გარემოს დაცვისა და ნარჩენების პრევენციის მიდგომა შეიძლება იყოს ნებაყოფლობითი ან სავალდებულო.

3 მაგ., ევროპის პარლამენტისა და საბჭოს 2011 წლის 8 ივნისის დირექტივა 2011/65/Eუ ელექტრო და ელექტრონულ მოწყობილობებში გარკვეული სახიფათო ნივთიერებებს გამოყენების შეზღუდვის შესახებ (განახლებული).

მწარმოებელი ზემოქმედებას ახდენს მომხმარებლის ქცევაზე გარემოსდაცვითი თვალსაზრისით უსაფრთხო პროდუქციის რეკლამირების გზით. მომხმარებლის ქცევაზე ზემოქმედების მოხდენის ძალიან ეფექტიან საშუალებას პროდუქციის ეტიკეტირება. წარმოადგენს. მწარმოებლის გაფართოებული ვალდებულების (EPR) ამოცანები აღნიშნულიდან გამომდინარე, მწარმოებლის გაფართოებული ვალდებულების (EPR) ამოცანები შეიძლება შემდეგნაირად ჩამოყალიბდეს:

ა) პროდუქციის დიზაინის გაუმჯობესება, რაც გააადვილებს, მაგალითად, მათ დემონტაჟს, აამაღლებს რეციკლირების შესაძლებლობებს ან შეამცირებს პროდუქციაში სახიფათო მასალების შემცველობას.

ბ) პროდუქციის და მასალის მაქსიმალურად გამოყენება მათი ნარჩენების ეფექტიანად შეგროვების, დამუშავების, ხელახალი გამოყენების ან გარემოსდაცვითი თვალსაზრისით უსაფრთხო და სოციალური თვალსაზრისით მისაღები მეთოდებით რეციკლირების გზით.

ევროკავშირში მწარმოებლის გაფართოებული ვალდებულება (EPR) ითვლება მექანიზმად, რომელიც ხელს უწყობს ხმარებიდან ამოღებული პროდუქციის მართვის ხარჯების ინტერნალიზაიას და მწარმოებლების მიერ გარემოსდაცვითი მოთხოვნების გათვალისწინებას პროდუქციის მთლიანი საციცოცხლო ციკლის ყველა ეტაპზე.

მწარმოებლის გაფართოებული ვალდებულების მიზანია, ხელი შეუწყოს ნარჩენების მართვის იერარქიას და შესაბამისად, ნარჩენების წარმოქმნის თავიდან აცილებას, და შემდგომ, იერარქიის მიხედვით, ხელახალი გამოყენებისთვის მომზადებას, რეციკლირებას, ან სხვა ფორმით აღდგენასა (მაგ., ენერგიის აღდგენას) და განთავსებას.

ცხრილი №12 ნარჩენების მართვის იერარქია.

4 მაგ., 2019 წლის 19 მაისის დირექტივა 2010/30/EU ეტიკეტირების და პროდუქციის შესახებ სტანდარტული ინფორმაციის საშუალებით ენერგიის მომხმარებელ პროდუქციაზე ენერგიისა და სხვა რესურსების მოხმარების მითითების შესახებ.



ნარჩენების მართვის იერარქიის მიზანია ნებისმიერ დროს შეინარჩუნოს პროდუქციის მატერიალური და ენერგეტიკული ფასეულების შეძლებისდაგვარად უმაღლესი დონე. აქედან გამომდინარე, ნარჩენების მართვის იერარქიის მიხედვით, ყველაზე ოპტიმალურ ვარიანტს ნარჩენების პრევენცია წარმოადგენს, რასაც დანარჩენი ნაკლებად სასურველი ვარიანტები მოყვება.

მწარმოებლის გაფართოებულ ვალდებულებას (EPR) შეუძლია არა მხოლოდ ნარჩენების მართვის სისტემის გარემოსდაცვითი მაჩვენებლების გაუმჯობესება, არამედ იმ ფინანსური რესურსების მობილიზება, რომლებიც საჭიროა ნარჩენების ხელახალი გამოყენების, სეპარირებული შეგროვების, რეციკლირების, აღდგენის და/ან სხვაგვარად დამუშავების უზრუნველსაყოფად. ფინანსური ასპექტები ნარჩენების მართვის სათანადო სისტემების ჩამოყალიბების, მათ შორის ნარჩენების მართვისთვის საჭირო ინფრასტრუქტურის

შექმნისა და ექსპლუატაციის, ერთ-ერთი მთავარი გამოწვევაა. „დამბინძურებელი იხდის" პრინციპი გარემოსდაცვითი პოლიტიკის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ქვაკუთხედია, ხოლო ამ კონტექსტში, მწარმოებლის გაფართოებული ვალდებულება (EPR) დაფინანსების ერთ-ერთ შესაძლო მექანიზმს წარმოადგენს.

ნარჩენების მართვის ნაკლებად განვითარებული სისტემების მქონე ქვეყნებში მწარმოებლის გაფართოებულ ვალდებულებას (EPR) შეუძლია ხელი შეუწყოს ნარჩენების სექტორის ინფრასტრუქტურაში კერძო ინვესტიციების მოზიდვასაც. საერთაშორისო გამოცდილება გვიჩვენებს, რომ მწარმოებლის გაფართოებული ვალდებულების (EPR) დანერგვა ხელს უწყობს ქვეყანაში სხვადასხვა სახის სამუშაო ადგილების გაჩენას – მათ შორის, ისეთ სამუშაოებზე, რომელთა შესრულება შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებსაც შეუძლიათ.

ჩანართი 2. დაფინანსების შესაძლო მექანიზმები „დამბინძურებელი იხდის" პრინციპით პირდაპირი გადახდა – ეს მოდელი ძირითადად გამოიყენება სამრეწველო და კერძო სექტორში. ნარჩენების წარმომქმნელი – სამრეწველო ობიექტი, მომსახურების კომპანია და სხვ., ნარჩენების გატანის და განთავსების/აღდგენის საფასურს პირდაპირ ნარჩენების მართვაში ჩართულ კომპანიას უხდის. ეს მოდელი ადვილად გასაგები, ადვილად ასამოქმედებელი და ადვილად შესამოწმებელია. ნარჩენების წარმომქმნელი, ნარჩენების მართვის ხარჯების შესამცირებლად, ცდილობს მოახდინოს ნარჩენების ნარჩენების მართვის იერარქიის მიზანია ნებისმიერ დროს შეინარჩუნოს პროდუქციის მატერიალური და ენერგეტიკული ფასეულობის უმაღლესი დონე. აქედან გამომდინარე, ნარჩენების მართვის იერარქიის მიხედვით, ყველაზე ოპტიმალურ ვარიანტს ნარჩენების პრევენცია წარმოადგენს, რასაც დანარჩენი ნაკლებად სასურველი ვარიანტები მოჰყვება.

პრევენცია ხელახალი გამოყენებისთვის მომზადება რეციკლირება სხვა სახის აღდგენა, მათ შორის, ენერგიის აღდგენა განთავსება


პრევენცია. მეორე მხრივ, აღნიშნულ მოდელს თან ახლავს ნარჩენების მართვის ხარჯების შემცირების მიზნით ნარჩენებთან არასათანადო მოპყრობის რისკი. გადახდა სახელმწიფო ფონდების (სახელმწიფო, მუნიციპალური) ფონდების საშუალებით – აღნიშნული მოდელი წარმატებით გამოიყენება მოსახლეობის მიერ წარმოქმნილი მუნიციპალური ნარჩენების მართვის დასაფინანსებლად. მოსახ-

ლეობა გადასახადს ან მოსაკრებელს იხდის სახელმწიფო ბიუჯეტში ან უხდის იმ სპეციალიზებულ ორგანოებს ან მუნიციპალიტეტებს, რომლებიც ნარჩენების მართვას უზრუნველყოფენ. ეს მოდელი წარმატებით გამოიყენება ევროკავშირის ქვეყნებში. აღნიშნული მოდელის უარყოფით მხარეს წარმოადგენს ნარჩენების პრევენციის დაბალი დონე, დაბალი ფინანსური ეფექტიანობა და პოლიტიკური გავლენები. მწარმოებლის გაფართოებული ვალდებულება (EPR) – აღნიშნული მოდელი ძალიან ეფექტიანია ნარჩენების გარკვეული სახეობებისათვის, მაგრამ მისი გამოყენება ნარჩენების ყველა სახეობისთვის შეუძლებელია. ამ მოდელის პრინციპი მდგომარეობს იმაში, რომ ნარჩენების მართვის ხარჯი უკვე შესულია პროდუქციის ფასში, რომელსაც მომხმარებელი იხდის და პასუხისმგებლობა ნარჩენების მართვაზე ნარჩენების წარმომქმნელიდან პროდუქციის მწარმოებელზე გადადის. მწარმოებლის გაფართოებული ვალდებულების (EPR) სქემის მიზანია, დააკისროს პროდუქციის გარემოზე ზემოქმედების პასუხისმგებლობა მის მწარმოებელს პროდუქციის მთლიანი სასიცოცხლო ციკლის გამავლობაში – პროდუქციის დიზაინის შექმნიდან მისი მოხმარების შემდეგომ ეტაპამდე.

4. მწარმოებლის გაფართოებული ვალდებულების (EPR) სისტემა წინამდებარე თავში აღწერილია მწარმოებლის გაფართოებული ვალდებულების (EPR) სისტემის ზოგადი კონცეფცია, ნარჩენების, ფინანსებისა და ინფორმაციის ნაკადები, დაინტერესებული მხარეების როლები, აგრეთვე მწარმოებლის გაფართოებული ვალდებულების (EPR) სისტემაში მიმდინარე პროცესები და სისტემის ეფექტიანობის უზრუნველმყოფი პილიტიკური ინსტრუმენტები. მწარმოებლის გაფართოებული ვალდებულების (EPR) სისტემა ეფექტიანია მაშინ, როდესაც ამ სისტემაში ჩართული მხარეების როლები მკაფიოდ დადგენილი და ყველასათვის ცნობილია. დაინტერესებული მხარეების საქმიანობა უნდა დაარეგულიროს კანონმდებლობამ, ხოლო ხელისუფლებამ უნდა შექმნას მონიტორინგისა და ზედამხედველობის ეფექტიანი სისტემა. სისტემის ეფექტიანობისათვის აუცილებელია:

- მარტივი, მკაფიო და მკაცრი კანონმდებლობა; და
- ხელისუფლების მხრიდან რეგულარული შემოწმებებისა და კანონაღსრულების უზრუნველყოფა.

4.1. ურთიერთდამოკიდებულება მწარმოებლის გაფართოებული ვალდებულების სისტემის (EPR) დაინტერესებულ მხარეებს შორის მწარმოებლის გაფართოებული ვალდებულების (EPR) სისტემა აერთიანებს შემდეგ დაინტერესებულ მხარეებს: შესაბამისი პროდუქციის მწარმოებლები და იმპორტიორები, მწარმოებლის ვალდებულების ორგანიზაციები (მწარმოებლის ვალდებულების ორგანიზაცია (PRO) ან მწარმოებლის გაფართოებული ვალდებულების ცენტრის (EPR ცენტრი), ასეთის არსებობის შემთხვევაში), დისტრიბუტორები, ნარჩენების მართვაში ჩართული ორგანიზაციები (კომპანიები, რომლებიც ახორციელებენ ნარჩენების შეგროვებას, რეციკლირებას, აღდგენას ან განთავსებას), მუნიციპალიტეტები, ცენტრალური ხელისუფლების ორგანოები (ცენტრალური გარემოსდაცვითი ორგანო, ადგილობრივი გარემოსდაცვითი უწყებები, სახელმწიფო ზედამხედველობის ორგანოები, პოლიცია, საბაჟო, და სხვ.). მწარმოებლის გაფართოებული ვალდებულების (EPR) სისტემაში ნარჩენებისა და ფინანსების ნაკადების გამარტივებული სქემა წარმოდგენილია ნახ.1-ზე.



ნახ. 1: ნარჩენებისა და ფინანსების ნაკადები მწარმოებლის გაფართოებული ვალდებულების (EPR) სისტემაში დისტრიბუტორი

მწარმოებელი მომხმარებელი მწარმოებლის ვალდებულების ორგანიზაცია (PRO) / მწარმოებლის საკუთარი ვალდებულება (IPR) ნარჩენების მართვაში ჩართული კომპანია პროდუქცია ფინანსები ნარჩენი პროდუქცია მწარმოებელი / იმპორტიორი5 საკუთარ 304.. როდუქციას ყიდის დისტრიბუციის / საცალო ვაჭრობის გზით. პროდუქციის სასიცოცხლო ციკლის დასრულების შემდეგ მომხმარებელს აქვს შესაძლებლობა, ნარჩენი პროდუქცია დაუბრუნოს დისტრიბუტორს, რომელიც ვალდებულია (კანონმდებლობით) უზრუნველყოს ჩაბარების სისტემა (პროდუქციის გაყიდვის შემთხვევაში დაიბრუნოს ნარჩენად ქცეული იგივე პროდუქცია), ან მომხმარებელს შეუძლია გამოიყენოს ნარჩენების შეგროვების სისტემა და მიუტანოს ნარჩენად ქცეული ნივთი უშუალოდ მუნიციპალიტეტში მოქმედ ნარჩენების მართვის კომპანიას. ჩაბარების სისტემები წარმატებით გამოიყენება ხმარებიდან ამოღებული ელექტრო და ელექტრონული მოწყობილობების, ბატარეების, აკუმულატორების და სატრანსპორტო 5 დოკუმენტის ტექსტში ტერმინი „მწარმოებელი“ „იმპორტიორსაც" გულისხმობს საშუალებების შემთხვევაში. მუნიციპალიტეტებში ნარჩენების სეპარირებული შეგროვების სისტემა გამოიყენება შესაფუთი მასალებისთვის. მუნიციპალიტეტებში ან ნარჩენების დამუშავების ობიექტებზე შესაძლებელია ჩაბარებისა და სეპარირებული შეგროვების


სისტემების კომბინირება. დისტრიბუტორს, მწარმოებლის გაფართოებული ვალდებულების (EPR) სქემის შესაბამის ორგანიზაციასთან თანამშრომლობით, ნარჩენი პროდუქცია მიაქვს ნარჩენების მართვაში ჩართულ ობიექტზე, რომელიც, თავის მხრივ, უზრუნველყოფს ნარჩენების გარემოსდაცვითი თვალსაზრისით უსაფრთხო მართვას და აქვს ხელისუფლების ორგანოების მიერ გაცემული ნებართვა ამ სახის სამუშაოების განხორციელებაზე. ის, თუ როგორ არის ორგანიზებული ჩაბარება, დამოკიდებულია შესაბამისი პროდუქციის მწარმოებლების მიერ შექმნილ სქემაზე. მწარმოებელს შეუძლია მიხედოს ხმარებიდან ამოღებულ საკუთარ პროდუქციას მესამე მხარის დახმარებითაც. კერძოდ, იმ ორგანიზაციის საშუალებით, რომელიც ახორციელებს ნარჩენების მართვას მწარმოებლის სახელით და რომელსაც მწარმოებლის ვალდებულების ორგანიზაცია (PRO) ეწოდება; ან საკუთარი ძალებით, მწარმოებლის

საკუთარი ვალდებულების (IPR) პრინციპის შესაბამისად, რომელიც თანახმადაც თავად მწარმოებელი ზრუნავს მის მიერ ბაზარზე განთავსებულ (ხმარებიდან ამოღებულ) პროდუქციაზე; ან მწარმოებლის გაფართოებული ვალდებულების სახელმწიფო ცენტრის (EPR ცენტრი) საშუალებით, რომელიც უზრუნველყოფს ხმარებიდან ამოღებული პროდუქციის შეგროვებასა და მართვას მწარმოებლის გაფართოებული ვალდებულების (EPR) კანონმდებლობის მოქმედების სფეროში მყოფი ყველა მწარმოებლისთვის.

მწარმოებელი ვალდებულია, მწარმოებლის გაფართოებული ვალდებულების (EPR) არსებული სქემის (მწარმოებლის ვალდებულების ორგანიზაცია (PRO) / მწარმოებლის საკუთარი ვალდებულება (IPR)/ მწარმოებლის გაფართოებული ვალდებულების სახელმწიფო ცენტრი (EPR ცენტრი)) საშუალებით, უზრუნველყოს სისტემის გამართულობა და მისი დაფინანსება. სისტემის გამართულად მუშაობისათვის აუცილებელია ინფორმაციის გაცვლა-გამოცვლა. მწარმოებლის გაფართოებული ვალდებულების (EPR) სისტემაში ინფორმაციის გაცვლა-გამოცვლის გამარტივებული სქემა წარმოდგენილია ნახ.2-ზე.

ნახ. 2: ინფორმაციის გაცვლა-გამოცვლა მწარმოებლის გაფართოებული ვალდებულების (EPR) სისტემაში გარემოს დაცვის სამინისტრო მწარმოებელი მწარმოებლის გაფართოებული ვალდებულება (EPR) / მწარმოებლის საკუთარი ვალდებულება (IPR) მუნიციპალიტეტი დისტრიბუტორი ნარჩენების მართვაში ჩართული კომპანია მწარმოებელი, მწარმოებლის გაფართოებული ვალდებულების (EPR) სისტემის შესაბამის მონაწილეს, გარკვეული პერიოდულობით, ჩვეულებრივ, კვარტალში ერთხელ, აწვდის ინფორმაციას ბაზარზე მის მიერ განთავსებული პროდუქციის სახეობისა და რაოდენობის შესახებ. მწარმოებლის ვალდებულების ორგანიზაციის (PRO) არსებობის შემთხვევაში, მწარმოებელი ინფორმაციას აწვდის მწარმოებლის ვალდებულების ორგანიზაციას (PRO), რომელიც აღნიშნულ ინფორმაციას გადასცემს შესაბამის სახელმწიფო ორგანოს და ნარჩენების მართვაში ჩართულ იმ კომპანიას, რომელთანაც მას სახელშეკრულებო ურთიერთობა აქვს. იმ შემთხვევაში, თუ მწარმოებელი მწარმოებლის გაფართოებული ვალდებულებას (EPR) მწარმოებლის საკუთარი ვალდებულების (IPR)

საშუალებით ასრულებს, იგი თავად აწვდის აღნიშნულ ინფორმაციას შესაბამის სახელმწიფო ორგანოს და ნარჩენების მართვაში ჩართულ კომპანიებს.



მწარმოებლის გაფართოებული ვალდებულების (EPR) სისტემის შესაბამის მონაწილეებს (მწარმოებლის ვალდებულების ორგანიზაცია (PRO), მწარმოებლები, მწარმოებლის გაფართოებული ვალდებულების ცენტრი (EPR ცენტრი)) აქვთ კომუნიკაცია სახელმწიფო ორგანოებთან (ჩვეულებრივ, გარემოს დაცვის სამინისტროსთან) სხვადასხვა საკითხებზე: შესაბამისი ორგანიზაცია იწყებს მწარმოებლების რეგისტრაციას ცენტრალურ რეესტრებში და წარმოადგენს ინფორმაციას ბაზარზე განთავსებული პროდუქციის რაოდენობაზე, აგრეთვე შეგროვებული, დამუშავებული და რეციკლირებული ნარჩენების რაოდენობაზე. ხშირად სახელმწიფო ორგანოები ითხოვენ სხვა სახის ინფორმაციასაც (მაგ., სისტემის დაფინანსება, და სხვ.). დისტრიბუტორი შეიძლება პასუხისმგებელი იყოს ჩაბარების სისტემაზე და მწარმოებლის გაფართოებული ვალდებულების (EPR) სისტემის შესაბამის მონაწილეებთან (მწარმოებლის ვალდებულების ორგანიზაცია (PRO), მწარმოებლები, მწარმოებლის გაფართოებული ვალდებულების ცენტრი

(EPR ცენტრი)) ნარჩენების დამუშავების ობიექტზე შეგროვებული ნარჩენების ტრანსპორტირების პირობების შეთანხმებაზე. მწარმოებელი დისტრიბუტორს აცნობებს რეციკლირების საფასურის ოდენობის შესახებ, რომელიც უკვე შესულია პროდუქციის ფასში. მწარმოებლის გაფართოებული ვალდებულების (EPR) სისტემის შესაბამისი მონაწილე (მწარმოებლის ვალდებულების ორგანიზაცია (PRO), მწარმოებლები, მწარმოებლის გაფართოებული ვალდებულების ცენტრი (EPR ცენტრი)) უკავშირდება ნარჩენების მართვაში ჩართულ კომპანიას, რომელიც უზრუნველყოფს ნარჩენების ტრანსპორტირებას და ასევე იმ ობიექტებს, რომლებიც ახორციელებენ ნარჩენების დამუშავებას და/ან რეციკლირებას. იმ შემთხვევაში, თუ ნარჩენები შეგროვებულია მუნიციპალიტეტებში არსებული ნარჩენების სეპარირებული შეგროვების სისტემით, მუნიციპალიტეტები უკავშირდებიან მწარმოებლის გაფართოებული ვალდებულების (EPR) სისტემის შესაბამის მონაწილეს (მწარმოებლის ვალდებულების ორგანიზაცია (PRO), მწარმოებლები, მწარმოებლის გაფართოებული ვალდებულების ცენტრი (EPR ცენტრი)) ნარჩენების დამუშავების ობიექტზე ნარჩენების ტრანსპორტირების უზრუნველსაყოფად. მწარმოებელი ვალდებულია ნარჩენების დამუშავების ობიექტზე წარმოადგინოს ინფორმაცია პროდუქციის დიზაინისა და მასში სახიფათო მასალების შემცველობის შესახებ ნარჩენების გარემოსდაცვითი თვალსაზრისით უსაფრთხოდ დამუშავების უზრუნველსაყოფად.

4.2 ვალდებულებების განაწილება ქვემოთ წარმოდგენილია მწარმოებლის გაფართოებული ვალდებულების (EPR) სისტემის ძირითადი მონაწილეების როლები და ფუნქციები:

4.2.1 მწარმოებლის გაფართოებული ვალდებულების (EPR) პროდუქციის მწარმოებლები

მწარმოებლის გაფართოებული ვალდებულების (EPR) პრინციპის თანახმად, მწარმოებელი (მწარმოებლის განმარტების თანახმად, აღნიშნული ტერმინის ქვეშ იმპორტიორიც მოიაზრება) პასუხისმგებელია წარმოქმნილი ნარჩენების შეგროვებაზე, დამუშავებასა და განთავსებაზე. აქედან გამომდინარე, პროდუქციის მწარმოებლებმა უნდა შეასრულონ კანონმდებლობით განსაზღვრული გარკვეული ვალდებულებები.

მწარმოებლების ვალდებულებები შეიძლება მოიცავდეს შემდეგს:

- პროდუქციის ისეთი დიზაინით შექმნა და დამზადება, რომელიც აადვილებს მის დემონტაჟს და აღდგენას, განსაკუთრებით ხელახალ გამოყენებასა და რეციკლირებას, – პროდუქციაში აკრძალული მასალების ან ნივთიერებების არგამოყენებან,
- პროდუქციის ეტიკეტირება კანონმდებლობით დადგენილი წესით, – ხმარებიდან ამოღების შემდეგ პროდუქციის ჩაბარების და სეპარირებული შეგროვების უზრუნველყოფა,
- შეგროვებული მთელი ნარჩენი პროდუქციის უპირატესად ხელახალი გამოყენება (თუ შესაძლებელია და ნებადართულია კანონმდებლობით),
- ნარჩენების დამუშავების ავტორიზებულ ობიექტზე ისეთი ნარჩენების გაგზავნის უზრუნველყოფა, რომელთა ხელახალი გამოყენება არ არის შესაძლებელი,
- ნარჩენების დამუშავება მინიმალური სტანდარტებით,
- ისეთი ნარჩენების გარემოსდაცვითი თვალსაზრისით უსაფრთხო მეთოდებით განთავსების უზრუნველყოფა, რომელთა რეციკლირება ან აღდგენა არ არის შესაძლებელი,
- ნარჩენების შეგროვების, ტრანსპორტირებისა და დამუშავების გარემოსდაცვითი თვალსაზრისით უსაფრთხოდ განხორციელების უზრუნველყოფა კანონმდებლობის მოთხოვნების შესაბამისად,
- ნარჩენების შეგროვების, ხელახალი გამოყენებისა და რეციკლირების მინიმალური მაჩვენებლების დაცვა იმ შემთხვევაში, თუ ასეთი მაჩვენებლები კანონმდებლობით არის დადგენილი,
- მომხმარებლის ინფორმირება ხმარებიდან ამოღებული პროდუქციის სათანადოდ განთავსებისა და არასათანადო განთავსების სოციალურ/გარემოსდაცვითი შედეგების შესახებ,
- დარეგისტრირება ცენტრალური ხელისუფლების ორგანოს მიერ შექმნილ მწარმოებლების რეესტრში; რეგისტრაცია არ არის მხოლოდ ბიუროკრატიული პროცედურა, ეს არის

მწარმოებლის/იმპორტიორის მიერ მწარმოებლის გაფართოებული ვალდებულების (EPR) სქემაში საკუთარი სამართლებრივი ვალდებულებების აღიარება;

- ბაზარზე განთავსებული პროდუქციის, ნარჩენი პროდუქციის სეპარირებული შეგროვების, რეციკლირებისა და აღდგენის მონაცემების აღრიცხვა და სახელმწიფო ორგანოსთვის შესაბამისი ინფორმაციის წარდგენა.

4.2.2 მწარმოებლის გაფართოებული ვალდებულების (EPR) პროდუქციის დისტრიბუტორები

მიუხედავად იმისა, რომ თეორიულად, მწარმოებლის გაფართოებული ვალდებულება (EPR) მწარმოებელს აკისრებს წარმოქმნილ ნარჩენებზე ზრუნვის ვალდებულებას, პროდუქციის ბაზარზე განთავსებას ხშირად სხვა პირები, ძირითადად დისტრიბუტორები (საცალო ვაჭრები) ახდენენ. აქედან გამომდინარე, პასუხისმგებელი მწარმოებლის იდენტიფიცირების ძირითად კრიტერიუმს საცალო ვაჭრობაში გაშვებამდე პროდუქციაზე არსებული ბოლო საფირმო ნიშანი წარმოადგენს. დისტრიბუტორი მწარმოებელთან ბიზნეს ურთიერთობით არის დაკავშირებული. დისტრიბუტორს მწარმოებელთან თანამშრომლობით შეუძლია უზრუნველყოს ხმარებიდან ამოღებული პროდუქციის ჩაბარების სისტემები დეპონირება-ანაზღაურების სქემებთან ერთად.

დისტრიბუტორის ვალდებულებები შეიძლება მოიცავდეს შემდეგს:

- პროდუქციის რეალიზაციის ობიექტებში ნარჩენი პროდუქციის (ჩვეულებრივ, უფასოდ) ჩაბარების ორგანიზება,
- ჩაბარების სისტემით შეგროვებული ნარჩენი პროდუქციის მიტანა მწარმოებელთან, მწარმოებლის ვალდებულების ორგანიზაციაში (PRO) ან ნარჩენების დამუშავების იმ ობიექტზე, რომელსაც აქვს ნარჩენების შეგროვების ან დამუშავების უფლება დარომელიც თანამშრომლობს მწარმოებელთან ან მწარმოებლის ვალდებულების ორგანიზაციასთან (PRO) ხელშეკრულების საფუძველზე. როგორც წესი, დისტრიბუტორები გათავისუფლებული არიან ისეთი ბიუროკრატიული პროცედურებისაგან, როგორიცაა რეგისტრაცია, ნებართვის --Yr-+•-0-აღება ან აღრიცხვის წარმოება.

4.2.3 ნარჩენების მართვაში ჩართული ობიექტები

ნარჩენების მართვაში ჩართული ობიექტი უზრუნველყოფს ნარჩენების ფიზიკურ მართვას, მათ შორის, ნარჩენების შეგროვებას, ტრანსპორტირებას, დამუშავებას, აღდგენას, რეციკლირებას და/ან განთავსებას. ნარჩენების მართვაში ჩართული ობიექტის ვალდებულებები შეიძლება მოიცავდეს შემდეგს:

- სახელმწიფო ორგანოსგან საქმიანობის ლიცენზიის (ნებართვის) მიღება და ლიცენზიის პირობების დაცვა7;
- ნარჩენების მართვა გარემოსა და ადამიანის ჯანმრთელობის დასაცავად და სხვა ზომების მიღება გარემოზე უარყოფითი ზემოქმედების შესამცირებლად;
- მანქანა-დანადგარების მონტაჟი და ექსპლუატაცია შესაბამისი დოკუმენტაციისა და სახელმწიფო ორგანოს მიერ გაცემული ლიცენზიის პირობების შესაბამისად;
- ნარჩენების მართვის სათანადო სახელმწიფო ადმინისტრაციული ორგანოს მიერ განსაზღვრული გამოსწორების ღონისძიებების გატარება;
- სამუშაო დოკუმენტაციისა და აღრიცხვის წარმოება და მათ საფუძველზე საელმწიფო ორგანოსთვის საჭირო ინფორმაციის წარდგენა;
- მიღებული ნარჩენების აწონვა და მიღებული ნარჩენების რაოდენობის ამსახველი დოკუმენტაციის წარმოება და შენახვა;
- ნარჩენების დამუშავების შედეგად წარმოქმნილი ნარჩენების მიტანა ისეთ ობიექტზე, რომელსაც აქვს ნარჩენების აღდგენის ან განთავსების სახელმწიფო ორგანოს მიერ გაცემული მოქმედი ლიცენზია;
- აღდგენის ან რეციკლირების მიზნების მიღწევა, თუ აღნიშნული მიზნები კანონმდებლობით არის დადგენილი.

7 ბაზელის კონვენცია „სახიფათო ნარჩენების ტრანსსასაზღვრო გადაზიდვებსა და მათ განთავსებაზე კონტროლის შესახებ“, მუხლი 4

4.2.4 მწარმოებლის ვალდებულების ორგანიზაცია (PRO) და მწარმოებლის გაფართოებული ვალდებულების ცენტრი (EPR ცენტრი) მწარმოებლის ვალდებულების ორგანიზაცია (PRO) იქმნება მწარმოებ-

ლის გაფართოებულ ვალდებულებასთან (EPR) დაკავშირებული სამართლებრივი ვალდებულებების შესასრულებლად. ის შეიძლება შეიქმნას პროდუქციის მწარმოებლების/იმპორტიორების ჯგუფის მიერ ნებაყოფლობით საფუძველზე, მესამე მხარის მიერ (ბიზნეს მოდელის საფუძველზე), ან კანონმდებლობით (ჩვეულებრივ, ნარჩენების მართვის კანონით/კოდექსით). ორგანიზაციას შეიძლება ჰქონდეს შემდეგი სამართლებრივი ფორმა: ბიზნეს კომპანია (შპს ან სააქციო საზოგადოება), (არამომგებიანი) ასოციაცია, არასამთავრობო ორგანიზაცია ან კოოპერაციული საზოგადოება. ჩვეულებრივ, მწარმოებლის ვალდებულების ორგანიზაცია (PRO) მწარმოებლებთან ხელშეკრულების საფუძველზე მუშაობს. მისი მთავარი როლი მდგომარეობს კლიენტების მიერ ბაზარზე განთავსებული პროდუქციის ნარჩენის შეგროვების (ჩაბარება ან სეპარირებული შეგროვება), ნარჩენების მართვაში ჩართულ კომპანიაში ტრანსპორტირების, დამუშავების, აღდგენის, რეციკლირების, აღდგენისა და განთავსების უზრუნველყოფაში. მწარმოებლის ვალდებულების ორგანიზაცია (PRO) რეციკლირების გადასახადს მწარმოებლებისგან იღებს. მწარმოებლის ვალდებულების ორგანიზაციას (PRO) შეუძლია შემდეგი ამოცანების შესრულება:

- მწარმოებლების ვალდებულებების შესრულება ხელშეკრულებით დადგენილ ფარგლებში;
- მწარმოებლებისაგან/იმპორტიორებისაგან ფინანსური წვლილის შეგროვება დროის მოცემული პერიოდის განმავლობაში მათ მიერ ბაზარზე განთავსებული პროდუქციის რაოდენობის საფუძველზე;
- ნარჩენი პროდუქციის სეპარირებული შეგროვება, ხშირად შესაბამისი მომსახურების მომწოდებლებთან მჭიდრო თანამშრომლობით;
- შესაბამისი მომსახურების მომწოდებლებთან მჭიდრო თანამშრომლობით (საჭიროების შემთხვევაში) შეგროვებული ნარჩენების რეციკლირება, აღდგენა და განთავსება; იმ შემთხვევაში, თუ ნარჩენების წარმოქმნის ქვეყანაში არ არსებობს ნარჩენების რეციკლირების ობიექტები, მწარმოებლის ვალდებულების ორგანიზაცია (PRO), ბაზელის კონვენციის 8 შესაბამისად, უზრუნველყოფს ნარჩენების საზღვარგარეთ ტრანსპორტირებას გარემოსდაცვითი თვალსაზრისით უსაფრთხო გზით;

- სეპარირებული შეგროვების, რეციკლირებისა და აღდგენის მიზნების მიღწევა;
- მწარმოებლებზე დაკისრებული ვალდებულებების შესახებ მომხმარებლების ცნობიერების ამაღლების საინფორმაციო კამპანიები;
- ფინანსური რესურსების ეფექტიანი მართვა,
- სახელმწიფო შემოწმებების განმახორციელებელ ორგანოებთან თანამშრომლობა;
- აღრიცხვის და დოკუმენტაციის წარმოება და მათ საფუძველზე სახელმწიფო ორგანოსთვის საჭირო ინფორმაციის წარდგენა.

ხშირად მწარმოებლის ვალდებულების ორგანიზაციები (PRO), მწარმოებლების სახელით, ცალკეული ფუნქციების შესრულებას, მათ შორის, ნარჩენების შეგროვებას, ტრანსპორტირებასა და დამუშავებას, (მუნიციპალურ) სამსახურებს აკისრებენ იმ პირობით, რომ მიღწეულ იქნება ნარჩენების შეგროვების მიზნები. აქედან გამომდინარე, აუცილებელია მჭიდრო კოორდინაცია როგორც მწარმოებლის ვალდებულების ორგანიზაციებსა (PRO) და მწარმოებლებს, ასევე მწარმოებლის ვალდებულების ორგანიზაციებსა (PRO) და შესაბამის სამსახურებს შორის.

მწარმოებლის ვალდებულების ორგანიზაციის (PRO) განსაკუთრებულ შემთხვევას მწარმოებლის გაფართოებული ვალდებულების ცენტრი (EPR ცენტრი) წარმოადგენს. EPR ცენტრს აქვს მწარმოებლის ვალდებულების ორგანიზაციის (PRO) მეტ-ნაკლებად მსგავსი ამოცანები და პასუხისმგებლობები. განსხვავება მდგომარეობს იმაში, რომ EPR ცენტრი სისტემაში მწარმოებლის ვალდებულების ერთადერთი ორგანიზაციაა და ხშირ შემთხვევაში (ნახევრად) სახელმწიფო ორგანიზაციას წარმოადგენს. ჩვეულებრივ, მწარმოებლის ვალდებულების ორგანიზაციები (PRO) მწარმოებლის გაფართოებული ვალდებულების (EPR) სისტემაში ერთმანეთის კონკურენტები არიან და კერძო კომპანიებს წარმოადგენენ.

4.2.5 სახელმწიფო ადმინისტრირება მწარმოებლის გაფართოებული ვალდებულების (EPR) სისტემა მოითხოვს ცენტრალური, რეგიონული და ადგილობრივი ხელისუფლების სხვადასხვა ორგანოების აქტიურ 8 ბაზელის კონვენცია „სახიფათო ნარჩენების ტრან-

სსასაზღვრო გადაზიდვებსა და მათ განთავსებაზე კონტროლის შესახებ“ ჩართულობას. თითოეულ უწყებას აქვს საკუთარი როლი და პასუხისმგებლობები. უწყებებს შორის პასუხისმგებლობები გადანაწილებულია კონვენციებისა და ხელისუფლების ორგანოების კომპეტენციების შესაბამისად. ქვეყნების მიხედვით აღნიშნული პასუხისმგებლობები განსხვავებულია. მწარმოებლის გაფართოებული ვალდებულების (EPR) სისტემის ეფექტიანად განხორციელებისათვის აუცილებელია ხელისუფლების ყველა ორგანოს თანამშრომლობა. ა) ცენტრალური ხელისუფლების ორგანო (ჩვეულებრივ, გარემოს დაცვის სამინისტრო):

- ადგენს ნარჩენების სეპარირებული შეგროვების, აღდგენისა და რეციკლირების სამართლებრივ რეგულაციებს, ზღვრულ მნიშვნელობებსა და მიზნებს,
- აწარმოებს და აახლებს მწარმოებლების რეესტრებს და მწარმოებლის ვალდებულების ორგანიზაციების (PRO) რეესტრებს (ხშირ შემთხვევაში მისდამი დაქვემდებარებული ორგანიზაციის, მაგ., გარემოს სააგენტოს, საშუალებით),
- შეაქვს მწარმოებლის გაფართოებული ვალდებულების (EPR) პროდუქციის მწარმოებლებისა და მწარმოებლის ვალდებულების ორგანიზაციების (PRO) მონაცემები რეესტრებში,
- განსაზღვრავს ნარჩენების სეპარირებული შეგროვების, აღდგენისა და რეციკლირების მიზნებს,
- გასცემს ნებართვებს ნარჩენების მართვაში ჩართული ობიექტებისათვის (ზოგიერთ ქვეყანაში აღნიშნული პასუხისმგებლობა რეგიონულ ან ადგილობრივ ხელისუფლებას აქვს),
- აღრიცხავს და ინახავს მწარმოებლების, მწარმოებლის ვალდებულების ორგანიზაციებისა (PRO) და ნარჩენების მართვაში ჩართული კომპანიების მიერ წარმოდგენილ ინფორმაციას,
- ყოველწლიურად ამოწმებს მწარმოებლის გაფართოებული ვალდებულების (EPR) პროდუქციის მწარმოებლების წილს ბაზარზე,
- იღებს გადაწყვეტილებას იმასთან დაკავშირებით, ექვემდებარება თუ არა ესა თუ ის პროდუქცია მწარმოებლის გაფართოებული ვალდებულების (EPR) კანონმდებლობას (ზოგიერთ ქვეყანაში საკოორდინაციო საინფორმაციო ცენტრი გერმანიაში გერმანიის კანონმდებლობაში ხმარებიდან ამოღებული ელექტრო და ელექ-

ტრონული მოწყობილობების შესახებ ევროკავშირის დირექტივის გადმოღების შედეგად, ქვეყანაში მწარმოებლების მიერ შეიქმნა ხმარებიდან ამოღებული ელექტრო და ელექტრონული მოწყობილობების საკოორდინაციო– საინფორმაციო ცენტრი. ცენტრი ჩამოყალიბდა ელექტრო და ელექტრონული მოწყობილობების შესახებ ეროვნული აქტის (ElektroG) საფუძველზე. გერმანიის ფედერალური გარემოსდაცვითი სააგენტოს (UBA) მიერ მინიჭებული უფლებით, სტიფტუნგ ეარ ახორციელებს ელექტრო და ელექტრონული მოწყობილობების მწარმოებლების რეგისტრაციას, კოორდინაციას უწევს ჩაბარების პუნქტებში კონტეინერების უზრუნველყოფას და ნარჩენი პროდუქციის გატანას შეგროვების პუნქტებიდან გერმანიის მასშტაბით.

აღნიშნული პასუხისმგებლობა მისდამი დაქვემდებარებულ ორგანიზაციას, მაგ., გარემოს სააგენტოს, ან სხვა სახელმწიფო უწყებას, მაგ., ეკონომიკის/ვაჭრობის სამინისტროს ან დარგობრივ ბიზნეს ასოციაციებს აქვთ).

ბ) გარემოსდაცვითი ინსპექცია:

– წარმოადგენს სახელმწიფო ზედამხედველობის ორგანოს, რომელიც ამოწმებს მწარმოებლებს, მწარმოებლის ვალდებულების ორგანიზაციებს (PRO) და ნარჩენების მართვაში ჩართულ კომპანიებს, – აჯარიმებს, – შეიძლება შეასრულოს საკოორდინაციო-საინფორმაციო ცენტრის როლი; ამ შემთხვევაში მას ექნება შემდეგი პასუხისმგებლობები (რომლებიც შეიძლება დაემთხვეს ცენტრალური ხელისუფლების ორგანოს პასუხისმგებლობებს):

– აგროვებს მონაცემებს და ამოწმებს მათ ხარისხს (ასრულებს რეესტრის ფუნქციას);ო უზრუნველყოფს შესაბამისობას სამართლებრივ მოთხოვნებთან (მაგ., დარღვევების აღმოჩენის გზით); ო ამოწმებს მწარმოებლის ვალდებულების ორგანიზაციების (PRO) მუშაობას მათ მიერ სამართლებრივი ვალდებულებების შესრულების კუთხით; და ო განსაზღვრავს მწარმოებლის გაფართოებული ვალდებულების (EPR) პროდუქციის წილს ბაზარზე და მწარმოებლებისა თუ მწარმოებლისვალდებულების ორგანიზაციებისთვის (PRO) ადგენს ნარჩენების შეგროვების მიზნებს.

გ) სხვა ინსპექციები (საგადასახადო, ბიზნესის...) ან სახელმწიფო მაკონტროლებელი ორგანოები (საბაჟო):

- ამოწმებს, უზრუნველყოფენ თუ არა დისტრიბუტორები მწარმოებლის გაფართოებული ვალდებულების (EPR) პროდუქციის უფასო ჩაბარებას,
- ამოწმებს მწარმოებლების (იმპორტიორების) დოკუმენტაციას მწარმოებლის გაფართოებული ვალდებულების (EPR) პროდუქციასთან დაკავშირებით, მათ შორის ბაზარზე განთავსებული პროდუქციის რაოდენობას,
- ამოწმებს მწარმოებლის ვალდებულების ორგანიზაციების (PRO) დოკუმენტაციას,
- მწარმოებლის (იმპორტიორის) მწარმოებლების რეესტრში დარეგისტრირების შემდეგ ამოწმებს, მოხდა თუ არა ბაზარზე განთავსებული პროდუქციის დისტრიბუცია.

4.2.6 მუნიციპალიტეტები

მუნიციპალიტეტების როლი მნიშვნელოვანია მოსახლეობიდან ნარჩენების სეპარირებული შეგროვების საქმეში. მუნიციპალიტეტი თანამშრომლობს მწარმოებლებთან ან მწარმოებლის ვალდებულების ორგანიზაციებთან (PRO) მწარმოებლის გაფართოებული ვალდებულების (EPR) სისტემაში ნარჩენების სეპარირებული შეგროვების სისტემების ჩამოყალიბებისა და ფუნქციონირების უზრუნველსაყოფად. მუნიციპალიტეტების როლი შემდეგში მდგომარეობს:

- გარკვეული ობიექტებიდან ან გზისპირიდან ნარჩენების ნაკადების სეპარირებული შეგროვების ეფექტიანი სისტემის ჩამოყალიბება ადგილობრივი პირობების, კულტურისა და ჩვევების შესაბამისად;
- მწარმოებლებისგან ან მწარმოებლის ვალდებულების ორგანიზაციებისგან (PRO) ნარჩენების სეპარირებული შეგროვებისთვის საჭირო სივრცის უზრუნველყოფა;
- მოსახლეობის გარემოსდაცვითი ჩვევების გაუმჯობესება და საყოფაცხოვრებო ნარჩენებთან მოპყრობის, განსაკუთრებით სეპარირებული შეგროვების, სწავლება;
- მოსახლეობის ინფორმირება ნარჩენების სეპარირებული შეგ-

როვების დეტალებისა და ნარჩენების ნაგავსაყრელებზე განთავსების აკრძალვის შესახებ;
- ნარჩენების, განსაკუთრებით ნარჩენი შესაფუთი მასალის სახლის ღუმელებში წვის აკრძალვის შესრულების კონტროლი;
- თანამშრომლობა მწარმოებლებთან ან მწარმოებლის ვალდებულების ორგანიზაციებთან (PRO) გზისპირიდან ნარჩენების შეგროვების ორგანიზების მიზნით;
- მუნიციპალიტეტში ნარჩენების სეპარირებული შეგროვების სისტემის შესახებ ინფორმაციის მიწოდება ცენტრალური ხელისუფლების ორგანოსათვის.

4.3 პოლიტიკური ინსტრუმენტები

არსებობს ბევრი პოლიტიკური ინსტრუმენტი, რომელიც ხელს უწყობს მწარმოებლის გაფართოებული ვალდებულების (EPR) სქემის განხორციელებას. ესენია ადმინისტრაციული, ეკონომიკური და საინფორმაციო ღონისძიებები. ადმინისტრაციულ ინსტრუმენტებს მიეკუთვნება შეზღუდული ნივთიერებების ნუსხა (მაგ., ევროკავშირის დირექტივა სახიფათო ევროკავშირის კანონმდებლობა ხმარებიდან ამოღებული ელექტრო და ელექტრონული მოწყობილობების და ელექტრო და ელექტრონულ მოწყობილობებში გარკვეული სახიფათო ნივთიერებების გამოყენების შეზღუდვის შესახებ ხმარებიდან ამოღებული ელექტრო და ელექტრონული მოწყობილობები (WEEE) წარმოადგენს მასალებისა და კომპონენტების ნარევს, რომელსაც, არასათანადო მართვის შემთხვევაში, შეუძლია სერიოზული პრობლემების შეუქმნას გარემოსა და ადამიანის ჯანმრთელობას მასში სახიფათო ნივთიერებების არსებობის გამო. რესურსების ეფექტიანობის ასამაღლებლად და გარემოსდაცვითი მართვის გასაუმჯობესებლად ამ მასალების შეგროვებისა და დამუშავების სრულყოფილი მექანიზმის შექმნას უდიდესი მნიშვნელობა აქვს. ევროკავშირში მოქმედებს ორი დირექტივა – დირექტივა ხმარებიდან ამოღებული ელექტრო და ელექტრონული მოწყობილობების (WEEE) შესახებ (WEEE დირექტივა) და დირექტივა ელექტრო და ელექტრონულ მოწყობილობებში გარკვეული სახიფათო ნივთიერებების გამოყენების შეზღუდვის შესახებ

(ლოწშ დირექტივა) WEEE დირექტივის 2012 წლის განახლებული ვერსიით დადგენილია ელექტრო და ელექტრონულ მოწყობილობების შეგროვების შემდეგი მიზნები: 45% – 2016 წლის შემდეგ გაყიდული პროდუქციისთვის და 65% – 2019 წლის შემდეგ გაყიდული პროდუქციისთვის ან ხმარებიდან ამოღებული ელექტრო და ელექტრონული მოწყობილობების 85%. ევროკავშირის წევრი სახელმწიფოები ვალდებული არიან ევროკომისიას აცნობონ მიზნების მიღწევების შედეგები გამოთვლის სტანდარტული საშუალებების ჩატარებული გაანგარიშების საფუძველზე. ნივთიერებების შეზღუდვის შესახებ9), შეგროვების მიზნები (წარმოდგენილი ევროკავშირის დირექტივაში ხმარებიდან ამოღებული ელექტრო და ელექტრონული მოწყობილობების შესახებ)10 და დამუშავების სტანდარტები (მაგ., ხმარებიდან ამოღებული ელექტრო და ელექტრონული მოწყობილობების დამუშავების ევროკავშირის სტანდარტები11). დამუშავებასა და განთავსებასთან დაკავშირებული დამატებითი შეზღუდვები საჭიროა იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნული საქმიანობა საფრთხეს უქმნის გარემოსა და საზოგადოებრივ ჯანმრთელობას. მწარმოებლის გაფართოებული ვალდებულების (EPR) სქემის განხორციელებას ხელს უწყობს რეციკლირებული მასალის შემცველობის მინიმალური სტანდარტები (რომლებიც მოცემულია შესაფუთი მასალების შესახებ ევროკავშირის კანონმდებლობაში12) და პროდუქციის ნორმატიული სტანდარტები. საინფორმაციო ინსტრუმენტები დაინტერესებულ მხარეებს ინფორმაციის გაზიარების ვალდებულებას აკისრებს.

მაგალითად, მწარმოებლები ვალდებული უნდა იყვნენ რეგულარულად (მაგ., კვარტალურად) მიაწოდონ ინფორმაცია შესაბამის ორგანოებს მათ მიერ ბაზარზე განთავსებული პროდუქციის რაოდენობის შესახებ. გარდა ამისა, პროდუქციის სათანადო ეტიკეტირებით მომხმარებელი იღებს ინფორმაციას იმასთან დაკავშირებით, თუ როგორ და სად უნდა განათავსოს ნარჩენი. პროდუქციის გარემოსდაცვითი დეკლარაციების საშუალებით დაინტერესებულ მხარეებს შეუძლიათ გაეცნონ პროდუქციის მახასიათებლებს, ხოლო მომხმარებლისთვის 9 მაგ., ევროპის პარლამენტისა და საბჭოს 2011 წლის 8 ივნისის დირექტივა 2011/65/Eუ ელექტრო და

ელექტრონულ მოწყობილობებში გარკვეული სახიფათო ნივთიერებებს გამოყენების შეზღუდვის შესახებ (განახლებული).

10 მაგ., ევროპის პარლამენტისა და საბჭოს 2012 წლის 4 ივლისის დირექტივა 2012/19/Eუ ხმარებიდან ამოღებული ელექტრო და ელექტრონული მოწყობილობების შესახებ (განახლებული).

11 მაგ., ევროპის პარლამენტისა და საბჭოს 2006 წლის 6 სექტემბრის დირექტივა 2006/66/Eჩ ბატარეებისა და აკუმულატორების შესახებ და რომელიც აუქმებს დირექტივა 91/157/EEC-ს.

12 მაგ., ევროპის პარლამენტისა და საბჭოს 1994 წლის 20 დეკემბრის დირექტივა 94/62/EC შესაფუთი მასალისა და ნარჩენი შესაფუთი მასალის შესახებ (შესწორებული).

ელექტრო და ელექტრონული მოწყობილობების დამუშავების სტანდარტები, რომლებიც ეხება მარკირებისა და ლოჯისტიკის ასპექტებსაც, შემუშავებული აქვთ ევროპის სტანდარტიზაციის ორგანიზაციებსაც. გარდა იმისა, რომ ღოცშ დირექტივა ზღუდავს ისეთი სახიფათო ნივთიერებების, როგორიცაა ტყვია, ვერცხლისწყალი, კადმიუმი და რამდენიმე სხვა ნივთიერება, გამოყენებას, ის ასევე მოითხოვს მძიმე ლითონებისა და ცეცხლგამძლე მასალების სხვა უფრო უსაფრთხო ალტერნატივებით ჩანაცვლებას ღოცშ2 დირექტივა, როგორც მისი წინამორბედი დირექტივის განახლებული ვერსია, ძალაში 2011 წელს შევიდა. მასში განსაზღვრულია დირექტივის მოქმედების სფერო, შეზღუდული ნივთიერებები და გამონაკლისები, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

მრეწველობა მხარს უჭერს მწარმოებლებს, რომლებიც ვალდებული არიან დაამტკიცონ, რომ იღებენ ყველა ზომას დირექტივის მოთხოვნების შესასრულებლად. განკუთვნილი ლიფლეტების საშუალებით შესაძლებელია დამატებითი ინფორმაციის მიღება.

ეკონომიკური ინსტრუმენტები მოიცავს ისეთ საშუალებებს, როგორიცაა გადასახადი შეზღუდვას დაქვემდებარებული კომპონენტების შემცველ მასალაზე/პროდუქციაზე და სუბსიდიები სათანადო მასალების შერჩევის წასახალისებლად. ფართოდ არის გავრცელებული ისეთი ინსტრუმენტები, როგორიცაა რეციკლირების საფასურის ავანსი და დეპონირება-ანაზღაურების სისტემები. რეციკლირების საფასურის ავანსი წარმოადგენს გადასახადს,

რომელსაც იხდის მწარმოებელი ხმარებიდან ამოღებული პროდუქციის შეგროვებისა და დამუშავების დასაფინანსებლად, ხოლო დეპონირება-ანაზღაურება წარმოადგენს ფასნამატს, რომელსაც იხდის მომხმარებელი პროდუქციის შეძენისას დარომელიც მას უბრუნდება მწარმოებლისთვის ხმარებიდან ამოღებული პროდუქციის დაბრუნების შემდეგ. გარდა ამისა, არსებობს სხვა საბაზრო ინსტრუმენტები, როგორიცაა რეციკლირების კრედიტებით ვაჭრობა, რომელიც გამოიყენება რეციკლირების მიზნების მისაღწევად და ხელს უწყობს სოციალურად ოპტიმალურ ინვესტიციებს, თუმცა აღნიშნული ინსტრუმენტი ნაკლებად არის გავრცელებული.

მწარმოებლის გაფართოებული ვალდებულების (EPR) განხორციელებაში პოლიტიკური ინსტრუმენტების გამოყენების ეფექტიანობა უნდა შეფასდეს მწარმოებლის გაფართოებული ვალდებულების (EPR) სისტემის წარმატებაში მათი წვლილის მიხედვით. პოლიტიკური ინსტრუმენტები ასევე უნდა შეეხოს უპატრონო ნარჩენებსაც – იმ პროდუქციისგან წარმოქმნილ ნარჩენებს, რომელიც განთავსებულ იქნა ბაზარზე მწარმოებლის გაფართოებული ვალდებულების (EPR) სქემის შემოღებამდე. ქვემოთ მოცემულია ორი მაგალითი იმის საილუსტრაციოდ, თუ როგორ აყალიბებს პოლიტიკა მწარმოებლის გაფართოებული ვალდებულების (EPR) სისტემის სტრუქტურასა და თავისებურებებს.

13 შვედეთის სასმელების ტარასთან დაკავშირებული კანონმდებლობა (2016 წლის 22 ივნისი)[76]. პლასტმასის ბოთლებისა და ლითონის ქილების რეციკლირების შვედური სისტემა შვედეთში, პროდუქციის რეალიზაციამდე, სავალდებულოა პლასტმასის ბოთლებისა და ლითონის ქილების ჩართვა რეციკლირების აღიარებულ სისტემაში. პროდუქციის ეტიკეტზე აღნიშნული უნდა იყოს რეციკლირების სისტემა იმ თანხასთან ერთად, რომელიც ბრუნდება ტარის ჩაბარების შემდეგ. ერთ-ერთი მაგალითს წარმოადგენს შვედეთის რეციკლირების სისტემის ღეტურპაცკ-ის მიერ ალუმინის ქილებზე დაწესებული დეპოზიტი 1.0-დან 1.2-მდე შვედური კრონის მოცულობით. აღნიშნულ სისტემას მართავს შვედეთის სასოფლო–

76. Ჰტტპ://წწწ.ბოტტლებილლ.ორგ/ლეგისლატიონ/წორლდ/სწედენ.ჰტმ

სამეურნეო საბჭო და გამოიყენება შვედეთის საწარმოების უდიდესი ნაწილის მიერ. დეპოზიტი მოიცავს ნარჩენი ტარის მართვის გადასახადს. კანონის თანახმად, პროდუქციაზე მითითებული უნდა იყოს გადასახადის ოდენობა.13 მწარმოებლებისა და იმპორტიორების წლიური გადასახადი 10,000 შვედურს კრონას შეადგენს. კერძო მაღაზიები, რომლებიც ახორციელებენ ამ პროდუქციის იმპორტს და რეალიზაციას გათავისუფლებული არიან აღნიშნული წლიური გადასახადისაგან. ეტიკეტზე მითითებულია, არის თუ არა პროდუქცია ჩართული რეციკლირების სისტემაში. თუ პროდუქცია გამონაკლისს წარმოადგენს და არ არის ჩართული რეციკლირების სისტემაში, მისი რეალიზაცია ამ წესით არ ხდება. აღნიშნული წესის დარღვევისთვის გათვალისწინებულია ჯარიმა 50,000 შვედურ კრონამდე. პროდუქცია შეიძლება არ იყოს ჩართული ეტიკეტირების სისტემაში ღეტურპაცკ-ის ან რეციკლირების სხვა აღიარებული სისტემის მიერ სერტიფიცირებული ტარის ფორმიდან ან მასალიდან გამომდინარე. თუმცა, ასეთ გამონაკლისებს დროებითი ხასიათი აქვს და მუდმივად არ მოქმედებს. იმისათვის, რომ მწარმოებელმა აღნიშნული გამონაკლისით ისარგებლოს, მან შვედეთის ვაჭრობისა და ბაზრების უწყებაში, რეციკლირების სერტიფიკატთან ერთად უნდა წარადგინოს გაცხადება კონკრეტული პროდუქციისა და მისი წარმოების აღწერით. დროთა განმავლობაში, მწარმოებელი უნდა გადავიდეს ისეთ ტარაზე, რომლის ჩართვა შესაძლებელი იქნება რეციკლირების აღიარებულ სისტემებში. ჩამოთვლილი წესები ვრცელდება მოხმარებისთვის გამზადებული სასმელების პლასტმასის ბოთლებსა და ლითონის ქილებზე. წესები არ ვრცელდება რძის ნაწარმზე, ბოსტნეულის, 14 ჩარევა. (2016 წლის 14 დეკემბერი)[77].

15 EcoTLC Metteurs en Marché. (n.d.). ინფორმაცია აღებულია 2017 წლის 10 ოქტომბერს შემდეგი წყაროდან

ხილისა და კენკრის წვენებზე. მინის ბოთლებში ჩამოსხმული წვენები არ არის ჩართული ამ სისტემაში. მათ მართვას ახორციელებს შვედეთის მინის რეციკლირების კომპანია (Svensk Glasåtervinning AB).

77. https://www.jordbruksverket.se/swedishboardofagriculture/engelskasidor/trade/petbottlesandmetalcans.4.584a812513a8740bea18000916.html

აღნიშნული რეგულაციის მიზანია, აიძულოს ბიზნესი, ბაზარზე პროდუქციის განთავსების დროს გაითვალისწინოს მათი ხმარებიდან ამოღებაც. რეგულაციის მოქმედების სფეროში არ ხვდება ისეთი სახის პროდუქცია, როგორიცაა ტყავის ტანსაცმელი, სამედიცინო და ორთოპედიული ნაწარმი, სპორტული საქონელი, და სხვ. კომპანიებს შეუძლიათ შექმნან ხმარებიდან ამოღებული პროდუქციის შეგროვებისა და რეციკლირების როგორც საკუთარი პროგრამები საფრანგეთის ადმინისტრაციული ორგანოების მიერ აღიარებული მწარმოებლის საკუთარი ვალდებულების (IPR) ფარგლებში, ან ისარგებლონ ამ დარგის ნარჩენების მართვაში აკრედიტებული კომპანია Eco TLC-ის მომსახურებით მისთვის ყოველწლიური გადასახადის გადახდის გზით. Eco TLC-ის მომსახურებით სარგებლობს ბევრი მწარმოებელი. კომპანია შეგროვებულ სახსრებს იყენებს რეგულაციის მოქმედების სფეროს დაქვემდებარებული ორგანიზაციების გამოსავლენად, რეციკლირების ახალი მეთოდების შესამუშავებლად და ნარჩენების დახარისხების შესახებ მომხმარებლების ცნობიერების ასამაღლებლად. გარდა ამისა, Eco TLC იმ დაინტერესებულ მხარეებს, რომლებიც მწარმოებლის საკუთარი ვალდებულების (IPR) ფარგლებში მოქმედებენ, უზრუნველყოფს საკომუნიკაციო და საზომი საშუალებებით, რაც კომპანიის კომპეტენციის ფარგლებს სცილდება. Eco TLC-ს მიერ მიღებული შემოსავალი ემყარება კომპანიების მიერ ბაზარზე განთავსებული პროდუქციის რაოდენობასა და ზომას.

გადასახადი ტანსაცმლისა და საოჯახო თეთრეულის ერთ ერთეულზე (დღგ-ს ჩაუთვლელად), გამომდინარე ზომიდან, 0.00132-დან 0.0528 ევრომდე მერყეობს. ანალოგიური განაკვეთი მოქმედებს ფეხსაცმლის შემთხვევაში. გარდა ამისა, მოქმედებს წამახალისებელი სქემებიც, რომელთა ფარგლებშიც მწარმოებლებს შეუძლიათ ისარგებლონ შეღავათიანი გადასახადით რეციკლირებული ბოჭკოსგან დამზადებულ პროდუქციაზე.

4.4 მწარმოებლის გაფართოებული ვალდებულების (EPR) სისტემაში მიმდინარე პროცესები

4.4.1 ნარჩენების სეპარირებული შეგროვება

ნარჩენების სეპარირებული შეგროვება წარმოადგენს უმნიშვნელოვანეს პირობას ნარჩენების გარემოსდაცვითი თვალსაზრისით

უსაფრთხოს მართვისა და მათგან მეორადი ნედლეულის მიღების უზრუნველსაყოფად. ნარჩენების სეპარირებული შეგროვების მეთოდი დამოკიდებულია იმაზე, თუ ვინ არის ნარჩენების წარმომქმნელი – ოჯახი თუ იურიდიული პირი. ნარჩენების სეპარირებული შეგროვების მეთოდებია:

ა) ნარჩენების წარმომქმნელისგან ნარჩენების ინდივიდუალური შეგროვება და გატანა დამუშავების ობიექტზე ეს მეთოდი ხელსაყრელია ნარჩენების წარმომქმნელი იურიდიული პირებისთვის (ოფისები, ბანკები, კერძო კომპანიები, სკოლები, და სხვ.). ნარჩენების წარმომქმნელის პასუხისმგებელი პირი უზრუნველყოფს ნარჩენების წარმომქმნელის ობიექტებზე წარმოქმნილი ნარჩენების გატანს ნარჩენების დამუშავების უახლოეს ობიექტზე გადაადგილების მარშრუტის ოპტიმიზაციისა და სატრანსპორტო ხარჯებისა და გარემოსათვის საფრთხეების შემცირების მიზნით. ნარჩენების ტრანსპორტირებისა და დამუშავების საფასურს ნარჩენების წარმომქმნელი ხელშეკრულების საფუძველზე იხდის.

დამადასტურებელ დოკუმენტს ინვოისი წარმოადგენს. სახელმწიფო ადმინისტრაციული ორგანო ამ პროცესში არ ერთვება. მისი როლი მხოლოდ ნარჩენების მართვის (შეგროვება, ტრანსპორტირება და ნარჩენების დამუშავების ავტორიზებულ ობიექტზე მიტანა) კანონთან შესაბამისობის შემოწმებასა და ყველა სამართლებრივი მოთხოვნის შესრულების უზრუნველყოფაში მდგომარეობს.

ბ) ნარჩენების გზისპირიდან შეგროვება ეს მეთოდი ხელსაყრელია მოსახლეობიდან ნარჩენების სეპარირებული შეგროვებისთვის. აუცილებელია მჭიდრო თანამშრომლობა მწარმოებლებს, მუნიციპალიტეტებსა და მომსახურების მომწოდებლებს შორის. მწარმოებელი მიმართავს მუნიციპალიტეტებს თხოვნით, გამოაქვეყნოს (მუნიციპალიტეტში გავრცელებული საშუალებებით) ნარჩენების სეპარირებული შეგროვების თარიღი. მოსახლეობას შეუძლია ნარჩენების გამოტანა საკუთარი სახლების წინ (ეს არ არის რეკომენდებული, რადგან არსებობს ღარიბი ადამიანების ან გადამყიდველების მიერ ნარჩენების კომპონენტებისა ან გამოყენებადი ნაწილების მოპარვის საშიშროება) ან სპეციალურად გამოყოფილ ადგილებში (სკვერში, ოფისის, ბარის ან ეკლესიის წინ),

საიდანაც ოპერატორი შეგროვებულ (ჩვეულებრივ, პირდაპირ მანქანაზე მიტანილ) ნარჩენებს წაიღებს ნარჩენების დამუშავების მუნიციპალიტეტთან ახლომდებარე ავტორიზებულ ობიექტზე. მწარმოებლებს შეუძლიათ გამოიყენონ საკუთარი სატრანსპორტო საშუალებები, ოპერატორები და მძღოლები, ან გააფორმონ ხელშეკრულება (ხელშეკრულებები) სახიფათო ნარჩენების გატანის მომსახურების მომწოდებლებთან. მწარმოებლები იყოფენ ხმარებიდან ამოღებული ელექტრო და ელექტრონული მოწყობილობების შეგროვების, ტრანსპორტირებისა და დამუშავების ხარჯებს. ეს ძალიან მოსახერხებელია მოსახლეობისათვის, რომელსაც არ უწევს ნარჩენი პროდუქციის მიტანა რეციკლირებისთვის განკუთვნილი ნარჩენების შეგროვების პუნქტებში. გზისპირიდან შეგროვების მეთოდი ხელსაყრელია სოფლის ტიპის პატარა დასახლებებისათვის. შეგროვების ეს სისტემა სხვა სისტემებთან შედარებით ძვირადღირებულია.

გ) ნარჩენების შეგროვების პუნქტები მუნიციპალიტეტში გამოყოფილია მყარი (ასფალტის ან ბეტონის) ზედაპირის მქონე სპეციალური შემოღობილი ტერიტორია. ტერიტორია ღიაა გარკვეულ საათებში. ამ დროს ტერიტორიაზე აუცილებლად უნდა იმყოფებოდეს მცველი/ოპერატორი, რომელიც დაიცავს მას ქურდობისაგან და შეამოწმებს შემოსული ნარჩენების ხარისხს. შეგროვების პუნქტების მუშაობა დაკავშირებულია საექსპლუატაციო ხარჯებთან, რომელსაც ფარავენ მწარმოებლები (იმ შემთხვევაში, თუ შეგროვების პუნქტები მოწყობილია მხოლოდ მწარმოებლის გაფართოებული ვალდებულების (EPR) სფეროში შემავალი ნარჩენების მისაღებად) ან მუნიციპალიტეტები (იმ შემთხვევაში, თუ შეგროვების პუნქტები მოწყობილია სხვადასხვა სახის ნარჩენების, მაგ., ლითონის, სამშენებლო და დემონტაჟის შედეგად მიღებული ნარჩენების, მწვანე ნარჩენების... მისაღებად) ნარჩენების მართვის გადასახადებით ან გარემოსდაცვითი მოსაკრებლების საშუალებით. შეგროვების პუნქტების მოწყობას შემდეგი დადებითი მხარეები გააჩნია:

- ნარჩენების კონტროლირებული შეგროვება გამორიცხავს უკონტროლო ნაგავსაყრელების გაჩენას;
- მოსახლეობის ცნობიერების ამაღლება (მოსახლეობა ეჩვევა

საკუთარი ნარჩენების მიტანას კონტროლირებულ პუნქტებში და არა უკონტროლო ნაგავსაყრელებზე);

- მუნიციპალიტეტის მიერ მეორადი ნედლეულის (ლითონი, ქაღალდი, პლასტმასი, მინა) გაყიდვით მიღებული შემოსავალი. შეგროვების პუნქტებს უარყოფითი მხარეებიც აქვს:
- მოითხოვს საექსპლუატაციო ხარჯებს,
- მოითხოვს სივრცეს
- არ არის მოსახერხებელი მომხმარებლებისათვის, რადგან მათ უწევთ საკუთარი ნარჩენების დიდი მანძილებიდან მოტანა. ნარჩენების შეგროვების პუნქტები ხელსაყრელიადიდი მუნიციპალიტეტებისათვის (ქალაქების ან სოფლებისათვის), თუმცა არ არის მოსახერხებელი არამჭიდრო დასახლებებში, რადგან ადამიანებს ნარჩენების შორიდან ტარება არ სურთ. მუნიციპალური ნარჩენების სეპარირებული შეგროვების ერთერთ ყველაზე გავრცელებულ სისტემას შეგროვების სტაციონარული პუნქტების სისტემა წარმოადგენს. სისტემა შედგება რამდენიმე კონტეინერისაგან, რომელთაგან თითოეული განკუთვნილია ისეთი კონკრეტული სახის ნარჩენისთვის, როგორიცაა ქაღალდი, მინა, პლასტმასი და ლითონი. ზოგიერთ ქვეყანაში კონტეინერები გამოყოფილია ხმარებიდან ამოღებული მცირე ზომის ელექტრო და ელექტრონული მოწყობილობებისა ან ბატარეებისა და აკუმულატორებისათვის.

დ) ნარჩენების (მაღაზიებში) ჩაბარების სისტემები ნარჩენების სეპარირებული შეგროვების ერთ-ერთ საშუალებას დისტრიბუტორების მიერ მაღაზიებში პროდუქციის უფასო ჩაბარების მომსახურება წარმოადგენს. ასეთი მიდგომა წარმატებით ხორციელდება მრავალჯერადი ბოთლების შემთხვევაში ჩვეულებრივ დეპონირება-ანაზღაურების სქემებთან ერთად, როდესაც მომხმარებელი პროდუქციის შეძენის მომენტში ფასნამატს იხდის. მომხმარებელს გადახდილი თანხა უბრუნდება მის მიერ ხმარებიდან ამოღებული პროდუქციის ჩაბარების დროს. მაღაზიებში მოწყობილი ჩაბარების სისტემების მოითხოვენ საკმარის სივრცეს (მაგ., შენობაში არსებული კონტეინერი ან საწყობი). შეიძლება საჭირო იყოს რეგისტრაცია სახელმწიფო უწყებაში.


ნებართვა, როგორც წესი, სავალდებულო არ არის. ევროკავშირში, მწარმოებლებისთვის სავალდებულოა ჩაბარების სისტემების მოწყობა ხმარებიდან ამოღებული ისეთი პროდუქციისთვის, როგორიცაა ელექტრო და ელექტრონული მოწყობილობები ან ბატარეები და აკუმულატორები. ახალი პროდუქციის სარეალიზაციოდ გატანის დროს დისტრიბუტორები იღებენ ხმარებიდან ამოღებული თითოეული ნივთის ჩაბარების (უფასოდ მაინც) უზრუნველყოფის ვალდებულებას. მსგავსი სისტემა ხშირად ვრცელდება სხვა სახის პროდუქციის დისტრიბუტორებზეც, მაგალითად, ავტომანქანების სარემონტო სახელოსნოებსა და ავტოგასამართ სადგურებზე.

დისტრიბუტორი უკავშირდება მწარმოებლის გაფართოებული ვალდებულების (EPR) სქემის შესაბამის მონაწილეებს მის მიერ შეგროვებული ნარჩენების გადამუშავების ავტორიზებულ ობიექტზე მისატანად. ჩაბარების სისტემასა და ნარჩენების ტრანსპორტირებასთან დაკავშირებულ ხარჯებს ფარავს მწარმოებელი (პირდაპირ, მწარმოებლის ვალდებულების ორგანიზაციის (PRO) ან მწარმოებლის გაფართოებული ვალდებულების ცენტრის (EPR ცენტრი) საშუალებით). სასურველია დისტრიბუტორების წახალისება შეგროვებული ნარჩენების რაოდენობის (წონის) საფუძველზე მწარმოებლის გაფართოებული ვალდებულების (EPR) სქემით (მწარმოებლის ვალდებულების ორგანიზაციის (PRO) საშუალებით, თავად მწარმოებლების მიერ, თუ ისინი ირჩევენ მწარმოებლის საკუთარი ვალდებულების (IPR) სქემას, ან მწარმოებლის გაფართოებული ვალდებულების ცენტრის (EPR ცენტრი) საშუალებით) შეტანილი ფინანსური წვლილის მიხედვით. ასეთი მიდგომით მომხმარებელიკმაყოფილია, რადგან ის ნარჩენებს მარტივად და უფასოდ იშორებს, და ამავე დროს ზრუნავს გარემოზე. ხმარებიდან ამოღების შემდეგ პროდუქციის უკან დაბრუნება ნარჩენების სეპარირებას ავტომატურად ახდენს.

4.4.2 ნარჩენების დამუშავება

ნარჩენების დამუშავება არის ნარჩენების ობიექტზე მიტანის შემდგომ მათი დახარისხების, გაუვნებელყოფის, დაშლის, დაქუც-

მაცების, აღდგენის ან განთავსებისთვის მოსამზადებლად და მასალის ან ენერგიის მისაღებად ჩატარებული სხვა ოპერაციები. ნარჩენების სახეობიდან გამომდინარე, დამუშავების პროცესები შეიძლება იყოს ფიზიკური, ქიმიური ან ბიოლოგიური ბუნების. როგორც წესი, ნარჩენების დამუშავება ნახ.3-ზე წარმოდგენილი 5 ეტაპისგან შედგება.



ნახ. 3: ნარჩენების დამუშავების პროცესები შემოსული ნარჩენები, წინასწარი სკრინინგი, სკრინინგი, დახარისხება, შენახვა წინასწარი დამუშავება, რეციკლირებისთვის განკუთვნილი ნარჩენები შემდგომი დამუშავებისა ან განთავსებისთვის განკუთვნილი ნარჩენები ნარჩენების დამუშავების ეტაპებია:

1. წინასწარი სკრინინგი: ნარჩენების აწონვა, დახარისხება და მომდევნო ოპერაციებამდე შენახვა;
2. სკრინინგი: ნარჩენებიდან არასასურველი ან კანონმდებლობით განსაზღვრული ნივთიერებებისა და კომპონენტების მოშორება ან შემცირება;
3. დახარისხება: მასალების, კომპონენტებისა და ნარევების დახარისხება მათი შედგენილობისა და შემდგომი ოპერაციების (რეციკლირება, ნაგავსაყრელზე განთავსება) შესაბამისად;
4. შენახვა: დახარისხებული კომპონენტების ან მასალების შენახვა წინასწარ დამუშავებამდე,
5. წინასწარი დამუშავება: დაპრესვა და შეფუთვა ტრანსპორტირებისა და შემდგომი დამუშავებისათვის (რეციკლირება ან განთავსება).

ნარჩენების დამუშავების ობიექტი ფინანსურ რესურსებს ჩვეულებრივ რამდენიმე წყაროდან იღებს:

ა) ნარჩენების წარმომქმნელები იხდიან მათ მიერ დამუშავების

ობიექტზე მიტანილი ნარჩენების რაოდენობის (წონის) მიხედვით. ფასი შეიძლება იყოს 1) ყოველწლიურად ცვალებადი ხელშეკრულების შესაბამისად 2) სამართლებრივი აქტით დაფიქსირებული.

ბ) ნარჩენების დამუშავების ობიექტს შეუძლია მიიღოს დამატებითი ფინანსური შემოსავალი დამუშავების შედეგად მიღებული რეციკლირებული ნედლეული მასალის რეალიზაციით.

გ) ნარჩენების დამუშავების ობიექტს ასევე შეუძლია მიიღოს სახსრები სახელმწიფო სოციალური და შრომის პროგრამებიდან (მაგ., შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ადამიანების დასაქმების, დიდი ხნის უმუშევრების შრომის ბაზარზე დაბრუნების, პატიმრების რეაბილიტაციისა, და სხვ. საშუალებით).

ხელახალი გამოყენება ხელახალი გამოყენება ნარჩენების პრევენციის მნიშვნელოვანი საშუალებაა. ევროპის ბევრ ქვეყანაში სულ უფრო პოპულარული ხდება მეორადი საქონლის მაღაზიები. ოპერატორები, რომლებსაც აქვთ სახელმწიფო ორგანოს მიერ გაცემული სპეციალური ნებართვა, იბარებენ ხმარებაში ნამყოფ საქონელს (ბავშვის ტანსაცმელი, სპორტული აღჭურვილობა, ძველი ავეჯი, ჩარჩოში ჩასმული სურათები, საოჯახო ჭურჭელი, და სხვ.), ახარისხებენ, საჭიროების შემთხვევაში არემონტებენ მათ და ყიდიან სპეციალურ მაღაზიებში. როგორც წესი, ასეთი ობიექტები მომგებიანი არ არის. მათ დახმარებას უწევს სახელმწიფო ან ადგილობრივი ხელისუფლება (მუნიციპალიტეტი, რეგიონული ხელისუფლება, და სხვ.)

4.4.3 ნარჩენების რეციკლირება

ნარჩენის თითოეული სახეობა რეციკლირების განსხვავებულ ტექნოლოგიას მოითხოვს. ტექნოლოგიური გადამუშავებით შესაძლებელია ისეთი მასალების რეციკლირება, როგორიცაა ლითონები, მინა, ქაღალდი და მუყაო, ბატარეები და ზეთები. ევროპაში მრავლადაა მეორადი მასალების რეციკლირების ობიექტები. ლითონების რეციკლირება ხდება მეტალურგიულ ქარხნებში, ქაღალდისა და მუყაოს – ქაღალდის დამამუშავებელ ქარხნებში, მინის – მინის ქარხნებში, ხოლო ნარჩენი ზეთები მუშავდება საწვავი ზეთების

მისაღებად. იქმნება და წარმატებით გამოიყენება პლასტმასის, ნარჩენი საბურავებისა და სხვა სპეციფიკური სახის ნარჩენების რეციკლირების ახალი ტექნოლოგიები. ნარჩენების რეციკლირება უნდა აკმაყოფილებდეს ნარჩენების გარემოსდაცვითი თვალსაზრისით უსაფრთხო მართვის სტანდარტებს; აქედან გამომდინარე, ნარჩენების რეციკლირების ობიექტი, საკანონმდებლო მოთხოვნების ფარგლებში, უნდა ექვემდებარებოდეს ხელისუფლების ორგანოების მხრიდან შემოწმებას. ნარჩენების მართვაში ჩართული ყველა ობიექტი ვალდებულია მიიღოს ნებართვა სახელმწიფო ადმინისტრაციული ორგანოდან (მაგ., გარემოს დაცვის სამინისტრო, რაიონული ხელისუფლება ან გარემოსდაცვითი ინსპექცია კონკრეტულ ქვეყანაში ხელისუფლების ორგანოების უფლებამოსილებებიდან გამომდინარე) ნარჩენებთან დაკავშირებული ამ თუ იმ ოპერაციის (შეგროვება, ტრანსპორტირება, რეციკლირება) შესასრულებლად16. ობიექტმა უნდა დააკმაყოფილოს წყლის, ჰაერის, ნიადაგისა და ადამიანის ჯანმრთელობის დაცვასთან დაკავშირებული გარკვეული მინიმალური გარემოსდაცვითი მოთხოვნები. რეციკლირების ობიექტმა რეციკლირების პროცესის შედეგად წარმოქმნილი ნარჩენები უნდა გაგზავნოს მხოლოდ ისეთ ობიექტზე, რომელსაც ექნება სახელმწიფო ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გაცემული სათანადო ნებართვა (ავტორიზებული სანიტარული ნაგავსაყრელი ან ნარჩენების მართვის სხვა საზღვარგარეთ მდებარე ობიექტი), აწარმოოს მიღებული, დამუშავებული და წარმოქმნილი ნარჩენების აღრიცხვა და ანგარიშგება სახელმწიფო ადმინისტრაციულ ორგანოსთან, აწარმოოს და შეინახოს სამუშაო დოკუმენტაცია (ტექნიკური რეგლამენტები, მუშაობის წესი, აღრიცხვის ჟურნალი, ნარჩენების მართვასთან დაკავშირებული კომერციული ხელშეკრულებები, ნებართვები, სახელმწიფო ადმინისტრაციული ორგანოებისა და თვითმმართველობის ორგანოების განცხადებები და მოსაზრებები) და შეასრულოს ეროვნული კანონმდებლობით განსაზღვრული სხვა მოთხოვნები.

4.4.4 ნარჩენების გარემოსდაცვითი თვალსაზრისით უსაფრთხოდ განთავსება ნარჩენების მართვის ნებისმიერი სისტემა წარმოქმნის ისეთ ნარჩენებსაც, რომელთა რეციკლირება ან აღდგენა


შეუძლებელია. ხანდახან ეს არის სახიფათო ბუნების მქონე ნარჩენები, რომლებიც უნდა განთავსდეს ისე, რომ არ მოხდეს გარემოს დაბინძურება და საფრთხე არ შეექმნას ადამიანის ჯანმრთელობას. აქედან გამომდინარე, ნარჩენების განთავსების პრაქტიკა უნდა აკმაყოფილებდეს მკაცრ გარემოსდაცვით მოთხოვნებს, მაგ., ასეთი ნარჩენების კონტროლირებად და შესაბამის სანიტარულ ნაგავსაყრელებზე განთავსების გზით.

5. მწარმოებლის გაფართოებული ვალდებულების (EPR) სისტემების მიდგომები

მწარმოებლის გაფართოებული ვალდებულების (EPR)შესრულება სხვადასხვა მიდგომებით არის შესაძლებელი. ერთ-ერთი მიდგომით სისტემას სახელმწიფო აკონტროლებს (ჩვეულებრივ, პასუხისმგებელ უწყებას გარემოს დაცვის სამინისტრო, სპეციალიზებული სამსახური/ფონდი/სახელმწიფო ორგანო წარმოადგენს), ხოლო მეორე მიდგომით – სისტემას ბაზარი არეგულირებს.

5.1. მწარმოებლის გაფართოებული ვალდებულების (EPR) ცენტრალიზებული სისტემა

ცენტრალიზებული სისტემის მიდგომა ემყარება სპეციალური ინსტიტუტის – მწარმოებლის გაფართოებული ვალდებულების ცენტრის (EPR ცენტრი) შექმნას, რომლისკონტროლს სახელმწიფო ადმინისტრაციული ორგანოები ახორციელებენ. ცენტრის სახელწოდება შეიძლება შეირჩეს ეროვნული და ისტორიული შეხედულებების საფუძველზე. EPR ცენტრი პასუხისმგებელია ნარჩენი პროდუქციის მართვასა და ქვეყნის მიერ კანონმდებლობით დადგენილი მიზნების მიღწევაზე. EPR ცენტრი, ნარჩენების მართვის დასაფინანსებლად, რეციკლირების გადასახადს მწარმოებლებისგან აგროვებს. მწარმოებლის გაფართოებული ვალდებულების (EPR) ცენტრალიზებული სისტემა შეიძლება შეიქმნას სხვადასხვა ფორმით და უნდა ითვალისწინებდეს ვალდებულებების მკაფიო განაწილებას დაინტერესებულ მხარეებს შორის. ცენტრალიზებული სისტემის ერთ-ერთი შესაძლო ფორმის გამარტივებული სქემა



ნახ. 4: მწარმოებლის გაფართოებული ვალდებულების (EPR) ცენტრალიზებული სისტემის სქემა მწარმოებელი, გარემოს დაცვის სამინისტრო, მუნიციპალიტეტი EPR ცენტრი, ნარჩენების მართვაში ჩართული კომპანია ან EPR ცენტრის სატრანსპორტო საშუალებები, ნარჩენების განთავსება დისტრიბუტორი, ნარჩენების მართვაში ჩართული კომპანია ან EPR ცენტრის სატრანსპორტო საშუალებები, ნარჩენების დამუშავების ობიექტი, ნარჩენების რეციკლირების ობიექტი კომუნიკაცია, ფინანსები, ნარჩენები, პროდუქცია. ამ მიდგომით EPR ცენტრი იქმნება როგორც მწარმოებლის გაფართოებულ ვალდებულებაზე პასუხისმგებელი სახელმწიფო (ნახევრად სახელმწიფო) არამომგებიანი ორგანიზაცია, რომელიც დამოუკიდებელია ან ექვემდებარება ცენტრალური ხელისუფლების რომელიმე ორგანოს (მაგ., გარემოს დაცვის სამინისტროს). EPR ცენტრის როლი შეიძლება შემდეგში მდგომარეობდეს:

- მწარმოებლის გაფართოებული ვალდებულების სფეროს ყველა მწარმოებლის/იმპორტიორის/პასუხისმგებელი პირის რეგისტრაცია,
- მწარმოებლების/იმპორტიორების/პასუხისმგებელი პირებისგან ფინანსური რესურსების შეგროვება,

- პასუხისმგებლობა მწარმოებლის გაფართოებული ვალდებულების სფეროს ნარჩენების გარემოსდაცვითი თვალსაზრისით უსაფრთხო მართვაზე,
- ნარჩენების შეგროვების, დამუშავების, რეციკლირებისა და განთავსების სისტემის უზრუნველყოფა,
- ნარჩენების შეგროვების, დამუშავების, რეციკლირებისა და განთავსების სისტემის დაფინანსება,
- ნარჩენების შეგროვების, რეციკლირებისა და აღდგენის კანონმდებლობით დადგენილი მაჩვენებლების მიღწევა.

EPR ცენტრს სრულად აკონტროლებს ცენტრალური სახელმწიფო ადმინისტრაციული ორგანო, ჩვეულებრივ, გარემოს დაცვის სამინისტრო, თუმცა სხვა უწყებების, როგორიცაა ფინანსთა სამინისტრო, ვაჭრობის სამინისტრო, ან მრეწველობის სამინისტრო, შეიძლება დაინტერესებული იყვნენ ცენტრის საქმიანობითა და ჰქონდეთ მისი გაკონტროლების სურვილი. ასეთი სისტემის უპირატესობა მდგომარეობს იმაში, რომ მას შეუძლია ქვეყანაში ნარჩენების ინფრასტრუქტურის მოსაწყობად საჭირო ფინანსური რესურსების სწრაფად აკუმულირება. ნაკლოვანებად შეიძლება ჩაითვალოს მოქნილობის დაბალი ხარისხი, კონკურენციის არარსებობის გამო დაბალი ეკონომიკური ეფექტიანობა, ცენტრალიზებული გადაწყვეტილებები, რომლებიც არ ითვალისწინებენ ადგილობრივ თავისებურებებს, აგრეთვე პოლიტიკური გავლენებისა და კორუფციული ლობირების ობიექტად გადაქცევის შესაძლებლობა. მწარმოებლის გაფართოებული ვალდებულების სფეროს პროდუქციის ყველა მწარმოებელი უნდა დარეგისტრირდეს EPR ცენტრში. ჩვეულებრივ, EPR ცენტრი ვალდებულია, თავად მოუწოდოს მწარმოებლებს, დარეგისტრირდნენ EPR ცენტრში და აკონტროლოს რეგისტრაციის პროცესი. ყველა მწარმოებელი ვალდებულია დროის მოცემულ პერიოდში (ჩვეულებრივ, წელიწადში ან კვარტალში ერთხელ) წარმოადგინოს ინფორმაცია მის მიერ ბაზარზე განთავსებული პროდუქციის რაოდენობის შესახებ და გადაიხადოს რეციკლირების საფასური, რომელიც დამოკიდებულია ბაზარზე განთავსებული პროდუქციის რაოდენობაზე.

რეციკლირების გადასახადი გამოითვლება ბაზარზე განთავსე-

ბული პროდუქციის წონისა და სამართლებრივი აქტით განსაზღვრული ტარიფის გამრავლებით. რეციკლირების ტარიფი უნდა განისაზღვროს ნარჩენების შეგროვების, ტრანსპორტირების, დამუშავების, EPR ცენტრის ოპერირებისა (შრომის ანაზღაურება და საექსპლუატაციო ხარჯები) და სხვა ხარჯების (საინფორმაციო კამპანიები, საინფორმაციო სისტემები, და სხვ.) ჯამით. აუცილებელია კანონის აღსრულების უზრუნველყოფა სახელმწიფო კონტროლისა და სასჯელისა და ჯარიმების საშუალებით. კანონმდებლობის მოთხოვნების შესრულების შემოწმებას, ჩვეულებრივ, რამდენიმე სახელმწიფო ადმინისტრაციული ორგანო ახორციელებს:

ა) ცენტრალური ხელისუფლების ორგანო (ჩვეულებრივ, გარემოს დაცვის სამინისტრო):

- ამოწმებს მწარმოებლების რეესტრში მწარმოებლის გაფართოებული ვალდებულების (EPR) პროდუქციის მწარმოებლების (იმპორტიორების) რეგისტრაციას,
- აკონტროლებს მწარმოებლის გაფართოებული ვალდებულების ცენტრის (EPR ცენტრი) საქმიანობას,
- აკონტროლებს გარემოსდაცვით ინსპექციას,
- გასცემს ნებართვებს ნარჩენების მართვაში ჩართულ კომპანიებისთვის; მომავალში ნარჩენების დარგის განვითარების შემთხვევაში, აღნიშნული პასუხისმგებლობა შეიძლება გადაეცეს სახელმწიფო ადმინისტრაციის ქვედა (რაიონულ, რეგიონულ...) დონეს,

ბ) ინსპექცია (საგადასახადო ორგანო, საბაჟო, ვაჭრობის ინსპექცია):

- ამოწმებს ბაზარზე გატანილი მწარმოებლის გაფართოებული ვალდებულების (EPR) პროდუქციის რაოდენობასთან დაკავშირებულ დოკუმენტაციას,
- ამოწმებს მწარმოებლის გაფართოებული ვალდებულების ცენტრში (EPR ცენტრი)შესულ გადასახადებს,
- ამოწმებს მწარმოებლის გაფართოებული ვალდებულების (EPR) პროდუქციის რაოდენობის აღრიცხვიანობას და შესაბამის ანგარიშგებას,
- ამოწმებს დისტრიბუტორებს,
- ახორციელებს სხვა სახის შესაბამის შემოწმებებს,
- ამოწმებს მწარმოებლის გაფართოებული ვალდებულების

ცენტრის (EPR ცენტრი) მიერ გაწეული ხარჯების მიზნობრიობას და სხვა ფინანსურ ასპექტებს.

გ) გარემოსდაცვითი ინსპექცია:

- ამოწმებს ნარჩენების დამუშავებისა და რეციკლირების ობიექტების მიერ მათზე დაკისრებული სამართლებრივი მოთხოვნების შესრულებას (ტექნიკური პირობები, რეალური მდგომარეობის შესაბამისობა სახელმწიფო ადმინისტრაციული ორგანოების მიერ გაცემულ ნებართვასთან, აღრიცხვა, ანგარიშგება),
- ამოწმებს მუნიციპალიტეტებში არსებულ ნარჩენების შეგროვების პუნქტებს,
- ამოწმებს ნარჩენების მართვაში ჩართულ კომპანიებს,
- ახორციელებს სხვა სახის შემოწმებებს საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში.

იმისათვის, რომ სისტემის კონტროლი და კანონის აღსრულება ეფექტიანი იყოს, აუცილებელია, რომ შესაბამისი სანქციები და ჯარიმები კანონმდებლობით განისაზღვროს („კანონი ნარჩენების შესახებ" და „სისხლის სამართლის კოდექსი"). ჯარიმები გამოიყენება ვალდებულებების არშესრულების შემთხვევაში. მწარმოებლის გაფართოებული ვალდებულების (EPR) პროდუქციის შეგროვების, დამუშავებისა და რეციკლირების ეფექტიანი სისტემის ჩამოსაყალიბებლად, აუცილებელია შემდეგი მონაწილე მხარეების ინფორმირება:

1. მუნიციპალიტეტების მოსახლეობა
2. მუნიციპალიტეტების მერები
3. ნარჩენების მართვაში ჩართული კომპანიები
4. მწარმოებლები (იმპორტიორები) და დისტრიბუტორები
5. სახელმწიფო ადმინისტრაციული ორგანოები საინფორმაციო კამპანია შეიძლება დაფინანსდეს მწარმოებლის გაფართოებული ვალდებულების ცენტრის (EPR ცენტრი) მიერ.


5.2. საბაზრო სისტემა

მწარმოებლის გაფართოებული ვალდებულების (EPR) მეორე მიდგომა დამყარებულია სისტემაში მწარმოებლის ვალდებულების ორგანიზაციის (PRO) ცენტრალურ როლზე. მწარმოებლის

ვალდებულების ორგანიზაცია (PRO) იქმნება თავად მწარმოებლების (იმპორტიორების) ან მესამე მხარის მიერ, ან კანონმდებლობით, როგორც კომპანია, რომელიც უზრუნველყოფს მომსახურებას მწარმოებლის გაფართოებული ვალდებულების (EPR) სფეროში. მწარმოებლის ვალდებულების ორგანიზაციები (PRO) შეიძლება რეგულირდებოდეს კანონმდებლობით, თუმცა ეროვნულ ბაზარზე ისინი ერთმანეთს კონკურენციას უწევენ. სახელმწიფო გარემოსდაცვით ორგანოებთან მათ მხოლოდ ანგარიშგების ვალდებულება აქვთ და ექვემდებარებიან შემოწმებას მათი მხრიდან.

ევროპის ქვეყნებში არსებობს სისტემები მწარმოებლის ვალდებულების ერთი ორგანიზაციით (PRO) (შვედეთი, ფინეთი ხმარებიდან ამოღებული სატრანსპორტო საშუალებებისთვის და ზეთებისთვის, ნიდერლანდებსა და ჩეხეთის რესპუბლიკაში ნარჩენი შესაფუთი მასალისთვის და ბელგიაში ბატარეებისა და აკუმულატორებისათვის), ან რამდენიმე ორგანიზაციით (გაერთიანებული სამეფო, დანია, საფრანგეთი, ლატვია, სლოვაკეთი ხმარებიდან ამოღებული ელექტრო და ელექტრონული მოწყობილობებისთვის, დანია და ავსტრია ბატარეებისა და აკუმულატორებისათვის, და სხვ.). რამდენიმე ორგანიზაციის მქონე სისტემის უპირატესობა მდგომარეობს იმაში, რომ მწარმოებლებს აქვთ მწარმოებლის ვალდებულების ორგანიზაციის (PRO) შერჩევის ან სხვა მწარმოებლებთან ერთად ახალი ორგანიზაციის შექმნის შესაძლებლობა. მწარმოებლის ვალდებულების ორგანიზაციების (PRO) რეესტრს ჩვეულებრივ სახელმწიფო უწყება აწარმოებს. ზოგიერთ ქვეყანაში (სლოვაკეთი, ავსტრია, ჩეხეთის რესპუბლიკა) მწარმოებლის ვალდებულების ორგანიზაციებმა (PRO) უნდა აიღონ ნებართვა და დარეგისტრირდნენ შესაბამის სახელმწიფო უწყებაში (მაგ., მიიღონ ავტორიზაცია გარემოს დაცვის სამინისტროსგან). ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებში მწარმოებლებს ეძლევათ საკუთარი ვალდებულებების ინდივიდუალურად შესრულების შესაძლებლობა, თუმცა ზოგიერთ ქვეყანაში აღნიშნული მიდგომა მკაცრად კონტროლდება, ხშირად საჭიროა ფინანსური გარანტიის წარმოდგენა.

საბაზრო სისტემის შესაძლო გამარტივებული სქემა წარმოდგენილია ნახ. 5-ზე.



ნახ. 5: მწარმოებლის გაფართოებული ვალდებულების (EPR) საბაზრო სისტემის სქემა

მწარმოებელი, გარემოს დაცვის სამინისტრო, მუნიციპალიტეტი მწარმოებლის ვალდებულების ორგანიზაცია (PRO), ნარჩენების მართვაში ჩართული კომპანია ან EPR ცენტრის სატრანსპორტო საშუალებები, ნარჩენების განთავსება დისტრიბუტორი, ნარჩენების მართვაში ჩართული კომპანია ან EPR ცენტრის სატრანსპორტო საშუალებები, ნარჩენების დამუშავების ობიექტი, ნარჩენების რეციკლირების ობიექტი

კომუნიკაცია

ფინანსები

ნარჩენები

პროდუქცია

მწარმოებლებმა, რომლებიც აფორმებენ ხელშეკრულებებს მწარმოებლის ვალდებულების ორგანიზაციასთან (PRO), უნდა აცნობონ მას დროის მოცემულ პერიოდში მათ მიერ ბაზარზე განთავსებული პროდუქციის რაოდენობის შესახებ და გადაიხადონ რეციკლირების საფასური, რომელიც ბაზარზე განთავსებული პროდუქციის წონისა და მწარმოებლის ვალდებულების ორგანიზაციის (PRO) მიერ

განსაზღვრული რეციკლირების ტარიფის ნამრავლის ტოლია. რეციკლირების ტარიფი უნდა განისაზღვროს ნარჩენების შეგროვების, ტრანსპორტირების, დამუშავების, რეციკლირების, განთავსების მწარმოებლის გაფართოებული ვალდებულების ორგანიზაციის (PRO) ოპერირებისა (შრომის ანაზღაურება და საექსპლუატაციო ხარჯები) და სხვა რეალური ხარჯების (საინფორმაციო კამპანიები, საინფორმაციო სისტემები, და სხვ.) საფუძველზე. ასეთ სისტემაში მწარმოებლის ვალდებულების ორგანიზაციები (PRO) ცდილობენ კლიენტების მოზიდვას დაბალი ფასების საშუალებით, რისთვისაც ზრდიან სისტემის ეფექტიანობას და ოპტიმალურად ანაწილებენ ფინანსურ რესურსებს.

ევროკავშირის წევრ ქვეყნებში არსებული მწარმოებლის ვალდებულების ორგანიზაციები (PRO) ძირითადად სპეციალიზებული არიან ნარჩენების ერთ სახეობაზე, თუმცა ზოგიერთი ორგანიზაცია საკუთარ კლიენტებს კომპლექსურ მომსახურებას სთავაზობს. ბაზარზე განთავსებული ელექტრო და ელექტრონული მოწყობილობები შეფუთულია გარკვეული სახის მასალით და დამატებით შეიცავს ბატარეებისა თუ აკუმულატორების გარკვეულ სახეობას. აქედან გამომდინარე, მწარმოებელი ვალდებულია შეასრულოს მიზნები და მწარმოებლის გაფართოებული ვალდებულებით (EPR) განსაზღვრული ვალდებულებები სამი სახეობის ნარჩენისთვის, კერძოდ: i) ელექტრო და ელექტრონული მოწყობილობებისთვის, ii) ბატარეებისა და აკუმულატორებისთვის და iii) შესაფუთი მასალისთვის. მწარმოებელს შიძლება ერჩიოს ჰქონდეს ერთი ხელშეკრულება მწარმოებლის ვალდებულების ისეთ ორგანიზაციასთან (PRO), რომელიც უზრუნველყოფს სამივე ვალდებულების შესრულებას. მწარმოებლის ვალდებულების ორგანიზაციების (PRO) ვალდებულებები განხილულია თავი 4.3.4-ში „რეციკლირების წვლილის“ განაკვეთის წილი პროდუქციის ფასში დიდი არ არის:

- დიდი ზომის საოჯახო ტექნიკის (სარეცხი მანქანები, მაცივრები...) გასაყიდი ფასის (დღგ-ს გარეშე) 0.1%-ზე ნაკლები,
- მცირე ზომის საოჯახო ტექნიკის (ელექტროსაპარსები, უთოები, სამზარეულოს მიქსერები...) გასაყიდი ფასის (დღგ-ს გარეშე) დაახლოებით 0.01%,

- ტელევიზორების გასაყიდი ფასის (დღგ-ს გარეშე) დაახლოებით 0.01%,
- პორტატული ბატარეებისა და აკუმულატორების გასაყიდი ფასის (დღგ-ს გარეშე) დაახლოებით 0.007%,
- კერძო სატრანსპორტო საშუალებების გასაყიდი ფასის (დღგ-ს გარეშე) დაახლოებით 0.003%.

5.3. ინდივიდუალური და კოლექტიური სქემები მწარმოებლის გაფართოებული ვალდებულების (EPR) სისტემაში

მწარმოებლის გაფართოებული ვალდებულების (EPR) სისტემა შეიძლება განხორციელდეს როგორც ინდივიდუალური (მწარმოებლის საკუთარი ვალდებულება (IPR)) ან კოლექტიური სქემის (მწარმოებლის ვალდებულების ორგანიზაცია/ორგანიზაციები (PRO)) სქემების საშუალებით. ევროკავშირის სახელმწიფოებში კანონმდებლობით დაშვებულია ორივე სახის სქემა. მწარმოებლებს ეძლევათ მათთვის ხელსაყრელი სქემის შერჩევის შესაძლებლობა.

ინდივიდუალური სქემის პირობებში (მწარმოებლის საკუთარი ვალდებულება (IPR)) მწარმოებელი მხოლოდ საკუთარ პროდუქციაზე ზრუნავს. მან თავად (ან კონტრაქტორის საშუალებით) უნდა უზრუნველყოს მის მიერ ბაზარზე განთავსებული პროდუქციის შეგროვება და ჩაბარება აღნიშული პროდუქციის ხმარებიდან ამოღების შემდეგ. მწარმოებლის საკუთარი ვალდებულების (IPR) სისტემები უფრო მისაღებია მწარმოებელთა იმ ჯგუფისთვის, რომელიც მწარმოებლის გაფართოებული ვალდებულების (EPR) პროდუქციას საკუთარ წარმოებაში ნედლეულად (მასალა, კომპონენტები...) იყენებს, რომლის პროდუქციაც განკუთვნილია ისევ ბიზნესში („ბიზნესი ბიზნესისათვის“) გამოსაყენებლად და რომელშიც მწარმოებლები იღებენ ვალდებულებას საკუთარ ნარჩენებზე. ზოგადად, იმის გამო, რომ მწარმოებლის საკუთარი ვალდებულების (IPR) შემთხვევაში მწარმოებლები ვალდებული არიან ჩაიბარონ საკუთარი ნარჩენად გადაქცეულ პროდუქცია, აღნიშნული სქემა მათ საკუთარი პროდუქციის დიზაინის შეცვლისკენ უბიძგებს. თუმცა, ეს საკმაოდ რთული ამოცანაა და ბევრი მწარმოებელი კოლექტიურ სქემას ირჩევს, რომელშიც მწარმოებლის გაფართოებული ვალდებულებით (EPR) დაკისრებული პასუხისმგებლობების შესრულებას

მწარმოებლის ვალდებულების ორგანიზაცია (PRO) უზრუნველყოფს. ასეთი სქემა განსაკუთრებით ხელსაყრელია მწარმოებლის გაფართოებული

e-ZAP სისტემა სლოვაკეთში სლოვაკეთის საავტომობილო მრეწველობის ასოციაციას (Zväz auto-mobilového priemyslu _ ZAP) აქვს საინფორმაციო სისტემა სახელწოდებით "e-ZAP". ხმარებიდან ამოღებული სატრანსპორტო საშუალებების დამუშავების ობიექტები ვალდებული არიან გარემოს დაცვის სამინისტროსგან მიიღონ ავტორიზაცია. სამინისტრო ასეთი ობიექტების ჩამონათვალს აწვდის e-ZAP-ს. დამუშავების ობიექტები e-ZAP-თან კონტაქტზე ონ-ლაინ რეჟიმში იმყოფებიან. e-ZAP-თან ონ-ლაინ კონტაქტში იმყოფებიან სატრანსპორტო საშუალებების რეგისტრაციაში ჩართული პოლიციის განყოფილებები. სახელმწიფო რეგისტრაციიდან სატრანსპორტო საშუალების მოხსნის მსურველმა პირველ რიგში საკუთარი სატრანსპორტოსაშუალება უნდა მიიტანოს დამუშავების ავტორიზებულ ობიექტზე, რომელიც მას ჯართის სახით ჩაიბარებს. დამუშავების

ობიექტი შესაბამის მონაცემებს შეიტანს e-ZAP-ში და მხოლოდ ამის შემდეგ სატრანსპორტო საშუალების მფლობელი მიმართავს პოლიციის განყოფილებას მისი სატრანსპორტო საშუალების სახელმწიფო რეგისტრაციიდან მოხსნის შესახებ. თუ სატრანსპორტო საშუალების მფლობელი საკუთარ სატრანსპორტო საშუალებას არ მოხსნის რეგისტრაციიდან, მან უნდა გადაიხადოს სავალდებულოდაზღვევის საფასური და გაიაროს შემოწმება ავტომანქანის გამონაბოლქვზე. e-ZAP-ს აფინანსებენ ავტომანქანების იმპორტიორები.

ვალდებულების (EPR) სისტემის ჩამოყალიბების ადრეულ ეტაპებზე – როდესაც ბაზარი ჯერ კიდევ გაურკვეველია. ამიტომ, მწარმოებლები აერთიანებენ საკუთარ რესურსებს და იყოფენ რისკებს. გარდა ამისა, შესაბამისობის კოლექტიური სქემები მწარმოებლებს ერთი სქემიდან მეორეში გადასვლის შესაძლებლობას აძლევენ, რაც სისტემას უფრო დინამიურს და კონკურენტულს ხდის. კოლექტიური სქემები ბევრად უფრო მისაღებია სახელმწიფო ორგანოებისათვის მათი კონტროლისა და მონიტორინგის სიმარტივიდან გამომდინარე.

6. მწარმოებლის გაფართოებულ ვალდებულებას (EPR) დაქვემდებარებული პროდუქცია

მწარმოებლის გაფართოებული ვალდებულება (EPR) წარმატებით ხორციელდება ისეთი პროდუქციის შემთხვევაში, რომლის მწარმოებლის იდენტიფიცირებაც ადვილადაა შესაძლებელი. საუკეთესო შედეგები სატრანსპორტო საშუალებების (ჩვეულებრივ, მწარმოებლის გაფართოებული ვალდებულება (EPR) ეხება მხოლოდ კერძო სატრანსპორტო საშუალებებს) და ელექტრო და ელექტრონული მოწყობილობების შემთხვევაში ფიქსირდება.

მწარმოებლის გაფართოებული ვალდებულება (EPR) ასევე ვრცელდება ბატარეებსა და აკუმულატორებზე, შესაფუთ მასალაზე, საბურავებსა და ზეთებზე. ყველა პროდუქციას საკუთარი თავისებურებები აქვს და მწარმოებლის გაფართოებული ვალდებულების (EPR) სქემების შექმნის დროს თითოეული სახის პროდუქცია განსხვავებულ მიდგომას საჭიროებს.

6.1. კერძო სატრანსპორტო საშუალებები

ყველა სატრანსპორტო საშუალებას აქვს სპეციალური ეტიკეტი (საფირმო ნიშანი, მოტორის, კორპუსის და საქარე მინის ნომერი), რომლის საშუალებითაც ადვილია მწარმოებლის

იდენტიფიცირება. მწარმოებლებს შეუძლიათ დაეხმარონ ხმარებიდან ამოღებული სატრანსპორტო საშუალებების დამუშავების ობიექტებს, რომლებიც გარემოსდაცვითი თვალსაზრისით უსაფრთხო მეთოდებით შლიან ჯართად ქცეულ ავტომანქანებს ფასეული მასალების (ლითონების) მისაღებად. ბევრ ქვეყანაში რეციკლირების მკაცრი მიზნები ხელს უწყობს ისეთი ობიექტების გაჩენას, რომლებსაც შეუძლიათ ხმარებიდან ამოღებული სატრანსპორტო საშუალებების დაშლის შედეგად სხვა ნარჩენი მასალების და კომპონენტების ამოღება და გამოყენება, მათ შორის საქარე მინების და ქსოვილების. რეზინის კომპონენტები ექვემდებარება რეციკლირებას. ის ხშირად გამოიყენება ცემენტის ღუმელებში საწვავის შემცვლელად. ხმარებიდან ამოღებული სატრანსპორტო საშუალებების დამუშავების ეკონომიკა მჭიდროდ არის დაკავშირებული ლითონების საერთაშორისო ფასებზე და ხშირად მომგებიანი არ არის,

ამიტომ მწარმოებლებმა დამუშავების ობიექტებს ფინანსური მხარდაჭერა უნდა გაუწიონ.

ევროკავშირის სახელმწიფოების კანონმდებლობა სახელმწიფო ადმინისტრაციულ ორგანოებს ავალდებულებს, მჭიდროდ ითანამშრომლონ ნარჩენების გადამუშავების ობიექტებთან საერთო საინფორმაციო სისტემის საშუალებით იმ შემთხვევებში, როდესაც სატრანსპორტო საშუალება ჯართად იქცევა და მისი მფლობელი (მესაკუთრე) აპირებს მოხსნას ის მისი სახელმწიფო რეგისტრაციიდან. ეს არის ეფექტიანი სატრანსპორტო საშუალებების ხმარებიდან ამოღების შედეგად წარმოქმნილი ჯართის უკანონო განკარგვისა და სატრანსპორტო საშუალებებიდან გამოჟონილი სითხეებით წყლისა და ნიადაგის დაბინძურების რისკების შესამცირებლად.

6.2. ელექტრო და ელექტრონული მოწყობილობები ჩვეულებრივ, ელექტრო და ელექტრონული მოწყობილობების მწარმოებელი ადვილად გამოსაცნობია პროდუქციაზე დატანილი საფირმო ნიშნით და, შესაბამისად, მისი ვალდებულებაც ადვილად დასადგენია. განსაკუთრებული მიდგომა არის საჭირო „ისტორიული ნარჩენების“ (რომელსაც „უპატრონო ნარჩენებსაც“ უწოდებენ) შემთხვევაში. ეს არის ნარჩენები, რომლებიც წარმოქმნილია საკანონმდებლო რეგულაციის ძალაში შესვლამდე ბაზარზე განთავსებული პროდუქციისგან. ევროკავშირის ზოგიერთ ხმარებიდან ამოღებული ელექტრო და ელექტრონული მოწყობილობების ფორუ,ი – WEEE Forum WEEE ფორუმ არის ევროპული ასოციაცია, რომელიც აერთიანებს ელექტრო და ელექტრონული ნარჩენების მწარმოებლის ვალდებულების 31 არამომგებიან ორგანიზაციას (PRO)-ს. მისი როლია დაეხმაროს მწარმოებლის ვალდებულების ორგანიზაციებს (PRO) მუშაობაში, ჩაიბაროს ხმარებიდან ამოღებული ელექტრო და ელექტრონული მოწყობილობები და აწარმოოს შესაბამისი ანგარიშგება, იყოს ერთ-ერთი საუკეთესო საკონსულტაციო-პრაქტიკული ცენტრი მსოფლიო მასშტაბით და ხელი შეუწყოს ცირკულარულ ეკონომიკას.

WEEE Forum მოღვაწეობის ერთ-ერთ მნიშვნელოვან შედეგს წარმოადგენს ხმარებიდან ამოღებული მაცივრების დამუშავების ტექნიკური სტანდარტების სისტემა “WEEELABEX“ და მოძრაობა ხმარე-

ბიდან ამოღებული ელექტრო და ელექტრონული მოწყობილობებით უკანონო ვაჭრობის წინააღმდეგ[78].

სახელმწიფოში ის მწარმოებლები, რომლებიც საკუთარ პროდუქციას ბაზარზე ათავსებენ, მწარმოებლის ვალდებულების ორგანიზაციებში (PRO) გაერთიანებით ინაწილებენვალდებულებას ისტორიულ ნარჩენებზე. პროფესიულ ელექტრო და ელექტრონულ მოწყობილობებზე (სამედიცინო აპარატურა, საზომი და საკონტროლო ოწყობილობები) შესაძლებელია გავრცელდეს სპეციალური რეჟიმი. ამ სახის მოწყობილობები ყოფა-ცხოვრებაში არ გამოიყენება. მათ მონტაჟს და დემონტაჟს პროფესიონალები ახორციელებენ. ამ შემთხვევაში ნარჩენების მართვის ვალდებულება შეიძლება გადანაწილდეს მოწყობილობის მფლობელზე (მესაკუთრე, ოპერატორი) ან მომწოდებელზე (მწარმოებლის გაფართოებული ვალდებულების (EPR) პროდუქციის მწარმოებელი) ორმხრივი შეთანხმების საფუძველზე.

6.3. ბატარეები და აკუმულატორები. მწარმოებლის გაფართოებული ვალდებულება (EPR) ბატარეებისა და აკუმულატორებისათვის, ჩვეულებრივ განსხვავებულ მიდგომებს იყენებს სამრეწველო და საავტომობილო ბატარეებისა და აკუმულატორებისათვის და პორტატული ბატარეებისა და აკუმულატორებისათვის. ბატარეებისა და აკუმულატორების შემთხვევაში გამოიყენება ორი განსხვავებული მიდგომა. სამრეწველო ბატარეები და აკუმულატორები (მაგ., ძალოვანი ელემენტები) ყოფა-ცხოვრებაში არ გამოიყენება და ამიტომ მათ სეპარირებულ შეგროვებაში მუნიციპალიტეტი არ მონაწილეობს. საავტომობილო ბატარეებისა და აკუმულატორების შემთხვევაში მნიშვნელოვანია დისტრიბუტორების – ავტომანქანების სარემონტო სახელოსნოების ან ავტოგასამართი სადგურების როლი და რეკომენდებულია ჩაბარების სისტემის გამოყენება.

პორტატული ბატარეები და აკუმულატორები პრაქტიკულად ყველა ელექტრო და ელექტრონული მოწყობილობის შემადგენელია. მოსახლეობა ხმარებიდან ამოღებული ბატარეებისა და

78. http://www.weee-forum.org/

აკუმულატორების მნიშვნელოვანი წყაროა და შესაბამისად, მწარმოებლის გაფართოებული ვალდებულების (EPR) სისტემაში შეიძლება ჩართული იყოს მუნიციპალიტეტი სეპარირებული შეგროვების საკუთარი სისტემით. ასეთ შემთხვევაში ძალიან მნიშვნელოვანია საინფორმაციო და საგანმანათლებლო კამპანიების ჩატარება ხმარებიდან ამოღებული ბატარეებისა და აკუმულატორების არასათანადოდ მოშორებისა და განთავსების თავიდან ასაცილებლად. აუცილებელია თანამშრომლობა მუნიციპალიტეტებსა და მწარმოებლებს/მწარმოებლის ვალდებულების ორგანიზაციებს (PRO) შორის. როგორც აღვნიშნეთ, პორტატული ბატარეები და აკუმულატორები პრაქტიკულად ყველა ელექტრო და ელექტრონული მოწყობილობის შემადგენელი ნაწილია, ამიტომ ხმარებიდან ამოღებული ელექტრო და ელექტრონული მოწყობილობის დამუშავების ობიექტებიც ჩართული არიან ბატარეებისა და აკუმულატორების 17 ევროპის პარლამენტისა და საბჭოს 2012 წლის 4 ივლისის დირექტივა 2012/19/EU ხმარებიდან ამოღებული ელექტრო და ელექტრონული მოწყობილობების შესახებ (განახლებული) ან ევროპის პარლამენტისა და საბჭოს 2017 წლის 4 ივლისის რეგულაცია 2017/1369, რომელიც ადგენს ენერგო ეტიკეტირების ჩარჩოს და აუქმებს ევროკავშირის დირექტივას 2010/30/EU. მწარმოებლის გაფართოებული ვალდებულების (EPR) სისტემაში, ვინაიდან ხმარებიდან ამოღებული ელექტრო და ელექტრონული მოწყობილობის ბატარეებისა და აკუმულატორები ცალკე დამუშავებას ექვემდებარებიან.

6.4. საბურავები და ზეთები

მწარმოებლის გაფართოებული ვალდებულების (EPR) მიდგომა საბურავებისა და ზეთების შემთხვევაში საავტომობილო ბატარეებისა და აკუმულატორების შემთხვევაში გამოყენებული მიდგომის ანალოგიურია, ამიტომ აქაც უმნიშვნელოვანესია ავტომანქანების სარემონტო სახელოსნოებისა და ავტოგასამართი სადგურების როლი. პროფესიული ტიპის საბურავების შემთხვევაში (სატვირთო ავტომაქანების, სასოფლო-სამეურნეო ან სპეციალური სამშენებლო ტექნიკის საბურავები) ნარჩენების მართვის ვალდებულება შე-

საძლებელია გადანაწილდეს საბურავების მწარმოებელზე/იმპორტიორზე და საბურავის მომხმარებელზე (მფლობელზე, ნარჩენის წარმომქმნელზე).

6.5. შესაფუთი მასალა

შესაფუთი მასალა არ წარმოადგენს მწარმოებლის ძირითად პროდუქციას და გამოიყენება სხვა პროდუქციის დაცვისა და გადაადგილების გაადვილების მიზნით. საყოფაცხოვრებო ნარჩენი შესაფუთი მასალა განსხვავებული თვისებების და შედგენილობისაა. ასეთი ნარჩენების მართვა მოითხოვს რეციკლირების ან დამუშავების ავტორიზებულ ობიექტებზე მათ დახარისხებას მასალის მიხედვით სამართლებრივი მოთხოვნების შესაბამისად.

ფოტო 9: საწვავის მიღება ნარჩენი შესაფუთი მასალისაგან. A – შემომავალი ნარჩენების მიღება B – საწვავის მიღების ტექნოლოგია, C – მიღებული შედეგი – საწვავი. FCC Environment Zohor, სლოვაკეთი სამრეწველო და მსგავსი ობიექტების ნარჩენი შესაფუთი მასალისა და საყოფაცხოვრებო ნარჩენი შესაფუთი მასალისთვის შესაძლებელია ორი განსხვავებული მიდგომის გამოყენება. სამრეწველო, კომერციული ან სავაჭრო ობიექტების ნარჩენი შესაფუთი მასალა, როგორც წესი, სუფთაა და შედგება განსაზღვრული მასალისაგან/მასალებისგან. ობიექტების თანამშრომლებს ნარჩენი შესაფუთი მასალის დახარისხება რეციკლირების ობიექტების მოთხოვნების შესაბამისად უშუალოდ ნარჩენების წარმოქმნის წყაროსთან შეუძლიათ. ვინაიდან ნარჩენების რეციკლირების საფასური დამოკიდებულია ნარჩენების სისუფთავეზე, სამრეწველო ობიექტი აკონტროლებს მათი დახარისხების ხარისხს. საყოფაცხოვრებო ნარჩენი შესაფუთი მასალების შემთხვევაში მნიშვნელოვანია მუნიციპალიტეტების როლი. მოსახლეობისგან სათანადოდ სეპარირებული ნარჩენების მისაღებად აუცილებელია საგანმანათლებლო და საინფორმაციო ღონისძიებების ჩატარება. იმ მუნიციპალიტეტებს, რომლებიც შეძლებენ საკუთარ მოსახლეობას კარგად აუხსნან და ასწავლონ ნარჩენების სეპარაცია, გაუჩნდებათ მეორადი ნედლეულის (ქაღალდი, პლასტმასი, ლითონი) გაყიდვით შემოსავლის მიღების შესაძლებლობა. აუცილებელია მჭიდრო თა-

ნამშრომლობა მწარმოებლებთან/მწარმოებლის ვალდებულების ორგანიზაციებთან (PRO).

6.6. სხვა პროდუქცია

ბაზელის კონვენციის 18 დოკუმენტში ჩამოთვლილია სხვა პროდუქცია, რომლებზედაც ზოგიერთ ქვეყანაში ვრცელდება მწარმოებლის გაფართოებული ვალდებულება (EPR)


– სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების ფირი,
– საკვები ზეთები
– ავეჯი,
– საწერი და სახატავი ქაღალდი,
– ჟურნალები და გაზეთები,
– ვერცხლისწყლის შემცველი ავტომატური ჩამრთველები და ვერცხლისწყლის შემცველი თერმოსტატები,
– საღებავები,
– ფარმაცევტული ნაწარმი,
– ქსოვილები.

18 გარემოსდაცვითი თვალსაზრისით უსაფრთხო მართვის უზრუნველსაყოფად მწარმოებლის გაფართოებული ვალდებულებისა და დაფინანსების სისტემების პრაქტიკული სახელმძღვანელოს პროექტი, UNEP/CHW.13/INF/8, 2017 წლის 16 თებერვალი, ბაზელის კონვენციის მხარეთა კონფერენციის მე-13 შეხვედრა, წინასწარი დღის წესრიგის პუნქტი 4(a)(ii) ასეთ პროდუქციაზე მწარმოებლის გაფართოებული ვალდებულების (EPR) ინსტრუმენტის გავრცელება ძირითადად დამოკიდებულია ქვეყანაში ნარჩენების ნაკადებთან დაკავშირებულ პრობლემებსა და წარმოების, სახელმწიფო ხელისუფლებისა და მუნიციპალიტეტების სტრუქტურასა და უფლებამოსილებაზე.

7. მწარმოებლის გაფართოებული ვალდებულების (EPR) სისტემის დაფინანსების სქემა

„დამბინძურებელი იხდის" პრინციპით ნარჩენების მართვის დაფინანსება ჩვეულებრივ ემყარება ნარჩენების წარმომქმნელსა და ნარჩენების მართვაში ჩართულ ობიექტებს შორის დადებულ ხელ-

შეკრულებას. ასეთი სქემა ხორციელდება ნარჩენების წარმომქმნელის პირდაპირი პასუხისმგებლობის და მუნიციპალური ნარჩენების შემთხვევებში, როგორც ეს თავი 1-შია აღწერილი. ნარჩენების წარმომქმნელის პირდაპირი პასუხისმგებლობის შემთხვევაში ფინანსური ნაკადების სქემა საკმაოდ მარტივია (ნახ. 6).



ნახ. 6: ფინანსური ნაკადების სქემა ნარჩენების წარმომქმნელის პასუხის მგებლობის სისტემაში

ნარჩენების წარმომქმნელი, ნარჩენების შეგროვება და ტრანსპორტირება, ნარჩენების დამუშავების / რეციკლირების ობიექტი, ნარჩენების განთავსების ობიექტი ნარჩენების წარმომქმნელს აქვს ხელშეკრულება ნარჩენების მართვაში ჩართულ ობიექტთან, რომელიც ზრუნავს ნარჩენების წარმომქმნელის მიერ წარმოქმნილ ნარჩენებზე. ნარჩენების წარმომქმნელი უხდის ნარჩენების მართვაში ჩართულ ობიექტს, რომელიც შეიძლება იყოს როგორც მხოლოდ ნარჩენების შეგროვებასა და ტრანსპორტირებაში ჩართული კომპანია, ასევე ნარჩენების შეგროვებასა და დამუშავებაში, რეციკლირებასა ან განთავსებაში ჩართული კომპანია. ხელშეკრულების ფასი ჩვეულებრივ შემდეგი ხარჯებისაგან შედგება:

- ნარჩენების შეგროვება,
- ნარჩენების ტრანსპორტირება,
- ნარჩენების დამუშავება,
- ნარჩენების რეციკლირება/აღდგენა/განთავსება,
- ნარჩენების მართვაში ჩართული ობიექტის ზედნადები ხარჯები,
- გარემოსდაცვითი გადასახადები, მოსაკრებლები, და სხვ.

მუნიციპალური მყარი ნარჩენების შემთხვევაში, ნარჩენების მართვაში მთავარი როლი მუნიციპალიტეტებს ეკისრებათ, რომლებიც აგროვებენ ნარჩენების მართვისთვის საჭირო ფინანსურ რე-

სურსებს (ნახ. 7). ფინანსური რესურსები გროვდება ოჯახებისგან/მოსახლეობისგან, ხოლო თითოეული ოჯახის მიერ გადასახდელი ტარიფი დგინდება მუნიციპალიტეტში ნარჩენების მართვის რეალური ხარჯების საფუძველზე.



ნახ. 7: ფინანსური ნაკადების სქემა ნარჩენების მართვის მუნიციპალურ სისტემაში ოჯახი, მუნიციპალიტეტი, ნარჩენების შეგროვება და ტრანსპორტირება, ნარჩენების დამუშავების/რეციკლირების ობიექტი, ნარჩენების განთავსების ობიექტი მუნიციპალიტეტი აფინანსებს ნარჩენების მართვას, რომელიც მოიცავს შემდეგს:

- ნარჩენების შეგროვება,
- ნარჩენების ტრანსპორტირება,
- ნარჩენების დამუშავება: დახარისხება, დაპრესვა, შეფუთვა,
- ნარჩენების რეციკლირება/აღდგენა/განთავსება,
- ნარჩენების მართვაში ჩართული ობიექტის ზედნადები ხარჯები,
- გარემოსდაცვითი გადასახადები, მოსაკრებლები, და სხვ.
- საზოგადოების ცნობიერების ამაღლება.


მნიშვნელოვანია გავიგოთ, რა განსხვავებაა მწარმოებლის გაფართოებული ვალდებულების (EPR) სისტემის ორი განსხვავებული მიდგომის (ცენტრალიზებული და საბაზრო) დაფინანსების სქემებს შორის. ფინანსური მოდელი უნდა უზრუნველყოფდეს ნარჩენი პროდუქციის მართვასთან დაკავშირებული ყველა შემდეგი პროცესის ხარჯების ანაზღაურებას:

- სეპარირებული შეგროვება,
- ტრანსპორტირება,
- დამუშავება,
- რეციკლირება,
- აღდგენა ,
- გარემოსდაცვითი თვალსაზრისით უსაფრთხო განთავსება,


• განათლება და ცნობიერების ამაღლება.

აუცილებელია იმ გავლენის გათვალისწინება, რასაც რეციკლირების წვლილი პროდუქციის ფასზე ახდენს. თუ რეციკლირების ტარიფი ძალიან მაღალია, მაშინ კეთილსინდისიერი მწარმოებლების (მწარმოებლები, რომლებიც ასრულებენ მწარმოებლის გაფართოებული ვალდებულებას (EPR)) მიერ ბაზარზე განთავსებული პროდუქციის ფასი უფრო მაღალი იქნება, ვიდრე არაკეთილსინდისიერი მწარმოებლების (მწარმოებლები, რომლებიც არ ასრულებენ მწარმოებლის გაფართოებული ვალდებულებას (EPR)) მიერ ბაზარზე განთავსებული პროდუქციის ფასი. თავის მხრივ, მაღალი ფასები უკანონო ვაჭრობას წაახალისებს. იმის გამო, რომ არაკეთილსინდისიერი მწარმოებლები არ იხდიან რეციკლირების წვლილს, სახელმწიფო ბიუჯეტშიც ნაკლები გადასახადი შეაქვთ. იმ შემთხვევაში, როდესაც პროდუქციის ფასი საშუალო ფასებზე მნიშვნელოვნად მაღალია, მომხმარებელი პროდუქციას საზღვარგარეთ იძენს, განსაკუთრებით ეს საზღვრისპირა რაიონების მოსახლეობას ეხება. აქედან გამომდინარე, აუცილებელია რეციკლირების წვლილის დადგენა ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობის გათვალისწინებით და ეკონომიკური და გარემოსდაცვითი მოთხოვნების დაბალანსება.

I მიდგომის – ცენტრალიზებული სისტემის ფინანსური სქემა. თავი 5.1-ში აღწერილი ცენტრალიზებული სისტემის ფინანსური სქემა წარმოდგენილია ნახ. 8 და 9-ზე.



ნახ. 8: ფინანსური ნაკადების სქემა მიდგომა I – მწარმოებლის გაფართოებული ვალდებულების (EPR) ცენტრალიზებულ სისტემაში მომხმარებელი, დისტრიბუტორი/მწარმოებელი, EPR ცენტრი, ნარჩენების შეგროვება და ტრანსპორტირება, ნარჩენების დამუშავების/რეციკლირების ობიექტი, ნარჩენების განთავსების ობიექტი



ნახ. 9: ფინანსური ნაკადების სქემა მიდგომა I – მწარმოებლის გაფართოებული ვალდებულების (EPR) ისეთ ცენტრალიზებულ სისტემაში, რომელშიც წარმოდგენილია ნარჩენების მართვაში ჩართული რამდენიმე კომპანია მომხმარებელი, დისტრიბუტორი / მწარმოებელი, EPR ცენტრი, ნარჩენების შეგროვება და ტრანსპორტირება, ნარჩენების დამუშავების/რეციკლირების ობიექტი, ნარჩენების განთავსების ობიექტი ნარჩენების შეგროვება და ტრანსპორტირება, ნარჩენების დამუშავების/რეციკლირების ობიექტი, ნარჩენების განთავსების ობიექტი ნარჩენების მართვის საფასურს მომხმარებელი დისტრიბუტორთან პროდუქციის შეძენისას წინასწარ იხდის. დისტრიბუტორი, რომელიც დაკავშირებულია პროდუქციის მწარმოებელთან რეციკლირების წვლილს მას პროდუქციის მიწოდების მომენტში უხდის.


მწარმოებელი რეციკლირების გადასახადს იხდის მწარმოებლის გაფართოებული ვალდებულების სახელმწიფო ცენტრში (EPR ცენტრი) მის მიერ დროის გარკვეულ პერიოდში ბაზარზე განთავსებული პროდუქციის რაოდენობის (კგ ან ტონა) შესაბამისად. გადასახადის მოცულობა წარმოადგენს ბაზარზე განთავსებული პროდუქციის რაოდენობისა და რეციკლირების ტარიფის ნამრავლს. რეციკლირების ტარიფი კანონქვემდებარე აქტით (დადგენილება, გადაწყვეტილება..) უნდა განისაზღვროს.

მწარმოებლის გაფართოებული ვალდებულების ცენტრი (EPR ცენტრი) ფარავს ნარჩენების შეგროვებასთან, ტრანსპორტირებასთან, დამუშავებასთან, რეციკლირებასთან, აღდგენასა და გან-

თავსებასთან დაკავშირებულ ყველა ხარჯს. ჩვეულებრივ, ნარჩენების დამუშავების, აღდგენის ან რეციკლირების პროცესებში წარმოქმნილი ნარჩენების განთავსების ხარჯი შესულია ნარჩენების დამუშავების, აღდგენისა თუ რეციკლირების ფასში, რომელსაც მწარმოებლის გაფართოებული ვალდებულების ცენტრი (EPR ცენტრი) უხდის მხოლოდ ნარჩენების დამუშავებაში, აღდგენასა თუ რეციკლირებაში ჩართულ კომპანიებს. ხშირად, ნარჩენების მართვაში ჩართული კომპანია, რომელიც ახორციელებს ნარჩენების შეგროვებასა და ტრანსპორტირებას, საკუთარი მომსახურების ფასში რთავს ნარჩენების მართვის შემდეგი საფეხურების (დამუშავება, აღდგენა ან რეციკლირება) ხარჯებსაც. ამ შემთხვევაში მწარმოებლის გაფართოებული ვალდებულების ცენტრი (EPR ცენტრი) აღნიშნულ კომპანიას, რომელიც თავად უზრუნველყოფს ნარჩენების მართვის სხვადასხვა სახის მომსახურებას, უხდის კომპლექსური მომსახურების საფასურს. იმ შემთხვევაში, როდესაც ნარჩენების რეციკლირებით მიღებული მეორადი ნედლეული მასალა იყიდება ბირჟაზე (დამატებითი ღირებულება), რეციკლირების ფასი მცირდება (კანონმდებლობითან საბაზრო პრინციპით). მასალების გაყიდვით მიღებული მოგებით. მწარმოებლის გაფართოებული ვალდებულების (EPR) ცენტრალიზებული სისტემის შემთხვევაში, როდსაც ტარიფს კანონმდებლობა ადგენს, როგორც წესი, სხვა ფინანსური ინსტრუმენტები (გარემოსდაცვითი გადასახადები ან მოსაკრებლები) აღარ გამოიყენება. ყველა ხარჯი რეციკლირების ტარიფში აისახება.

თავი 5.2-ში აღწერილი საბაზრო მიდგომის ფინანსური ნაკადები ცენტრალიზებული მიდგომის ფინანსური ნაკადების ანალოგიურია, თუმცა მთავარი განსხვავება მდგომარეობს იმაში, რომ საბაზრო მიდგომაში დაფინანსება უფრო მოქნილია და ბაზრის საჭიროებებზე რეაგირებს. ფასებს ბაზარი ადგენს და არა კანონმდებლობა. ფასწარმოქმნა განსაკუთრებულად ეფექტიანია ბაზარზე მწარმოებლის ვალდებულების რამდენიმე ორგანიზაციის (PRO) არსებობის შემთხვევაში. როდესაც არსებობს მწარმოებლის ვალდებულების მხოლოდ ერთი ორგანიზაცია (PRO), სისტემა კონკურენტული არ არის და რეციკლირების ტარიფი შეიძლება უფრო მაღალი იყოს ვიდრე იმ შემთხვევაში, როდესაც

ბაზარზე მწარმოებლის ვალდებულების რამდენიმე ორგანიზაციაა (PRO) წარმოდგენილი (ნახ.10).



ნახ. 10: ფინანსური ნაკადების სქემა მიდგომა II – მწარმოებლის გაფართოებული ვალდებულების (EPR) საბაზრო სისტემაში მომხმარებელი, დისტრიბუტორი / მწარმოებელი, PRO I, ნარჩენების შეგროვება და ტრანსპორტირება, ნარჩენების დამუშავების / რეციკლირების ობიექტი, ნარჩენების განთავსების ობიექტი მომხმარებელი, დისტრიბუტორი / მწარმოებელი, PRO II, ნარჩენების შეგროვება და ტრანსპორტირება, ნარჩენების დამუშავების / რეციკლირების ობიექტი, ნარჩენების განთავსების ობიექტი მომხმარებელი, დისტრიბუტორი/მწარმოებელი, PRO III, ნარჩენების შეგროვება და ტრანსპორტირება, ნარჩენების დამუშავების/რეციკლირების ობიექტი, ნარჩენების განთავსების ობიექტი ბაზარზე შეიძლება არსებობდეს მწარმოებლის ვალდებულების რამდენიმე ორგანიზაცია (PRO) და ნარჩენების მართვაში ჩართული მხოლოდ შეზღუდული რაოდენობის კომპანია/ობიექტი. ამიტომ მწარმოებლის ვალდებულების ორგანიზაციებმა (PRO) უნდა ითანამშრომლონ ნარჩენების მართვაში ჩართულ რამდენიმე კომპანიასთან. ამ მოდელში რეციკლირების ტარიფი არ არის განსაზღვრული კანონმდებლობით. ამიტომ ის მუდმივი არ არის და იცვლება მეორადი ნედლეულის ფასების, მინიმალური ხელფასების, გადასახადების, საგზაო გადასახადის/მოსაკრებლის, ფონდებში (მაგ.: სოციალური, ჯანმრთელობის დაცვის) შენატანების, საწვავის ფასებისა და სხვ. შესაბამისად. ფინანსური თვალსაზრისით საბაზრო მოდელი გრძელვადიან პერიოდ-

ში უფრო მდგრადი და ჩვეულებრივ, ეკონომიკურად უფრო ეფექტიანია (და იაფი), ვიდრე ცენტრალიზებული სისტემა. ცენტრალიზებული სისტემა ხელსაყრელია ხანმოკლე პერიოდში ნარჩენების ახალი ინფრასტრუქტურის ასაშენებლად საჭირო ფინანსური რესურსების შესაგროვებლად, თუმცა მწარმოებლის გაფართოებული ვალდებულების ასეთი სისტემის შექმნის დროს გასათვალისწინებელია მრავალი სხვადასხვა რისკი (კორუფცია, ბიუროკრატია, დომინანტური პოზიციის ბოროტად გამოყენება, თავისუფალ ბაზართან შედარებით მაღალი ფასები, საზიანო სუბსიდიები, და სხვ.).

მნიშვნელოვანია ერთმანეთისგან განვასხვავოთ რეციკლირების გადასახადი და რეციკლირების წვლილი. პროდუქციის მწარმოებელი რეციკლირების გადასახადს უხდის მწარმოებლის გაფართოებული ვალდებულების (EPR) სისტემას (ორივე მიდგომა აღწერილია თავი 5-ში). რეციკლირების გადასახადი წარმოადგენს ნარჩენების მართვის ხარჯების, საგანმანათლებლო და ცნობიერების ამაღლების ხარჯებისა და მწარმოებლის გაფართოებული ვალდებულების (EPR) სისტემის (მწარმოებლის გაფართოებული ვალდებულების ცენტრი (EPR ცენტრი), მწარმოებლის ვალდებულების ორგანიზაცია (PRO), მწარმოებლის საკუთარი ვალდებულება (IPR)) ზედნადები ხარჯების ჯამს დროის მოცემულ პერიოდში ბაზარზე განთავსებული პროდუქციის ერთეულზე გაანგარიშებით. რეციკლირების წვლილი წარმოადგენს პროდუქციის გასაყიდი ფასის ნაწილს, რომელიც შეესაბამება პროდუქციის ერთ ერთეულთან დაკავშირებული ნარჩენების მართვის ხარჯებს. პროდუქციის შესყიდვის მომენტში რეციკლირების წვლილი შეიძლება იყოს ან არ იყოს შესამჩნევი. რეციკლირების გადასახადი და რეციკლირების წვლილი ერთმანეთისგან განსხვავდება. რეციკლირების გადასახადი არის მწარმოებლის მიერ მწარმოებლის გაფართოებული ვალდებულების (EPR) სისტემისთვის (მწარმოებლის გაფართოებული ვალდებულების ცენტრი (EPR ცენტრი), მწარმოებლის ვალდებულების ორგანიზაცია (PRO), მწარმოებლის საკუთარი ვალდებულება (IPR)) გადახდილი გადასახადი ყველა იმ ვალდებულების შესრულების სანაცვლოდ, როგორიცაა სეპარირებული შეგროვების, რეციკლირებისა და აღდგენის ზღვრული მაჩვენებლების მიღწევა, საინფორმაციო ვალდებულებები, ცნობიერების ამაღლების ღონისძიებები, ანგარიშგების ვალდებულებები, და სხვ. რეციკლი-

რების წვლილი არის გადასახადი, რომელსაც მომხმარებელი იხდის პროდუქციის შეძენისას ნარჩენების გარემოსდაცვითი თვალსაზრისით უსაფრთხოს მართვის უზრუნველსაყოფად.

19 ევროპის პარლამენტისა და საბჭოს 2012 წლის 4 ივლისის დირექტივა ხმარებიდან ამოღებული ელექტრო და ელექტრონული მოწყობილობების შესახებ (განახლებული).

8. მწარმოებლის გაფართოებული ვალდებულების (EPR) სისტემების ეფექტიანობა

ხარჯთეფექტიანობის შესაფასებლად საჭიროა იმის გარკვევა, თუ რა ხარჯებს ფარავს მწარმოებლის გაფართოებული ვალდებულება (EPR) სისტემა. მათი უმეტესობა ფარავს ნარჩენების შეგროვების, ტრანსპორტირებისა და დამუშავების ხარჯებს, კომუნიკაციის ხარჯებს, ანგარიშგებასთან, კანონალსრულებასა და ზედამხედველობასთან დაკავშირებულ ხარჯებს. დროთა განმავლობაში მწარმოებლის გაფართოებული ვალდებულების (EPR) სისტემების განვითარების შედეგად მწარმოებლებისგან მიღებული გადასახადებით თითქმის მთლიანად იფარება საოპერაციო ხარჯები, მაშინ, როდესაც თავდაპირველად ამ ხარჯების მხოლოდ ნაწილი იფარებოდა. მწარმოებლის ვალდებულების ზოგიერთი ორგანიზაცია (PRO) მის ყველა წევრ მწარმოებელს საშუალო გადასახადს უწესებს, მაშინ, როდესაც სხვა ორგანიზაციებს, მაგალითად Eco TLC-ს (საფრანგეთი), აქვს დიფერენცირებული და წამახალისებელი გადასახადი მათთვის, ვინც ცდილობს ხმარებიდან ამოღებული პროდუქციის მართვის ხარჯების შემცირებას. ასეთი მიდგომა, რომელიც ასევე ცნობილია, როგორც „რეალური ღირებულების პრინციპი" ან „გადასახადის მოდულაცია", ემყარება ეკო-დიზაინის კრიტერიუმებს და სხვა რაოდენობრივ მაჩვენებლებს. მწარმოებლის გაფართოებული ვალდებულების (EPR) სისტემის ეფექტიანობის შედარება ძალიან რთულია ნარჩენების სხვადასხვა ნაკადების რეციკლირებისა და აღდგენის განსხვავებული ტექნიკური პირობებიდან გამომდინარე. ევროპის მასშტაბით ჩატარებული შედარება ემყარება ტექნიკურ ეფექტიანობას, რაც გულისხმობს შეგროვებისა და რეციკლირების მასშტაბებსა და ინტენსივობას, და ეკონომიკურ ეფექტიანობას, რაც ფასდება მწარმოებლის გაფართოებული ვალდებულების (EPR) სისტემის განხორციელების დროს წარმოქმნილი ხარჯების საფუძველზე. ქვემოთ წარმოდგენილია მონაცემები ევროკავში-

რის სხვადასხვა ქვეყნებში მწარმოებლის გაფართოებული ვალდებულების სისტემით სპეციფიკური ნარჩენების მართვის ეფექტიანობაში მიღწეული შედეგების საილუსტრაციოდ:

- ბატარეების შეგროვება: 5%-დან (მალტა) 72%-მდე (შვეიცარია)
- ხმარებიდან ამოღებული სატრანსპორტო საშუალებების რეციკლირება: 64%-დან (მალტა) 96%-მდე (გერმანია)
- ზეთების შეგროვება: 3%-დან (ბულგარეთი) 61%-მდე (ბელგია)
- შესაფუთი მასალების რეციკლირება: 29%-დან (მალტა) 84%-მდე (დანია)
- ელექტრო და ელექტრონული მოწყობილობების შეგროვება: 1.2 კგ/ერთ სულ მოსახლეზე (ბულგარეთი) – 17.2 კგ/ერთ სულ მოსახლეზე (ბელგია) მიუხედავად იმისა, რომ ზუსტი მონაცემები მწარმოებლებისთვის სხვადასხვა პროდუქციაზე დაკისრებული გადასახადების შესახებ საკმაოდ არასრულია, ევროპის კომისიის მიერ ჩატარებული ანალიზის შედეგად ირკვევა, რომ ყველაზე ეფექტიან სქემებად ხშირ შემთხვევაში ყველაზე ძვირადღირებული სქემები არ გვევლინებიან. ამას განაპირობებს გარკვეული გარე ფაქტორებიც, როგორიცაა ქვეყნის მოსახლეობა და გეოგრაფია, ისტორიული ნარჩენების მართვის ინფრასტრუქტურის განვითარება, მეორადი მასალების საბაზრო ფასები და მოსახლეობის ცნობიერების დონე. შედეგად, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ:
- მწარმოებლის გაფართოებული ვალდებულების (EPR) სისტემებმა უნდა დაფარონ სეპარირებულად შეგროვებული ნარჩენების შეგროვების, ტრასპორტირებისა და დამუშავების ხარჯები აღდგენილი მასალების გაყიდვიდან მიღებული შემოსავლების ჩაუთვლელად
- არჩევანის გაკეთება ცენტრალიზებულ სისტემასა და მწარმოებლის ვალდებულების ორგანიზაციების (PRO) მონაწილეობით შექმნილ კონკურენტულ სისტემას შორის შეუძლებელია. ძლიერი სამართლებრივი ჩარჩო სახელმწიფოს მხრიდან უზრუნველყოფილი კანონაღსრულებითა და კონტროლით სისტემის ჩამოყალიბებაში მნიშვნელოვანი წინგადადგმული ნაბიჯია. ეკო-დიზაინის კრიტერიუმებზე მწარმოებლის გაფართოებული ვალდებულების (EPR) სისტემის ზემოქმედების უზრუნველსაყოფად აუცილებელია ეკო-დიზაინის მიზნებისა და

ინდიკატორების შემუშავება, აგრეთვე კოლექტიური სქემების ჩამოყალიბება, რომლებიც გააერთიანებენ ცალკეული მწარმოებლების ვალდებულებს.

20 მწარმოებლის გაფართოებული ვალდებულების (EPR) სახელმძღვანელოს შემუშავება. (2015 წლის 17 აგვისტო)[79].

8. მონიტორინგი და აღსრულება

იმისათვის, რომ მწარმოებლის გაფართოებული ვალდებულების (EPR) სისტემა ქმედითი იყოს, აუცილებელია დაინტერესებული მხარეების მიერ ვალდებულებების შესრულების მონიტორინგი და სახელმწიფო ორგანოებისა და მწარმოებლის გაფართოებული ვალდებულების (EPR) სისტემების მიერ ვალდებულებების აღსრულების უზრუნველყოფა. ვალდებულებების მონიტორინგი მოიცავს შემდეგ მიმართულებებს:

1) მწარმოებლების ვინაობა (სახელი) რეგისტრაციის გზით თითოეული მწარმოებელი (ან იმპორტიორი), რომელიც ფუნქციონირებს ქვეყანაში და ბაზარზე გააქვს მწარმოებლის გაფართოებული ვალდებულების (EPR) სფეროს დაქვემდებარებული პროდუქცია, ვალდებულია გაიაროს რეგისტრაცია. ყველა მწარმოებლისა და იმპორტიორის რეგისტრაციის სისწორეს სახელმწიფო ორგანოები ამოწმებენ.
2) თითოეული მწარმოებლის მიერ ბაზარზე განთავსებული ახალი პროდუქციის რაოდენობა რეგისტრირებული მწარმოებლების მიერ ბაზარზე განთავსებული პროდუქციის რაოდენობის გასაგებად, თითოეული მწარმოებელი ან იმპორტიორი ვალდებულია წარმოადგინოს ინფორმაცია მის მიერ ბაზარზე განთავსებული პროდუქციის ზუსტი რაოდენობის შესახებ. ინფორმაციის სისწორეს სახელმწიფო ორგანოები ამოწმებენ. ბაზარზე განთავსებული პროდუქციის რაოდენობის შესახებ ინფორმაციის საშუალებით შესაძლებელია მწარმოებლის ფინანსური წვლილის გამოთვლა (ისეთი ცენტრალიზებული სისტემის შემთხვევაში, რომელშიც მწარმოებლის გაფართოებული ვალდებულების ცენტრის (EPR ცენტრი) მონაწილეობს, ან თუ მწარმოებელი იყენებს მწარმოებლის ვალდებულების

79. http://ec.europa.eu/environment/archives/waste/eu_guidance/introduction.html

21 სლოვაკეთში მოქმედებს ჯარიმების ექვსდონიანი სისტემა[80]:
1-ლი დონე (ჯარიმა 50 000 ევრომდე) იმ შემთხვევაში, თუ ვალდებული პირი არ აწარმოებს აღრიცხვას.
მე-2 დონე (ჯარიმა 80 000 ევრომდე) იმ შემთხვევაში, თუ დისტრიბუტორი შეძენისას არ უთითებს რეციკლირების გადასახადს...
მე-3 დონე (ჯარიმა 120 000 ევრომდე) იმ შემთხვევაში, თუ ვალდებულ პირს ბაზარზე გააქვს მწარმოებლისგაფართოებული ვალდებულების (EPR) პროდუქცია მწარმოებლების რეესტრში რეგისტრაციის გარეშე, ან არ ასრულებს ინფორმაციის უზრუნველყოფასთან დაკავშირებულ ვალდებულებებს..
მე-4 დონე (ჯარიმა 200 000 ევრომდე) იმ შემთხვევაში, თუ მწარმოებლის ვალდებულების ორგანიზაცია (PRO) არ უზრუნველყოფს ნარჩენების შეგროვებას, რეციკლირებასა და აღდგენას, არ აწარმოებს დოკუმენტაციას...
მე-5 დონე (ჯარიმა 250 000 ევრომდე) იმ შემთხვევაში, თუ ვალდებული პირი არ დააკმაყოფილებს ნარჩენების შეგროვების, აღდგენისა და რეციკლირებისათვის დადგენილ ზღვრულ მაჩვენებლებს ან არ უზრუნველყოფს ნარჩენი პროდუქციის ჩაბარებას, თუ ვალდებული პირი ბაზარზე განათავსებს აკრძალული ნივთიერებების შემცველ პროდუქციას...
მე-6 დონე (ჯარიმა 350 000 ევრომდე) იმ შემთხვევაში, თუ ნარჩენების მართვა გარემოს საფრთხეს უქმნის.
ორგანიზაციას (PRO)) და ასევე პროდუქციის ჩაბარების სამიზნე მნიშვნელობების დადგენა.

3) სისტემაში არსებული ნარჩენების დამუშავების ავტორიზებული ობიექტები (ადგილობრივი/უცხოური) აუცილებელია ნარჩენების დამუშავების ობიექტების რეგისტრაცია. უნდა შემოწმდეს, აკმაყოფილებს თუ არა მათი მუშაობა და ნარჩენების დამუშავების პროცესები გარემოსდაცვით მოთხოვნებს. ასევე უნდა შემოწმდეს, ახორციელებენ თუ არა აღნიშნული ობიექტები ობიექტებზე შემოსული და ობიექტებიდან გასული მასალების მონიტორინგს.
4) სისტემაში შემავალი ნარჩენების რაოდენობა უნდა შემოწმდეს, აქვთ თუ არა ნარჩენების შეგროვებასა და გადატანაში ჩართულ ორგანი-

80. http://portal.research.lu.se/ws/files/5412497/1515113.pdf%20page%2031

ზაციებს (დისტრიბუტორები, მუნიციპალიტეტები, ნარჩენების მართვაში ჩართული კომპანიები) სათანადო პროცედურები, რომელთა საშუალებითაც ხდება ანგარიშგება შეგროვებული ნარჩენების რაოდენობის, მათი წარმოშობისა და დანიშნულების ადგილის შესახებ.

5) დამუშავებასა და აღდგენის სხვადასხვა არხებში გაშვებას დაქვემდებარებული ნარჩენების რაოდენობა უნდა შემოწმდეს ნარჩენების დამუშავების ავტორიზებული ობიექტები ნარჩენების დამუშავების და აღდგენის იმ არხების კუთხით, რომელშიც ხდება ნარჩენებისა და მათი ფრაქციების გაშვება. აუცილებელია, რომ დამუშავებას ან აღდგენას დაქვემდებარებული ნარჩენებისთვის იდენტიფიცირებული იყოს მათი მწარმოებელი ან მწარმოებლის ვალდებულების ორგანიზაცია (PRO). ეს არ ეხება ისეთ სისტემას, რომელშიც მწარმოებლის გაფართოებული ვალდებულების ცენტრი (EPR ცენტრი) მონაწილეობს.

ნარჩენების მართვაში ჩართული პირების მიერ კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების შეუსრულებლობის შემთხვევაში მათ დაეკისრებათ სამართლებრივი პასუხისმგებლობა ჯარიმების ან საქმიანობის ლიცენზიების ჩამორთმევის სახით.

ცხრილი №13 აბრევიატურები


ARF	რეციკლირების საფასურის ავანსი
ATFs	ნარჩენების დამუშავების ავტორიზებული ობიექტები
DfD	დიზაინი დემონტაჟის მოთხოვნების გათვალისწინებით
DfE	დიზაინი გარემოსდაცვითი მოთხოვნების გათვალისწინებით
DfR	დიზაინი რეციკლირების მოთხოვნების გათვალისწინებით
DRS	დეპონირება-ანაზღაურების სისტემა
EPR	მწარმოებლის გაფართოებული ვალდებულება
EU	ევროკავშირი
IPR	მწარმოებლის საკუთარი ვალდებულება
MSW	მყარი მუნიციპალური ნარჩენი
OECD	ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაცია
PRO	მწარმოებლის ვალდებულების ორგანიზაცია
WEEE	ხმარებიდან ამოღებული ელექტრო და ელექტრონული

3.3. ცირკულარული ეკონომიკის დანერგვის დაჩქარების აუცილებლობა საქართველოში

ცირკულარული ეკონომიკისაკენ მიმავალი გზა შეიძლება ითქვასდაიწყო ევროკავშირისგაერთიანებიდან და ჩამოყალიბდა ოთხი ძირითადიფაქტორის გათვალისწინებით:

- სამრეწველო ხანის მემკვიდრეობა
- მიმდინარე ტენდენციები – პრობლემები და შესაძლებლობები
- წრფივი თუ ცირკულარული
- ევროკავშირის სამოქმედო გეგმა

ცირკულარული ეკონომიკის ხელშეწყობის საქმეში ურბანული ტერიტორიების მნიშვნელოვნება ცირკულარული ეკონომიკისათვის მნიშვნელოვან საკითხად იქცა. რამაც საფუძველიჩაუყარა რესურსების გადანაწილების ახლებურად ხედვას.



- ახალი ბიზნეს მოდელები
- მომსახურებაზე დაფუძნებული ბიზნეს მოდელები უკეთ არეგულირებს რესურსეფექტურობის წამახალისებელ ფაქტორებს = ñ მაგ., კერძო ფინანსური წამოწყებების გრძელვადიანი ხელშეკრულებები;
- ახალი დიზაინი და სპეციფიკაციები;

- ექსპლუატაციის გრძელ ვადაზე გათვლილი პროდუქციის შექმნა = ñ ექსპლუატაციის გრძელი ვადის მქონე ინფრასტრუქტურა ამცირებს ხარჯებს და რესურსების მოხმარებას;
- ხელმეორე გამოყენებაზე გათვლა = ñ მოქნილი, მარტივად მორგებადა და ხელმეორედ გამოყენებადი პროდუქტები/ ინფრასტრუქტურა;
- მასალების აღდგენაზე გათვლა = ñ პროდუქტი შექმნილია და მონაცემები იმართება იმგვარად, რომ მოხმარების შემდეგ მისი გადამუშავება ოპტიმალურად მოხდეს;
- ყაირათიანი წარმოება;
- რესურსეფექტურობა = ñ არსებული მდგომარეობის კრიტიკულად შეფასება ხარჯებისა და რესურსების/ენერგიის/წყლის მოხმარების შემცირების მიზნით.

ძირითადი პრინციპები


- ახალი პროდუქტები და აქტივები იმგვარადაა დაგეგმილი და დამზადებული, რომ ახალი ნედლეულის მოხმარება და ნარჩენების წარმოქმნა მცირდება;
- გამოიყენება ახალი ბიზნეს მოდელები და სტრატეგიები, რომლებიც სიმძლავრეს ოპტიმალურად მოიხმარს და პროდუქტების/ობიექტების ექსპლუატაციის პერიოდს ახანგრძლივებს;
- სასიცოცხლო ციკლის ბოლო ეტაპამდე მიღწეული პროდუქტების და მასალების გადამუშავებით რესურსებისა და მასალების ციკლები იკვრება.

ცირკულარული ეკონომიკის ძირითადი გამოწვევები:

- ცირკულარული ეკონომიკა მოითხოვს, რომ წარმოებისა და მოხმარების მეთოდები ღირებულებათა მთლიანი ჯაჭვის გასწვრივ ძირეულად შეიცვალოს პროდუქტის დიზაინის, რესურსების უფრო გონივრულად მართვისა და მომხმარებელთა ჩვევების თვალსაზრისით.
- ცირკულარულ ეკონომიკაზე გადასვლა ასევე შეცვლის კორპორატიულ რისკებს, ფულად ნაკადებს და ბიზნესის ურთიერთობას მომხმარებელთან.
- ფინანსურ სექტორს ამ ცვლილებებზე მორგება დასჭირდება, რათა ბიზნესებს მათთვის საჭირო პროდუქტები და მომსახურება შესთავაზოს.

- რადგანაც ასეთ გადასვლას მრავალი ასპექტი გააჩნია და მრავალი დაინტერესებული მხარე ჰყავს, ცირკულარული ეკონომიკისა და ტრადიციული, წრფივი ეკონომიკური მოდელების შესაძლებლობების შესადარებლად მნიშვნელოვანია წრფივი ეკონომიკური საქმიანობის რისკების გააზრება და მკაფიოდ ჩამოყალიბება.

ცირკულარული ეკონომიკის მამოძრავებელი ფაქტორები



- **რესურსების სიმწირე:** მზარდი შიში სასიცოცხლო მნიშვნელობის ნედლეულისა და წყლის დეფიციტის თაობაზე. იგივე ეხება სახნავ-სათეს სავარგულებს, რადგანაც ბამბაზე, მარცვლეულზე და სხვა კულტურებზე მოთხოვნა იზრდება.
- **ტექნოლოგიური განვითარება:** ახალი ტექნოლოგიები, ინტერნეტი, მოცულობითი მონაცემების დამუშავების ინსტრუმენტები საშუალებას იძლევა, რომ შემუშავებული და დანერგილი იქნას ახალი, ცირკულარული ეკონომიკის ბიზნეს მოდელები, რომლებიც ხშირად საზიაროდ გამოყენებას და იჯარას ეფუძნება, თუმცა ხელახალ გა-

მოყენებასა და მოდერნიზაციასაც ითვალისწინებს. ამავდროულად, მწარმოებლურობის, მასალათმცოდნეობის და დამზადების ტექნოლოგიების განვითარებასთან ერთად ვითარდება დიზაინისა და შესაძლებლობებიც, მაგ., 3D ბეჭდვა და ხელოვნური ინტელექტი.

- **სოციალურ-ეკონომიკური განვითარება:** ამჟამად მსოფლიოს მოსახლეობის დაახლოებით ნახევარი ქალაქებში ბინადრობს, ხოლო 2030 წლისათვის ათი ადამიანიდან ექვსი ქალაქად იცხოვრებს.
  - მზარდი ურბანიზაცია ცირკულარული მოდელების განვითარებას უწყობს ხელს.
  - ურბანულ ტერიტორიებზე შესაძლებელია ნაწარმის, მასალებისა და სხვა რესურსების შეგროვებისა და დაბრუნების ხარჯთეფექტური სისტემების შექმნა, რაც ხელს შეუწყობს წრიული ციკლის შეკვრას, ასევე აქტივებით საზიარო სარგებლობის სქემების და პროდუქტის ხელახალი გამოყენების სისტემების ჩამოყალიბებას.

ძირითადი შესაძლებლობები

- **მომავალში ფართო მოხმარების საგნების არაპროგნოზირებადი მიწოდების რისკის აღმოფხვრა / თავის დაზღვევა** ცირკულარული ეკონომიკა გვთავაზობს საშუალებებს, რომლებიც მომავალში ფართო მოხმარების საგნების არაპროგნოზირებადი მიწოდების და ფასების ცვალებადობის მიმართ მოქნილობას გაზრდის და ასეთ რისკებს აღმოფხვრის.
- **წარმოების ხარჯების შემცირება:** მოდერნიზაციისა და ბრუნვაში ხელახლა ჩაშვების მიზნით პროდუქციის იმგვარად შექმნა, რომ შესაძლებელი იყოს მისი ხელახალი გამოყენება, დაშლა და გადამუშავება, ხშირად უფრო იაფია, ვიდრე ახალი ნაწილების დამზადება ახალი მასალებით.
- **შემცირებული ხარჯები და ახალი შემოსავლები:** წარმოების ჯაჭვის შეფასება ისეთი თანმდევი პროდუქტების და ნარჩენების გამოვლენის მიზნით, რომელთათვისაც ნარჩენების მართვის კომპანიების გამოყენება კი არ იქნება საჭირო, არამედ მათი თავიდან აცილება, ხელახალი გამოყენება ან გადამუშავება შესაძლებელი იქნება რესურსების მართვით ან უკულოგისტიკის პარტნიორების მეშვეობით, რომლებიც თანმდევი პროდუქტე-

ბისა და ნარჩენების ხელახალი გამოყენების შესაძლებლობას გამოავლენენ – ასეთი მიდგომა ამცირებს ხარჯებს და ზრდის ეფექტიანობას, ასევე ამცირებს რესურსების მოხმარებას და გარემოზე ზემოქმედებას.

- **ახალი ბიზნეს შესაძლებლობები და ახალი ბაზრები:** შეკეთებისა და განახლების გზით რაიმე აქტივის ექსპლუატაციის ვადისა და მისგან მიღებული შემოსავლების გაზრდის შესაძლებლობა ახალი, მომსახურებაზე დაფუძნებული ბიზნეს მოდელების გამოყენების და მომხმარებელთან ურთიერთობის განმტკიცების საშუალებას იძლევა.

ევროკავშირის ნორმატიული ჩარჩო

- 2015 წლის დეკემბერში ევროკომისიამ „ცირკულარული ეკონომიკის პაკეტი" წარმოადგინა.
- ცირკულარული ეკონომიკის პაკეტში შედის:
  - ზოგადი ხასიათის საინფორმაციო დოკუმენტი „ციკლის ჩაკეტვა – ევროკავშირის სამოქმედო გეგმა ცირკულარული ეკონომიკისათვის";
  - ვრცელი სამოქმედო გეგმა, რომელიც მოიცავს 54 კონკრეტულ ქმედებას, მათი შესრულების გრაფიკს და მონიტორინგის ნაწილს;
  - ნარჩენების მართვისა და გადამუშავების შესახებ კანონპროექტი, რომელიც მიღებული იქნა 2018 წლის ივლისში: იგი განაახლებს ნარჩენების მართვის სფეროს ძირითად დირექტივებს.
- სამოქმედო გეგმა ყურადღებას ამახვილებს პროდუქტის მთლიან სასიცოცხლო ციკლზე და მოიცავს ქმედებებს, რომლებიც ეხება პროდუქტის დიზაინს, წარმოებას და საწარმოო პროცესებს, მოხმარებას, ნარჩენების მართვას და მეორად ნედლეულს.
- გეგმაში ასევე მოცემულია ინოვაციებთან, ინვესტიციებთან და მონიტორინგთან დაკავშირებული ტოლფასი ქმედებები, ასევე დარგობრივი ქმედებები, რომლებიც ეხება პლასტმასს, დეფიციტურ ნედლეულს, მშენებლობას, ბიომასას და ბიო-მასალებს.
- **ეკოდიზაინი** – ითვალისწინებს შეკეთების შესაძლებლობას, გამძლეობას და გადამუშავების შესაძლებლობას

- კანონმდებლობა **სასუქების**, მათ შორის ორგანული და ნარჩენებიდან მიღებული სასუქების თაობაზე
- **ჩამდინარე წყლების ხელახალი გამოყენების** ნორმები
- ქმედებები **სახელმწიფო შესყიდვების ეკოლოგიურობასთან** დაკავშირებით
- პროგრამის „მრეწველობა 2020 ცირკულარულ ეკონომიკაში“ **დაფინანსება** €650 მილიონით
- **მეორადი ნედლეულის** ხარისხობრივი ნორმები
- **სტრატეგია პლასტმასის**, მ.შ. ზღვაში მოხვედრილი ნარჩენების თაობაზე
- ქიმიური ნივთიერებების, პროდუქტებსა და ნარჩენების მარეგულირებელ კანონმდებლობას შორის ურთიერთქმედება
- მუნიციპალური და შესაფუთი მასალის ნარჩენების **გადამუშავების გრძელვადიანი მიზნები** და ნაგავსაყრელზე განთავსებული ნარჩენების შემცირება
- ნარჩენების, მ.შ. საკვების **ნარჩენების თავიდან აცილების** ხელშემწყობი ღონისძიებები
- **ხელახალი გამოყენებისთვის მზადების** წესების ცხადად გაწერა, **თანმდევი პროდუქტების და გამოყენების ბოლოს სტადიამდე მისული ნარჩენების** სტატუსის გამარტივება
- **ბიო-ნარჩენების სეპარირებული შეგროვების** მასშტაბის გაზრდა მინის/ ქაღალდის/ პლასტმასის/ ლითონის ნარჩენებთან ერთად
- ზოგადი ხასიათის მინიმალური მოთხოვნები **მწარმოებლის გაფართოებული ვალდებულების** სქემებთან დაკავშირებით
- ცირკულარულ ეკონომიკაზე გადასვლა ქვეყნებს ეხმარება, შეასრულონ საერთაშორისო ვალდებულებები:
  – მდგრადობის დღის წესრიგი 2030, რომელიც გაერომ 2015 წლის სექტემბერში მიიღო
  – COP21, გლობალური დათბობისთვის $2^{o}C$-იანი ზღვარის დადგენის თაობაზე ისტორიული შეთანხმება, რომელიც 2015 წლის დეკემბერში დაიდო
  – G7 „კავშირი რესურსეფექტურობისთვის“ – უფრო მდგრადი მიწოდების ჯაჭვებისა და გლობალური ბაზრების შექმნა მეორადი ნედლეულისთვის

ურბანული ტერიტორიების გამოწვევები

- მსოფლიოს მოსახლეობის 54% ურბანულ ტერიტორიებზე ცხოვრობს
- მსოფლიო მშპ-ს 85%-ი ქალაქებში იქმნება
- ქალაქები მოიხმარს ბუნებრივი რესურსების 75%-ს, წარმოქმნის ნარჩენების 50%-ს და სათბურის აირების 60 – 80%-ს
- ყოველკვირეულად მსოფლიოში 3 მილიონი ადამიანი საცხოვრებლად ქალაქში გადადის
- მყარი ნარჩენების მართვა და შეგროვება მუნიციპალური ბიუჯეტის 50%-ს აღწევს
- შემოსავლის ზრდა მასალების მოხმარებისა და ნარჩენების წარმოქმნის ზრდას იწვევს

ურბანული ტერიტორიების შესაძლებლობები
- ნარჩენების შემცირება ან აღმოფხვრა
- ხელქმნილი გარემო, რომელიც დაგეგმილია მრავალფუნქციურობისა და მოქნილობის გათვალიწინებით
- ქალაქში გადაადგილების სისტემა, რომელიც ფიზიკურად და ფინანსურად ხელმისაწვდომია და ეფექტიანია
- ბიო-ეკონომიკის ხელშეწყობა, რაც საკვები ნივთიერებების ნიადაგში დაბრუნებას და საკვების ნარჩენების მინიმუმამდე შემცირებას ითვალისწინებს
- ენერგიის მდგრადი, განახლებადი და ლოკალიზებული სისტემების უზრუნველყოფა
- ისეთი სისტემების მოწყობა, რომლებიც ხელს უწყობს „ღირებულებათა ადგილობრივი ჯაჭვების" შექმნას

წრებრუნვის ეტაპები ქალაქებისათვის – დაგეგმვა
- ადგილობრივი სპეციფიკისა და რესურსების მოძრაობის აღწერა და ანალიზი, უმოქმედო აქტივების გამოვლენა
- ვარიანტების გააზრება და წრებრუნვის პოტენციალის მქონე სექტორებიდან პრიორიტეტულების გამოვლენა
- წრებრუნვის ხედვისა და სტრატეგიის შემუშავება, სადაც ცხადად იქნება განსაზღვრული წრებრუნვის მიზნები და დაგეგმილი შედეგები
- ციკლის ჩაკეტვა ნარჩენების/ მონარჩენების / წყლის / თბოგენე-

რატორების დაკავშირებით ასეთი მეორადი რესურსების მყიდველებთან და მომხმარებლებთან
- უმოქმედო აქტივებისა და პროდუქტების მოხმარებისა და ექსპლუატაციის პერიოდის გახანგრძლივების ვარიანტების განხილვა
- წრებრუნვაზე დაფუძნებული შენობების, ენერგეტიკული და გადაადგილების სისტემების მოწყობა და უზრუნველყოფა
- წრებრუნვის ექსპერიმენტების განხორციელება – ურბანული პრობლემების მოგვარება წრებრუნვითი გადაწყვეტილებებით
- წრებრუნვის განვითარების დაჩქარება რეგულაციებით, სტიმულირებითა და დაფინანსებით
- წრებრუნვითი პროდუქტებისა და მომსახურების ბაზრისა და მოთხოვნის შექმნა – იყავი წამომწყები მომხმარებელი
- ცირკულარული ბიზნეს-მოდელების მხარდამჭერი ახალი საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების ინსტრუმენტების კაპიტალიზაცია
- მოქალაქეების, ბიზნესების, სამოქალაქო საზოგადოებისა და მასმედიის სწავლება და განათლება
- სწორხაზოვანი საქმიანობის ინერციასთან დაპირისპირება და შებრძოლება, სწორხაზოვანი რისკების გამოყოფა და წრებრუნვის შესაძლებლობების ხაზგასმა
- წრებრუნვითი საქმიანობით დაინტერესებულ მხარეებთან დაკავშირება და მათი ურთიერთთანამშრომლობის ხელშეწყობა
- წრებრუნვითი საქმიანობის პიონერებთან და ჩემპიონებთან დაკავშირება და მათგან სწავლა
- წრებრუნვაში მიღწეული წინსვლის თაობაზე ინფორმაციის გავრცელება მონიტორინგის შედეგების საფუძველზე

ცირკულარული ეკონომიკის ხელშეწყობისთვის საკვანძო დაინტერესებული მხარეები

- აღნიშნულის მისაღწევად დაინტერესებულ მხარეთა არმიის ერთობლივი ქმედებაა საჭირო. ხელისუფლების ყველა რგოლის, ბიზნესების, ნოვატორების, ინვესტორებისა და მომხმარებლების ერთობლივი მუშაობაა საჭირო;
- თუმცა, წარმატებისთვის არსებითია სამი ჯგუფი:

- ფინანსური და არაფინანსური სფეროების პოლიტიკის შემქმნელები
- **პროექტის ინიციატორები და მუნიციპალიტეტები**
- საფინანსო ინსტიტუტები
- ადგილობრივი ხელისუფლება, როგორც ცირკულარული ეკონომიკის ხელშემწყობები

- ცირკულარული ეკონომიკის პოტენციალის გაანალიზება ადგილობრივ და რეგიონულ დონეებზე და წვლილის შეტანა ეროვნული პროგრამების შემუშავებაში, მ.შ. მასალების მნიშვნელოვანი ნაკადების, სამრეწველო სიმძლავრეებისა და ახალი ბიზნეს მოდელების ანალიზში;
- ცირკულარული ეკონომიკის ადგილობრივი და რეგიონული სტრატეგიების შემუშავება, რომლებიც მოიცავს სხვა რეგიონებთან თანამშრომლობის საკითხებს;
- ბიზნეს სექტორის ინფორმირება, რათა ბიზნესებმა, განსაკუთრებით კი მცირე და საშუალო ზომის საწარმოებმა ცირკულარული ეკონომიკის პოტენციალის გამოყენება მარტივად შესძლონ;
- ცირკულარული ეკონომიკის დაკავშირება სხვა საზოგადოებრივ გამოწვევებთან და გარდაქმნებთან, რათა ბიზნესისთვის თანმიმდევრული სტრატეგიული გარემო შეიქმნას და სხვადასხვა საზოგადოებრივ წამოწყებებს შორის ურთიერთკავშირს შეეწყოს ხელი;
- ურთიერთთანამშრომლობისა და ურთიერთქმედების პლატფორმების შექმნა, რათა ბიზნესებს შორის კავშირი უფრო მჭიდრო გახდეს;
- გარანტორის როლში გამოსვლა, როცა ცალკეული კომპანიებისთვის ცირკულარულ პროექტში ჩართვის რისკი მაღალია;
- ცირკულარული ეკონომიკის მიდგომების დანერგვა სახელმწიფო სექტორში;
- საბიუჯეტო თანხების გამოყოფა ცირკულარული პროექტებისთვის, რომლებიც საზოგადოებს მნიშვნელოვან სარგებელს მოუტანს;
- ცირკულარულ პროდუქტებსა და მომსახურებაზე მოთხოვნის სტიმულირება და მათთვის ახალი ბაზრების შექმნა სახელმწიფო შესყიდვების მეშვეობით.

პროექტების ინიციატორები

- ცირკულარული ეკონომიკისათვის შემოსავლის ახალი წყაროების მოძიება
- ორგანიზაციის სტრატეგიის გადახედვა ორგანიზაციასა და ბიზნეს მოდელებში წრებრუნვის პრინციპების დანერგვის მიზნით
- ღირებულებათა ჯაჭვების შიგნით და ჯაჭვებს შორის სხვადასხვა ორგანიზაციებს შორის ურთიერთთანამშრომლობის პირობების შექმნა
- სპეციალური ინსტრუმენტებისა და მართვის სისტემების შემუშავება, რომლებიც შემდგომში ცირკულარული ეკონომიკის ფუნქციონირების საშუალებას იძლევა (მაგ., წწწ.ცირცულატორ.ეუ)
- ცირკულარული ეკონომიკის პროექტების გარემოსდაცვითი და სოციალური სარგებლის შეფასება და ამ ინფორმაციის გასაჯაროება
- შიდა ინსტიტუციური განვითარება, რაც ცირკულარული ეკონომიკის სტრატეგიების, წამოწყებებისა და პროექტების გასააზრებლად, შესამუშავებლად და განსახორციელებლადაა საჭირო
- ბიზნეს მოდელები
- ცირკულარულ ეკონომიკაზე გადასვლის მიზნით, კომპანიებმა რესურსების მოხმარების ახლებურად გააზრების გარდა:
  - უნდა შეიმუშაონ და დანერგონ ახალი ბიზნეს მოდელები, რომლებიც ითვალისწინებს ნაკლები მასალების მოხმარებას, ხანგრძლივ ექსპლუატაციას, განახლებას, სრულ მოდერნიზაციას, სიმძლავრეების საზიაროდ მოხმარებას, ხელახალი გამოყენებისა და გადამუშავების ზრდას.
- წრებრუნვითი დიზაინის მოდელები
- ყურადღება გამახვილებულია არსებული ან ახალი პროდუქტების განვითარებაზე და წრებრუნვის ოპტიმიზაციაზე ორიენტირებულ პროცესზე.
- პროდუქტები იმგვარად იქმნება, რომ უფრო დიდხანს გვემსახუროს და/ან შესაძლებელი იქნას მათი ტექ. მომსახურება, შეკეთება, გაუჯობესება, განახლება, სრული მოდერნიზაცია ან გადამუშავება.
- იქმნება და/ან მოიპოვება ახალი მასალები:
  - მაგ., ბიო-ნედლეული, ნაკლებად რესურსტევდი, ან სრულად

- გადამუშავებადი.
- ასეთი ინოვაციების დაფინანსების რისკები დიდად არ განსხვავდება სხვა ინოვაციებისა თუ კვლევითი, განვითარების და ნოვატორული პროექტების დაფინანსების რისკებისგან.
- ოპტიმალურად გამოყენების მოდელები
- **მიზნად ისახავს პროდუქტის ღირებულების გაზრდას და უფრო ხანგრძლივად გამოყენებას** – ხშირად აგებულია პროდუქტზე საკუთრების უფლების შენარჩუნებაზე, მაგ., ხდება მომსახურების მიწოდება და არა თავად პროდუქტის გაყიდვა; **და/ან პროდუქტზე პასუხისმგებლობას ექსპლუატაციის მთელი პერიოდის განმავლობაში**, მაგ., პროდუქტის ექსპლუატაციის გასახანგრძლივლებლად ხდება ტექ. მომსახურება, ან დამატებითი კომპლექტაციის მიწოდება.
- ასეთ **'მომსახურება პროდუქტის ნაცვლად' მოდელებს** გააჩნია ფინანსური შედეგები, რომელთა მიზეზებია, მაგ.: ფულადი ნაკადების ხასიათის შეცვლა; საბრუნავი ფონდის გაზრდა, რაც კლიენტების წინასწარ დასაფინანსებლადაა საჭირო; ბალანსის მუხლების გაზრდა; და ნარჩენი ღირებულების გადაფასება.
- შესაბამისი გამოწვევები ეხება პროდუქტის კონტროლს, ასევე საგარანტიო აქტივების საკუთრებასა და ღირებულებასთან დაკავშირებულ სამართლებრივ საკითხებს.
    - ასეთი რისკების შეფასება ან განფასება შესაძლოა რთული იყოს, რამაც შესაძლოა ამ ტიპის პროექტების დაფინანსება გაართულოს.
- ღირებულების აღდგენის მოდელები
- ყურადღება გამახვილებულია მოხმარების შემდეგ პროდუქტის და მასალების მაქსიმალურად აღდგენაზე და გადამუშავებაზე, რათა მიღებული იქნას ახალი პროდუქტები ან სასარგებლო რესურსები.
    - ამ მოდელისთვის არსებითია უკულოგისტიკის განვითარება, ანუ მოხმარების წერტილიდან წარმოების წერტილში დაბრუნება.
    - ზოგიერთი მასალის შემთხვევაში გადამუშავება ნიშნავს ხარისხის დაქვეითებას, ხოლო პროდუქტების შემთხვევაში – ასევე დიზაინის, ტექნიკური კომპონენტების და მოხმარებული ენერგიის დაკარგვას.
    - შეიძლება განვასხვავოთ:

- **გადამუშავების/ აღდგენის სტრატეგიების** გამოყენება მოხმარების შემდგომ ფაზაზე:
- ნედლეულის და ქიმიური ნივთიერებების აღდგენა ნარჩენებიდან, მონარჩენი მასალებიდან და თანმდევი პროდუქტებიდან;
- ბიორესურსების, ქიმიური და საკვები ნივთიერებების აღდგენა ბიო-ნარჩენებიდან, ბიო-მონარჩენებიდან და ჩამდინარე წყლების შლამიდან;
- ენერგიის აღდგენა მონარჩენი ბიომასიდან, ბიოლოგიური ნარჩენებიდან, ბიო-მონარჩენებიდან და ორგანული შლამიდან;
- ნარჩენი სითბოს აღდგენა;
- დამუშავებული ჩამდინარე წყლების გამოყენება.
    - ქვეციკლირება (Downcycling), როცა გადამუშავების შედეგად ნაკლები ხარისხის და ნაკლებფუნქციური მასალები/ პროდუქცია მიიღება;
    - ზეციკლირება ('უპცყცლინგ'), რომელიც თანმდევი პროდუქტებისა და ნარჩენების უფრო მაღალი ხარისხის, ან გარემოსდაცვითი კუთხით უფრო მაღალღირებულ ახალ მასალებად ან პროდუქტებად გარდაქმნას გულისხმობს.
- წრებრუნვის დამხმარე მოდელები
- ყურადღება გამახვილებულია ღირებულების წრებრუნვის ქსელისა და რესურსების ნაკადების მართვასა და კოორდინაციაზე:
    - მასტიმულირებელი და სხვა ხელშემწყობი საქმიანობის ოპტიმიზაცია წერბრუნვის ქსელში;
    - გულისხმობს ისეთი ხელშემწყობი საკვანძო ტექნოლოგიების განვითარებასა და ფართოდ დანერგვას, რომლებიც ეხმარება და ხელს უწყობს სხვა ბიზნეს მოდელებს, ასევე მათი გამოყენების საშუალებას იძლევა.

ცირკულარულ ეკონომიკაზე გადასვლა – გამოწვევები

- ცირკულარულ ეკონომიკაზე გადასვლა შესაძლოა რთული, თუმცა
- საინტერესო იყოს:
    - განსაკუთრებით ისეთი კომპანიებისთვის, რომელთა სტრუქტურა, სტრატეგიები, საქმიანობა და მიწოდების ჯაჭვები სწორხაზოვან მიდგომას ეფუძნება.
    - მაშინაც კი, თუ ცირკულარულ ეკონომიკაზე გადასვლა ეკო-

ნომიკურად მომგებიანია, პირველ რიგში საჭირო იქნება წარმოების პროცესის წრფივიდან ცირკულარულზე გადაყვანა, რისთვისაც შესაძლოა საჭირო იყოს:

- პირველადი კაპიტალდაბანდება,
- ტექნოლოგიური პროცესის შეცვლა,
- ნედლეული, აღჭურვილობა და საწარმოო სიმძლავრე,
- პერსონალის გადამზადება,
- ღირებულებათა უფრო ვრცელი ჯაჭვის კოორდინირება.

წრებრუნვითი დიზაინი და წარმოება



შემცირების/ გადამუშავების სტრატეგიების გამოყენება პროდუქტისშემუშავების/ წარმოების ფაზებზე:

ა. შემუშავებისას გათვალისწინებული უნდა იქნას მოდულურობა, რემონტის სიმარტივე, დაშლისა და გადამუშავების შესაძლებლობა, ექსპლუატაციის პერიოდის გახანგრძლივება;

ბ. ახალი ნედლეული უნდა ჩანაცვლდეს მეორადი/გადამუშავებული მასალებით;

ც. უნდა შემცირდეს საშიში ნივთიერებების გამოყენება, რათა შესაძლებელი იქნას ხელახალი გამოყენება და გადამუშავება;

დ. შემუშავებული/დანერგილი უნდა იქნას ინოვაციური მასალები და საწარმოო ტექნოლოგიები, რომლებიც რესურსების წრებრუნვის ეფექტურობას გაზრდის.

ხელახალი გამოყენების/ შეკეთების/ დანიშნულების შეცვლის/ განახლების/ სრული მოდერნიზაციის სტრატეგიების გამოყენება მოხმარების ფაზაზე:

ა. პროდუქტების და მათი ნაწილების ხელახალი გამოყენება, შეკეთება და სრული მოდერნიზაცია დადგენილი დარგობრივი სტანდარტების შესაბამისად;

ბ. მიტოვებული შენობების და ჭარბი აქტივების დანიშნულების შეცვლა და განახლება დადგენილი დარგობრივი სტანდარტების შესაბამისად;

ც. მიტოვებული განაშენიანებული ტერიტორიების დაბინძურების აღმოფხვრა და მათი ხელახალი განაშენიანება;

დ. აქტივების/პროდუქციის მოხმარების გაფართოება/ექსპლუატაციის პერიოდის გახანგრძლივება ცირკულარული ეკონომიკის პრინციპებზე აგებული ბიზნეს მოდელების მეშვეობით, რომლებიც პროდუქტის ნაცვლად მომსახურების მიწოდებას, საზიარო აქტივებს, ან იჯარას ითვალისწინებს.

შეუძლია ბაზარს ცირკულარულ ეკონომიკაზე გადასვლის სტიმულირება?

- ცირკულარული ეკონომიკის შექმნა შესაძლებელია მხოლოდ **ბაზრის ძალებით**, თუმცა ნელი გადასვლის რისკი არსებობს და შესაძლებლობებიც ძვირადღირებული იქნება.
- ამიტომაც, არსებითია **სახელმწიფო სექტორის** ჩარევა და მხარდაჭერა, რათა:
  - გატარდეს მიწოდების შესაძლო დეფიციტის თავიდან აცილების ღონისძიებები;
  - შემცირდეს ქვეყნის დამოკიდებულება იმპორტირებულ სტრატეგიულ რესურსებზე;
  - გააზრებული იქნას, ცირკულარულ ეკონომიკაზე გადასვლა საზოგადოებას და გარემოს რა სარგებელს მოუტანს.
- ცირკულარულ ეკონომიკაზე გადასვლა საჭიროებს მეთოდურ მიდგომას, მ.შ. სხვადასხვა **დაინტერესებული მხარეების** ჩართულობას, კერძოდ:
  - **ბიზნესების,** რომლებმაც ცირკულარული ბიზნეს მოდელები და ხელშემწყობი ტექნოლოგიები უნდა შეიმუშაონ;

- ეროვნული **პოლიტიკის შემქმნელებისა** და კანონმდებლების, რათა გატარდეს ეფექტური რეგულაციები და მასტიმულირებელი ღონისძიებები;
- **ფინანსური სექტორის,** რომელმაც ფინანსებზე წვდომის გაუმჯობესების მიმართულებით უნდა იმუშაოს, ასევე ხაზობრივი და წრებრუნვითი რისკების შესაფასებლად გამოყენებულ მიდგომებს უნდა გადახედოს;
- **ხელისუფლების** და **სამოქალაქო საზოგადოების,** რომლებმაც წვლილი უნდა შეიტანონ საზოგადოების ცნობიერების და მომხმარებლის განათლების ამაღლებაში.

სამრეწველო ხანის მემკვიდრეობა

- კეთილდღეობა, რომელიც საქონლისა და მომსახურების ნაირსახეობის მუდმივ ზრდას იწვევს
- დაშვება, რომ რესურსები უსასრულოა
- ნარჩენების განსათავსებელი სივრცე ამოუწურავია
- „აიღე-დაამზადე-გამოიყენე-გადააგდე" მოდელი
- არაგანახლებადი რესურსების ღირებულება და მიწოდების რისკი მაღალია
- ნედლეულის ფასის 100 წლიანი ტენდენციის მეორე მხარე
- კლიმატის ცვლილება და ბიომრავალფეროვნების დაკარგვა
- საშუალო ფენის სწრაფი ზრდა
- დამანგრეველი ახალი ტექნოლოგიები
- მთავრობების, ბიზნესების და მოქალაქეების ბუნდოვანი როლი
- მსოფლიოში მოპოვებული ნედლეულის 20%
- ნარჩენებში ხვდება
- ევროკავშირში ლითონის მადნის 90%
- იმპორტირებულია
- 27 ნედლეული დეფიციტურად ითვლება
- ფასები ცვალებადია
- მოსახლეობა ათ წელიწადში 500 – 750 მილიონით იმატებს
- 2015 – 2050 წლებში ნედლეულის მოხმარება
- გაორმაგდება

დასკვნები

- ცირკულარულ ეკონომიკას შეუძლია ჩვენი დღევანდელი, სწორხაზოვანი ცხოვრების წესის შედეგების შერბილება;
- ცირკულარულ ეკონომიკაში ბიზნეს საქმიანობა სხვანაირად აიგება, რესურსების და მასალების მოხმარება უფრო ეფექტიანია, გამოიყენება ახალი გადაწყვეტილებები და მიწოდების ჯაჭვში თანამშრომლობის ახალი ხედვა;
- ცირკულარულ ეკონომიკაზე გადასასვლელად საჭიროა სისტემის შეცვლა და ყველა მოთამაშის: კომპანიების, მომხმარებლების, კანონმდებლების, აკადემიური წრეებისა და საფინანსო ინსტიტუტების თანამშრომლობა სხვადასხვა დონეზე;
- ცირკულარული ეკონომიკა მოითხოვს ახალ ბიზნეს მოდელებს, სადაც რესურსების კონტროლი და თანამშრომლობა გაძლიერებულია, ასევე შესაძლებელია ისეთი ახალი სტრუქტურების შექმნა, რომლებიც პროდუქტების მიწოდების ნაცვლად პროდუქტებზე წვდომას უზრუნველყოფენ მომსახურების გზით;
- კომპანიის დაფინანსების ტრადიციულმა გზამ ცირკულარულ მოდელზე გადასვლის მოსურნე ბიზნესს შეიძლება დაბრკოლება შეუქმნას;
- მომხმარებლები უნდა შეეჩვიონ, რომ პროდუქტები კი არ გადაყარონ, არამედ ციკლში შეინარჩუნონ, ხოლო პროდუქტების ქონა პროდუქტების მოხმარებით ჩაანაცვლონ.
- საბიუჯეტო სახსრების ხარჯვის რეგულაციები და მეთოდი ცირკულარულ ეკონომიკაზე გადასვლის მსურველი ბიზნესებისთვის შეიძლება დაბრკოლება აღმოჩნდეს, ხოლო ცირკულარულ ეკონომიკაზე გადასვლის ეფექტურად სტიმულირების მოსურნე ხელისუფლებისათვის – გამოწვევა;
- ღირებულებათა ჯაჭვის გასწვრივ თანამშრომლობა ცირკულარულ ეკონომიკაზე წარმატებით გადასვლის მნიშვნელოვანი საწინდარია;
- პროდუქტის დიზაინი ხელშემწყობი ფაქტორია;
- გადასვლა წარმატებული რომ იყოს, კომპანიის 'რისკის' შეფასება უნდა შეიცვალოს, რადგანაც ცირკულარულ ბიზნეს მოდელში რისკის ხედვა წრფივი ბიზნეს მოდელისაგან განსხვავებულია.

სწორხაზოვანი ბიზნეს-საქმიანობა

- **არაგანახლებადი რესურსების გამოყენება** – კომპანია აწოდებს ისეთ პირველად რესურსებს ან დამოკიდებულია ისეთ ნედლეულზე, რომლებიც დეფიციტური გახდება ან არაგანახლებადია;
- **ახალი პროდუქციის გაყიდვების პრიორიტეტის დადგენა** – კომპანია ქმნის ხანმოკლე ექსპლუატაციის პერიოდის მქონე, ერთ მომხმარებელზე გათვლილ პროდუქტს, რომელიც ხვდება ნაგავსაყრელზე, იწვება ან ნარჩენების სახით გაიტანება;
- **თანამშრომლობის შეუძლებლობა** – კომპანია მკაცრად აკონტროლებს ცოდნას და პარტნიორულ ან ურთიერთთანამშრომლობის პროექტებში არ მონაწილებს;
- **სიახლეების დანერგვის ან ადაპტაციის შეუძლებლობა** – კომპანია არ ცვლის ბაზრის ხედვას, სიახლეებს არ ნერგავს და ახალ საბაზრო პირობებს არ ერგება.

სწორხაზოვანი რისკ-ფაქტორები – 1

- **საბაზრო** – საბაზრო რისკები მოიცავს ბაზარსა და ვაჭრობასთან დაკავშირებულ ფაქტორებს, რომლებიც ბიზნესზე, აქტივებზე და ვალდებულებებზე ახდენს გავლენას. ესენია:
  - ფასების ცვალებადობა, რესურსების სიმწირე, ვაჭრობაზე დაწესებული აკრძალვები, მაღალი საპროცენტო განაკვეთები, ინვესტორების დაბალი დაინტერესება და სხვა.
  - **საოპერაციო** – საოპერაციო რისკები მოიცავს ფაქტორებს, რომლებიც საფრთხეს უქმნის კომპანიის შიდა ოპერაციებს. ესენია:
  - მიწოდების ჯაჭვის მოშლა, შიდა პროცესების მოშლა, მუშახელის უსაფრთხოების საკითხები, კვალიფიციური კადრების დაქირავების ან შენარჩუნების სირთულე და სხვა.
- **ბიზნესის** – ბიზნეს-რისკები ისეთი ახლი საზოგადოებრივი, ეკონომიკური და პოლიტიკური ტენდენციების შედეგია, რომლებიც საფრთხეს უქმნის კომპანიის სტრატეგიული ბიზნეს გეგმით დასახულ ამოცანებს. ესენია:
  - მომხმარებლების მოთხოვნის ცვლილება, ახალი ტექნოლოგიები, ახალი ბიზნეს მოდელები და სხვა.
- **სამართლებრივი** – სამართლებრივი რისკი წარმოიშობა, როცა კომპანია ვერ იცავს არსებულ და მომავალ კანონმდებლობას,

სტანდარტებს ან რეგლამენტებს, როგორიცაა:

- ნედლეულის წყაროს შერჩევის წესები, ახალი სამთავრობო სტრატეგიები, მწარმოებლის გაფართოებული ვალდებულება, ჯარიმები ან სასამართლო პროცესები.

კონცეფციები და ბიზნეს მოდელები

- **რა არის ცირკულარი ეკონომიკა?**
- ცირკულარული ეკონომიკა ტრადიციული, წრფივი ეკონომიკის (დამზადება, მოხმარება, განთავსება) ალტერნატივაა, სადაც რესურსებს შეძლებისდაგვარად დიდხანს ვიყენებთ, სარგებლობისას მათი ღირებულების მაქსიმუმს ვიყენებთ, ხოლო შემდეგ, ექსპლუატაციის ყოველი ციკლის ბოლოს პროდუქტებსა თუ ნედლეულს აღვადგენთ და ახალ სიცოცხლეს შევძენთ.
- **რატომაა ცირკულარული ეკონომიკა მნიშვნელოვანი**
- გარდა განვითარების ახალი შესაძლებლობას ქმნისა, ცირკულარული ეკონომიკა:
  - ამცირებს ნარჩენებს;
  - ზრდის რესურსების გამოსავლიანობას;
  - ეკონომიკას კონკურენტუნარიანობას ჰმატებს;
  - ქვეყნებს საშუალებას აძლევს, რომ მომავალში უკეთ გაუმკლავდნენ რესურსების უსაფრთხოების/დეფიციტის პრობლემებს;
  - საშუალებას იძლევა, რომ ქვეყნისა და რეგიონის მასშტაბით შემცირდეს გარემოზე ზემოქმედება წარმოებისა და მოხმარების გამო.

გამოყენებული ლიტერატურა

1. საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო 2020წ.
2. კავკასიის რეგიონული გარემოსდაცვითი ცენტრი. მინის დეგრადაციისა და სილარიბის შემცირების მიზნით სასოფლო ტერიტორიებზე ლანდშაფტისა და მინის რესურსების მდგრადი მართვის დანერგვა 2019წ.
3. ს. პავლიაშვილი. წარმოების ეფექტიანობის მართვის კომპლექსური სისტემა საქართველოს მრეწველობაში. თბილისი. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გაომცემლობა. 1998
4. ს.პავლიაშვილი. პრივატიზაციის ფენომენი და პრობლემები საქართველოში. ტექნიკური უნივერსიტეტი. 2009
5. ელგუჯა მექვაბიშვილი. თანამედროვე ეკონომიკური თეორიები 2016.
6. გაუდაბნოებასთან ბრძოლის მოქმედებათა მეორე ეროვნული პროგრამა. 2018
7. ს. პავლიაშვილი. ზ. გარაყანიძე, "საქართველოს სატრანსპორტო დერეფანი: პრობლემები, პერსპექტივები", თბილისი, 2014 „მწიგნობარი".
8. Geopolitics to Geo-Economics: Logic of Conflict, Grammar of Commerce. Edward N. Luttwak. The National Interest. No. 20 (Summer 1990), pp. 17-23. Published by: Center for the National Interest. https://www.jstor.org/stable/42894676 Page Count: 7
9. Papava V., Tokmazishvili M. Russian Energy Politics and the EU: How to Change the Paradigm. Caucasian Review of International Affairs, Vol. 4, No. 2, Spring 2010. https://www.researchgate.net/publication/46418125_Russian_Energy_Politics_and_the_EU_How_to_ Change_ the_Paradigm
10. თ. გოჩიტაშვილი. „ბუნებრივი გაზის მიწოდების ახალი მარშრუტები და თანამედროვე ტექნოლოგიები". ენერგოეფექტურობის ცენეტრი საქართველო. თბილისი 2004.
11. ცირკულარულ ეკონომიკაზე გადასვლის დაჩქარება. დარიუშ პრასეკი. საქართველოს ბუნების მკვლევართა კავშირი „ორქისი". „საქართველოს 93. მწვანეთა მოძრაობა/დედამიწის მეგობრები–საქართველო" დავიცვათ საქართველოს სისუფთავე. 2019
12. BP statistical review of world energy: 2002-2016
13. Key world energy statistics, IEA 2016
14. Всемирная история экономической мысли. М., 1987, т.1,
15. BP statistical review of world energy: 2002-2016
16. Futures Industry Association Annual Survey // www.fia.org. 2014. https://fimag.fia.org/articles/2014-fia-annualglobal-futures-and-options-volume-gains-north-america-and-europe-offset.
17. COVID19 mostly behind China chemical industry. https://cen.acs.org/business/economy/COVID-19-mostly-behind-China-chemical-industry/98/web/2020/03
18. Shuttered buyers send force-majeure notices to energy cos https://economictimes.indiatimes.com/industry/energy/power/shuttered-buyers-send-force-majeure-notices-toenergy-cos/articleshow/74920676.cms?from=mdr
19. Azerbaijan Turkey return to plan for gas pipeline to Azeri exclave. http://online.flipbuilder.com/myab/eafb/mobile/index.html
20. Pavliashvili S. Zigzags of inflationinpost-soviet Georgia... Academy Press. San Francisco. Nice. Silicon Valley. MountanView.CA USA.2011

21. საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგია საქართველო 2020
22. В. Е. Шляпентох. Эконометрика и проблемы экономического роста. М., 1966. И. Осадчая. Современное кейнсианство. М., 1971.
23. Дж. Б. Кларк. Распределение богатства. М.-Л, 1934
24. И. Шумпетер. Теория экономического развития. М., 1982.
25. ჯ. კეინსი, დასაქმების, პროცენტისა და ფულის ზოგადი თეორია, ქუთაისი, 1995.
26. Р. Ф.Харрод. К теории экономической динамики. М , 1959.
27. Э. Долан, К. К. Эмпбелл, Р. Кэмпбелл. Деньги, банковское дело и денежно-кредитная политика 1991
28. Дж. Хикс. Стоимость и капитал 1991
29. П. Самуэльсон. Экономика. 2018
30. В. М. Усоскин. Теории денег. М., 1976
31. Дж. Гелбрейт. НОВОЕ ИНДУСТРИАЛЬНОЕ ОБЩЕСТВО. 2012
32. Дж. Гэлбрейт. Экономические теории и цели общества. 1976
33. И. Шумпетер. Капитализм, социализм и демократия М., 1995
34. Д. Сиссел. Концепция планирующей системы Гелбрита как заменитель теории рынка.-РЖ Общественные науки за рубежом. М., 1985
35. Р. Коуз. Фирма, рынок и право. 2003
36. О. Уильямсон. Вертикальная интеграция производства: соображения по поводу неудач рынка.-В кн. Теория фирмы. Под ред. В. М. Гальперина. Санкт-Петербург, 1995
37. Р. Коуз. Фирма, рынок и право. М , 1993
38. Э. Жаис. История экономической мысли XX в М., ИП, 1959.
39. О И. Литвиненко. Теории прибыли. М., 1979
40. Критика современной буржуазной политэкономии. М., 1977
41. А. Маколи. Границы приватизации в планируемой экономи- ке.-МЭиМО, 1992
42. Р. Хейлбронер, Л. Туроу. Экономика для всех Новосибирск, 1994
43. См. Л. И. Пияшева, Б. С. Пинскер. Экономический неокон-серватизм теория и международная практика. М., 1988
44. Фридман и Хайек о свободе. Нью-Йорк, 1985